



1733.388

3

კვები კვებანტირაჲ

და

გისი თავგარასავალი

F 33. 368
3

შვიდ-კარიანი რომანი.

გამომცემლობა „საბჭოთა კავკაციონი“

თფილი—1925 წ.





ՀՀ Հայաստան

ა მ თ მ რ ი ს ა მ ბ ა ნ.

ამ რომანის ზოგი ნაწილი წლეულს და შარშან სხვა და სხვა სათაურით სხვა და სხვა უურნალში დაიბეჭდა („დროშა“, „მნათობი“ და „ქართული სიტყვა“). პირველად განზრახული მქონდა მოთხრობათა სერიის დაბეჭდვა საერთო სათაურით, მაგრამ წერის ღროს აზრი შევიცვალე და მათი ერთ რომანში შეკვრა გადავსწყვიტე. ამის გამო დაბეჭდილს ახალი მასალა დავუმატე, შევასწორე და შინაგანი მთლიანობაც გავაძლიერე.

ვბედავ და ამ წიგნს წრფელის გულით მივუძლვნი ყველა მსხვილფეხა და წვრილფეხა კვაჭის და კვაჭიკოს, რომელნიც ჩემს კურთხეულ სამშობლოში ყოველთვის უხვად მოიპოვებოდნენ.

ავტორი.

დედა-ქალაქი,
1924 წ. ოქტომბერი.

კ ა რ ი პ ი რ ვ ე ლ ი.

აქა ამბავის კვაჭის დაბადებისა.

იმ წელს, პირველ აპრილს, სამტრედიაში უცნაური და იშვიათი დარი დადგა. ღილიდანვე დედამიწას კუპრივით შავი ლრუბელი დააწევა. ხან თოვლი მოდიოდა, ხან ხოშაკალა, ხან წვიმა, ხან კიდევ გაზაფხულის მზე ანათებდა. ხან ისეთი გრიგალი ამოვარდებოდა ხოლმე, რომ მთელი დაბა ჭრიჭინებდა და ზანზარებდა, ხან ისეთი მყუდროება და სიჩუმე ჩამოვარდებოდა, რომ ცაში ლრუბელს არავითარი მოძრაობა აღარ ეტყობოდა.

ასე არეულ-დარეულად დაიწყო სამტრედიაში პირველი აპრილი—დღე ცბიერი, ყალბი და შზაკეარი.

იმ დღეს დილიდანვე სილიბისტრო კვაჭანტირაძის სახლში, რომელიც ხნის გზის ნაპირზე იდგა, დიდი ოლიაქოთი და ფაცი-ფუცი ტრიალებდა: სილიბისტროს მეულლე პუპი პირველ შვილზე იწვა მელოგინედ. მთელი ოჯახი ფეხზე იდგა. მელოგინეს თავს დასტრიალებდნენ მისი დედა ნოტიო, ბებია და მეზობელი დედაკაცები, ხოლო მისი ქმარი სილიბისტრო და მამა—ხუსუ ჩიჩია მეორე ოთახში გულის ფანცქალით ელოდებოდნენ პირველ მემკვიდრეს.

შუალედმ რომ მოატანა, თითქმის სულ დაბნელდა და „დალამდა. მიყუჩებული დედამიწა უცებ ისევ შეინძრა და აზანზარდა. საშინელი გრიგალი ამოვარდა. ქვეყანა ჰემინავდა, ჰეკნესოდა და სკექდა. კვაჭანტირაძის ფიცრული აიგრიხ-ჩაიგრიხა, აქრიჭინდა, აიბურძნა და აფრენას ჰლამობდა. მელოგინე ჰეკიოდა, სხვები კი თავზარდა ცემულნი და დამფრთხალნი უგზო-უკელოდ დარბოდნენ.

უცებ ისე გაიელება, რომ ყველანი რამდენიმე წამით დაბრმავდნენ. იმავე წამს, ერთსა და იმავე დროს, ცის ისეთი საზარელი ჭექა და პუპის ისეთი კივილი მოისმა, ხოლო დედამიწა ისე შეინძრა, რომ შიშით ზოგი გაშეშდა, ზოგმა ჩაიკეცა, ზოგი კიდევ კარებს ეცა. ერთი წუთით სრული სიჩუმე ჩამოვარდა. უცებ იქვე კუთხეში ახლად დაბადებულის წრიპინი მოისმა:

— მე-ე.. მე-ე.. მე-ე..

პირველი ვაუ სილიბისტრო კვაჭანტირაძის პირველად ჩაუ-
ვარდა ფეხებში პირველ დედაკაცს—თავისსავე დედას, პუპის.

ასტყდა სიხარულის ურიამული, ალიაქოთი და ფუსტუსი. იმა-
ვი წუთს სრული თორმეტი საათი შესრულდა. გრიგოლსაც ენა ჩაუ-
ვარდა და სინათლემაც სიბნელეს დასძლია.

ბავშვის ხმაზე სილიბისტრო კვაჭანტირაძე და ხუხუ ჩიჩია მჟო-
რე ოთახიდან გამოცვიდნენ.

— ვაჟია! — მიახარა ბებიამ სილიბისტროს და ხუხუს.

— მაღლობა უფალს! — სთქვა სილიბისტრომ.

— დიდება მამასა, და ძესა, და წმინდასა სულსა! — სასოფტით
დაუმატა ხუხუმ: — ამინ!

— ამინ! — განიმეორეს სხვებმაც და ყველამ პირჯვარი გადი-
წერეს.

— კვაჭი დამირქმევია! — გამოაცხადა სილიბისტრომ.

ყველანი დაეთანხმნენ.

კოტა ხნის შემდეგ დუქნის ბიჭი ბარდლა ამოვარდა ქვემო საო-
თულიდან და ამბავი მოიტანა, რომ მები ალვის ხეს დაეცა, რომე-
ლიც კვაჭანტირაძის ბალში იდგა, და შუაზე ვახლიჩა, ხოლო გრი-
გაღმმა დაანგრია და მიჰტანტ-მოქტანტა უონდიას ღუქანი, რომელიც
კვაჭანტირაძის „სასტუმროს“ დიდ მეტოქეობას უწევდა. სილიბისტ-
რო ქუჩაში გავიდა უონდიას დანგრეულ დუქნის სანახავად და გზა-
ში ვერცხლის მანეთიანი იპოვნა.

ერთი საათის შემდეგ ლრუბელი გაიცანტა და გაზაფხულის
შშენიერი დარი დადგა. მზემ თავზე დაიდგა საუცხოვო რამ სხივო-
სანი გვირგვინი. მთელი სამტრედია გარეთ გამოსულიყო და ათვა-
ლიერებდა იმ გვირგვინს, უონდიას ნაღუქნარს და კვაჭანტირაძის
გაჩეხილ ალვის ხეს.

ასე დაიბადა კვაჭი კვაჭანტირაძე.

იმავე სალამოს ქალბატონნა ნოტიომ კვაჭიკოს ხელის გული
ძლიერ გაუსხნა, გაუსინჯა, ჯერ ჩაფიქრდა და მერე მოსულიერებულ
პუპის, თავმომწონე სილიბისტროს, დაშვეიდებულ ხუხუს და ამპარ-
ტავან ბარდლას უთხრა:

— ქარიშხალი და ქექა-ქუხილი იმას ნიშნავს, რომე ახალგაზრ-
დობაში კვაჭის მრავალი გაჭირვება და თავგადასავალი მოელის,
მარა ღმერთი დიდია. მჯიდი რომ ისთე ჰქონდა მოჭერილი, რო-
მე ძლიერ გაუშალეთ, ეს იმის ნიშანია, რომე რაც კვაჭიკოს ხელ-
ში ჩოუგარდება, მისი წართმევა კაცს არ შოუძლია. მზემ რომ
გვირგვინი დეიდგა თავზე, ეს იმას ნიშნავს, რომე შემდეგში კვაჭის

— კვენაცვალე იმას პატია თათებში! — ბრწყინვალე და სახელოვანი მომავალი მოელის. ალვის ხეს რომ მეხი დიეცა და ეონდის დუქანიც რომე ეშმაკებმა წეიღეს, ეს იმას ნიშანეს, რომ თქვენი და კვაჭის მტრებს — ჯვარი აქოურობას! — მეხი დიეცემათ და გულები ისთე დოუსკდებათ, რავარც ალვის ხე გასკრა დღეს.

ყველას გული მოულბა და მოეფხანა.

მერე სილიბისტრომ სთქვა:

— ბოვშის ესეთი ტირილი ჯერეთ არ გამიგია. სულ „მე-მეს“ იძხის. ეტყობა, სხვას აფერს შეარჩენს და ამ ქვეყანას დეიჩემებს.

ყველამ გაიცინეს.

— კვენაცვალე ჩემს კვაჭიკოს! — ჩაიჩურჩულა ღიმილით პუპიმ და თავის გვერდით მიძინებულ კვაჭის ალერსი დაუწყო.

რა იცოდნენ სილიბისტრომ, ან პუპიმ, ან ბარდლამ, თუნდ ხუხუმ, თუნდ ნოტიომ, რომ მათს მყითხაობაში და ოცნებაში სიმართლის ნატამალი იყო ჩაქსოვილი, და რომ წრიპინა და მჩხავანა კვაჭიკო მომავალში მათ საესებით გაუმართლებდა იმედებს და კიდევაც მრავალჯერ გადააჭარბებდა.

აქა ამბავი კვაჭის მშობლებისა.

ეხლა გოხოვთ გაიცნოთ სილიბისტრო კვაჭინტირაძე და მისი ოჯახი.

პატივცემული ბატონი სილიბისტრო დაიბადა გურიაში იმ ხანებში, როცა ბატონ-უმობა სსპობოდა. იმისმა დედ-მამამ — ანაპოდისტემ და ციუციამ — პატია სილიბისტრო გასაზრდელად მიაბარეს ციუციას დას ქალბატონ ნოტიოს და იმის ქმარს ხუხუ ჩიჩიას.

ხუხუმ და ნოტიომ პატაწინა სილიბისტრო ხურჯინში ჩასვეს, ცხენს აპკიდეს და დიდის ტანჯვა-წვალებით გაიყვანეს სამეგრელოში, სოფელ ბანდაში, სადაც ხუხუ და ნოტიო სცხოვრობდნენ.

მეგრელებმა სილიბისტროს ქრისტიანული სახელი დაუწუნეს და ჭიბი დაარქვეს. რადგან მეორე ნათლობა ულვდლოდ მოხდა და მეორე სახელიც არც ერთ წიგნში არ იყო ჩაწერილი, ამიტომ იმის პატრონს ორივე სახელი შერჩა — სილიბისტრო და ჭიბი.

ათიოდე წელიწადი გავიდა. სილიბისტრო — ჭიბი ხან გურიაში გაჰყავდათ, ისევ ხურჯინით ან გოდრით, დედ-მამის სანახავად, ხან უკანვე მოჰყავდათ.

რუსეთ-სამალეთის ომი რომ დაიწყო, ანაპოდისტე ქართულ მილიციაში ჩაეწერა და ბათომის ასაღებად წავიდა, მაგრამ ციხისი-

რას ერთ-ერთ იერიშის დროს მოჰკლეს. ერთი წელიწადი ძლიერ გავიდა, რომ ციუციაც მეორედ გასთხოვდა და ქმარის აღესაში წაპყეა.

ასე დაობლდა სილიბისტრო კვაჭანტირაძე. კიდევ კარგი, რომ იმისმა დედიდამ ნოტიომ და ხუსუ ჩიჩიამ იისრეს სილიბისტროს გაზრდა და დროზედ უპატრონეს იმის ერთ მუქა ქონებას.

სილიბისტრო მარტო არ იყო ჩიჩიას ოჯახში. ხუსუ ერთი ქმა ჰყავდა სამტრედიაში—ჯვებე ჩიჩია, რომელიც აღრე დაქვრივდა. ჯვებეს ჰყავდა ერთად ერთი ქალი—პუპი. ჯვებე მოუცლელი კაცი იყო, ამიტომ პუპიც ხუსუს და ნოტიოს ოჯახში იზრდებოდა.

ამრიგად სილიბისტრო და პუპი და-ძმასავით შეეზარდნენ ერთ-მანეთს და ერთი-მეორე ბავშვობიდანვე შეიყვარეს.

სილიბისტრო რომ წამოიზარდა, მიწის მუშაობა ითავილა და ბათომში წავიდა აზნაურობის და ბედის საძებნელად. ხუსუ თავისი ოჯახით ჯვებემ სამტრედიაში დაიბარა. ჯვებე ავად იყო, ამიტომ თავისი ქალიშვილის—პუპის ბედი და პატარა დუქანი ხუსუს ჩააბარა, ხოლო სული—ღმერთს.

ხუსუმ ამ დუქანს ვერ მოუარა, ამიტომ ბათომიდან სილიბისტრო დაიბარა და უთხრა:

— შვილო ჭიბი! საკუთარი პაწაწა ფაცხაში ცხოვრება სჯობია სხვის სასახლეში სამსახურს, საკუთარი ხმელა ვადი—სხვის პურს; ბათომში შორს ვერ წახვალ მარტო ქართულის წერა-კითხვით. იქნე ათასი განათლებული ხალხი დეიარება, შენ გასაქანს არ მოგცემენ, ამიტომ გირჩევ საკუთარი ოჯახი გეიჩინო. ბედი კარზედ გიცდის, ხელს ნუ ჰქონავ, თვარა ინანებ. პუპი დასაწუნი არაა; ლამაზი, წესიერი და ცოცხალი ქალია; ეს მომართული სახლი და ბალიც ერთ რამედ ღირს. რაც მე და ნოტიოს გვაქვს, ესეც ხომ თქვენი იქნება. რას იტყვი, შვილო ჭიბი?

რას იტყოდა ჭიბი კვაჭანტირაძე? კარზე მომდგარ ბედს ხელგაშლილი გაეგება, პუპის თვისი განთქმული გვარი აჩუქა და ამ რიგად სამტრედიის საერთო ოჯახში ჩასხლდა.

აქა ამბავი აშორდიასგან აზნაურობის მიღებისა.

სილიბისტროს სახლი—ორსართულიანი მიგრეხილ-მოგრეხილი ფიცრული—ხონის გზაზე იდგა. სახლს ნახევარი ქცევა მიწა ჰქონდა, რომელსაც ბალს ეძახდნენ. „ბაღში“ ათიოდე ხე იდგა—ბალი, პანტა და მაჟალო ვაშლი. იქვე ხუთიოდე კვალი მწვანილი იყო დათე-სილი: ბოლოები, ქინძი, წიწმატი, ტარხუნა და ნიახური.

ქვემო სართულში „სასტუმრო“ იყო, საღაც ყოველთვის იშვიეროდა ხარჩო, სულუგუნი, კვერცხი, კუპატი, ხილეულობა და მრავალნაირი ღვინო — კულაშური, სვირული და საჩინური ალადასტური.

ეზოში საქონელი და ფრინველიც ჰყავდათ: ათიოდე ქათამი, ბატი და იხვი, ორიოდე თხა, რამდენიმე გოჭი და ერთგული ძალლი.

დუქნის უკანა ოთახში ოთხი ტახტი იდგა, რომელზედაც ლოგინის მაგიერ ძმნები ეყარა. სახლი ძეველი იყო და დანგრევას აპირებდა, სამაგიეროდ ხონის გზაზე იდგა და მუშტარი ხშირად ჰქვდებოდა.

ზემო სართულში სამი ოთახი ჰქონდათ — თითქმის ცალიერი, მაგრამ სუფთა და მხიარული. თანდათან სილიბისტრომ დანა-ჩანგალი, ფაიფურის ჭურჭელი, მაგილა, სკამები და ფარდებიც გაიჩინა.

ხუხუმ და ნოტიომ თავიანთი ხაბაკ-ხუბაკი ბანძაში გაჰყიდეს და საერთო ოჯახში თავიანთი წვლილიც შეიტანეს. ოთხივენი ხალხში გამოსულნი, ზრდილნი და თავაზიანნი იყვნენ, ამიტომ მალე გაიჩინეს მუშტარი, რომელსაც იმ „სასტუმროში“ წყალ-წყალა ღვინის, გამხმარ სულუგუნისა და ბუზ-ნაჭამ კუპატის გარდა ყოველთვის უხვად უხვდებოდა სტუმარ-მოყვარე მასპინძლების ღიმილი, ცხელ-ცხელი ამბები, შინაურული მოქცევა, ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი, ათასი ბოლიში და მუდმივი დაპირება უკეთესად დახვედრისა შემდეგში.

სილიბისტრო და პუპი, რა თქმა უნდა, ყველა გამვლელ-გამომვლელს თავს არ უყადრებდნენ, — მაგრამ თავად-აზნაურებს, ვაჭრებს და საერთოდ სუფთა მუშტარს ისე არ გაატარებდნენ იმ გზაზე, რომ გამარჯვება მაინც არ ეთქვათ, არ მიეპატივნათ, მათი ამბავი არ გამოეკითხნათ და თავიანთიც არ ეთქვათ.

სილიბისტრო სადგურზე ან ბაზარშიც რომ ყოფილიყო, მაშინ ვე ალოთი ან რაღაც მანქანებით გაიგებდა ასეთი მუშტრის მისვლას და უმილ სახლში განწლებოდა ხოლმე, თუნდ იმისთვის, რომ სასურველი მუშტარი გაეცნო, გადმოებირნა, ან ორიოდე ტკბილი სიტყვით მისი გული მოევო და შემდეგში მაინც გამოყენებინა.

როცა ხონის გზაზე ეტლების მოძრაობის დრო გავიდოდა, სილიბისტრო სადგურზე და ბაზარში წავიდოდა და ათასნაირ წვრილმან საქმეს აკეთებდა. აქედანაც ყოველთვის ორიოდე გროში შერჩებოდა, რომელსაც ისევ „სასტუმროს“ და თავისს ოჯახს აყრიდა. ერთიც და მეორეც თანდათან იქსებოდა, უეხზე სდგებოდა და ძალლის შედიოდა.

ასეთი იყო სილიბისტრო კვაჭანტირაძის ცხოვრება და ოჯახი, როცა დაიბადა კვაჭი კვაჭანტირაძე.

კვაჭი საოცარის სისწავათით იზრდებოდა. სხვა ბავშვები და ახლოვებით ერთის წლისა იიღვამენ ხოლმე ფეხს და ენას, ხოლო კვაჭიკო ექვესის თვისა ძლივს იქნებოდა, რომ პირველად წაილულ-ლული:

— ბაბა... დედა... ბაბუა...

და ფეხიც იმავ ხანებში აიღვა.

ნოტიომ სამართლიანად სთქვა ამის გამო:

— დეიჯერეთ, ბოეში რომ ასთე აღრე გეიზდება, ეს იმის ნიშანია, რომე სახელოვანი და დიდი კაცი გამოვა.

რა თქმა უნდა, ნოტიოს ისევ დაუჯერეს და კვაჭის მოვლა-პატ-რონობას უმატეს.

კვაჭის დაბადების შემდეგ სილიბისტროც მეტ წილად სახლში სტრიალებდა და გროშის საქმეებს აღარ დასდევდა. ზედმეტ თუმანს რომ ხელში მოიგდებდა, აბრეშუმის პარქს ან კვერცხებს ჰყიდულობდა და ამაშიც კარგს ხეირს ჰქედავდა.

მხოლოდ ერთი საზრუნავი, იდუმალი ფიქრი და ოცნების ჭია ჰქონდა სილიბისტროს თავსა და გულში, რომელიც მას პლრონიდა, აწეალებდა და აწამებდა. სილიბისტრო „კვაჭანტირაძე“ აზნაური არ იყო. არა, ბოდიში! სალიბისტრო აზნაური იყო, ეს მთელმა ქვეყანამ იცოდა, მაგრამ აზნაურობა ჯერ დამტკიცებული არ ჰქონდა. ამ საქმის მოსაქახრაკებლად სილიბისტრომ აუარებელი დრო და ფული დახარჯა, მრავალჯერ იმგზავრა ოზურგეთისა და ქუთაისში, ვე-ჭილებიც იყვანა, მაგრამ ვერაფერი მოავერა. დაპირებას და იმედს უხვად იძლეოდნენ, სამაგიროდ ფულს უხვად იღებდნენ, ხოლო სილიბისტროს წინანდებურად ეწერა პასპორტში სამარცხვინო და სა-თავილო სიტყვა „გ-ლ-ე-ბ-ი“.

სილიბისტრო „მაძიებელი“ იყო, „იჩუჩი“ (ищущий); ამის გამო ზოგნი მასხრობდნენ და სილიბისტროს ზურგის უკან დასცინოდნენ; ეს სილიბისტრომ იცოდა და გული უფრო ემლვრეოდა. მაგრამ მაინც ითმენდა, ეძებდა, მუშაობდა და ელოდებოდა.

ბოლოს, ერთმა ღვთისნიერმა აღამიანმა მიასწავლა:

— აშორდა!

სილიბისტრო მალე ზუგდიდში გაჩნდა. ბოლოს, ბევრი ღრეჭი-სა და ვაჭრობის შემდეგ, ძლივს მორიგენენ.

კიდევ გავიდა რამდენიმე წელიწადი. ერთხელ სილიბისტროს ოჯახში დიდი ფაცი-ფუცი და ალიაქოთი ასტყდა; უველანი დარბოდნენ და ჩურჩულებდნენ:

— აშორდია!.. აშორდია მოდის!..

საღამოზე უცხო ვინმე აღამიანი მოვიდა. დიდის მოწიწებით და თავაზით დაუხვდნენ. შეიქმნა დიდი ლხენა, ზეიმი, სიხარული და აღტაცება; აშორდიამ სილიბისტროს და იმის ოჯახს სანატრელი და სასიხარულო აჩბავი მოუტანა. სანამ ღვინით არ შეხურდნენ, აშორდია მხოლოდ ილიმებოდა და სამახარობლოს თხოულობდა, მერე კი წამოდგა და სთქვა:

— ჩემს კეთილშობილთა საერთო ოჯახს ერთი პატიოსანი ოჯახი კიდო მოემატა. ჟყოველმა კაციმა იცის, რომე ჭიბი კვაჭანტირაძის პაპა აზნოური იყო, მარა მას ბედმა ულალატა, საცხა ისთვ მოხთა, რომე ეს პატიოსანი კაცი რაცხა წიგნში არ ჩასწერეს. აწი მჲ გავისწორე ისტრორის უსამართლობა და შენ და შენს ოჯახს, ჩემო სილიბისტრო, აზნოურობა დაგიმტკიცე. მოგილოცავ დიდებულ ოჯახურ დღესასწაულს და გისურვებ, რომე ლირსეულად ატარო მეფის წყალობა. ვსვამ სილიბისტრო კვაჭანტირაძის სადლეგრძელოს. გოუმარჯოს ჩემს ახალ მოძმეს!

და სილიბისტროს ოჯახში კვლავ ასტყდა კიფინა, ერიამული და აღმაფრენა. აშორდიამ სილიბისტროს ზეიმით გადასცა უუგრძელესი მეფის სიგელი, რომელსაც მეორე დღეს მთელი სამტრედია კითხულობდა და შევნატროდა.

იმ დღიდან სილიბისტრო კვაჭანტირაძეს და კვაჭიკოს აზნაურობა დაუმტკიცდათ. ვახშამზე ხუთი წლის კვაჭიკომ, სილიბისტროს დარიგებით, აშორდიას ხელზე აკოცა და უთხრა:

— ბიძია, მადლობელი ვალ.

აშორდიამ გაილიმა, კვაჭიკოს შუბლზე აკოცა, მოუალერსა და უთხრა:

— ჩემო პატარავ! მე გზა გაგიქაფე ბედნიერებისა და წარმატებისკენ. ეხლა კარები ყველგან გახსნილი გაქვს. დანარჩენი შენ იცი. შენც ბედნიერი იყავ, შენი მშობლებიც და სამშობლოც გააბედნიერე და ასახელე. ვსვამ პაწია კვაჭიკოს სადლეგრძელოს!

ისევ ასტყდა ერიამული, სიმღერა, ლხენა და მხიარულება.

მეორე დღეს, აშორდია რომ წასახლელად ემზადებოდა, კვაჭიკომ იმას ერთხელ კიდევ აკოცა ხელზე და უთხრა:

— ბიძია! მეფესთან ლომ იქნები, უთხალი, კვაჭიკო კვაჭანტილაძე ალ დეივიშყებს თქვა შენს სამსახულს. ლომ გევიზდები, შენც გადაგიხდი მადლობას.

ყველამ გაიცინა. აშორდიამ წააქეზა:

— აბა, შენი იმედით ვიქნები. არ დამატყუო.

და წავიდა.

იმ საღამოს ნოტიო ამბობდა:

— ვენაცვალე ჩემს კვაჭიერს! ახლა წინ ვეფერი დოუდ-გება. ქვეყანას გადაატრიალებს და ჩვენც გაგვაძედნიერებს. იქ-ნება, ისეთი დროც მევიდეს, რომე კვაჭიერმ აშორდიას მართლა მად-ლობა გოდუხადოს და სამსახურშიც ვაასწროს.

რა იყოდნენ მაშინ ნოტიომ ან პუპიმ, თუნდ აშორდიამ, ან გაბლენძილმა სილიბისტრომ, რომ მომავალში პაწაწინა კვაჭიერ აშორდიას სახელს სტულიად დასწრდილავდა, ქვეყანას მართლა ააფო-რიაქებდა, აალაპარაკებდა და თავისს გვარს ბრწყინვალე შარავანდე-დით შექმოსავდა და შეამკობდა.

ძეირად დაუჯდა სილიბისტროს აშორდიას, აზნაურობა. რაც აშორდიას დაახარჯა, ერთი იმდენიც სამტრედიელებს და ხონელებს მოუნდათ, რომელნიც ერთი კვირის განმავლობაში ჯგუფ-ჯგუ-ფად მოდიოდნენ სილიბისტროსთან დაწრფელის გულით ულოცავ-დნენ მეფის წყალობას და კეთილშობილთა ოჯახში შესვლას.

აქა ამბავი კვაჭის ყრმობისა.

მას შემდეგ, რაც სილიბისტრო კვაჭანტირაძემ აზნაურობა და-იმტკიცა, იმის ხასიათს და ოჯახსაც ელფერი გამოეცვალა. ყველანი გაიბლინძნენ, გაამპარტავნდნენ და „გაეკეთილშობილდნენ“. წინანდელ მეზობლებს ან ალარ ჰავდრულობდნენ, ან ისეთის მედიდურობით და მფარველობით ექცევდნენ, თითქოს მათ შორის ძველი ხიდი ჩატყ-და და ახალი კედელი აშენდათ.

სილიბისტრო ზოგჯერ ასე არიგებდა პაწია კვაჭიერს:

— შვილო კვაჭი, იი ქვეყანა ასეა მომართული: ზოგი უმტრო-სია, ზოგი უნცროსი; ზოგი მდიდარია, ზოგი ღარიბი; ზოგი ძლი-ერია, ზოგიც გლახავი; ზოგი თავადია ან აზნოური, ზოგი კიდო ყა-ზახია, გლეხია. შენისთანა აზნოურშვილმა ყველას თავი არ უნდა გოუყადროს, არ უნდა აჲყვეს. ყაზახი და გლახა შენ ვეფერს მოგცე-მენ, პირიქით გამოგრჩებიან რასმე. აზნოურს და მდიდარს დოუ-მეგობრდი, დოუახლოვდი, ასიამოვნე და ძმად გოუხთი. მდიდარი და ძლიერი ყოველთვის გამოგადგება: ერთი წინ წაგაყენებს, მეორე გა-ზუქებს რასმე, მესამე ხელს მოგიმართავს. ასთეა, ჩემი კვაჭიერ, მოწყობილი იი ქვეყანა, შენც უნდა მიჰყევ მას და გამოიყენო.

კვაჭიკ კუუამახვილი და გამგონი ბავშვი იყო, ამიტომ სილი-ბისტროს დარიგებას აღვილად ითვისებდა და მისდევდა.

ექვსიოდე წლისა ძლიეს იქნებოდა, რომ ვაჭრობის საქმეში უკვე ენა აიდგა. როცა სილიბისტრო, ან ნოტიო, ან ბარდო ჰყიდულობ-

დნენ გლეხებისაგან საქონელს, კვაჭიკოსაც უეჭველად უნდა ჩაერთო თავისი სიტყვა:

— აღ ვალგა... ძეილია... დილას ოლ შაულათ გვაძლიენ...

მუშტარს ლიმილით და თავაზიანად დაუხვდებოდა:

— გამალჯვება, ბიძიავ... კვაჭი მქვია... ექვსი წლისა გახლავალ... სილიბისტლოს შვილი ვალ... ყოლიფელი გახლავთ: ხალი, ქუპატი, სულუგუნი, ხალჩო, კველცხი... სეილის ლვინოც გახლავთ... ახლავე მზათ იქნება.

და მირბოდა ბრძანების გასაცემად, თან ჰყვიროდა:

— ჩქალა! მოალთვი, ლაც კალგია! აალაგე! გაწმინდე! გალეცხე! აბა, ჩქალა, დატლიალდი!

სწავლა დიაკვანმა დააწყებინა. რვა წლისა რომ შესრულდა, ქუთაისში ჩაიყანეს გიმნაზიაში მისაბარებლად. თან გაპყვნენ სილიბისტრო, პუპი, ხუხუ და ნოტიო. ასეთი დიდი, სუფთა, მდიდარი და ლამაზი ქალაქი რომ დაინახეს, გაოცდნენ და დაიბნენ. სილიბისტრომ გაოცება რომ შეამჩნია, ყველანი ასე დაარიგა:

— ყური მიგდეთ, გეიგონეთ და დეისტომეთ: ძალიანაც რომ გეიკვიროთ რამე, გაკვირებას ნუ შეიმჩნევთ, თვარა შეგატყობინ გამოუტელობას და მასხარით აგიგდებენ, დაგცინებენ, ან ხრის მოვდებენ. თუ ლაპარიკი ჩამოვარდა საღმე, სთქვით, ტფილისშიაც ვყოფილვარ თქვა, ერთი წელიწადი მიცხოვრია თქვა, ყოლიფერი მინახავს თქვა, გამიგია და გამომიცოთა თქვა.

კვაჭიკომ ეს დარიგებაც კარგად შეითვისა და იმავე დღეს პუპის შორეულ ნათესავთან, ბუდუ შოლიასთან, საღილის დროს, როცა ტფილისის შესახებ ჩამოვარდა სიტყვა, დროზე ჩაურთო არხეინად და დინჯად:

— არა უშავს რა, დიდი ქალაქია, მომწონს... დიახ, შარშან ორხელ გახლდით... მომწონს „გოლოვინსკი“, თეატრი, ვაგზალი... დუქნებიც კარგია...

არც გაწითლდა, არც ხმა აუკანეალდა, თან ყველას ისე გადაპხედა, თითქოს ეკითხებოდა: აბა, რომელი გაპბედავს და დამიმტკირებს, რომ ტყუილს ვამბობო. ნამდვილად ქუთაისმა კვაჭიკო გააკვირვა, გააბრუა და ცაში აიტაცა. მაგრამ რას იფიქრებდა მაშინ პაჭია კვაჭიკო, რომ მომავალში, როცა კვაჭი კვაჭანტირაძე თავადი შეილის ფსევდონიმით დაივლის და პნახავს პეტერბურგს, პარიზს, ვენას, ბერლინს და ლონდონს, ქუთაისის გახსენებაზე მწარედ ჩაიცინებს და იტყვის:

— თურმე საქათმეში დავიბადე, სალორეში გავიზარდე, ეხლა
კი ნამდვილ სასახლეში გადმოესახლდი.

ერთი კვირის შემდეგ, როცა კვაჭიკო ქუთაისში დაბინავდა,
სილიბისტრო თავისი ოჯახით სამტრედიაში დაბრუნდა. უკანასკნე-
ლად, კვაჭიკოს რომ ეთოვებოდა, სილიბისტრომ ასე დაარიგა თა-
ვისი ერთად-ერთი ნუგეში და იმედი:

— აპა, შეილო, გეთხოვები! კარგა ხანს ველარ გნახავ. მივდი-
ვართ, მარა გული და სული აქანე გვრჩება. ჭკუით იყავ, სწავ-
ლას გული დოუდე, ბუღუს და მასწავლებლებს ყოლიფერი დოუჯე-
რე. გაფუჭებულს და ყაზაბ ბოვშებს ნუ აცყვები. თუ ჭკვა იმმარე,
ისეთი კაცი გახთები, რომე მთელ სამტრედიას, ხონს და ქუთაის-
საც აალაპარიკებ, მტერს უნდა თვალი დოვუყენოთ, მეგობარი და
ნათესავი გავახაროთ. შენი იმედით მივდივართ, შეილო კვაჭიკო...
შენ იცი...

კვაჭიკომ უპასუხა:

— თქვენ არხეინად იყავით... კვაჭანტირაძის გვარს არ შევარც-
ხვენ.

ყველამ გაიცინეს, მერე იტირეს, ერთმანეთი დაჟკოცნეს და წა-
ვიდნენ.

კვაჭიკო დარჩა ბუღუ შოლიას ოჯახში, ბალახვანის ქუჩაზე, სა-
დაც შოლიას სამიკიტნო ჰქონდა. ერთი კვირის შემდეგ გიმნაზიელის
ახალ ფორმაში გამოწყობილი კვაჭი სწავლას შეუდგა.

აქა ამბავი კვაჭის ხასიათისა.

გავიდა რამდენიმე წელიწადი. კვაჭი დაჭაბუქდა, გაიზარდა და
გაიშალა. მაღალი, ჩასხმული, ლამაზი და ტანადი ჭაბუკი იზრდებო-
და. ნიჭით კვაჭი პირველთა შორის ითვლებოდა, შრომით უკანასკ-
ნელი იყო, ხოლო საერთოდ — საშუალო. გაქვეთილების დასწავლა
და დაზეპირება იმისთვის ტანჯვა იყო, მაგრამ მაინც ადვილად ეწე-
ოდა სიბრძნის ულელს, რადგან დიდი მეხსიერება ჰქონდა და კლას-
ში გავონილს ადვილად ითვისებდა. ვერც წიგნის კითხვას უდებდა
გულს, თუმცა გატაცებით ჰქითხულობდა მოგზაურობას, ყოველგვარ
თავგადასავალს, სხვილფეხა და წვრილფეხა ავანტიურის აღწერას.
ორჯერ-სამჯერ გადაიყითხა ჯერ მაინ-რიდი და გუსტავ ემარი, მე-
რე გორდონის მოგონებანი, ნატ პინკერტონი, შერლოკ ჰოლმსი და
ამგვარი თხზულებანი.

სილიბისტროს დარიგება კვაჭის მაგრად ჩაეჭედა ტვინში. კვაჭი სულ იმის ცდაში იყო, რომ ძლიერთათვის და მასწავლებელის-თვის ესიამოქნებინა, მუდმივ იმათ თვალ წინ ეტრიალნა, იმათთვის თავი მოეწონებინა, შეცყვარებინა და იმათვან წვრილ-წვრილი გამორჩენა და სარგებლობა ენახა. ამ მხრივ კვაჭი ბუნებამ უხვად დააჯილდოვა: მას საოცარი და იშვიათი ნიჭი ჰქონდა აღამიანის ხასიათის ცნობის, მასთან დაახლოვების, დამეგობრების, დაძმობილებისა და მისი სრული ნდობისა და სიყვარულის მოპოვებისა. თუ კვაჭი გულში ჩაიდებდა ვინწესთან დაახლოვებას, იგი კაცი ან ქალი ორიოდე კვირიში კვაჭის სულითა და გულით დატყვევებული ჰყავდა.

კვაჭი კუუიანთან კუუიანი იყო, დინჯათან—დინჯი, ხუმარისთან—ხუმარი, დარღიანთან—დარღიანი, მხიარულთან—მხიარული; ძლიერთან—მორჩილი, პირმოთნე, ქლესა, თავაზიანი და მოლიმარი; უხეშთან და კირვეულთან—თავმდაბალი და მოქნილი; სუსტთან—ძლიერი, კადნიქრი, თავხედი, უნიანი; პირდაპირთან—ორგული, ფლიდი და ორპირი; ორგულთან—ათგული და ათპირი; მუხასთან—ლერწამი, ლერწამთან—მუხა; რეინასთან—ბამბა და ბამბასთან—რეინა.

სადაც პირდაპირი ვზა დაკეტილი იყო და სხვა ვინმე უკან იხევდა, იქ კვაჭი ხუთიოდე მიხვეულ-მოხვეულ ბილიქს იპოვნიდა; უკართ და უფარჯარო თოხ კედელში რომ ჩავარდნილიყო, ათიოდე ხვრელს ალმასენდა; ცხრა კლიტურ ციხეში ისე შეძვრებოდა და ვამოძრებოდა, როგორც ნემსი ბუმბულში.

კვაჭიმ ზედმიწენით შეიგნო და შეითვისა გარდუვალი და უძლეველი ძალა ტქბილის სიტყვის, ლიმილის, ქებისა და ქლესობისა; იმან იპოვნა თილისმა ნდობის მოხვეჭის, აღამიანის სულისა და გულის დაპყრობა-დამორჩილებისა, ათთა და ასთა დაბმა-მოწველის, მათი გაკრეჭისა და გამოყენებისა.

როცა ვისმე შეკრეჭავდა და მოსწველიდა, მახლობელთა შორის სინიდისის დასამშვიდებლად იტყოდა:

— ამ ქვეყნად ზოგი უნაგირით იბადება, ზოგი დეზებით და მათრახით. მე დეზი და მათრახი მირჩევნია, დევ, სხვებმა უნაგირი ატარონ. ასე უთქვამს თურმე ვოლტერს.

ან:

— ამ ქვეყნად რომე ყველა გულმაგარი და უნდო იყოს და ჟველას რომ ჯიბე მავთულის ძაფით ჰქონდეს პირმოკერილი, ჩემისთანა კაცი უნდა დარაჯად დოლუდეს სხვის ჯიბეს, ან მიწას უნდა ჰქნავდეს.

ან კიდევ:

— ღმერთს ცხვარი მოსაწველად და საკრეპად გოუჩენია.

კვაჭის ყნოსვა და ოლო კარგი ჯიშიანი ძალივით ჰქონდა განვითარებული. იგი ცოცხალი ბარომეტრი იყო და გაავდრებას ან გამოდარებას ჯერ კიდევ მაშინ იგრძნობდა, როცა სხვები დარის გამოცვლას არც კი მოელოდნენ. ხოლო დარი ხშირად იცვლებოდა შოლიას დუქანსა და ოჯახში, გიმნაზიაში, ბულვარზე და საერთოდ ქუთაისის ცხოვრებაში. კვაჭი დარის გამოცვლას დროზე აუღებდა ოლოს და ახალ ტანისამოსს და კანს უმაღ გადიცვამდა, საბრძოლ-ცელ იარაღს შეიცვლიდა, თავისს ძალებს შესაფერად გადააჯგუფებდა, ჩამავალ მზეს მითუროთხებდა, ამომავალს მიესალმებოდა, დავრ-დომილს ჩასწიხლავდა და წამომდგარს თამამად გვერდში ამოუდ-გებოდა.

„ყველაფერს თვისი ადგილი, დრო და ზომა აქვს.“ ეს უბრალო კეშმარიტებაც კვაჭის ზედმიწევნით ჰქონდა შეთვისებული და ამ იარაღსაც საოცარის რსტატობით ჰქმდიოდა. ლაპარაკის კილო, სი-ტყვების რაოდენობა და შერჩევა, მათი მოხმარება თავის დროზე და შესაფერ პირობებში, ყოველი ნაბიჯი და მიხერა-მოხერა—ყველაფე-რი გამოანგარიშებული, დათვლილი, აწონ-დაწონილი და გამოხომი-ლი ჰქონდა: თავის დროზე ჩრდილში შესვლა და თავის გარიდება, თავის დროზე გამომზეურება და თავის გამოჩენა, თავის დროზე მოთმენა და მოლოდინი, დროზე მოქმედება და დროზე ისევ უკან დახევა.

კვაჭის ბადალი არ ჰყავდა ფულის შოენაში, მაგრამ ან იშვი-ათად, ან არავინ იცოდა ნამდვილი წყარო და ხერხი ამ ფულების შოე-ნისა. უუკიდურეს შემთხვევაში კვაჭი სესხსაც მიჰმართავდა. ამ ძნელ-ზე ძნელ ქუთათურ საქმეშიც კვაჭის თავისებური ხერხი ჰქონდა—უბრალო, მარტივი და უებარი: ის მოულოდნებულად, სხვათა შორის, გაკრით და არხეინად ჩაურთავდა ხოლმე ბაასში: „სამი თუმანი მა-სესხეო“, და ამას ისეთის კილოთი იტყოდა და ისეთს დროს შეარ-ჩევდა; რომ უარს არასოდეს მიიღებდა. ხუთი წუთის შემდეგ ფუ-ლის გამსესხებელი ნანობდა და თავში ხელს იცემდა, მაგრამ გვიან-და იყო.

კვაჭის კიდევ ერთი ჩვეულება სჭირდა, რომელიც კანონად და წესად ჰქონდა მიჩნეული: „ნურავის, ნურასოდეს, ნურაფერზე უარს ნუ ეტყვე, მაგრამ დაპირებული მხოლოდ მაშინ შეასრულე, თუ იგი იმ დღესვე ან ხვალ მაინც შენთვის სასარგებლო იქნება. ამიტომ იყო, რომ კვაჭიკოსგან უარი არავის გაუგია. გულკეთილი, თავაზი-

ანი და ზრდილი ახალგაზრდა უხვად აბნევდა მარცხნივ და მარჯვნივ ათასნაირ დაპირებას.

— მოგიკედეს კეაში! ფული გინდა? რამდენი? ხუთი მანეთი? რატომ ერთი საათით აღრე არ მითხარ? მაინც გიშოვი, ახლავე გიშოვი.

გაძვრებ-გამოძვრებოდა და მიიმალებოდა. დაპირება ყოველთვის დაპირებად რჩებოდა. მაგრამ საკეირველი ის იყო, რომ მოტყუებულთ არ სწყინდათ იმედის გაცარუება, რადგან კვაჭი ისე თავაზიანად, ტკბილად და ხელმარჯვედ გამოძვრებოდა ყოველგვარ გაჭირვებილან, რომ იმის კრედიტორები ნასიამოვნებიც კი რჩებოდნენ და შემდეგშიც ახალ-ახალ სამსახურს უწევდნენ.

კვაჭიმ თავიდანვე დიდი გაელენა დაიმსახურა თავის ტოლ-ამხანაგებში. ის რომ კლასში შევიდოდა, ან ბულვარზე გავიდოდა, მაშინვე იმის გარშემო დიდი ჯგუფი შესდგებოდა ხოლმე. ნაცნობი და ამხანაგები ისე ეხვეოდნენ გარშემო, როგორც ბუზი თაფლს. კვაჭის ყველასთვის და ყოველთვის ჰქონდა დამზადებული შესაფერი სიტყვა, აზრი, ლიმილი, რჩევა და დარივება. მრავალნაირი გაუგებრობის მოვარება, წვრილმანი შეხლა-შემხსლის მოწესრიგება და მოსწავლე — მასწავლებელთა შორის შუამავლობა იმის ხელობა იყო. ყველანი ამზობდნენ:

— კვაჭის რომ შრომა უყვარდეს, დიდი მომავალი ექნებოდა.

— ისედაც დიდი კაცი გამოვა. დაიხსომეთ ჩემი სიტყვა! — დაუძარებდნენ სხვები.

აქა ამბავი პირველ ოფლიან მანეთის შოვნისა.

ბუდუ შოლის სამიკიტნო ბალახვანის ქუჩაზე ჰქონდა, ხოლო ბინა — იმავე სახლის ეზოში. კვაჭიკო ამ სამიკიტნოში ხშირად დაძვრებოდა, ზოგჯერ დახლში და წვრილმანშიც ჰქველოდა, ცალკე კაბინეტში იქყირებოდა, ყველაფერს უურს უგდებდა, აკვირდებოდა, ითეისებდა და გამოცდილებას იღესავდა. ამიტომ მოხდა, რომ შოლის სამიკიტნო კვაჭისთვის ცხოვრების ნამდვილ სკოლად გადაიქცა. მან, ათიოდე წერამ, აქ იმდენი გაიგო, ნაბა და შეითვის-შეისწევლა, რომ სხვას, ოცის წლის ჭაბუქსაც, არც უნახავს, არც გამოშეცდია.

ბუდუ შოლის ჰყავდა ახალგაზრდა ცოლი, სახელად ცვირი, რომელიც კვაჭის ისე ზრდიდა და უვლიდა, როგორც საკუთარ შეიოსნება.

რადგან კუთხიანი და ლამაზი კვაჭიერ მართლა შეილივით უყვარდა. ცვირიმ ეს უცხო ბავშვი ისე შეითვისა და შეიზარდა, რომ თეთოთნ-ვე გაბანებდა ხოლმე, — მაშინაც კი, როცა კვაჭიერ ცამეტ-თოთხმე-ტის წლისა გახდა.

კვაჭის საკუთარი პატაწინა ოთახი ჰქონდა. მისი ოთახი და სა-ერთო დიდი რთახი თხელის ფიცრულით იყო გადაღობილი, ამი-ტომ ორივე ოთახში ყოველი სიტყვა, კრაჭუნი და ფუსტუსიც კი ისმოდა.

ბუდე შოლია თვისს დახლს იშვიათად ჰშორდებოდა.

იმ საღამოს კვაჭი ბულვარიდან დაბრუნდა, ცოტაოდენი გადი-კითხა და დაწვა. ცვირიმ კვაჭიკოს ოთახში რაღც მიალაგ-მოალა-გა, მერე ლამაზი ჩაუქრო, სიბნელეში ტახტზე ჩამოუჯდა კვაჭის და ხუმრობა დაუწყო. ეს ხუმრობა ისე გათავდა, როგორც უნდა გათა-ვებულიყო: ცვირიმ კვაჭის ისეთი რამ ასწავლა, რაც კვაჭიმ წინა-დიც იცოდა, მაგრამ საკუთარ თვეზე ჯერ სავსებით ნაცად-ნაგრძო-ბი არ ჰქონდა ნამდვილ დედაქაცთან.

ბუდე შოლია ბებერი და ავადმყოფი იყო, ამიტომ ცვირიმ იმ ღამეს მეორე მუდმივი მამალი იშოვნა, ხოლო კვაჭიკომ — პირვე-ლი ნამდვილი დედალი. რას იფიქრებდა მაშინ ცვირი, რომ თუ იგი კვაჭიკოსთვის პირველი დედალი მასწავლებელი იყო, იმის მეზობლის ჭილიშვილი ვარია — კვაჭის ტოლი — უკვე რამდენიმე წლის წინად კვაჭიკომ ვარიად გაიხადა!

მეორე დღიდან ცვირიმ ალექსი და მზრუნველობა გაათკეცა და კვაჭიკოს ჩუმად ხელში ვერცხლის მანეთიანი ჩაუდო, თან ჩასჩრერჩულა:

— გენაცვალე ამ ხელებში! იყიდე რამე, მარა სიტყვა არსად დასძრა, თვარა ორივენი დევილუპებით.

გაფრთხილება საჭირო არ იყო. კვაჭიერ ისედაც გაჩუმდებო-და ამ მანეთის შესახებ, თუმცა დანარჩენის გაჩუმებაზე არც კვაჭი და არც იმის ამხანავები ნიძლავად ერთ შაურსაც არ დასდებდნენ.

ასე იშოვნა კვაჭი კვაჭიანტირაძემ საკუთარის ოფლითა და შრომით პირველი მანეთი.

ის მანეთი ტებილი, ადვილი და მსუბუქი გამოდგა. რაკი კვა-ჭიმ გზა გაიკვლია და ერთხელ იგემა ასე ადვილად ნაშოვნი მანე-თიანი, მალე პირველს მეორე მანეთი მოჰყვა, მეორეს — მესამე, მე-სამეს — მეათე. ცვირი მალე დარწმუნდა, რომ საკუთარი მამლის გა-ზრდა და შენახვა ძალიან ძვირად ჰლირდა, მაგრამ გვიან-ლა იყო სი-ნანული და თითზე ქბენანი. ცვირის ძილი გაუფრთხა და სულის

სიმშვიდე დაეკარგა, რადგან იმის მამალი დაუდეგარი და გაუმაძლა-
რი გამოდგა წამით ცვირის ნაქმანს სკამდა, ხოლო იმავ დროს სხვა
ეზოებშიაც დადიოდა და სხვა დედლებსაც უწევდა მამლობას. ასე
ჰფიქრობდა და ასე უსაყველურებდა ცვირი კვაჭიკოს.

მაგრამ ცვირი ისევ სცდებოდა; სხვების საქათმეშიც ეყარა
ვერცხლის და ოქროს ნაკმაზი. ჯიბრი და ქიშპობა ძნელი იყო და
მეტად ძვირიც უჯდებოდა, ამიტომ ცვირიმ კვაჭის დასაკუთრებაზე
მაღლე ხელი აიღო და თავის ბედს შეურივდა.

ან რა უნდა ექმნა საწყალ ცვირის? ყველას თავისი ჯერი და
წილი ჰქონია. ნასუფრალი არც ისე დასაძროხისი ყოფილა, როგორც
პირველად ეგონა ცვირის, ხოლო ამ ქვეყნად ლამაზ ვაეკაციაც და
დედაკაცაც თურმე ისე ინაწილებენ ძლიერნი, როგორც სხვა ქო-
ნებას და ბედნიერებას. არც ერთის და არც მეორეს სრულს დაჩე-
მებას ნურავინ იფიქრებს და ნურავინ დაიქადნის.

სამიოდე წელიწადი კიდევ გავიდა. ცვირიმ რაღაც ალლო აი-
ღო, შეშინდა და მეზობლის ვარინჯა კვაჭიკოს დროზე დააშორა.
ცვირი ორთა შორის. გარდუვალ კედლად აიტუზა, ეჭვით აიგვო და
კვაჭის უფრო მაგრად ჩაეჭიდა, თუმცა წინანდებურად ისევ ნასუფ-
რალით იკვებებოდა. მამლის შენახვაც თანდათან ძვირდებოდა, რა-
დგან კვაჭიც იზრდებოდა და ფასს იდებდა, ამიტომ სხვებთან ჯიბ-
რი და ქიშპობაც ძნელდებოდა.

ერთხელ ცვირის და კვაჭის მცირედი უსიამოვნება მოუვიდათ.
კვაჭი აიმრიზა, და აილეწა. იმან იუკადრისა ასეთი ოფლით ნაშოვ-
ნი ფულის აღება და პირველად აგემინა ცვირის თვისი ბასრი
კლანჭები.

ცვირიმ გაიცინა და უთხრა:

— დიდი სულელი ყოფილხარ, ჩემო კვაჭიკო, თუ ჰფიქრობ,
რომე ამ ფულს საჩუქრად გაძლიერ. სწავლას გაათავებ, ფულს მეი-
გებ და დამიბრუნებ. ნუ ხარ ბალანა, ეიღე.

კვაჭიმ მოიფიქრა და უპასუხა:

— სარგებლით დაგიბრუნებ, თუ თანახმა ხარ...

— აპა! უსარგებლოდ ფულს გავასესხებ?

ამაზე მორიგდნენ. ადამიანის გული ბნელია. ვინ იცის, გაა-
სენდა თუ არა სიბერემდის კვაჭი კვაჭანტირაძეს, რომ იმას ქალაქ
ქუთაისში, ბალახვანის ქუჩაზე ოდესლაც ცვირი შოლიას ვალი დაე-
დო. ის კი მართალია, რომ ცვირი შოლიას კვაჭიზე დახარჯული
ფული არასოდეს დაუთვლია, არც ჩაუწერია, არც ვალად ჩა-
უთვლია.

კვაჭი თავისს ტოლ-ამხანაგებში არ ჰმალივდა, რომ იმას ქალების ბაზარში მრავალი მუშტარი ჰყავდა, მაგრამ ფასის შესახებ ლაპარაქს ერიდებოდა; მხოლოდ ზოგჯერ გაეპრით იტყოდა ხოლმე:

— ქალიზა ფულს მხოლოდ გიე ან მახინჯი ჰხარჯავს.

ან კიდევ:

— ნასწარებს და ახალგაზრდა ქალიშვილებს მხოლოდ ტუტუცები და პოეტები დასდევენ. ეს ქვეყანა სავსეა გამოცოლ დედაკაცებით. ხიფათიც ნაკლებია, თავისუფლებაც შეგრჩება, არც ბევრი დრო დაგეხხარჯება, არც ფული. პირიქით, ზოგჯერ...

სიტყვა აღარ დაასრულა. მხოლოდ ერთხელ, როცა სამი ბოთლი ყიფიანური გამოსცალა, ასე ბუნდოვანად და ორიბულად და-არიგა თერამეტი წლის კვაჭიმ თავისი ამხანაგები:

— კვევა მოიკრიფეთ, ცხოვრებას დაავეკირდით, ყოლიფერი ასწონ-დასწონეთ და გაზომეთ. არ მესმის, ქალმა ისთე რავა უნდა გამაგიურს და გამიტაცოს, რომე გონება დავვარგო და ხუთმეტი წლის კარიერს შევწირო. ჩემი თავისუფლება, ახალგაზრდობა, მომავალი და სიცოცხლეც?! ჩევნის დროში ათი წლის ბალანამაც იცის, რომე ქალი წუთიერ სიამოვნებისთვისაა გაჩენილი. მიიღე მისგან, რაიც მისალები გაქვს, მერე, თუ გინდა, მადლობა უთხარი და წალი შენის გზით. თუ თანასწორობაა — ყოლიფერში თანასწორობა უნდა იყოს. რათ უნდა ვათრიოთ ზურგით ოცი და ორმოცი წელიწადი ვიღაც სონია, ან ვარია, ან მარქსია? ორივემ ვისიამოვნეთ, მერე ორივენი ჩევნის გზით წავედით, მორჩა და ვათავდა! მეტსაც მოვახსენებთ: ცხოვრება ბრძოლაა. რასაც წაპგლეჯ — შენია, ჩაც არა — და-კარგულია. ზოგს დედაკაცს, გარდა იმისა, რაც კველა ქალებს აქვთ, ზოგი რამ კიდევ მოეპოება. ქუუიანი კაცი დედაკაცს ძირიან-ფეხვიანად ამოსწურავს და თვითონ მოაჯდება მას ზურგზე, ვინაიდან, დამიჯერეთ, სხვის ზიდვას მე მიტევნია, რომ სხვამ მზიდოს. ასეა ეს ქვეყანა მომართული. ვისაც თვალი აქვს, დეინახავს, ვისაც უური აქვს — გეიგონებს, ვისაც ტვინი აქვს, ამ კეშმარიტებას შეიგნებს, შეითვისებს და გამოიყენებს.

აქა ამბავი კვაჭის გამოცდისა.

კვაჭიმ თანდათან მოელი ქუთაისი გაიცნო და შეისწივლა. ქუთაისმაც შალე შეამჩნია და გამოარჩია ლამაზი, ნიკიერი, კუკიანი, მხიარული, ხერხიანი და ხელმარდი ჭაბუქი, რომელსაც ყველანი და ყველაფერი პირდებოდნენ დიდს დაწინაურებას და ბრწყინვალე

მომავალს. თითქმის ყველა ოჯახის კარები ლია იყო კვაჭისთვის, რომელსაც ხელთ ჰქონდა თილისმა სამ დღეში გაშინაურების, ყველაზან ნათესავების იღმოჩენის, ყველას შეყვარების, დამევობრებისა და გამხიარულებისა.

კვაჭი ჯერ თავისს ტოლ-ამხანაგებს აჲყეა. ისე დასეირნობდა გოჭოურაში, სალორიაში, ჭომაში და საფიჩხიას სასაფლაოზე, როგორც საუთარ ბაღში, სამტრედიაში რომ ჰქონდა, ხონის გზის ნაპირზე. ნელ-ნელა დუქნებსაც შეეჩვია. ჯერ მიყრუებულ სამიკიტნოებში ტადიოდა, სადაც გიმნაზიის ზედამხედველი, ან პოლიციელი არ შეიჭირებოდნენ, მერე უფროსმა ამხანაგებმაც ჩაირიეს და უკათესი ადგილები აჩვენეს.

ჩილდერტ-თვრამეტის წლის რომ გახდა, ერთი საფეხურით კიდევ აიწია: ახალგაზრდა მოქეიფე თავიდ-აზნაურებმა კვაჭი კვაჭანტირაძე თავიანთ წრეში მიიღეს და პირველად „ნოეს ვაზში“ გამოსცადეს.

კვაჭიმ ამ გამოცდას ბრწყინვალედ გაუძლო და არც სმაში, არც ცეკვა-თამაშში, არც სიმღერაში არავის დაუვარდა. იქიდან გადავიდნენ ლითოაძის დუქანში, ხონის გზაზე, სადაც თამადამ და მას-პინძელმა, ნიშნად მონათვლის და დამზობილებისა, კვაჭის ერთი ხელადა ღვინო დაასხეს თავზე და შეუსვენებლივ სამბოთლიანი ჯიხე დაალევინეს.

დილამდის იქეიფეს ჩეელებრივის ქართული ქეიფით: დაილია ხეთი ჩაფი ღვინო, შეიკამა უთვალები სანოვაგე, ორჯერ მეტი დაიღვარი და გაფუჭდა, დაიმტვრა მრავალი ჭურჭელი და დაიცხრილა ზეცა რევოლუციერების ბათქა-ბუთქით. დილით შეიდი გალეშილი მუქთახორა თხუთმეტის ეტლით დაბრუნდა ქალაქში, ხოლო საღამოზე და მეორე დღესაც ქეიფი და კვაჭის ნათლობა განაგრძეს— ჯერ „ლევში“ და „ბორჯომში“, მერე სალორიაზე, გაბერილ და ჩასუქებულ ერემოსთან, რომელსაც კვაჭი იმავ საღამოს დაუმევობრდა, რადგან მათ შორის მციდრო სულიერი და შორეული ხორციელი ნათესაობა აღმოჩნდა.

შეა ქეიფში ვიღიც ოფიცერი და მოხელე ეტლით დუქანს მოადგნენ, თან თრი ქალი მოიყვანეს. ერთი ქალი კვაჭის მახლობელი გამოდგა. ერთმანეთს თვალი ჩაუკრეს, გაუცინეს და ორიოდე სიტყვა გასცვალეს. ოფიცერმა იწყინა. კვაჭის თავადი დალიანი წაესარჩილა. შეპყვენენ, შეკამათდნენ და მიიწ-მოიწიეს. კვაჭი სადღაც გაპქრა. იძრეს ხანჯლები და რევოლუციერები. ასტყდა წივილ-კივილი და ალიაქოთი. დუქნისა და შედუქნის პატიოსან სახელს ხიფათი

მოელოდა, ამიტომ ერემომ „შესაფერი ზომები“ მიიღო და ოვისი სახელი დაიცვა, რასაც შედეგად ის მოპყვა, რომ ოფიცერს იარაღი აჟყარეს, ხოლო მოხელეს თრი კბილი დაკლდა. როცა ყველაფერი ვათავდა, კვაჭი მხოლოდ მაშინ გამოჩნდა. ყველამ პირობა დასდეს, თუ საქმე გამოაშეარავდა, კვაჭი არ გამოვაჩინოთ, რადგან მოსწავლე კვაჭის მეტი ხიფათი მოელის.

საქმე გამოაშეარავდა, ასტყდა მითქმა-მოთქმა, გამოკითხვა, გამოძიება და კალმების წრიპინი. არც კვაჭის ამბავი დაიმაღა. მტრებმა უხელოეს და ჭორიც მოუგონეს: ვითომ კვაჭი ქალალდის თამაშის მომწყობი იყო, ვითომ ჩატყობილი ქალალდით დიდი ფული მოუგო თავის ამხანავებს, ვითომ სერიოუს ლონდუს ფული დასტუუ, ვითომ რაღაც ყალბი საბუოებიც შეადგინა და კიდევ რამდენიმე ზლაპარი და ცილისწამებაც მიაკერეს, მოჭორილი შურიან ამხანავების მიერ.

კვაჭის ბედი ბეწვზე ეყიდა. მაგრამ მოსტყუვდნენ ბოქაულიც, გამომძიებელიც და დირექტორიც. კვაჭის ისეთი იღუმალი მფარველები აღმოუჩნდნენ, რომ ყველაზ უკან დაიხია. ერთი მხრით, წარჩინებული დედაკაცები ფუსფუსებდნენ, მეორე მხრით — გავლენიანი საზოგადო მოღვაწენი, ხოლო ცვირიმ წელზე ფეხი დაიდგა და ერთბაშად მეტად დიდი სესხი მისცა კვაჭის.

ბოლოს, რა თქმა უნდა, კვაჭიმ გაიმარჯვა. რით და როგორ გადაუხადა კვაჭი კვაჭანტირაძემ მაღლობა თავისს მფარველ დედაკაცებს, — არაენ იცის, რაც შეეხება საზოგადო მოღვაწეებს, — ამის შესახებ ორიოდე ცნობა მოიპოვება.

აქა ამბავი პირველი ნაბრუსა.

უკანასკნელ ხანებში ქუთაისს რაღაც ცეცხლი ეკიდებოდა, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა. ხალხი პლელავდა, შეფოთავდა, ეინიანობდა. კვაჭის ამხანავები იქრიბებოდნენ, მსჯელობდნენ, ჯგუფებს ადგენდნენ და საომრად ემზადებოდნენ. ბევრნი სცილობდნენ კვაჭის ჩათრევას, მაგრამ კვაჭის კარგად ახსოვდა სილიბისტროს სიტყვები, რომელმაც იმ წელს კვაჭი ასე დაარიგა:

— შვილო კვაჭი! აღმათ შენც იცი, ქვეუანა გედირია და ვაგიედა. უნდათ მოსპონ თავად-აზნოურობა, დაანგრიონ მეფის ტახტი და მთავრობა. ლაპარიკობენ: მემამულეს მიწები უნდა ჩამო-

ვართვათო, მდიდარი და ღარიბი გავათანასწოროთო, მმობა-ერთობა დავამყაროთო, თავისუფლება მოვიპოვოთო. შვილო, ჰქვით იყავ! არ დაკარგო აზნოურობა და ქონება, რომელიც დიდი შრომით და ტანჯვით მაქეს შეძენილი. გახსოვდეს—მეფეს და მთავრობას მაგენი ვერ მოერევიან. ნახევარი ციხეში დალპება, ნახევარი ციმბირში გეიყინება. თუ კევა გაქეს და დედ-მამა გიყვარს, ფიცი უნდა მომცე, რომე აფერში ჩიერევი და არ შემარცვენ.

კვაჭიმ ფიცი მისცა და სიტყვას დიდხანს მტკიცედ ინახავდა. მაგრამ მდგომარეობა შეიქმნა შეენებასო. საბოლოოდ გამარჯვება ვის შერჩებოდა,—კვაჭიმ არ იცოდა, ხოლო იმას კი ნათლად და ცხადად პხედავდა, რომ დღითი-დღე ძალთა განწყობილება იცვლებოდა: მთავრობა და გიმნაზიის აღმინისტრაცია უკან იხევდნენ და სუსტდებოდნენ, ხოლო ხალხი წინ მიიწევდა და ძლიერდებოდა. კვაჭი მაინც რყევაში იყო. ქანობდა, ჯამბაზივით ივრისებოდა, ორივეს ეპოტინებოდა და არც მშვიდის სწვამდა, არც შამფურს.

ვინ იცის, როგორ გათავდებოდა ასეთი ჯამბაზობა, რომ ერემოს ღუქანში მომხდარი ამბავი არ მომხდარიყო და იმავე დროს კვაჭის იღუმალ მტრებს არ მოეჩინათ საზიზოარი ჭრები და ზღაპრები. დაყოვნება შეუძლებელი იყო. კვაჭიმ შესაფერი ნაბიჯები გადასდგა. რამდენჯერმე საიდუმლო კრებას დაესწრო და თვისი თრატორული უნარი სცადა.

აქაც კვაჭიმ დიდი ნიკი გამოიჩინა. კვაჭის აღმოაჩნდა ცხადი ცეცხლი, პათოსი, რიხი, უნარი მსმენელისა და თვისი თავისი გატაცების, აღგზნების და აღმაფრენისა.

საქმე ადვილად და მალე გაკეთდა. ერთ კვირაში კვაჭიმ მთელი ქუთაისი აალაპარაკა. მაგრამ ასეთი ახმაურება კვაჭის არც ძალიან მოეწონა. უნებურად კვაჭიმ გადააჭარბა და ყელამდის შესტოპა. ეს ძალიან სახიფათო იყო, ამიტომ რამდენიმე შესაფერი ნაბიჯი გაღმოსდგა მეორე ბანაკში, და როცა ატეხილი საქმე მოსპობინა და მტრებს პირში ბურთი ჩასჩარა, კვაჭიმ სრული სწორწონობა მოიპოვა: ის წელამდის ერთ ბანაკში იდგა, წელ-ზე-ვით—მეორეში.

კვაჭი კვაჭანტირაძემ მაშინ ისწავლა სიბრძნე ბებერ თუთი-ყუშისა, რომელიც ხარიხაზე იჯდა, მარცხნივ და მარჯვნივ ქანაობდა და თილისმურ ფორმულას იმეორებდა:

„არც მარჯვნივ, არც მარცხნივ... არც აქეთ, არც იქით... შენც მინდიხარ, ისიც მიყვარს“.

კვაჭის ჩარევას პოლიტიკაში კიდევ ერთი მოულოდნელი შე-

დევი მოჰყვა: ცნობილმა და პატივურემულმა კოლია არევაძემ ვრო-
ხელ ჰქითხა კვაჭის:

— კარობულოს ოჯახს იცნობ?

— ვიცნობ.

— შენ და კარობულოს ვაჟი კიბრიანე, მგონი, მეგობრები
ხართ, არა?

— კარგი მეგობრები ვართ.

ამის შემდეგ კვაჭი და არევაძე რამდენჯერმე საიდუმლოდ
შეპხვდნენ ერთმანეთს და წაიჩიტრის მოქალაქეების. იმ დღიდან კვაჭიმ კარო-
ბულოს ოჯახში სიარულს მოუხშირა. კარობულო ბერძენი იყო, შა-
ვი ქვის მრეწველი; ნახევარზე მეტს კიათურაში სცხოვრობდა, ხო-
ლო მისი ოჯახი ქუთაისში ბინადრობდა, რაღაც შეილებს გიმნა-
ზიაში ზრდიდა. მისი უფროსი ვაჟი კიბრიანე კლასში კვაჭის. ვეერ-
დით იჯდა. აქედან დაიწყო მათი მეგობრობა.

კვაჭი და კიბრიანე ხშირად დადიოდნენ ბულვარზე, თეატრში,
საციხეიაზე, საღორიაზე, ჭომაში და სხვა სასეირნოსა და გასართო-
ბებზე. უკანასკნელ ხანებში კვაჭი ძალიან სცდილობდა კიბრიანეს
ჩათრევას ქალალდის თამაშსა, ქალებთან სიარულსა და ქითქი, მა-
გრამ ვერ მოახერხა, რაღაც კიბრიანე თავისი მამის შეილი იყო.

წინა დღეს არევაძემ და კვაჭიმ ერთად ივახშეს. ორივენი
ალელვაბულნი და აუკუსტებულნი იყვნენ. ხანგრძლივი და ჩუმი ბაასი
ასე გაათავეს:

— მაშ ასე: მე შენს გარდა არავის ვიცნობ! — უთხრა კვაჭიმ.

— არავის. არც სხვა ვინმე ვიცნობს და არც შენ იც-
ნობ ვისმე.

— მაშ ყველაფერი გათავებულია?

— გათავებულია. მეხუთედი შენია.

— კეთილი და პატიოსანი, თუმცა მეტი მერგება, მარა რაღ-
გან საქვეენო საქმეა, თანახმა ვარ.

— გეგმა ხომ კარგად გეიგე? ხომ აფერი აგერევა?

— არხეინად იყავით. სწორედ ათ საათზე იქ ვიქნებით. ყო-
ლიცერი მზათ არის.

— მაშ მშვიდობით!

— გამარჯვებით!

მეორე დღეს კვირა იყო. კვაჭი, კიბრიანე, სონია ხეიჩია და
მარჯვია ჩალიდე წინა დღეს შეთანხმდნენ, რომ კვირა დღეს საღო-
რიას ტყეში პიქნიქ გამართავდნენ. სწორედ ათ საათზე ოთხივენი
ერთად უნდა წასულიყვნენ ეტლით. კიბრიანე სონია ხეიჩიასგან

ცხცლ-მოკიდებული იყო, ამიტომ იგი მოუთმენლად ელოდებოდა ვათენებას.

ასეთი იყო მორიგება, მაგრამ შეორე დღეს კვაჭიმ უთხრა კიპ-რიანებ:

— წუხელი სხვებიც შემოგვიერთდნენ. ყველანი წავიდნენ. მე და შენ ერთად მივდივართ. დანარჩენები იქ დაგვიხვდებიან. აბა, წავიდეთ.

ორივენი ეტლში ჩასხდნენ და წავიდნენ. ერემოს დუქანთან ეტლი გაისტუმრეს. კვაჭი ამბობდა:

— აქეთ წავიდეთ... იქ დაგვიხვდებიან... აი, აქ იქნებიან... ეხ-ლა მარტბნივ... მარჯვნივ... აპა, მივედით... კიდევ ათი ნაბიჯი დარჩა... აი, მივედით...

მიდიოდნენ და ეძებდნენ. უცებ ტყეში ოთხს უცნობს წააწყდნენ. ოთხივენი უცებ კვაჭის და კიპრიანეს შემოეხვივნენ. ოთხივეს ხელში რევოლუციებმა გაიცლვეს.

— ხმა, კრინტი! ხელი არ გაანძრიოთ, თვარი გაგათავეთ! მოგვყევით!

კვაჭიმ ბუჩქებისკენ ისკუპა, მაგრამ მაშინვე კისერში რკინის ხელი დასწევდა. ასტყვადა ჭიდილი, ბლლარძუნი და ბრძოლა ორთა შორის. კვაჭი გაუსხლტა ავაზაქს და ბუჩქებში შეერია. დიდხანს ირბინეს, თან ერთმანეთს უცინოდნენ და ჩურჩულებდნენ:

— კაია, გეყოფა, თვარი თლათ დამახიე ტანისამოსი...

— აფერი უშავს, კიდო, ცოტა კიდო ვირბინოთ.

ბოლოს ერთმანეთი დაჰკარგეს.

კვაჭის ტყეში გზა აერია. დიდხანს იხეტიალა და ორი საათის შემდეგ გაკაწრული, დაბლლერძილი და უქუდო ერემოს დუქანს ში ადგა. სწორედ ამავე ხანებში გამოჩნდნენ სონია, მარუსია და სხვებიც. ერთმანეთს გამოჰკითხეს და გამოარკვიეს, რომ კვაჭის კარგად ვერ გაეგო შეხვედრის ადგილი და სხვა მიმართულებით წაეყვანა კიპრიანე.

შეიქმნა ჩოჩქოლი, აყალბაყალი, სირბილი და ძებნა დაკარგულ კიპრიანესი.

გავიდა რამდენიმე დღე. კარობულოს ოჯახში წივილ-კივილი, ტირილი და გლოვა ისმოდა. კვაჭი თბას იგლეჯდა, თავში ხელს იცემდა, სწუხდა, „პრილობას“ ირჩენდა და კარობულოს ოჯახს თავს დასტრიალებდა.

ბოლოს მოხუცმა კარობულომ ორ-სიტყვიანი რადიო-დეპე-ზა მიიღო:

— ოცი ათასი!
ისევ ორი სიტყვით უპასუხა:
— ხუთი ათასი.
— თხუთმეტი!
— ათი.
— თანახმა ვართ, გათავებულია!

მორიგდნენ და ვაათავეს:
კიპრიანე კაროპულო ქუთაისში ალარავის უნახავს.

ერთი თვის შემდეგ კაროპულოს მაღაროები საროპულოს ხელში გადავიდა, ხოლო კაროპულო თავისი ოჯახით ბათომში გეშე აყიდა და სტამბოლისკენ გაცურდა.

მხოლოდ გემზე ამოილეს ხმა კიპრიანემ და იმისმა დედ-მამამ.

კვაჭი კვაჭანტირაძემ ბინა გამოიცვალა, ეტლი თვიურად და-იქირავა, ჩოხა-ახალუხი იყიდა, იარაღში ჩაჯდა, დედ-მამა გაახარა და მტერს თვალი დაუყენა.

ნეტავ, დაიჯერა ოდესმე კვაჭი კვაჭანტირაძემ, ეითომ მან და იმისმა ამხანაგებმა იმ ზაფხულში სალორიას ტყეში მართლა „საქევყნო“ საქმე გააკეთეს? ვინ იცის?

**აქა ამბავი გიმნაზიის გათავებისა და ქვრივის
გადარჩენისა.**

კვაჭის რომ ჯიბეში ფული გაუჩნდა, ცხოვრების კიბეზედ უცებ ათიოდე საფეხურით ახტა. თავში ახილი ეშმაკები ჩაუსხდნენ, გულში ცეცხლი უარესად გაუჩალდა და აუპრიალდა, მეგობარ-ნათესავები გაუმრავლდნენ, ცხოვრება და ეს ქვეყანაც უფრო გაიშალა, გაიფურჩქნა, აყვავდა, ვანათდა, გატებილდა და გაამდა. კვაჭიმ თვისი ახალი ცხოვრება იმით დაიწყო, რომ, ცვირისთვის ერთს უბედულ დღეს, თავისი ბარგა-ბურხანა ილლიის ქვეშ ამოიდო და ტფილისის ქუჩაზე ვადასახლდა ვინმე რუს დედაკაცის ვოლკოვის ბინაზე. ცვირი ტირილით დაედევნა გაფრენილ მამალს, მაგრამ კვაჭიმ შესაფერი გულის გამძლეობა და ხასიათის სიმტკიცე ვამოიჩინა. შშვიდად და დინჯად უთხრა:

— ყური მიგდე, ჩემო ცვირიკ, ყოლიფერს თავისი დასაწყისი და დასასრული აქვს. არ უნდა ახილდე და ატირდე, თვარა ბუდუ გეიგებს, ქვეყანაც შეიტყობს და ორივეს თავი მოგვეჭრება. მე რა მიშავს, გამოუცთელი ახალგაზრდა ვარ, შენ შეს თავზე იფიქრე. ოცდათხუთმეტი წლის დედაკაცი ხარ, ოჯახის პატრონი, გამოცო-

ლი და დამჯდარი. სიკედილამდის არ დაგივიწყებ სიკეთეს და სიკუარულს. ყოლიფერს მალე ერთი-ათად გადაგიხთი. გულისყრს ნუ აჰყვები, კეთა მოიხმარე და ორივენი ქმაყოფილნი დავრჩებით. არხეინად იყავი, ოთახი არ დაგიცალიერდება. ბესო შიქის ხომ იცნობ? კარგი ქმაწვილია ხომ?! ხვალვე გადმოვა იმ ოთახში. ალბათ ადვილად მორიგდებით. მაშ ასთე: კეთა და სიდინჯე. მოკითხვა ბუღუს. მშვიდობით, ჩემო ცვირი!

კვაჭის გული აუჩუყდა, ორიოდე ცრემლიც ჩამოაგდო.

ცვირიმ გულიანად გამოიტირა თავისი სიყვარული, მართლა, გულის ყური უჟუაგდო, კვაჭის რჩევას აჰყვა და არც ინანა. ორი დღის შემდეგ მან ბესო შიქიასაც „ასესხა“ სამი მანეთი და უთხრა:

— როცა გექნება, დამიბრუნე. რაიო, სარგებლიოთო? რა თქმა უნდა! აპა უსარგებლოდ ფულს გავასესხებ! იყიდე, ჩემო ბესიკო, რაიც გინდა. ნუ მომერიდები, ბეკრი არ მაქვს, ცოტას კი მოვიხერხებ.

არც ბესო შიქიასთვის იყო საჭირო გაფრთხილება, რადგან „მორიდება“ მას კვაჭიზე ნაკლებად ეხერხებოდა.

ასე დაიმშვიდა და ასე მალე ინუგეშა თვეი ცვირი შოლიამ.

კვაჭიმ მშვენიერი ოთახი დაიქირავა—დიდი, ნათელი და ლბილის ავეჯით მორთული. ვოლკოვის ქვრივს—მოხუცებულს, მშვიდს, უწყინარს და გულლია რუსის დედაკაცს—კვაჭი მოეწონა. გამოშტერებული, ყერყეტა და მორწმუნე მოხუცი თითქმის ყრუ იყო და ამ ქვეყნისა ბეკრი არაფერი ესმოდა, თითქმის ბრმა იყო და ძლიეს ჰედავდა. ერთმანეთს ხელს არ უშლიდნენ, თავაზიანად ექცეოდნენ, ტებილად ულიმდნენ და დედა-შვილურად სცხოვრობდნენ.

მალე მოვიდა მერვე კლასელთა განკითხვის თვეც,—დადგა მაისი. იმ წელს კვაჭი გიმნაზიას ათავებდა. დატრიალდნენ კვაჭი და მისი მეგობრები. ეს იმ წელს მოხდა, როცა მოსწავლენი მასწავლებლებს კისერზე ასხდნენ და, საითაც მოინდომებდნენ, იქით გაიორეკავდნენ. გამოცდის საქმე კველისათან ადვილად მოარიგეს. რადგან იმ წელს უფრო მასწავლებლები იქერდნენ გამოცდას მოსწავლეთა წინაშე, ამიტომ მასწავლებლები ისე ლბილნი, ქედ-მოხრილნი და მორჩილნი იყვნენ, ვითარცა საჭურისა მრისხანე ხონთქირის წინაშე. მხოლოდ ერთი ახირდა და გაკერპდა,—ბერძნულის მასწავლებელი ხირიადისი, რომელსაც არ სწამდა არც ძალთა ურთერთობაში მოხსდარი ცვდილება, არც „გაზაფხული“ და არც კომიტეტები. ბეკრი იფიქრეს. ბოლოს კვაჭიმ სოქვა:

— სამი დღე მაცალეთ.

მესამე დღეს დილით სირიადისს წერილი მიუვიდა. იმ წერილის კუთხეში გამოხატული იყო თავის ქალა, კუბო, ხანჯალი და დამბახა. ეწერა:

„არც ერთი მერვე კლასის მოწაფე არ უნდა ჩაიჭროს. თუ თანახმა ხართ, დღეს, საღამოს რვა საათზე ბულვარზე დაგვენავეთ. თუ არ გამოჩნდით, — აიბარგეთ და სამ დღეში ქუთაისს გამოეთხოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვირჩევთ ეხლავე დაიმზადოთ კუბო.

ანარქისტ-სინდიკალისტ-სოციალისტების მთავარი კომიტეტი“.

კვაჭიმ მთელი საათი იარა ბულვარზე, მაგრამ სირიადისი არ გამოჩნდა. სამაგიეროდ მოვიდნენ შიქია, ჭიპუნტირაძე და ჩიკიჯილაძე.

— ამბავი?

მოკლედ მოსჭრეს:

— ვბრიგეთ. თვეალი ვადევნეთ, პოლიციაში მიდიოდა. იქამდის ვურტყით, სანამ არ დეიუყირა: „არავინ ჩეიჭრება, არავინ ჩეიჭრებაო!“ შევთანხმდით და მოვრიგდით.

სირიადისმა პირობა შეასრულა. გამოცდაზე მართლა არავინ ჩაჭრილა.

ასე გაათავეს ვიმნაზია და ასე მიიღეს დიპლომები კვაჭი ქვანტირაძემ და მისმა მეგობრებმა.

სააღდგომოდ კვაჭი სამტრედიაში წავიდა. ყველანი ააღაპარია, დედ-მამა, ნათესავები და მოყვარე გაახარა, მტერს თვალი დაუყენა, იქაური ქალები ააცქმუტა, მოპპრანჭა, ვაჟები დააღონა, ქმრები ააიჭვანა, მერე ისევ ქუთაისში დაბრუნდა და თან წამოილო თავისი მამის — სილიბისტროს ასეთი დარიგება და გაფრთხილება:

— შეილო კვაჭი! ქვეყანა ეირია. მტერი ბევრი ვამიჩთა. მეც ვბერდები. თუ საჭირო გახთა, ყოლიტერს გავყიდი, მათხოვრობას დევიზები და გოუნათლებელს არ დაგტოვებ. იხლა უდიპლომო კაცი თუნდ არ ყოფილა. აზნოურობა ქე ვიშვევ. გიმლაზიაც ვაგათავებიე, ორიოდე გროშს კიდო მოგაწვდი, მარა შენც უნდა ხელი გაანძრიო. ავერ, ჩოლიამ და ლვიჩიამ ისთე გაათავეს რუსეთში რაღაც უნივერსიტეტი, რომე სახლიდან ორი ფარაც არ მიუღიათ. ჩას იტყვი, შეილო კვაჭი?

კვაჭიმ სილიბისტროს პასუხად ხელში ასიანი ჩაუდო და წამოვიდა. ასტყდა სილიბისტროს ოჯახში დიდი გაევირება, სიხარული, ლხენა, გაბლენბა და თავის ქება: ცხრამეტი წლის კვაჭი რუ-

სეთში თაეისი ხარჯით მიდიოდა და დედ-მამასაც ქომაგს აძლევდა. შვილიც ასეთი უნდა, მაშ!

იმ ხნიდან კვაჭი ჩაფიქრებული დადიოდა; ცხვირს დაგეშილ ძალივით ათამაშებდა, ჰაერს ჰსუნავდა და ჩალაც ცნობებს აგროვებდა. ვოლეოვის ქვრივს დაუმევობრდა, „კონჩინკას“ ეთამაშებოდა, წერილ-წერილად იგებდა და ზოგჯერ ეხმარებოდა კიდეც: ხაზინიდან პენსიას მოუტანდა, ავდარში სასყიდელს უყიდდა, გაზეთს წაუკითხავდა და ავ ხალხთან მფარველობას გაუწევდა, ვინაიდან იმ ხანებში ძალიან გახშირდა ავკაცობა, შარი, შური და მტრობა.

ერთხელ ქვრივს წერილი მიუვიდა. წერილის კუთხეში დახატული იყო კუბო, თავის ქალა, ხანჯალი და დამბაჩა. ეწერა:

„სამ დღეში დაგვიმზადეთ სამი ათასი მანეთი. წინააღმდეგ შემთხვევაში ეხლავე შეუკვეთეთ თქვენთვის კუბო.

ანარქისტ-სინდიკალისტ-სიციალისტების მთავარი კომიტეტი“.

დაფერხებული ქვრივი კვაჭის ეცა რჩევისა და დახმარებისთვის. ან ვისთან უნდა, მისულიყო უპატრონო მოხუცი, ვაღმოყარგული სხვის ქვეყანაში? კვაჭი ჩაფიქრდა, ძალიან ჩაფიქრდა და დაღონდა. ბოლოს უთხრა:

— როგორც დედას, ისე გელაპარაკებით. ხმა, კრინტი არსად დასძრაო, თორემ ქრისტე-ღმერთიც ვერ გიშველით. სასტიკი და ვეღური ხალხია, არც დედაკაცს ინდობენ, არც მოხუცს. ამ ერთ კვირაში ორი დედაკაცი მოჰკლეს, ერთი მოხუცი ხელით დაახსევს და ერთიც რიობში გადააგდეს. პოლიციაც დაშინებულია, გარეთ თავი ვერავის გამოუყენა. ხომ ჰედავთ, ჩიტებივით ჰეთუავენ; აი, ვუშინ წინ ბაზარში თქვენ თვალწინაც მოუქლავთ ერთი პოლიციელი.

კვაჭიმ ზოგი მართალი სთქვა, ზოგიც წაუმატა. მართლა, ასეთი დრო იყო. უპატრონო ქვრივმაც იცოდა, რომ ქვეყანა უპატრონოდ იყო, ამიტომ თრთოდა, ჰეკანელებდა და ჩურჩულით ემუდარებოდა კვაჭის დახმარებას და შუა-კაცობას, თან ხატზე და სახარებაზე ჰეფიცულობდა, რომ ამ საიდუმლოებას სამარეში ჩაიტანდა.

კვაჭი ჯერ დიდ უარზე იდვა. თვითონაც ეშინოდა ხიფათის და ანარქისტ-სინდიკალისტებისა, რომელნიც „არაეს ინდობდნენ და ყველას ჩიტებსავით ჰეთუავდნენ“. ბოლოს, როგორც იყო, მოლბა და მოსტყდა, რადგან საწყალი ვოლკოვის ქვრივი დედასავით უყვარდა.

იმ დღიდან კვაჭი „მეტის-მეტად რთულს და სახიფათო“ საქმეს შეუდგა, თან ქვრივს ეუბნებოდა:

— ჩვენ, ქართველებს, ასეთი ანდაზა გვაქვს: „არამეითხე მო-
ამბეო მიტყიპე და მიაგდეო“. მეორე ანდაზაც ასეთია: „მოჩხუბარს
ერთი მოხხედა, გამშეველებელს—ხუთიო“.

ბოლოს, მაინც კვალს მიაგნო და შიშისგან მილეულ-მიბნედილ
მოხუცს ასეთი ამბავი მოუტანა:

— ღმერთმა იმ ხალხისგან თქვენც დაგიფაროთ და თქვენი
მტრებიც! რას მერჩოდით, რად ჩამრიეთ, რა გინდოდათ ჩემგან! ეხ-
ლა მეც ჩიმჭიდეს ხელი და მემუქრებიან, თუ ორი ათასს მანეთზე
ნაკლები მოგიტანიაო, შენც იმ დედაკაცს დაგაკლავთო. ვადა ხვალ
სალამოზე თავდება.

ქვრივს ენა დაება და გულის ფანცქალი დაემართა, ხოლო
კვაჭი ისევ იხვეწებოდა:

— გთხოვთ გამანთავისუფლოთ ამ სახიფათო საქმისგან. ღმერ-
თო ჩემო, ეს რა დღეში ჩავვარდი! მე რა შუაში ვარ, რა დავუშვე
იმ მგლებს, რას მერჩიან?

დიდხანს იჩურჩულეს იმ სალამოს ქვრივმა და კვაჭიმ. ბოლოს,
ასე გადასწყვიტეს: შეიძლება, ათას ხუთასი მანეთით გათავდეს ეს
საქმე. ქვრივს ხუთასი მანეთი აქვს შენახული კასსაში, დანარჩენს
კვაჭი უსესხებს ნათესავებისგან სამტრედიაში თამასუქით, ან სახლს
დაუგირავებს, ხოლო ამისათვის საჭიროა, რომ მას ვოლკოვის ქვრი-
ვისაგან რწმუნების ბარათი ჰქონდეს. ხეალ დილით ქვრივი მის-
ცემს ამ ბარათს. კვაჭი სალამოზე დაბრუნდება და ყველა-
ფერს „გააიმასქნებს“. თუ ფული ვერ იშოვა, არ დაბრუნ-
დება, იმ ყაჩაღებს თავს მოარიდებს, სამტრედიაში დაიმალება.

არც იმ ლამეს ეძინა მოხუცებულ დედაკაცს. დილამდის ლო-
ცულობდა, ოხრავდა, შამტურივით. ტრიალებდა და თავისი ხნის
ტახტს აჭრაჭუნებდა. კვაჭიმაც რიერაეზე მიიძინა, რადგან ქვრივის
საქმე აფიქრებდა და აწუხებდა.

მეორე დღეს ორივენი ნოტარიუსთან მიეიღნენ. კვაჭიმ თამასუქი
და სრული რწმუნების ბარათი ჩაიღო კიბეში და სადგურისკენ გა-
ეშურა. ის დღე ქვრივ-დედაკაცს ძლივს დაუღამდა. სალამოზე კვაჭი
გახარებული დაბრუნდა. ქვრივსაც ისე გაუხარდა კვაჭის დაბრუნება
და ფულის შოვნა, თითქოს თითონკი არ ეხარჯებოდა ის ფული, არამედ
იმის პატარა ქონებას კიდევ მიეცა და მიემატა. კვაჭიმ ქვრივი-
საგან ხუთასი მანეთი მიიღო და ანარქისტ-სინდიკალისტების კომი-
ტეტში გაიტა.

კვაჭი კვაჭანტირაძემ იმ ლამეს ვოლკოვის მოხუცებული ქვრი-
ვი უეპველ სიკვდილისგან იხსნა, ხოლო ანარქისტ-სინდიკალისტე-

ბი—მეასე ცოდვისგან: სწორედ დროზედ მიუსწრო, ათას ხუთასზე დააჯერა და ფულიც ჩააბარა. დროზედ რომ არ მიესწრო, სამი კაცი უკვე ნილაბებში იყვნენ და წამოსასვლელად ემზადებოდნენ. მოხუცი დედაკაცი სიხარულისგან და შიშისგან ატირდა და ხელმეორედ აიშალა. მეორე დღეს მან ჯერ სამადლობელი პარაკლისი გადიხდა, მერე ნიშნად მადლობის და დედაშვილობისა კვაჭის ყელზე დიდი ოქროს ჯვარი ჩამოვკიდა, ხოლო ჯიბეში სახსოვრად თავისი ქმრის ვერცხლის პორტიკისგარი ჩაუდო და უთხრა:

— თუ გავიკირდეთ, ამ ჯვარზე ილოცეთ. სიკეთეს არც ღმერთი დაგივიწყებს და ყველაფერში დაგეხმარებათ. არც მე დაგივიწყებ, შვილო, თუ შევძელ, კიდევ გადაგიხდი მადლობას, თუ არა და...

გადაეხვია, აკოცა, ატირდა და კინალმ კვაჭიც ატირდა.

აქა ამბავი მუსიკის შესწავლისა.

იმავ ხანებში კვაჭი მუსიკამ გაიტაცა. მუსიკისა მას არაფერი ესმოდა და სმენაც სრულიად დახმული ჰქონდა. სხვა საკრავებს გულგრილად ითმენდა, ხოლო როიალის ხმაზე ტანში ქრუანტელი უვლიდა და მეტის აღელვებისგან სტოკავდა, ჰშფოთავდა და სცქმუტავდა. ჯერ როიალის ყიდვა უნდოდა, მაგრამ იძირა და გადასწყვიტა მისი დაქირავება. მისი ნაცნობის შაიზელსონის ოჯახი საზაფხულოდ ბორჯომში წასასვლელად ემზადებოდა. კვაჭიმ უთხრა მაიზელსონს:

— სხვათა შორის, თქვენ ბორჯომში მიბრძანდებით, არა? შემოდგომამდის არ დაბრუნდებით? იმ დრომდის მე ქუთაისში ურჩები. ათასი საქმე მაქვს. უნდა მოვახსენოთ, რომ უკინასენელი ჩემი ავაუმყოფობა მუსიკა გახლავთ, ისე გამიტაცა, რომ ლამის გავეკიდე. მინდა დაკვრა ვისწავლო. ისევ დაგვიანებით სჯობია, ვიდრე არასოდეს. მომაქირავეთ თქვენი როიალი.

მაიზელსონს თავისს სიცოცხლეში ანგარიშის და გამორჩენის გარდა არაევრზე უფიქრნია, ამიტომ ერთ წუთში ისე მოისაზრა: „საშ თვეში სამ თუმანს ავილებ, გზის ფულს გამოვალ, ესეც კარგია“. მაშინვე მორიგდნენ.

ამავე სალამოს კვაჭი თავისს ოთაში მაიზელსონის როიალს ცალის თითით გატაცებით უბრახუნებდა.

ზაფხული იწურებოდა. საცაა მაიზელსონიც უნდა დაბრუნებულიყო. კვაჭი აჩქარდა, აფაცურდა. ერთხელ კვაჭიმ და ბესო შიგიამ წაიჩურჩულეს. მეორე დღიდან ბესო მუსიკალურ მაღაზის დასტრიიალებდა და მაღაზის მუშტარს ჩუმად ეკითხებოდა:

— უკაცრავად, თქვენ როიალს ეძებთ, არა? სასწაულდ იყოდება მშვენიერი როიალი, თითქმის სულ ახალია. აქვეა, ზორს არ არის. ვისია? ჩემი ამხანგის, თავად სევერიან დადიანისა ვახლავთ. იქვეა, ტფილისის ქუჩაზე, კოლკოვის სახლში.

ბოლოს ვინმე არუთინოვს წააწყდა. როიალი გასინჯეს და მოიწონეს. ფასი?

— შეიდასი მანეთი.

— ოთხასი.

— ექვსასი.

— ხუთასი.

— თქვენი ხათრით გიომობთ. ეხლავე მიგაქვთ?

— დღესვე უნდა გავგზავნო ფოთში, მექქარება.

კვაჭიმ შუბლი დაიჭმუქვნა და ერთის წუთით ჩაფიქრდა. კომბინაცია თავისთავად გამოინასკვა:

— თუ გნებავთ, მე თვითონ გაგიგზავნით...

— თუ მაგისთანა მადლს მიზამთ, დიდი მადლობელი ვიქნები. ზედმეტი დღე არ დამეტარგება. ჩას იტყვი, სირანუშ? — ჰეიობა არუთინოვმა თავის ცოლს.

— მაგაზე უკეთესი რაღა იქნება!

— მაშ ასე: როიალი ეხლავე შეაკვრევინეთ, სადგურზე გაპგზავნეთ და ჩაბარეთ. სალამოზე „ფრანციაში“ მობრძანდით, პირველ ნომერში მიეკითხეთ. ჩვინის გზის საბუთი მომიტანეთ და დანარჩენი ფულიც ჩაბარეთ. ეხლა სახარჯოდ და ბედ ინებეთ ორასი. გეყოფათ?

— რა თქმა უნდა. ბარათს ეხლავე მოგართმევთ. კიდევ ერთი თხოვნა და პირობა: არავის არასტერი უთხრათ, ჩემი გვარი და ეს როიალი არსად ახსენოთ. ჩემთვის მეტის მეტად უხერხულია მისი გაყიდვა.

— ძალიან კარგი. ეგ ადვილია. სიტყვას გაძლევთ. ქართველები ძალიან თავმოყვარე ხალხი ყოფილხართ.

— სრული სიმართლეა. ჩენები სირცეებიდ ითვლება ასეთი ნივთის გაყიდვა, მით უფრო — თავადი დადიანისათვის.

არუთინოვები წავიდნენ. კვაჭი სადგურისაკენ გაპქანდა. იმავე დღეს, სალამოზე „თავადი დადიანი“ სასტუმროში ეწევია არუთინოვს.

— ყველაფერი მზად ვახლავთ. ძლიერ მოვასწარით შეკერა და გაგზავნა. აი, ჩვინის გზის საბუთი.

არუთინოვმა საბუთი ვადაშალა და გასინჯა: „საიდან? ქუთაისიდან“. „სად? ფოთში“. „რა იგზავნება? როიალი“. „წონა? ბრუტ-

ტო 50 ფუთი“. „ვინ ჰეზავნის? თავადი დადიანი.“ „ვის ეგზავნება? არუთინოვს“.

- ზესაკერელი და გასაგზავნი?
- 41 მანეთი და 35 კაპეიკი. აი, ბარათები.
- არუთინოვმა გამოიანგარიშა:
- სულ გერგებათ 559 მანეთი და 2 კაპეიკი.
- სწორეა.
- მიღებული გაქვთ ორასი, კიდევ გერგებათ 359 მ. და 2 კაპეიკი. ინგებეთ.

— სწორეა. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

— საით მიეჩარებით? დაზიანით, ჩაი დავლიოთ! — დაპეატიკა ჭალბატონმა სირანუშმა.

- დიდი მაღლობა. მეჩარება... მელოდებიან...
- მაშ, თუ ფოთში გამოიყლით ოდესმე, გვეწვიეთ. ქალაქის ბალის პირდაპირ ვცხოვრობთ.
- დიდის სიამოვნებით... უეჭველად გნახავთ. კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!
- მეორე დღეს ბესო შიქია კიდევ წააწყდა ვინმე საროვინს:
- უკაცრავად, თქვენ როიალს ეძებთ, არა? სასწრაფოდ იყოდება მშვინიერი ბეკუერის როიალი, თითქმის ახალია. აქვეა, შორს არ არის... წიმობრძანდით.

- ისევ გისინჯეს, ისევ მორიგდნენ.
- თქვენ, მგონი, აქაური არ ბრძანდებით.
- აქაური არა ვარ, ქიათურაში უნდა წაყილო.
- მაშ ჩენ გაგიგზავნით... თუ გნებავთ, ორ საათში რკინის გზის საბუთს მოგაროვევთ...

ამაზედაც მორიგდნენ. კვაჭი ისევ საღვურისკენ გიექანა. იმავე სალამოს კვაჭი „დადიანმა“ „ორიანტში“ მიუტანა ინუენერ სარიკიანს რკინის გზის საბუთი:

„ქუთაისითან კიათურაში, როიალი, ბრუტტო 50 ფუთი, თავადი დადიანი უგზავნის ინუენერ საროვინს, გადახდილია 11 მანეთი და 29 კაპეიკი“.

- იანგარიშეს და გაათავეს:
- ლამე მშვიდობისა!
- მშვიდობით ბრძანდებოდეთ!
- ბესო შიქია კვაჭის ქუჩაში უცდიდა.
- აპა, ბესო, ხვალვე უნდა „გავაიმასქნათ“ ყველაფერი. იშოვე?

— მოვაჭახრაკე. წევიდეთ.

— ეინ არის? არ გაბრიყვდე, აქოურს არაეის უთხრა, — არც ვაჭარს, არც ურიას, თვარა...

— პა, არ ვიცი თუ? გადასახადების ინსპექტორია, ეინც ცერიული. ერთი თვის წინად შოურთავს ცოლი. გუშინ დოუქერია ბინა, ეხლა ავეჯს ჰყიდულობს. ერთი კვირის ჩამოსულია ქუთაისში.

მეორე დილით გერუოვმა, — ახალგაზრდა თაემომწონე მოხელემ, ექსიოდე მუშა მოაყენა კვაჭის ოთახს და როიალი თავისს ახალ ბუდეში გადაიტანა. იმავე დღეს კვაჭი კვაჭანტირაძე და ბესარიონ შიქია სტუდენტებად მოინათლენ: ახალი სტუდენტური ფორმა ჩაიცვეს, დამშვენდნენ და გალამაზდნენ; ორივენი თავიანთ თავისა, ერთმანეთისა და ნაცნობ-მეგობართა თვალში უცებ გაიზარდნენ, დაფას-დნენ და გადიდეკაცდნენ.

ორი დღე და ღია ლაითაძის და ერემოს დუქანში ერთი ორომ-ტრიალი, კორიანტელი და უივილ-ხივილი იდგა და ისმოდა. ლვინო წყალივით მოდიოდა, ახლო-მახლო ქათამი და ინდოური გამოილია, რევოლვერების ჰექა-ქუხილშა ზეცა დააყრუა, მედუქნები და მოსიმსახურენი იფელში იწურებოდნენ, მებურინებმა ყბები დაიხეთქეს, დანიელა ურიამ ხმა ჩაიხლის, მეთარემ თითები დაიმტერია, მეარღნემ არღანი დალალა; ოცმა მეეტლემ ცხენები დახოცეს ჭინებით და სირბილით, ხოლო მოქეიფე ქალები უძილობისაგან და უილაჯობისაგან ფეხზე ძლიერ და იდვნენ და დათხოვნას იხვეწებოდნენ.

გალეშილი და გაელენთილი კვაჭი ყველას ეუბნებოდა:

— ჩაიო, ფულიო? არაეინ გაბედოს ფულზე ლაპარაკი. უველა-ფერი ჩემი ხარჯია. ხვალ დილით, სწორედ ათ საათზე ყველანი სახლ-ზი მეწვიეთ. ყველას ანგარიშს იქ გაგისწორებ, ხვალ ყველანი ჩემი სტუმრები ხართ: ერემოც, დანიელაც, ბიჭებიც, ქალებიც და „ფაიტონიჩიკებიც“. ერემო! კვირის შიქია გვპატიუობს ყველას. დაემზადე, არ შემარტევინო. დანიელა! შენც ხმა ჩაიწმინდე! ყმაწვილებო, ექს-ტრა! ერემო, ვსვამ შენს სადლეგრძელოს! — და გაბეროლ-გაბლენძილ ერემოს ისეთი თბილი, მეგობრული და ძმური სიტყვა უთხრა, რომ თვითონაც ატირდა და ერემოც ააცრემლა. ერემოს კოცნით ტუჩები და ლოკები გაუცვითეს, სარდაფი დაუცალეს, სანოვავე გამოულიეს და ისეთი ჰექა-ქუხილით, ლრიანცელით და ყიუინით შემოცვედნენ ქუთაისში, რომ უცხოს ეგონებოდა — მტერმა ციხე შემოანგრია და ვამარჯვებით დამთვრალი ჯარი ქალაქში შემოიქრაო.

შუალამე რომ გადავიდა, ქუთაისიდან ხონისაკენ ერთი ეტლი გავიდა. შიგ ორი ახალგაზრდა მგზავრი იჯდა. ორივენი ისე იყვნენ

ყაბალახებით ახვეულნი, რომ ვერავინ მოახერხა მათი პირსახის დანახვა და ცნობა. ეტლმა ლაითაძის დუქანს გრიგალივით გაუჩინა. მგზავრები მოიბუზნენ, მოიკუნტნენ და თავიანთ ხაბაჯ-ხუბაში ჩაძრონენ. დუქანს კარგა მოშორებით რომ გასცდნენ, ორივენი ხაბაჯ-ხუბაკიდან ისევ ამოძვრონენ და გასწორდნენ, ორივემ პირსახიდან ყაბალახები აიხსნეს და შევბით ამოისუნთქეს. ბოლოს, ერთმა წამოიძახა:

— მშვიდობით, ქუთაისო!

— მშვიდობით! — გაიმურა მეორემ: — ვინ იცის, როდის ვნახავთ ერთმანეთს!

მეორე დღეს ათი საათიდან ვოლკოვის ქვრივი ძლივს ასწრებდა თავისი კარების გალებას და პასუხის გაცემას:

— უხალი! უხალი, გоворят вам! Совсем ухали, совсем! Вот надоели! Господи, вот замучили!

სახლის წინ ერემი, დანიელი და ლაითაძე კბილებს აკრაჭუნებდნენ, დამკვრელები ჰავლაბრულად იგინებოდნენ, ქალები რუსულად ილანძლებოდნენ, ხოლო მეტლებმა ცხენები დაბლალეს და ქუთაისი გადაატრიალეს კვაჭი კვაჭანტირაძის ძებნაში.

სამი დღის შემდეგ ბორჯომიდან მაიზელსონი დაბრუნდა, იმავე ხანებში ფოთიდან არუთინოვი ამოვარდა, ჭიათურიდან საროვინი ჩამოვარდა. სამივენი ჯერ სირბილით ოფლში გაიწურნენ, მერე ყვილანი გერცოვს შეუცვიუდნენ. სასტუმრო ოთაში თხივენი შეხვდნენ ერთმანეთს და ოთხივენი ჩაეჭიდნენ იმ როიალს, თან ოპხივენი ყვიროდნენ:

— ჩემია! ჩემია!

მერე, როცა დაიღალნენ ყვირილით და კამათით, დასხდნენ და დინჯად უამბეს ერთმანეთს თავიანთი იმბავე და დაასაბუთეს თავიანთი უფლებანი იმ როიალზე. მაიზელსონი შედარებით არხეინად იყო, სხვებს დასცინოდა და მასხარად იგდებდა, დანარჩენები ილანძლებოდნენ და იმუქრებოდნენ. ბოლოს, საქმე იმით გათავდა, რომ გერცოვმა ხელმეორედ იყიდა იგივე როიალი, ხელცარიელი არუთინოვი ისევ ფოთში ჩავიდა, გამწარებული საროვინი ისევ ჭიათურაში ავიდა. კვაჭის თავი დაანებეს, რადგან იმ დროს ქვეყანა უპატრონოდ იყო და თხივე დაზარალებულს რუსეთში გადაკარგული კვაჭის დევნა ტუშილად ჩაუვლიდათ და ვექილების ფულიც დაეკარგებოდათ.

ან რას ჩამოაცლიდნენ გაფხეკილ სტუდენტს?

რას იზამ! ამ ქვეყნად ყველაფერი ანგარიშის საქმე ყოფილა.

აქა ამბავი სახლის სყიდვისა.

იმავე ხანებში ვოლევის ქვრივს ვინწე ხუსუ ჩიჩიასგან ნოტარიული განცხადება მიუვიდა. ქვრივმა რომ ის განცხადება წაიკითხა, ელდა ეცა, ოვალები შუბლზე ავარდა, ენა მუცელში ჩაუვარდა, მუხლი მოექრა, ჩიჩიოქა და გული წაუვიდა. მაღლობა უფალს, რომ სწორედ იმ დროს მეზობელმა—ლადი ჩიკინჯილაძემ შეუსწრო და მოასულიყრა. მოხუცებული ქვრივი მაინც გონჩე ვერ მოსულიყო: თავსა და ხელებს აცანცარებდა, ტუქებს აცმაცუნებდა და ლაპარაკს ჰლამობდა. ბოლოს, ის განცხადება ხელმეორედ გადიკითხა. ვილაც ჩიჩია სწერდა:

„ამა წლის შვიდ ივლისს მე ვიყიდე თქვენი სახლი (ქალაქ ქუთაისში რომ მდებარეობს, ტფილისის ქუჩაზე) კვაჭი სილიბისტ-როს ეკვაჭანტირაძესაგან, რომელსაც თქვენგან სრული რწმუნების შარათი ჰქონდა, დადასტურებული ამპავ წლის შვიდ ივლისს ქალაქ ქუთაისის ნოტარიუსის ანჯაფარიძის მიერ. გარდა ამისა, იმავე დღეს მე გასესხეთ ნალდი ფული ოთხი ათასი მანერი თქვენ მიერ ხელმოწერილ თამასუქით, რომელსაც ვადა გაუვიდა ამა წლის პირველ სექტემბერს. გთხოვთ შვიდი დღის განმავლობაში სახლი დამიცაროთ, რადგან მე თვითონ ვაპირებ ჩემს სახლში ვადმოსცვლას, ხოლო სამი დღის განმავლობაში ვამინალდოთ ვალი თავისი სარგებლით.

ხუსუ ჩიჩია.

სამარტინი.

ხონის ვაზა, სახლი მუქი კვეჭინტირაძისამამა.

იმავე სალამოს ვოლევის ქვრივი განთქმულ ვექილთან—ტვიჩიასთან მიჩანჩალდა. ქვრივის მდგმურმა ლადი ჩიკინჯილაძემ მიასწავლი ის ვექილი, თორებ რა ესმოდა კანონების ან ვექილობის ავგარებობისა სამოცი წლის მოხუცს, რომელსაც აქამდის მხოლოდ ის ჰქონდა გაგონილი, რომ საღლაც არსებობენ სასტიკი მოსამართლენი, უბედურთა მხსნელი ვექილები, ულმობელი ბრალმდებელნი და „საწყალი, ღვთისებან და ხალხისებან დაჩაგრული კატორლელები“? ან ის რა იცოდა, ან საიდან და როგორ გაიგებდა გამოყერყეტებული მოხუცი, რომ იმავ დღეს შოლის დუქანში, ბალახების ქუჩაზე, ერთად ისაღილეს და იქინებეს სილიბისტრო კვაჭანტირაძემ, ხუსუ ჩიჩიამ, ტვიჩიამ და ქვრივის მდგმურმა ლადი ჩიკინჯილაძემ, რომელიც იმავ სალამოს მეტის გულკეთილობით და თავაზიანობით იმ ჩიჩიაკს როსის დედაკაცს განთქმულ ვექილის—ტვიჩიას კარებამდის მიპყვა?

ან იმას როგორ იფიქრებდა, ან გულში როგორ გაიტარებდა მორწმუნე, გულუბრყვილი და უცოდველი სარატოველი „ბაბა“, რომ სწორედ ტვიჩია იყო სილიბისტრო კვაჭანტირაძის და ხუხუ ჩიჩიას ვექილი, და რომ ის წერილი, რომელმაც დილით ქვრივს გული შეულონა, იმავ დღეს სწორედ ტვიჩიამ დასწერა და გაპგზავნა?

ტვიჩიამ ვოლეოვის ქვრივი დიდის თავაზით, დიმილით და ალერსით მიიღო. ტკბილმა ენამ, ცხელმა ჩიმ და ვარდის მურაბამ ის დედავაცი სულ დაატკბეს, დააღნეს, მოჰკიბლეს და ტვიჩიას ხელში ჩაუგდეს.

ქვრივმა რომ ყველაფერი გადუშალა და ცრემლით გული მოჯერა, ტვიჩიამ დიდხანს იფიქრა, მერე დინჯად და გულწრფელის კილოთი უთხრა:

— მენანებით, ისე მენანებით, როგორც საკუთარი დედა. გავრამ მარტო სიბრალული საქმეს ვერ უშეველის. ჯერ ერთი: ოქვენ ანარქისტებისათვის იმოდენა ფულით გაგიწევიათ დახმარება. მთავრობამ რომ ეს ამბავი გაგივისთ, ან ჩამოგახსრობენ, ან ციმბირი აქეთ დაგრჩებათ. ნუ ჰლელავთ, დამშვიდდით. მეც ვიცი, რომ ნებაყოფლობით არ მივიციათ ის ფული, მაგრამ ეგ სულ ერთია, მათ ოქვენგან ფული მიიღეს და ამათ ხელი მოიმართეს. მადლობა ზესწირეთ უფალს, რომ მე წამაწყდით. სხვა, ჩემ მაგიერი, არ გაჩუმდებოდა, საღმე იტყოდა და დაგლუბავდათ. ერთ რჩევას მოგცემთ, როგორც ჩემს დედას და ლეთისნიერ ადამიანს: არსად, არასოდეს, არავის ეგ ამბავი აღარ გაუზიაროთ; გირჩევთ იგი საფლავში ჩიიტანოთ, თორემ—ვიმეორებ—არასგზით არ აგცდებათ ან კატორლა, ან ჩამოხსრობა.

ეხლა მეორე: თქვენ კვაჭანტირაძესთვის მივიციათ სრული რწმუნების ბარათი, ე. ი. სახლის გაყიდვის უფლება. მესამე: მისთვისვე მივიციათ ოთხი ათასი მანეთის თამასუქი. რაო, ათას მანეთზე იყო ლაპარაკი? თამასუქში არაფერი ეშვრა? მოწმე არა გყავთ? ლაპარაკი ზედმეტია. თუ მაგაზე დაიწყეთ დავა, ანარქისტების დახმარებაც ფეხს გამოჰყოფს, მაშასადამე—ისევ ჩამოხსრობა, ან ციმბირი.

კიდევ დიდხანს აშინებდა და თევთებდა შიშისაგან ენა-დაბმულ-სა და მიბნედილ დედავაცს. ბოლოს უთხრა:

— ჩემი რჩევა და ლრმა რწმენა ასეთია: მე ვიცნობ იმ ჩიჩიას. იქნება მოვახერხო, რომ იმ სახლში ერთი ოთხი დაგითმოთ საჭირო ავეჯულობით. ცოტა პენსია გაქვთ, ცოტასაც კერვით ან სამსახურით იშვიერთ, მეტიც არ უნდა მარტოხელა დედავაცს. დედა-შვილურად გირჩევთ დასთანხმდეთ, თორემ სრულიად ხელუარიელი დარჩებით.

ჩა, მოიფიქრებთ? კეთილი, მოიფიქრეთ და მობრძანდით, ოლონდ ფრთხილად! არავის უამბოთ ის ამბავი, თორემ... ღამე მშვიდობისა! ძილნებისა... აქეთ მობრძანდით...— და ლასლასით მიმავალი დედა-კაცი კარებამდის მიაცილა.

ქუჩაში ვოლეოვას ქვრივს შემთხვევით ლადი ჩიკინჯილაძე შეპ-ნედა, რომელმაც ძლიერ მიიყვანა სახლში. ის სალამო და მოორე დღე ჩიკინჯილაძე არ მოჰშორებია ავადმყოფ დედაკაცს, რომელიც ხან-გრძლივის ლოცვისა, ფიქრისა, ოხვრისა და ტირილის შემდეგ ისევ ტვიჩიასთან მივიდა და უთხრა:

— თანახმა ვარ, ოლონდ ლუკმა პური და ერთი კუთხე მქონ-დეს იმ სახლში. მომიხერხეთ.

ტვიჩიამ ადვილად და მალე მოუხერხა.

ერთის კვირის შემდეგ სილიბისტრო კვაჭანტირაძემ გაპყიდა თვისი „სასტუმრო“, სამტრედიაში რომ ჰქონდა, ხონის გზის ნაპირ-ზე, ზოგი ხაბაკ-ხუბაკით აიბარგა და გადმოსახლდა დიდს, მშვე-ნიერს, მდიდარსა და სუფთა ქუთაისში საკუთარ სახლში, ტფილისის ქუჩაზე; იგი სახლი მან—როგორც თვითონ მიმობდა—„დიდის, მძიმე შრომით და საკუთარის ოფლით“ შეიძინა ერთ უპატრონო ქვრივის-გან, რომელიც ისე შეიბრალა და შეიწყალა. რომ მას უფასოდ კი-ბის ქვეშ პაწაწინა ბნელი ოთახიც მისცა და მცირეოდენი ხის ავეჯიც დაუთმო.

ხუხუ ჩიჩიას მეულლეს, კვაჭი კვაჭანტირაძის ბებიას, პატივ-ცემულ ნოტიოს ახალ საკუთარ სახლში, ტფილისის ქუჩაზე, პირველ-სავე ღამეს გაახსენდა:

— გვისხსნეთ ჩემი სიტყვა, კვაჭიკოს დაბადების ღამეს რომ გი-თხარით. მზემ რომე იმ დღეს თავზე გვირგვინი დეიდგა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ კვაჭის ბრწყინვალე და სახელოვანი მომავალი მოელის თქვა; იმავ დღეს რომე ალვის ხეს მეხი დიეცა და უონდიას დუქანიც რომე ეშმაკებმა წეილეს, ესეც იმის ნიშანი იყო, რომე კვაჭის მტრებს—ჯვარი აქოურობას!—მეხი დიეცემათ და გულები ისე დოუსკეტებათ, რავარც ის ალვის ხე გახეთქა თქვა მეხმა. სი-ლიბისტრომ რომე მანეთიანი იპოვა, იგიც კვაჭის გამდიდრებაა თქვა. ასთე ვთქვი ცხრამეტი წლის წინეთ. არ გამართლდა თუ ჩემი სიტყვა

ყველამ მოიგონა ნოტიოს წინასწარმეტყველება და ყველანი და-ე-თანხმენ, რომ იგი მართლა გამართლდა. სილიბისტრომ გაიხსენა:

— გახსოვთ, ჩვენი კვაჭიკო პაწაწობაში ტირილის დროს სულ „მე-მეს“ გეიძახოდა? მაშინ ესთქვი: ეს ბოვში არავის აფერს

შეარჩენს და მთელს ქვეყანას დეიჩემებს თქვა. არ მართლდება ჩემი სიტუაცი?

სილიბისტროსაც დაეთანხმნენ.

ვენაცვალე ჩემს კვაჭიკოს! — დაუმატა კვაჭის დედამ პუპიმ: — სიბერეში ქუთაისში დამასახლდა.

— ისიც საკუთარ სახლში, — დაამთავრა კვაჭის პაპამ ხუბუ ჩიჩიამ და სილიბისტროს მიუბრუნდა: — ჰა, სილიბისტრო! რაღა გაქვს აწი სანატრი? ერთი პრაპორჩიკის ჩინი, პოლეტები და... შენზე უკეთესი მარშალი კიდო იქნება საქართველოში თუ?

— ყოლიფერი ღვთის ხელშია, ვენაცვალე იმის მადლს! — დაამთავრა ბაასი პუპიმ.

იმ ღამეს სილიბისტრო ძილში ჰშცოთავდა, სტოკავდა, იბლინჩებოდა და იბერებოდა, რაღვან სიზმარში თავად-აზნაურთა მარშალი გამხდარიყო, გულზე ათიოდე ვარსკვლავი და ჯვარი ეკიდა, მხრებზე ეპოლეტები უბრძყინავდა და ტანზე კამერ-იუნკერის თეთრი მუნდირი ეცვა, სულ ოქრო-მკედით მოქარგული, ხოლო უკან — ნიშნად მეფის ნდობისა და მაღალ ხელისუფლებისა — დიდი ოქროს გასაღები ჰქონდა დაკიდებული.

სწორედ იმავ ღამეს მისმა სასიქადულო და სახელოვანშა შეიღმა კვაჭი კვაჭანტირაძემ ბათომში ბილეთი იყიდება და გემით რუსეთისკენ მოუსვა.

აქა ამბავი საბედოს საძებნელად რუსეთში წასვლისა.

კვაჭი დილის ოთხ საათზე გამოვიდა სამტრედიის სადგურზე. მას მოპყნენ სილიბისტრო, პუპი, ნოტიო და ხუბუ, რომელნიც ქუთაისში გადადიოდნენ საცხოვრებლად. კვაჭის გამოჩენამ გააკვირვა სადგურის მოხელენი, რაღვან ათიოდე დღის წინათ დაუინებით აკრცელებდნენ სამტრედიაში ამბავს, რომ კვაჭი ყაზანის სასულიერო აკადემიაში წავიდა. სამტრედიელი ქალები თითქმის სტიროდნენ და მოსთქვამდნენ:

— უი, საწყალი! ასეთი ლამაზი ყმაწვილის დამარხვა ცოდვა არაა?! ხუცესი?! კვაჭი და მონასტერი?! უი, საწყალი დედა მისი პუპი! ნერა თავათაც არ წევიდეს მონაზნად! აქ რაცხა პმბავი უნდა იყოს!

სილიბისტრომ რომ სახლი გაჰყიდა, სამტრედიაში ჭორი ნამდვილ ამბავად გადააჭიეს:

— ქე არ გითხარი, პუპი მონაზონად მიღის თქვა? ამბობენ, კვა-
 ჭიც ბერად მიღისო საცხა ყაზახიაშიო. პუპის ეს ამბავი თურმე ვერ
 ოუტანია და თავათაც საცხა ბოდიაში შედის მონაზონად; ქმარსაც
 მიტომ ეყრება; სილიბისტრომაც მიტომ გაყიდა სახლი და ქუ-
 თასში მიღის თურმე მარშლად.

ასეთი, ან თითქმის ასეთი მითქმა-მოთქმა დადგოდა სამტრე-
 დიაში სილიბისტროს ოჯახის შესახებ, რომელიც ეხლა სადგურზე
 გამოკრებილიყო და მატარებლის მოლოდინში ყველანი ჩაის მიირ-
 თმევდნენ ლიმონით და ნამცხვარით.

სილიბისტრომ სამიოდე ნაცნობს უთხრა:

— აჲ, მაი ტყვეილი უთქვამთ. მართალია, ჩემი კვაჭი ქალაქ ყა-
 ზახში მივა, მარა მისი ბერად გატრება ჯერედ არ მოხთება. ტვაჭი
 მაგარია. როცა დადუღდება, მაშვინ ვნახოთ... მე? მეც მომწყინდა
 აქოურობა. ქუთაისში მივალ სამუდამოთ. მეყო, რაიც პატივი მეცით
 აქოურებმა, აწი ქუთაისში მეწყვიერ... სახლი? დიახ, ჩემო ბატონი,
 ქე ვიყიდეთ პაწია სახლი, მარა შეტაც ძეირად დამიჯდა. მარშლობა?
 აჲ, მაგას არ ვფიქრობ. ქე მოხვევ, მარა...

ტყილისის მატარებელი გრიალით და შეუილით მოვარდა. და-
 ფაცურდნენ, კვაჭის ხაბაკი ვაკონში აიტანეს და თვითონაც ავიდნენ.
 კვაჭის მოუალერსეს, მრავალჯერ დაჰკოცნეს, იტირეს და ასი რჩე-
 ვა-დარივება მისცეს. ბოლოს სილიბისტრომაც ჩაიხუტა თვისი ერთა,
 იმედი და ნუგეში:

— ჰა, შვილო კვაჭიკო, ქე ვშორდებით ერთმანეთს. აწი სწა-
 ვლაც ჩემზე მეტი გაქვს, გამოცილებაც, მოხერხებაც, მარა ორიო-
 დე სიტყვა ქე მეთქმის მაინც. დიდ ქვეყანაში მიხვალ, შვილო. შეი-
 ძლება, ორ დღეში აშენდე, შეიძლება, დეილუპო კიდეც. ამიტომ ძა-
 ლიან ფრთხილად უნდა მეიქცე. რუსეთში ათას ვინცხას შეხვები;
 იქნეც გაპარტახებული უფრო მეტია, ვინემ კეკიანი და პა-
 ტიოსანი. დიდეაცებში გაერივე, გვეცალე და დიეთხოვე მოსსვენარ
 ამხანიკებს, რაცხა ყაზილარებს, გლაბა ყაზახებს. ჩამოეცალე ღვი-
 ნოს, ქალებს და კარტს, თვარი გლაბა საქმეს დაგმართვიან. არ დე-
 ივიწყო შენი დედ-მამა, ყოლიფერი მომწერე. აჲა, შვილო, შენი
 იმედით... შენ რედი.

კველანი ხელმეორედ ატირდნენ. მატარებელი დაიძრა და დვრი-
 ალით წყვდიადს შეერია. კვაჭიმ თვალი მიღულა.

ქობულეთთან გამოიღვია. გათენებულიყო. იქვე მარჯვნივ გა-
 დაშლილიყო შევი ზღვა,—უუზარმაზარი, უსაზღვრო, ტრედისფერი
 სარკე, მოლაპლაპე, სუფთა და ინკარა. მატარებელი ზოგჯერ ზედ

ზღვის პირზე მიჭროდა, ზოგჯერ ოდნავ მარცხნივ ასცდებოდა. ზღვა ყრუდ დრტვინივედა, საარაკო ვეშაპივით ოხრავდა, შიშინებდა და ჰშხუოდა. მატარებელს ხან ერთის მხრით, ხან ორივ მხრით მისდევდა და გვიმრის მწვანე ხეივანი. მარცხნივ პირაღმა მიჭროდნენ სუროთი შემოსილი კლდეები. ტყით დაბურული გორები,—დასერილნი ხევ-ხუვებით და ჩანქერებით,—სუფთა და კონტა აგარიკები, სამოთხი-სებურად მორთული და მოკაზმული ბალჩები და ბალები, კვაჭისთვის უცნობ-უნახავის მცენარეულობით აუქნილულნი. ერთი ხნიერი სტუ-დენტი ელაპარაკებოდა ორს მგზავრს:

— ვერ, ის უზარმაზარი მოთეთრო ხე ვვალიპტუსი გახლავსთ. ციებ-ცხელების წამალია, მან კოლო ძალიან ერიდება, რადგან იმის სუნს ვერ უძლებს... იი, ეს, ვარდისფერად რომ აუქნილულიან, დექა და შეერი გახლავსთ, ეეროპიულად როდოდენდრონი ჰქვიან. ვერ, იქ რომ ხშირად და ტანადად აყრილა, ჩინურ-იაპონური ბამბუკია. ძალიან სისარგებლო რამ არის: ვეჯეს, ქოხებს და ათასნაირ ნივთს აკეთებენ... ეს ჩვენებური სოჭი გახლავსთ—ჰაბიეს ნორდმანიანა... ეს იტალური ფიკვია... ეს ნაძვია... ამას ბიუტას უწოდებენ, ლამაზი და კონტა მცენარე, არა? ეს კვიპაროსია, გეცოდინებათ... ამასც იქნობთ, ჩვენებური ვანდარია... ეს ვერხვია... ეს არის იელი, ანუ ზავეფაფარა, სხევები აზალიას უწოდებენ... ეს ლიმონის და ფორთო-ხალის ბალებია... ეს ჩაის პლანტაციები გახლავსთ... იი, ციხის ძი-რიც. ამ ციხეს რუს-ქართველებმა 1871 წელს მრავალზე უმრავლესი ხალხი შეაწყვიტეს, მაგრამ ოსმალებმა ხელიდან არ გაუშვეს... იი, ჩაქვაც. ექ განთქმული ბოტანიკური ბალია, მეორე ალავი უჭირავს ქვეყანაზე.. პირეველი? პირეველობა მელობურნის ბალს ეკუთხნის, ავ-სტრალიაში გახლავსთ... იი, მახინჯაურშიც მივედით. აი, ფორტე-ბიც. ვერ იქ, მთის წვერზე, ერგეს ფორტია, იქით—ჰამილიო. აქეთ მეგრული, მარჯვნივ, აი, ზღვის პირზე—ბარტანა...

მატარებელმა შეიიღით ჩაურბინა ბარტანას. კვაჭის თავბრუ დაესხა ამ სტუდენტის ყურის სმენით. ჯერ კიდევ ათასი რამ იყო თურმე კვაჭისთვის მისავე სამშობლოში,—სამტრედიისა და ქუთასის გვერდით—უცნობი, უნახავი და გაუგონარი.

მგზავრები ვაგონის ფანჯრებს ეხვეოდნენ, მარჯვნივ და მარ-ცხნივ გადაშლილ სამოთხეს გადასცეკრონენ და თავიანთ ალტაცე-ბას და გავვირვებას ხმამალლა გამოსთვამდნენ. კვაჭისაც ძალიან მოსწონდა ის ბალები და აგარაჯები, მაგრამ მას ვერ გაეგო და ვერ ეგრძნო ზოგი მგზავრის გიურუ სიხარული და ბავშვური ქრიამული წინაშე თვალწარმტაც ბუნებისა და უთავბოლო, მოუსვენარ და

მრისხანე ზღვისა. შორიდან ზღვა ლამაზი იყო, მაგრამ კვაჭიმ ალომ აუღო იმის ცერაგობას, მუხთილობას, მოლალატურს ცვალებადობას და წინდაწინვე აივს მის წინაშე შიშით, ძრწოლით და უნდობლობით.

მატარებელმა ბარცხანას ჩაუქროლა, მერე სირბილს უკლო და დინჯად მისცურდა ბათომის სადგურს. კვაჭი ბაქანზე ჩამოვიდა, მიიარ-მოიარა და ათიოდე ქუთათურ სტუდენტს შეპხვდა. ტფილისე-ლებიც მრავლად იყვნენ. ერთმანეთი გაიცნეს, ამბავი გამოიყიოხეს და გადასწყვიტეს ბათომის დათვალიერება. ბარგი სადგურზე მიაბარეს და ქალაქს მოედვნენ.

გემი შუალამეს გადიოდა. კვაჭის რამდენიმე ამხანავი აჰყვა. ქუქებში მიიარ-მოიარეს, ნახეს ქალაქის ბალი, დიდხანს ისეირნეს ზღვის პირის ხეივანზე, აათვალ-ჩაათვალიერეს ფორტი ბურუნტაბიე, აზიზიეს მეჩითი და, ბოლოს, ნავთსადგურში გავიდნენ, რომელიც სავსე იყო ნავებით, იალქნიან ხომალდებით და ორთქლის გემებით. იქვე იდგა გრძელი, მაღალი და კოხტა „პუშკინი“. მგზავრები უკვე ასულიყვნენ და ბაქანზე დასეირნობდნენ. გემი იტვირთებოდა, ირკუებოდა, პბოლავდა და სამგზავროდ ემზადებოდა.

ზოგი ჰკვირიობლნენ ყველაფერს: სუფთა ქალაქს, კოხტა ბულვარს, უცხო მცენარეულობას, უუზარმაზარ ზღვას, ხომალდებს და გემებს. კვაჭი კი გულმშვიდად იყო და ისე არხეინად, დინჯად და ზედაპირულად ათვალიერებდა. ყველაფერს, თითქოს იმისთვის აქ უცნობი და უნახავი არაფერი იყოო. სალამო კამზე კვაჭიმ მეორე კლასის ბილეთი იყიდა და გემზე ავიდა. პირველი და მეორე კლასის სუფთა ბაქანზე მგზავრები დასეირნობდნენ.

თბილი სალამო იყო. ზღვისპირი ელექტროს ლარით იყო გაკაშებული, ნავთსადგური წითელი, მწვანე, ყვითელი და მოთეთრო ცეცხლით იყო აქრელებული. კუპრიკით შავი ზღვა ამ ცეცხლის ანარეკლით ლაპლაპებდა. ნავთსადგური ხშირად ისერებოდა ნავებით; იქიდან ქართულ-რუსული სიმღერა, ურიამული და სიცილ-კისკისი მოისმოდა.

უცებ გემს სტუდენტებით გაჭედილი ათიოდე ეტლი მოადგა. სტუდენტებმა ყვირილით, ყიეინით და უივილ-ხივილით იერიში მიიანეს იმ გემზე, თითქოს იგი აბორდაეთ აიღესო. აცვივდნენ და ისე მოედვნენ ბაქანს, როგორც საქუთარს ეზოს. მალე ისევ შეიკრიბნენ გემის ცხვირზე, სალამური აასტვინეს, დოლი ააბრახუნეს, ტაში ასტეხეს და გიური ლეკური დაუარეს, თან ჰყვიროდნენ:

— ტაში-ტუში! ტაში-ტუში!

კაპიტანმა სცადა მათი შენელება, მაგრამ გაწბილებული დაბრუნდა. ბუტბუტებდა და მგზავრებს შესჩიოდა:

— ველურები არიან, ნამდვილი ველურები არიან! ვიცა, აქაურობას აიკლებენ. თუ ეტყვი რასმე, ყველანი მუშტებზე იცქირებიან, შეიძლება, მუცელში ხანჯალიც მატაკონ.

კვაჭიმ გაიღიმა და კვერი დაუკრა:

— მართალს ბრძანებოთ. ნამდვილი ველურები არიან. მე კარგად ვიცნობ მაგ ხალხს.

მგზავრები და კაპიტანი კვაჭის მოუბრუნდნენ:

— ვანა თქვენ ქართველი არა ბრძანდებით?

· კვაჭის მზად არ ჰქონდა პისუხი, ამიტომ ოდნავ აირია და წიგნორძიება.

— ჰმ.. დიალ.. მაგრამ... ქართველების ნათესავი გახლავართ. მამით გურული ვარ, დედით—მეგრელი, აღზრდა-დაბადებით—იმერელი. ნათესავები ვართ ქართველებისა, მაგრამ... მაინც... მეგრელებს და ქართველებს ერთმანეთის ენა არც კი ესმით.

კაპიტანმა და ერთმა მოხელემ კვაჭის ნალაპარაკევი სწორედ ვიგებს: ენა აიხსნეს, დაიმკლავეს, მორიდების ტანისამოსი გაიხადეს, ზრდილობის პირბადე ჩამოიხსნეს და ერთი საათი წუმპეში ავორავეს კვაჭის ამხანავები და მათი ნათესავები. კვაჭი თანხმობის ნიშად წამდაუწეუმ თავს იქნევდა:

— დიალ... სრული სიმართლეა... ყველანი ლოთები, ყაჩაღები, ტერორისტები და შანტაჟისტები არიან... დიალ, კარგად გცნობიათ.. მაგდენ სტუდენტობიდან ნახევარსაც არ ექნება წესიერად გიმაზია გათავებული. დიპლომები ან ყალბი, ან მუქარით აქვთ მიღებული, ან ფულით აქვთ ნაყიდი.. ვინ იცის, რამდენია მათში მხარცველი, ალფონსი და ბავშვების მტაცებელი!

და ხუთიოდე მაგალითი უამბო, ზოგი მართალი და ზოგიც მოჟორილი. ბოლოს დაუმატა:

— ისიც მოგეხსენებათ, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოჯახს, აღზრდას, ტრადიციას, მორწმუნეობას. მაგათ არც ოჯახი აქვთ, არც აღზრდა, არც ტრადიცია სწამო, არც ღმერთი. არც ეშმაკი.

მსმენელებმა რომ თავიანთის ჭულის და რწმენის კაცი იპოვნეს, უფრო მიიწიეს კვაჭისკვენ, უფრო მოუშვეს ენას, ერთმანეთი აიყოლეს და ერთმანეთს თავიანთი გულნადები გადლუშალეს. ბოლოს კაპიტანმა ჰქიოთხა კვაჭის:

— ბოდიშვილი.. მსურს გავიცნო ასეთი ჰქუიანი და პატიოსანი ახალგაზრდა. მე სიდოროვი გახლავართ.

— დიდად სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, დიდად! თავადი კვაჭანტირაძე გახლავართ.

და სილიბისტროს შეიღმა ყველას ნამდვილ თავადურის მე-დიდურობით ჩამოართვა ხელი:

კვაჭის კარგი ხანს ენაზე სიტყვა „მარშალი“ უტრიალებდა, მა-გრამ რაკი არავინ გაუტედა მისი სოციალური მდგომარეობის შესა-ხებ პირდაპირი გამოყითხვა, კვაჭიმ დრო იხელთა და გაეკრით, სხვა-თა შორის, თვითონ ჩაურთო ლაპარაკში:

— მამა ჩემმა ვეღარ გაუტლო ასეთს გახრწნილ ხალხს და რამდენ-ჯერმე თავი დაანება თანამდებობას, — თავით-აზნაურთა მარშალი გახლავსთ, — მაგრამ თითქმის ძალით დააბრუნეს. ეხლაც უსსყიდ-ლოდ მსახურობს. პირიქით, ბეგრი თივისიც ეხარჯება ამ სამსახურში. ეს კიდევ არაფერი. ყველა ოხოულობს იმისგან ათასნაირ სიყალბეს: სა-მხედრო ბეგრისგან განთავისუფლებას, ყალბ მოწმობის მიცემას და ათა-სნაირ ჰარამზადობას, მაგრამ მამა ჩემი სხვა ოჯახის შეიღმია და სხვანაი-რად ესმის მას მეუის, სამშობლოსი და თავად-აზნაურთა სამსახური. მა-ხსოვს რამდენიმე შემთხვევა...

და „თავადმა“ კვაჭიმ რამდენიმე მაგალითი მოუთხრო თავისი მამის — „თავად-აზნაურთა მარშალის“ — ერთგული სამსახურისა, უალ-რესის, რომაულ სიმტკიცისა, იშეიათ პატიოსნებისა და ქართველთა გახრწნილების, ზნეობრივ სიმდაბლის, გონებრივ ველურობისა და უუსახლვორ უმაღლებობისა. ბოლოს, გახშმის ზარმა ძლიერ დაუბა კვა-ჭის ენა, ყველანი სასადილოსკენ დაიძრნენ, თან ნაწყვეტ-ნაწყვე-ტად ისროდნენ:

— საშინელი ხალხია, საშინელი!.. ერთი დღით რომ აუშევათ, მხეცებივით ერთმანეთს დასჭამენ... მაინც სახიფათო დროში ეს ცეკვ-რობო... ღმერთო გვიშველე! ღმერთო გვიხსენი!

გახშმად კვაჭის ერთი მხრით ჰყავდა ახალგაზრდა, ტანადი, ქერა ადესელი ფარშევანგი, მეორე მხრით — კაპიტანი სიდოროვი. როცა კვაჭის მეზობლებმა გაიგეს, რომ თავადი კვაჭი ადესაში მი-დიოდა, ორივეს ძალიან გაუხარდათ. ბოლოს, კაპიტანმა სოხოვა კვა-ჭის:

— თუ პატიოს დამდებთ, დიდის სიმოვნებით დაგითმობთ ჩემს ოჯახში ერთს ან ორ ოთახს. არ მიჰირს, მაგრამ თქვენისთანა ჰქუი-ანი და ბრწყინვალე ოჯახის-შეიღმისთვის დავთმობ. ცუდი დროა.

სახიფათო დროა. ოჯახში მამაკაცი არა მყავს. თქვენისთანა ვაუკაცი რომ ჩამისახლდება, არხევინად ვიქწები.

კვაჭიმ ლაპარაკი მოსპო თავის თავადობის, სილიბისტროს მარზღვობისა და თავის ხალხის გარყვნილებაზე, რადგან მოვახშეთა შორის ათოდე სტუდენტიც ჩერია, და მთელის ძალონით, მახვილის ჭუით, თავაზიანობით, თაფლის ენით, შაქრის ხმით და მეტყველის თვალებით იერიში მიიტანა ქერა ფარშევანგზე და ერთ საათში უკვე აიღო პივრელი რიგი ადგესური ციხისა.

გახშამი რომ ვაათვეს, ისევ ბაქანზე ავიდნენ. გემმა მესამეჯერ დაილრიალა. გამცილებელნი ჩავიდნენ, უკანასკნელი მგზავრები და დაგვიანებული მეზღვაურნი ამოვიდნენ; ტრაპი აალაგეს, ლუბა ამოილეს და, წვივის სისქე ლვედებით დაბმული, ვემი აუმვეს.

გემის კუდის ძირში ბურლი ატრიალდა, წყალი აჩქეფდა და მანქანებმა რაკა-რუკი ასტეხეს. გემი ნაპირს დინჯად მოსწყდა, ნაეთ საფურის შუაგულში ნელ-ნელა გაცურდა, იქ ძლივს-ძლივობით მოტრიალდა და ცხვირი შუა ზღვის მისცა.

მანქანებმა რაკა-რუკს უმატეს, მერე ბათქა-ბუთქი ასტეხეს: ცეცხლის ვეშაპივით ჰქმინავდნენ, ოხრავდნენ და დუღუნებდნენ. ვემი ოდნავ თრთოდა; მედიდურად, მძლავრად და ხაჩბად ჰლევდა წყვდიადს; შეუილით სკრიდა კუპრივით შავს, უძიროს და უსაზღვრო ზღვას, რომელიც სიბნელეში ოდნავ ჰკვნესოდა, შეაპუნობდა და შრიალებდა. ბათომის ნავთსადეგურის ცეცხლის ლარი ოდნავ-ლა მოსჩანდა. უკვე მიყუჩებულ გემის ბაქანს ორს ანდაზე ჩამოვიდებული რიგი დიდი ელექტროს ლამფა ანათებდა.

აღმოსავლეთით მარის ვარსკვლავი აციმციმდა. კვაჭი კვაჭანტირაძე მარტოდ-მარტო იდგა გემის ცხვირზე და ყურს უგდებდა ზღვის შეუილს, გემის ზანზარს, მანქანების ბაქა-ბუქს; გასცეუროდა შავს და განუკვრეტელ სიცრცეს, უთვალავ, მოციმციმე ვარსკვლავებით მოპედილ ცის გუმბათს და ეგონა, ჰფიქრობდა, მოელოდა და ჰგრძნობდა, რომ კვაჭისთვის, მხოლოდ კვაჭისთვის იყო გაჩენილი ეს უსაზანზარი და უსაზღვრო ქვეყანა; რომ იგი ქვეყანა იმას, სამტრედიელ სილიბისტროს შვილს, კვაჭი კვაჭანტირაძეს, მოუთმენლად მოელოდა; რომ საიდუმლო და თვალუწვდენელ რუსეთში ყველანი და ყველაფერი იმრსთვის იყვნენ გამზადებულნი და ერთ უბედო ქალივით ნატრულობდნენ და მოელოდნენ საზღაპრო ბრწყინვალე თავადს: მარმარილოს სასახლენი, თავდახრილი მონა-მოსამსახურენი, ძველი საუკეთესო ღვინო-ლიკიორები, ფრანგი შაარეულები, ინგლისური და არაბული ცხენები, გაკრიალებული ავტომობილები, ყოველნაირ

ტომისა, ტანის და ფერის უულამაზესი, მჩეთუნახავი ქალები, სა-
საუთარი, სპილოს ძვლის ვაგონი, ატლასით, ფარჩით და ხავერდით
მორთული გემი—იახტა, ხარისხი ჰერცოგის, თანამდებობა ჰოფმარშა-
ლისა, ხელისუფლება მეფისა და... ფული, ფული და ფული!—უთვა-
ლავი და გამოულეველი ფული, ვინაიდან სილიბისტროს შეილს კარ-
გად, მტკიცედ, ლრმად და ურყევად სწამდა, რომ ამ ქვეყნის ლერ-
ძი და დედა ბოძი მხოლოდ და მხოლოდ ფულია, ხოლო დანარჩე-
ნი, რაც ამ ქვეყნად არსებობს, მთელი მსოფლიოს სული, გული და
ხორცი—უკლებლივ—ფულის მტკერია, მისი ყურმოჭრილი მონა-
მორჩილია და ყოველივე ისევე იყიდება, როგორც ის ერთი წყვი-
ლი საცვალი, რომელიც კვაჭიმ იმ დღეს ბათომში იყიდა.

კვაჭიმ აღმოსავლეთისკენ ცისქარი დაინახა და იმ მნათობს
თვეალი გაუშტრია, დააცემერდა და ჩაციცედა. მერე ორივემ ერთმა-
ნეთს მეგობრულის და ძმა-ბიჭურის ლიმილით გაულიმეს.

— აპა, ჩემი ვარსკვლავი! აპა, ჩემი მფარველი და თანამგზავრი!
— წამიიძახა გულში კვაჭიმ და ხელი დაუქნია, სალამი მისცა თვის
მეგობარს, რომელმაც კვაჭის თვალი ჩაუკრა, გული გაუკეთა, და-
აჯერა და დააიმედა, რომ მისი ოცნება და ნატვრა მაღლ ასრულ-
დებოდა.

და კვაჭი კვაჭანტირაძეც ამ მტკიცე რწმენით და ლრმა იმე-
დით მისურავდა და მიჭროდა თვისს ახალ სამეფოსკენ, სადაც მას
მოელოდა უხილავი, უცნობი, საარაკო, საყვარელი და უმანკო, ტურ-
ფა და მჩეთუნახავი საბედო.

**აქა ამბავი მეგობართა შეხვედრისა, ცოტაოდენ
ფულას მოგებისა და პირველ საბედოს პოვნისა.**

დილით კვაჭი ისევ ბაქანზე იმოვიდა. გემი ფოთში იდგა. კვა-
ჭიმ მიიარ-მიიარა, მიიხედ-მიიხედა, მერე უცებ ისევ კაიტაში ჩა-
ვარდა და გემის წასვლამდის ჩაკეტილში იჯდა. მიზეზი კვაჭის და-
ფეთებისა უბრალო იყო: ნაპირზე იმან თვალი მოჰკრა ინექნერს
არუთინოვს, რომელსაც ქუთაისში კვაჭიმ მაიხელსონის როიალი მი-
ჰყიდა.

ხიფათი რომ აიცდინა, ისევ ბაქანზე ავიდა. კოხტად ჩაცმული
იყო. იქაურობას უხვად მიაბნ-მოაბნია მზიური სინათლე და სამუშარი
ლიმილი. კაპიტანმა მეგობრულად ჩამოართვა ხელი, მოხუცმა მოხ-
ლებ მოწიწებით მოუდრიყა კისერი, ქალებმა სიამოვნებით გაულიმეს,
თვალის შუქი შეანათეს და მიიზიდეს.

კაპიტანშა კვაჭის პეითხა:

— ბოდიშს ვიხდი. თქვენი და თქვენი მამის სახელი?

კვაჭის მეტრიკაში ჩაწერილი ჰქონდა: „ანაპოდისტ სილვესტროვინი“, მაგრამ ეს ქრისტიანული სახელი იშვიათად თუ იცოდა ვინმერ. კვაჭი დიდი ხანია იტანჯებოდა ამ პროზაულ სახელით, რუსების ყურს „კვაჭიც“ ეხამუშებოდა, ამიტომ მან უმაღლ ახალი სახელი დაირქვა:

— ნაპოლეონ აპოლონიჩ.

ამ სახელის გავონებაზე ცველანი ვამხიარულდნენ. ქერა შეუზნახავმა მოიწონა:

— ნაპოლეონის რა მოგახსენოთ, აპოლონს კი ძალიან ჰქონებართ.

და ისე აათვალიერ-ჩაათვალიერა კვაჭი, ისე დააცქერდა და გაზიმა, თითქოს ორი დღის უქმელი იყო და ცხელ მწვადს თვალით დააკვდაო.

კვაჭიმ მაშინვე ვაღუხადა ვალი:

— მე აპოლონისა მხოლოდ ნეკი მაქეს, თქვენ კი თმის წვერებით ფეხის ფჩხილებამდე აფროდიტა ბრძანდებით.

ასე შეკუნენ და ასეთი ქება-დიდება შესახეს ერთმანეთს.

იმ დღიდან კვაჭის უცხოთა შორის სამუდამოდ შერჩა ეს სახელი. ზოგი ნაპოლეონს ეძახდნენ, ზოგი—აპოლონს, ქლები კი—აპოლონჩიკს.

გვმის ბაქანი თანდათან აივსო გამოფხიზლებულ სტუდენტებით. გუშინდებურად აღარ ხმაურობდნენ და არ დახტოვდნენ. გვემზე მაინც მხოლოდ ისინი მოსჩანდნენ და მხოლოდ მათი ხმა ისმოდა. ჯგუფებად იქრიბებოდნენ, თამამად იცინოდნენ, ოხუნჯობდნენ, ლალობდნენ და ზღვას და მხეს შესკინოდნენ.

კვაჭი ერთ ჯგუფში ჩაერია. ნაცნობებს მიესალმა და უცნობი გაიცნო:

— გთხოვთ მიცნობდეთ: კვაჭანტირაძე გახლივართ.

— ჰამე? კვაჭანტირაძე თქვენა ბრძანდებით? ვა, თბილისში თქვენზე ათასი ქება გამიგია, რაღა! მეც სედრაკ ჰავლაბრიანი გახლივართ. მშვიდობაში ჩვენი გაცნობა!

— გაბო ჩხუბიშვილი ვარ! — ისე ამოიხრიალა ერთმა მოუხე-შავმა კამეჩმა, თითქოს ქვევრის ძირიდან ამოიძახო.

— საბახ ხეიო ოლსუნ, კნაზ კვაჩანთირაძე! — გაუბედავად დაუძახ კვაჭის განზე გამდგარმა ახოვანმა ჯალილამ და ცხენის კბილები გააკრიალა.

- ჯალილ, შენც აქა ხარ? სად მიდიხარ?
- ადესაში, სოტა ხილი და რახპატ-ლუხუმი უნდა გავყიდ.
- იქნება სოტა ფული გავაქეთო.
- სად იყავი აქამდის, ჯალილ?
- ტიფლისში სავედი, სოტა საქონელი სამოვილე.
- როგორა ხარ, კუაჭი? — მოიკითხა ჩიკინჯილაძემ, რომელიც
ფოთში ავიდა გემზე.
- ისთვ, არც აქეთ, არც იქეთ.
- მაინც? ხომ ყოჩალად დადიხარ?

— მაღლობა უფალსა. არც ისთვ ყოჩალად დავდიგარ, რავარც
ჩემს მეგრბრებს უნდათ, ზარა არც ისთვ ცუდად ვარ, რავარც ჩემს
მტრებს ჭიროთ.

ის სტუდენტიც. — თედო ყორანაშვილი, — რომელიც ბათო-
მის მიღამოებში რუსულ-ქართულ-ლათინურ ტერმინებს პანტას-
კით ისროდა, იქვე სტრიალებდა. ებლაც იმან ჩაიგდო იმ ჯვუფში
ლაპარაკის ძაფი.

— ეს ზაფხულიც კარგად გამოვიყენე. შარშანწის არხოტის გა-
დისავალი გადავლახე, შარშან ყაზბეგისა, წლეულს — მამისონისა.
გარდა ამისა, სვანეთშიც ვიყავი. ჩემი კოლექცია ერთი ორად ვა-
მდიდრდა.

კვაჭი ყურს უგდებდა ახალგაზრდა მოგზაურის ლაპარაკს და
სტრილობდა ბასისის ხასიათის შეცვლას, მაგრამ ჯერ-ჯერობით იმ
სტუდენტს სიტყვის ძაფი ვერ ჩამოართვა.

— ქვეყანაზე არსად მოიპოვება უქბასავით ლამაზი მთა. მისი
სიმაღლე? ყველაზე მაღალი იალბუზია — 18410 ფუტი აქეს. მას მო-
სდევს დიხ-თაუ — 17054, მერე არარათი, მერე ქაშთანთაუ, მეხუ-
თეა მყინვარი, მას მოსდევს გისთოლა, მეშვიდე უქბა გახლავსთ —
15408 ფუტი აქეს, მაგრამ იგი კავკასიონის ქედის მშვენებაა, მისი
გვირგვინია. თან შტაბის რუქა მქონდა; იგი ზოგან შევასწორე... ვიპო-
30 სოჭის ახალი ჯიში, ლათინურად დავარქვი „პაბიეს ნორდმანია
შეორევია“... მომავალ ზაფხულში უნდა გადაელახო გლუხორის გა-
დასავალი... მოგზაურობა? არა, ეგ ჩვენი ხაქმე არ არის. სამი წე-
ლიწადია თანამგზავრებს ვეძებ. ერთი ქართველიც ვერ ვიპოვნე.
ისევ უცხოელები გამომყენენ... მაგიტომ მოხდა, რომ ვერმანელებმა,
ინგლისელებმა და რუსებმაც კი საქართველო ქართველებზე უკეთე-
სად იციან. გურული სამეცნიეროში არ დადის, მეგრელი—ქახეთში, კახე-
ლი—იმერეთში, ხოლო ბორჩალოს, ჯავახეთს, მესხეთსა და აჭარა-კა-
ნეთში არც ამერელი შეიხედავს, არც იმერელი... ერთი მტკაველი

მიწა გვაქვს, ერთი მუჭა ხალხი ვართ, ჯერ ჩეენი თავიც არ გვიცნია, ჩეენ კი ქეყანას ვეკიდებით და მის გადაბრუნებას ვლამობთ...

კვაჭის მოსწყინდა ამ ცოცხალი ენციკლოპედიის ყურის გლება. მისი სიტყვა და აზრი კვაჭის გულს არ ჰქვდებოდა და იმისს ტვინს არ ეთვისებოდა. ამიტომ იგი მეორე ჯგუფში ჩაერია. აქ ხუთიოდე ახალგაზრდა მამლაყინწებივით დასტაკებოდნენ ერთმანეთს და ცხარედ, ფიცხად, შხამით და გესლით სეტყვასავით ახლიდნენ და აყრიდნენ ერთი-მეორეს:

— ფედერაცია... აეტონომია... სოციალიზაცია... ნაციონალიზაცია... მუნიციპალიზაცია... მონიზმი... მატერიალიზმი... იდეალიზმი...

სხვები განხე იდგნენ. ზოგნი ყურს უგდებდნენ, ზოგნი მუსაი-ფობდნენ. ბესო შიქიაც იქ იყო, ისიც ფოთში ამოსულიყო იმ გემზე.

კვაჭიმ აქედანაც მალე გადინაცვლა ფეხი და მესამე ჯგუფში ჩაერია. აქ მსუქან და მხიარულ სტუდენტებს მოეყარნათ თავი. მათი ლალი სიცილი, ბოხი ხარხარი, თავდაუჭერელი ოხუჯობა და ჰავ-ლაბრული ლაზლანდარობა იქოურობას აყრუებდა. კვაჭიმ უმაღ იგრძნო და იპოვნა თავისი შესაფერი ადგილი, კალაპოტი, ნათესავები და ტოლ-ამხანაგები. უმაღ ჩაერია, აჟყა და აიყოლა. მხოლოდ ერთი რამ არ მოსწონდა კვაჭის, ერთი რამ ეხამუშებოდა იმის ნაზს ბუნებას, ერთი რამ ვერ შეიშვნია და ვერ შეითვისა ზრდილობიანმა და თავაზიანმა კვაჭიმ: ოხუჯობის ჰავლაბრული კილო, ხეპრული პირდაპირობა და უხეში გამოთქმა. სედრაკ ჰავლაბრიანმა პირი მოიხსნა და მრავალზე უმრავლესი ამბავი და იგავ-არაკი სთქვა ქალ-ვაჟთა ურთიერთობის, კინტოვების ჯიბგირობასა და სალახანობაზე.

სოხუმში რომ მივიდნენ, კვაჭის კვლავ მოესმა ყორანაშვილის ცონბები შესახებ აფხაზეთ-საქართველოს ისტორიის, ბიჭვინთის, „სინოპის“ ბალისა და სოხუმის სანატორიუმების.

ცხელი, მზიანი დღე იდგა. ბულით გაეღლენთილი და მოწმენდილი ცა თითქოს იწვოდა. ზღვის ეძინა. მარჯვნივ ცამდის აღმართულიყო კავკასიონის ქედი; მისი მუქი, დაბურული მწვანე კალთები ზღვის დასწაფებოდნენ, შიგ იხედებოდნენ, თავიანთ თაქს ათვალიერებდნენ. წყალიც მეტად მუქი და მომწვანო იყო. გემს თან მისდევდნენ ზღვის ლორები, რომელიც წამდაუშუმ ჰაერში კამარას აჟრავდნენ, მერე ისევ ჩაიყურუუმელავებდნენ და გათლილ ცხვირით მარდად და რხევით წყალს სჭრიდნენ, თან გემიდან გადმოყრილ ნაყარ-ნუყარს იქრდნენ.

გემს მრავლად დასტრიალებდნენ ზღვის თეთრი ფრინველები—
ალბატროსი, ტიფი და პელიკანი.

ლილიდან სტუდენტებში ერთი მგზავრი გაერია — შეახნის, შუატანის, ჩასხმული და შავგვრემანი.

ბესო შიქიამ კვაჭის ჩასჩურჩულა:

— იმ კაცს პრეფერანსის თამაში უნდა. შენვე ითამაშე.

მერე ისევ იჩურჩულებს, კაიუტაში ჩავიდნენ და ქალალდი მოთხოვეს. ოთხი თამაშობდნენ, თან ღვინოს და ხილს მიირთმევდნენ. კვაჭი, ბესო და ლადი ჩიკინჯილაძე თამაშის დროს ხშირად ჩაურ-თავდნენ ხოლმე ქართულს:

— დიღი ყვავი... პატარა აგური... ჯერის კიქო... მაცა... არ
გამომეტეთო...

თან მაგილის ქვეშ ერთმანეთს ფეხებითაც ანიშნებდნენ.

კოლია უურიამ ცოტა ხნით კაიუტაში შემოიხდა, ამ ლაპარაკს ყური მოჰკრა და ამხანავებს ქართულადვე უთხრა:

— ლადი, სირცხვილია!

— შენი საქმე არ არის... რა დროის სირცევილია, ძლიერ ჩავი-
გდეთ ხელში ორაგული... წადი, ძმაო, სხვის საქმეში ნუ ერევი.. წა-
დი, გვისეირნე, ინ ლექსი წეიკითხე...

თამაში გათავდა. მოგება და წაგება დასთვალეს. მხოლოდ უცნობმა წააგო. სხვებმა კი მოიგეს. მან თვისი წაგება ოცი მანეთი იანგარიშა, მოგება კი ხუთასი გამოყიდა.

— მოითმინეთ, ჩვენ რამდენიანს ვთამაშობდით?

— По пятой! — сказала Елизавета.

— Не по пятой, а по пяти, — განმარტა ბესომ*).

სხვებმა () დაადასტურეს.

— მაშ მოგება წაგების უდრის. ინებეთ! — და უცნობმა ხუთი ასი-
ანი ამოილო. სამივემ ის მოგება გაიყვეს და აიშალნენ. სწორედ ამ
დროს შემოვიდა ყორანაშვილი და იმ უცნობს ქართულად ჰქითხა:

— აქ ბრძანდებით? გაათავეთ? ვინ წააგო?

— დიალ, გავათავეთ. ცოტა წავაგე. მოგწყინდათ უჩემოდ განა! — უპასუხა წმინდა ქართულით უცნობმა და წამოდგა. მერე სტუდენტებს მიუბრუნდა:

*) პრეფერანსის თამაშის მოყენება-წაგების რაოდენობა დამკიდებულია წინასწარ შეთანხმებაზე. თუ შეთანხმდნენ კაპეიჯის ერთ მეტყველზე (по пятиой), წაგებულის თითო ფიზიკურის $\frac{1}{5}$, კა. თუ სულ კაპეიჯზე (по пяти), იგი უდრის ხუთ კაპეიჯს, ე. ი. 25-ჯერ მეტს.

— დიდი მაღლობელი ვარ ღროს გატარებისთვის. გთხოვთ მიც-ნობდეთ, ბაგრატ დავითაშვილი გახლავართ! — ყველას ხელი ჩამოართვა და დაუშატა: — გთხოვთ პატივი მცეთ და სადილზე მეტვიოთ. დღეს ყველა სტუდენტები ჩემი სტუმრები ბრძანდებით. ნახვამდის, ბატონებო! — და გავიდა.

კაიუტაში სამი პირდალებული სტუდენტი დარჩა. ხან გაწითლ-დნენ, ხან გაფითორდნენ, თან ბუტბუტებდნენ:

— მე ურია მეგონა... მე რუსი მეგონა... გეიგო, ყოლიფერი გეიგო, მაგრამ ხმა არ ამეილო... წაგებულიც გადიხადა... რა ვქნათ?.. როგორ მევიქცეთ?..

წაიკიდნენ და წაიკამთეს. ერთმანეთს აბრალებდნენ, თან სიტუაციის ოფლში იწურებოდნენ. ბოლოს სამივენი დავითაშვილ-თან მივიდნენ და მოგებული ფული ლულლულით უკანვე შესთავაზეს:

— გაუგებრობა მოხდა... არ გვეგონა, რომ ქართველი ბრძან-დებოდით... ცოტა უწესოდ ვთამაშობდით...

დავითაშვილმა ლიმილით და ალერსით დაამშეიდა:

— ნუ შესწუხდებით. თამაში წესიერად დასრულდა. ფული ჯი-ბეში ჩაიდეთ, დაგპირდებათ. მე იმდენი მაქვს, რომ ეგ ფული ჩემ-თვის ერთი, წვეთია, თქვენ კი წიგნებს იყიდით... არა, არა, ნუ სწუხდებით... ნუ მაწყენინებთ. სადილის დროა, წამობრძანდით.

სასადილო გაიქედა სტუდენტებით, დუდუკის ბუტბუტით, დო-ლის ბრახა-ბრუხით, „ტაში-ტუშის“ ყვირილით, „მრავალ-უამიერის“ გუგუნით, ჭურჭლის ჭაბა-ჭუხით, სიცილ-ხარხარით და მჭერმეტყვე-ლებით.

ბოლოს, კვაჭიმაც მოითხოვა სიტყვა. მასპინძელს ხოტბა შეას-ხა, ყველანი გაიტაცა, აალელვა, ცეცხლი მოიკიდა და სხვებსაც მო-უკიდა.

— ბატონებო! მეგობრებო! — მოუწოდა მან დასასრულს: — ცხოვ-რება ყველას მოგვერევა და დაგვჯაბის, დაგვწვავს და გაგვთელავს, სისხლით და ცრემლით გვატირებს, მაგრამ ერთში მაინც ვერ მო-გვლუბავს, ვერ მოგვდრებს: ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენ დაბადე-ბითვე თან მოგვდევს რაინდობა და ვაჟეაცობა, ჩვენს ძარღვებში სჩქეფს კეთილშობილური სისხლი, ჩვენ დედის ძუძუსთან ერთად მოგვიწოვია შეგნება და გრძნობა პატიოსნების, ძმობისა და ამხანა-გობისა. ჩვენ ქვალ-რბილში გვაქეს გამჯდარი შეგნება წმინდა მოვა-ლებისა წინაშე ერთმანეთისა და ჩვენი ტურფა საქართველოსი. დუხჭირი ცხოვრება ყველაფერს წაგვართმევს, ჭაბუკობის ყვავილს დაგვიჭნობს და მზესაც დაგვიბნელებს, მაგრამ რაინდობაზე, ვაუ-

კაცობაზე, პატიოსნებაზე და კეთილშობილებაზე ვერასოდეს ხელს ვერ აგვაღებინებს! ვერა—ასო—ოდეს! ვერა—ასო—ოდე—ეს!!! მე-გობრებო! ბატონებო! ამხანაგებო! გთხოვთ დასკალოთ სადღეგრძელო ამ პატიოსნების, ამ ვაჟაცობის, რაინდობის და კეთილშობილების საუკეთესო წარმომადგენლისა, დღევანდელი ჩვენი მასპინძელისა, გულუხვის, პურმარილიანის და ხელგაშლილ ქართველისა—ბაგრატ დავითაშვილისა! ვაშა სასიქადულო მამულიშვილს! ვაშა ამის კაცურ კაცობას! ვაშა საქართველოს, რომელმაც ასეთი შეილი გავიზარდა!

— ვაშა-ა! ვაშა-ა-ა! ვაშა-ა-ა! — გრიალებდა გაჭედილი დარბაზი.

დუღუკი ტუში უკრავდა, ჭიქებს ჭახა-ჭუხი გაჭქონდათ; ყველანი აიშალნენ და აირიცნენ; ზოგნი დავითაშვილს პკოცნიდნენ, ზოგნი—ქაჭანტირაძეს, ზოგნი კიდევ—ერთმანეთს. ტუში ლეკური მოჰკვა, ლეკურს—დავლური; მერე ყველაფერი და ყველანი ერთმანეთში აირიცნენ.

სალიმოზე შავი ზღვის იმ კუთხეში განთქმული ნორდ-ოსტის ქარიშხალი ამოვარდა. მთვრალი გემი ჭრიჭინებდა, ჰკენესოდა და ნაფარტივით ადიოდ-ჩადიოდა. ნასმევი-ნაჭმევით და ნაქარიშხალევით წაიბილწა და წაირყვნა მოკრიალებული „პუშკინი“. მოსამსახურენი ძლივს ასწრებდნენ იმის გარეცხვას, თან წამდვილ რუსულ გინებით იგინებოდნენ.

მეორე დღეს ყველანი იმ ღამის ფათერიკს მხოლოდ ქარიშხალს აბრალებდნენ.

დილით „პუშკინი“ დიდის წვალებით, ქანაობით და ყირამალა დგომით ნოვორასისეში შევიდა. ტრაპი რომ მოადგეს, გემზე ქუთათელმა ჭიპი ჭიპურირაძემ ამოჰყო თავი. გაიკვირვეს და გაოცდნენ. მაშინვე შემოეხვივნენ:

— გამარჯვება, ჭიპი!... ჭიპი, რავა ხარ?.. ჭიპი, აქანე რა გინდა?

— დალახვროს და დასწყევლოს ამათი თავი და ტანი, აი, ეს მინდა! ეშმაკიც ვეფერს გოუგებს ამ უბედურებს!

— რაშია საქმე, ჭიპი? აქ რამ მოგიყვანა?

— აპა, მაშ ლვანქითში წავსულიყავ?! გაგონილა სამე, რომე ბერლინის უნივერსიტეტი პარიზში იყოს, პარიზის კიდო ლონდონში?! რუსეთში ასთე ყოფილა, რომე თურმე მოსკოვის უნივერსიტეტი კიევში ყოფილა, აპა კიევისა ალბათ ვარშავაში იქნება?!

— რაშია, ბიჭო, საქმე? გაგვაგებიე!.. რა დაგემართა, რა მოგივიდა?

— ლმერთმა ნურაფელი გააგებიოს, ვინც ლამ აგი მოიგონა. ბიჭო, გოუგია ვისმე, რომე ნოვოროსიის უნივერსიტეტი ადესაში იყოს?! ამიზა არ ვამბობ, რომე მოსკოვის უნივერსიტეტი ალბათ ჩოხატაურში ან ბანდაში იქნება თქვა? ნოვოროსიის უნივერსიტეტი ნოვოროსიის ში იქნება თქვა, ვთქვი და წამევედი.

ორმოცი სტუდენტის ხარხარი გაღმა ქალაქს მისწვდა.

— რას იცინით, ყაზილარებო?! მართალს არ ვამბობ, თუ? ხარხარის ხელახალმა გრიალმა გემი შეანძრია.

— იცინეთ, ბიძია, იცინეთ! მე გევიოზიე, თვარა თქვენ „რა გიჭირთ?.. რავა ხარ, კვაჭი? შენი იმედით ვიყავი აქინე, თვარა ზღვაში გადავვარდებოდი... რაიო, სასტუმროში? აპა, მაიზა ფულს დავხარჯავდი! მივედი გიმნაზიის დირექტორთან. შემარცხვინა. რა დროის სირცხვილია, ფული მინდა თქვა! მომცა ოცი მანათი, მეტი რა გზა ჰქონდა. ჩემი ადრესი ჩემიწერა... რაიო? ელოდოს, ბაბუა ჩემი გოუგზავნის. რავა იცინით, თქვე ყაზილარებო?! აქინე რომე დამკიდოთ, ორ მანეთს ვერ მიპოვნით. რომ მქონდეს კიდეც... ჯერედ არ გაუგიუებულვარ, რომ დოვუბრუნო. მერე რა იქნება — ვინ იცის!

ყორანაშეილი ერთ ერთ ჯგუფს ანათლებდა:

— აი, აქვე თუაპსეა. უწინ ნიკოფსია ერქვა. საქართველოს საზღვარი აქ იყო. ისტორიკოსი სწერს: „ნიკოფსიიდან დარუბანდამდისო“... აქვე ჰელენური, ტოლსტოველთა კოლონია... აი, ეს ცემენტის ქარხნებია... იქით აბრაუ-დიურსოს მამულია. მშენიერი ღვინო და შამპანური აქვთ...

კვაჭი იმ ღამეს ისევ ადესელ ქერა ქალს აჲყვა. მისი სახელი და გვარი? რებეკა ისაკის ასული იდელსონი. საიდან მობრძანდება? ტფილისიდან. ვინაობა? რებეკა ჯერ ყოყმანობდა, მერა ენა ამოიდგა, რადგან კვაჭის ისეთი ტებილი, მომხიბლავი და სანდო თვალი და ენა ჰქონდა, რომ ქვასაც კი გულს გაუდელავდა და ენას გაუხსნიდა.

რებეკეს ქმარი ჰყავს; ხნიერი და მდიდარი ადესელი ვაჭარია. უანდარმებმა იქვი მიიტანეს, რევოლუციონერებს დიდალი ფული მისცაო. იდელსონი ტფილისში გაიპარა, მაგრამ გაიგეს და დაიჭირეს. ამის გამო რებეკა ტფილისში იყო. ეხლა იმისს ქმარს ეტაპით ადესაში ჰგავნიან, ხოლო რებეკა გემით სახლში ბრუნდება.... არა, რებეკეს არ უჭირს ფული, თეითონაც სამი დიდი სახლი აქვს ადესაში, მაგრამ... რებეკა მარტოა და გამოუცდელი, ის ეძებს მრჩეველს, დამხმარეს, ნუგაშის მცემელსა და მეგობარს... რებეკა ნუ სტირის?! როგორ არ იტიროს მარტოხელმა დედაკაცმა, დალლილმა

და უნუგეშომ!.. მერე რა ატირებს? რა აწუხებს?! განა კვაჭი აქ
არ არის—რაინდი უმწიფევლო და უშიშარი? ის დაეხმარება საწყალ
რებეკას, ის გაუწევს მას მეგობრობას, ის გაპყება ბოლომდის ამ
საქმეს, ზედ გადაეგება და იქამდის მიპყება, სანამ დროებით და-
ქვრივებულ რებეკას თავის საყვარელ ქმარს არ დაუბრუნებს. ნუ,
ნუ სტირის რებეკა!.. ნუ იღრუბლავს იმ ვარსკვლავოსან თვალებს, თო-
რემ... კვაჭიც ატირდება... კვაჭისაც ელევა ძალონე... კვაჭისაც ერევა
თვალებზე ცრემლი... კვაჭიც სტირის... სტირის და თვალცრემლიან
რებეკას წელზე ხელსა ჰქვევს, თან ფაფუქ ხელებს უკოცნის და
ანუგეშებს.

მართლა ვაუკაცურად ანუგეშა: ჯერ სიმაგრის მეორე რიგი
აიღო, მერე სასტიკ იერიშით უკანასკნელი კოშკი შეანგრია და
უძლეველი ქერა ციხე სავსებით დაიმორჩილა.

— აღა, მომიღლოსავს!—გაულიმა მეორე დილით ჯალილამ კვა-
ჭის.—მაგისთანა „მათუშეას“ ზალიან ზნელიად იშოგნის კასი.

— რას მისცემ ასეთ ქალში, ჯალილ?

— ათი სელისადი სისოსხლე!

კარი მეორე

აქა აშბაგი ამხანაგობის დაარსებისა და მეორე საბე-
დოსთან ჩასახლებისა.

ადესაში ქვაჭი ლანქერონის ქუჩაზე, კაპიტანის სიღოროვის ბინაზე დასახლდა. ხალვათი და კოხტად მორთული ოთახი მისცეს. სიღოროვი მუდმივ ზღვაზე სცხოვრობდა, მუდმივ მგზავრობაში იყო გართული. მისი გემი „პუშკინი“ ორ კვირაში ერთხელ დაბრუნდებოდა ხოლმე ადესაში და სამიოდე დღის შემდეგ ისევ ბათომში მიდიოდა.

სიღოროვს სამი ქალიშვილი ჰყავდა, სამივ მომწიფებული და გასაფრენად მომზადებული. მისი ხეირი მეულე გართული იყო მხოლოდ ორი საქმით, ორი აზრით და მიზნით: ოჯახის მოვლა-პატრონობით და ქალების გათხოვებით. კვაჭი ამ ოჯახში ისე მიიღეს და ჩაისახლეს, როგორც ძვირფასი სტუმარი, როგორც იმ ოჯახის ერთგული მცველი და უფროსი წევრი.

სიღოროვის უნცროსი ქალიშვილი ვერა ტანდაბალი, სრული, ცისთვალი და ცუგრუმელი ქალი იყო. მუდმივ დაპგორაკდა, ფუსფუ-სებდა და უმიზეზოდ იცინოდა. დილით კურსებზე დარბოდა, მერე დედას ჟმელოდა, ხოლო საღამოობით სტუდენტებს მისდევდა.

ვერამ მართლა დაიჯერა კვაჭის უმფროსობა ოჯახში და სამ დღეში გაუშინაურდა: უცინოდა, ეხუმრებოდა და მაშინაც კი არ ერიდებოდა, როცა კვაჭი ჩაუცმელი იყო, ან ლოგინში იწვა. ჩაის ან ყავას შეუტანდა, გვერდით მოუჯდებოდა, ცისფერ თვალებს შეანათებდა და უდარდელ ბელურასავით სკიპპიკობდა. კვაჭი ნამდინარევ თვალებს იფშვნეტდა, იზმორებოდა და ხელებს უწესოდ და უალაგ-ალაგას აფათურებდა. ვერა კვაჭის ხელებს უმშვიდებდა, „კავ-კასკის ხორ“-ით აჯავრებდა, თვითონაც ცოდვილობდა, კვაჭი-საც სტანჯავდა და, ბოლოს, აწითლებული და თმაგაბურძგნული იმ ოთახიდან ძლიერ გავარდებოდა.

ერთხელ ღვინით გაბრუეულმა კვაჭიმ ის ქალი ხელთ იგდო, ბავ-

შეივით აიტაცა და... გონება დაჲკარგა, გაგიქდა და გამხეცდა. ვერა ხელიდან გაუსხლტა და ოთახიდან ბურთივით გაგორდა.

მას აქეთ ვერა კვაჭის ოთახში აღარ შედიოდა და თავის „ძმას“ ისე ერიდებოდა, როგორც უცხოს.

კვაჭის წინათვე გადაწყვეტილი ჰქონდა იურიდიული მეცნიერების შესწავლა. ეს ხელობა—ვექილობა, კანონები და ფინანსები—უფრო ეგუებოდა და ეთვისებოდა კვაჭის ბუნებას, ხასიათს, მიზანს და სულისკვეთებას. ბესო შიქიამ კვაჭი მეორე დღესვე ამ ფაქულტეტზე ჩასწერა. კვაჭიმ და მისმა მეგობრებმა საყიდელ წიგნების სიაც შეადგინეს. კვაჭიმ, შიქიამ და ჭიპურტირაძემ იმდენი წიგნები იყიდეს, რომ შემდეგში ჭიპურტირაძე სამართლიანად იტყოდა ხოლმე:

— იმოდენა წიგნებს ზედაც ვერ გადავახტი, თვარა წაკითხვას და დასწავლას ვიღა ჩინა!

კვაჭის მეგობრებიც იმავ უბანში დასახლდნენ, საცა კვაჭი ბინადრობდა. აღბათ შემთხვევით მოხდა, რომ ჩხუბიშვილისაც და ჰავლაბრიანმაც კვაჭის ქუჩაზე დაიბუდეს. დღე არ გავიდოდა, რომ ტფილელნი და ქუთათელნი ერთმანეთს არ შეხვედრობდნენ. ერთ-მანეთი მალე დასუნეს, გაზომეს, ასწონეს, შეიგუს და შეითვისეს. რაღაც იდუმალმა ძალამ ექვსივენი დააახლოვა, შეაერთა და შეადუღა.

ჯალილაც თავის თაბათით ახლო-მახლო სტრიალებდა და ყვიროდა: „რაპათ-ლუჟუმ! რაპათ-ლუჟუმ“. როცა კვაჭის ან იმის მეგობრებს თვალს მოჰკრავდა, ქუდს მოიშვლებდა და ცხენის ქბილებს გააელვებდა:

— საბახ ხეირ ოლსუნ, ქნაზებო! ქეიფში როგორ ბზანდებით? მობზანდით, ნულა ბუღანუნ!

მეგობრებიც ჯალილას ხელს მისცემდნენ და იმდენს ტკბილეულობას მიირთმევდნენ, რომ მეორე დღემდის ჭამის მაღა აღარ ჰქონდათ. ჯალილაც მალე შეითვისეს და დაიმეგობრეს. მწვადის საჭმელად და კახურის დასალევად ქართულ დუქანში რომ წავიდოდნენ, ჯალილას აიყოლიებდნენ, გვერდით მიისვამდნენ, ოხუჯობდნენ, ლაზლანდარობდნენ და ჯალილას შიქპასტას და ბაიათს აღრიალებდნენ.

სწავლას ჯერ ყველანი გულმოდგინედ შეუდგნენ. დროზე მიდიოდნენ, ყველა ლექციებს ესწოებოდნენ და შინაც ცდილობდნენ საგნების ხელის დარევას, მაგრამ თანდათან შენელდნენ, ძალა გამოელიათ და ხალისიც ჩაუქრათ. გზა მეცნიერებისა მათვის მეტის მეტად გრძელი, ულეველი და უძლეველი გამოდგა. ნელ-ნელა ნაბიჯს უკლეს, ჩამორჩნენ და იმ უსაქმო და მუქთი სტუდენტების

ხროვაში გაერიცნენ, რომელნიც დიპლომის, ძიებასა და მოლოდინში ათიოდე წელიწადს მუდმივი სტუდენტის სახელს ატარებდნენ. წიგნები კუთხეში მიჰყარეს და თავი მისცეს ბულვარებს, ჩევნებურ დუქნებს, ევროპიულ რესტორანებს, ფანჯრის ყავახანას, ქალაბდის თამაშს, ცირკს, ღვინოს, ლაზანდარობას, სალახანობას და იაფი მეძავების ძებნას.

კვაჭიმაც ყელამდის შესტოპა იმ ჭაობში, თან იმრიზებოდა და იმ ჭაობის ჭუჭყასა და სუნს თაკილობდა და იხამუშებოდა, რაღან ბუნებით თავისს ამხანაგებზე უფრო სუფთა და ფაქიზი იყო. აპყვა მეგობრებს მაინც და ისინიც აიყოლია, რაღან ბედს სცდიდა და თავისს საარაჟო მზეთუნახავს დაეძებდა. საბედოს დევნასა და ძებნაში კვაჭიმ ქვემო სართულების ჭუჭყის ავი სუნიც გამოსცადა და მწარე გემოც იგემა. მერე უცებ ამოიყურყუმელა: იაფფასიან მეძავებს ზურგი შეუბრუნა, დუქან-სარდაფებისაკენ გზა მოიჭრა, ისევ ზემო სართულებში აიწია, ისევ სუფთა ჰაერით დაიწყო სუნთქვა და თანდათან პლების მტვერი და ჭუჭყი ჩაირეცხა. კვაჭიმ ამხანაგებსაც ხელი დაავლო და დუქნებიდან, ბნელ ქუჩებიდან და მყრალ სარდაფებიდან ამოიყვანა. კვაჭი რომ ორის საფეხურით აიწევდა ცხოვრების კიბეზე, ამხანაგებსაც ერთის საფეხურით მაინც აითრევდა, მაგრამ ისევ ზოგნი უკან იხევდნენ და კვაჭისაც ხშირად თან ჩაითრევდნენ ხოლმე.

მეგობრებისათვის კვაჭი ხელგაშლილი და უხვი იყო. ამიტომ თავისი ამხანაგებისათვის ჯიბე ყოველთვის პირ მოხსნილი ჰქონდა, თუმცა ხელს მაინცა და მაინც ლრმად არ ჩააყოფინებდა. უფრო ხშირად კვაჭის ჯიბეში ქიბი კიპუნტირაძე და გიგო ჩხუბიშვილის ხელები ჩაცურდებოდნენ ხოლმე.

საქმე თავის თავად ისე დატრიალდა, რომ კვაჭის და ამხანაგობას საერთო თანხა გაუჩნდათ. ჰავლაბრიანის ხაზინადრობაც თავის თავად გაიჩარხა. სედრაკამ რომ ხელში ძალა ჩაიგდო, გაიბლინდა და გაძუნწდა. დღე არ გავიდოდა, რომ ამხანაგებისთვის დარიგება არ მიეცა და გრძელი ლექცია არ წაეკითხა:

— ვაა, ლილახანაა? მანთაშოვის ბანკი ხომ არა ვართ, რომ ყვირით: მომეცი და მომეცი! ფულს ცოტა ხელი მოუჭირეთ, რაღა!

— შენ ფული მოიტა, —ეტყოდა ჩხუბიშვილი: —დარიგება კი მამა შენს გაუგზავნე სილნალში.

— სილნალს თავი დაანებე, შენ შენს გორზე იფიქრე, პანტით და მაუალო ვაშლით რომ ქვეყანას ატყუილებთ.



— მეიტა ფული, შე სირაჯო, შენა! — მივარდებოდა ჭიპუნტი-რაძე: — მეიტა, თვარა რავარც აძლევირჩიეთ, ისთვის ჩამოგავდებთ.

ჰევლაბრიანი წარმსაც არ შეიხრიდა და ბუზსაც არ აი-ფრენდა.

— თუ ჩამომაგდებთ, მე შენ გეტყვი, მეფე ჩამოგიგლიათ ტახ-
ტიდან. შენისთანა ხონელს რომ ვემსახურები უფასოდ, მაგის მაღ-
ლობელიც იყავი.

ბოლოს დავის ისევ კვაჭი გადასჭრიდა ხოლმე და ამხანაგებს ხუ-
თიოდე მანეთს კიდევ შესწირავდა, სედრაკას კი მხარს დაუჭერდა
და შეაქებდა.

ქართველთა სათვისტომოს გამგეობის არჩევა რომ ხდებოდა, კვაჭიმ და ამხ.-ამ გაიწ-გამოიწიეს, ჩოჩქოლი ასტეხეს, აგიტაცია გასწიეს და ბესო შიქია ხაზინადრად აირჩიეს. მას აქეთ ამხანაგებმა ოდნავ სული ჯოითქვეს და სედრაკასგან ნახევრად თავი გაინთავი-სუტლეს. როგორ ახერხებდა ბესო თავისთვის და ამხანაგებისთვის ცალიერ სალაროდან ფულის შოვნას, ეს საიდუმლოება მხოლოდ კვა-ჭიმ და ბესომ იცოდნენ.

კვაჭი ხშირად იტყოდა ხოლმე: ღმერთს რომ ქართველისთვის იმდენი კუთხა და შრომის უნარი მიეცა, რამდენიც მაღა და წამბაძველობის ნიჭი მისცა, ეს ხალხი აქამდის ქვეყანის გადააბრუნებდა. ეს ოქმულება კვაჭიზე და იმის სამიოდე მეგობარზე იყო გამოჭრილი. განვებას მათთვის უხვად მიეცა თვალი, დაკვირვება და ადვილად შეთვისების უნარი. კვაჭი ისე არ გაივლიდა ქუჩაში, ან წუთს არ დაჰკარგავდა ყავახანაში ან რესტორანში, რომ ახალი რამ არ შეემჩნია და მეორე დღესვე არ წაებაძნა. თვალს დაადგამდა ვინმე სნობს უსაქმო დენდის, გათლილ არისტოკრატს და მეორე დღესვე ცუდი ნიმუშის მშვენიერ ასლად გადაიქცეოდა. ისიც კი ზემდრევნით შეითვისა, თუ როგორ უნდა დაეჭირა ოდნავ გაშვერილ თითებში პაპიროსი, პირიდან და ცხვირიდან როგორ უნდა გამოეშვა ბოლო, ჯოხი ხელში როგორ უნდა დაეტრიიალებინა, როგორ უნდა მოეხადა სტუდენტური ქუდი, თავი დაეხარნა, წელში მოხრილიყო, გაელიმა, ან ფეხი ფეხზე გადაედო, ან ლაქიასთვის თითოთ დაებახნა და დაუდევრად ცხვირით წაელულულუნა: ე-ე-ე, გარსონ!

ისედაც ლამაზი, ტანადი და თვალადი კვაჭი კვაჭანტირაძე მოკლე ხანში ერთი ხუთად გაიზარდა და აღვილად შეერთა და შეე-თვისა იმ ჯურის საზოგადოებას, რომელიც საკუთარი ცხვირის გარ- და ვერავის ამჩნევს და ორავის ჰეილოულობს.

აქა ამბავი ისაკას განთავისუფლებისა და პირველ სა-
ბეჭოს გაფრენისა.

კვაჭი თავს ევლებოდა რებეკა იდელსონს, რომელიც მეტის
შეტად ფრთხილობდა და თავისს სიყვარულს ჰმალავდა. მას ბევრი
ნათესავი და ნაცნობი ჰყავდა ადესაში, ამიტომ ჭორებსა და მითქ-
მა-მოთქმას შეტად ჰშიშობდა და ერიდებოდა. ერთმანეთს ზოგჯერ
კვაჭის ბინაზე შეხვდებოდნენ, ზოგჯერ კი— რებეკასთან.

რებეკა ლანეურონის ქუჩაზე სკემოვრობდა. ქმარი დაპატიმრე-
ბული ჰყავდა, მაგრამ დროებით დაქვრივებულ ლამაზ დედაკაცს
ოციოდე ნათესავი სდარაჯობდა—ზოგი საკუთარი და ზოგიც ქმრი-
სა. კვაჭიმ მაინც პირველ დღესვე ხელთ იგდო ის უებარი გასაღები,
რომელიც თუნდ ცხრაკლიტურ ციხეს ყველა კარებს გაულებს ხო-
ლმე: მან თითო მისვლაზე რებეკას პირფარეშისთვის და მეეზოვეს-
თვის სამი მანეთი გადასდო და დამფრთხალი ქვრივიც ადვილად
დაამშვიდა და მისი დარაჯების გულისყრიც გააყეჩა.

კვაჭის ძვირად უჯდებოდა ეს სიყვარული. ვახშამი, თაიგული,
ტებილეულობა და ათნაირი წვრილი ხარჯი ერთმანეთს მოსდევდა.

ბოლოს, ორი თვეს შემდეგ რებეკას ქმარი ისაკა იდელსონი
ტებილისიდან ადესის ციხეში ეტაპით გადმოიყვანეს. კვაჭიმ რომ ეს
ამბავი გაიგო, დატრიალდა და გამოცოცხლდა. ერთხელ რებეკას
უთხრა:

— უანდარმი პავლოვი გავიცანი. თურმე ძველის-ძველი ნაცნო-
ბები ვყოფილვართ. წინათ ქუთაისში მსახურებდა. თქვენი ქმრის
საქმე იმას ჰქონია ჩაბარებული. გამოვკითხე... საქმე ძალიან ცუდად
ყოფილა, თუმცა არც უიმედოა...

რებეკა მაინც სიხარულით ცას დაეწია, რადგან კვაჭის და პავ-
ლოვის ნაცნობობამ მას იმედი მისცა და გული გაუმაგრა, ხოლო
მისი ქმრის საქმე რომ მეტად სახითათო იყო, ეს წინათაც იცოდა.
იმ დღიდან კვაჭიმ ფრთხილი და ოსტატური თამაში დაიწყო.
პავლოვი მართლა ხელ-ახლად გაიცნო ადესელ ბოქაულის დვალი-
შეილის შემწეობათ, მერე ერთხელ-ორჯერ დაპატიჟა ვახშამზე
და სმაში გაკერით უთხრა:

— მართლა, როგორ არის იდელსონის საქმე? რას აბრალებთ?

— პარტიის წევრობას და დახმარებას.

— მერე, რა მოელის?

— თუ დაუმტკიცდა — კატორლა, თუ არა და — უბრალო გადა-
სახლება.

— მერე, უმტკიცდება დანაშაული?

— არა მგონია.

კვაჭიმ ბაასს კვალი გადაუგდო:

— ევროპისაკენ ხომ არ აპირებთ გასეირნებას?

— ჩემი ოცნებაც ეგ არის, მაგრამ სამგზავრო ფული არა მაქვს.

— უფულობა რა მოსატანია! ათასი მანეთი არ გეყოფათ?

— ათას მანეთად ნახევარ ევროპას მოვიყლი და კარგადაც

ვიქეიფებ.

— მაშ ჩვენი მეგობრობის ნიშნად მიიღეთ ჩემგან ათასი მანეთი.

პავლოვმა არც გაიკვირვა და არც იუკადრისა და იმ ფულის წყაროსაც მაშინვე მიაგნო. კვაჭიმ ზრდილობიანი მაღლობა გადაუხადა და ხელი ჩამოართვა. ცოტა ხნის შემდეგ კვაჭიმ ისევ იდელ-სონი ახსენა:

— ერთი პატარა თხოვნა მაქვს. თუ იდელსონს გადასახლება მიუსაჯეთ, გადასახლების ნაცვლად უცხოეთში წასვლის ნებართვა მოუხერხეთ.

— ეგ აღვილია. პირობას გაძლევთ, რომ სამ ღლეში გავუთავებ საქმეს.

— არა, არა. ჯერ ნუ გაანთავისუფლებთ. როცა დრო მოვა, შეგატყობინებთ.

— კიდევ ერთი თხოვნა,—უთხრა კვაჭიმ ერთი საათის შემდეგ, როცა ორივენი კარგად შეზარხოშდნენ:—ნურავის ეტყვით, რომ იდელსონი შეიძლება ასე აღვილად გადარჩეს. პირიქით, დააშინეთ კატორლით და...

და კვაჭიმ ორივე თითოთ ყანყრატოზე ყელსაბამი გაიკეთა.

— ჩემთვის ძალიან საჭიროა, დიდ მაღლობას გადაგიხდით.

პავლოვმა ჩაიცინა:

— მესმის, კარგად მესმის. ადეილი საქმეა, ეგრე იყოს. ისე დავაშინებ იმის ქერა ლამაზს, რომ ახლოს აღარ მომექაროს. დანარჩენი თქვენ იცით.

მეორე დღეს კვაჭიმ უპასუხა რებეკას:

— ჩემო დედოფალო! ძალიან მეძნელება თქმა: ცუდი გული გაქვს, მეშინიან.

— სთვი, ნუ გეშინიან.

— მაშ არ შეგეშინდება? პირობას მაძლევ? ეხლავე გაფრთხილებ, რომ ხიფათის აშორება შეიძლება, მაგრამ... ახა, ღმერთო ჩემო! რაღა მე დამაჟისრა ბედმა ასეთი სათუთი და ფაქიზი საქმე?.. კარგი, კარგი... გეტყვი. საქმე ის არის, რომ პავლოვს ერთი საბუთი

აქვს, რომელიც შემს ქმარს ყველაფერს უმტკიცებს.. რაო, შენ რომ მითხარი? პო, მგონი, შენც მითხარი... სწორედ ის ქალალდი ჩაუვარდა ხელში. ჯერ საქმეში არ ჩაუკერებია... ჯერ მოვიცდიო... მეც მინდა იდელსონთან ერთად ევროპაში წასვლაო... დანარჩენი შენ იცი... რაო, დღეს იყავი პავლოვთან? დაგაშინა? რამდენია საჭირო? აბა, როგორ გითხრა?.. ოჯ, ღმერთო ჩემი! აბა, რა ჩემი საქმეა შუამავლობა! ბოლოს და ბოლოს, ისაკის განთავისუფლება ძალიანაც არ მეჩქარება, რადგან... ხომ მიმიხვდი მიზეზს?... კარგი, გენაცვა, კარგი, ნუ აღელდი... ნუ სტირი, თორემ მეც ვიტირებ... კარგი, გეტყვი. ძალიან ბევრს თხოულობს: ხუთი ათასიო.. მაშ თანახმა ხარ? ერთი შენი ქმრის ხელნაწერი მომეცი, უნდა შევადარო იმ საბუთს.. ეს არის? ეს მისი მონაწერი სიყვარულის წერილია, არა? ხა-ხა-ხა! წავიკითხავ! ვნახოთ, როგორ უყვარხარ იმ ბებერს... ბოდიში! ბოდიში! ხვალ გეტყვი ყველაფერს. ბევრია ხუთი ათასი, ძალიან ბევრია, მაგრამ რა ვქნა, რაკი შენ დასთანხმდი, მე რაღა მეთქმის!.. მაშ ხვალამდის, ჩემი ძვირფასო!

კვაჭიმ ისაკა იდელსონის წერილი ჩაიდო ჯიბეში და წამოვიდა. მეორე დღეს რებეკას ნათესავებს თათბირი ჰქონდათ. ამავე დროს კვაჭი ისაკას ხელნაწერს გულდასმით სინჯავდა, ჰბაძავდა და სცდილობდა მისი ხელის შეთვისებას.

იმავ ღამეს კვაჭი და პავლოვი ისევ ერთად ვახშობდნენ რესტორანის კაბინეტში. შეთანხმდნენ და მორიგდნენ.

— კეთილი, ადგილია, ხვალ მოვიდეს.—სოჭვა პავლოვმა:— ეგრე ვეტყვი...

მეორე ღამეს ჩახუტებული რებეკა და კვაჭი ეკურქურებოდნენ ერთმანეთს.

— დიდი ჯენტლმენი ყოფილა პავლოვი.—ამბობდა რებეკა:— ძალიან თავაზიანად მიმილო. მითხრა: ან სახჩობელა, ან პარიზიო. ერთ კვირაში გამოირკვევაო, იმის ბედს ერთი საბუთი გადასჭრისო. შენი სახელიც გაკვრით ახსენა: ნაპოლეონ აპოლონიჩი ჩემი საუკეთესო მეგობარიაო, მეტად სანდო და ფრთხილიო.

— აյս გითხარი, ჩემო ტურფავ, საქმე გათავებულია მეთქი! ეხლა მითხარი, ვისი ნაწერია ეს ბარათი? იცანი, განა! მიკვირს, როგორ მოუვიდა ეს სიბრივე ისაკას, ასეთს გამოცდილ ადამიანს?.. კარგი, ხვალ დილით ჩაგაბარებ ამ ბარათს... ათ საათზე სახლში დაგიხვდები... ნახევარი მერე იყოს, როცა ისაკას გამოუშვებენ..

მეორე დღეს კვაჭიმ თანხის ნახევარი მიიღო და ის საბუთი რებეკას თვალ წინ დასწვა. ერთი კვირის შემდეგ რებეკა და ისა-

კა იდელსონი, რომელსაც ათი დღის ვადა ჰქონდა მიცემული, ქალაქში დარბოდნენ, პასპორტებს თხოულობდნენ და სამგზავროდ ემზადებოდნენ, თან ერთმანეთს და თავიანთ მახლობელ ნათესავებს პირზე ხელს აფარებდნენ, საიდუმლოებას ჰმალავდნენ და შიშით ძრწოდნენ და თრთოდნენ.

იმავ ხანებში კვაჭიმ თავისს მიმდინარე ანგარიშს აზოვის ბანკში რამდენიმე ათასი მანეთი კიდევ მიუმატა.

ის უყანასკნელი დღე კვაჭიმ და რებეკამ ერთად გაატარეს.

აუწერელია ის დღე, ზავი და იმავ დროს ცეცხლიანი დღე გაყრის და განშორებისა, სიყვარულის ძაფების დაწყვეტისა, ორის ცეცხლმოკიდებულ გულის გახლეჩისა, ორის გაერთიანებულ სხეულის გაპობისა და ერთმანეთში არეულ ორის სულის გაგლეჯისა!

დადგა ცრემლის გუბე, ასტყდა ქვითინი და წივილ-კივილი, იყო გაავებული ხორცის გლეჯა, სიმჭარისა და სიტკბოების კბენა, ბალღამიანი სევდა, ბნედობა, ნუგეში, დაპირება და ფიცი მარადი-ულ, დაუჭრობ და დაუვიწყარის სიყვარულისა.

იმ ღამეს კვაჭი ისაკას და რებეკას გასაცილებლად სადგურზე გავიდა, თუმცა, როგორც იმ დილით უთხრა რებეკას, ძალიან ეშინოდა თავისი დარდისა და გულის კვნესის უნებურ გამხილებისა და გამელავნებისა.

სადგურის ბაქანზე ქანდარმი პავლოვი და კვაჭი ერთმანეთს შეჰქვდნენ.

— თქვენც უცხოეთში მიბრძანდებით? — ჰქითხა კვაჭიმ.

— ღიაღ, პარიზში გიახლებით.

— იდელსონის ფულით! — გაიფიქრა კვაჭიმ და პავლოვს გაპყვა.

რებეკა და ისაკა უკვე კუპეში ისხდნენ. შემთხვევით პავლოვის-თვისაც იმ კუპეში მიეცათ ალაგი. ორივენი შევიდნენ და ოდნავ შეფერხდნენ.

— არა გიშავთ რა! — ჩიერია კვაჭი: — ბედმა ისევ შეგუარათ გამომძიებელი და ტუსალი. ერთმანეთს არ წაეკიდებით, რადგან აი, ეს მშვენიერი მომრიგებელი გეყოლებათ.

და რებეკას ხელზე აკოცა. სამივემ ოხუნჯობაში ჩაახრჩეს თავიანთი გულის ბრაზი და უხერხული მდვომარეობა.

ცოტი ხნის შემდეგ ისაკამ კვაჭი ვაგონის დერეფანში გაიწვია და უთხრა:

— თქვენს სიკეთეს სიკვდილამდის არ დავივიწყებ. ბევრი არ შემიძლიან, მაგრამ... არა, არა! უნდა მიიღოთ, უეჭველად უნდა მიიღოთ!

ხელში პაკეტი ჩასჩარა და ისევ კუპეში შევარდა. იმავ წუთს რებეკა გამოვიდა, კვაჭის მარცხენა ხელი ჩამოართვა და შუა თითზე დიდი ბრილანტის ბეჭედი გაუკეთა.

— რებეკა!.. ჩემი დაუვიწყარო!.. ჩემო ძვირფასო მეგობარო!

გულაჩუყებული რებეკა ცრემლს იშვენდდა და ბუტბუტებდა:

— სახსოვრად გქონდეს... არ დაივიწყო შენი რებეკა... შენი გულითადი მეგობარი რებეკა!

მიიხედ-მოიხედეს, დრო იხელთეს და ფიცხელის, მაგრამ ცხარე და უკანასკნელის კოცნით გადაპოვნეს ერთმანეთს.

მესამე ზარი ჩამოჰქმებულის. კვაჭი და მიმავალთა ნათესავები გამოეთხოვნენ მგზავრებს და ვაგონილან გავიღნენ. მატარებელი დაიძრა. რებეკა და კვაჭი იქამდის უქნევდნენ ერთმანეთს ხელსახოცებს, სანამ მატარებელი მეორე მატარებელს არ მიეფარა.

აქა ამბავი მადამ ლაპოშისა.

იმავ ლამეს, როცა კვაჭის ტურფას—რებეკას მატარებელი მიაქროლებდა, კვაჭი თავისს ამხანაგებთან ერთ შანტანში სევდას იქარებებდა:

— კარგი, შენი ჭირიმე,—ზლაზნით, ზანტად და „არისტოკრატიულად“ იცოხნებოდა კვაჭი:—ეგ „მეშჩანობაა“, მეტი არაფერი. რა არის ადესა, რა უნდა იყოს აქ ცხოვრება! არათრის სწავლა აქარ შეიძლება... ან მოსკოვში წავალ, ან პეტერბურგში. მომწყინდა ამ ჭუჭყიან სოფელში ხეტიალი. ხელის გასანძრევი ალაგი არ იშოვება... ადესა ჩემთვის ვიწრო ჭურქია, შიგ ველარ ვეტევი... დაბალი კიბეა, ასაფრენი და ფრთის გასაშლელი არ მყოფნის... როდის? მალე, ერთ თვეში, ან უფრო ადრე წავალ... თქვენ? თქვენც წამოდით... გიშველით, რატომ არ გიშველით! რაო? ჭუთაისი? ხა-ხა! ჭუთაისი რა სახსენებელია! ჭაობია, მყრალი ჭაობი! თუნდ საქართველოც ავილოთ... კარგი, შენი ჭირიმე, ნუ ამიხირდები. სამეგრელო თავისოთვის სცხოვრობს, კახეთი—თავისოთვის; გურია აქეთ მოიწევს, ქართლი—იქით... აჲ, ეგ ტყუილია. ქვეყანაზე ასმა კაცმა ძლივს იცის საქართველოს სახელი. ან რა არის დიდი საქართველო? ბათომში რომ თავი მისღო დასაძინებლად, ფეხები უნდა ქიზიყს მიაბჯინო; სოხუმში რომ ცხვირი დააცემინო, სილნალიდან იძახიან: „ხეირია“; ქუთაისში ლაითაძესთან ან ერემოსთან დანიელა ურიამ რომ „ტორგალ-უამიერ“ დაიწყოს, ყაზბეგიდან ბანს ეტყვიან, ხოლო თე „სარსადან დედას ლევანა „მადლობელს“ შემოსძახებს; ბორჯომში რო

პიროსი ამოილო, ფოთიდან ოცი ხელი მაინც მოგწვდება — ჩვენც მოგვაწევინეთ; მყრალი ხელსახოცი რომ იპოვნო, მთელი საქართველო მორბის ყვირილით: „ჩემია! ჩემიაო!“ აპ, მაგას ნუღარ გამახსენებთ. გარსონ! კიდევ ერთი ბოთლი ფინ-შამპანი ლუი რედერერისა. რაო, ბესო, შენ შარტრეზი გირჩევინან? შენ, სერიოზა, შიძრი გინდა? გარსონ! სამივე მოგვართვი, თან მოაყოლე ომარები, ანანასი, ფორთოხალი და მანდარინი.

და კვაჭი კვაჭანტირაძემ თავისს სტუმრებს ოქროს პირტ-სიგარი გაუწოდა და თითის სისქე პაპიროსები შესთავაზა. პირტ-სიგარი აქრელებული იყო მონოგრამებით. შუაზე ეწერა: „თავადს ნაპოლეონ აპოლონიჩ კვაჭანტირაძეს ნიშნად რებეკას მარადიული სიყვარულისა“, ხოლო პაპიროსებზე ოქროს ასოებით წარწერილი და დახატული იყო თავადური ლერბი, კვაჭის ინიციალების ხლართი და მისივე დევიზი:

„მე... ისევ მე... მხოლოდ მე... ჩემი... ჩემთვის... ჩემზე...“

— რა აზრია ჩაქსოვილი აქ, კვაჭი?

— ვისაც როგორც ჰსურდეს, ისე გაიგოს. აი, კიდო, აი, აქაც. და სტუმრებს გაუწოდა ძვირფასი ბეჭედი, საათი და ოქროს-თავიანი ჯოხი; სამივ თვალ-მარგალიტით იყო შემქული, სამგანვე იგივე სახელმძღვანელო დევიზი იყო ამოჭრილი.

— გარსონ! შამპანური კარგად ვერ არის გაცივებული... ნევინგრამე! ამ რესტორანში აროდეს არ იციან კარგად მორთმევა... არც ანანასი ვარგა, წვრილია... ბესო, წალი, გენაცვა, ეს ოცდახუთიანი ორქესტრს მიეცი, ჩემი საყვარელი ვალსი „მარია ტერეზა“ დაუკრან...

კვაჭიმ თვალი მოპერა იმ სეზონის დედოფალს, იმ კაფე-შანტინის პრიმადონას, ბრწყინვალე და მზეთა-მზე პარიზელს, მაღამლაპოშს, რომელმაც სწორედ იმ დროს შემოანათა რესტორანში.

— სედრიკ, ა ჩემი „ვიზიტი კარტიჩქა“, ის ქალი მოიპატიუე. ჩქარა, თორებ სხვებმა მოიტაცეს!

სედრიკამ მამაკაცების ალყა შეარლვია:

— პრინცი ნაპოლეონ აპოლონიჩ კვაჭანტირაძე და მისი მეგობრები გთხოვთ პატივი გვცეთ.

სხვები ბუზლუნით და შურით გაიფანტნენ.

კვაჭი მოდუნებულ ზლაზნით მიეგება იმ მზეთუნახავს და მოგაბით, მორჩილად ხელზე ემთხვია.

— შარმე დე ვოტრ კონესანს... პრენს. კვაჭანტირაზე... სილ შემიძლია... შე, მაღამ... გარსონ!.. შერ მაღამ, ვულე ვუ შუაზირ... (ალტაილოთ! ლე, მაღამ... გარსონ!.. შერ მაღამ, ვულე ვუ შუაზირ... (ალტაილოთ!

ცებული ვარ თქვენის გაცნობით... თავადი კვაჭანტირაძე გახლა-
ვართ... დაბრძანდით, ქალბატონო... ბიჭი!.. ძვირფასო ქალბატონო,
გთხოვთ მოითხოვოთ, აირჩიოთ...).

ჩაპერეს, ჩამტკრიეს, წარყვნეს და შებლალეს კვაჭიმ და სედრა-
კამ ნაზი და ფაქიზი ფრანგული.

თვალმილულული და მიბნედილი თავადი კვაჭი კვაჭანტირა-
ძე ბანგიან ტალღებში დასცურავს. ერთის წუთით იძისმა ტურფამ,
მორჩილმა რებეკამ კვაჭის თვალწინ გაუელვა, საყვედურის ღიმი-
ლით გაულიმა და ცისფერი თვალებით სევდა მიანათა, მაგრამ ნის-
ლოვანი მოჩენება და წუთიერი ლანდი უმალ გადნა, გაჯრა და
შთაინთქა პარიზელი პრიმადონას ნალვერდლიან თვალებში, რო-
მელნიც ნელ-ნელა სწვავდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ კვაჭის უკვი
მიმქრალს გულს.

კვაჭიც მალე აჟყა იმ თვალებს, მალე მოაჯდა პირ-სისხლიან
მხეცს, შეცურდა ბანგის ტალღებში და თავგამწევ ცხენივით გადა-
ვარდა მრუშმბისა და ვნების ხანდარში.

რიერაუმა რომ მოატანა და მადამ ლაპოშმა თვისი მესამე „ნო-
მერი“ რომ დაასრულა, დარბაზში ერთი ახმაზი ფრანგი შემოვიდა
და პრიმადონას დაესაქუთრა. მადამ ლაპოში კვაჭის გამოეთხოვა:

— ა დმენ, მონ შა! (ხვალამდის, ჩემო კატუნი!).

კვაჭიმ გაიკერეა:

— რაო? იმას უნდა დაეუთმო შენი თავი? არასოდეს!

— ილ ე მონ მარი, მონ შა! (ეს. ჩემი ქმარია, ჩემო კატუნი!).

კვაჭი ხახამშრალი დარჩა, მაგრამ იმ ღლიდან ვერც იმ კაცის
ქმრობას შეურიცდა და ვერც ის ქალი დაივიწყა.

სახლში ბრაზმორეული დაბრუნდა და დაწვა. საღილად მოსამ-
სახურემ გააღვიძა. სასაღილოში მხოლოდ ვერა დაუხვდა.

— გამარჯვება, ვერიჩქა!

ვერამ პასუხის ნაცვლად ჩაიფრუტუნა.

— რა გაცინებსთ, რაშია საქმე? სხვები სად არიან?

— დეიდასთან.

— სასაცილო რაღა არის?

— ბევრი არაფერი. გაათავეთ თქვენი ლიკიორი?

— შარტრეზი? არა. ჩემ მაგიერად თქვენ ხომ არ გაათავეთ?

წამოხტა და გაიქცა. ვერამ უკნიდან სიცილი გააყოლა. შარტრე-
ზის ბოთლი, რომელიც გუშინ გახსნეს კვაჭიმ და ბესომ, აღარსად
იყო. კვაჭის კიდევ ჰქონდა ორი ბოთლი. ერთი წამოილო და სასა-
დილოში შემობრუნდა.

— რაკი აგრე რიგად გუვარებიათ ლვინო, ეხლა ჩემთან დალიეთ.

დასხეს და შეჰყვნენ. ვერა რომ პატაწა კიქს გამოსულიდა და დასდგამდა, ზედ დააყოლებდა ხოლმე:

— ქმარა, მეტს აღარ დავლევ, თორემ დავითვრები.

კვაჭი რომ ერთსაც დაუსხამდა, ეტყოდა:

— ეს უკანასკნელია, მეტს აღარც მე დაგალევინებ.

ვერაც ერთს კიდევ გადააცყლაპავდა და ისევ იტყოდა:

— ქმარა, ეს უკანასკნელია. მეტს აღარ დავლევ, თორემ დავითვრები.

მაგრამ, „უკანასკნელი“ მხოლოდ მაშინ გათავდა, როცა ბოთლი დაიცალა. ვერას ჯერ თვალები აუკრიალდა, მერე ლვინო ძარღვებშიც გაუჯდა. მრგვალი გოგონა მალე ამლერდა, აცქმუტდა და აკა-კანდა. პირში ენას ძლიეს-ლა ამოძრავებდა და აბდა-უბდას ჰრო-შავდა:

— შენ ჩემი ნაძოლეონი ხარ... ჩემი აპოლონიც შენა ხარ.

— შენ კი ჩემი ვენერა ხარ, ჩემო პატარავ!—მიუგო კვაჭიმ, მერე გვერდით მიუჯდა და ფუნქულა წელზე ხელი მოჰვეია.

— ლამაზი ხარ, მაგრამ ველურიც ხარ... დაიცა, აგრე უცებ როგორ შეიძლება!.. პო, იმის გეუბნებოდი: მიყვარხარ მეთქი, მაგრამ მეშინიან.

— რად გეშინიან, ჩემო ტიკინავ?

— არ ვიცი... შენი მეშინიან.

და კვაჭისგან დაშინებულმა ქორფამ ისევ კვაჭის მკერდს შეაფარა თვისი დაშინებული გული და თავი.

— ჩემო პატარავ!—ჩასჩურრულებდა კვაჭი მიბნედილ ქალს და თავისი ოთახისკენ მიჰყავდა:—წამო, დავსხდეთ და ვიმუსაიფოთ, რამ შეგაშინა აგრე რიგად? ჩემი ტყუილად გეშინიან, არც ვიგბინები და არც ყაჩილი ვარ... აი, ამ ტახტზე ჩამოვსხდეთ და და-კიწყოთ.

ჩამოსხდნენ და დაიწყეს. კვაჭი მართლა არ იქმინებოდა, მაგრამ იმის რეინის მკლავებში ვერას განიერი ტანი და თხელი ძვლები ჰქვენესოდნენ, ოხრავდნენ და იგრიხებოდნენ. მერე შიშ-ნარევმა ნეტარებამ იმ ქორფას თავში დაჲკურა და ელვასავით ფეხებამდის ჩაურბინა.

ორიოდე კვირა გაეიდა. მაღამ ლაპოშის დევნაში და დღე და ლამის გასწორებაში კვაჭი ჯიბითაც და ხორცითაც დნებოდა და

იღეოდა. შავგრემან მაღამ ლაპოშისგან გამწარებული კვაჭიკო პატარა ქერა ვერაზე ყრილობდა და იკლავდა აშოტილ უინს.

ერთხელ შიჯის თაოსნობით მისმა მეგობრებმა პირი შეჰქრეს და კვაჭის თავს დაადგნენ. „ამხანაგობის ფილოსოფოსი“ ლადი ჩიკინ-ჯილაძე ზანტად სჭამდა მეოთხე გირვანქა ყურძენს და თანაც იცონენბოდა:

— კი მესმის შენი ჯინი, ჩემო კვაჭი, მარა ზომიერებაც კია საჭირო. აღამიანმა თუ გულის ჯინი არ ეილაგმა, აღრე თუ გვიან დეილუპება. გოუგონე შენს ამხანაგებს, შენთვის ქარგის მეტი არა-ფერი უნდათ.

ჩიკინჯილაძეს ჭიპი ჭიპუნტირაძე მიეშველა, რომელმაც თავის თავად დაისაკუთრა მზევრავის თანამდებობადა „კვაჭის თვალის“ სახელი. ჭიპუნტირაძე ჩევეულებრივ სცემუტავდა და სცხარობდა:

— მე ყოლიფერი ჩაწერილი მაქვს. ამ ორ კვირაში შანტანში დახარჯე 723 მანეთი, ყვავილებზე—88 მანეთი, ეტლებზე—145 მანეთი და სხვა და სხვა საჩუქრებზე—1242 მანეთი, სულ 2198 მანეთი. გაგონილა ასეთი ხარჯები?

— გაგონილა?!—გაიკირვეს სხვებმაც.

— საიდან გაიგე ჩემი ჯიბის ხარჯები?—ჰკიოთხა კვაჭიმ.

— შენი თვალი იმიზა მქინა, რომე ყოლიფერი გევიგო. მარა შენ ეს მითხარი: რას შობი, აწი მაი ქალიზა ასთე უნდა გედირიო! მაიზა გადავრი ამოდენა ფულს?! იმე, დედა! სილიბისტრომ რომ გეიგოს, ხომ გედირია კაკალი კაცი!

— კნიაააზ, ეს რა ამბავია?—გულწრფელად ჰკივირობდა ჰავლა-ბრიანი:—კაცი არა ხაარ?! ვა, ქალი ვის არ უყვარს! ქალებიც მიყვარს და ვაუებიც... ვაა, რას იცინით? რატომ არ უნდა მიყვარდეს, ყველა-ნი ქრისტიანები არა ვააართ?! ქალზე მანეთზე მეტი როგორ უნდა გაიმეტოს კაცმა?! მზეთუნახავი რომ იყოს, ბევრი ბევრი—სამი მანეთი და იმისი ჯანი! ჰაზირ ძმა-კა ებში დახხარჯო! ჩხებიშვილისგან მაინც ისწავლე ჰქუა. საფანელი რომ შემოელევა, საღამოზე რიშელიეს ან დერიბასის ქუჩაზე გავა და თეალს წყალს ალევინებს. სულ დასტა-დასტად მოდიან, ერთი მეორეს სჯობნიან. შენც ისე გაძყვევი უკანი-დან, როგორც მგელი მისდევს ცხერის დუმის. გულს რომ მოიფხან, მე დამიძახე. შენ თვალები დახუჭე და გამომყე. თუ სამ მანეთზე მე-ტი დაგეხარჯოს... ვა, რას იცინით, თქვე ოხრებო, განა ჰქუიან სი-ტყვეს არ გამბოობდა?

— ეეი, ჰქუაზე მოდი, კვაჭი! ვის აჭმევ, რომ აჭმევ, მაგოდენა ფულს?! ასთუმნიანი ბეჭედი რომ უფეშქაშე, ვის უფეშქაშე?! კარე-

ტა რომ დაუქირავე თვიურად, ვის დაუქირავე?! თითო ვახშემზე რომ ოც თუმანს აძლევ, ვისთვის აძლევ?! დღე და ღამ რომ იქ ჰედიხარ, ვისთვისათ, რისთვისათ?! ლუქმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს: ჩენ აქ არა ვართ, ჩენ რალას გვეუბნები?—ტეტიურად და პირდაპირ მიახალა ვაბო ჩხუბიშვილმა.

იერიშის აეტორს კი—ბესმ შიგიას გაზეთში ცხვირი ჩაეყო და ენა მუცელში ჩაჰვარდნოდა.

კვაჭი სირცეელით ოფლში იწურებოდა და თავს იმართლებდა. ბოლოს, თავისს ამხანაგებს პატიოსანი სიტყვა მისცა, რომ ლაპოშს თავს დაანებებდა, მაგრამ იმავ სალამოს მაღამ ლაპოშს თაიგული და ტებილეულობა გაუგზავნა, ხოლო შეალამეს ისევ შანტანში მივიდა და დილამდის ისევ იმ ცეცხლში იწოდა და დნებოდა.

ტალი კვესს წააწყდა, ალხანას თავის ჩალხანა დაუხვდა. კვესმა ტალს ნაპერწკლებიც დააყრევინა და კბილებიც დაუჩლუნგა, თვითონ კი არაფერი დაიტყო. კვაჭი კვაჭანტირაძე სამტრედიელ სილიბისტროს შეილი იყო, ხოლო მაღამ ლაპოში—პარიზის ნაშობი და მონმარტრის რით ნაზარდი, უკან კიდევ ბელვილის აპაში ედგა, რომელსაც ზოგნი ალფონსს აძახდნენ, ზოგნი—“კოტს”, ხოლო მაღამ ლაპოში მას თავისს ქმრად ასაღებდა:

— მონ მარი ვინ... მონ მარი ეტ ისი... ილ ე ლა... მონ მარი სე ფაშ,—შიშით და თრთოლვით იმეორებდა პარიზელი პრიმადონა (ჩემი ქმარი მოდის... ჩემი ქმარი აქ არის... იქ არის... ჩემი ქმარი მიწყრება...).

მუსსიე ლაპოშიც თავისს დროზედ გაპქრებოდა ხოლმე, თავისს დროზედ გამოჩნდებოდა, დროზედ ილიმებოდა, დროზედ თვალებს აბრიალებდა და კბილებსაც აერაჭუნებდა.

კვაჭის მოთმინება დაეკარგა. გაცხარდა, გაფიცხდა და განერვიანდა. დაეინებით და სიმტკიცით მიიწევდა საბოლოო მიზნისკენ, თავისს ხევდრს მოელოდა და ვალის გასწორებას მოითხოვდა.

ბოლო ხანებში მაღამ ლაპოში ხან „სახლში არ იყო“, ხან კიდევ თვისი „მარი“ ჯაჭვით ჰყავდა მიბმული. ბოლოს, თავად კვაჭანტირაძეს წინ აეტუზა და გზა გადულობა ვიღაც როტმისტრმა—ბარონმა ჭონდერ-შლიძე—ჰოგენშტაუქენმა.

ერთ სალამოს იმ ბარონმა, —ერთმა ახმახმა, რეა ფუთიანმა და ერთი მტკაველის ოდენა ულვაშიანმა ვოლიათმა—დოინჯი შემოიყარა, კავლის ოდენა თვალები გადმოყარა, კვაჭის თავზე დაადგა და ზევიდან ლოროტოტოს ხმით ჰკითხა:

— ვინ გნებავთ? რაო? მაღამ ლაპოში? ამაღამ მე მყავს დაპატიჟებული.. ხვალაც, ზეგაც, მაზეგაც... რაო? ჩემია, სამუდამოდ ჩემია! რაო? ჯერ არ ვჯავრობ, მაგრამ თუ გამჯვავრეთ, ღმერთმა თქვენც დაგიფაროსთ და თქვენი მტერიც. რაო? არაფერი? თანახმა ხართ? კეთილი, ეგრე სჯობია... რაო? არა ვჯავრობ მეტქი... რაო. რა ბრძანეთ? მშვიდობით ბრძანდებოდეთ! ძილნებისა!

მეორე დღეს სედრაკა ამბობდა:

— ვააა, ის დალოცვილი ბარონი ერთი თვით ადრე მაინც გამოჩენილიყო. ღმერთმანი, ღვთის გამოგზავნილი ყოფილა... ჰამე? დაივიანა? მეც მაგას არ ვამბობ! არა უშავს რა, ეხლა ხომ ისწავლის ჭკუას! კნიააზ, არც ამას იქით დაუჯერებ სედრაკას? შენზე ამბობენ, მოხერხებული კაციაო. შენ ხელი გაანძრიე, თორემ ფული ბალდადიდან მოვა... ჰამე? ეერიპა! ჩენ რომ კნიაზს გეძახით, განა მართლა კნიაზი ხარ?! შენც დაიჯერები? ჰამე?.. ათი თუმანი გასესხო? ეგრეა განა საქმე? ეგრე გაიფხიკე? ეერიპა! კარგი, დავტრიალდები, ვისესხებ... მე? სედრაკას რომ ათი თუმანი ჰქონდეს, ბაზაზხანაში დუქანს გახსნიდა... კარგი, კარგი, საღამოზე გნახავ. ეხლა წავიდეთ და თითო შამფური მწვადი შევჭამოთ. რას იტყვით?

— შევჭამოთ! — საჩქაროდ დაეთანხმენ ყველანი.

— კ ჩირტუ! — წამოიძახა კვაჭიმ და კინაღამ მაგიდა ჩაამტვრია; — არუთინას დუქანი სჯობია იმ ვერანა შანტანს. კმარა! გათავდა!

— აი, მომწოოონს! აქამდის მიაფურთხებდი რაღა ეშმაკს! არუთინა რა არის, შენ სხვა იკითხე! ისეთი გვრიტები ჰყავს, რომ შენს მაღამას სულ გააფასებდნ. მართალია, ცოტა საპნის და არყის სუნი ასდით, მაგრამ არა უშავს რა, შენც ხუთი ნიმუტით ცხვირ-ში ბამბა დაიცე, რალა! „სამი გლავნი“ ის არის, რომ იქ ბარონს არ წააშეყდები!

ერთი საათის შემდეგ სუთივენი ნესტიან და ჩაბნელებულ სარ-დაფში ისხდნენ და „მრავალ-ეამიერს“ გასძახოდნენ. ნარევი განჯური ღვინო კახურად საღდებოდა; ჭუჭყინ სუფრაზე ობლად და მოწყმ-ნით ეყარა ქართული ყველი, დოში, ბოლოკი, შოთი და მწვანილი; იქვე მაყალზე მწვადი შიშხინებდა; სარდაფი მისი სუნით და ბოლით იყლინთებოდა. სიღნაღელი არუთინა ფუსფუსებდა, სტუმრებს ასმევ-და, თვითონაც სვამდა და სედრაკასაც მშვიდებდა:

— ჰამე? მარუსია და კატინკა არა სთქვია? ჰო და ეხლავე მოვლენ რაღა! ერთი საათია ბიჭი გამიგზავნია. თქვენ ნუ მოიწყენთ, გენაცვალეთ. დალიეთ და დამალევინეთ... ჰაი-ჰუიიი! ჰაი, ჯაან, კნიაზჯაან, ჯაან!

— ჯალილ, ბაიათი! — შეუქვეთა კვაჭიმ.

ჯალილიმაც ჩაიხველა, ხმა ჩაიშემინდა და შემოსძახა:

„ათა მინდიმ ბაში იოხ,

ჩაილარი გეჩტიმ ტაში იოხ,

ორთი სარდიმ იანიმდა თაიღაშიმ იოხ“...

ალექსილმა კვაჭიმ მაინც ვერ მოინელა უნი. ლვინით გაბრუებული და „მარუსიას“ საპნით გაელენთილი კვაჭიყო რიცრაეზე მაღალ ლაპოშის ბინისკენ მილასლასებდა. სასტუმროს კარებში ისევ იმ ბარონს წააწყდა.

— რაო? რა სთქვით? მაღამ ლაპოშთან მიდიხართ? კეთილი და პატიოსანი. რაო? რა ბრძანეთ? მიბრძანდით მეთქი. ეხლა ნებას გაძლევთ. რაო, რა ბრძანეთ? მიბრძანდით და გამოეთხოვთ. დღეს მიდის. რაო, რა სთქვით? მაშ მშეიღობით ბრძანდებოდეთ!

და ისიც ლასლასით გაუდგა თავის გზას.

— მონ შა! — წამოიძახა მოთენთილმა მაღამ ლაპოშმა, როცა კვაჭის კარები გაულო: — მოიცა... ეხლავე! მანდ მოიცა ცოტახანს. დღეს ჩემი ქმარი შინ არ არის.

კარი მიუკეტა და ოთახში შებრუნდა. კვაჭიმ ჭუკრუტანაში შეიხდა და ლაპოშის ქმარი დაინახა, რომელმაც იღლიაში ბალიში ამოიჩარა და მეორე ოთახში გაირბინა. მაღამ ლაპოშმა ისევ კარები გააღო, კვაჭი შეუშვა და ერთხელ კიდევ უთხრა:

— მოდი, მონ შა, მოდი! დღეს ბედი გქონია. ჩემი ქმარი სახლში არ არის. გაიხადე...

კვაჭიმ რომ გამოიღიძა, ოთახში იღარც მაღამ ლაპოში იყო, არც მისი „ქმარი“ და არც მათი ბარგი. ჩაიცა და ოთახიდან გამოიდა. სასტუმროს მოსამსახურესთვის მანეთიანი უნდა ეჩუქებინა, მაგრამ ჯიბეში შაურიც ვეღარ იპოვნა. მექსიერება მოიკრიფა და გაისენა, რომ გუშინ ჯიბეში ოთხასი მანეთი ჩაიღო, მაგრამ სად დაჰქარჯა ან სად დაჰქარჯა იმდენი ფული, კვაჭიმ ვეღარ გაიხსენა.

მაღამ ლაპოში რომ ადესიდან გაპქრა, კვაჭის გულიდანც ამოქროლდა. დარჩა მხოლოდ მწარე მოგონება ზღვაში გადაყრილ სამი ათასი მანეთისა და კვაჭის მეგობართა გაუთავებელი ჩივილი, წუწუნი და საყვედური.

ბესო შიქია სდუმდა და სათვისტომოს ხაზინაზე ზრუნავდა. ჰავლაბრიანი ვერ ისვენებდა და წიმ და უწუმ ოხრავდა:

— ვაჳ, ვაჳ, ვაჳ! აი, ნამდეილი ტუტუც ვრაცუა! სამი ათასად ნახევარ სიღნაღს ვიყიდდი, ან სამი ათასს ქალს მოგარიშევდი. ნუ იცინით! ქალის ფასი ზაქონით ერთი მანეთია, ტაქსა არის დადებუ-

ლი, რაღა! ახლა, მართლა პრინცესები რომ არ მოგაროვათ, წითელ ფარანში წაბრძანებას არ იქადრებთ?

— ეგრე იცის სიყვარულმა! — ჩაურთო ჩიკინჯილაძემ.

— მე ერთი ღამის სიყვარული მწამს, მორჩი და გათავდა! — ამოილო ხმა ჩხუბიშვილმაც.

ბოლოს, ჯალილამაც თავი გაიქნია:

— ისი, რა გითხრა, ქაზჯან? ზალიან ეშხიანი გოგო იყო, მაგრაც სამი ათასიც ზალიან სოდოა.

დავა ისევ კვაჭიმ გადასჭრა:

— ქარა! — მტკიცედ განაცხადა მან: — რაც იყო, იყო, მორჩი და გათავდა! მადამ ლაპოში აღარავინ ახსენოს.

აქა ამბავი ხელნაკრავ სიყვარულისა.

მეორე დღეს კვაჭიმ ადესის უნივერსიტეტის ბალში ქართველ სტუდენტების ჯგუფს მოჰკრა თვალი. იმ ჯგუფში ქალებიც ერივნენ. მივიდა, კველას საერთო სალამი მისცა და ბაასს ყური მიუგდო.

ამ ჯგუფში პირველად დაინახა ერთი მოსწავლე ქალი, — მაღალი, წერწეტა, თოვლსავით თეთრი და სუფთა, თმაგიშერა და შავ-თვალა, ეშხიანი და მარილიანი.

კვაჭიმ და იმ ქალმა თვალი თვალს გაუყარეს. მერე ქალმა თვალი მოაშორა და გულმოდვინედ მიუგდო ყური ლეო შავიძეს და სანდრო არსენაშვილს, რომელთაც რაღაც უცნაური დავა ჰქონდათ.

ხშირად იმოდა:

— იმპრესიონიზმი... სიმეოლიზმი... სახეობა... არსი... მარადიულობა... ყოფა...

კვაჭიმ დააპირა ამ ბაასში სიტყვის ჩართობა და ამ ხერხით იმ ქალის გულისყურის მიზიდვა, მაგრამ ბაასის შინაარსს, რომ ჩაუფიქრდა, გაიფიქრა: დასწყვევლა ღმერთმა! ქართველებმა ან პოლიტიკაზე უნდა იყედონ, ან ფილოსოფიაზე. ნეტა ან ერთისა ესმოდეთ, ან მეორესი. ეს „იშმები“ რომ ფრანგულია — ვიცი, მაგრამ რა ჯანდაბაა ეს „არსი“, „ყოფა“, „სახეობა“?... აი, კიდევ: „ანარეკლი“... „იბსენი“... „ვრუბელი“... ძველი ქართულია, აღბათ ღრუბელი იქნება... „ვერლენი“... „მეტერლინეი“... „ანუნციონ“...

ნადია არმელაძე და ვერიჩა კალოშვილი იმ ჯგუფს ჩამოშორდნენ. კვაჭიც გაპყავა. ერთმანეთი შინაურულად მოიკითხეს.

— რა ამბავია, კვაჭი, ახლო აღარავის ექარები, ყველანი დაგვივიწყე? აგრე უნდა განა? — უსაყველურა ნადიამ.

— შინაურ ხუცესს შენდობა არა აქვს! — დაუმატა ვერიჩქამ.

— ამ, ევ მართალი არ არის! — თავი გაიმართლა კვაჭიმ: — მეტად გამიტაცა მეცადინეობამ, ვერ ვიცლი.

იცინეს და იოხუნჯეს. თითო ყავა დალიეს, ტკბილი ნამცხვარი შეატანეს, წარსული მოიგონეს და ახალი ჭორ-ანეკდოტები გადმოალაგეს. ბოლოს, კვაჭიმ ჰქითხა:

— იქ ბალში რომ ქალი იდგა, ვინ არის? ... სოფიო შივაძე? ... პირველად ვხედავ... მომწონსო? დასაწუნი არ არის, თუმცა... ბევრნი დასდევენ? ამ, კვაჭის მავის არ ეშინიან... კარგი, გამაცანი. სად? როდის? დღეს, შეიდ საათზე შენთან იქნება? მოვალ... კარგი, შოკოლადისაც მოგიტან.

იმავ სალამის კვაჭიმ სოფიო შივაძე გაიცნო.

ქალებს ქიმიაზე ჰქონდათ ლაპარაკი. კვაჭი ვერ ჩაერია.

მერე თავიანთი პროფესორები გაიხსენეს. კვაჭი იცდიდა.

ლიტერატურაზე გადავიდნენ. კვაჭი ითმენდა, თან იმ ქალ-ჯე-ირანის შესცემროდა, იბანგებოდა და იელინთებოდა.

ბოლოს, როგორც იყო, კვაჭიმ ბაას კვალი შეუცვალა, მსუბუქ ლაპარაკს გაჰყევა და ნადიაც გაიყოლა. სოფიო ყურს უვდებდა, მორცხვად ილიმებოდა, მაგრამ იმ ოხუნჯობაში წილს არ იღებდა.

— მაშ ცირკი არ მოგწონთ? — ჰქითხა კვაჭიმ სოფიოს: — არც ჭიდაობა? საუცხოვო სანახავია. უეჭველად უნდა გაჩვენოთ ზიკინი, ბამბულლა, ონი თეიტარო, კოსტა მაისურაძე, ბული, ვახტუროვი და წითელი „მასკა“... მაშ დრამა და ოპერა მოგწონთ? ამ, ჯერ არ მინახავს. თუნდ ხვალ წავიდეთ... არ გუალიათ? უკვე მიბრძანდებით? რა მიგაჩქარებთ? ლექციების წაჟითვეს ხვალაც მოასწრობთ... გა-გაცილებთ... ნადია, გავიაროთ.

გაიარეს. სოფიო ძალიან ჩქარობდა. კვაჭიმ ქუჩის გადასავალში სოფიოს მელაგში ხელი გაუყარა. სოფიომ ფრთხილად გაინთავი-სუფლა ხელი და ნაბიჯს მოუმატა. თავისი ბინის კარებთან ორივეს მაღლობა გადაუხადა და მიიმაღა.

კვაჭი ნაწყენი იყო. ნადიამ ანუგეშა:

— გულმშრალი და ამაყი ქალია. თუმცა ძალიან კეთილი გული აქვს. არც სცალიან, მეტად ბევრს მუშაობს... აბა, კვაჭი, შენ იცი, არ შერცხვე, თვარია... — ჩაიცინა და წაჟეშა.

იმ ღლიდან კვაჭიმ ლექციებზე სიარულს მოუხშირა. ხან აუდი-ტორიაში მოჰკრავდა სოფიოს თვალს, ხან კარებში, ხან ბალში, ხან კიდევ ახლო-მახლო ქუჩებში. კვაჭიმ მოიკრიფა და მოიმარაგა თვისი

თავაზიანობა, გამოცდილება, შნო და უნარი ქალის გულის დაპყრობისა და მოხიბლვისა.

სოფიო მას არ ერიდებოდა, არც ეტანებოდა; ოდნავ ულიმოდა და უცინოდა, ზოგჯერ კოხტად იპრანჭებოდა, თითქოს აჟყვებოდა კიდეც, თვითონაც იზიდავდა და კვაჭისაც აიყოლებდა, მაგრამ თვითონ მაინც ერთის მანძილით იყო შემოფარგლული, ერთი ზლურბლი ჰქონდა დადებული და იმ მიჯნას არც თვითონ გადასცდებოდა, არც კვაჭის გადმოაცილებდა.

კვაჭიმ რამდენჯერმე სცადა სიტყვით და ხელით იმ კედლის გადაბიჯება, მაგრამ სოფიოს მიუკარებლობისა და ხელ-უხლებლობის ყინული მაინც ვერ გასტეხა.

— ქალბატონო სოფიო, გეფიცებით ღმერთსა და პატიოსნებას, რომ თქვენისთანა ქალი ჯერ არ შემხვედრია!

— ასი ათასობით და მილიონობით დაითვლება.

— უცნაური რამ მემართება, მოხიბლული ვარ.

— თქვენვე მოგიხიბლავთ თქვენი თავი. გაიღვიძეთ.

— ცცდილობ, მაგრამ არაუერი გამოდის. ძილი გამიქრთა. მაღა დამეკარგა... ვერასტერს ვაკეთებ... ვიტანჯები, შემიბრალეთ...

სოფიო სწორედ ასეთს დროს და იმ მანძილზე შემოივლებდა ყინულის რეალს:

— ქმარა, ბატონო ქვაჭი, გავათავოთ... მეჩქარება.. მშვიდობით.. დამშვიდდით...

და მაღალ ტანს მოხდენილად მიარხევდა, ქურციკის ნაბიჯს მოუმატებდა, ზოგჯერ უქან მოიხედავდა, თან დიდრონ შავის თვალებით გაიღიმებდა და თილისმიან ელვას გამოისროდა.

— მოწყალება მოიღეთ, ქალბატონო სოფიო, ოპერაში ან დრაშაში წავიდეთ?

— გმადლობთ, არა მცალიან.

— ბულვარზე გავისეირნოთ.

— არასოდეს ბულვარზე არ მისეირნია.

— ნავით ვიცურავოთ.

— არ მიცურენია... არც მინდა, არა მცალიან.

კვაჭის ყვავილი და ტკბილეულობა ხშირად მიჰქონდა.

— ნუ სწუხდებით... ნუ ხარჯავთ ამოდენა ფულს.

ბოლოს, ლექსიც მიართვა:

„ყოლიფერი დამითმია შენი შავი თვალიზაო,

არა მძინაეს, ვიწვი სიყვარულით წითელ ალიზაო,

თუ მაცხოვრებ, ღმერთი გიზლავს კაი ქალობას

თუ მომკლავ—ნუ მომაკლებ გალობას.“

ასე თავდებოდა კვაჭის გრძელი შაირი, რომელშიც მან ჩააქ-
სოვა, ჩატლები და გადაშალა თვისი ტარიელისებური ცეცხლი სიყ-
ვარულისა, ცრემლი აღტაცებისა, კვნესა გულისა, იმედი და რწმენა
მისი განკითხვისა და სოფიოს სათნოიანობისა.

ყინული მაინც არ გალება, მზებ ღრუბელი არ გადიყარა.

კვაჭი გაფიცხდა. უინიანობას უმატა, დევნას მოუხშირა და იე-
რიშები მეტის სიმტკიცით მიიტანა.

ერთხელ ორივენი გონჯ გლახავს წააშეკრდნენ, რომელიც ნერვი-
ულად და ბრაზით ეპოტინებოდა მავალებს, თან დაეინებით მოით-
ხოვდა განკითხვას:

— გაიკითხეთ გონჯი, ქრისტიანებო, გაიკითხეთ! გესმით თუ
არა? გაიკითხეთ მეთქი! ორი გროში მაინც გაიმეტეთ, თქვე უსინ-
დისებო, თქვე კრიუანვებო!

და თხოვნას რუსულ გინებასაც მიაყოლებდა.

ორივემ გაიცინეს.

— ნაპოლეონ აპოლონიჩ, რაში ჰგევხართ ერთმანეთს თქვენ
და ეს მათხოვარი?

— ორივენი ვთხოულობთ. ეგ ფულს თხოულობს, მე კი—სიყ-
ვარულს.

— მცირე შესწორება: ორივენი არ თხოულობთ, არამედ მო-
ითხოვთ, მტკიცედ, დაეინებით და მუქარით მოითხოვთ.

კვაჭიმ იწყინა და იტკიცა. არაფერი უთქამს, ცივად გამოეთ-
ხოვა და გამობრუნდა, თან გულში გადასწყვიტა დაჩქარება უქანას-
კნელის იერიშისა.

იმ დღიდან კვაჭიმ მოთხოვნა ისევ თხოვნაზე შესცვალა. სო-
ფიოს მოწყალებას და სათნოებას ემუდარებოდა, განკითხვას და შებ-
რალებას ეხვეწებოდა, თავს აბრალებდა, სდნებოდა, ჰქონებოდა,
იტანჯებოდა და თავის მოკვლას აპირებდა.

მისი ამხანაგები—სედრაკა, ჭიბი და ლადი ყოველდღე ეკითხე-
ბოდნენ:

— ჰა, საქმე როგორ მიდის?

— მორჩი და გაათავე, რალა!

— ჰა, გამარჯვება არ დაგვიმიღო, მაღარიჩი არ შეინარჩუნო!

კვაჭი მათ მეგობრულ ანგარიშს აძლევდა და გამარჯვების ნიშ-
ნად ერთ ქეითს ჰპირდებოდა.

მთელმა ქალაქმა გაიგო კვაჭის გატაცება, მისი სიყვარული და
ახალი ყინი. ამიტომ სოფიოს დაპყრობა და დამორჩილება მისთვის

თავმოყვარეობის საქმედ გადაიქცა. კვაჭის ყველგან და ყველაფერში ადვილად ეხერხებოდა დროზედ მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით სიარული, დროზედ ჩრდილში შესვლა, მოთმინება, დროს და აღვილის შერჩევა და უკან დახევაც, მაგრამ სოფიომ ეს თვისება კვაჭის თითქოს გაუქარწყლა და მოაშლევინა.

დიდი დრო გავიდა. ამხანაგებიც ალიზიანებდნენ და აჩქარებდნენ, საქმეს კი წარმატება არ ეტყობოდა.

კვაჭის მოთმინება გამოელია და სთქვა:

— ან დღეს, ან არასოდეს!

იმ საღამოს კვაჭი სოფიოს ფეხებთან დაჩოქილი იღვა, ხელებს იმტვრევდა და იცრემლებოდა:

— ჩემო ტრედო... ჩემო ტურფავ... ჩემო ღმერთო და ხატო!.. მეტი გაძლება აღარ შემიძლიან, ძალ-ლონე აღარ მყოფნის... მაგმარე ამდენი ტანჯვა და წამება... შემიბრალე და გამიქითხე... ჩემო სოფიო... სონიჩკა... სოფოჩკა...

კვაჭიმ ნაძალადევად დაიჯერა თვისი სიყვირული: თვალებზე ცრემლი აუბზინდა და პირსახეზე ტანჯვის ნაოქები ჩაეკეცა.

სოფიომ უკან დაიწია. დაიბნა და გაშრა.

— ნაპოლეონ აპოლონიჩ! ნაპოლეონ აპოლონიჩ!... ადექით მებრალებით, მაგრამ... წამოდექით, ზეზე წამოდექით... არ შემიძლიან, მეტი არ შემიძლიან...

და თეითონაც ხმა აუკანკალდა, თვალებზე ცრემლი მოერია.

კვაჭიმ თავი ჩაჰეჭინდრა, პირზე ხელები მიიფარა, სავარძელში ჩავარდა და ბავშვივით აქვითინდა, თან უიმედო სევდით და სასორწარკვეთით ლულლულებდა:

— არ შემიძლიან, მეტი არ შემიძლიან! ეხლა ყველაფერი ვიცი, კარგად ვიცი... მეტი არაფერი დამრჩენია... გათავდა, ყოველივე გათავდა!..

სოფიო უარესად აირია. შიშმა, სათნოებამ და სიბრალულმა ყინული გაალხვეს, გული მოულბეს, სიფრთხილე გაუქრეს და სიმტკიცე გაუტეხეს. მოეშვა, მოლბა და მოდუნდა, კვაჭის გვერდით მიუჯდა, ხუჭუჭა თმებში ბროლის თითები ჩაუხლართა, უალერსებდა, ამშვიდებდა და ანუგეშებდა, თან თვითონაც ჰლელავდა და ხმაცუთრთოდა:

— კარგი, კმარა... გეყოფა... დამშვიდდი... ნუ იტანჯები, ნუ სტირი!.. კარგი, გენაცვა, კმარა, თორემ...

კვაჭი ხელზე დაეწაფა და ცრემლით დაუმდულოა.

მერე მკლავში ორივე ხელი წაავლო და ნელ-ნელა მოსწია და შიიზიდა.

სოფიო ოდნავ უძალიანდებოდა; კვაჭი მას თანდათან იზიდავდა და მეტსა და მეტს ეინს იჩენდა. მერე ორივე მკლავი მოჰყვია, ქალი ხელთ იგდო, გულში ჩაიკრა და ჩიიხლართა.

სოფიო შემინდა, შეერთა; ჯერ იხვეწებოდა, მერე გაუძალიანდა.

კვაჭიმ ძალას ძალა დაუხვედრა: დაიცინა, გამწარდა, გაცმულდა და გამხეცდა. ხელის ფათური ბლლარძუნად გადაიცეა, ბლლარძუნი—ბრძოლად, ბრძოლა—კი თავდავიწყებულ, გაკაპასებულ და გაშმაგებულ გამხეცებამდის მივიდა.

მოსჩანდა ჩამოხეული გულისპირი, გატიტვლებული მკერდი, თეთრი საცვალი, გაშიშვლებული ფეხები; ისმოდა ჩუმი ბლუილი, კვნესა და გმინეა.

სილამ ყბაზე გაილაშუნა. თმის ნაგლეჯი იატაკზე გადაეარდა. სოფიო მოითენთა, მოდუნდა და მოტყდა. კვაჭიმ ქალი თითქმის დაიურეა და დაიმორჩილა, გამარჯვება თითქმის ხელთ იგდო, მაგრამ სწორედ ამ დროს გამწარებული სოფიო კბილით დასწვდა მაჯაში.

კვაჭიმ მწარედ დაიკვნესა. ორივენი ზეზე წამოცვივდნენ. სოფიომ წიგნის გრძელსა და წვეტიან დანას დაავლო ხელი, თან დასისხლიანებულ ტუჩებს იწმენდავდა, გატიტვლებულ მკერდს ითარავდა და ქშენით ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა:

— ჩქარა!.. ჩქარა გაეთრიე აქედან!.. წუნქალო, წუწკო!.. საძაველო!.. საზიზლარო!..

— მაპატიე... ბოდიში!.. ბოდიშს ვიხდი,—ბურტყუნებდა კვაჭი, თან ტკივილისგან იღმინვებოდა და დასისხლიანებულ მაჯას ხელსახოცით იხვევდა.

— გაეთრიე-მეთქი აქედან!—და დანით ზედ მიადგა, თვალებიდან ცეცხლი წამოჰყარა:—წუწკო პირუტყვო!.. მხეცო!.. ჩქარა მეთქი!

და ბუტბუტით მიმავალ კვაჭის კარებამდის მიჰყვა.

განკურნებული კვაჭი სახლში დაბრუნდა, თან ხელნაკრავ და გაბოროტებულ ულაყის შხამი და ბალდამი წამოილო.

მეორე დღეს დილით კვაჭის თავს წაადგნენ მისი მეგობრები.

კვაჭი თბილ ლოგინში სტრიალებდა, იზმორემოდა დი იღიმებოდა.

— რავა ხარ?—ჰეითხა ჩიკინჯილაძემ.

— ვა, შუადღე მოვიდა, ადექი რალა!—ურჩია სედრაკ ჰავლაბრიანმა.

— ალბათ წუხელ გზა გაიკვლია,—გამოიცნო გაბო ჩხუბიშვილ-
მა:—იმიტომ იღიმება და იშმორება ასე ტებილად.

— ვა, მართალის ამბობს?

— იქნება მართლა?

— კვაჭი, გამოტყდა, ნუ დაგვიმალავ.

კვაჭი არ გამოტყდა. პირი მაგრად ჰქონდა მოკუმული; საი-
დუმლოებას ცხრაკლიტურში ინახავდა, ქალის სახელს და პატივს
ჰქონდა, და ისე სდარაჯობდა, როგორც ნამდვიოლ რაინდს და ვაჟეაცს
შექმენდა. მხოლოდ ოდნავ იღიმებოდა, თვალებს ეშმაკურად ატ-
რიალებდა და ზანტად იშმორებოდა, თან პირსახეზე უუზენაესს სი-
ტკბოებას, ბედნიერებას და განცხრომას იხატავდა.

— სურპ-სარქისას მაღლას ვფიცავ, საქმე გათავებულია!

— მალადეც, კვაჭი, მალადეც! დლევანდელი სადილი შენზეა.

— ჰა, სთქვი და გაათავე, რაღა!

კვაჭი ახირდა, არაუერი სთქვა, არ გამოტყდა:

— აჲ, თქმა როგორ შეიძლება!.. სადილი? სადილს ვახშამი
სჯობია, გამარტიული, მეტი გზა არ არის.

და ისევ ტებილად გაიზმორა, თვალები მილულა და ტუჩებზე
გამარჯვების დროში გაიშალა.

სედრაკი რომ კვაჭის ნაკბენი ხელი დაინახა, კვაჭის გამარ-
ჯვებაში საბოლოოდ დარწმუნდა და თვისი რწმენა სხევბსაც გაუ-
ზიარა:

— ვაა, ერთი ამას დახეთ, და! რა ეინიანი ქალი ყოფილა, ვე-
ნაცვალე იმის მაღლას!

იმ საღამოს რამდენჯერმე დალიეს კვაჭის სადღეგრძელო,
კვლავაც გამარჯვება უსურვეს, ქალების მუსუსი დაარქვეს და სო-
ფიოს სახელიც ახსენეს.

კვაჭი ისევ ორგულად იღიმებოდა და პირსახიდან გამარჯვების
დროშას არ იშმორებდა, თუმცა არც მეგობრების რწმენას ადასტუ-
რებდა და არც უარმყოფდა.

იმავ დღიდან ადესელ სტუდენტებს ჩუმი, უჩინარი და ხელ-
შეუხებელი გესლიანი ნისლი მოედო. ქალბატონი ქორი ნელ-ნელი
დასცურავდა, გველიერი დასისინებდა, თბილ ტალღასავით ყველას
ყურაში უძვრებოდა, შივ ცოტაოდენ შხამს მაინც დასტოვებდა და ქურ-
დულად ერთ სახლიდან მეორეში და მეორედან მეათეში გადადიოდა.

მოიწამლა, წაირყვნა და წაიბილწა სოფიოს ტრედის გული და
ხატის სახელი. ზოგის ყურაში და გულში ქალბატონმა ქორმა ერთი
შვეთი ძლიერ ჩააწვეთა. ზოგისაში კი—დიდი, მყრალი ჭაობიც დააგუბა.

აქა ამბავი ორი სიყვარულის გათავებისა.

ვერა ვახდა და ვაიცრიცა. ნამალავი სიყვარული კვაჭისთვის ხელსაყრელი იყო. იმ ქალთან ხალხში გამოჩენა კვაჭის არაფერს შესძენდა, ამიტომ კვაჭი ვერას ერიდებოდა და მიზეზად ის მოპქონდა, რომ კაპიტანი სიდოროვი, ან მისი მეუღლე, ან კიდევ მათი მრავალი ნათესავები ეჭვს აიღებენ და მათს სიყვარულს საქვეყნოდ ნაადრევად გამოიტანენ. აპირებს თუ არა კვაჭი ვერას შერთვას? რა თქმა უნდა, აპირებს! ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, მაგრამ... ვერა ქართველების გარდუვალ ადათსა და კანონს უნდა დაემორჩილოს, თორემ კვაჭი ველარც მშობლების ოჯახში შევა და ვერც ერთ მანეთს მიიღებს სილიბისტროს ჯიბიდან, რომელიც, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, ერთი მილიონი მანეთი მაინც ელირება. კვაჭიმ უნდა მიიღოს მშობლებისგან თანხმობა და კურთხევა, რომელსაც დღედღეზე ელოდება. თანხმობა, რა თქმა უნდა, მოვა. სილიბისტრო და პუპიც ადრევ ეხვეწებოდნენ კვაჭის, უძვევლად რუსის ქალი შეირთო, ისიც უძვევლად ნასწავლიო. ნუ, ნუ შიშობს ვერა. დამშეიდდეს და არხეინად უცადოს სილიბისტროს წერილს.

ვერა მეათეჯერ დამშეიდდა და მოთმინებით მოელოდა ქართველ თავად-აზნაურთა მარშლისგან—სილიბისტრო კვაჭანტირაძეს-გან თანხმობას და კურთხევას. ვერა ერთხელ დაფეთხებული შემოვარდა კვაჭთან, ორივე ხელით კისერზე ჩამოეკიდა და შიშით და ცანკახით ჩასჩურჩულა:

— ყური მიგდე... უნდა გითხრა, რომ... რომ ეს არის ეხლა ვაიფაჩუნა. აი, იქ ისე შძლავრად დამატაკა ფეხები, რომ... კინაღამ ჩამინგრია.

ვერა კვლავ ცახცახებდა, კვაჭის გულმეტრდზე ეკვრებოდა და მისგან ნუგეშს, დარიგებას და სიხარულს მოელოდა.

კვაჭის ცივმა ოფლმა დაასხა. გაშრა, გაბრუვდა, გახევდა და შიშმა აიტანა. ვერა დიღხანს უცდიდა ნუგეშსა და გამხნევებას. მერე ისევ მოაგონა:

— სთქვი რამე, როგორ მოვიქცე?

— დაიცა... დამაცა მოვიფიქრო.

და შუბლის სრესვეის შემდეგ მოიფიქრა:

— ჩემი აქ დარჩენა აღარ შეიძლება. ორივენი, თითქოს საპატიომროში ვიყოთო, ერთმანეთს ვერ ვხედავთ და თავისუფლად ვერ ველაპარაკებით. უნდა სხვაგან ვადაეიდე. შენ ხშირად ივლი ჩემთან... თუ საჭიროებამ მოიტანა, იქნება, ჩემთან ვადმოსახლდე.

კვერას კვაჭის აზრი კუუში დაუჯდა, გაიხარა და გამხიარულდა.

— ჩქირა გადადი... დღესვე გადადი... ნულარ აგვიანებ. მაგას რალა სჯობია: ორ-სამ ოთასს დავიქირავებთ და, სანამ მშობლების კურთხევა მოგივა, ჩუმად ვიცხოვრებთ.

კვაჭი მეორე დღესვე ახალ ბინაზე გადავიდა, მაგრამ ვერას დღე და საათი ვერ აურჩია, რომ ერთმანეთი უმოწმოდ ენახათ და ან მომავალზე მოელაპარაკნათ, ან ერთმანეთს მოპევეოდნენ და ათის წუთით მაინც დაევიწყნათ ხეალინდელის შიში და ზრუნვა. კვაჭი ხან შინ არ იყო, ხან მასთან სედრაკა იჯდა, ხან ბესო, ხან ლადი, ხან კიდევ ჟველანი ერთად იყრიდნენ თავს და წასვლას ალარ აპირებდნენ. კვერას და-ძმურად მიიღებდნენ, გაართობდნენ და თავაზიანად გაისტუმრებდნენ.

ერთხელ კვერას დანიშნულ დროზე კვაჭის ნაცვლად ბესო შიქია დაუხედა. მეგობრულად მიესალმა, დასვა და ტკბილად დაუწყო:

— მე კარგად ვიცნობთ. კუუიანი, დინჯი და გონიერი ქალი ბრძანდებით. ამიტომ თქვენთან გულახდილად ვბედავ ლაპარაკს.

— ლმერთო! რა იმბავია?.. ხომ არაფერი მოხდა?

— მოხდა, მაგრამ საიმისო არაფერია. არხეინად ბრძანდებოდეთ. უნდა მოგახსენოთ, რომ... რომ კვაჭის მშობლებისგან პასუხი მოუვიდა.

— მერე... მერე?

— საერთოდ თანახმანი და მოხარულნი არიან, რომ კვაჭიმ თქვენისთანა ლირსეული, განათლებული და პატიოსანი ოჯახის შვილი აირჩია. კურთხევასაც წინდაწინვე უგზავნიან, მაგრამ...

— მაგრამ?..

— მაგრამ იწერებიან: როცა უნივერსიტეტს გაათავებ, ცოლსაც მაშინ შეირთავო.

ქალი აირია, დაიბნა და ალულლულდა:

— კეთილი... მესმის, მაგრამ... მაგრამ მე... მე რაღა ვქნავ? მე როგორ მოვიცადო სამი თუ ოთხი წელიწადი? მე... მე ფეხმძიმედ ვარ და... და დღეს თუ ხეალ შეილი მეყოლება.

— მაგის დარდი ნუ გექნებათ. კვაჭი შეგინახავთ, თვეში ხუთ თუმანს მოვცემსთ.

— არ ვიცი... ვერ მომისაზრებია... უნდა მოვიტიქრო... უნდა მოვისაზრო.

— აյი მოგახსენეთ, გონიერი ქალი ბრძანდებით მეთქი! — გაუხარდა ბესოს: — მოიფიქრეთ, უეჭველად მოიფიქრეთ. მშეიდობით ბრძანდებოდეთ! ნუ ალელდებით, დინჯად და არხეინად მოისაზრეთ.

ფერწასული ქალი ბარბაცით წავიდა კარებისკენ. კარებში შესდგა, რაღაც გაასხენდა და მოტრიალდა:

— მართლა, დამავიწყდა: კვაჭი სად არის? რატომ თვითონვე არ მითხრა ეგ ამბავი?

— კვაჭი თავისს ბიძასთან არის. გუშინ ბიძა ჩამოუვიდა ტფილისილან.

— კეთილი... კარგი.

ისევ გატრიალდა, წაბარბაციდა, კარებს წააწყდა, კინალამ წაიქცა და ისე გავიდა, რომ მოწყვეტილი ფეხები ძლივს გაიტანა.

ამის შემდეგ ვერა რამდენჯერმე მოვიდა კვაჭის სანახავად, მაგრამ საქმრო სახლში არ დაუხვდა.

ერთხელ ერთმანეთს ქუჩაში წააწყდნენ. ვერამ კვაჭის ხელი წაავლო, განსე გაიყვანა და ცრემლნარევ ჩურჩულით უთხრა:

— რას შერები, რას მიპირებ? დედამ ყველაფერი გაიგო... გუშინწინ სახლიდინ გამომაგდეს. ერთმა მეგობარმა შემიკედლა. ლუქმა პური არა მაქვს.

— დამშვიდი, ყველაფერი მოეწყობა. ქუჩაში ამაზე ლაპარაკი არ შეიძლება. იი, ხუთი მანეთი მიიღე სახარჯოდ და დღეს შვიდ საათზე მოდი ჩემთან. იქ მოვილაპარაკოთ.

— ათჯერ მაინც ვიყავი, მაგრამ სახლში არ დამიხვდი.

— რა ვქნა, გენაცვა, ვერ მოვიცალე. დღეს გელი. არხეინად იყავი, ნუ ჰლელავ!

იმ დღესაც ვერას კვაჭის მაგივრად მისი მეგობარი ჭიპუნტირაძე დაუხვდა, რომელმაც ოთახში შეიპატიქა და უმალ იერიში მიიტანა:

— რას ჩაცივდით კვაჭის? განა მე იმაზე ნაკლები ბიჭი ვარ? თქვენისთანა ლამაზს ყოველთვის შეუძლიან მამაკაცები კუდივით აიყოლოს და არხეინად იცხოვროს.

ლალიმ ხელი მოპხვია ვერას და მიიზიდა. ვერამ პირი მიიბრუნა და უცებ ისტერიული ქვითინი ამოუშვა. ლადი დატრიხა და დაიბნა. საჩქაროდ წყალი მოაბენინა და ოციოდე წუთში გონება-მიხდილი ქალი ძლივს დაამშვიდა.

ასე მოიშორა კვაჭიმ „ხუმრობით აკიდებული“ ქალი. მაგრამ ორიოდე კვირის შემდეგ სტუდენტების სათვისტომომ გამოუცხადა კვაჭის, რომ სიღოროვის ქალმა შენზე საჩივარი შემოიტანაო. კვაჭი ჯერ ჩაფიქრდა, მერე იკითხა:

— საქმე საჯაროდ გაირჩევა?

— რა თქმა უნდა.

— თანახმა ვარ.

საღამოზე კვაჭი ბექოს მოელაპარავა.

— აჲ, მაგას არ იზმენ არც ჭიპი, არც სედრაკა და არც ვაბო.

— არ იზმენ რას მიქვიან! მაშ რის მეგობრები არიან, თუ გაკირვებაში არ გამომადგებიან! თუ ახირდნენ, მე მითხარი... მერე მე ვიცი... წადი, სამივეს წინდაწინვე ყველაფერი აუხსენი და დაარიგე...

იმ დღეს ქართულ სათვისტომოში საამხანავო სამართალი იყო გამართული. სიღოროვის, ქალი არეულ-დარეულიდ უამბობდა ამხანავებს თავისს ამბავს, თან სირცხვილისაგან წითლდებოდა, ფითრ-დებოდა და ბორდიკობდა: კვაჭი ჩვენს სახლში სცხოვრობდა; ამიურა, თავი მომაწონა, თავი შემაყვარა, შერთვის ფიცი მომცა და გამაბრიყვაო.

— კარგა ხანს ცცხოვრობდით ოქბილად. მერე, როცა ფეხ-მძიმობა დამატყო, თანტათან გული იყიდრა... მერიდებოდა, აღარ მექარებოდა. დედამ ჯერ არათერი იყოდა. მერე გაიგო... სახლი-დან გამაგდო... ულუქმა-პუროდ დავრჩი... მეგობრები სამადლოდ მინახავენ... ზოგჯერ არც იმათ აქვთ პურის ფული... დღეს თუ ხვალ სამშობიარო სახლში უნდა დაეწვე... რით? როგორ? ვისი იმედით?.. რა ვქნა? თქვენ თვითონ მასწავლეთ, რა ვქნა? როგორ მოვიქცე?

• გულჩეილი ბავშვივით ატირდა კვაჭის ხვალინდელი შვილის დედა და გუშინდელი გასართობი.

— ამხანავო კვაჭანტირაძე, რას იტყვით?

— ყველაფერი მართალია, მხოლოდ ერთი შესწორება უნდა შევიტანო მაგ ქალის ნათქვამში. მე არ ვიცი, ჩემია ეგ ბავშვი, თუ...

— როგორ თუ არ იცით! თუ ერთად სცხოვრობდით...

— მაშ ვისია? სთქვით.

— მეძნელება თქმა, ძალიან მეძნელება, მაგრამ რაი ამ ქალს თვითონ არ შერცხვა და ეს ამბავი ხალხში გამოიტანა, მეც იძულებული ვარ ყველაფერი ვსთქვა.

— ბრძანეთ.

— გვიამბეთ.

— საქმე ის გახლავთ, რომ მაგ ქალს სხვებიც ჰყავდა... მეძნელება თქმა, მაგრამ რა ვქნა? სხვა საყვარლებიც ჰყავდა.

ვერა გაფითრდა და წამოიჭრა:

— რაო, რა სთქვა?.. სხვებიც ჰყავდაო? ვინ, ვინ სხვები?

— დამაცადეთ, ქალბატონო, მოგახსენებთ. ჯერ ბრძანეთ, იცნობთ თუ არა ჭიპი ჭიპუნტირაძეს და სედრაკ ჰავლაბრიანს?

— ვიცნობ... ოქვენ თვითონ გამაცანით... ოქვენთან ხშირად დადიოდნენ. მერე, რა გნებავთ?

— მერე ის მნებავს, ქალბატონო, რომ ეს ვაჟბატონები უფრო ხშირად თქვენთან დადიოდნენ, ვიდრე ჩემთან. ოქვენც მათთან დაბრძანდებოდით. ეხლა მე გაეჩუმდები. ამხანავო თავმჯდომარე, დანარჩენი თქვენვე ჰკითხეთ ჩემს მოწმებას.

— ჰამე? — ჩემენება მისუა სედრაქამ: — როგორ არა, მეც მივდიოდი, ეგეც მოდიოდა... ჰამე?. სირცხვილია ამის თქმა, მაგრამ პირშეა ვერ გამოვალ, სიმართლე უნდა მოვახსენოთ... ჰამე? დიახ, მოხდა, ყველაფერი მოხდა, რაღა!. როდის?. ბარემ რვა თვეც იქნება... საბუთი? ვაა, ხელწერილს ხომ არ გამოვართმევდი, თქვე დალოცვილებო!.. ნიშანს მოვახსენებთ: ამ ქალს აი, ამ ალაგას მიხაილს ფერი დიდი ხალი აქვს. თუ გნებავთ, გაქხადეთ და გასინჯეთ...

იგივე განიმეორა ჭიპი ჭიპუნტირაძემაც დინჯად, გულახდილად, მტკიცედ და მოურიდებლად.

სიდოროვის ქალი გაშრა, გაქვავდა და გაიყინა. მერე აცახცახდა და ათრთოლდა. მაგიდას ჰაწია მუშტები დაუშინა, თან იხობოდა და გაჰქიოდა:

— ტყუილია! ტყუილია! ტყუილია!!

მერე კივილი და სიცილი ერთმანეთში აურია, თითქოს ქადაგად ჯაეცა; სული შეუგუბდა, წაბარბაცდა და სოფიო შივაძის ხელებზე მიესვენა.

კრება შესწყდა. სიდოროვის ქალი მეორე ოთახში გაიტანეს.

სტუდენტებში ჩინქოლი ასტყდა. ამ დროს მუდმივი სტუდენტი ვანო შივაძე შემოტია, — ვეებერთოელა ვაჟკაცი, თვალ-ამლვრეული და პირმოლუშული. ხელში დიდი კოუიანი ჯოხი ეჭირა. იქაურობას თვალი მოავლო და პირდაპირ და კვაჭის მიადგა:

— ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი.

— ბრძანეთ, ბატონო ჩემო.

— თქვენ საზიზღარი ჭორები გაგივრცელებიათ ჩემის ძმისწულის სოფიოს შესახებ... რა ჭორები? ვითომ. არ გესმით?! მოვახსენებთ...

და მოახსენა.

— ლმერთო, დამიფარე! ეგ რა უთქვამთ!.. როდის, ან ვის ვუთხარი?!. ან როგორ ვიტყოდი!. აჲ, ბატონო ივანე, ეგ როგორ დაიჯერეთ!.. ლმერთო, დამიფარე!

— თუ მართლა ეგრეა, აი, ამ ხალხში განაცხადეთ ხმა-მალლა, უარყავით ეს საძაგელი ჭორი.

— ეგ ადვილია...

— სმენა! ყურადღება! სმენა!

— ამხანაგებო! მეგობრებო!. ვიღაც პარამშადას საზიშლარი ჭორი გაუვრცელებია ჩემზე და პატივცემულ სოფიო შიგაძეზე ვაც-ხადებ საჯაროდ, რომ არაფერი მაგისთანა არც ყოფილა, არც მი-თქვამს... მე და ქალბატონი სოფიო ერთმანეთს არ ველაპარაკებით, რადგან მე ერთი თავხედური საქციელი ჩავიდინე... მაგრამ არა-ფერი ამისთანა არ ყოფილა... მეტი არაფერი...

გაათვა და გაფიტრებული სტუდენტებში შეერთა, თანაც ბურ-ტყუნებდა:

— ნეტა ერთი მაჩვენა ის საძაგელი, ამისთანა ჭორს რომ ლა-პარაკობს... ტყუილია, ყველაფერი ტყუილია!...

სასამართლომ განაჩენი გამოიტანა. რადგან ამხანაგმა სიდო-როვამ ვერ დაამტკიცა, რომ ამხანაგი კვაჭი კვაჭანტირაძე მართლა ერთად-ერთი მამაა მომავალ ბავშვისა, სიდოროვას საჩივარი უშედეგოდ დარჩეს.

გულწასული სიდოროვის ქალი და მისი მეგობარი ქალები იქ-ვე დარჩენ, ხოლო დანარჩენი დაიშალნენ.

აღელვებული კვაჭი უწყრებოდა თავის ამხანაგებს:

— როგორ გაავრცელეთ ის ამბავი, რომ ქალმაც გაიგო და ბიძაშვილმაც!.. რათა ესთქვი ის სიტყვა? იბა რა მექნა, დამედას-ტურებინა და ქალისთვის თავი მომექრა?

— ვა, შენ ხომ შეგრჩა, მეტი რა გინდა!

— შემრჩა, მაგრამ.. ეხლა ამას თავი დავანებოთ. სედრაკ, საით?

— ვა, არუთინა გველის, დილითვე მითქვამს.

ექვსივემ ჟივილ-ხივილით ნავთსადგურისკენ ჩაუხვიეს, საღაც მათ მოელოდნენ არუთინა, მწვადები, დოში და კახურად მონათ-ლული განჯური ღვინო.

ასე გათავდა კვაჭის პირველი და უკანასკნელი სიყვარული.

აქა ამბავი კვაჭის გაკოტრების და ბზის კოვზისა.

კვაჭის გაუჭირდა, მეტის მეტად გაუჭირდა: ფული გამოელია.

ფულის გამოლევას მოჰყვა ტოლ-ამხანაგებში ჩამორჩენა და გა-ვლენის შემცირება. მეგობრები წინანდებურად ალარ ეხვეოდნენ, ალარ ელაქცებოდნენ, ალარ აქებდნენ და ადიდებდნენ. ქალებიც შემოეფანტნენ. ყავახანებს, რესტორანებსა და შანტანებშიც ჩანისი-

ავება ძლიერ გაძნელდა; თერძი, მეჩექმე და მრეცხავი წუწუნებდნენ, მეიტლეც საჩივრით იმუქრებოდა.

უფლო კვაჭი მაღე დაემსგავსა უწყლო თევზს, უფრთო არწივს და უფეხო რაშს.

სილიბისტროს შეატყობინა თავისი გაჭირვება. პასუხად ქუთაისიდან მიიღო მხოლოდ თერმეტი მანეთი და ამდენივე თაბახი საჟველური, დარიგება და წუწუნი.

ისევ სედრაკა მხეშველა.

— ვააა, ვაგიშირდაა? გინდა, ფული მოგავებინოო? მაშ ყური მიგდე და ყველაფერი დამიჯერე. ნაღინა არმელაძე და ვერიჩა კალმეილი შენი კარგი ნაცნობები არიან, არა? ერთ კარგ ვამშამზე დამიპატიებ. პამ იქეითებ, პამ ხუთ თუმანსაც გაიკრამ... პამე? დანარჩენი მე ვიცი.

მეორე დღეს ერთი ბერძნი, სედრაკა, კვაჭი და ორი ქალი-შეილი „ოლიმპიის“ მიყრუებულ კაბინეტში ვახშმობდნენ.

შუალამეს რომ გადასცდა და მამაკაცებიც რომ კარგად შეზარხოდნენ და ქალებიც აჭიკებიდნენ, სედრაკამ კვაჭის თვალი უყო და ფეხი ფეხში წაპკრო. კვირი კაბინეტიდან შეუმჩნევლად გამოიპარა, ქუდი დაიხურა და სახლისკენ ვასწია.

კარგად რომ ვათენდა, ნაღინა და ვერიჩა „ოლიმპიის“ უკანა კარებიდან გამოვიდნენ და მიყრუებულ ქუჩებით თავთავიანთ ოთახებში დაბრუნდნენ.

— იმ ღამეს ძალიან ივალ გავხდი, კილამ გული წამივიდა და ამიტომ წამოვედი, — უთხრა კვაჭიმ ორივე ქალს, როცა შემთხვევით ქუჩაში შეხვდა.

აჭარხლებულმა ნაღიამ პირი მიიბრუნა და წაილულუდა:

— ჩვენც მაშინვე წამოვედით... ათი წუთიც ალარ დავრჩენილვართ... უშენოდ იმ უცხო ხალში დარჩენა არ გვინდოდა.

კვაჭიმ ხუთი თუმნით ოდნავ იმოისუნთქა, მაგრამ ისევ მალე ჩაიძირა.

კვაჭი „ევროპის“ სასტუმროში სადილობდა. ერთხელ, სადილი რომ ვაათავა, ვერცხლის კოვზი მარდად ჩაიცურა ჯიბეში და წამოვიდა. ეს ამბავი მეორე და მესამე დღესაც განმეორდა. რესტორანის პატრონმა მოთმინება დაპკარგა: კველა ლაქიებს თავი მოუყარა და გადაჭრით განუცხადა:

— ყოველ დღე თითო ვერცხლის კოვზი იკარგება. ჩემს რესტორანს ჯერ ასეთი სირცხვილი არ უნახავს. ან თქვენშია ქურდი,

ან მუშტრებში. თუ სამ დღეში ქურდი არ გიპოვნიათ, ყველას და-
გითხოვთ. წადით და ეძებეთ.

იმ დღიდან ლაქიები თავიანთ მუშტარს ერთის წუთითაც
თვალს არ აშორებდნენ. კვაჭისაც ეს უნდოდა.

იმ დღეს კვაჭი მეტის მეტად გათამამდა: სადილი რომ გაათა-
ვა, ვერცხლის კოვზს ხელი დაავლო და ლაქის თვალშინ უბის
ჯიბეში ჩაიგდო. ლაქია გაოცდა და, გახარებული, რესტორანის პა-
ტრონთან გაიქცა. კვაჭიმ დრო იხელთა და ის კოვზი ჩუმად ბესო
შიჭიას გადასცა და გადაპრა:

— ეხლა მიყურე, იმ „დურაკის“ თავზე რა ამბავი დავატრი-
ალო! ჩქარა გაიტანე ეგ კოვზი და სადმე გადამალე.

რესტორანის პატრონმა ერთი მსახური პოლიციელის დასაძა-
ხებლად გაპგზავნა, თვითონ კი მოწიწებით მივიდა კვაჭთან და ლი-
მილით სიხოვა:

— ერთის წუთით მეწვიეთ კაბინეტში, პატარა სათხოვარი მაქს
თქვენთან.

რამდენიმე წუთის შემდეგ, როგო პოლიციელიც შევიდა კაბი-
ნეტში, რესტორანის პატრონი კვაჭის დათვიერთ დაეძეგერა:

— ქურდო! ავაზაკო! კოვზების ქურდო! ბაზრის ჯიბგირო! მო-
იტა ჩემი კოვზები! ეხლავე გაჩხრიეთ ეს არამზადა! ათი კოვზი
მომპარა... ეხლაც აი, ამ ჯიბეში უდევს ერთი კოვზი.

კვაჭიმ მოთმინებით მოისმინა ლანძლვა-გინების შადრევანი
და პოლიციელს მიუბრუნდა:

— გამჩხრიკეთ, თანაბაზარ.

პოლიციელმა ბოლიში მოიხადა, გაჩხრიკა და... კვაჭის მარცხე-
ნა ჯიბიდან ბზის კოვზი ამოაცალა.

— ეს არის თქვენი კოვზი?

ყველანი პირდალებულნი შესკეროდნენ ერთმანეთს. კვაჭი
ახეხინად ჩამოჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და დინჯად მიუბრუნდა
პოლიციელს:

— გთხოვთ ეხლავე ოქმი შეადგინოთ. თქვენ კი,—მიუბრუნ-
და კვაჭი რესტორანის პატრონს:—ცილის წამებისთვის ექვსი თვით
ჩაგსვამთ საცყრობილეში.

რესტორანის პატრონმა თმებში ხელი წაივლო და ამოიკვნესა:

— დამიჭირა ამ არამზადამ, დამიჭირა!

— გთხოვთ ეს სიტყვებიც ოქმში შეიტანოთ!—მიუბრუნდა კვა-
ჭი პოლიციელს.

პოლიციელი უკვე სწერდა.

— რის ოქმი! რომელი ოქმი! — წამოიძახა რესტორანის პატრონმა და ლაქებს მიუბრუნდა: — გაეთრიეთ იქედან, თქვე ბედოვლათებო, თქვენა! — და როცა ყველანი გაიკრიფენ, პოლიციელს დანაწერი გამოჰვლიჯა, დახია და მორჩილებით სთქვა: — ქალალდს ნუ აფუჭებთ. აბა, მოკლედ მოსჭერით, რამდენს თხოულობთ?

კვაჭიმაც მოკლედ მოსჭრა:

— სამი ათასი.

და დაიწყო ბაზრული ვაჭრობა და კინკლაობა. რესტორანის პატრონმა ოც თუმნიდან დაიწყო და ას თუმანზე გაიჩირა. ბეჭოს და პოლიციელის დახმარებით ათას ხუთას მანეთზე ძლივს გაათავეს.

კვაჭიმ ეს ფული წამოილო, მავიდაზე დაჰყარა და სთქვა:

— აი, ოხრად ნაშოვნი ფული. ერთმა ბზის კოვზმა, შვიდმა ნაქურდალმა ვერცხლის კოვზმი და კვიჭის ჭკუამ ათას ხუთასი მანეთი მოიგეს. ძალიან მიკირდა, თორემ სამი ათასს ისე აღვილად ავილებდი, როგორც სამ მანეთს.

ბეჭომ დამშეულ ამხანაგებს დაწვრილებით უმშო ბზის კოვზის ამბავი. ასტუდა მხიარული ურიამული და კიუინა, ბელადის ქება, განდიდება და წაბაძეის ხურუში. მერე ერთმანეთს ეცნენ და აყაყანდნენ. ჰავლაბრიანმა მოითხოვა არუთინას ვალი და სარგებელი, ჩიკინჯილაძემ — ასი მანეთი, ჭიბუნტირაძემ — ორასი. იანგარიშეს და ვაინაწილეს.

ბეჭო შიქიამ ძლიერ-ძლიობით გადაურჩინა კვაჭის ხუთასი მანეთი, რასაც ორ კვირაში ყელი გამოსჭრეს.

კვაჭიმ ისევ გადმოიგდო ენა.

ისევ სედრაკა შეიშველა: ერთი დასტა ახალი ფული მოუტანა, თან ჰერკალებდა და თვალებს აბრიალებდა:

— ჰა, კნიაზჯან, ფრთხილად, თორემ დაილუპები და მეც დამლუპავ. დიდ მაღაზიაში ან კარგ რესტორანში არ დაახურდავო. წვრილფეხა ვაჭრებში იარე, ხან „სემიჩა“ იყიდე, ხან პაპიროსი, ხან ფაირონით გაისეირნე. მეოთხედი შენია. ჰა, ფრთხილად, თორემ...

კვაჭიმ ის ფული, ორ დღეში დაახურდავა, მაგრამ კინალამ თავი დაილუმა: ორ ალაგას ფული დაუბრუნეს. სედრაკა დაფრთხა:

— აყი გითხარი, კარგ ალაგას ნუ შეხვალ მეთქი? შენ კი თავი ვერ შეიმაგრე და ფანკონის ყავახანაში მიაჩეჩე ეგ ფული. მორჩა, მეტი ალარ არის. ჰამე? როცა იქნება, კიდევ მოგიტან, მაშ!

კვაჭი ისევ წელში გასწორდა, მაგრამ მალე ისევ მოილუნა და მოიდრევა.

— სედრაკ, მიშველე!

— ჰამე? მაშ გიშველო? გიშველი. მმა ძმისთვისაო, ამ დღის-თვისაო. მაგრამ იცი, რას გეტყვი, კნიაზჯან? სახითათო საქმე ფა-თერავით თავდება. მოდი ერთი სუფთა ხელობას მოპეიდე ხელი. ცკიუანი და მოხერხებული კაცი ხარ. მაკლერობა ზედგამოჭრილია შეწმე. ერთი საქმე მაქვს. ყური მიგდე...

აქა ამბავი კვაჭის აგენტობისა.

ორიოდე დღის შემდეგ კვაჭი ოჯახიდან ოჯახში და მაღაზი-იდან მაღაზიაში დადიოდა. მეტის ყბედობისაგან ყბები ასტკივდა, ენა დაება და თავი გაუბრუდა. კვაჭი მაისის დამდევს „ჰელიოსის“ ახალ სისტემის ფეხებს ჰყიდდა. საქონელს აქებდა, ჰერავდა, აზვი-ადებდა, მყიდველს არწმუნებდა, თერმოქიმიის ლექციებს უკითხავდა.

— მომითმინეთ, ყური მიგდეთ... აქ ნავთს ჩაასხავთ.. ამას აუწევთ.. ამას დაუწევთ... ეს თერმოსკოპი გახლავთ... დღეში ნახე-ვარი გირვანქა ნავთი ხუთ ოთასს გაათბობს.. იანგარიშეთ ეკონო-მია..

— არ გვინდა. ბატონო, ხუთივე ოთახში მშვენიერი ბუხრები მაქს.. რა დროს ფეხია მაისში!. ბოდიში, არა მცალიან!

— მოითმინეთ! ხუთი წუთი მაჩუქეთ... იანგარიშეთ ეკონომია...

კვაჭის ანგარიშით საჭირო იყო მხოლოდ ფეხის ყიდვა, ისიც თითქმის უფასოდ, ხოლო მისი გამოყენება და ხუთი ოთახის გათბო-ბა წლიურად რაღაც ორიოდე მანეთი ეღირებოდა.

ერთ კვირაში ათიოდე ფეხი მაინც გაჲყიდა.

ბოლოს ვინმე ჰოთშტეინს ეწვია. ერთმანეთს შეებნენ და შე-ეტაქნენ. ჰოთშტეინი ცივად დაუხვდა, მტკიცე უარზე გაიჩირა, ქუ-დიც კი აიღო, ვითომ წასასვლელად ემზადებოდა. ბოლოს, ყვირი-ლიც მორთო:

— არ მინდა! არ მინდა მეთქი!

კვაჭიც გაკერპდა და გაგიედა. არც ჰოთშტეინის ქუდს ჰედავ-და, არც მისი ნერვიული მოუთმენლობა ესმოდა. თითქოს ამბობდა: უნდა იყიდო ეს ფეხი, მორჩა და გათავდა! სანამ არ მოგყიდი, აქე-დან არ გავალო! დაუპატიჟებლად დაჯდა და მტკიცედ მოიკალათა.

ჰოთშტეინი მეორე ოთახში გასხლტა. კვაჭიც გაჲყიდა.

ჰოთშტეინი გახეთის კითხევს შეუდგა. კვაჭი მომინებით უკ-დიდა. ბოლოს, ჰოთშტეინი დაიღალა, მოლბა და გატყდა:

— რამდენი გერგებათ? — მორჩილებით ჰკითხა.

— 17 მანეთი და 25 კაპ.

— ინებეთ, ოლონდ თავი დამანებეთ.

— აი, კვიტანცია. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

ჰოფშტეინი კვაჭის კიბეზე დაეწია:

— მოითმინეთ.. ორიოდე სიტყვა მაქს სათქმელი. მობრძანდით... დაბრძანდით... ეხლა თქვენ მივდეთ ყური. აი, ეს წიგნი აი, ამ კატას უფრო გამოაღვება, ვიდრე მე ეგ ფეჩი. ნუ გამომივზავნით. თქვენ თვითონ დაიღით, ან გაპყიდეთ, ან გადააგდეთ, ან ლარიბს აჩქეთ. ასეთი უფროვისი და ყოვლად გამოსუსადევარი ნივთი ჯერ არავის მოუყიდნია ჩემთვის. ქება და პატივი თქვენს სიმტკიცეს, უნსა და უნარს! თქვენ აგენტობის ხალისი, შნო და ნიჭი უნდა გქონდეთ. გესმით რამე დაზღვევის საქმისა? არა?.. არც საჭიროა. ერთი საათის შემდეგ უველავერი გეციდინებათ. კარგად დამიგდეთ ყური. მე დაზღვევის ინსპექტორი გახლდართ. „სალამანდრას“ საზოგადოებაში ვმსახურობ. უუდიდესი და უუმდიდრესი კომპანია გახლავთ მოელს რუსეთში... ასი მილიონი ძირითადი თანხა... 10 მილიონი სუფთა მოგება... აქციის ნომინალური ფასი—ასი მანეთი, საბირეო კურსი დღეს—341 მ. და 40 კ. აი, ჩაიხედეთ დღევანდელ გაზეთში... „სალამანდრა“ იყიდის და გაპყიდის „რუსეთს“, „ლუზას“, „ჩიდილეთის საზოგადოებას“, „ვოლგას“ და „მოსკოვს“... თქვენ დავნიშნავთ სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევათა დაზღვევების აგენტიად.. ჯამაგირი? არაფერი. საკომისიოდ იმუშავებთ... ზოგი აგენტი თვეში ორი ათას მანეთს აკეთებს... დიალ, ორი ათასს!... ეხლა აგიხსნით დაზღვევის წესს, კანონებს და ტეხნიკას...

იმ დღეს კვაჭიმ ჰოფშტეინთან ისადილა, მერე ერთი გაკვირი კიდევ მიიღო და საღამოზე ტარიფებით, პლაკატებითა და ცერილებით დატვირთული დაბრუნდა.

სახლის პატრონი მეზღვაური კულიდისი სახლში დაუხვდა.

— როგორ? აქმდის დაზღვეული არა ხართ? მეზღვაური დადაუზღვეველი! ყოველ დღე დახსრობის ხიფათი თავს დაგტრიალებთ: ან ივადმყოფობა გადავიტან, ან სიბერე... მერე რას უპირებთ თქვენს ქრისა და ობლებს? რა პირით შეპხვდებით ერთმანეთს საიქიოს?... რაო, სიკვდილს არ აპირებთ? კეთილი და პატიოსანი. თუ ოცი ან თხუთმეტი წელიწადი უქოვრეთ, თქვენს ფულს უკანვე მიიღებთ სარგებლით. დაზღვევა ერთად ერთი საშუალებაა ფულს გადიდების და დაგროვებისა. მოკედებით თუ იცოცხებთ, მაინც მოგებაში იქნებით... რაო, ათვერ გირჩის? მაინც ვერ დაგითანხმეს? სიკვდილისა ვეშინიათ? უფრო კარგი, არხეინად მაინც მოკედებით, ცოლშვილს სამათხოვროდ არ გაუხდით საქმეს... მაინც

გეშინიანთ?! სისულელე! წელიწადში ხუთასი მანეთის გადახდა გაგი-
კირდებათ?! ტყუილია! თქვენ სხვებს ნუ შესცემით, პირიქით, თქვენ
უნდა მისურეთ სხვებს მავალითი... მცირე ცნობა ინებეთ: ამე-
რიკაში დაზღვეულია მოსახლეობის $99,7\%$, ინგლისში — $97,9\%$; გერ-
მანიაში — $94,3\%$, ხოლო რუსეთში — $00,1\%$. აი, როგორ ჩამოვრჩით
კულტურულ ქვეყნებს! აი, ესეც ერთი ნიშანი და ნიმუში ჩვენის გა-
უნათლებლობისა და უკულტურობისა! არა, არა, ბატონო ჩემო, მე
თქვენს ოჯახს კეთილ ანგელოზად მოვევლინე, და სანამ არ ჩაგრერთ
არ მოგეშვებით. გეჩარებათ? ევ არაფერია, არ დაგიგვიანდებათ...
ეხლა არა გაქვთ? არა უშავს რა, ასი მანეთი მეყოფა, დანარჩენი მე-
რე იყოს, როცა პოლისს გამოგზავნიან პეტერბურგიდან. ექიმები?
ხვალ გავსინჯავენ. აი, ვწერ... თქვენი სახელი... გვარი... როდის
დაიბადეთ?.. დაზღვეული იქნებით ათი ათას მანეთად... აი, კვიტან-
ციაც... აქ მოაწერეთ ხელი... ეხლა ასი მანეთი მიბოძეთ.. მადლო-
ბელი... ეხლა მიბრძანდით.. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

ნახევარ საათში „გააიმასქნა“ კვაჭიმ კულიდისი, რომელსაც სხვა
ავენტები ათი წელიწადი დასდევდნენ.

კულიდისმა კვაჭი ივანოვთან გაჰვზავნა, ივანოვმა — პეტროვ-
თან, პეტროვმა — პავლოვთან, პავლოვმა კიდევ — სმირნოვთან.

— როგორ? აქამდის დაზღვეული არ ბრძანდებით? საკვირვე-
ლია!.. საოცარია!.. აი, კიდევ ერთი მაგალითი ჩვენი ჩამორჩენისა!..
ამერიკაში დაზღვეულია $89,7\%$, ინგლისში — $81,3\%$, საფრანგეთში —
 $79,4\%$, ხოლო რუსეთში — $000,7\%$...

დაიუინებდა, ჩააციდებოდა, სდევნიდა, დაჰლლიდა, დაჰქან-
ცავდა და იქამდის არ მოასვენებდა თვალში ამოღებულ მსხვერპლს,
სანამ არ ჩასწერდა და არ გააბავდა.

კვაჭი დატრიალდა, დაფაცურდა. დილიდან საღამომდის დარ-
ბოდა, ერთსა და იმავეს ყბედობდა, დაზეპირებულს იმეორებდა,
ტყუილსაც მრავალს ჭაუმატებდა; ზოგს სიკვდილით აშინებდა, ზოგს
ფულის მოგროვებას ახარებდა; განცხადებებს და კვიტანციებს სწერ-
და, ფულებს აგროვებდა, კლიენტებს პოლისებს აბარებდა და გზა და
გზა თავისს მოქიშპე აგენტებს და ფირმებს პლანდავდა:

— „რუსეთის“ საზოგადოება? დღეს თუ ხვალ დაიღუპება, „ვოლ-
გა“? უკვე გაეოტრდა... „მოსკოვი“? დაზღვეულებს ფულს არ აძლევს.
აგენტი კარპოვი? ჯიბგირია! კაცმანი? ვიცნობ, დიდი უსლიყია! სი-
ხლეიჩი? შარშან დაატუსილეს ფულის გაფლანგვისთვის... არ ენდოთ!
მოერიდეთ! დამიჯერეთ, თორემ ინანებთ!

კვილგან გაშინაურდა და ყველას დაუნათესავდა.

— ა-ა-ა, კნიაზ ნაპოლეონ აპოლონიჩ ვახლავართ! როგორ გიკითხოთ, როგორ ბრძანდებით? გვეწვიეთ, კნიაზ, გვეწვიეთ.

და კვაჭიც ხან პეტრეს დასცემდა პატივს, ხან პავლეს; ხან ივანესთან სადილობდა, ხან სიდორთან ვახშმობდა, ხან კუშმასთან ქეიფობდა. ორიოდე თვეში ისევ გასუქდა, გამოკეთდა და გადიდეკაცდა.

ათიოდე სუბაგენტი გაიჩინა, ეტლი ისევ თვიურად დაიქირავა, სედრაკას ვალი დაუბრუნა და დანარჩენი ამხანაგებიც მუშაობაში ჩააბა.

მაგრამ კვაჭის მაინც ერთი სატკივარი ჰქონდა, ერთი აზრი აწუხებდა, ერთი საზრუნავი ჰქონდიდა: ზედმეტი ფული არ ჰქონდა.

რასაც ჰშოულობდა და იგებდა, დიდის შრომით და ჯაფით იყო ნაშოვნი; გუშინ აღებული დღესვე ეხარჯებოდა, ხოლო ხვალ, ზეგ და მაზეგაც ისევ საჭირო იყო სირბილი, ახალი მუშტარის შოვნა, ახალი ყბედობა, დაჯერება და—ერთის სიტყით—ყოველდღიური ზრუნვა, გარჯა, მუშაობა, თელის დაღვრა, შრომა და ბეჯითობა.

კვაჭი კი სულ სხუანაირ ცხოვრებაზე ოცნებობდა, ამ სოფლის-გან მეტს მოელოდა და მოითხოვდა: თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, ნებისმიერობას და განცხრომას. ხოლო ერთიც, მეორეც და მესუთეც იშოვებოდა მხოლოდ ფულით,—ეს კვაჭიმ ძალიან კარგად იცოდა,—დიდილ და უთვალავ ფულით, რომელიც უნდა ინახებოდეს ბანქში, მიმდინარე ანგარიშზე; კვაჭი მხოლოდ ჩეკებს უნდა სწერდეს და მარჯვნივ და მარცხნივ არიგებდეს. ამდენი ფული კვაჭის არ ჰქონდა, და მისი საზრუნავი, საფიქრებელი და სადარდელიც სწორედ ეს იყო.

— რატომ თქვენ თვითონ არ ჩაეწერებით?—ჰკითხა ერთხელ კვაჭის ჰოცებენმა.

იმავ დღეს კვაჭიმაც ჰკითხა თავისს თავს:

— მართლა, რატომ არა ვარ ჩაწერილი? რატომ სილიბისტროს არ ჩაწერ?

და იმ დღიდან კვაჭის ტვინი იუდულდა.

აქა ამბავი სიცოცხლისა და სახლის დაზღვევისა.

კვაჭი წინანდებურად დაძრება და დარბის, დარბის და ჰეიქრობს, ჰეიქრობს და ჰეიქრობს. სწონავს, აფასებს და ანგარიშობს. იანგარიში და დასწერა:

„ჩემო ძვირფას მამა,

ჩემო კეთილო სილიბისტრო!

ეს დაბეჭდილი ბლანკი, წერილთან ერთად ომ გიგზავნი, სისწორით გაავსე, კოლია ცალიქაძეს დააწერინე. ათი ათასში უნდა „დაგსტრახო“. მიზეზს ნუ მკითხავ, მალე გნახავ და ყოველისფერს ვეტყვი. ქუთაისში ცხოვრობს „სალამანდრას“ აგენტი ვალოდია შარიძე. მიდი მასთან და დანარჩენს ის გაგიკეთებს. უთხარი, ომ კვაჭიც აგენტია თქმ, ამიტომ საკომისით არაფერი მისცე. გიგზავნი სამას მანეთს. ასი აგენტს მიეცი, ასი შენ მოიხმარე და დანარჩენიც აგენტს მიეცი, როგა პეტერბურგიდან პოლისი მოვივა. პოლისი ომ ჩაიბარო, დეპეშა მომეცი, პოლისი მოვიდა თქმ. მერე მეც ჩამოვალ და ყოველიფერს „გაგამასქნელ“. არაფერი არიო, ისე მოიქცი, როგორც გწერ. გარდა ამისა, საჩქაროდ დასტრახე „მოსკოვის საზოგადოებაში“ ჩვენი სახლები ძალიან დიდ ფასში. ჩემი დარიგება არ ვინდა, ვიცი, რომ მოახერხებ, აგენტს გაამასქნელ.

მე ვარგად ვარ, ჩემი დარდი ნუ გექნება. მეწყინა ტვიჩიას სიკვდილი. ძალიან გამეხარდა, რომ შენ ძლიერ პრაპორჩიკობა მიიღე. მეტის ლირის იყავი, მაგრამ არა უშავს რა, დანარჩენი მერე იყოს. ცოტა ვალი გამომყვა ერემოსი, ლაითაძესი და დანიელა ურიასი. ყველანი მომიჯითხ და უთხარი, რომ კვაჭი მალე ჩამოვა და ვალს მოგცემთ თქმ. აბა, შენ იცი, არაფერი არიო.

ცხარე ცრემლით ესტირი, რო მე აქამდის ვერ ვნახე ჩემი საყვარელი პუპი, ხუხუ და ნოტიო. გკოცნით ყველას. ვინ იცის, თუ ბედი მაქვს, შეიძლება მაგ ჭუჭყიან ქუთაისიდან ტფილისში გადავისახლოთ. ლმერთი ილოცეთ, დაგვეხმარება.

შენი შვილი კვაჭი.

პ.ხ. შემატყობინე, ცოცხლია თუ არ ვოლევის დედაცეცი, სახლი რომ მოვყენდე. ორი კურსი გავითავე, კიდევ ორი დამრჩა. არავის ერ უთხრი ჩემი ჩამოსხლა.

შენი კვაჭი.“

იმავ ხანებში კვაჭიმ ჰოფშტეინს განცხადება წარუდგინა „სალამანდრას“ სახელშე შესახებ იმისა, რომ მას—კვაჭის—ჰსურს თავი ზაიზლების უბედურ შემთხვევისაგან ოცი ათას მანეთში.

— სიცოცხლის დაზღვევას არ აპირობთ?

— მეშინიან.. არ მინდა, ჯერ ახალგაზრდა ვარ. უბედური შემთხვევა შეიძლება მეც დამემართოს.. ბევრს დავდივარ, ვინ იცის, იქნება კრეონი დამეჯვახოს, ან ეტლმა გადამიაროს, ან სახლს აგური მოსწყდეს და დამეცეს.

ორი კვირის შემდეგ პოლისი ჩაიბარა. მერე ქუთაისილან დე-
პეშაც მიიღო. ეწერა: „პოლისი მივიღე. სილიბისტრო“.

გავიდა რამდენიმე დღე- კვაჭიმ მოულოდნელად განუცხადა თა-
ვისს ამხანაგებს: მამა ჩემი სილიბისტრო ავად გამხდარა, ამიტომ
ხეალ ქუთაისში მივდივარო.

კვაჭი და ბესო საჩქაროდ გემზე ავიღნენ და მეხუთე დღეს მო-
ულოდნელად შევიდნენ კვაჭის საკუთარ სახლში, სადაც კვაჭიმ უკა-
ნასწერელი გიმნაზიური წელიწადი გაატარა და რომელიც კვაჭის ბი-
ძამ, ხუხუ ჩიჩიამ, და სილიბისტრომ „მეტად ძეირად იყიდეს“ ვოლ-
კოვის ქრისტიან.

ასტყდა სილიბისტროს ოჯახში ერიამული, მხიარული წივილ-
კივილი, კოცნა, ხვევნა და ლხინი. კვაჭის დედას პუპის მოულოდ-
ნელ სიხარულისგან კინალამ გული შეულონდა, დაბერებული ხუხუ
და ნოტიო ატირდნენ, ხოლო სილიბისტრო ილიმებოდა და იბლინ-
ძებოდა, ვინაიდან იმის მოსულ მხარ-ბეჭებ „პრაპორჩიკის“ ბეყვრი-
ალა ეპოლეტები ამშვენებდნენ.

ერთმანეთი რომ მოიკითხეს და გულის პირველი ფრიალი და-
იმშვიდეს, კვაჭი, ბესო და სილიბისტრო კაბინეტში ჩაიკეტნენ. დიდ-
ხანს იჩურჩულეს, იბაასეს და იფიქრეს.

სამი დღე პზომებს, სწონებს და იანგარიშებს ის საქმე. კვაჭიმ ჩა-
იკითხა და დაიზეპირა სილიბისტროს სიცოცხლისა და მისი სახლის
დაზღვევის პოლისები. კვაჭის ფრიად იამა და ესიამოვნა, რომ ოთხი
ათასიანი სახლი სილიბისტრომ ათი ათას მანეთად დააზღვია.

მეოთხე დღეს სილიბისტრო ლოგინიდან ველარ ადგა. შიგნე-
ულობას იტკიებდა, ჰკენესოდა და სჩიოდა.

ორი კვირა გავიდა. ექიმებმა სილიბისტროს ხან მალარია აღ-
მოუჩინეს, ხან კუჭის ანთება, ხან დიაბეტი და ხან კიბო.

— ავ, ქუთაისელ ექიმს რავა დიეჯერება რამე? — ამბობდნენ
სილიბისტრო და მისი ოჯახის წევრები: — მადლობა ლმერთს, კვაჭი
ჩამოგვესწრო, ან ადესაში წეიყვანს ავადმყოფს, ან ტფილისში.

კვაჭიმ და ბესომ იმ ხანებში ერთხელ კიდევ გადაატრიალეს
ქუთაისი, ერთხელ კიდევ მოიგიერანეს თავი და გაიხსენეს გაბერილი
ერემო, ლაითაძე და დანიელა ურია.

არც შოლია და მისი ერთგული მეულლე — ცვირი დაივიწყეს.

თეოთონ შოლია კვაჭის სახლში არ დაუხვდა, რაიც კვაჭის არ
სწერენა, ხოლო ცვირი ამის გამო სიხარულით ფეხზე ალარ იდგა.
ერთხელ კიდევ გაიხსენეს და მოიგონეს ცვირიმ და კვაჭიმ უწინდე-

ლი დროება და ერთხელ კიდევ იგემეს დახავსებულ და დაობლებულ სიყვარულის ნაფხვი.

არც ბესომ დაივიწყა ცვირი და იმანაც გაახსენა თავისს უწინ-დელ დიასახლისს წარსულნი დრონი, სამურნი და სასარგებლონი.

ვოლეკოვის ქვრივმა რომ გაიგო კვაჭის ჩამოსხლა, თავისს ბნელ-სა და ნესტიან ოთახში ჩაიკეტა და ლოცვა-მარხევში გაატარა ის დრო, სანამ კვაჭი ქუთაისში ქიფობდა. ისე ერიდებოდა და ექრძა-ლებოდა კვაჭის, თითქოს მან, უკვე გამოჩერჩეტებულმა დედაკაცმა აწყენინა კვაჭის, მოატყუა იგი, გაჭქურდა, გაატყავა და ხელცარიე-ლი დასტოვაო.

ბოლოს, კვაჭიმ დასუსტებული და მიბნედილი სილიბისტრო თბი-ლიდ შეახვია და ტფილისში წაიყვანა.

კვაჭიმ და სილიბისტრომ დიდუბეში ერთი მიყრუებული სამ-თახიანი სახლი დაიქირავეს და მეორე დღიდანვე საქმეს შეუდგნენ.

კვაჭი ცხვირს ითამაშებდა, თვალებს აბეცებდა, ჰაერს ჰსუნავ-და, დაბოდა, ცნობებს იგროვებდა და რაღაცას ეძებდა. ბოლოს, კვა-ჭი იპოვნა, ნაძებარს მიპყვა და მიაგნო.

ერთ დღეს კვაჭი ერთს ოთხმოცი წლის რუსს ეწვია.

- ამ სახლის პატრონი თქვენ ბრძანდებით?
- დიალ, მე გახლავართ.
- თქვენთან სცხოვრობს ოვანეს შაბურიანცი?
- ჩემი მეეზოვე გახლავსთ. ძალიან ავად არის.
- ავად არის? რა დაემართა?
- ავერ ორი კვირა იქნება, რაც დამბლად არის დაცემული.

მარჯვენა ხელ-ფეხი და ენა აქვს წართმეული.

— ღმერთო ჩემო, რატომ აქიმდის ვერ გავიგე?! იქნება მეშველ-ნა რამე. ნუ გიკვირთ, ძეელი მეგობრები ვართ. ერთხელ დიდ წყალ-ში ვირჩობოდი: ოვანესა მომეშველა და ამომიყვანა... სიკვდილს გადამარჩინა... კინაღამ თვითონაც დაიღუპა... მერე ერთმანეთი დაცეკარგეთ. მხოლოდ ეხლა ჩამოვედი რუსეთიდან და შემთხვევით გა-ვიგე, რომ ოვანესა თქვენთან ყოფილი.

— ღვთისნიერ საქმეს ჩაიდენთ, თუ მოუცლით როგორმე. მთელს ქვეყანაზე არც ნათესავი ჰყავს, არც პატრონი, არც მომ-ვლელი. სამალეოთიდან არის გადმოხვეწილი.

— ვიუი, ვიცი, ეანელი სომეხია... ცოლშეილი ოსმალებშა დაუ-ხოცეს... ღმერთო ჩემო, ეს რა მომიყიდა, როგორ დავიგვიანე! მა-ჩვენეთ ის უბედური, თუ ღმერთი გწამთ.

— წამობრძანდით. არ ვიცი, რა ვუყო, როგორ მოვუარო? მე თვითონ მოსავლელი ვარ... დღეს ვაპირებდი საავადმყოფოში წასვლას და თხოვნას, იქნება მივაღებინო მეოქი..

— არა, არა! მაგას ნუ იზამთ. მე თვითონ ვუპატრონებ.

ბნელს, ნესტიანსა და კუჭყიან სარდაფში თავს წაადგნენ მყრალ ძმნებში გახვეულ უძრავ გვამს.

— ბარი ლუსტი, ოვანეს! როგორა ხარ? მიცანი, განა! აი, მოვედი... ძლიერ გიპოვე... ერთხელ შენ დამიხსენი სიკვდილისგან, ეხლა ჩემი ჯერია... აბა, უნდა წამომყვე... ნუ გეშინიან, ორ კვირაში ფეხზე წამოგაყენებ... აბა, სად არის ამის პასპორტი და ქალალდები? თქვენა გაქვთ? მიბოძეთ.

მუშები მოიყვანეს, გაოცებული ოვანესა ეტლში ჩასვეს და კვაჭის ბინაზე წაიყვანეს.

სამივენი გახარებულნი და კმაყოფილნი იყვნენ — კვაჭი კვაჭანტირაძეც, მოხუცებული რუსი და ოვანეს შაბურიანციც.

იმავ დღეს კვაჭიმ ექიმი მოიწვია.

— ექიმო, მიშველეთ!.. თუ ღმერთი გწამთ, მიშველეთ!.. ეს რა უბედურება დამატყდა, რა ღვთის წყრომა დამემართა!.. — წუწუნებდა და იცრებლებოდა კვაჭი.

— დამშვიდდით, ბატონო ჩემო, დამშეიდდით და მიამბეთ, რა მოხდა, როგორ მოხდა? ვინ არის ეს ავადმყოფი?

— მამაჩემი გახლავთ, სილიბისტრო კვაჭანტირაძე... ერთი თვე იქნება, რაც ტფილისში დაესახლდით, ჯანმრთელი ადამიანი იყო, არაფერი ეტყობოდა... იქნება, თქვენც გახსნეთ, რომ ათოდე დღის წინათ ბაზარში ყუმბარა გავარდა?

— როგორ არა, მახსოვს, კარგად მახსოვს.

— მე და ეს საწყალი იქ ვიყავით. ის ყუმბარა თითქმის ფეხვეშ გაგვივარდა. როგორ გადავრჩით, — მხოლოდ ღმერთმა უწყის. ნადევილი სასწაული მოხდა ჩენენ თავზე. იმავ წამს ჩაესხედით ეტლში და წამოვედით. დღევანდლამდის მამა ჩემი სულ სცახცეხებდა. მინდოდა ექიმი მომეწვია, მაგრამ არ ჰქნა, ჩემს დღეში ექიმთან არ ვყოფილგარ და არც ეხლა მინდაო. დღეს უცებ წაერთვა ყველაფერი და ენაც დაება. ღმერთო, დამიხსენ ხიტათისაგან! ღმერთო, მომქალი!

— დამშვიდდით, ნუ აღელდებით! ავადმყოფს გავსინჯავ, იქნება საიმისო არაფერი სჭირს.

დიდხანს ჰინჯა ავადმყოფი. ოვანესა გაოცებულ თვალებით ათვალიერებდა ორივეს და ტუჩებს აცმაცურებდა, თან გუნებაში ჰიფიქრობდა:

— ასტვაც! ასტვაც ტერ-ოლორმიან! ვინ არის ეს ახალგაზრდა? რა უნდა ჩემგან? ან ამ სახლში რად მომიყვანა?

კვაჭის შიშისებან თითქმის გული მისდომდა: ევონა, საცაა იქად-მყოფი ენას ამოიღეავს და ალაპარაკდება.

ბოლოს, ექიმმა სთქვა:

— არ დაგიმალავთ, ვაუკაცი ბრძანდებით, უნდა გაუძლოთ და მოემზადოთ. შეიძლება, მამა ოქვენი მალე გასთავდეს, ოუმცა შეიძლება კიდევ დიდხანს იცოცხლოს.

ექიმის ნუგეშმა კვაჭი დააფრთხო, შეაშინა. თმებში ხელი წაიკლო, ამოიკვნესა და სკამზე დაეცა:

— ღმერთო ჩემო!.. ღმერთო დიდებულო!..

ექიმმა რეცეპტი დაუწერა, დარიგება მისცა და წავიდა. იმავ დროს გარედან სილიბისტრო შემოვიდა.

— რავაა საქმე?

— ძალიან კარგად. შეიძლება მალე გათავდესო. ვაუკაცი ხარ, უნდა გაუძლო და მოემზადოო.

გაიღიმეს და ჩაიცინეს.

— აფერი აჭიმო, არც წამალი მისცე.

— აპა, ამისთვის დავხარჯავ ფულს! თუმცა წამლის მოტანა საჭიროა, ექიმი კიდევ მოვა... აფთიაქში მივდივარ... ხეალ შენ წაგიყვან საავადმყოფოში, თავი მოიავადმყოფე, ენა დაიბი... მოითმინე ერთი კვირა...

— კაი, კაი! წადი წამლიზა. მალე დაბრუნდი.

მეორე დღეს ტფილისის ერთ დიდ საავადმყოფოში ჩასწერეს: „ოვანეს კარაპეტას ძე შაბურიანცი... 45 წლისა... ქალაქ ვანიდან... ოსმალეთის ქვეშევრდომი... ნიშნები სიდამბლისა“...

ორი კვირის შემდეგ ერთ ქართულ გაზეთში შავ-არშინიანი განცხადება დაიბეჭდა:

ა/წ. 27 სექტემბერს ქ. ტფილისში ხამოკლე ევადმყოფობის შემდეგ მოუღონებელ გარდაიცვალა

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ა მ 3 3 1 8 1 6 0 1 6 1 4 3

რასც უუდიდესი მუშაორებით ეცვადებენ მისი ქვრივი პუპი, დაობდებული შვილი კვაჭი (ანბოდისტე), სიმამრი ხუხუ ჩიჩია და სიღედრი ნიკო ჩიჩიასი. ცხედრის გმოსვენება მოადება დღეს, 12 სილი, განსვენებულის ბინიდან (დიდუბე, სეგურიძოს ქ. 84).

მცირე გაუგებრობა მოხდა: სამგლოვიარო განცხადება რედაქტირის დაუდევერობის გამო მხოლოდ დასაფლავების დღეს დაბეჭდეს, ხოლო რადგან გაზეთი იმ დროს საღამოობით გამოდიოდა, ამიტომ განსვენებულ სილიბისტროს პანაშეიდს და გამოსვენებას ის ორიოდე შორეული ნაცნობიც არ დაესწრო, რომელნიც კვაჭანტირაძის ოჯახს ჰყავდა ტფილისში.

საწყალი „სილიბისტრო“ მეორე დღიდანვე მაგრად იყო კუბოში ჩაქერილ-ჩალურსმული, რადგან, როგორც კვაჭი ამბობდა, უცნაური მიზეზის გამო სილიბისტრო ერთ დღეში გაიხრუნა და სუნი აუშვა.

მღვდელი და დიაკვანი მობეზრებულ სამგლოვიარო საგალობელს ზანტად და ცალის ყბით აჭიანურებდნენ:

— გაანუსვენე უფალო-ო-ო, სულსა მიცვალებულისა მონისა შენისასა-ა-ა...

— ა-ა-წ და მარადის და უკუნითი-ი-ი, უკუნისამდე-ე. ა-ა-ამინ...

ძაძებით შემოსილნი ჰუპი და ნოტიონ ნამტირალნი, ლრმად დამწუხებულნი, მისუსტებულნი და მიბნედილნი იყვნენ. თმები გაწერილი ჰქონდათ, „დაწვნი — დაჭქნობილ და თვალნი — ვიკართა გუბელიშრეტელ“, ხუხუ და კვაჭი თაეჩაქიდულნი იდგნენ. პირსახე მოლუშული ჰქონდათ, წარბები — შეკრული, თვალები — გასიებული და დაწითლებული მეტის დარღისგან, უძლაჯობისგან, ცრემლისგან და უძილობისგან.

პანაშეიდი რომ გათავდა, „სილიბისტროს“ კუბო ბალდახინზე დასდეს და ჩქარის ნაბიჯით კუკიის სასაფლაოსკენ გაუტიეს.

ჭირისუფლები წუწუნით, ოხვრითა და კვნესით მისდევდნენ, თან ჩუმჩუმად ირგვლივ თვალებს აცეცებდნენ, მავალებს ითვალიერებდნენ, ზოგჯერ მიუუჩდებოდნენ, ზოგჯერ სამგლოვიაროს შესძახებდნენ:

— შეილო სილიბისტრო! რეიზა გამისწარი! რა გაშეყინეთ, რა დავიშავეთ მისთანა, რომე ასთე აღრე დაგვანებე თავიიი! — გაპეიოდა ნოტიონ და პირსახეში ოდნავ ხელებს იშენდა.

— შეილო ჭიბიიი! — გააგრძელებდა ხუხუ: — შენისთანა ვაჟეაცი რეიზა მეიტაცა უფალმა? ვიღის დოუშვენებს მხარ-ბეჭს აწი შენი პრაპორჩიკის აპელატები? ვინდა გაუშევს აწი თავად-აზაურებს მამობას და მარშლობას? რეიზა დაგვასხი კერიაზე წყალი? რეიზა დამიტსე სანთელ-იიი?..

— უი მე უბედურსა! უი მე დაჭცეულსა! — შესძახებდა პუპი: — ვინდა წავა აწი ბაზარში?. ვინდა იყიდის სამწვადეს და მწვანილსა,

შენ რომე ასთე გიყვარდა, სილიბისტრო-ო-ო!.. ვინ დამიხუჭავს აწი ამ უბედურ თვალებს, შენ რომ ასთე მოგწონდა-ა-ა! ერთად ვიცხოვ-რეთ აქინე, ერთად წევიდოდით იქინე-ე-ეც.. ასთე გვქონდა პირობა, სილიბისტრო, ჩემო ერთგულო!..

— ვაი მე საწყალსა! — იცემდა თავში ხელებს კვაჭი: — ვინ მო-მივლის ეხლა?! ვინ მომცემს სწავლის ფულსაა! ვინ გამათავებიებს უნივერსიტეტსა-ა-ა! დევილუპე მე უბედური-ი-ი!

ბესო შიქიაც თავ ჩაღუნული მისდევდა მგლოვიარე ოჯახს და პატარა ულვაშებში იცინოდა.

კუკიის სასაფლაოზე ჩქარის ნაბიჯით აირბინეს, კუბო სამარე-ში ჩააგდეს, მიწა მიაყარეს და თავჩაინდრულნი დაბრუნდნენ. იმავ საღამოს „ოვანეს შაბურიანცი“ საავადმყოფოლდან გამოეწერა და ნავ-თლულის სადგურზე გავიდა. კვაჭიმ „ოვანესა“ გააცილა.

სიბნელეში დიდხანს იჩურჩულეს, მერე ერთმანეთი დაპჰოცნეს და დაშორდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ კავკავის პოლიციაში გადამწერი სქელ წიგნში სწერდა:

„ოვანეს შაბურიანცი, 45 წლისა. ოსმალეთის ქვეშევრდომი.. ამოვიდა ტფილისიდან. დასახლდა ბაზრის ქუჩაზე, № 16..“

აქა ამბავი დაზღვევის სარგებლობისა.

დ ა კ ვ ე თ ი ლ ი.

„სალამანდრას“ დამზღვევ საზოგადოების საოლქო ინსპექტორს
მიხეილ ჯავახი შვილს

ქ. ტფილისში, ვერის დაღმართი, № 21,
ბინა № 2.

კვაჭი (ანაპოლისტე) სილიბისტროს ძე
კვაჭანტირაძის

განცხადება

პატივისცემით გაუწყებთ, რომ ა/წ. პირველ ოქტომბერს საღა-
მოს ცხრა საათზე ველოსიპედით მოვდიოდი დიდუბეში. ეკლესიის მახლობლად რომ გამოვიარე, სიბნელეში ეტლი დამეჯახა და წამაქ-

ცია. შედგენილ იქმნა შესაფერი ოქმი, რომლის ასლს ამასთან ერთად გიგზავნით. დაშავებული მაქვს მარჯვენა ხელი და მარჯვენა ფეხი. დაზღვეული ვარ უბედურ შემთხვევისგან თქვენს საზოგადოებაში პოლისით № 124392 ა.წ. 11 მაისის თარიღით.

გარდა ამისა, მწუხარებით გაუწყებთ, რომ ა.წ. 25 სექტემბერს დილის 4 $\frac{1}{2}$ საათზე ქ. ტფილისში ჩემს ბინაზე მოულოდნელად გარდიცვალა ჩემი ძეირფასი მამა სილიბისტრო კვაჭანტირაძე, რომლის სიცოცხლე დაზღვეული იყო აგრედევ თქვენს საზოგადოებაში ათას-ათას მანეთად პოლისით № 475663 ა.წ. 4 ივნისის თარიღით.

ამასთან ერთად გიგზავნით სამს მოწმობას შესახებ: 1) ავადმყოფის წამლობისა, 2) სიკედილისა და 3) დახაფულავებისა.

გთხოვთ მიიღოთ შესაფერი კანონიერი ზომები.

პატივისცემით კვაჭი კვაჭანტირაძე.

2 ოქტომბერს, 19... წ.

ქ. ტფილისი, საგურამოს ქ., № 84.“

თანახმად სამსახურის წესებისა და არსებულ კანონებისა, ამიერ-კავკასიის საოლქო ინსპექტორი მიხეილ ჯავახიშვილი მეორე დღესვე გავიდა საგურამოს ქუჩაზე და თავს წაადგა მელოგინე კვაჭი კვაჭანტირაძეს:

— ბატონი კვაჭანტირაძე თქვენ ბრძანდებით? ჯავახიშვილი გახლავართ. თქვენი განცხადების გამო გიახელით.

დაფაცურდნენ და დაფეთღნენ ხუხუ ჩიჩია, მისი მეულე ნოტიონ და კვაჭის დედა პუპიკო. თვითონ კვაჭი ლოგინში ასტოკდა, აშფოთდა და აკვნესდა.

— დიდად სასიამოვნოა თქვენი მობრძანება, ბატონო მიხეილ... დიბრძანდით, ბატონო.. აქანე დაბრძანდით.. არა, აქ გირჩევნიათ...

ხუხუმ ჩალის სკამი მიართვა, პუპიკომ პატარა ლბილი სკამი მიუდგა, ნოტიონ კი სავარძლის მოთრევას პლამობდა.

— ნუ სწუხდებით, ბატონებო, ნუ სწუხდებით... დიდი მადლობელი, დიდად გმადლობთ...

— შორიდან გიცნობთ, პატივცემულო ბატონო მიხეილ სავიჩ! თქვენზე მრავალი ქება გამიგია. ყოველი კაცი თქვენზე კარგს ლაპარაკობს.... — დაიწყო კვაჭიმ.

— მადლობა უფალსა! —ჩაურთო ხუხუმ: — ცუდს ხომ პფერს ლაპარიკობენ, კარგი უთქვამთ.

— სახელი სჯობია ყოლიფერს, შვილო! ჩაიოხრა ნოტიომ.

— თუ ასეთი ახალგაზრდა ვაჟს ასეთი დიდი სახელი გიშოვიათ, სიბერეში ხომ მთელი რუსეთი თქვენზე ილაპარიკებს! — ჩაიკვნესა ქვრივმა პუპიმ.

ასე დაუხვდა კვაჭანტირაძიანთ ოჯახი ინსპექტორს: ქვეშ ბუბული გაუშალეს, თავი მოუქონეს და სულში ნელსასუნებელი ჩაუწვეთეს.

ჯავახიშვილმა თავაზიანობის მახვილს ასეთივე ფარი დაუხვედრა:

— არ დაუჯეროთ. თუ კარგი უთქვამთ ჩემზე, — მოუჭორიათ და გაუზვიადებიათ. თუ ერთი ავი უთქვამთ — ასი დაუმალნიათ. მეც შორიდან გიცნობთ, ბატონო კვაჭი! გაგახსენებთ: ორი წლის წინად მე და თქვენ ერთად ვიმგზავრეთ ადესამდის.

— იმე, დამიდგა თვალი! — ერთი წუთით გამოცოცხლდა კვაჭი: — მახსოვს, კარგად მახსოვს! უცხოეთში მიბრძანდებოდით მაშინ, არა? მაშინაც მთელი გემი თქვენზე ლაპარაკობდა. ამისთანა ინუენერი მთელ რუსეთში ერთიც არ მოიპოვებაო! — იტყუა კვაჭიმ, რადგან ჯავახიშვილს სწორედ იმდენივე გაეგებოდა ინუენერობისა, რამდენიც კვაჭის — ასტრონომიისა ან სანსკრიტულ ენისა.

ერთმანეთის მოქითხვა და ქონის მოსმა გაათავეს.

— გადავიდეთ საქმეზე. რა დაგემართათ, რა მოგივიდათ?

აცრემლდა, აწუწულდა და აკვნესდა ის ოჯახი. ერთმანეთს აღარ აცლიდნებ:

— რაღა რა დაგვემართა, ბატონო მიხეილ! თქვენ მტერსაც ნუ მოუვა, რაც ჩვენს თავს მოუვიდა!..

— რაც ლმერთი გაგვიწყრა, თვარა ასე უცებ რაღა ჩვენ მოგვივიდა ყოლიფერი!?

— დევილუპეთ და დევიტსეთ! დეილუპა ყოლიფერით საფსე ოჯახი!

პუპი ატირდა და მერე ოთახში გავიდა, ნოტიომ ცრემლი მოიწმინდა, ხუხუმ თავი ჩაჭინდა.

— ყველაფერით სავსე ოჯახი გქვინდა, — განაგრძო გულახუყებულმა კვაჭიმ: — ავადმყოფობას ჩვენს ოჯახში რა უნდოდა! გუშინ წინ მამა მომიკვდა; ისე უცებ გათავდა ის კაცი, რომ ხმაც ვერ ამოილო; მეორე დღეს ქუთაისში სახლი დაგვეწვა, ეხლა მე დამემართა ეს უბედურება.

— სახლი დაზღვეული არ იყო?

— აჯ, მაგას ვინ სჩივის! შარშან იმ სახლში ორმოცი ათასი მაძლიეს, მაგრამ არ მივეცი, ეხლა კი ათი ათასი უნდა ავილო. მე

მამას ესტირი, თორემ სახლიც ეშმაკებს წაულიათ, ეს ხელიც და ეს ფეხიც.

— ძალიან დაშავდით?

— აი, თქვენ თვითონვე ნახეთ.

ნოტიომ დიდის სიფრთხილით გახსნა და გაშალა არტახებში გახვეული კვაჭი, რომელიც ჰკვენესოდა, სწუხდა და კბილებს აკრაჭუნებდა.

ხელის მაჯა და ფეხის კოჭი დალურჯებული და დასიებული ჰქონდა.

— აი, საწყალი მამა ჩემის პოლისი. რაღაც ათი ათასი გვერგება.

— ნეტა არ მომკვდარიყო, პირიქით დავუმატებდი მაგ საზოგადოებას ასი ათასი! — წაიბურტყუნა ხუხუმ.

— აი, ჩემი პოლისიც. რაღაც ოც ათასში ვარ დასტრახული. არ ჰლირდა, არ მინდოდა, მაგრამ ადესის ინსპექტორმა გამაბრიყა. იცნობთ ჰოფშტეინს?

ინსპექტორი პოლისებს და სხვა საბუთებს ჰსინჯავდა.

— დიალ, ვიცნობ.. ვიცნობ..

ყველაფერი თავის რიგზე და წესზე აღმოჩნდა.

— ვინ გწამლობთ? ვინ არის თქვენი ექიმი?

— ბედოვი. იმაზე უკეთესი ექიმი კავკასიაში არ მოიპოვება. არ იცნობთ?

— არ ვიცნობ, არ გამიგია. საზოგადოებას აქ თავისი ექიმები ჰყავს, ერთ-ერთს გამოგიგზავნით.

კვაჭიმ თვალები გაიკოცხლა:

— რომელს? ვის?

— თუნდ როდენბაუმს. ცნობილი ექიმია.

— აქ, შენი კირიმე, მაგას ნუ იზამთ.

— მიზეზი?

— უხერხულია, თქმა მეძნელება, მაგრამ... — შეყოყმანდა და წაიბორძიკა კვაჭიმ.

— მაინც?

— იცნობთ როდენბაუმის ცოლს?

— მინახავს, ცნობით კი არ ვიცნობ.

— აბა მოგახსენებთ, მაგრამ პატიოსანი სიტყვა უნდა მომცეთ, რომ ერთი კაციც არ გაიგებს.

— კეთილი, სიტყვას გაძლევთ. ბრძანეთ.

— მინდოდა მაგ ექიმის დაძახება მამა ჩემის საჩერებლად. შინ არ დამიხვდა. მისმა ცოლმა მნახა. დაუტოვე ჩემი აღრესი და

წამოვედი. ერთი საათის შემდეგ ექიმის მაგიერ მისი ცოლი მოვიდა. მეტს არაფერს გეტყვით... აჲ, ნუ მკითხავთ, მეტს არაფერს გეტყვით. ეხლა ბრანანეთ, როგორ უნდა გავისინჯო თავი ექიმს, თუ მისი პატივისცემა არა მაქვს? ლაბიძე გამოგზავნეთ, მგონი, ისიც თქვენი ექიმია?

— ჩვენი იყო, ეხლა ჩვენი აღარ არის... მიზეზი? არ ვიცი. იმის მაგივრად დანიშნულია შაბიშვილი, იმას გამოგიგზავნით. ეხლა გაიახლებით.

— აჲ, ეგ რა სათქმელია!.. საით მიეჩარებით, ბატონო ჩემო? მოითმინეთ, ყავა დავლიოთთ... რატომ არ გვკადრულობთ?! მოითმინეთ კიდევ ხუთიოდე წუთი.

— უკადრისობა რა სათქმელია! მეჩარება, თორემ დიდის სიამოვნებით გიახლებოდით.

— ბატონო მიხეილ! — შეეხეეწა კვაჭი: — ადრე გამითავეთ ეს საქმე, ნუ გამაწვალებთ, თორემ მივათურთხებ მავ ფულს და ჩემს გზას გავუდგები. რაღაც ორიოდე გროში მერგება, არ ღირს მისთვის გაწვალება და გაცდენა.

— ნუ შესწუხდებით, ბატონო კვაჭი! მამა თქვენის გარდაცვალების საბუთებს დღესვე გავვზავნი პეტერბურგში. ძალიან არ დაიგვიანებს, ერთი თვის შემდეგ ათი ათას მანეთს ჩაგაბარებთ. რაც შეეხება თქვენს ხელს და ფეხს, ჯერ უნდა მოითმინოთ. რაცა მოვირჩებათ, ვიანგარიშებთ დღიურად ოც მანეთს და მაშინვე მოგარომევთ.

— თუ არ მომირჩა?

— აბა, ეგ რა სათიქრელია? რა თქმა უნდა, მოვირჩებათ.

— მაინც, თუ არ მომირჩა? ბევრჯერ კოფილა ასეთი შემთხვევა, რომ უბრალო, სულ უბრალო მიზეზის გამო ხელიც გაპნმობია ადამიანს და ფეხიც.

— თუ ხელიც გაგიხმათ და ფეხიც, რა თქმა უნდა, დაზღვეული თანხა მოგეცემათ. მაშ არხეინად და მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონო ჩვენო, მშვიდობით!.. გვნახეთ, ბატონო, კიდევ გვნახეთ.. ნუ დაგვივიწყებთ, ჩვენო ბატონო, კიდევ გვაკადრეთ თქვენი თავი...

ინსპექტორი რომ გავიდა, ერთმანეთს გადაპხდეს და თვალებით დაეკითხნენ.

ბოლოს, ხუსუმ წვერებში ჩაიბურტყუნა:

— აჲ, მაი კაცი ვეფურს გეიგებს.

— ვეფურს გეიგებს! — ჩუმის ხმით დაუდასტურა კვაჭიმ.

ექიმი შაბიშვილი ეუბნებოდა ინსპექტორს ჯავახიშვილს:

— არაფერი მესმის კვაჭანტირაძის ხელ-ფეხისა. რასაც მე ვა-კეთებ, ვიღაც უცნობი აფუქებს. წამალს რომ დავადებ და არტახებს შევერავ, საიდუმლო ნიშანსაც გაუვაეთებ ხოლმე. მეორე დღეს ნი-შანი ხელუხლებულია, მაგრამ დაშავებული ხელ-ფეხი უფრო დამდნა-რია და ჩამოქრუნჩული. ცხადია, ჩემს გარდა სხვა ვიღაც უნდა მუ-შაობდეს.

— მე ცნობა მაქვს, რომ კვაჭანტირაძესთან ჩვენი წინანდელი ექიმი ლაბიძეც დადის ლამ-ლამბით. გარდა ამისა, კვაჭის ბებიას — ნოტიო ჩიჩიასაც ამ საქმეში ხელი ურევიათ; თურმე ამ დედაკაცასაც კარგად ესმის ტრავმატიული ავადმყოფობა. ეს დედაკაცი თურმე ძალიან დახელოვნებულია ხელ-ფეხის დამახინჯების საქმეში. მუშტარიც ბლო-მად ჰყავს, რადგან სამხედრო ბევრის თავიდან მოშორება ბევრს ჰსურს. ჩვენ უფლება გეაქვს კვაჭი საავადმყოფოში დავაწვიოთ და მუდმი-ვი ზედამხედველობა გაუუწიოთ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ასეთს უუკი-დურეს საშუალებას არ მიიღმართავ, რადგან იგი მითქმა-მოთქმას გა-მოიწვევს, სხვა საზოგადოებათა იგენტები ამ ამბავს ხელზე დაიხვევენ, ყბად ავეილებენ, განგაშს ასტეხენ და პრესტიქს დაგვიმცირებენ. ყოველ დღე იარეთ და თვალყური ადვენეთ. ვნახოთ, ამიერიდან საქ-მე როგორ წავა. კვაჭის როგორმე აგრძნობინეთ, რომ ჩვენ მიხვედ-რილნი ვართ... უკვე იცის? ვააგებინეთ? ძალიან კარგი გიქნიათ... კეთილი, ეგრე სჯობია... ნახვამდის! მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

ერთი კვირის შემდგ ჰოფშტეინი, ჯავახიშვილი და ექიმი შაბი-შვილი კვაჭი კვაჭანტირაძეს მოულოდნელად თავს წაადგნენ.

კვაჭი გაოცდა, იირია, გაფითორდა და გაწითლდა. იმ ხანებში უარესიდ გამხდარიყო, გაყვითლებულიყო და ჩამომდნარიყო.

— ნაპალეონ აპოლონიჩის ჩემი სალაში! — მხიარულად მიაძია ჰოფშტეინმა.

— ვახლავართ ბატონს კვაჭის! — დინჯად მიესალმა ინსპექტორი.

— გამარჯვება... დილა მშვიდობისა... დაბრძანდით... სკამი მოართვით...

დაფაცურდნენ და იირ-დაირივნენ.

— როგორ ბრძანდებით?.. როგორ გიყითხოთ?..

კვაჭი ძველებურად აწუწუნდა. იიცრემლა და აკენესდა.

— დევილუპე, დევიფესე... მამა მომიკვდა... სახლი დამეწვა... ჯავახი დამენგრა... ეხლა მეც წავხდი...

— ვიცი, ვიცი. ყველაფერი ვიცი, უფრო მეტი ვიცი, ვიდრე თქვენ გვინიათ! — ხაზგასმით, ნათლად და გარევევით მოუჭრა ჰოფ-შტეინმა: — ბატონო ექიმო, გაუხსენით დაშავებული ხელ-ფეხი.

კვაჭი ტკივილებისგან ისევ აკვნესდა და აყვირდა. ხელ-ფეხი გაუხსნეს და გასინჯეს.

ხელიც და ფეხიც დაუდნა; გაუხმა და ჩხირებივით დაელია.

— აპა, ის არის!. სწორედ ის არის!. მინახავს, ვიკი, რაც არის!— ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა ჰოფშტეინი:— შეუკარით!— მერე მიბრუნდა და, სანამ ექიმი არტახებში ახვევდა კვაჭის ხელ-ფეხს, არხეინად ფანჯარის აკაკუნებდა და ღრუბელს თვალს ადევნებდა.

მერე მობრუნდა და ფოლადის ხმით დაიწყო:

— ეხლა საქმეს შევუდგეთ. მოკლედ, მექაფიოდ და პირდაპირ მოგახსენებთ: გავათავოთ კეკემალულობის თამაში, არ შეგვერის, ბავშვები აღარ ვართ. თავდაპირველად უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი სამივე საქმის ლიკვიდაცია მე მაქვს მონდობილი.

— სახლის საქმეც?

— დიახ, სახლის დაწვის საქმეც. თავიდან დავიწყოთ.

პირველი: ადესიდან თქვენ ისე ვამოიპარეთ, რომ ანგარიში არც კი ვაგისწორებიათ, ათას მანეთამდის ვამოიყოლეთ... მოითმინეთ, მოითმინეთ. ჩვენ არც შიქიასვიცნობთ, არც ჩიქინჯილაძეს, არც ჰავლაბრიანს, არც კაცანს. ჩვენ მხოლოდ თქვენ ვიცნობდით და მხოლოდ თქვენთან გვქონდა საქმე. მეორე: თქვენ იმდენი მუშტარი მოგიტყუებიათ, რომ ეხლა მთელი ადესა თქვენზე ლაპარაკობს... რაო, ვინ მოვატყუერ? აი, სია, ინებეთ, წაიკითხეთ. თქვენს მავიგრად ყველის ჩვენ დაეუბრუნეთ ფული, სულ 2.675 მანეთი. მესამე: თქვენი სახლი შარშან მამა თქვენს ბანქში დაუკირავებია 1.400 მანეთად, ბანქს იგი შეუფასებია ორ ათასად, თქვენ კი ათი ათასში დააზღვიეთ. აგნტი ხელში მყავს. თქვენი ბიძა თუ პაპა — აი, ეს მოხუცი, ხუხუ ჩიჩიაც ვერსად წამივა... მომითმინეთ, ნუ ჩქარობთ და ნუ სცხარობთ. მეოთხე და უმთავრესი: მე ექიმი გახლავართ, ძველი ინსპექტორი ვარ, დაზღვევის საზოგადოების სამსახურში დავბერდი. ძნელია, შეუძლებელია ჩემი მოტყუება. ათასი რამე მინახავს და გამომიცდია. ეგრე დაშავებული ხელ-ფეხიც შემხვედრია. საკვირველი, იშვიათი შემთხვევაა! ერთი ვამაგებინეთ, ისე კოხტად როგორ წაიქცით, რომ ფეხი შიგნითა კოჭთან დაგიშვედათ, ხოლო ხელი — მეორე მხრიდან? საკვირველია! გაუგებარია! გარდა ამისა, რა მიზეზია რომ ხელ-ფეხი დაგელიათ და ვაგიხმათ? ამ მიზეზს საავადმყოფოში ვამოვიკლევთ. ხვალვე უნდა ვადმობრიძანდეთ სამკურნალოში... რაო, არ გნებავთ? ნუ პლელავთ, დამშვიდდით. არაფერს დაგაკლებთ, უფრო უკეთ მოგივლით, ვიდრე აქ ვივლიან. დღე და ღმი როი ზედა-მხედველი თავს. დაგადგებიან... რაო, არ მოგწონთ? არ კადრუ-

ლობთ? ხომ იცით, რომ ამის უფლება გვაქვს... მაინც არ გნებავთ?.. რაო, აყალიბყალს ასტეხავთ? ქვეყანას დასძრავთ და გაზეთებსაც აალაპარაკებთ? ეს თქვენი საქმეა. თუ არ გენანებათ არც თქვენი სახელი, არც ეს მოხუცი, არც ქუთაისელი აგენტი, მაშინ ჩვენი აქ ყოფნა ზედმეტია, წავალთ.

ჰოფშტეინი წამოდგა.

— მოითმინეთ, მოვილაპარაკოთ... იქნება მოვრბეთ.

— კეთილი, ვსცადოთ. მოკლედ მოვჭრათ. აი, ხომ ჰედავთ ამ ფულს,—და უბიდან ხუთასიანების ერთი დასტა ამოილო:—ეს ფული თქვენს ჯიბეში გაღმოვა თუნდ ათ წუთს შემდეგ, თუ... თუ გონიერად მოიქცევით და ზომიერებას გამოიჩინთ.

კვაჭის თვალები დაეწვა და აუქრელდა, ყელში ნერწყვი გაუშრა; ატოკდა და აცემუტუნდა:

— მე... მე ხარბი კაცი არა ვარ. არც დავა მიყვარს... აყალიბაყალსაც ვერიდები, სეანდალისტი არა ვარ...

— მაშ ვიანგარიშოთ. ათი ათასი მამის პრემია გერგებათ, ეს უდავოა.

კვაჭის გული გაეხსნა, თითქოს ზედ ათულთიანი ლოდი ედვა და ჰოფშტეინმა მოხსნაო.

— თქვენი სახლი ძალიან რომ გავაზეიადო, ოთხი ათასი ჰარდა. ხუთი ინებეთ. ეს ხუთმეტი. შემდეგ; წართმეული, თუნდ მოკრილი ხელ-ფეხი დაზღვეული გაქვთ ოც ათასად. ამ თანხას გამოგვედავებით, თუ ხელ-ფეხი მართლა გავიხმათ, მაგრამ პატიოსან სიტყვას გაძლიერ და გარწმუნებთ, რომ არც ხელი გავიხმებათ, არც ფეხი. ერთ თვეში ისე მოგარჩენთ, რომ ცალ ფეხზე იხტუნავებთ. ეს დაგვიჯდება ოთხასი-ხუთასი მანეთი. ათჯერ მეტს მოგართმევთ,—ხუთი ათასი ინებეთ.

— მაშ ორმოცი ათასის მაგიერ, სულ ოცი ათასს იძლევით, არა?

— დიალ, ოცი ათასს. ან ეხლავე მიიღეთ ფული, ან მოემზადეთ სამკურნალოში წამოსასვლელად.

— ცოტაა, უარს გამბობ.

— მაშ მშეიღობით ბრძანდებოდეთ!

— მოითმინეთ, ნუ ფიცხობთ! საში დლის ვადა მომეცით მოსაფიქრებლად.

— ერთს დღესაც ვერ მოგცემ.

— არ შეიძლება ასე აღამიანის დახრიბა.

— არ შემიძლიან. თუ გნებავთ, ერთი საათი მომიცია. გავალთ, მუშტაიდში გავისეირნებთ და დავბრუნდებით.

— პროტესტს ვაცხადებ. მეტი გზა არა მაქვს, გემორჩილებით.

— მაშ ჯერ-ჯერობით! არ გემშვიდობებით!

სამნი გავიდნენ, ოთხნი დარჩნენ.

ასტყდა ურიაშული, ფიცხელი კამათი, თითებზე ანგარიში. გავიდა ერთი საათი.

წასულნი მოვიდნენ:

— მოითიქრეთ? გადასშუბვიტეთ?

— ოცდახუთმეტი მაინც მერგება. თანახმა ვარ ოცდაათზე.

— ეს არის თქვენი უკანასკნელი პასუხი?

— ეს არის!

— მაშ ვერ მოვრიგდებით! თუ ინანეთ, მე ნულარ დამაბრალებთ, მშვიდობით იყავით!

ისევ გავიდნენ. კიბეზე რომ ჩადიოდნენ, პუპი გამოვარდა:

— მოითმინეთ!.. დაბრუნდით!.. ნუ ინებებთ გაწყრომას და ჩვენს წყენას. ორიოდე სიტყვა უნდა მოგახსენოთ.

ისევ დაბრუნდნენ.

— ოცდარვას ერთს მანეთსაც ველარ დავაკლებ.

— მაშ საჭირო არ იყო ჩვენი დაბრუნება!

— მოითმინეთ, სად მირჩიხართ? ოცდახუთი!

— ოცი. ან ჰო, ან არა... ვიცი, ყველაფერი ვიცი, რა საჭიროა ზედმეტი ლაპარაკი! ჰო თუ არა?.. მაშ მშვიდობით იყავით.

ისევ გავიდნენ. ქუჩის ბოლოში ხუხუ ჩანჩალით დაეწია:

— ნუ ინებებთ, ბატონებო, ჩვენს წყენას... თუ გაწყეინეთ რამე, გვაპატიეთ... დაბრუნდით... კვაჭი დათანხმდება.

ისევ დაბრუნდნენ.

— იმედია, ვქტრობა აღარ იქნება. ოცზე ვათავებთ.

— კეთილი, მაგრამ რაღაც ანგარიში რომ შეგიდგენიათ, მაგას ხომ არ გამომიკლებთ?

— ამას არ ჩაგითვლით, მოვშალოთ. მელანი და კალამი!

— მაშ გაათავეთ.—და კვლავ აწრიპინდა და აწუწუნდა:—დავიღუპე... დევიფესე... როგორ შეიძლება ამათთან საჭმის დაკავება! არც ბატიოსნება, არც სინიდისი, არც პირობა! სად ვეთრიო, როგორ ესდიოს სამართალში ორი ან სამი წელიწადი, თორემ ორჯერ მეტს ავიღებდი.

ჰოფშტეინმა ვრცელი ბარათი დასწერა:

— ოთხივემ მოაწერეთ ხელი.

წაიკითხეს და მოაწერეს, მერე თვალები დაიბრიცეს და დაიხეთქეს იმ ფულზე, რომელიც ჰოფშტეინმა ორჯერ ჩაუთვალა.

— დავიღუპე... დავიფხე! — ისევ წუწუნებდა კვაჭი, თან ის ფული ბალიშის ქვეშ ამოიდო.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ! ლმერთმა კეთილად მოგახმაროთ ეგ ფული.

— მშვიდობით, ბატონო ჩემო, მშვიდობით!

კიბემდის ჩამოაცილეს. ჰოფშტეინმა წაიბურტყუნა:

— მოვტყუვდი, გადავაჭარბე. ხუთმეტსაც დასთანხმდებოდა.

კვაჭის სახლში ყველანი ერთმანეთს დაეტაკნენ. ხუხუ და პუპი მეტად კმაყოფილნი და გახარებულნი იყვნენ, ხოლო ნოტიო და კვაჭი მაინც იშმუშენებოდნენ და იგრიხებოდნენ. სწორედ ამ დროს ბესოც შემოვიდა.

— ბესო, სადა ხარ? სად დეიკარგე? რაღა გაჭირვების დროს დეიმალე, შე კაი კაცო?

— ჰოფშტეინი რომ პირველად გავიდა აქედგან, მეც სწორედ მაშინ მოვედი, მაგრამ უკანვე გავბრუნდი, მუშტაილში დავედევნე და იმათს ლაპარაკს ყური დავუგდე. გავიგე, რომ ოც ათასზე მეტს ერთ მანეთსაც არ მოგცემდნენ და პუპის პირით აკი შემოვითვალე კიდეც. რაო? ჩემი აზრი? ეკლესიას ხატი უნდა შეესწიროთ, რომ დაპატიმრებას გადავრჩით.

ბესოს სიტყვების შემდეგ ყველანი სიხარულით, ლხენით და შვებით აყიანდნენ და აქედამულდნენ.

კვაჭის არტახები მოჰსნეს, ხელ-ფეხი რაღაც წამლით მოჰსნეს და ახალი მალამო წაუსვეს. ტკივილს აღარ იმჩნევდა და აღარც ჰკენებოდა.

მერე კვაჭიმ დეპეშა დასწერა:

„კავკავი, ბაზრის ქუჩა, 16

შაბურიანცს

ოცად გავათავე. ხუთს გიგზავნი. სახლი იყიდე. მალე ამოვალთ
ანაპოდისტე.“

— ეს ფული და დეპეშა სილიბისტროს გაუგზავნე, — უთხრა კვაჭიმ ხუხუს: — და ხეალისთვის ქუთაისში წასასვლელად კ მოემზადე. გაყიდე, რაც დაგვრჩა — ალაგიც და ვეჯიც... რაო, ვოლკოვის ქვრივს რა უყოო? აჲ, ეხლა იმ დედაბერს ავითრევ სიკვდილამდე! ჲ. კარგი, კარგი, მიეცი ასი მანეთი, ეყოფა. ყველას უთხარი, რომ ჩვენ ვარ-შავაში მივდივარ თოქვა... მოიცა, აი, კიდევ ფული. იყიდე მარტე-

ლის კონიაკი, რედერერის შამპანური, მარსალა, ხერესი ან პორტ-ვეინი.. ერთიც შიპრი ან შარტრეზი... სიგარები „ვიქტორია“.. არ დაივიწყო სხელები. ბესო, ჩაუშერე, გენაცვა, ყველაფერი.. ხილიც მომიტანე.. ანანასიც.. რაო? კაცი დაბერდი და აქნობამდის არ იცი, რა არის მარსალა, ხერესი, შიპრი, შარტრეზი და ანანასი?.. ბესო, შენ წადი, გენაცვა, და ყველაფერი მიყიდვ. წამოიღე კაიეს ან შიუ-შირის შოკოლადიც. თუ ნამდვილი შიპრი და შარტრეზი არ არის, მოიტა აბრიეკოტინი და ბენედიქტინი. თქვენც გერგებათ კაი-კაი საჩუქრები, მაგრამ თვითონ გიყიდით, როცა ავდეგები... რა სთქვი, ნოტიო? ათ დღეში ამაყენებ? მაშ, მაღლობა ჩემშე იყოს... ეხლა ცოტა დამასვენეთ.. დავიღალე... უნდა დავიძინო.

და მძიმე შრომით დალლილმა და სახიფათო საქმის დამთავრებით დამშვიდებულმა კვაჭიმ მაძლარსა და არხეინ ძილს მისცა თავი.

ორი კვირის შემდეგ ინსპექტორმა ჯავახიშვილმა ტფილისის სადგურზე შორიდან თეალი მოჰკრა ერთს ლამაზს, ტანადს, კოხტად ჩატულ ახალგაზრდას. როცა ერთმანეთს წააწყდნენ, ჯავახიშვილმა ძლივს გაიხსენა და მოიგონა იმ ვაჟის გინაობა.

— ბატონს კვაჭის ვახლავა!

— სალაში პატივცემულ ბატონს მიხეილს! როგორ გიკითხოთ?! როგორ ბრძანდებით თქვენის მეუღლით?!

და კვაჭიმ ჯავახიშვილს მაგრად და ენერგიულად ჩამოართვა ხელი თავის მარჯვენა ხელით, სწორედ იმ ხელით, რომელიც ორი კვირის წინათ დამდნარი, დალეული და გამხმარი ჰქონდა.

— გმიღლობთ. თქვენ როგორ ვიკითხოთ?

— ასე.. არც ისე კარგად ვარ, როგორც მე მინდოდა, მაგრამ არც ისე ცუდად, როგორც პოტშტეინს უნდოდა.. არაფერი მიშავს, კიდევ შევხედები სადმე იმ ყაზილარს... მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ! გზა მშვიდობისა! — მიუგო ინსპექტორმა და თვალი გააყოლა რხევით და მარდად მიმავალს „გაშტივინებულ“ კვაჭის.

მერე გაიღიმა, თავი გააქნ-გამოაქნია და თავისს გზას გაუდგა.

კარი მესამე.

აქა ამბავი საბანკო საქმის შესწავლისა და ამხანაგის დაფეთქებისა.

სანამ ხუხუ ჩიჩია ქუთაისში სასახლე ადგილს და ხაბაკ-ხუბაქს გაჰყიდდა, კვაჭი კვაჭანტირაძემ დრო იხელთა და ტფილისში დატრიალდა.

თუმცა ჯერ კოჭლობდა და ცალი ხელიც ახვეული ჰქონდა, მაინც ახერხებდა კლუბებში, თეატრებში და სხვა გასართობ ადგილებში სიარულს.

ცოტიოდენი ხალხი გაიცნო, თან ყველას ჰსუნავდა, სწონავდა და აფასებდა მათი მოხმარებისა და გამოყენების საზრისით.

სანამ მარჯვენა ხელსა და თითებს მოირჩინდა და მოიმარჯვებდა, ქალალდის თამაშში ბედი არ სწყალობდა, მაგრამ მერე სამიოდე თალიით ბედი მოიტრიალა, წანაგები დაიბრუნა და ხუთიოდე ათასიც ზედმეტი წამოიყოლა.

მართალია, ბოლო ღამეს მცირე უსიამოვნება შეემთხვა: მორიგე მამასახლისმა თავისს ოთახში ჩაიწვია და პირის-პირ რამდენიმე სუსხიანი სიტყვა უთხრა, მაგრამ კვაჭი ამის გამო არც აირია, არც ატკიცდა. იმ დღეებში ისევ რუსეთში მიდიოდა, ამიტომ კვაჭის-თვის სულ ერთი იყო, რას იტყოდნენ და რას იფიქრებდნენ ათიოდე, თუნდა ასიოდე კაცი იმ ქალაქში, სადაც კვაჭის თითქმის არ იცნობდნენ.

ქალალდის თამაშში კვაჭიმ ვინმე ნაზიმოვი გაიცნო—აზოვის ბანქის მოხელე, მოთამაშე, მოქეიფე, მფანტავი და ლოთი.

ბანქის თამაშის დროს ის უცნობი მოხელე გაკოტრდა და განიავდა. რამდენჯერმე ჩაანისიავა, მაგრამ ბოლოს ქალალდი აღარ დაურიგეს და ნალდი მოსთხოვეს. იმ მოხელემ მიიხედ-მოიხედა და კვაჭის მიმართა:

— თავადო, ხვალამდის ერთი თუმანი მასესხეთ.

კვაჭიმ ცივად უპასუხა:

— უცნობს ფულს ვერ ვასესხებ.

— თუ მართლა ეგ არის უარის მიზეზი, გთხოვთ გამიცნოთ: აზოვის ბანების მოსამასახურე ნაზიმოვი გახლავართ.

ნაზიმოვმა კვაჭის ხელი გამოუწოდა, რომელსაც კვაჭიმ ძალაუნებურად თვისი ხელი დაუხვედრა.

— დაბრუოლება გადაღაბულია. ეხლა ხომ მერგება ერთი თუმანი?

კვაჭის ისე მოეშონა ნაზიმოვის პასუხი და ფანდი, რომ ერთი თუმანი ხალისიანად მიუვდო და ლიმილიც მიაყოლა.

და იმავ წუთს ერთმა აზრმა კვაჭის ტეინში ელვასავით გაირჩინა. ლიმილს ლიმილი მიჰყვა, სიტყვას სიტყვა და ერთ თუმანს კიდევ რამდენიმე თუმანი და იმავ ლამეს ახალი მეგობრობა ლვინით იკურთხა და ლამაზ ქალებით დაგვირგვინდა.

გულმა გული იცნო და სულმა სული იპოვნა.

კვაჭიმ ნაზიმოვი ორჯერ-სამჯერ კიდევ დაპეპატიუა, ცოტაოდენი ფულიც ასესხა, დაიძმობილა და შეიჩინა.

ერთხელ თუ ორჯერ წაიჩირჩიულეს.

ამის შემდეგ კვაჭი უცებ აჩქარდა და თავისიანებიც ააჩქარა.

პუპიმ თვალებით მიზეზი გამოჰყიოთხა. კვაჭი კითხვას მიუხვდა და პასუხიც მისცა:

— აჲ, რა სხვანაირი ქალაქი ყოფილა ეს ტფილისი! აქ ხეირიანი არაფერი გაკეთდება. გარდა ამისა, ჩვენი ქალაქია. წავალ, გადავიკარგები, ვიხეტიალებ მთელ ქვეყანაზე. იგი დიდია, შორს არის, აქ ხმა და ამბავი არ მოვა. ვინ იცის, რა მომელის, როგორ გამიჭირდეს, როდის და როგორ დამჭირდეს ეს ქალაქი. მერე გამომადგება.

აზრს ყველანი მიუხვდნენ. მალე ჩალაგდნენ და აირიბნენ.

კვაჭი და მისი სახლობა როსტოვის გზით წავიდნენ.

კავკავთან, ბესლანის სადგურზე, მათ დაუხვდათ ევროპიულად გამოწყობილი, წვერ-ულვაზ გაპარსული სილიბისტრო, ოვანეს შაბურიანცად მონათლული. ძლიეს მოასწრეს ერთმანეთის მოკითხვა და მცირე ალერსი.

სილიბისტროს ოჯახმა კავკავში აუხვია, კვაჭიმ და ბესომ კი პეტერბურგისკენ გაუტიეს. კვაჭი, ბესო და ნაზიმოვი, რომელმაც შვებულება აიღო, მეორე დღეს დილით როსტოვში ავიდნენ. სადგურზე მცირე ბჭობა გამართეს და ყავა დალიეს, მერე ბანკში შევიდნენ.

კვაჭი ჯერ შეყოყმანდა, შეშინდა. მერე უცებ გასწორდა, ძალონე მოიკრიბა, გამხნევდა და პირსახეზე სიმტკიცე აღიბეჭდა: თავისუფლად შეაღო კარები დირექტორის კაბინეტში, პირდაპირ მივიდა მასთან და დაუდევრად უთხრა:



— გთხოვთ მიცნობდეთ: თავადი ორბელიანი გახლავართ.
და შესაფერი პასპორტი და ბანკის ბილეთი მაგიდაზე დაუდო.
იმ ბილეთში ეწერა:

„აზოვო-დონის ბანკი... როსტოვის განყოფილება.

გთხოვთ გადაუხადოთ თავადს ნიკოლოზ პავლეს ძე ორბელიანს 37,435 მანეთი ამავე ბანკის ტფილისის განყოფილების ანგარიშით.

ডোর্নফিল্ড N

ବ୍ୟକ୍ତିଗତ ପାଠ୍ୟରେ

მოლაპე Z.

დირექტორმა მოსამსახურეს დაუძინა, ის ბილეთი გადასცა და უბრძანა:

— მოსძებნეთ ავიზი.

მერი კვაშის მიუბრუნდა:

— Յուրաքանչյալ ծրագարակությունը համապատասխան է առաջարկված դեպքին?.. Համապատասխան է առաջարկված դեպքին?..

— გავლით მესამეჯერ თუ მეოთხეჯერ გახლავართ. ახლო-მახლო კუთხიღვარ. ჩემს მეგობრებთან სამიოდე დღით: სენატორ დენისოვის შეილთან, გრაფ ნოტბეკთან, ბარონ ტიშენკოუზენთან... ერთად აღვიზარდეთ პაეფების კორპუსში... ეხლაც ნოტბეკთან გიახლებით... კალინოვკა ჰქვიან იმის მამულს, არა? აქედან ოციოდე ვერსი იქნება... შეიძლება მათი სიძე გაეხდე ერთ კვირაში.

მოსამსახურე დაბრუნდა და დირექტორს ქალალდები წინ და-
უწყო.

დირექტორმა იმ ქალალდებს წააწერა: „ფული ვა

არტი კვაჭის დაუბრუნა

კუაჭიმ ბაასი მოხერი

აჰეთუნენ და იბაასეს.

ბოლოს, კვაჭი წამოდგა:

ოთ... ჟერილით ძეგა ტუკინიშევთ. ის ყიდოით იმაზღვიოდეთ:
სანამ კვაჭი დირექტორთან საქმეს „აიმასქნებდა“, ნაზიმოვი
კანკალმა აიტანა: დაფრთხა, დაფეხოდა და აცემუტდა. ჯერ ბესო
შიჭიას ჩამოშორდა და განწე გადა, თან ყურში ჩასჩურჩულა:

— თუ ვინიკობა მოხდა რამე, მე თქვენ არ გიცნობთ.

მერე უცებ მოსხლტა და ქუჩისკენ წავიდა და ბესოს გაქვრით
მიუგდო:

— Հովհանն մոցութոտ... ա՞ն զօբնոծ.

ხუთი წუთის შემდეგ კვაჭიმ ფული ჩაილაგა უბის ჯიბეში და მიიხედ-მოიხედა.

ნაზიმოვი არსად იყო.

— საღ არის ის ლოთი? — ჰქითხა კვაჭიმ ბესოს.

— წახთა. თუ რამე მოხთა, მე თქვენ არ გიცნობთო. ეხლა ქუჩაში იცდის.

კვაჭიმ შუბლი შეიკრა და კარებისკენ წავიდა. კარებს რომ ხელი წაავლო, შესდგა, განათდა და გაიბადრა. უცებ მოტრიალდა და ბესოს ჩურჩულით მცირე დარიგება მისცა. ბესო უმალ გარეთ გავარდა. ნაზიმოვი კარებთან ატუზულიყო.

— ჩქარა, თავს უშველეთ! — წასჩურჩულა ბესომ ნაზიმოვს, თვითონ თავი დაღუნა და ნაბიჯს მოუხშირა.

გაფითრებული ნაზიმოვი ჩანჩალით უკან გაჰყვა.

— რა მოხდა?.. რა მაბავია?.. გაიგეს?..

ვიწრო ქუჩაში შეუხვიერ.

— ძლიერ გადავრჩით... საქმე ცუდად არის, — სხაპა-სხუპით და ხმის კანქალით მიაყარა ბესომ: — ავიზი მოსულია, მაგრამ დირექტორი ყოყმანობს, ფულს არ იძლევა... არ გიცნობთო, შიფრი არეულიაო, უნდა ტფილისში დეპეშა გავგზენო... მერე დირექტორი და ბუხპალტერი მეორე ოთახში გავიდნენ და რაღაცა იჩურჩულეს... ტელეფონით ილაპარაკეს... მე ვუთხარი, ხვალ შემოვიდლი მეთქი, და საჩქაროდ გამოვიქეცი. დავიღუპებით, თუ ახლავე არ დავიმალეთ.

ნაზიმოვი ცახცახმა აიტანა. კბილების წკაპა-წკუპით ჰმოდავდა:

— ვაიმე... ვაიმე, ცოლო და შეილო!.. გზის ფულიც არა მაქვს... როგორ დავბრუნდე?.. დამიქერენ.. დავიღუპე... დავიღუპე!..

— გზის ფულს მე მოგცმო, ოღონდ ეხლავე დაბრუნდით. აი, ასი მანეთი, იმყოფინეთ. აბა, ჩქარა!

ხელცარიელი და დაფეთებული ნაზიმოვი სტავროპოლში წავიდა, სადაც მას მოხუცებული დედ-მამა უცდიდა, ხოლო გახარებულნი და მოლიმზე კვაჭი და ბესო ისევ პირველ კლასის ვაგონში ჩასხდნენ და ჩრდილოეთისკენ მოუსვეს.

— თუ ნაზიმოვი დაიჭირეს, მექებონ კიევში... იმას მართლა დადიანი ვგონივარ... კარგად ავურიე გზები!.. — ეუბნებოდა კვაჭი თავისს ერთგულს მეგობარს და პირად მდივანს ბესარიონ შიქიას.

აქა ამბავი კვაჭისა და მეგობართა დედა-ქალაქში გადასახლებისა.

მას შემდეგ, რაც კვაჭი და ბესო პეტერბურგში დასახლდნენ, ერთ წელიწადზე მეტი გავიდა. კვაჭიმ თითონ დაიბარა ადესიდან ჯალილა, რომელსაც ნელ-ნელა მოჰყენენ პავლაბრიანი, ჩხუბიშვილი და დანარჩენი ამხანაგებიც. კვლავ აღსდგა და გამოცოცხლდა ადესური ოჯახი, ყველანი იშვიათად შეიხედავდნენ მეცნიერების ტაძარში და ხშირად მოსჩანდნენ იქ. სადაც ბლომად მოსჩანდა და მოპოვებოდა ახალგაზრდა მოქეიფე ხალხი და გასართობი.

კვაჭი დღითი-დღე იზრდებოდა, მშიფდებოდა და იშლებოდა. მუშაობის, დაკიირვების, წაბაძვისა და ფრთხების გაშლის ასპარეზი დედა-ქალაქში გაცილებით უფრო განიერი იყო, ვიდრე იდესაში.

კვაჭი, ბესო და ჯალილა ერთ ბინაზე სცხოვრობდნენ, ხოლო დანარჩენნი ახლო-მახლოს იყნენ გაბნეულნი. ამხანაგების მუშაობაც თავის თაერთ არ ბანაქში გააჩარდა. კვაჭი წვრილმანზე აღარ ახურდავებდა თავისს ნიჭისა და შემოქმედებას. თუ ზოგჯერ დიდ საქმეს „გაიმასქნებდა“, ამხანაგებსაც მიიშველებდა და ნადავლს სამართლიანად გაუყოფდა, ხოლო სხვა დროს, როცა ჩიკინჯილაძე და მისი ბანაქი წვრილ ნაღირს გაჰყევებოდნენ, კვაჭი დარიგებას აძლევდა და ხელმძღვანელობას შორიდგან უწევდა.

ხანგრძლივ საერთო მუშაობაში ყველანი გაიწვროთნენ, გაილესნენ და დაიგეშნენ. შერჩევის კანონმა ყველას გაულიდა და გამოიჩინინა ბუნებით თანდაყოლილი ნიჭი და გემოვნება, ხელობა და ალო.

ბესო შიქია წინანდებურად დამუნჯებული იყო. თავისს სიტყვის ან არ იტყოდა, ან ბოლოში იტყოდა და ჩურჩულით ნათქვამ ათიოდე სიტყვით ხშირად საქმეს მოატრიალებდა, რომელ ხლართს გააშუქებდა და ბნელს გაანათებდა. ბესო საერთო საქმეში თითქოს არც მოსჩანდა, მაგრამ საქმის ყველა ძაფები ისევ ხელში ჰქონდა თავმოყრილი.

ჭიპი ჭიპუნტირაძე მუდმივ მასხრობდა და ჭორ-ანექდოტებში სედრაქას ეჯიბრებოდა. აგენტურის მოწყობასა და ზეერვაში მას ტოლი არ ჰყავდა, სამაგიეროდ არც აყალმაყალისა და ალიაქოთის ატეხვაში ჰყავდა ბადალი. აჩრდილი რომ მოსჩენებოდა, ან თავისი წრიპინი რომ გაეგო, უუდიდეს გამძლეობისა და გულცივობის მაგივრად უალაგ-ალაგას უდრო-უდროოდ მოსხლტებოდა და განგაშა და ჰყვირილს ასტებდა:

— ვიღუპებით!.. დავიღუპეთ!.. თავს უშეელეთ!

ბევრჯერ ჩაშალა უდროო განგაშით კიპიმ კოხტად დაგებული ბადე და ბევრჯერ დააფრთხო ზედ ანკესზე მოსული ორაგულები, ბევრჯერ მოხვდა მას კვაჭისაგან და ამხანაგებისაგან, მაგრამ მან მაიც თავისი ვერ მოიშალა და პანიკიორობას ვერ გადაეჩია. ბოლოს, როცა კვაჭიმ კარგად გაიგო მისი ხასიათი, იგი სახიფათო აქტიურ საქმეს ჩამოაშორა და მხევრაობა შეუნარჩუნა.

სედრაკა წინანდელზე მეტად ფრთხილობდა და სცახცახებდა. საქმის დაწყობას, გეგმის შემუშავებას და ნადავლის გაყოფას არ დააკლდებოდა, მაგრამ ხიფათის დროს ან აედ გახდებოდა, ან გადაუდებელს რასმე მოიგონებდა, ან დაიგვიანებდა და თავს მასხრობით იმართლებდა:

— ვაა, რომელი ვაჟკაცი მე მნახეთ, რომ გამოგდგომოდით! ან რა საჭირო ვიყავი? თუ მოკრივე გინდოდათ, გაბომ ჩემზე ნაკლები კრივი არ იცის; თუ ხანჯალზე მივიდა საქმე, ეგ ხელობაც ჩემზე უკეთესად გხერხებათ. მე ხაზინადარი ვარ, მე ჩემი საქმე ვიცი, გაბომ კიდევ — თავისი.

ლადი ჩიკინჯილაძე ისევ ძველებურად იცოხნებოდა და იღმურ-ძლებოდა, მუდმივ რასმე სკამდა და მაინც მუდმივ სიმშილს სჩიობდა. „საქმეში“ წინ არ გავაჩდებოდა, მოვლენას კუდში ზანტად მის-ჩანჩალებდა, მაგრამ თუ გარემოება მას წინ წააგდებდა, ლადი უკან არ დაიხევდა, სხვებს არ ამოეფარებოდა და თავისს ხვედრს პირნათლად შეასრულებდა.

გაბო ჩხუბიშვილიც ოდნავ გაითალა და გაშალაშინდა, მაგრამ მაინც წინანდებურად მოუხეშავსა და უდრევ კამეჩის ჰევვდა. თვისი ტლანქი პირდაპირობით, უტაქტობით და თავგაწევით საერთო ოჯახში მას ხშირად შექქონდა არევ-დარევა და ალიაქოთი. ის მუდამ ბუზლუნებდა და სჩიობდა, მაგრამ ერთგულად ეწეოდა თავისს უღელს და კვაჭის ბავშვივით ემორჩილებოდა.

ჯალილა არაფერს თხოულობდა, მუდმივ პერის მორჩილი იყო, მუდმივ კვაჭის თვალებში შესცემოდა და ამბობდა:

— ალლაპ სანა ხეირ ვერსინ (ლმერთმა მშეიდობა მოვცეს), კნაზჯან! ზალიან ყოჩალი კასი ხარ, ზალიან დიდი ჩქუანი ხარ.

რამდენსაც განგება მეტს აძლევდა კვაჭის, ის უფრო მეტს სთხოულობდა, ბედს ემდუროდა ან მისს კედელს უჩიკინებდა, ჰლორნიდა, ჰკაწრავდა და სამოთხის ახალ-ახალ კარებების გაღებას ჰლომობდა. საბედოს დევნაში კვაჭი არავის და არაფერს ერი-დებოდა. კარები რომ დაკეტილი დაუხვდებოდა, ფანჯარიდან შეძვ-

რებოდა, ხოლო თუ სარკმელიც დაკეტილი იყო, საბოლეში ჩაძრებოდა და ბუხრიდან გამოძრებოდა.

ერთხელ სწორედ ასე შეეჩინა ერთს ღვთისნიერ ოჯახში და დიასახლისის ერთს მეგობარს—ხნიერ დედაკაცს თავთ დაადგა:

— გთხოვთ მიცნობდეთ: ნაპოლეონ აპოლონიჩ კვაჭანტირაძე გახლავართ.

კვაჭი კვაჭანტირაძე შავგვრემანი, გრუზა, მოსული, თვალადი, ტანადი, „გაშტიკინებული“ და ენა-მეგვრი ვაჟაცი იყო. მას უკვე გავლილი, ნაცადი და შეთვისებული ჰქონდა ზემოურთა ადათი და ჩვეულებანი, ზნე და რიტუალი. მოურიდებელმა გამბედაობამ, გამოცდილებამ თავისი გაიტანეს და... გაუხსნეს სანატრელ ედემის კარები, რომელსაც კვაჭი იმდენ ხანს დასტრიალებდა და უჩიკინებდა.

აქა ამბავი ახალ „ხაქმის“ დაწყებისა.

პეტერბურგში, ვასილიევის კუნძულზე კვაჭის აქვთ შვიდ-ოთა-ხიანი ბელ-ეტაჟი, ძვირფას ავეჯით, კოხტად და დიდის გემოვნებით მორთული.

სასადილოს ამკობს მუქი მუხა, „ნატიურ-მორი“ ძველ ჰოლანდელთა და ფლამანელთა მხატვრებისა, მდიდარი კოლექცია კიდლის უძველეს თეფშებისა, სევრის ფაიფური და ვენეცური ბროლი.

დიდი დარბაზი კრიალებს და პბრწყინავს. ოთხი სარკე კერს სწვდება; კედლების ძირში ჩამწერივებულია ორმოციოდე ოქროს ვარაყიანი სქამი; კუთხეში სდგას ურთხელის საქონცერტო როიალი; ფანჯარაზე და კარებზე ჩამოფარებულია აბრეშუმით ნაქარგი, სქელი, ატლასის ფარდები; კედლებიც აქრულია ატლასით და აბრეშუმებით; სეროვს, ვრუბელის, ლევიტანის, მაკოვსკის, რეპინისა და შიშკინის სურათები ამშვენებენ იმ დარბაზს; აქა-იქ მოსჩანს რამდენიმე „ტიტეველი“ პარიზის სალონიდან.

კაბინეტი და მცირე სადარბაზო ოთახები სპარსულად არიან მორთულნი; იატაჟი და კედლები ხალიჩებით არის აკრული და დაფენილი. მოსჩანს ფრანგული გობლენი, ძველი ბურგუნდული ხავერდი, ქამირი, ინდიური ოქრო-ნემსული, თექი, ხოროსანი, ჰამადანი, იარალის მდიდარი კოლექცია და ხელოვნურად ნაკეთი ათასი ძვირფასი წვრილმანი.

ყველა ოთახში უხვად არის გაბნეული ბროლი, სარკე, ბრინჯაო, მარმარილო და ურთხელი, ბეწვეული და ფარჩი, ტყავეული

და ვერცხლი, იმ ოთახებში მოიპოვებიან უკვდავი ჩილინი, კანოვა, რემბრანდი, ვან-დეიკი, რუსდალი და მრავალნი სხვანი.

ორ მიურუებულ ოთახში გამართულია წიგნთ-საცავი და ბილიარდი.

ოთახებში ფეხაკრეფით დადიან თოვლივით თეთრი მოახლენი და ყორანოვანი ლაქიები.

შემოსავალ კარებში გაყინულა თუთიყუშივით აჭრელებული, პირსუსხიანი კარის დარაჯი.

კაბინეტში ზის ძვირფას ბუხარის ხალათში გახვეული თავადი ნაპოლეონ აპოლონიჩ კვაჭანტირაძე და გაზეთს ათვალიერებს, თან ჰავანნის სიგარას აბოლებს.

იატაკზე, ვეფხის ტყავზე გაწოლილან ჩატყვიებული, საზარელი, შავი ინგლისური დოფი და აბურძლული, თაფლის ფერი, უზარმაზარი სენ-ბერნარი.

დიდებულა და გრძელბეჭვიანი ანგორის თეთრი კატა ფანჯარაში ბუზებს იჭერს, მზეს ეთამაშება და საკუთარ კუდს დასდევს.

საწერ მაგიდაზე აბრეშუმის ფრაკ-ცილინდრში გამოწყობილი, ციდის ოდენა მაიმუნი ჩაჟუნტულა, რომელიც მელნით პირსახეს ითხუპნის და კვაჭის ელრიჭება და ეპრანჭება.

სრული მშვიდობა, მყუდროება და განცხრომა ჰსუფევს იმ ოთახში და კვაჭის გულში.

კვაჭის პირადი მდივანი და ერთგული ბესო შიქია ფეხაკრეფით შემოვიდა.

— ა-ა, ბესო, შენა ხარ? — ზანტად აიცოხნა კვაჭი: — ამბავი?... წერილებია? რა უნდათ, ისევ მათხოვრობენ? გადაყარე კალათში.

— კიდევ არის რამდენიმე წერილი. კნეინა გოლიცინისა თავისი თავშესაფარისთვის დიდ მასკარადს ჰმართავს, გთხოვს დირიერობა იქისრო.

— კარგი, მანდ დადე... ვნახოთ, მოვიტიქროთ, თუ არ წავედი, მაღლობა გადაუხადე და ხუთასი მანეთი გაუგზავნე.

— პრინცი კობურ-ჰორტელი გპატიუბოთ ვახშამზე.

— აჲ, მომბეჭრდა... მაღლობა მისწერე, არ სცალია-თქვა.

— თავადი ვოლეკნსკი თავისს არაბს ჰყიდის, და გთხოვსთ...

— გაანგებე თავი. მაგისთანა არაბი ათი მყავს.

— ხვალ იახტ-კლუბში საზეიმო ვახშამია ოსმალეთინ პრინცის მუხთარ აზისის პატივსაცემად.

— კარგი, ხვალ მომაგონე.

— ოპერაში ბალეტია. ბალერინა სმირნოვისა სცეკვავს, აი, ლო-
უს ბილეთი.

— შენ წადი... მომიქითხე... თაიგული წაუღე.

— აი, კიდო ერთი წერილი. ტანია პროზოროვისა გწერთ,
რომ დღეს საღამოს ათ საათზე ჩემთან „ის“ იქნებაო.

— ჩქარა მაჩვენე!

და ბესოს ვარდისფერი აბრეშუმის წერილი ხელიდან გამო-
სტაცა.

წაიკითხა, გამოცოცხლდა, გაიხარა, გაიღიმა და იღელდა.

— ძლივს! ძლივს!.. ერთი წელიწადია ამსა ველოდებოდი... იცი,
ბესო, ვისზეა ამ წერილში ლაპარაკი? არ იცი? მაშ გეტყვი: თუმცა
მოიცა, მერე გეტყვი... მერე, მერე...

აღლევებული კვაჭი ბოლთას სცემდა. თვალები შემოქმედების
ცეცხლით ჰქონდა ანთებული. ტვინი აუდულდა, აუჩქროლდა და გუ-
ლი საგულეში ალარ უდგებოდა.

— კეთილი... კარგი... ახალი დრო დადგა..... აბა, კვაჭი, ბედი
კარზე მოგადგა... თუ კაცი ხარ, არ გოუშვა... კაი, ძალიან კაი...—
ბუტბუტებდა კომბინაციებისა და იმედების ცეცხლით გახურებული
კვაჭი, თან რაღაც ბადეს ჰქონვდა და მომავალს ულიმოდა.

მერე ბესოს მიუბრუნდა:

— დოურეკე, რომ ბენცის ავტომობილი მომართვან... მეიცა,
ბენცი არ მინდა, დღევანდელ დარს, მგონი, მერსედესი ან ბერლიე
უფრო შეეფერება.

— მშვენიერი დარია, ლანდონ სჯობია.

— აბა ლანდო იყოს. შავი ცხენები არ შეაბმევინო, დაფეთ-
ბულნი არიან, თეთრები ან წითლები შეაბან, აბა, ჩქარა! კამერ-
დინერსაც დამიძახე.

მერე ტელეფონს დასწერა:

— ალლო! ელენე, შენა ხარ?.. ჰო, მე ვარ, კეაჭი... დილის
ქოცნით ვემთხვევი შენს ღვთიურ ხელებს... წუხელი? რაცხა ოცი
ათასი მევიგე... აჲ, აჲ! მაი ტყვილა უთქვამთ შენთვის, ჩვენი წაჩქუ-
ბება უნდა ვინცხას, არ დოუჯერო... არა, ის ქალი მე კი არ გავა-
ცილე, თავადმა ვიტეგენშტეინმა წეიყვანა... მე? შენც არ მომიკვდე,
არსად ვყოფილეარ, პირდაპირ სახლში წამევედი... კაი, მაგას თავი
დავანებოთ. ელენე, დღეს შენთვის დიდი ამბავი მაქს. გუშინლამ
რომე მარგალიტის კოლიე მეიტონე, ხვალვე მოგართმევ, თუ ჰკუით
მეიქევეი... რაო, არავინ გეიგოს! აპა, პეტერბურგში სწორედ ქირ-
თველს დასვამდენ ტელეფონზე, რომ ჩვენი ქართული ლაპარაკი გეი-

გოს?!.. კაი, კაი... მესმის... აპა, მომიცადე სახლში, ეხლავე მოვდივარ მშეიდობით, ჩემო კარგო!

მერე კამერდინერს ჯალილას მიუბრუნდა:

— აპა, ჩემო ჯალილ, ჩამაცვი.

სანამ ჯალილ აცმევდა, კვაჭი გაუხედნავ კვიცივით სტოკავდა და ზოგს თავისს თავს, ზოგს კი ჯალილას ეუბნებოდა:

— კარგი დღეა, მშვენიერი დღეა... ილოცე, ჯალილ, რომე ის საქმე კარგად დამისრულდეს... დიდებული დღეა... ვნახავ იმ მოხუცს, იმ წმინდანს... აპა, გამიჩერდეს!.. გოუძლოს ჩემს ელენეს... არ მინდა მაი გალსტუკი, არც მაი... არც აგი... აჲ, მაი მომეცი...

ჯალილამ ზეცად ხელები ალაპყრო და სასოებით სთქვა:

— ალაპ ილ ალლაპ! ლმერთმა მოგსეს გამარჯობა ჩემს კნიაშს და ჯალილის!

ყაზანის თათარმა მოახსენა:

— ლანდო მოგართვეს!

ორი თეთრი ცხენი ინგლისურის ჯიშისა და ინგლისურად შებმული თქარა-თქურით მიაქროლებს ლანდოს. მეეტლეს გვერდით უზის ჩოხა-ახვლუბში გამოწყობილი და „გაშტიკინებული“ ჯალილა.

ჯერ ზოგის ქუჩაზე გავიდნენ და მერე ნევის პროსპექტს გაჰყვნენ. ხალხი თვალს ადევნებს კრიალა ლანდოს, თეთრს რაშებსა და კალმით ნახატ იხალგაზრდას, რომელიც მარჯვნივ და მარცხნივ თავაზიან სალამს და ეშხიან ლიმილს აბნევს. ტროტუარებზე ხშირად ისმის:

— როგორ? არ იცნობთ?.. არ იცით?.. თავადი კვაჭანტირაძეა, ნაპოლეონ აპოლონიჩი... მშვენიერი სახელია, განა!..

— უთვალავი სიმდიდრე აქვს: ნავთი, მარგანეცი, სპილენძი, ხუთასი ათასი დესეტინა... რომ? არ ექნება? როგორ არა, მეტიც აქვს!

მეორე ჯგუფში ვიღაც ამტკიცებს:

— თურმე ისეთი მარმარილოს ციხე-კოშკი აქვს კოლხიდაში, რომ ამერიკიდან მოდიან სანახავად...

მესამე ჯგუფშიც ერთი ირწმუნება:

— მეფის ჩამომავალია... ისეთი სუფთა სისხლი აქვს, როგორც ჩინეთის ბოგდიანის...

— თურმე სახლში ათი ულამაზესი ქალი ჰყავს. სხედან და აქციების კუპონებს სჭრიან.

— სამი დღის წინად სააქციო საზოგადოების „ანგლოროს“-ის საზოგადო ქრება იყო. წარმოიდგინეთ, კვაჭანტირაძემ საკონტრო-

ლო პაქეტი მიიტანა და მთელი ის კომპანია ხელში ჩაიგდო... რაო, აგრევე უყო „სალამანდრას“ და „კოსმოსს“? შეიძლება... დიდი ფინანსისტია, ამომავალი ვარსკვლავია.

— ამბობენ, სახელმწიფო ბანკის გამგედ მოიწვიესო, მაგრამ ხომ არ გაგიქებულა, რომ დასთანხმდეს!?

თვითონ თუნდ ხუთ ბანკს იყიდის..

— თურმე ერთი ლამაზი ქალი არ გადარჩა პეტერბურგში... ხომ გახსოვს პეტერბურგინა კატალინიისა? იმაზე ლამაზი და პატიოსანი ქალი თურმე დედამიწაზე არ მოიპოვება. შარშან პეტერბურგში ჩამოვიდა. მერე, იცი რა მოხდა? სამ დღეზე მეტი ვერ გაუძლო კვაჭანტირაძეს. დამიჯერე, ნამდვილად ვიცი. ქმარმა გაუგო... დუელი? არა, როგორ გაპერდავდა! კვაჭანტირაძე გაფრენილ ბუზსა ჰკლავს...

— ამას წინად სამი კაცი გაიწვია დუელში და სამივენი ფეხის კოჭებში დასკრა.

ამ მითქმა-მოთქმაში და კვაჭის გაბერვაში დიდი ხანია მუშაობენ მისი მეგობრები და დაქირავებული აგენტები, რომელნიც კვაჭის გაწვრთნილი და დარიგებული ჰყავს.

ლანდო სუვოროვის პროსპექტზე გაჩერდა.

ხუთი წუთის შემდეგ კვაჭი ხელებს უკოცნიდა ახალგაზრდა ქვრივს, ქართველ მზეთუნახავს, ტანით და თვალით ნამდვილ დელფინალს.

— კარგი, გეყოფა, შე გიუო... აბა, მიამბე, სად იყავი წუხელის? მილალატე განა?

გეფიცები, ელენე, რომე...

— ნუ ფიცულობ, არა მჯერა... ეხლა მითხარი, რა საქმე გაიჩინე?.. რაო? ამას იქით შენი დეიდა უნდა გავხდე? შე ცელქო, ჩემი დეიდობა რაღად დაგჭირდა? განა ისედაც შენი არა ვარ?!.. პოლო, მესმის: შენი ნათესავი დავირქა? მერე?.. რაო, რა სთქვი? ლმერთო, დამიფარე!.. მაგას როგორ ვიკადრებ?!.. იმ პირუტყვს, იმ ჭუჭყიან მუეიქს უნდა გავუყიადრო თავი?!

კვაჭიმ მოკლედ და ნათლად აუწერა ელენეს თვისი გეკმა და გადუშალა ბრწყინვალე მომავლის სურათი. ელენე მოლბა და ოცნებას გაჰყავა.

— რა თქმა უნდა, ფული კარგია, საჩუქარიც... ზემო სართულში გარევაც... ძალიან კარგია, მაგრამ... პო, ამბობენ.. აქებენ, დიდი ვაუკაციაო... წმინდანიაო, მაგრამ... განა შენ არ მეყოფი?.. რაო?.. შენზე უქეთესია? რით? როგორ?.. კარგი, გაჩუმდი, ნუ ხარ ბილწი... აპ-აპ-აპ!.. მართალს ამბობ? აპ-აპ!.. ჭორი იქნება, თორემ... აპ-აპ!

გზა მაგით გაიკვლია მართლა?.. ღმერთო, დამიფარე! აპ-აპ!.. არ მე-
კადრება იმ წუნკალთან გავლა, მაგრამ... რაკი მაგისთანა დიდ საქ-
შეს აქეთებ... ვნახოთ... დლესვეგი?! ღმერთო, მომქალი! მერე წერე ია-
ფად უნდა გადარჩეო? თუ საქმე გაიჩარჩე, ბარემ ის პატარა სახლიც
მიყიდე, მე რომ მომწონს. ხომ გახსოვს ის სახლი?.. აბა, ეხლა და-
მარიგე.

კვაჭიმ მთელი საათი მოანდომა ელენეს დარიგებას. მერე და-
რიგებული გამოჰქითხა, მცირე რეპეტიცია მოახდინა, ელენეს ნიჭით
აღტაცებაში მოვიდა, კიდევ ათასი დაპირება მისცა და წამოვიდა.

აქა ამბავი წმინდა მოხუცისა და სხვათა ხელისუფალთა გაცნობისა.

ნევის ერთ სანაპიროზე ერთი მორიდებული, პატარა და თალ-
ხი სახლი იდგა. იმ სახლში სცხოვრობდა კვაჭის მფარველი ანგელო-
ზი, ხანშესული ქვრივი, მეტად გავლენიანი ფრეილინა, „სტატს-და-
მა და კავალერი მრავალთა ორდენთა“ — ანასტასია პროზოროვისა.

კვაჭი იმ ოჯახში იმდენად გაშინაურებული იყო, რომ იმ დე-
დაკაცს „ტანიას“ ეძახდა და და-ძმურად ეპურობოდა, ხოლო ის დე-
დაკაცი კვაჭის „ჩემო აპოლონჩიი“-ს უწოდებდა და იმისათვის ნამ-
დვილ მფარველ ანგელოზად იყო ბედისგან მივლენილი.

ვინ იცის, ვინ მოსთელის, რამდენჯერ გაიყვანა იმ ანგელოზმა
კვაჭიკო ბეჭვის ხილზე, რამდენჯერ ამოიყვანა ბნელ და მყრალ
ორმოდან, რამდენი დაახარჯა, რამდენჯერ დაითხოვა და კვლავ
რამდენჯერ დაიბრუნა და დაიახლოვა.

ზოგისთვის რომ ყური დაგეგდოთ, ვინ იცის, რამდენს ჭორს
იტყოდნენ და გესლიან ენას როგორ მოიქავებდნენ!

იმასაც კი ამობდნენ, ვითომ კვაჭი კვირაში ოჯელ მაინც უნ-
და შესულიყო თავის „დასთან“, ვითომ ტებილეულობასთან და ყვა-
ვილებთან ერთად კვაჭი ტანიას ათასნაირ ანგარიშებსაც უგზა ნიდა,
ვითომ „ტანიას“ მოსწყინდა ამ ანგარიშების გასწორება და თვიუ-
რად განსაზღვრული თანხა გადასდო „და-ძმობაზე“; ვითომ კვაჭის
ბინაც ტანიას ხელით და ფულით იყო მორთული, ვითომ...

ერთი სიტყვით, იმდენი ჭორი იყო გაბნეული, რომ იმის აქე-
ფას უქმი ჭორიკანაც ვერ შესძლებდა.

ვინც იმ „სტატს-დამას“ იცნობდა, იმ ჭორებისას, რა თქმა უნ-
და, მეასედსაც არ დაიჯერებდა. ისეთი მორიდებული, მოკრძალებუ-
ლი, ჩუმი, წყნარი, კეთილი და მორწმუნე დედაკაცი იყო, იმდენად

სასოიანი, მორცხვი, ღვთისნიერი და კარჩაკეტილი, რომ იმის გამხდარს, ხნიერს კნაჭა ტანში და ღვთის მადლით განათებულ სულში ვერასოდეს დაიბუდებდა და ფეხს ვერ მოიკიდებდა ხორციელი ან სულიერი მანქი, სქესობრივი ვნება, მრუშობა ანუ სიძვა.

ხატებით მორთულ და სანთელ-საქმევლის სუნით გაედენთილ სახლში მიდიოდნენ მხოლოდ ორად მოხრილი სენატორები, უკი-ლო ჰოფმეისტერ-ჰოფმარშლები, სამოცი წლის ფრეილინები, სტატ-დამები და ჩახანაკი ეპისკოპოს-არქიეპისკოპოსები, რომელნიც დაუშმარებლად ვერც კი ახერხებდნენ იმ სახლის კიბეზე ასვლას.

მათ შორის მხოლოდ „აპოლონჩიკი“ იყო ახალგაზრდა, მაგრამ... ეს ხომ ერთად-ერთი გამონაკლისი იყო! ესეც რომ არ იყოს... მაგრამ როდემდის უნდა სდიოთ ხელშეუხებელს, ჰაეროვან ჭორას?! იმ ღვთისნიერ დედავაც და კარგად ზრდილს კვაჭიკოს არც გამართლება სჭირიათ, არც გამოსარჩელება. მათი სახელი სუფთა და უმწიველო იყო. მორჩა და გათავდა!!

კვაჭი და მისი „დეიდა“ ელენე ათის ნახევარზე დახურულ ლანდოთი მიადგნენ იმ ქვრივის ჩაბნელებულ სახლს და დიასახლისს ტკბილეულობა და ყეავილები მიართვეს.

სტუმრები ჩაის მიირთმევდნენ მურაბით და „კრენდელებით“.

დიასახლისმა ანასტასიამ კვაჭის და იმის „დედიდას“ სტუმრები გააცნო:

— მათი ყოვლად უსამღვდელოებობა, მეფის მოძღვარი და სასულიერო აქადემიის ინსპექტორი... მათი მაღალლირება ცარიცინის მონასტერის ბერმონაზონი ილიოდორი... სარატოვის ეპისკოპოსი ჰერმოგენი... გენერალ ლოხტინის ქვრივი... უშმინდესი სინოდის ობერ-პროკურორი ლუქიანოვი... მათი თანაშემწე საბლერი... სამხედრო მინისტრი გენერალი სუხომლინოვი... სტატ-დამა კურაკინისა... ბარონესა ნოდენი... შინაგან საქმეთა მინისტრი მაკაროვი... გრაფი ვიტტე... ბანქირი მენდელსონი.

კვაჭიმ და ელენემ კველას ჩამოუარეს და კველას დაუსახელეს თვეიანთი გვარი. ზოგი ხელზე გმთხვიონენ, დანარჩენებს წელმოხრით და მოწიწებით ღრმა სალამი მისცეს.

მერე დასხდნენ და ახალ ნაცნობებს თვალი გადაავლეს.

სტუმართა შორის ზოგი ნამინისტრალი იყო, ზოგი—მინისტრი, ზოგიც მინისტრობის მაძიებელი; ზოგი იყო გუშინდელი, ზოგი დღევანდელი, ზოგიც ხვალინდელი ან ზეგინდელი.

იმ ქვრივის ეკლესიურ სალონში ეპისკოპოსი არქიეპისკოპოსობას ეძებდა, არქიეპისკოპოსი—მიტროპოლიტობას, გენერალ-მაიორი

—ლეიტენანტობას, ლეიტენანტი—ადიუტანტობას; პროვინციელი დედა-ქალაქისკენ იწევდა, ვაჭარი დიდს იჯარის დასდევდა, ბანკი-რი—კონცესიას, დედაგაცები ქმრებსა და საყვარლებს ჰშველოდნენ, ხილო საერთოდ ყველანი ტახტისკენ მიიღო ტვოდნენ და ერთის საფეხურით მაინც ზევით აწევას ჰლამობდნენ.

ამ ხალხის გულის ჯურმულში სტრიალებდა უხილავი, უხმო, კაპასი, შმაგიანი, დაუნდობელი და სასტიკი ბრძოლა, ხოლო მათს პირსახეზე და ენაზე ჰსუფევდა მხოლოდ სიტქოება, და-ძმობა, მამა-შვილობა, მეგობრობა და ღიმილი, ზრდილობა და თავაზიანობა, ქრისტიანული სათნოება და ანგელოზური მორჩილება.

„ლვთისმშობელმა“—ლოხტინის ქვრივმა შეწყვეტილი ბაასი განაგრძო.

კვაჭი ამ უცნაურ ქვრივს გაოცებით შესცემოდა და ყურს უგდებდა.

ამას წინად „ტანიჩქამ“ კვაჭის ამ საკვირველ დედაკაცის ვინაობა უამბო.

ლოხტინის ქვრივი ხნიერი დედაკაცი იყო, კარგის ოჯახისა და გვარის ჩამომავალი; მეტად ამაყი, კეუიანი და განვითარებული.

რამდენიმე წლის წინად ეს ქვრივი გადაიქცა „წმიდა გრიგოლის“ პირველ მოციქულად, მის ყურმოჭრილ და მორჩილ მონად. ყველ ავერზე ხელი აიღო—ოჯახზე, ქონებაზე, თავმოყვარეობაზე, ქალურ-ქალობაზე,—და უანგაროდ გაპყვა თავისს ახალ მესიას, ბაბატონსა და ღმერთს, რომლისთვის ის დაავადებული დედაკაცი მოახლეც იყო, მხევალიც და საუკეთესო პროპაგანდისტიც მისი სულიერ-ხორციელ წმინდანობისა და ნამრუშ-ნაბოდვარისა. ბოლოს, იმ სნეულმა დედაკაცმა „მათხოვარს“ უბედო მეფის უბედურს ოჯახშიც გზა გაუქვლია და ის მოხუცი უნებურად ტახტზე აიყვანა.

შემდეგში მან მეფის კარზე თვისი ადგილი უფრო ახალგაზრდას, უფრო ლამაზსა და მოქნილ ვირუბოვას დაუთმო, მაგრამ მაინც არც კარზე აიღო ხელი, არც მხევლობაზე და არც მონობაზე. „წმინდა მოხეცუს“ რასპუტინს ის დედაკაცი წინანდებურად მთელს რუსეთში კუდად დასდევდა და ყოველს იმის ნაბიჯსა და სიტყვას დღიურში სწერდა.

ეხლაც ყველანი იმას შესცემოდნენ. „ლვთისმშობელი“ ფეხ-შიშველი იყო, ტანთ უცნაური ყვითელ-თეთრი კაბა ეცვა, რომელიც ანაფორის უფრო ჰგვდა, ვიდრე დედაკაცის ტანისამოსს, ის კაბა აქრელებული იყო ათფერ აბრეშუმისა და ატლასის ჩვრებით და თავთ ზიზილ-პიპილოვანი ქუდი ეხურა ოქროს წარწერით:

*ჩემში არს ყოველივე ძალა, აღლილუაა.“

დროგამოშვებით ქადაგად დაეცემოდა ხოლმე:

— გუშინწინ მესამედ ვნახე ჩენი მაცხოვარი,—ამბობდა აღ-
გზნებულის თვალებით და მთრთოლვარე ხმით ის დედაკაცი:—
თქვენც გეცოდინებათ, რომ გუშინ წინ ლამე „ის“ ჯერ კიდევ გზა-
ში იყო,—მოსკოვიდან მოდიოდა,—მაგრამ იმისმა სულმა გამოსასწრო
და გამომეცხადა. ჩენი წმინდანი თავით ფეხებამდის თეთრებში იყო,
თავზე ლვის ნათელი ედგა, ერთს ხელში ჯვარი ეჭირა, მეორე-
ში—ცეცხლის მახვილი.

— უფალო შეგვიწყალე!—წაიჩურჩულა საბლერმა და პირჯვა-
რი გადიწერა.

სხვებმაც წაპხაძეს.

— გამომეცხადა და მითხრა: „მოინანიეთ ცოდეანი თქვენი,
მართლმადიდებელნო! მოდის დღე განკითხვისა! სთრთოდეთ და ძრწო-
დეთ, ურწმუნნო, ებრაელნო და ხალხის სულის ამრევნო!“ მე პირქვე
დავემხე იმის უუწმინდეს ფერსთა წინაშე. მან თავზე ხელი დამადო
და მომიტევა შეცოდებანი ჩემი. თვალი რომ ავახილე, ჩენი მაც-
ხოვარი ზეცაში მიფრინავდა. მეორე დღეს ჩენი წმიდანი ჩამობრძან-
და მოსკოვიდან. ყველაფერი ვუამბე... მითხრა: „დაო ჩემო, კეშმა-
რიტად იმ დროს სულით შენთან ვიყავიო“.

ისევ პირჯვარი გადიწერეს და დამჭენარ-ჩაცვინული ტუჩები
ააცმაცუნეს. ყველანი შიშით და ძრწოლით სჩურჩულებდნენ:

— საქვირველ არიან, უფალო, საქმენი შენნი!

— მოსულ არს უამი განკითხვისა!..

— შეგვიწყალე, უფალო, და მოგვიტევე შეცოდებანი ჩენენი!

— ალლილუა! ალლილუა! ალლილუა!

დედაკაცი წამოდგა. თვალნი ზეცას მიაპყრა, კილოს აუმაღლა
და აღზნებით და ზეშთაგონებით აბოდდა:

— კეშმარიტად გეტყვინ თქვენ: იგი არს წმინდა მაცხოვარი
ჩენი, ზეცით წარმოგზავნილი ხსნად ცოდვილისა ამა ქვეყნისა, ჩე-
ნი წმიდა რუსეთისა, განკითხვად ცოდვილთა, შესამუსრად ურწმუ-
ნოთა და დასამყარებლად მარადიულ, სანეტარო ცხოვრებისა.

მერე ცარიცინის ბერმონაზონს ილიოდორს მიუბრუნდა:

— ესე არს ძე „მისი“ უცოდველი და წამებული, ხოლო
მე ვარ ცოდვილი და ულირსი მოციქული მათი და ღეთისმშობელი
მარიამი. ძრწოდეთ და მოინანებდეთ ცოდვათა თქვენთა, მართლმა-
დიდებელნო!

ბერმონაზონი ილიოლორი აიმრიზა და ასტოკდა, ხოლო სხვებმა ისევ ტუჩები ააცმაცუნეს და ჩურჩულით თავინი თვისნი მოიღიოკეს „ღვთისმშობლის მარიამის“ წინაშე.

სააბლერი და მაკაროვი მას ხელზე ემთხვიერნენ. კვაჭი და ელენეც მიჰყვნენ, თან პირჯვერის წერვით და მოწიწებით სჩურჩულებდნენ:

— უფალო, შეგვიწყალე!.. უფალო, შეგვიწყალე!..

„ღვთისმშობელმა მარიამმა“ ოთხივენი გულში ჩაიკრა და ოთხივეს გადაცკოცნა და-ძმურის, ძლიერის, ცრემლიანისა და ქრისტიანულის კოცნით.

— ჭეშმარიტად ალსრულდა წინასწარმეტყველება დოსტოევსკისა,— უთხრა იმ დედაკაცს ცრემლიანმა საბლერმა:— რომელიც ამბობდა, რომ რუსეთს დიდის აღრევისა და რღვევისგან იხსნის და ღვთის გზაზე დააყენებს მორჩილი, მცირე ვინმე მირონცხებული საღოსი მუეიჩიკი, რომელსაც უფალი მდაბით ხალხიდან გამოარჩევს და მოვვივლებს.

— ასეთი მუეიჩიკის მიერ გაშენდილი რუსეთი ცხელის შანთით ამოსდალავს მთელს ქვეყანას ურწმუნოებას, განკურნავს ეშ-მაყების იდეებისაგან და მთელს მსოფლიოში მახვილით დაამყარებს ჩვენს წმინდა სარწმუნოებას!— დაუმატა გენერალმა სუხომლინოვმა.

— ორი რომი იყო, მესამე რუსეთია, მეოთხე ალარ იქნება!— გაიხსნა ნაბოდვარი ლუკიანოვმა.

— უწმინდური ურიები და მათი დაქირავებული სოციალისტები დღე და ღამე სცდილობენ და ოცნებობენ ჩვენი რომის დანგრევას!— აწუწუნდა ცარიცინის ბერმონაზონი.

— მესამე რომი მარადიულია! მისი დანგრევა შეუძლებელია! ცდა მრავალი იყო, მაგრამ ამაო. ნუ შეშინდებით, მართლმადიდებელნო, ღმერთი ჩვენთან არს!— განაცხადა ჭკუიანმა, ცბიერმა, ბებრმა მელამ ვიტებმ.

კვაჭიმ დრო იხელთა:

— მისმა ბრწყინვალებამ ბრძნული სიტყვა ბრძანა. ნუ შეშინდებით, ნუ დაიჯერებთ მესამე რომის დანგრევას. იგი უკვდავია! კავკასიაშიც თავი წამოჰყეს უწმინდურებმა, მაგრამ...

— კავკასიელი ბრძანდებით?— ჰკითხა ვიტებმ.

— დიალ, იქაური გახლავართ და იქიდან გიახლებით. იქაც წაიბილწა და წაირკვნა წმინდა სახელი ჩვენის წმინდა რუსეთისა. რაც გოლიცინმა ააშენა, უძლურმა და ჩერჩეტა ვორონცოვ-დაშვილმა დაანგრია. დროა მოეკინოროთ ის ჩუმი მასონი. სწორედ ამბობენ

ჩვენში: კავკასიაში ორი ვორონცოვიაო, ერთი მუდმივ ფეხზეა, მეორე ლოგინშიაო*). მაგრამ მწოდლარეც არ ისვენებს და ნელ-ნელა ანგრევს რუსულ საქმეს კავკასიაში.

დიდებულებმა ბებრულ, უკბილო ღიმილით და სიცილით გაიღიმეს და ჩაიხითხიობს.

კავჭიმ განავრძო:

— მადლობა უფალსა! იმ უძლურ საიდუმლო მასონის გარდა ჩვენს სათაყვანებელ მეფეს მრავლად ჰყავს ჩვენში ერთგული მოსამსახურენი: ალიხანოვი, ვოსტორგოვი, ტოლმაჩინოვი, მარტინოვი, გრიაზნოვი და ათასი სხვანი. შეერთებულის ძალით რევოლუციის გვალებაპს თავი მოვსჭერით. ეხლა გულმშვიდად ბრძანდებოდეთ, არხეინად მოისვენეთ.

ტანიამ ორს თავისს მეზობელს რაღაც წასჩურჩულა. ორივენი ერთის წუთით გამოცოცხლდნენ და გაოცდნენ:

— შეუძლებელია!.. მართლა?— მერე კვაჭის მოუბრუნდნენ: — გვამბეთ, ყმაწევილო, ის ამბავი... თქვენ რომ დაგჭრეს.

— სათქმელად არა ჰლირს. ბევრი არაფერია, მაგრამ თუ თქვენ მაღალ აღმატებულებას ჰნებავს... ურიებს და რევოლუციონერებს ჩემი თავი ათი ათას მანეთად ჰქონდათ დათასებული, რადგან ხელი აღარ გავანძრევინე და სული იღარ ამოვათქმევინე. რამდენჯერ-შე ჩავუშალე უდიდესი ვერაგული საქმე, მეტის მეტად რომ გავამწარე, ჩემზე ნადირობა დაიწყეს, მაგრამ იმ წუნკლებზე უკეთესი მონადირე მე გამოვსდექი. ერთხელ ყუმბარა მესროლეს. გადავრჩი. დავედევნე, სამი მოვკალი, ორი დაისჭერი და ორიც დავიჭირე. ახალ-მა ჯგუფმა თოფები დამიშინეს. უარესი დღე დავაყენე. მერე ჩემი მოწამლეა მოინდომეს და ლაქია მომისყიდეს. ვერც ამან გასჭრა. რაღა სიტყვა გაგიგრძელოთ, უწყალოდ ვხოცეთ და ველიტეთ ის უწმინდურები. მართალია, მეც დაჭრილი ვარ ფეხებში, მაგრამ სამაგიერო ერთი ასად მაინც გადავუხადე.

ტანიამ კინალიმ დაუმოწმა კვაჭის ჭრილობა, რომელიც სამტრედიელ ძალის ნაკილარი იყო, მაგრამ დროზედ იკბინა ენაზე და გაყუჩდა.

კიდევ დიდხანს ილაპარაკა კვაჭიმ და იმ ხალხს ბაქიობით, ღიტინით და მაღამოთი გული და გრძნობა მოულბო, დაუმშვიდა და გაუხარა.

*) ნითქვემია თავ. ვორონცოვის ძეგლზე და ფადმიცოფ ვორონცოვ-დაშვილ-ზე, რომელიც დიდის ხნობით მიერული იყო სარეცელზე.

ლოხტინის ქვრივმა კვაჭის გვარი წიგნაქში ჩაიწერა, სხვებმა—დაიხსომეს.

ქუჩაში ავტომობილის შხუილი მოისმა.

— მობრძანდება! მობრძანდება ჩეცნი წმინდანი და მაცხოვარი!

— სასოებით დაიკივლა ღვთის-მშობელმა და ფეხზე წამოიჭრა.

სხვებიც აშალნენ.

დიასახლისი და ლოხტინის ქვრივი სირბილით ჩაცვიდნენ კიბეზე.

ორი წუთის შემდეგ ოთახში შემოიჭრა გრიგოლ რასპუტინი— „წმინდა მაცხოვარი“. კვაჭიმ თვალი გადაავლო იმ დროის უუძლიერეს ადამიანს და გაიხსენა მისი დახასიათება, რომელიც მან ერთ საიდუმლო გაზრდაში წაიკითხა იმ დღეს: „ბნელი, რეგვენი, ბრიყვა, ყოვლად უმეცარი, კადნიერი და თავხედი, სულით და ხორცით ჰუჭყიანი, მრუში და ბილწი ციმბირელი მუჟიე;“ „წმინდანი და უცოდველი მოხუცი“, „ზეცით მოვლენილი წინასწარმეტყველი“; „ღერძი, სინიდისი და თავი ბნელ რუსეთისა;“ „ყოვლის შემძლე, ნამდვილი პატრიარქი, თვითპყრობელი და გულთამხილავი გასალოსებულ ხალხისა“.

უველანი ზეზე იდგნენ—თაემოხრილნი და მორჩილნი: უველამ პირსახეზე ჩამოიტარა ღვთის მადლი, სასოება, უმანქოება და მამაშვილური ღიმილი.

რასპუტინი ერთის წუთით შესდგა კარებში.

შუა ტანის კაცი იყო,—ჩასხმული და ჩატყვიებული. შავი, გრძელი ჯავარია თმა, დაუდევრად ნავარცხნი და ზეთნასომი, შუაზე ჰქონდა გაყოფილი; ტუჩები—მსუქანი, მსუნაგი და ჩალურჯებული; შებლი—მალალი; ცხვირი—ბრტყელი; შავი წვერი და ულვაში, ცოცხივით გაცვეთილი, თითქოს განგებ ჰქონდა მიკრული; ტუჩისძირი—შიშველი; პირის კანი—შავი, ნაცვეთი და ზეთიანი; ხელები—გრძელი და ჩაეანგებული; თითები—დაკლაკული; ფრჩხილები—ჩაობებული და შავარშიანი. თვალები—საოცარი და უცნაური: მოლურჯო, ღრმა, მოუსვენარი, ცეცხლიანი და ელვიანი, რაღაც იდუმალის და უჩინარის ძალით აღსავს: მიმზიდველი, გამჭვრეტი, ალერსიანი, უმანქო და ამავ დროს ცბიერი, შორეული და ჩამცვებელი.

ტანზე შინდის ფერი ატლასის რუსული ხალათი ეცვა, „მისი დედის“—დედოფლის ხელით შეერილი და ლურჯის აბრეშუმით მოქარეული; წელზე აბრეშუმით და ოქროს ძაფით ხვეული დიდფორჩებიანი ქამარი ერტყა; შავი, ლავირონის ნაოჭიან ჩექმებში ჩატანებული ჰქონდა ხავერდის განიერი შალვარი.

წმინდანმა „უცებ“ თითქოს ჩაიცინა:

— მშვიდობა და კურთხევა ღვთისა თქვენდა!

და კუნტრუშით, კლაკვნითა და გრეხვით ყველას ჩამოურბინა; თან იღრიჲებოდა, იქრიჲებოდა, სტოკავდა და მოშლილ ხელ-ფეხს „პეტრუშასავით“ იქნევდა; გაუვებარს, უცნაურ რუსულს ლაპარაკობდა და წამ-და-უწმ უადგილ-ადგილოდ სასულიერო სიტყვებს ისროდა.

არავინ გამოსტოვა: ყველანი გულში ჩაიკრა და ყველანი ძლიერის ტლაშა-ტლუშით დაჲკოცნა, ზოგს ერთხელ აკოცა, ზოგს ორჯერ; ელენე დათვივით ჩაიხუტა, ჩაიბუბნა, წელში გადაზნიქა და ხელიდან ძლივს გაუშვა; კინალმ მქერდი ჩაუნგრია, სული შეუგუბა და ტუჩები კოცნით გაუცვითა.

ყველანი მოწიწებით და სასოებით ხელზე ემთხვევნენ.

გრიშკამ ყველანი აკურთხა და ყველას ორიოდე სიტყვა გადაუგდო.

სუხომლინოვს ჰეითხა:

— ღვთის მახვილი ხომ გალესილი გაქვს?

არქიეპისკოპოსს ჰერმოგენს მიუგდო:

— ღმერთი ჩვენთან არს!

ცარიცინელ ბერმონაზონს ილიოდორს გადაუკრა:

— ურიები ვერ მოგვერევიან, დაილუპებიან!

გრაფი ვიტტე დაარიგა:

— ვიტია, ძალა ჯვარშია, ფული ხელის ჭუჭყია!

მაკაროვს მკვაბედ მიუგდო:

— ღროვა გათავდეს!

ელენეს ნუგეში მისცა:

— ეძებე განკურნება ჩემთან, დაო ჩემო, და მე სათნო გუო.

კვაჭიმ ჩაიცინა.

ბოლოს, იმის ჯერიც მოვიდა.

— ეძიე და იპონი! — გაამხნევა იგი წმინდანმა,

სინოდის ობერ-პროექტორს ლუკიანოვს პირი შეაქცია.

პროექტორის თანაშემწე საბლერი ფეხ-ქვეშ ჩაუვარდა, თან სტიროდა და ჰბუტბუტებდა:

— კურთხევა, წმიდათ მამაო! კურთხევა და სათნოება!

საბლერთან ერთად დაიჩიქა, წმინდანს მუხლებზე მოეხვია და ჩექმის წვერი დაუკოცნა მოციქულმა, ღვთის-მშობელმა ქადაგმა.

რასპუტინმა ორივენი წამოაყენა, ორივეს კოცნით ცრემლე-

ბი მოსწმინდა, ორივენი ანუგეშა, თვითონაც ატირდა და სხვე-
ბიც აატირა.

ამ სურათის დანახვაზე ერთმა მეორეს ჩასწურმულა:

— ლუჯიანოვს გადააყენებენ, სინოდის ობერ-პროკურორად საბ-
ლერი დაინიშნება.

მერე ყველანი დასხდნენ და ხელი მიჰყვეს ტკბილეულობას და
სულის საცხონებელ ბაასს.

წმინდანმა ცალ გვერდით თვისი მოციქული მოისვა, მეორე
გვერდით—დედოფალის სწორი ელენე, რომელსაც ჯერ მუხლებზე
დაუდო ხელი, მერე თეძოებისკენ გაუპარა. კვაჭიმ იმ ხელს თვა-
ლი მოჰქრა და ულვაშებში ჩაიღიმა.

მოციქულმა მასწავლებელს წელზე ხელი მოჰხვია და მიბნე-
დილი თავი მხარზე მიუსვენა.

ელენე ჯერ მორცხვობდა: თავი ჩაჰლუნა, თვალები მიჰლულა,
გაინაბა, დადნა და გალხვა. ზოგჯერ თავისს შავს, ნუშის ოდენა
თვალებს წმინდანს ლობიოს ოდენა ლურჯს თვალებში გაუყრიდა,
ელვასავით დაატაკებდა, მერე კოხტად მოაშორებდა და ხშირს წამ-
წამებს ნისლის ფარდასავით ჩამოიბურებდა და ისედაც შავს თვა-
ლებს სულ დაიღამებდა.

ბოლოს, თვითონაც გაპბედა და თვისი ღვთაებრივი თავი წმინ-
და მასწავლებელს მერდზე დაუდო, თან თვალები მიჰლულა და ჩას-
თვლიმა.

ყველანი სასოებით შესცეკეროდნენ იმ სამების ცოცხალ სუ-
რათს და უმანკოდ ილიმებოლნენ. ყველამ თავის თავად გაიხსენა და
იგი სამება შეადარა წმინდა სურათს—წმინდა მაცხოვარს, მარიამსა
და მართას.

— ელენე უფრო ჰეგავს მარიამ მაგდანელს, ვიდრე ლოხტინის
ქვრივი,—გაითიქრა კვაჭიმ და საამურ კომბინაციებს მისცა თავი.

უცებ წმინდა მოხუცმა დაკლაკნილი შავი თითი კვაჭისკენ
გაიშეირა:

— შენ ვინა ხარ?

— თავადი კვაჭანტირაძე გახლავართ, წმინდაო მამაო!

— მაშ კავკასიელი იქნები... არ მიყვარს... ველური ხალხია...
სულ ხანჯალზე უჭირავთ თვალი. „ბასურმანები“ არიან.

კვაჭიმ ტკბილად განუმარტა:

— მე ქართველი გახლავართ, წმინდაო მამაო. ქართველები
მართლმადიდებელნი არიან.

გრიშკამ გაიკირვა:

— Нешто хрестяне? Шენი სახელი?

— ნაპოლეონ აპოლონიჩ.

— ნაპოლეონი? აპოლონი? — კვლავ გაოცდა გრიშკა.

მისმა მოციქულმა, ლოხტინის ქვრივმა განუმარტა მას ორივე სახელი.

— მაშ თრივენი წარმართები, ეშმაკები ყოფილან! ჯვარი აქაურობას!

და პირჯვარი გადასწერა ყველას.

დიასახლისმა ყურში ჩასწურჩულა:

— ეგ ყმაწვილი და ეს ქალი — ელენე — დედიდაშვილები არიან. თუ გახსოვს, ამ ვაეის შესახემ რამდენჯერმე გვქონდა ლაპარაკი.

გრიშკა უცებ მოლბა:

— ა-ა, აპოლონჩი! შენ იბრძოდი კავკასიაში მეფისა და წმინდა რუსეთისთვის, არა? მაშ გიცნობ... კარგად გიცნობ. დაჭრილიც ხარ, არა? მnie იძრავით თвоє имѧ. Подъ ко мнѣ. Хатишь вина?

და ერთხელ კიდევ გადაპყოცნა დეიდა-შვილები.

კვაჭიმ ღვინოზე უარი სთქვა, არა ვსვამო. ფხიზლობა მოუწონეს.

ბაასი რუსეთის ბედსა, ებრაელებსა, რევოლუციასა, მესამე რომსა და იმის მსოფლიო ბატონობაზე გადიტანეს.

კვაჭიმ ერთხელ კიდევ მოიმარჯვა დრო და წმინდა მამას გადუშალა და გააგონა თავისი კქუა, განვითარება და ერთგულობა ეკლესიისა და ტახტისადმი:

— სტოლიპინი და შეგლოვიტოვი უუდიდესი ღერძი არიან წმინდა რუსეთისა... „კრამოლა“ ჯერ სავსებით არ არის აღმოფხვრილი, მისი ფესვები ჯერ არ არის ამოგლეჯილი. უწმინდურების ვეშაპი ჯერ კიდევ ჰყევთქავს! ალრევის გვილი ჯერ კიდევ იქლაკნება! ძვირფასი სამშობლო დაგვიუძლურეს... მთავრობაში კიდევ მოიპოვებიან ურიების საიდუმლო აგენტები... ეკლესიაში კიდევ მრავლად არიან ურწმუნონი, მწვალებელნი და წარმართნი... ეხლავე განიშინდოს და გაირეცხოს ჩვენი ტურფა ქვეყანა და წმინდა ეკლესია, თორებ ვერ მოეისვენებთ და არხეინად ვერ დავიძინებთ...

ბლომად ილაპარაკა კვაჭიმ ამ საგანზე.

ანთებულ ცეცხლს ნავთი გადასხა და ისედაც დაშინებულნი უარესად დააფრთხო.

„მაცხოვრის“ მოციქული ლოხტინის ქვრივიც კვაჭის აჟყვა, აპრიალდა, აქადაგდა, აფეთქდა. ისევ წმინდანს ჩაუვარდა ფეხებში და გაჰკიოდა:

— ვიღუპებით! გვიშველეთ!! წმინდაო მამაო, გვიშველე!!
საბლერიც აბუტბუტიდა, აცქმუტუნდა და აიცრემლა.
სხვებიც აღელდნენ და აიშალნენ.

ასტყდა კვლავ ხვევნა და ტლაშა-ტლუში.

იმ საღამოს გადასწყდა ბედი რამდენიმე მინისტრის, სენატორის, ელჩის, გუბერნატორის, ეპისკოპოსისა და არქიეპისკოპოსის. ზოგნი ქვეით ჩამოგორდნენ ცხოვრების კიბეზე, ზოგნი ზევით აცოცდნენ.

სტუმრები ნელ-ნელა გაიკრიფნენ.

წმინდანმა ელენე მარჯვენივ ოთახში გააპარა, დიასახლისმა ტანიამ კვაჭი მარცხენა ოთახში შეიყვანა.

ერთი საათის შემდეგ ოთხივენი კვლავ შეჰვდნენ ერთმანეთს. ყველანი უკვე დამშვიდებულნი და კმაყოფილნი იყვნენ.

ელენე ალანძულიყო და აწითლებულიყო. თმა გაწეშილი ჰქონდა, თვალები ზეთში ამოვლებული.

დიასახლისმა და წმინდანმა ცოტაოდენი წაიჩურჩულეს.

— Поль сюда? — დაუძახა ამის შემდეგ გრიშკამ კვაჭის: — Ты мине ндравиშся. Хатиш дружбу? Акромя таго будиш мине сохранять, патаму жиды и люцинеры больно зло супротив мине имеют. Хатиш? Мотри мене харашо! Таня, падай икону, клятву будим давать.

უნდოდა კვაჭის რასპუტინის მეგობრობა? რა საკითხავია! კვაჭის ერთი წლის ნატვრა მხოლოდ ეს იყო: ერთ წელიწადს იკაფავდა გზას ამ მოხუცისკენ და მთელ წელიწადს სანთლით დაეძებდა მას, რადგან ძალიან კარგად იცოდა, რომ იგი რუსეთის ნამდევილი მეფე-პატრიარქი იყო და ხელთ ჰქონდა ყოველივე ძალაუფლება იმ თვალუწვდენ ქვეყანაში.

ხატი და სახარება მოიტანეს და ერთმანეთს სამუდამო ძმობა და მეგობრობა შემტფიცეს.

მერე გრიშკამ მოიგონა:

— ურიებს და ლიუცინერებს სახელმწიფო სათათბიროში შეკითხვა შეუტანიათ ჩემზე. მე ვაჩვენებ იმ ურიებს შეკითხვას!

აიშალა, გაბრაზდა და გამწარდა. თვალებით ცეცხლს აფრქვევდა, ქალის ხმით წრიანინებდა, ფეხებს აბრაზუნებდა, ჰქაპასობდა და ლორბლს ჰყურიდა.

— А, стерви! А, окаянныне! А, подлые!

მერე შელანი და ქალალდი მოითხოვა, დაჯდა და ნახევარი საა-

თი ოფლში იწურებოდა, ჰევნებავდა და ჰკვნესოდა. მეფეს და დე-
დოფალს ყირიმში დეპეშა მისწერა:

Ливадия, Царям.

Миленкай папа и мама! Вот бес то силу берет окаян-
ный. А Дума ему служит: там много люцинеров и жи-
дов. А им что? Скорее бы Божьяго помазаннека долой.
А Гучков гаспадин их прихвость, клевещет, смуту делает.
Запросы. Папа! Дума твоя, што хошь, то и делаи. Какой
там запросы о Григорий. Это шалость бесовская, прикажи.
Да! Не каких запросов не надо. Да! Гриорий. Да!

ეს ნაჯლაბი, რომელიც თოვლზე ქათმების ნაკალევს ჰგავდა,
კვაჭის გადასუა და უთხრა:

— დეპეშა ღლესვე გავზავნე. აბა, ეხლა ჰაიდა სახლისკენ!
Хозяюшка! красно солнышко! Пасибо тибе. Дай Бог по
хорошему!

დიასახლისი ჩაჰკოცნა და მერე ელენეს მიუბრუნდა:

— Леночка, сестрица! подъ ко мне, домой!

და თითქმის ხელით ჩაიტანა კიბეზე კვაჭის ნაჩუქარი, რომე-
ლიც მაგრად მოეხვია წმინდანის კისერს და თვისი დაღლილ-მიბნე-
დილი პირსახე იმისს გრძელ წვერებში ჩამალა.

სამივენი ავტომობილში ჩასხდნენ.

— Так не гоже, сестрица! подъ суда! садись суди!

და ელენე მუხლებზე დაისვა, რადგან ავტომობილში „ვიწროო-
ბა იუმ“.

მოხუცის სახლში რომ მივიდნენ, წმინდანმა კვაჭის მიუგდო:

— აპოლონჩიკ, შენ აქ მოიცადე. ლენონჩა, ოთახამდის გამა-
ცილე.. ხეალ ორივენი მოდით, უნდა მოვილაპარაკოთ.

სანამ ზევით წმინდანი ელენეს „სინჯავდა“, კვაჭი ქუჩაში
იცდიდა. ერთი საათი მაინც გავიდა. ბოლოს, ელენე გამოვიდა და
ორივენი ავტომობილში ჩასხდნენ.

კვაჭი გულნატკენი და გაბუტული იუმ.

ელენე ილიმებოდა.

— სიდოური მოხუცია მაი გრიშკა, რომ ერთი თეთრი ბეჭვი
არ ურევია არც წვერში და არც თმაში? — ჩაიბუტბუტა კვაჭიმ.

ელენემ პასუხი არ გასცა.

სახლში ისე მივიდნენ, რომ არც ერთს ხმა არ ამოულია.

კვაჭიმ ელენე ოთახში შეაცილა და ჩამოჯდა.

— მაი მეტის მეტია! — წაიბურტყუნა ბოლოს.

ელენე კვლავ ილიმებოდა.

— კარგად გაგსინჯა?.. რა სთქვა, რა გტკივაო?.. — იჭვით და ბრაზით ამოისროლა კვაჭიმ.

— სთქვა, მეტევზეს ფეხები უნდა სველი ჰქონდეს! — მოუჭრა ელენემ, თან ტანისამოსს იხდიდა, ტკბილად იზმორებოდა და ისევ ეშმაკურად ილიმებოდა.

— ე, მარა... ასთე მალე? რავა გაგსინჯა? რა გითხრა?

— სხვა ექიმებს მაინც სჯობია! — გესლით გაპკრა ელენემ.

— მეც მჯობია?

— ზენ?.. ჰა-ჰა! შენ ჯერ ბავშვი ხარ, კვაჭიკოჯან!

კვაჭი აღელდა:

— აჲ, მაი ტყუილია!

— ქმარი ლაშქარს იყო, ცოლი ამბაეს უამბობდაო... ჰა-ჰა! არ მოგწონს? საქმეც გინდა გააკეთო და ჩემი თავიც შეინარჩუნო? ორი კურდლის მდევარი ორივეს დაპკარგავსო... რაო? რა სთქვი?.. მაშ არ სჯავრობდა? ჰო, ეგრე სჯობია... უნდა გესმოდეს, ჰქუიანი კაცი ხარ.

— უჩემოდ აფერი დეიშყო მეთქი, თვარა მე ამაზე მეტი აფერი მინდა.

— არა, ნუ გეშინიან, უშენოდ ერთ ნაბიჯსაც არ გადავდგამ... არა, ხელიდან ვეღარ წამივა, ნუ გეშინიან... ერთად დავიწყეთ, ისევ ერთად ვიმუშაოთ — ზენ — ჰქუით, მე კი... კარგი, ხეალ მოდი, მოვიფიქროთ და მოვილაპარაკოთ. დაპირებული მარგალიტები არ დაგავიწყდეს... არა, არა, ეხლა არ შეიძლება!.. დღეს არ შემიძლიან. მეძინება... ხვალ იყოს... დღეს არ შემიძლიან მეთქი!.. რაო?.. თუნდ ეგრეც იყოს: არც შემიძლიან, არც მინდა... თუნდ ეგრეც იყოს: გამაძლარიც ვარ... კარგი, ნუ სულელობ! წადი. დაიძინე, ხვალამდის ყველაფერი დაგავიწყდება... რა სთქვი? შენ გჯობნისო? დღეს დილით შენვე არ მითხარი, ჩემისთანას ბევრს აჯობებსო? ბავშვი ხარ მეთქი იმასთან შედარებით... ლამე მშვიდობისა!... წადი, წადი... ძილნებისა!..

გაატორებული და გაშმაგებული კვაჭი გარედ გაძოვარდა.

ბრაზი ახწობდა, სქამდა და ჰლრლნიდა.

ერთმა ხვადმა მეორეს მუ წაართვა. მერე როგორ! ელენემ კვაჭის — ახალგაზრდას, ლამაზ ჭაბუქს, ლონიერსა და ცეცხლიანს — შეგნებით და გულშრფელის გრძნობით გრიშკა რასპუტინი ამჯობინა!

— ნეტი ლირსი მაინც იყოს!... — გულში სცხარობდა კვაჭი: — ბნელი, უბადრუეკი, რეგვენი, ყოვლად უმეცარი, ჭრებინი და ხნიერი მუეფი!.. როგორ მითხრა ელენემ? გჯობნისო... ბავშვი ხარ იმისთან შედარებითო... რატერ? რით? რა აქვს მისთანა, რომე... აღბათ...

მერე გაიფიქრა:

— მე თვითონ არ წევიყენან? მე თვითონ არ შევახედრე? მე თვითონ არ დავარიგე? დღეს მომხდარიყო თუ ხვალ, — განა სულ ერთი არ არის? რეიზა ვლელავ, რეიზა ვიმტროვ თავს? თუ ურჩევნია, — ერჩივნოს. ქვეყანაზე ლამაზი ქალების მეტი აფერია... ელენე ხელიდან მაინც არ უნდა გოუშვა, თვარა...

მერე მოაგონდა თვისი უსაზღვრო გეგმები და გაპყვა თავისს ნაქარგვს და მრავალს ახალს კომბინაციას. და კვაჭის თვალშინ გადიშალა ახალი ქვეყანა და თვალუწვედენი და ხელუხლები მინდორი, რომელსაც კვაჭი გამოიყენებს, თავისებურად მოჰქარგავს და მუხნელს მოიძის.

ელენე წყვდიადში ჩაიმალა. წელინდელ ბრაზის და შელახულ თავმოყვარეობისგან ნატამალიც ალარ დარჩა.

და კვაჭიმ იმ დღესაც ისე დაიძინა, როგორც ყოველთვის ეძინა: მშვიდად, უმანქოდ და არხეინად.

აქა ამბავი წმინდანის მდივნისა და მცველისა.

მეორე დღეს კვაჭიმ ამხანაგები დაიბარა და ყველას ახალი დარიგება და დავალება მისცა. გაბო ჩხუბიშვილს, ბესო შიქის და ჯალილას წმინდანის მისამართი მისცა და უბრძანა, რომ სწორედ შუადღეს სამივენი იქ მისულიყვნენ და შესავალთან კვაჭისათვის მოეცადნათ. შემდეგ ბელადმა ნევის პროსპექტს ჩაუარა, ზოგი რამ სასყიდელი იყიდა და იქიდან ელენეს გაუარა, თან მარგალიტის საჩუქრი და ყვავებულებიც წაულო. იმ დღეს ელენე თითქოს უფრო გალამაზებულიყო, გაფურჩქნულიყო და აყვავებულიყო

ძვირფასი საჩუქრარი მაშინვე ყელზე შეიბა; სიხარულისგან ფეხზე ვეღარ სდგებოდა, ხან სარეის წინ კოხტად იპრანჭებოდა, ხან კვაჭის კისერზე ეხვეოდა, ჰკოცნიდა, იცინოდა, სცემუტავდა და სტიქტიებდა:

— მაშ გეწყინა წუხელის?.. შე ცელქო, შენ თვითონ არ დამარიგე?.. მაშ ალარ გწეინს? დამშვიდდი?.. ეგრე სჯობია, დაივიწყე. განგებ გითხარი და გაგაბრაზე, თორემ ის წუნკალი შენ როგორ გაჯობებს! სხვა რომ არა იყოს რა, ის მუეფი ორჯერ შენზე

ხნიერია... ფიპ! ჭუჭყიანი, პირდაუბანელი! ფიპ! სანთლის და ზეთის სუნი ასდის... ეხლავე წავიდეთ? მზადა ვარ.

ათი წუთის შემდეგ კვაჭის „მერსედესი“ გოროხოვის ქუჩაზე გავიდა და წმინდანის ბინას მიაღვა. ბესო თავისს მხლებლებით კარებში იცდიდა.

ყველანი ზევით ავიღნენ. კიბე ხალხით იყო გაჭედილი, ზოგიც თავისს ჯერს ქუჩაში უცდიდა.

წმინდანი ვიღაც გენარალს სტუქსავდა. კვაჭის და ელენეს დანახვაზე მოსხლტა, აცქმუტდა და ათამაშდა. ორივენი გულში ჩაიხურა, ჩაჰავანა და ჩაპპროშტა.

— Сиди и мотри, я чичас! — მიუგდო კვაჭის და ელენე მეორეო თახში შეიტაცა.

მერე, როცა ალანძული უკანვე გამოვიდა, კვაჭის უთხრა:

— Сиклытарем будиშь у мене, зави, кто поважней да почище будит.

კვაჭი მდივნობას შეუდგა. ბესო შიქია თანაშემწედ დაიყენა, ჯალილა კარებში ჩააყენა, ხოლო ჩხუბიშვილს მზევრაობა მიანდო, ვინაიდან იმ წმინდა მოხუცს ათასი მტერი ჰყავდა და ხითათი მუდმივ თვეთ დასტრიიალებდა.

ასმა კაცმა და ქალმა მაინც გაიარა იმ დღეს გრიშას კაბინეტში.

ვინ, საიდან და რისთვის არ მისულიყო იმ სასწაულთ-მოქმედ-თან! ვლადივოსტოკიდან და ვარშავიდან, ათონიდან და ტაშქენტიდან, სოლოვეციდან და უცნობ ჯურლულიდან; გენერალი და გუბერნატორი, ბერი და ვაჭარი, ბანკირი და ვექილი, გლეხი და მონოზანი, მღვდელი და მოხელე.

ზოგი წარმატებას ეძებდა, ზოგი სუფსიდიას, ზოგი გადაყვანას, ზოგი სამართალს და ზოგიც განკითხვას.

წმიდანმა ჯერ სუფთა ხალხი და ლამაზი ქალები გაისტუმრა, მერე კიბეზე ჩაირბინა, ზოგს მანეთიანი ჩაუდო ხელში და ზოგს სამიანი, თან ყვიროდა:

— Молись за царей и меня!... Некогда, некогда! Вот сиклытарь, скажи яму, ежели чаво надоти.

მერე ქანც-გაწყვეტილი ატლასის სავარდელზე დაეცა:

— უფ! Черты полосатые! Стервы! Замучили!

კვაჭიმ იმ დღეს ბევრი საოცარი სანახაობა ჰნახა. მოუხეშავმა მოხუცმა საკვირველი მოქნილება და გამოცდილება გამოიჩინა: ძლიერსა და უძლურს, გამოსაყენებელსა და გამოუსადეგარს ერთის შე-



ხედვით არჩევდა და ყველას თავისს ხვედრს მიუძღვიდა: ზოგს სიხარულით, პატივითა და ხვევნა-კოცნით უხვდებოდა; ზოგის წინაშე ქედს იხრიდა, ლაქუცობდა და ილრიკებოდა; ზოგისთვის ორს უქმებ სიტყვას ძლივს იმეტებდა; ლამაზ ქალს უნუგეშოდ არ გაუშევებდა: და-ძმურად ჩაიკრავდა და ჩაიხვევდა. თუ ქალი ავადმყოფობას იჩივლებდა, გრიშკა იმ ქალს გასასინჯად და სამუშაონალოდ ცალკე ოთახში გაიყვანდა, ან იმ ქალის მისამართს კვაჭის ჩააშერინებდა. ზოგჯერ გრიშკა ათიოდე სიტყვის დაწერაზე ნახევარ საათს იწურებოდა, ბოლოს ისეთს გაუგებარს დასჯლაბნიდა, თითქოს იმ ქალადზე ფეხმელნიან ქათმებს დაუვლიათ და თავიანთი ნაკაკანევი ჩაუწერნიათ.

კვაჭის დარიგება ბესომ ზედმიწევნით გაიგო და ერთ კვირაში სავსებით შეასრულა. იმ დღეს კვაჭის სახლს „ზღვა ხალხი“ აწყდებოდა.

ის „ზღვა ხალხი“ წმინდანის მუშტარი იყო.

კვაჭი ჰქუით მოიქაცა: ბოსტანში მინადენი წყალი ერთ კვირაში მოსწყვიტა და თავისს არხში გადმოაგდო.

იმ მუშტარმა გაიგო, რომ წმინდა მამავალი გზა კვაჭის ბინაზე გადიოდა, ამიტომ ბარათის ასალებად ჯერ კვაჭისთან მიდიოდნენ, სალოცავის და შესანდობარის დიდს ნაწილს იმას სწირავდნენ, მერე მისი უუწმინდესობისაგან ლოცვა-კურთხევის მისაღებად ბესოს ბარათით რასპუტინის ბინაზე მიდიოდნენ.

მარტო კვაჭი და ბესო იმოდენა ხალხს რომ ვერ მოერიცნენ, ლადო ჩიკინჯილაძე, გაბო ჩხებიშვილი და სედრაკ პავლაბრიანიც მოიხმარეს. შემოსავლის ერთი ნახევარი კვაჭის ხვედრი იყო, მეორე ნახევარს დანარჩენნი ინაწილებდნენ.

წმინდანის დასაცავად კვაჭის მეგობრები რიგ-რიგობით დადიოდნენ და მთავრობის აგენტებს ქიშპობას უწევდნენ. უნდობი და შიშ-ნაჭამი წმინდა მოხუცი იმ დღიდან არხეინად იძინებდა და მადლობის საბაბს ეძებდა, რაც ინხევდრილმა კვაჭიმ ორ კვირაში მიართვა.

აქა კვაჭიმ ახალი და დიდი საქმეები „გააიმასქნა“.

კვაჭისა და რასპუტინის დამეგობრება რამდენიმე დღეში მთელს ქალაქს მოედო. ეს ამბავი ყველაზე აღრე ხელისუფლებმა და საქმის კაცებმა გაიგეს. კვაჭის ბინას „ზღვა ხალხი“ ეზოდან აწყდებოდა, ხოლო რჩეულნი და პატიოსანნი მარმარილოს კიბეზე აღიოდნენ და თავიანთ რიგს ოქროს სკამებზე უცდიდნენ.

ბანკირმა განუსმა კვაჭის ბინას სხეებზე ადრე მიაგნო. ჯერ ბესოსთან იჩურჩულა და მერე კვაჭისთან შევიდა და მოკლედ მოუქრა:

— მე საქმის კაცი გახლავართ და დროს მეტად ვაფასებ. ვიცი, რომ არც თქვენ ბრძანდებით უსაქმო, ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავალ. მე ათიოდე დიდი საქმე მაქვს. ვიცი, რომ თქვენ შეგიძლიანთ დახმარების გაწევა და ამ საქმეების დამთავრება, რის-თვისაც... თავისთავად ცხადია... შრომა უძეველად უნდა დაფასდეს.

მიპყნენ და ორი საათი ჰეომებს და სწონებს მსხვილი და თავ-სატეხი საქმეები. მერე შეთანხმების ხელი მოაწერეს, ხელი ხელს მის-ცეს, ერთმანეთს გაუღიმეს, ქათინაურები უთხრეს და გამარჯვება უსურვეს.

ბესომ მეორე საქმის კაცი შემოიყვანა — თვისი ნაპოენი ვინმე გინცი, მოხუცებული ებრაელი, რომელიც კვაჭის ოთახიდან სამი სა-ათის შემდეგ გავიდა.

მეორე დღეს კვაჭიმ დრო იხელთა და გრიშკას თურქესტანის არხებზე ჩამოუგდო სიტყვა.

— მე რამდენი მერგება? — მიახალა კვაჭის გრიშკამ: — Три ты-
щи будит?

კვაჭის ასეთი იაფობა გაუხარდა.

გრიშკა ტელეფონს ეცა. ჯერ ერთი მინისტრი გამოიწვია, მერე მეორეს დაუძახა და ორივეს უთხრა:

— Мама и папа очинь жилают ефто святое дело. Аполончик будит у тебе, все скажит, а ты сделай, как он прикажит, Да! это хочу я! да.. Чаво?.. на Капказ? Чичас об эфтом диле телиграм напишу папеньке и маменьке.

დაჯდა და ნახევარი საათი ჰეომებულდა და იწურებოდა.

დეპეშა პირველი:

Ливадия. Царям.

Папа мои миленька и мама. Кого послать на Капказ, покою вам нетути. А вот дорогой епископ Тобольской Алексей хоть куда. Ему и место на Капказ. Пошлите его. Это я очинь жилаю. Он мне ласкает. Понимает подвиг. Честь ему нужну оказать, Верный везде верный. И на Капказе он будит нашим другом. Да, я! Григорий! Да!

დეპეშა მეორე:

Миленька! Бесы напали на отца Ивана. Икону на него. А вы не слушайте. Хоща она и базарская, а всеровно святая, как принять и еще боле. А Восторгову награду за Капказ и Сибирь. Враги пусть плачут. Да, я! Григорий Да!



ორივე დეპეშა კვაჭის ჩაბარა გასაგზავნად და დაუმძატა;

— Виши, как капкассских ласкаю. Только Воронцов пакостник, все люционерам, жидам да армяшкам тянет. Да, доби-
русь до ниго. А ты тилиграммы ни показывай, да ни болтай зря. А то мотри у мне!

გრიშვამ კვაჭის თითო დაუქნია და გააფრთხილა. კვაჭიმ ერთ, ხელ კიდევ შეპფიცა ერთგულება, ვოსტორგოვი და ალექსი შეაქმ, ადილა და წიგიდა სუხომლინოვის და კრიკოშეინის სანახავად.

ელენე გრიშკამ არ გამოუშვა, კიდევ უნდა ვუწიმლოო.

მეორე დილით კვაჭი ჯერ ბანკირ განუსსთან წავიდა.

— მზად გახლავთ. აი, წერილიც, ეხლავ მოვრიგდეთ.

მორიგლნენ, დასწერეს და შეთანხმებას ხელი მოაწერეს.

კვაჭიმ ტელეფონს დაავლო ხელი.

— ალლო! ვინ ლაპარაკობს?.. მათი აღმატებულება? თავადი კვაჭანტირაძე გელაპარაკებათ... რა ბრძანეთ?.. არ მიცნობთ?.. როგორ არ მიცნობთ, გუშინ ჩვენი წმინდა მამა ტელეფონით გელაპარაკეთ ჩემზე, მოგავონდათ? წერილიც მაქეს თქვენთან ჩვენი წმინდა მამისაგან... დიალ, დიალ... კეთილი, ეხლავე გიახლებით.

ნახევარი საათის შემდეგ კვაჭი ფინანსთა მინისტრის კაბინეტ-ში როსკის როქმისთან იდგა და გატაცკებით ლაპარაკობდა:

— წინანდელი იმპერია თემურ ლენგისა, დლევანდელი თურქე-სტანი ოდესლაც ჰყვაოდა და ას მილიონ ხალხს ჰკვებავდა. ეხლა იგი უდაბნოა, მას ხუთი მილიონიც ვეღარ გიმოუვებნია. აბა, გა-დაპერდეთ ამ განუზომელს, თვალუ ვდენელ უდაბნოს. ხუთი საფრან-გეთი გამოიკრება. იგი უნდა მოვრწყათ, გადავხნათ, ავაყვაოთ და ჩვენის ხალხით უნდა დავისახლოთ. რა არ მოდის აქ: თამბაქო, ბამ-ბა, ბრინჯი, მშენიერი ხილი, საუცხოვო ღვინო, ქიშმიში და აბრე-შუმი. ეხლა ზოგი ნედლი მასალა ამერიკიდან და სპარსეთიდან მო-გვაქვს, მერე კი ჩვენ თვითონვე გავიტანთ უცხოეთში. დურქესტანი ორას მილიონსაც ადვილად დაიტევს. დავისახლოთ იქაურობა, ავა-ყვავოთ, გავარუსოთ და გავანათლოთ... ორ-სამ წელიწადში ჩვენს სავაჭრო ბალანსს შევასწორებთ... რა იქნება ათის ან ოცის წლის შემდეგ — ამას ვინ მოსთვლის! ეხლა კი ეს ქვეყანა უნდა მოირწყას. ამისთვის საჭიროა ოთხასი მილიონი. ხაზინას იმდენი ფული არა აქვს. ჩვენ გვაქვს ეს ფული, თუნდ ხვალვე შევუდვებით მუშაობას... მრ-ვილაპარაკოთ, შევთანხმდეთ... დიალ, ყველაფერი მზად გახლავთ — მოხსენება, გეგმები, ხარჯთ-აღრიცხვა და ხელშეკრულების პროექტიც-დიდხანს ილაპარაკა კვაჭიმ. თავისი მაღლიანის ენით და გრიშ-

კას ნაბღაჯნით დააჯერა, დაარწმუნა და ღრუბლებში აიტაცა ის ქუჩიანი, დინჯი და თავდაპერილი მინისტრი.

ბოლოს, მინისტრმა უთხრა:

— მომწონს, ძალიან მომწონს. დღეს შევისწავლი მასალას და ზევ დავნიშნავ სხდომას. ამ საქმეში მიწადმოქმედების და სამხედრო მინისტრებს დიდი გავლენა ექნებათ. თუ წინააღმდეგობა არ გამიწიეს...

— არხეინად ბრძანდებოდეთ, არ გაგიწევენ! გააწყვეტინა კვაჭიმ.

— თუ მეფის ნებაც იქნება...

— იქნება, უეჭველად იქნება!

— მაშ საქმე თითქმის გათავებულია. მშვიდობით ბრძანდებოდეთ! მომიკითხეთ ჩვენი წმინდა მამა, ხელზე ემთხვიეთ ჩემს მაგიერ და გადაეცით, რომ მისი სურვილი ჩემთვის კანონია.

— დღესვე ვნახავ და ყველაფერს გადავცემ. მართლა, სხვათა შორის: გუშინ ერთს ოჯახში გახლდით მე და ჩვენი სულიერი მამა. ვიტოტეც იქ იყო. ჩვენს წმინდანს ძალიან გაუარშიყდა, მაგრამ... — თქვენ არხეინად ბრძანდებოდეთ,—მე და ანასტასია პროზოროვისამ შესაფერი ზომები მივიღეთ და თქვენი პოზიცია საბოლოოდ გაეამაგრეთ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

— დიდი მადლობელი, დიდი მადლობელი!.. ნუ დამივიწყებთ, თავადო, ოჯახში მეწვიეთ. დიდს პატივს დამდებთ.

ხელი ორივე ხელით ჩამოართვა და ლიმილით, ბოდიშით და მადლობით კვაჭი კიბემდის ჩააცილა.

აქა წმინდანის ვინაობა.

კვირაძალი იყო. კვაჭი სასულიერო აქადემიის ეკლესიაში წავიდა სალოცავად:

დიდის გულმოდგინებით და სასოებით ილოცა.

წირვა რომ გათავდა, კვაჭის ბერები შემოხვივნენ, რომელნიც მან ტანის სალონში გაიცნო. კარის მოძღვარმა თეოფანემ კვაჭი თავისს საკანში მიიწვია ჩაის დასალევად.

ცარიცინის ბერმონაზონი და სარატოვის ეპისკოპოსიც იქვე იყვნენ.

კვაჭიმ კუთხეში თვალი მოჰქრა ერთს გონჯსა და მახინჯ ბებერს. ხელებ დაჭრილი, თითქმის მუნჯი და ყრუ, კუზიანი, დაგრეხილი და შესაზარი ვინმე იყო.

— ჩვენი წმინდანი, სალოსი მიტია კოლიაბა გახლავთ! — გააცნო კვაჭის ბერმა თეოფანემ.

მიტია ახრიალდა, ალულლულდა, აღმუედა, აქნავდა და თვისი პირსახე, თვალები, მხრები და ფეხები აათამაშა:

— ჩვენია!.. კარგია!. ჩვენია! — ძლიერ გაარჩია კვაჭიმ მიტიას კნავილ-ლმუილში.

ყველას გაუხარდა კვაჭის ქება მიტიას მიერ, რადგან ის გონჯი მათი კარაბადინი იყო.

დასხდნენ და სულის მაცხანებელი ბაასი გააბეს. კვაჭის ერთი სიტყვა არ გამოეპარა. ბევრი ახალი ამბავი გაიგო იმ სალამოს, ბევრი საიდუმლო ოთახში შეიხედა, მრავალს უცნობსა და უცნაურს აჭხადა ფარდა.

მოხერხებულად, სხვათა შორის, გახსნა მან დედა-აზრი წმინდანის დეპეშისა ვოსტორგოვის შესახებ.

ბერმონაზონშა ილიოდორმა უამბო:

— ვოსტორგოვი დიდი ჰარამზადა, დიდი „პატრიოტი“ სალახანა ბერია. ძალიან უყვარს ფული, ჭორი და სისხლი. ეს ყველამ იცის, მაგრამ თითქმის დღითი-დღე მაინც წარჩიტებას და საჩუქრებს აძლევენ. იმას წინად ვოსტორგოვმა უფლისწულს ალექსის ხატი აჩუქა და მოახსენა, ვითომ ის ხატი ყოფილიყოს ვოსტორგოვის სავარაულოსი, მეტად ძვირფასი და ძველი. მერე ექიმმა დუბროვინმა დაამტკიცა, რომ ის ხატი ვოსტორგოვმა წინა დღით იყიდა აპრაქსინის ბაზარზე. ასტყდა ალიაქოთი. ვოსტორგოვმა დუბროვინის თავი ოც ათას მანეთად დააფასა და კინალამ მოაქვლევინა. მას აქეთ ვოსტორგოვი უჯან დასწიეს, ჩვენი წმინდა მამა გრიგოლი რომ არ გამოსარჩეოდა, უეჭველად გაპკრეჭდნენ..

— ტობოლის ეპისკოპოსი რა კაცია?

— ვოსტორგოვს არ ჩამოუვარდება. უარესიც იქნება. მექრთამეა, ქურდია, პსკოვის ეპარქია გასძარცვა. ქურდობა დაუმტკიცდა. უნდა გაეკრიჭათ, მაგრამ იმასაც ჩვენმა წმინდანშა უშველა. ეხლა ტობოლში ზის. ძალი ძალურად უნდა დალჟეს. რად მეკითხებით? ხომ არაფერი გაგიგიათ?

— არა, გუშინ მიამბეს მათი ამბავი. მინდა გავიგო, მართალი მითხრეს თუ ცილი დასწამეს?

— მართალი უთქვამსთ, ბევრიც დაუმალავთ.

— ეს მიტია ვიღა არის? — კიოთხა კვაჭიმ იმ გონჯზე.

— მიტია ნამდვილი ლვთის კაცია, წმინდანია, წინასწარმეტყველია. სანამ ციმბირელი წმინდანი გაჩნდებოდა სასახლეში, მეფე-

დედოფალს მიტია ჰყავდათ მრჩევლად და ღვთის განგების გად-
მომცემად. მერე რასპუტინმა გამოაგდო, მაგრამ... ვნახოთ...

კვაჭიმ უური სცეკვიტა, მაგრამ ალარ დააცალეს.

— ნაპოლეონ აპოლონიჩ! ერთი სათხოვარი მაქს: ნულარსად
შემახვედრებ თქვენს დედიდას, თორემ... მეტის მეტად ლამაზია,
მეტის-მეტად! არ მინდა სიბერეში სული წავიშუმიდო,—გაეხუმრა
კვაჭის ერთი ბებერი არქიეპისკოპოსი.

გაიცინეს და ლამაზი დედაკაცები გაიხსენეს, თვალს წყალი
დაალევინეს, ენა მოიფხანეს, თან მინელებული, მიმქრალი და ნავლ-
წაყრილი ნაპერწყალი გაიქექეს.

მიტია მაგიდას გარშემო უვლიდა, იგრიხებოდა, სწორულუნებ-
და. ჰქნაოდა და ბუტბუტებდა.

იმ სალამოს კვაჭიმ გაიგო, რომ განხრახული იყო წმინდა გრი-
გოლის ტაძრის აშენება და რომ საამისოდ უკვე ოთხ მილიონამდის
შეეგროვებინათ. კვაჭიმ მაშინვე გაიფიქრა:

— მოგება რომ მხოლოდ ათი პროცენტი ვიანგარიშოთ, გამო-
ვა ოთხასი ათასი.

და უმაღ ჰქიოხა თეოფანეს:

— ვინ აშენებს?

— მსურველი ათასია. ვისაც დედოფალი აირჩევს, ის ააშენებს.

ეს ამბავი კვაჭიმ ხელზე დაიხვია, დაიხსომა და გულში მტკი-
ცედ გადასწყვიტა: „მაშ მე ავაშენებ“.

ბოლოს, სიტყვა რუსეთის წმინდანზე რასპუტინზე ჩამოვარდა.

ერთმანეთს ჰქიოხეს: ვინ არის ის წმინდანი? მართლა წმინ-
დანია თუ ეშაკი? უცოდველი მოხუცია თუ ჯოჯოხეთიდან გად-
მოგდებული მაშალა? წინასწარმეტყველია თუ ანტიქრისტე? ვისი
მოციქულია, ვისი წინამორბედია—წმინდა მაცხოვრისა თუ დაწყევ-
ლილ სატანასი?

ყველანი ერთმანეთს ალმაცერად შესცემოდნენ, ერთმანეთს
ერიდებოდნენ და ჰშიშობდნენ.

— მამა გრიგოლი წმინდანია!—ცალის ყბით და გაუბედავად გა-
ნაცხადა ერთმა არქიმანდრიტმა.

— ზოლ! ზოლ! ზოლ!—დაიწყო სალოსმა მიტიამ ჩხავილი, თან
აღელდა, აყვირდა და გაյაპასდა.

თეოფანემ ძლიერ დამშეიდა.

სხვებმა შუბლი შეიქმუხნეს. დიღხანს სდუმდნენ. ბერმოხაზონი
ილიოდორი პშფოთავდა. ჰერმოგენი მას თვალს უშვრებოდა, მაგრამ
ილიოდორმა ველარ გისძლო.

— ცოტა შორიდან მოგახსენებთ! — დაიწყო მან აღელვებულის, კილოთი: — ცოდვილი ვარ, აღსარება უნდა გითხრათ. მეტი მოთმენა აღარ შემიძლიან.

და ხანმოქლე დუშმილის შემდეგ მოჰყვა:

— ჩეენი წმინდანი ციმბირელია. ეს თქვენც გეცოდინებათ. მისი მამა ეფიმე უბრალო მუჟიყი იყო, — ლოთი, ქურდი და ცხენების დალალი. შვილიც მამის გზას გაჰყვა. მისი ნამდვილი გვარი გახლავთ ნოვი. მისმა მეზობლებმა „რასპუტნიკი“ დაარქვეს, რაც პნიშნავს გარყვნილს, გაფუჭებულს, მრუშს, აქედან წამოეიდა მისი ებლანდელი გვარი რასპუტინი. მეზობლებმა ბევრჯერ პნევმიტების და სტუპების მომავალი წმინდანი მათის ცოლებისა და ქალების დევნისოფის. რამდენჯერმე „ისპრავნიკის“ ბრძანებით იგი მოედანზე გაშოლტეს.

ბოლოს, მას მფარველი ანგელოზი შეჰქვდა — ბარნაულის ეხლანდელი ეპისკოპოსი მელეთი.

ერთხელ ჩეენმა წმინდანმა ის ეპისკოპოსი ერთ სოფლიდან მეორეში წაიყვანა. გზაში მელეთიმ აღმოაჩინა, ვითომ გრიშვას დიდი ნიჭი, შნო და უნარი ჰქონდა ბერობისა და სასულიერო მოღვაწეობისა.

გრიშვამაც დაიჯერა.

ერთხელ კალოზე მუშაობდა. უცებ მუშაობას თავი დაანება და სთქვა: „გათავდა! ლმერთი მომიწოდებს. თავი უნდა შევსწირო იმის მადლსა და სახელს. მშვიდობით!“

ყველას და ყველაფერს თავი დაანება, ცოლ-შვილიც უპატრონოდ დასტოვა და წამოვიდა.

მას აქეთ დადის და დაეხეტება მთელს რუსეთში.

გვერდს არ აუხვევდა არც ერთ ექლესიას, არც მონასტერს, არც მღვდელსა და არც ბერს.

— ქალებსაც! ქალებსაც! — დაიხრიალა ღვთის სულელმა.

— ყველგან — სოფლებსა, ქალაქებსა და დაბებში — ჰქადაგებდა, იგავებით ლაპარაკობდა, წმინდა მაცხოვარს და სახარებას პირიდან არ იშორებდა. უფრო მდაბიო, უბრალო ხალს ეტანებოდა, ხოლო განათლებულნი ეხლაც სხულს და ჭირივით ეჯავრება.

მოუსევნარი, ფიცხი, დაუდგრომელი ადამიანია. ტემპერამენტი ძლიერი აქვს; გრძნობა — აფორიაქებული, ცხელი და ფიცხი; გამბედობა — უსაზღვრო; ოცნება — გახურებული და საიმქვეყნო.

ამით და ამიტომ აიყოლა მან და გააბრიუყვა უბრალო და მორწმუნე ხალსი. გრიშვამ ნელ-ნელა მალა მოიპოვა, სახელი მოიხვეჭა და ძლიერი მფარველები გაიჩინა. თანდათან ქადაგებიდან წინასწარ-

მეტყველობაზე გადავიდა, მერე მკითხავობაც დაიწყო და, ბოლოს, სა-სწაულთ-მოქმედებაც დაიჩემა. გრიშვა „ხლისტია“, ნამდვილი „ხლისტია“!

— მართალია! მართალი! — გათუთიყუშდა მიტია.

— შეიღო, ილიოდორ, გაჩუმდი! — საყვედურის კილოთი გა-აფრთხილა ჰერმონგენიმა.

სხვებმა ერთმანეთს გადაჰქედეს.

ბერმონაზონი ილიოდორი ადგა და უფრო აღელლა.

— დიალ, ძმებო და მამანო! გრიშვა ნამდვილი „ხლისტია“ მეთქი! ცოდვილი ვარ ღვთისა და თქვენს წინაშე, რადგან ყველაფე-რი ადრევე ვნახე და გავიგე, ხოლო თქმა და გამხილება დავაგვიანე, რადგან მეც თქვენსავით მეშინოდა. ეხლა კი კარგად გავიცანი მისი წმინდა საქმენი. იგი წმინდანი კი არ არის, არამედ ეშმაკია!

— ეშმაკია! ეშმაკია! — კვლავ აკაჭკაჭებდა სალოსი მიტია.

— ბევრი ვიარეთ ერთად. რამდენჯერმე ჩვენთანაც იყო ცა-რიცინის მონასტერში. მეც ვიყავი იმის სამშობლოში. ღმერთო, რა ვნახე და რა გავიგონე! იმ სატანამ გრიშვამ თვისი წამლობა და სა-სწაულთ-მოქმედება ქვეიდან დაიწყო — მონაზონებიდან და სალოცა-ვად მოხეტიალე დედაკაცებიდან. მერე თანდათან ზევით აიწია. სა-ცა შევიდა, ის ოჯახი ან სალოცავი წაბილწა და წარყვნა; ვისაც თვალი დაადგა და გაეხახუნა — ტალახში და წუმპეში ამოსეარა.

— ჰო! ჰო! ჰო! — აკაქინდა მახინჯი.

— მერე პეტერბურგში ამოცოცდა. მამა თეოფანეს დაუახლოვ-და, სულში ჩაუძერა, შეაცდინა, მეფე-დედოფალთან გზა-გააკვლევი-ნა და კარები გააღებინა.

— ცოდვილი ხარ, ცოდვილი! — აწრიპინდა გონჯი და თავჩა-ღუნულ თეოფანეს კრიჭაში ჩაუდგა: — მოინანე, მოინანე!

— ცოდვილი ვარ... ვნანობ, ძალიან ვნანობ. უფალო, შემიწყალე და მომიტევე მე შეცოდებანი ჩემნი! — ჩაიბუტბუტა თეოფანემ პირ-ჯვრის წერვით.

— იოანე ქრისტიანდელმაც დაიახლოვა, იმანაც ამ პირუტყვის მურდალ სულში ღვთის მოციქული აღმოაჩინა და ჩვენი ეკლესიისა და სახელმწიფოს საქესკენ გზა დაულოცა. ასე შევიდა ეს მხეცი ჩვე-ნი ბედის მესაჭეთა წრეში, რომელიც იმის მოსელიმდესაც სავსე იყო მასონებით და სპირიტებით. იგი ეხლაც განაგებს ჩვენს მართლ-მადიდებელ ეკლესიას; ნამდვილად კი ეს ხალხი მამა-ღმერთის მა-გიერ ეშმაკს ემსახურება, ღვთისმსახურების ნაცვლად სპირიტიშმით

ირთობს თავს და ნაცვლად ეკლესიისა ოკულტიზმის და თეურგიის ჯადოში ექცებს იმედს და ცხონებას.

აი, ასეთ დროს გაჩნდა სასახლეში ეშმაკის მოციქული. მან სულ ადვილად დაიმონა და დაიმორჩილა ჩვენი მეფე, დედოფალი და მათი ოჯახობა. მათ მოსწყინდათ და მოპებეზრდათ კარის კაცთა ლაქუცი, ქლესობა, ორპირობა და ორგულობა; ამიტომ მოიწონეს გრიშკას პირდაპირობა, უბრალოება, რევენობა, და სიბრიუვე. მას აქეთ იშლება და ინგრევა მეფის სახლი და ოჯახიც, ეკლესიაც და სახელმწიფოც. საქმე იქამდის მივიდა, რომ გაიყვნილი გრიშკა რუსეთის ნამდევილ პატრიარქად და ნამდევილ თეითპეტრობელად მოვკევლინა. აი, ვინ არის ეს რასპუტინი! ნამდვილი ეშმაკი, მოციქული სატანასი და მსახური ჯოჯოხეთისა!

ღვთის სულელი მიტეა ისევ აპრიალდა, და აბოდდა. კვაჭიმ ძლივს გაარჩა იმის ლულლული:

— გრიშკა იკვეხის, ვითომ დედოფალი იმის ცოლია... „ჩემს ბებრუხუნას“ ეძახის... ზოლ! ზოლ! ზოლ!

— ქმარა, ძმებო, ამდენი მოთმინება! ამას იქით გაჩუმება ეშმაკის სამსახური იქნება. თუ ეკლესიას და რუსის ხალხს ვემსახურებით, დადგა დრო ჩვენის წმინდა მოვალეობის შესრულებისა. მეღლეიდან ვუცხადებ გრიშკას საბოლოო ომს. ვასაც შევიძლიანთ, — მომყევით. ეს ბრძოლა იქნება ქრისტიანული და სახალხო, ომი მწვალებლების, მასონების, ურიებისა და მათი მონა-მორჩილი მთავრობის წინააღმდეგ. ყველანი შეერთდნენ და სამარეს უთხრიან ჩვენს ეკლესიას, მეფესა და სამშობლოს.

კიდევ დიდხანს შფოთავდნენ და ჰეჯანყობდნენ ბერმონაზონი ილიოდორი, მიტია და ზოგნი მღვდელ-მთავარნი.

ბოლოს, გადასწყვიტეს რასპუტინისთვის ფრთხილად დაეგოთ ხაფანგი.

კვაჭიმ გასავონი გაიგო, ასაქრეფი აკრიფა, ჩაილაგა და წიმოვიდა, თან ჩიქორთულად და ნართაულად გააგებინა იმ შეთქმულებს, ვითომ კვაჭის სულიც და გულიც მათთან იყო.

გზაში ბევრი იფიქრა და ექცება დედააზრი, კვანძი, სული და მიზეზთ-მიზეზი „რასპუტინიიდისა“ და ამ ხეპრე მუჟიკის საარაკო ძლევამოსილებისა, მაგრამ ვერაფერს მიუხვდა, გული ვერ მიახვედრა, სული ვერ მიუწვდინა, გრძნობითაც ვერ იგრძნო და ჭკუითაც ვერ მოერია. ამიტომ გადასწყვიტა;

— ჲა, მაი ყოლითერი ტყვილი ლაჟარაჟია. უბრალო ბრძოლაა ლუკმა პურისთვის და კეთილი ცხოვრებისთვის. გრიშკამ მიტია კო-

ლიაბას აჯობა, ვირუბოვის ქალმა ლოხტინის ქვრივი დასჩრდილა, ვოსტორგოვმა ვინცხას უჯიკავა, ალექსიმ თეოფანეს ეგზარხოსის სავარდელი წაართვა, მაკარიმ ვინცხას მიტროპოლიტის მიტრა გამოსტაცა, ილიოდორესაც კვახტი უყვეს, მორჩა და გათავდა! აქანეა ყოლიფერი ფილოსოფიაც და სიტყვების რახა-რუხიც, მორჩა და გათავდა!

აქა ამბავი წმინდანის დაშინებისა და სხვათა დაბეჭდებისა.

წმინდა გრიგოლის გაცნობის პირველივე დღიდან კვაჭიმ ერთი ხერხი დაიჩემა: ხანგამოშვებით რასპუტინს ვინმე მავალს აჩვენებდა და ეტყოდა:

— ეს კაცი ოქვენ თვალყურს გადევნებს, წმინდა მამაო.

წმინდა მამაც დაფეთდებოდა და კვაჭის უარესად დაეჭიდებოდა და ზედ მიეკვრებოდა, ხოლო კვაჭი მას ამშეიდებდა და გულს უმაგრებდა:

— ნუ შესწუხდებით, მამაო წმინდავ, ჩემს დაგეშილ მეძებრებს არაფერი გამოეპარებათ. მხოლოდ უუმორჩილესად და მოწიწებით გთხოვთ, რომ თქვენის ნებით არსად წაბრძანდეთ და არავის გაჰყვეთ.

წმინდანიც კვაჭის ნებას მისდევდა და იმის დაუკითხავად არც ვინმეს მიიღებდა, არც სადმე წაპყვებოდა. კვაჭისაც სწორედ ეს უნდოდა, წმინდა გრიგოლს ივერიის ხატიით მთელს რუსეთში დაასვენებდნენ, რასაც შესაფერი შემოსავალი და გამორჩენა მოსდევდა, რომელიც კვაჭის ხელში იყრიდა თავს. თუ გრიგოლი მამაცინდას ან ურჩიბას გამოიჩნდა, ჭიპუნტირაძე იმის ბინას ისე აუვლ-ჩაუვლიდა და დაათვალიერებდა, თითქოს წმინდანს უოვალთვალებსო, ხოლო კვაჭი წმინდა მამას სარკმელთან მიიყვანდა, ჭიპუნტირაძეს დაანახვებდა და ეტყოდა:

— იი, ეს კაცი ოქვენ გადევნებს თვალ-ყურს, მაგრამ ნუ შეშინდებით, წმინდაო მამავ! საქმე ისე მაქვს მოწყობილი, რომ ამ ბინაში ბუზიც ვერ შემოფრინდება. ოლონდ დღეს ნურსად წაბრძანდებით.

ის წმინდანიც კვაჭის ბავშვივით ემორჩილებოდა და იმის კარნახით სცხოვრობდა.

კვაჭიმ რომ მცირე შეთქმულება გაიგო, მეორე დღესვე წმინდა გრიგოლს ჩისჩურჩულა:

— ძვირფასო მასწავლებელო! წმინდანო მამაო! ერთგულების ფიცი მაქვს დადებული, ამიტომ უნდა გაგაფრთხილო: ილიოდორი, თეოფანე, პერმოგენი და მრავალნი სხვანი გმტრობენ, შენი და-ლუპვა უნდათ.

და თეოფანეს საკანში ნახული და გაგონილი წმინდანს უამბო, თან მცირეოდენიც დაუმატა.

გრიგოლი აიმღვრა, ადულდა, აფეთქდა და აჭექდა.

— А, стервы! а, подлые! а, окаянные! а, гадина, Иллиодорушка! Я те дам! я-а те дам!

ველარ დამშვიდდა:

— ეგ გველები ხალხში მე გამოვიყვანე. მეფის კარზედაც მე მივიყვანე, რამდენი საჩუქრები მივაცემინე! ორჯერ ჰქონდათ გადა-წყვეტილი უდაბურ მონასტერში გადასახლება, ორჯერვე მე გადავარ-ჩინე! ჰოი, უმაღურნო! ჰოი, ქვემდრომნო! მაგათი გულისათვის სტო-ლიპინიც მოვიმდურე, ხალხიც გადავიკიდე!..

მერე დაჯდა და გაიწურა:

Царское село. Царю и царине.

Миленьки папа и мама! Вот миленькие владыки как беса то поразили. Бунтовчиков помазанека Божьяго нокаали. Оно и правильно. Теперече нужно их паласкатъ. Награду им. Только не сразу всем, а так одному, а онесля другому, а то собаки Гермоген и Илиодорка лаять будут. Да, нужно! Это пишу я, Григорий. Да! За подвиг надо ласкть. Да!

კვაჭი მიშვდა, რომ გრიშკას უნდოდა სინოდის მორჩილი წევ-რების დასაჩუქრება და განდგომილთა, ურჩთა დასჯა.

— ეს „ტილიგრამი“ ეხლავე გაგზავნე. ეს ერთია, სხვა ათასი იქნება. ყველას უდაბნოში დავალპობ! ისე დავამშო, რომ ძალის ხორციც კი ენატრებოდეთ! ა ты, Апалончик, мотри в оба! იარე იმათთან, ლაპარაკში ჩაითრიე, ყველაფერი გაიგე... რა სთქვი? ტა-ძარი უნდა ააშენო? ა пять тыши будит? კარგი, ხვალვე გავა-თვებ მაგ საქმესაც. მოემზადე, ხეალ მეფე-დედოფალს გაჩვენებ... აპოლონჩიკ, იფიქრებდი ოდესმე ასეთს ბედნიერებას? არა, განა! დაიხსომე და დამაფასე. შენც ილიოდორივით უმაღური არ გამოდგე, თორემ... мотри у меня!

კვაჭი მოწიწებით ხელზე ემთხვია გრიშკას, მერე მოხველები შემოუშვა.

დაიწყო ჩვეულებრივი ლაქუცი, ხვევნა-კოცნა, ფეხქვეშ ჩავარ-დნა, ქება და დიდება, ლოცვა და ცრემლი, კივილი და ქადაგად

დავარდნა, შემოწირულება და... მყურნალობა ლამაზთა ქალთა, გან-
ძევება ეშმაკთა და სულთა სნეულთა.

კვაჭი სახლში დაბრუნდა.

— ბესო, რა ამბავია?

— მშეიღობა. დღეს ორასი კაცი იყო ბილეთების ასაღებად.

— კიდო? განუსი ინ გინცი ხომ არ იყვნენ?

— გინცმა ტელეფონით დაგირეკა. როცა დაბრუნდეს, დამი-
რეკოს.

— სხვა?

— ის პაწაწინა საქმე გავაიმასქენით. ბევრი აფერი დარჩა.

— კიდო რა ამბავია?

— ჩვენი რეპორტიორი ქნულმანი ვერ ასწრობს გაზეთებიდან
ცნობების ამოლებას, აქციების და კუპონების მოჭრას.

— ერთი ლამაზი ქალი დეიქირავე. მართლა, წამჟითხველიც
მინდა. აგიც ლამაზი იყოს, თვარა თუ მისი შეხედვა შემეზარა... კიდო?

— ადესაში რომე ყორანაშვილი იყო, ხომ გახსოვს? რაცხა
წიგნი დოუწერია, გამოცემას თხოულობს.

— გოუგზავნე ათასი, ოლონდ წიგნს ჩემი გვარიც წააწეროს.

— თხის სტუდენტი სტიპენდიას თხოვილობს.

— დოუნიშნე თითოს სამასი.

— გელათის შესაკეთებლად თხოვილობენ...

— გოუგზავნე ათასი...

— „რუსჯორ დელო“ რაცხას ილანძლება, რაცხას გვემდურება.
აი, აქინე სწერია.

— არ მცალია ვინცხა უულიკის ნაჩხაბნის წასაკითხად. იპოვე
მაი წერილის ავტორი და სამასი ან ხუთასი ჩასჩარე პირში. თუ გა-
ჯიკავდა, უთხარი, რომე ციმბირი აქეთ დაგრჩება თქვა.

— „დილაში“ შენი სურათი დოუხატავთ და დიდი ქებაც
დოუწერიათ.

კვაჭიმ ის წერილი წაიკითხა. პირსახე აუთამაშდა და გული
აუფანცქალდა, თუმცა უკანასკნელ დროს თვისი სახელის ასეთს ქე-
ბას, განდიდებას და გაბერვას უნდა შესჩერებულ ქნულმანის თაოსნობით.

იმ წერილში უხვად იყო გაბნეული გულის მალამით და მოსაფ-
ხანი სიტყვები: „ამომავალი მზე“... „გენიოსი ფინანსისტი“... „დაუ-
შრეტელი ენერგია“ და „გულუხვი, განათლებული მეცენატი, მფარ-
ვილი და მეგობარი ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერებისა“.

— გაზეთს რაცხა განცხადება და ათასი მანეთი გოუგზავნე. ავტორს... რას იწერება?.. ჰმ, განათლებიზა პარიზში უნდა წავიდეო, გზის ფული მინდაო? იაუად დოუთასებია კალამი. სამასი. კიდო რა გაქვს, ბესო?

— ტფილისიდან იწერებიან, ამხანაგობა უნდა დავაარსოთ ქართული გაზეთის და წიგნების გამოსაცემადო, ამიტომ...

— აჲ! აჲ! — გააწყვეტინა კვაჭიმ და რამდენჯერმე ხელი ჩაიქნია: — გადააგდე კალათში. მოუკლიათ მკვდრებიზა!

— მამა შენი სილიბისტრო იწერება, აქინე ცხოვრება მომ-წყინდაო, მუდმივ შიშში ვარო, ხალხში ვერ გავსულვარო...

კვაჭი წამოხტა, შუბლი შეიკრა.

— რა ვქნა, ბესო, რა ვქნა? მაშინ რომე მცოდნოდა... მაგრამ გვიანლაა აწი ლაპარაკი. რა ვქნა აწი? ერთი ორად დოვუბრუნებ „სალამანდრას“ იმ ფულს. მარა აი მკვდარი სილიბისტრო რავა ვა-ჩვენო ხალხს?

— ხალხმა რაცხა იცის, რაცხას ლაპარიკობენ.

— ვიცი, რომე ლაპარიკობენ, მარა რავა დავანახო გაცოცხლე-ბული მკვდარი? გეიცინებენ, თელი ქვეყანა დამცინებს.

ჩაფიქრდა კვაჭი, ლრმად ჩაფიქრდა. ბოლოს, გადასჭრა:

— ჲა, მაგი რავა შეიძლება! ქუთაისში დაბრუნება შეუძლებე-ლია, აი მისწერე: თუ უნდათ, — თითქმის არავინ იცნობს აქინე, — მე-ვიდნენ და იცხოვრონ, მარა სილიბისტრო მაინც მკვდარი უნდა იყოს, ისევ შაბურიანცის პასპორტით უნდა იცხოვროს. რაცა ამოვლენ, ყოლითერ დარიგებას მივცემ. შენ, ბესო, ხვალვე უშოვე ბინა მიყ-რუებულ უბანში. ხუთი ოთახი ეყოფათ. შეიარე „სალამანდრაში“ და გეიჩინე იქინე ვინცხა აგენტი, რომე დროზე შემატებილს, თუ იქი-ნე გეიგეს რამე. აფერი საქმე დეიშუონ... არ მეშინიან, მაშითვე დო-ვუბრუნებ იმ ფულს სარგებლით და გავაჩუმებ, მარა მაინც წინათვე რომე შეეციცობდე, უმჯობესია. ასთე ქენი. აწი მაცალე ცოტა ხანს.

თექის ხალიჩით გადაკრულ საერთაშორისო მიწვა, გონება დაიმ-შვიდა, აზრები მოიკრიფა, ტვინი აამუშავა და აათამაშა.

ჯერ ერთი ძაფი გაჭიმა, მერე მეორე, მეთე და მესამე. მალე გაიშალა და გაითურჩქნა რამდენიმე ხალი კომბინაციის ბადე.

— განუსისგან ზეგ ერთ მილიონს მივიღებ... ბირეაზე გაეიტან, „ანგლოროსის“ აქციებს გავყიდი... ამავე დროს ჩუმ-ჩუმად ისევ მე ვიყიდი... საკონტროლო პაკეტს შევიცხებ... „კოსმოსს“ რაცხას მო-ვუგონებ, გაზეთს ავალაპარაკებ, აქციებს ავწევ, გავბერავ, გავყიდი... გრიშკასაც დავიხმარებ, „იქ“ გავასაღებ... ტანიასაც უნდა მივაჩერო

ასი ათასისა მაინც... გინციც დამეხმარება, განუსიც, მენდელსონიც... ონკალის ანგარიშებს მომიმატებენ, მერე თავშიშვივახლი იმაქციებს... კვევასის გზა არ იქნება გამოსყიდული, ტანიამ ნამდვილად იცის. აქციები ფასდაცემულია გზის გამოსყიდვის შიშით... ხვალვე ვიყიდი ასიოდეს...

კიდევ მრავალი კომბინაცია მოიფიქრა და მოისაზრა, მოქმედების გეგმა შეიმუშავა და ყველაფერი თავის ალაგზე დაალაგა.

— ალლო! ვინ ლაპარაკობს? გინცი? ვახლავართ აბრამ მოისეევიჩს. ბრძანეთ... რაო?.., შეუძლებელია!.. მაშ ასი აქცია მაინც დამიტოვეთ, სამაგიეროდ კარგ საქმეს მოგცემთ... კეთილი... კარგი. რაო?.. დაუჯერებელია! ჰა-ჰა-ჰა! გამოაგდო?.. კიბეზე დააგორა?.. ჰა-ჰა!.. რაო? თავზე გადაასხაო? ჰა-ჰა-ჰა-ჰა! ხვალ? არკადიაში? კეთილი, გიახლებით... ელენეც?... როდის დაბერდებით, როდის დამშვიდებით?!?, კარგი, კარგი, მოგიყვანთ. სამაგიეროდ კლავას დამითმობთ, არა? კეთილი... აბრამ მოისეევიჩ, ეკლესიებს არ აშენებთ?.. რაო, უკვე ოციც ააშენეთ!.. ებრაელი ეკლესიებს აშენებს! ჰა-ჰა! რაომ? ხატების ქარხანასაც აშენებთ? ხატებით უნდა ივაჭროთ? ჰა-ჰა-ჰა! ბარემ მირონიც დაამზადეთ, სასულიერო აკადემიაც გახსენით, ფულს მოიგებთ... რა ვქნათ, ასეთი ყოფილა წესი და კანონი ვაჭრობისა... ჰო, ძალიან დიდი ტაძარი უნდა ავაშენოთ. გარდა ამისა, ჯარისთვის საჭიროა ორი მილიონი წყვილი საცვალი, ერთი მილიონი საბანი და ათასი სხვა რამე... სულ ოც მილიონზე მეტი გამოვა... კეთილი, ხვალ მოვილაპარაკოთ. მომიკითხეთ ძეირფასი სუსანნა მარკოვნა, ხელზე ემთხვეეთ ჩემ მაგიერ. ღამე მშვიდობისა, ძვირფასო მეგობარო!

იმავ ხანებში ქულმანისა და ბესოს მეოხებით გინცის და განუსის და უურნალ-გაზეთებში და სხვაგანაც კვაჭის გაბერვას ასე მოუხშირეს და მოუმატეს, რომ კვაჭიმ თვითონაც დაიჯერა თვისი ფინანსიური გენიალობა.

ერთმა მასწავლებელმა ბუხპალტერის სახელმძღვანელო დაბეჭდა და ნაშრომს წააბეჭდა: „ამ შრომას ავტორი უძღვნის უუდიდეს ფინანსისტს და გულუხვ მეცენატს თავეადს ნ. ა. კვაჭანტირაძეს“. ამ მცირე წარწერის მეოხებით იმ მასწავლებელმა მეორე წიგნიც გამოსცა, ხოლო კვაჭიმ ერთხელ კიდევ მოითხანა ხარბი გული და ცუდმედიდობა.

ერთ უურნალში დაბეჭდილი იყო ნახევარ-ადლიანი კვაჭის სურათი წარწერით: „ჩვენი მორგანი“,



მეორეში ეწერა: „უკანასკნელ ხანებში საბირჟო წრეებში დიდი ალიაქთი ასტყდა „გინცი და კვაჭანტირაძის“ აქციების უმაგალითო გაძირების გამო. ნომინალური ას მანეთიანი აქცია გუშინ ხუთასად იყიდებოდა.

მესამეში დაწვრილებით იყო აწერილი თურქესტანის კონცესია, ხოლო წერილი ასე თავდებოდა: „ამ კონცესიის საქმეს მოერევა და გაუძლვება მხოლოდ კვაჭანტირაძის მტკიცე ხელი. ჩვენ გულწრფელად ვუსურვებთ მას გამარჯვებას“.

ასეთ წერილების დაბეჭდვა კვაჭის ძეირად უჯდებოდა, მაგრამ რაც მან ერთ დღეში მოიგო მცირე საბირჟო ცნობის დაბეჭდვის მეოხებით, კვაჭი იმ ფულით მთელ გაზეთსაც იყიდიდა.

უკანასკნელ ხანებში კვაჭი ნანობდა, რომ დღე და ღამე ას საათს არ შეიცავდა. იმდენ საქმეს მოჰკიდა ხელი, იმდენად იხევოდა და იფხრიწებოდა სილიბისტროს შვილი, რომ ერთხელ ელენემ ხუმრობით უთხრა:

— შენ სულ გამოფიტულხარ. კვირაში ერთხელ გაგონდები, ისიც... წმინდა გრიგოლი რომ არ გეხმარებოდეს... თავს დაგანებებდი.

— კაი, ნუ სულელობ! — შეუტია კვაჭიმ და ასეთი იმედი მისცა: — რამდენიმე საქმეს მალე გავათავებ და შენთვისაც მოვიცლი. მაცალე ცოტა.

ნავარევ სირბილისგან, ფეთიან მუშაობისგან და უძილობისგან კვაჭი მართლა გახდა და გამოიფიტა. თვალებში წინანდელი ცეცხლი ალარ ჰქონდა და მისი სისხლის შადრევენიც უწინდელივით მაღლა აღარ სცემდა. დაჭიმულ ძაფებს მართლაც ვერ მიუშებდა და მოადუნებდა, სანამ სამითებე დიდ საქმეს არ გაიმასქნებდა. დღეში რამდენიმე საათი წმინდა მასწავლებელისთვის უნდა მოენდომა, მერე თავისს ბინაზე მსხვილფეხა სტუმრები უნდა მიეღო, მერე ბირჟაზე უნდა გაერბინა, განუსი და გინციც უნდა ენახა, ზოგჯერ მათს ოჯახშიც უნდა შეერბინა და მათი ცოლებიც ენუგეშებინა, კვირაში ორჯერ მაინც ტანიას წინაშე და-მტური ვალი უნდა მოეხადნა, არც ელენე უნდა დაევიწყნა და კიდევ ათასი წვრილმანი ბრძანება უნდა გაეცა.

მაგრამ კვაჭი არ იდრიკებოდა და თავგამშევ ცხენივით დაოთხებული მიჰქონდა თავისს საბედო ვარსკვლავისკენ, რომელიც თავისს რჩეულს შორიდან უციმიმებდა, ულიმოდა და თითს უქნევდა.

აქა ამბავი წმინდანის გადარჩენისა სიკვდილისგან.

საბედო ვარსკვლავისკენ ამ ქროლვა-ჭენებაში კვაჭი უხილავ კედელს წააწყდა. თურქესტანის კონცესია ჭაობში ჩაწვა, წმინდა

გრიგოლის ტაძრის საქმე არქივში დაობდა, ჯარის მომარავება ვიღაცამ მოიტაცა და სხვა საქმეებიც გაიყინნენ და დაუანგდნენ.

უურნალ-გაზეთებში კვაჭის სურათები და ქება-დიდება აღარ იძეპდებოდა.

განუსმა კვაჭის სუსაიანი საყვედური უთხრა, ხოლო მისმა ლაშამია ცოლმა თავი ისე მოიავადმყოფა და ისე გამედიდურდა, რომ კვაჭი თავისს საწოლ ოთხშიც არ შეუშეა.

გინცი იღრინებოდა, ბირჟა ხელიდან მისდიოდა, ტანიამ განზე გაიწია დი ელენეც კი აიმრიზა.

კვაჭი ჩაფიქრდა, ძალიან ჩაფიქრდა. ტვინის ნერვები დაიჭიმა, გაიჭინთა და ერთი მტკრედი კომბინაცია ჰქონდა და წამოხტა:

— კაი, აწი მე ვიცი. ბესო! მოდი აქ! ჩქარა მოდი, ჩქარა!

ბესო გვერდით მოისეა და სულ ოციოდე სიტყვა ჩასჩურჩულა.

— კაი... მესმის... ეხლავე მივდივარ. მაგისთანა კაცი მყავს.

ჭავიდა და ერთს ნასტუნდენტარ ბოგანოს ჰკითხა:

— გშიან? გწუურიან?

ის ბოგანი უკვე კარგად იყო გაეღენთილი, მაგრამ მაინც დაიფიცა:

— სამი დღეა არაფერი დამილევია. მუცლის ჭიამ მეტის მეტად შემაწუხა.

— წმო, გავაჩუმოთ.

ერთს სამიკიტნოში შევიდნენ და დალიეს. ბოგანო რომ კარგად გაიელინთა და ყბედობითაც დაილალა, ბესომ ჰკითხა:

— გინდა ასიანი გაიკრა?

— ლმერთო დიდებულო! ასიანის გულისთვის ეხლავე ნევაში გადავვარდები.

— უფრო ადვილი საქმეა. შეგიძლიან ერთხელ ან ორჯერ ჰაერში რევოლვერი გაისროლო?

— რევოლვერს კი არა, თუნდ ზარბაზანსაც დავაჭექებ.

— კეთილი და პატიოსანი. ხეალ, შეიდ საათზე აქ დამიხვდი. აი, ოცი მანეთი. დანარჩენი მერე იყოს. მომყე.

— საით?

— მომყე მეთქი, დანარჩენს მერე გაიგებ.

ის ბოგანო კვაჭის ბინაზე მიიყვანა და უთხრა:

— აი, სუფთა საცვალი და ტანისამოსი. აი, ვანნაც, ჯერ იბანავე, მერე საცვალი გამოიცვალე და კარგად გამოიძინე.. დანარჩენს მერე გეტყი. ჯალილ! აქ მოდი. ამ კაცს კარგად მოუარე. ეხლავე აბანავე და დააძინე.

მერე კვაჭთან შევიდა, და უთხრა:

— მე მზადა ვარ.

კვაჭიმ ტელეფონს დაავლო ხელი:

— წმინდაო მამაო, ლოხტინის ქვრივი ერთი თვე გეხვეწებათ.

წყალობა მოილეთ და ინახულეთ... დიალ, დღეს საღამოს... რაო? ხიფათი? არავითარი ხიფათი. ეხლავე მზვერავებს გავეგზავნი... კეთილი, ერთი საათის შემდეგ გიახლებით.

კვაჭიმ და ბესომ ცოტაოდენი კიდევ იჩურჩულეს და წავიდნენ.

კარგად რომ დაღამდა, წმინდა გრიგოლი და კვაჭი ლოხტინის ქვრივის ბინიდან გამოვიდნენ და ეტლში ჩასხდნენ.

— სავიდეთ? — ჰეითხა კვაჭის ჯალილამ, რომელიც მეეტლეს გვერდით ეჯდა.

— წადით.

მალე იმ ეტლმა ერთ ბნელსა და მიყრუებულ ქუჩაში შეუხვია. სიბნელეში ორი ლანდი გამოჩნდა. იმავ წუთს ორჯერ ზედი-ზედ დაიკექა. კვაჭიმ უმალ ეტლიდან ისკუპა.

— შესდექი! გაჩერდი! შესდექი, თორემ გესვრი! — ყვირის კვაჭა და იმ ორ ლანდს მისდევს.

ერთი ლანდი უმალ შესდგა. იმავ წუთს კვაჭიმ იმ ლანდს სამჯერ ზედი-ზედ რევოლვერი დაახალა, და როცა იგი მიწაზე გაიშორია, ერთიც საფეროტქელში დააყოლა.

გაშტიკინებული კვაჭი ისევ ეტლში ახტა და მიაძახა:

— გასწი!

ერთი საათის შემდეგ უთვალავი წარჩინებული და დიდებული რასპუტინს გადარჩენას ულოცავდნენ, ხოლო კვაჭის უუდიდესს და უუღრმესს მაღლობას უძღვნიდნენ. პოლიციის მოურავი მოვიდა, იმ უცნობის პასპორტი მოიტანა და სთქვა:

— ვიცით, ვინც არის ის ჰარამზადა. განთქმული ტერორისტია. ძლივს არ მოვიშორეთ თავიდან!

როდესაც დაფეხობული და მიბნედილი გრიგოლი საბოლოოდ გამოფხიზლდა, დათვივით კვაჭის გადაეხვია, ატირდა და ალუდლუდდა:

— ჩემი სიცოცხლე შენი ნაჩუქარია. არ ვიცი, როგორ უნდა გადაგიხადო მაღლობა... მთხოვე, რაც გინდა.

კვაჭიმ დრო იხელთა და სათხოვნელი სთხოვა.

— უეჭველად... უეჭველად! — ბურტყუნებდა წმინდანი: — ზეგავიდეთ „პაპასთან და მამასთან“... ყირიმიდან დაბრუნებაც მივულოცოთ და საქმეც გავაკეთოთ. მოდი, მოდი, ერთხელ კიდევ ჩაგიხუტო, ჩემო აპოლონჩიკ... ჩემო ერთგულო ძმაო და მეგობარო...

იმ დღიდან კვაჭი კვაჭანტირაძესთვის ყველა ზემოურთა ყველა კარებები გაიხსნა და გაიღო.

საღამოზე კვაჭის ტელეფონი დაიღალა ხრიალით და წერუნით. თითქმის მთელს პეტერბურგს გაევო, რომ მეორე დღეს კვაჭი უშალლეს საფეხურზე უნდა ასულიყო და უუწენაესს მწვერვალის-თვის უნდა მიეღწია.

იმ საღამოს კვაჭისთან სადარბაზოდ რამდენიმე ახალი ბანკირი, მინისტრი, სენატორი, მღვდელ-მთავარი და გენერალი მივიდა. ოთახები და კბე გაივსო და აქტელდა ასნაირ მუნდირით, ანაფორებით, ცილინდრებით, კარტუზებით, შაპოებითა და უბრალო თავსახვევებით.

ზოგნი ულოცავდნენ, ზოგნი სათხოვარს აბარებდნენ, ზოგნი მადლობას უძლვნიდნენ და ზოგნიც რჩევას და დარიგებას აძლევდნენ.

მდივნები დაიღალნენ და ოფლში გაიწურნენ იმოდენა ხალხის ჩაწერვით, გამოკითხვითა და ფულის თვლით. კვაჭი ძლივს და იდგა ფეხზე.

— ვაა, სურფ-სარქისას დღეობაა, თუ თელეთობაა?! — ჰკვი-რობდა ჰავლაბრიანი.

— მოუსვი, სედრაკ, სანამ დრო გაქვს! — ურჩია ჩხუბიშვილმა, რომელსაც მორჩილის შავი ტანისამოსი ძალიან უხდებოდა.

— არავინ გეიპაროს, წინ წასწიო მაი ყულაბი. რამდენჯერ გაივსო? — იკითხა ჩიკინჯილაძემ.

— მეოთხე ივება. დღეს ძალიან ბევრია ოქრო და ქალალდის ფული. ზოგნი ბეჭდებს ჰყრიან, ზოგნი საყურეებს, ზოგნი ძეწკეებს.

ბოლოს, როგორც იყო, დალიეს და დასცალეს ოთახებიც და კიბეც.

— აბა, დასთვალეთ!

დალლილი კვაჭი ტელეფონს აწვალებდა:

— ალლო! ელენე, შენ ხარ?.. შენც გეიგე? მანდ არის გრიშკა?.. როგორ, ფრეილინობას გპირდება? აპა, აშენებულხარ!.. კი, რა თქმა უნდა, მეც ჩივურთავ ორიოდე სიტყვას. რას მოესწარი!.. კაი, გენაცვალოს ჩემი თავი, ქე გიცნობ, ვინცხა ბრძანდები... ჰა, ჰა! კვაჭანტირაძის ნააზნოურალი არა ხარ? ქე გიცნობ... აზნოური მეც ქე ვარ, მარა... რაო? კაი, გენაცვა, თავს ნუ იგდებ! შენ თვითონ ხარ აშორდიას აზნოური, თვარა კვაჭანტირაძე ბაგრატ მეფის სარდალი იყო!.. ჰა-ჰა-ჰა! აპა, არ გცოდნია ისტორია და ეგ არის! აპა, დეისომეგ ჩემი სიტყვა: ხეალ თუ თავადიშვილობა არ გავაიმასქნა, კვაჭი ნულარ ვიქნები... კაი, გენაცვა, კაი... აპა მშვიდობით! აწი გრიშკა ეშმაქების

განძევებაშია გართული?! იწამლე, იწამლე! კაი ექიმი გყავს, უკეთესი ალარ გინდა... ჰა-ჰა-ჰა! მშვიდობით, ჩემო მტრედო, ჩემო ლამაზო მევობარო! მშვიდობით! ნახვამდის! ხვალამდის!

აქა ამბავი უუზენაესს საფეხურზე ახტომისა.

გაკრიალებული მატარებელი ცარსკოე სელოს სადგურს შხულით, ოხვრით და ქშენით მიადგა. ბაქანი და მოედანი ასნაირ მუნდირით აჭრელდნენ.

გრიშკა და კვაჭი ძლივს ასწრებლნენ სალამის მიცემას. იარაღში ჩამჯდარი ჯალილა თვალებს აცეცებს და ბურტყუნებს:

— ვაპ-ვაპ-ვაპ! ყოლანი თუ ფადიშახთან სავიდნენ, სხენები არ ეყოპათ.

ოქროს ლერბიანი ორმოციოდე ლანდო და ავტომობილი გაივსო მინისტრებით, სენატორებით და კარის კაცებით.

გრიშკამ ავტომობილს მიაფურთხა:

— Фу! бесовская штука! Чортов кузов! В жисть не сяду туда. Эй, ты, попугайчик, давай суда хфайтон!

ჩასხდნენ, ბალიშებზე მიწვნენ და თქარა-თქურით გასწიეს სასახლისკენ. განიერ მარმარილოს კიბესთან და შესავალში კარის ხალხი ირევა: ჰულანები, ჰუსარები, კავალერიარდები, კამერ-იუნკრები, კამერ-პაეები, კამერპერები, ჰოფმარშალი, შტალმეისტერი და ასნაირი უცნობ და ნაცნობ თანამდებობისა და ხარისხის მოხელე.

კარის კომენდანტი გენერალი ვოიეკოვი ჩუმს ბრძანებას ისმენს კარის მინისტრისგან და ჩუმადვე მარჯვნივ და მარცხნივ შესაფერ განკარგულებას აძლევს.

გრიშკა და კვაჭი სასახლეში შევიდნენ.

კვაჭიმ იმ უზარმაზარ დარბაზს გადაჭედა.

თვალთ აუჭრელდა და გონება დაუბნელდა.

ალარ იცოდა, რა გაესინჯა, საიდან დაეწყო, რას დაპერიებოდა: ბროლს, ბრინჯაოს, მარმარილოს, ოქროს, ვერცხლს, აბრეშუმს, გობელენს, სურათს თუ ქანდაკებას.

ოქრო-ნაკერ მუნდირებში გამოწევილი დიდებულნი ძეგლებივით იდგნენ და იმ ძეგლებს ათ ნაირი და ათეური სარტყლები და თვალ-მარგალიტით შემოსილი ჯვრები, მედალები და ვარსკვლავები ეკიდათ.

გრიშკას დანახვაზე იმ ძეგლების თავები დაბლა დაიხრებოდნენ, მათს პირსახეზე ღიმილი და მოწიწება იბეჭდებოდა, მერე ისევ

ხმებოდნენ და იყინებოდნენ. შემოდგომის მზეში იგი დარბაზი, ალსავსე ესოდენის თვალმომქრელ ძვირფასეულობით, ლაპლაპებდა და იწოდა.

ყველას თავისი ადგილი აქვს მიჩნილი, მაგრამ ყველანი მაინც სცდილობენ ერთის ნაბიჯით მაინც წინ წადგნენ, ერთის გოჯით მაინც წინ წასწიონ თავიანთი ცხვირი, რათა თავიანთი თავიც უკეთ დაანახონ და თვითონაც სხვები კარგად გასინჯონ.

— Што, Аполончик, небось, дравится? глаза лупаешь? Ничаво, дяржись за мне, вывезу! — ютხრა გრიშკამ დაფეთებულ და დარცვენილ კვაჭის.

ერთი კარები გაიღო.

— მეფე-დედოფალი მობრძანდებიან!

გვარდიის დარაჯებმა ხმლები წინ წასწიეს, მხედრებმა ხელი საფეოქელზე მიიღეს, სხვებმა თავები დახარეს; ყველანი მოიღოკნენ და მოიკავენენ.

კარებში მეფე-დედოფალი და მემკვიდრე გამოჩნდნენ. შუაში მეფე მოდიოდა, მარტხნივ დედოფალი მოსდევდა, მარჯვნივ ხუთი თუ ექვსი წლის უფლისწული ალექსი მოჰყავდათ, რომელსაც უკან მისი აღმზრდელი მეზღვაური დერევენკო მოსდევდა.

ყველანი უბრალოდ და მარტივად იყვნენ ჩაცმულნი, რამაც კვაჭი ფრიად გააკვირეა და გააშტერა.

სამივენი მარცხნივ და მარჯვნივ თავს უკრავდნენ, თან ოდნავ იღიმებოდნენ.

უცებ გაუგებარი და უცნაური რამ მოხდა: აქეთ-იქიდან გამოხტენენ, გამოცივდნენ და გამოგორდნენ სალოსნი და ღვთის სულელნი, — მახინჯნი, გონჯნი და მანქიანნი; პრანჭვით და გრეხვით, წივილით და კივილით, ბოდვით და როშვით მიმავალ მეფე-დედოფალს უკან გამოედევნენ.

გრიშკამ წაიჩურჩულა:

— А, юродивые, блаженные черти! Опережать хотят? Нет, шалишь! Аполончик, при за мной! Да ни зивай! Чево рот то разинул?!

და მავე წუთს მოსხლტა, თან კვაჭიც დაითრია.

მეფე-დედოფალი მობრუნდნენ და, თანახმად ძველ რუსულ წესისა, იმ მასხრებსა და მახინჯებს, იმ უენო, უხელო და უფეხო ღვთის-კაცებს და ღვთის სულელებს უულრმესი სალამი მისცეს; მერე ყველას გაულიმეს, თავზე ხელი გადაუსვეს და მოუალერსეს.

ირგვლივ ძეგლები იღიმებოდნენ და თვალებით ამ სურათს ადასტურებდნენ, გულში კი ზოგნი ბრაზს იგუბებდნენ იმის გამო, რომ მეფის კარები ჯერ მასხარა ლეთის-კაცებისთვის გაიღო, ხოლო შემდეგ — მათთვის, — მინისტრებისა და სხვათა დიდებულთათვის.

ცერემონიებისტურმა თვისი საქმე კარგად იცოდა: მეფე-დედოფალი რომ გაბრუნდნენ, მან სალოსნი და გონჯნი ღიმილით და ალერსით შეაჩერა, ხოლო გრიშკას და კვაჭის მოწიწებით სალამი მისცა და კარები გაულო.

გრიშკამ კვაჭის ხელი წაავლო და იმ ოთახში შეიყვანა, რომელშიაც მეფე-დედოფალი მიიმაღნებ.

— წმინდაო მამაო!

— Моя миленька! Мама!. Папа!. Алеша!.,

ჩაეხვიგნებ, ჩაეხლართნებ და დიდხანს ტყულაშა-ტყულუშით ჰკოცნეს ერთმანეთი.

— Вот, миленькаи — то, возрадовали мне и Боя! Как ездили то? А мама здорова, Алеша тоже. А ты, Николаша, маненько тово! Дай Боя! Дай то Боя! А я вот маво хранителя и спасителя князя Аполончика привез показать. Хаарош, о-о-о, как харош! А как молится то круто, как молится то прытко! Его надоти ласкать, миленькаи, так хочу я! Да, я! Да!

მერე მემკვიდრეს მიუბრუნდა;

— Алеша, подь до мйня!

და პატარა ბატონიშვილი მუხლებზე დაისვა, ჩაჰკოცნა და ჩაულიტინა, გაიცინა და გააცინა.

მეფე-დედოფალმა კვაჭის ხელი გაუწოდეს და წმინდა გრიგოლის გადარჩენისთვის მხურვალე მადლობა გადაუხადეს. კვაჭი ორივეს მოწიწებით ხელზე ემთხვია. ნიკოლოზი ისე იღიმებოდა, თითქოს როდაცას მორცხვობდა და რაღაც ეხამუშებოდა.

— თავადო, თქვენი გვარი?

კვაჭიმ ერთ წუთში თამამობა მოიკრიფა:

— კვაჭანტირაძე გახლავართ, დიდო ხელმწიფევ!

— რა ამბავია კავკასიაში?

— დიდი რღვევა და არეულობა გახლდათ. ჩვენშიაც გაჩნდნენ ურიები და ეშმაკის მოციქულები, მაგრამ ჩვენ, შენი ერთგული მონები და ყმები, არ შევუშინდით: შევებით, ვაჯობეთ და ვხოცეთ, ხოლო გადარჩენილნი ისეთ ჯურლმულებში ჩავყარეთ, რომ ეშმაკებიც ვეღარ იპოვნიან.

და კვაჭიმ მეფე-დედოფალსაც აუწერა თვისი საქმენი საგმირონი; თუ როგორ ესროლეს მას ყუმბარა, როგორ დაუშინეს სეტ-ყვასავით ტყვია და როგორ განიზრახეს მისი მოწამლვა, მაგრამ კვაჭი,— მადლობა ღმერთს! დიდება უფალსა!— განგებამ ყოველგვარ ხიფათს გადაარჩინა, რადგან უფალს აღბათ ჰსურს კიდევ გამოსცადოს კვაჭის ერთგულება ტახტისა და რუსეთისადმი.

— აკი გუშინ ერთხელ კიდევ გამოგცადათ უფალმა?!

— დიალ, დიდებულო მეფევ, მაგრამ მე მზად გახლავართ, თუნდ ყოველ დღე, დაგიმტკიცოთ ჩემი უაღრესი ერთგულება და თავეგანწირვა.

— მადლობელი, თავადო, დიდი მადლობელი. თქვენს სამსახურს არ დავივიწყებ. ეხლა მიბრძანეთ, თქვენის აზრით, კავკასია დამშეიდა?

— საკებით არა, მაგრამ... შიში ალარა გვაქვს. ნუ შედრება შენი გული, დიდო ხელმწიფევ! მრავალნი ვართ წმინდა რუსეთში შენი და ლვის ერთგულნი, მაგრად დაეყრდნე ჩვენს ძლიერს ზურგს. გამძლე და ძლიერია იგი. ვივლით და ბუმბულივით გატარებთ.

დალვრემილმა, დალეულმა და ჩამომდნარმა მეფემ კვაჭი გულში ჩაიკრა, ორიოდე ცრემლიც გადმოაგდო, თან თავისი შემკრთალისა და დაშინებული გულის გამაგრებისთვის ქვლავ მადლობას ეუბნებოდა:

— მადლობელი, თავადო, მადლობელი!.. კარგად მოუარეთ ჩენენს წმინდა მამას; გაუფრთხილდით, მტერი ბევრი გვყავს.

— აკი გითხარი, ნიკოლაშა, ალერსის ლირისა მეთქი!— ჩაერია გრიშკა:— დაუბრუნე აპოლონჩიქს თავადობა, ნიკოლაშა. აპოლონჩიქს შენ, ეს არის ეხლა, თავადი უწოდე. მეფის სიტყვა კანონია, უკან ვეღარ წაიღებ!

ნიკოლოზი გაწითლდა და აირია.

კვაჭიმ დაამშეიდა:

— დიდო მეფევ! თავადობა კვაჭანტირაძეებმა მეშვიდე საუკუნეში შეიღეს. მერვე საუკუნეში ჩემი წინაპარი საქართველოს ჯარების მთავარსარდალი იყო. მას აქეთ საქართველოს მეფეებს თოთხმეტი კვაჭანტირაძე კუავდათ ვეზირებად, მინისტრებად და კათალიკოსებად. მეთვრამეტე საუკუნეში ოსმალებმა აიკლეს, დაანგრიეს და დასწვეს ჩენი ციხე და სასახლე... საბუთებიც მაშინ დაკვრეცეთ... ჩენი თავადობა მთელმა კავკასიამ იცის. ამიტომ, ჩემი მამა-პაპები აღარ გაჰყვნენ საბუთებს. აზნაურობა შეგვრჩა, მეც მეტი არ მიძებნია.

— კარგი, კეთილი... ეგრე იყოს! — წაიბუტბუტა მეფემ და რა-
ლაც ჩაიწერა.

— აშორდია, გაფასდი! — წამოიძახა გულში კვაჭიმ.

მერე დაიწყეს ბაასი სახელმწიფო საქმეების შესახებ.

მეფეც და დედოფალიც ისე შესცეკროდნენ თვალებში იმ წმინ-
დანს, როგორც ოდესაც ებრაელნი მოსეს, ოდეს მან სინაის მთაზე
თავისს ხალხს გამოუცხადა ღვთის მიერ ნაკარნახევი ათი მცნება.

რაც მოისურვა და სთქვა გრიშკამ, ყველაფერი გაიტანა და
გაიყვანა.

ერთგან მეფემ მორცხვად და მორიდებით ჩაურთო:

— გული ერთს მეუბნება, გონება — მეორეს.

უცებ გრიშკამ მუშტი ასწია და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა,
მაგიდას დაჰკრა. მთელი ოთახი შეინძრა და აზანზარდა.

გაფითრებული დედოფალი წამოდგა, მემკვიდრემ ტირილი და-
იწყო, მეფე შეკრთა და შეშინდა.

გრიშკამ მეფეს თვალში თვალი გაუყარა, დიდხანს უცქირა,
მერე სუსხიანად ჰკითხა:

— Ну, შთോ? გде екнуло, здеся али туто? — და თითი ჯერ
მკერდზე და მერე შუბლზე დაიდო.

— აქ... აქ ამიტოკდა... გული ამიკანკალდა! — მთრთოლვარე
შმით უპასუხა ნიკოლოზმა და თითი გულზე დაიდო.

— თო-თო-ჯე! როცა საქმეზე ჰტიქრობ, ჰკუას არ დაუჯერო,
გულს ჰკითხე. ჰკუას გული სჯობია.

დედოფალი გრიშკას ხელს დაეწატა:

— მადლობელი... მადლობელი, წმინდაო მასწავლებელო!

— კეთილი... კარგი... ეგრე მოვიქცევი! — დაეთანხმა მეფეც.

დერევენკომ ატირებული უფლისწული ძლიეს დაამშვიდა.

კიდევ დიდხანს ჰხოვეს, ჰსწონეს და ჰსჭრეს უუდიდესი და
უურთულესი სახელმწიფო საქმენი.

ზოგნი დიდებულნი გადააყენეს, ზოგნი ქვეით დასწიეს, ზოგნი
ზევით ასწიეს.

ბოლოს, გრიშკამ მეფეს აუდიენცია გაუთავა:

— Ну, თaperыча гайда отселева, Аполончик! Папа, а ты
не плошаї! Чаво пригорюнился то! Дай Боже! Сиди крепко, а
жидам и бесам волю не давай. Да дави окаянных покрепче!
Аш штоб чертям тошно было!.. Тото! Ну, здорово! А тебе,
мамаша, апосля ишо скажу два слова. Я туточко буду, у цა-
риц наших.

მეფე-დედოფალი კვაჭის ფრიადის ალერსით გამოეთხოვნენ, გრიშკას უუძვირფასესი თავი მას ჩაბარეს და კვლავისთვისაც დაიპატიჟეს: — „попросту, на стакан чаю и для божественных бесед“.

გრიშკა და კვაჭი გამოვიდნენ. იმავ წუთს მეფე-დედოფალთან გონჯნი და მასხარები, სალოსნი და ლეთის სულელნი ჟივილ-ზივილით, წქმუტუნით და სიცილით შეცვივდნენ.

გრიშკამ კვაჭის მიუგდო:

— Туточки подожди, я чичас!

და იორლით გაირბინა ის დარბაზი.

კვაჭის მაშინვე შემოეხვივნენ ნაცნობ-უცნობი მინისტრები, სენატორები, კარის-კაცნი და დიდებულნი.

მიულოცეს და ამბავი გამოპკითხეს.

კვაჭი მიპხედა, რომ მან იმ უამ მეტად მაღლა აიწია. ამიტომ შესაფერი ცვლილება მოახდინა თავისს კილოსა და გარეგნობაში: გასწორდა, გაიბლინდა და იმ დიდებულებს დაუდევარის კილოთი ასეთი ინტერვიუ მისცა:

— ბედნიერი ვარ ალვნიშნო, რომ ჩვენი უუძვირფასესი მეფე, დედოფალი და მემკვიდრეც ყირიმში ყოფნის დროს შესამჩნევად გამოკეთებულან. ყველანი მშენეირ გუნდაზე ბრძანდებიან... მოსალოდნელი ცელილებანი? საიმისო არაფერია... ალბათ გაძლიერდება დევნა ურიებისა და სხვათა უწმინდურთა, რომელთაც უკანასკნელ ხანებში ოდნავ თავი წამოჰყეს რუსეთის ზოგ კუთხეში... ომი? ოსმალეთთან ომი ჯერ-ჯერობით სასურველი არ არის, რადგან ჩვენი ძალლონე მაღლ უდიდესს საქმეზე დაგვჭირდება... ვისთან? მაგას ჯერ ვერ მოგახსენებთ... მალე გაიგებთ... სათათბიროც ცოტა უკან უნდა დავწიოთ... მინისტრებს და დიდებულებსაც ოდნავ გაცემრილავთ.

მრავალს აუტოკდა გული ამ სიტყვების გამო — ზოგს შიშით, ზოგსაც იძელით.

იმ დღეს კვაჭიმ დაასრულა რუსეთის ზემო სართულის გაცნობა და ავიდა იმ საფეხურზე, სადაც ჯერ არც ერთ ქართველს არ შეედგა ფეხი.

ასე პფიქრობდა თვითონ კვაჭი და გრიშკას მოლოდინში უხვად უბნევდა წყალობას და სიკეთეს დიდებულთ და წარჩინებულთ, რომელნიც კვაჭის ელოლიავებოდნენ და კუდად დასდევდნენ იმ განჩრახვით, რომ იგი როგორმე მოეშინაურებინათ და მეგობრად გამოეყენათ იმ რთულ და სახითაო თამაშში, რომელიც განუწყვეტილივ სწარმოებდა კარის გარშემო გამარჯვების, ხელისუფლების, წარმატებისა და კეთილ ცხოვრებისათვის.

კვაჭიმ ეს ძირითადი დებულება ცხოვრებისა ჯერ კიდევ მაშინ შეიგნო და შეითვისა, როცა სამტრედიაში უნიფერსი დარბოდა. ამიტომ იმ უუზენაეს დარბაზშიც წინ მიიღლოლებდა ამ მცნებას, თავის ბუნებრივ ალლოს, დაგეშილ ყნოსვას და ყოველნაირ ხერხით სცდილობდა, რომ ყველასთვის ესიამოვნებინა, არავინ მოემდურა და მტერი არ გაეჩინა, თუმცა, ამავე დროს, ისიც კარგად იცოდა, რომ იმისმა გამოჩენამ სასახლეში და დიდმა წარმატებამ მრავალნი დასწია უკან და აღავსო შურით და მტრობით.

წარჩინებულთა და დიდებულთა წრე შემოარცვია კარის მინისტრმა,— ახოვნება, ლამაზმა მოხუცმა ბარონმა ფრედერიქსმა და შაქრის ენით მოახსენა კვაჭის:

— თავადო! დღეს მათმა იმპერატორობითმა უუდიდებულესობამან—მეფემ და დედოფალმა, წყალობა მოიღეს და გთხოვეს დღეს საღილად ეწვიოთ.

კვაჭი ორად მოიხარა:

— ჩემი უუზენეშევრდომილესი მადლობა და უუზენაესი ბედნიერება უსაზღვროა და ენით გამოუთქმელი.

იგი უსაზღვრო პატივი და უუზენაესი ბედნიერება ესოდენ დიდებულთა და წარჩინებულთაგან იმ დღეს მხოლოდ კვაჭიმ და რასპუტინმა მიიღეს და განიცადეს.

ეს იყო უუზენაესი საფეხური კვაჭის ოცნების კიბისა, რომელსაც მან მიაღწია იმ დღეს.

აქა ამბავი ტახტისა და რუსეთის ხსნისა რღვევისგან.

ისტორია ყოველთვის სტუის.

მაგრამ ერთი აღილო მღვდელსაც შესცდებაო.

ასე დაემართა ჭორიკანა ისტორიასაც, რომელმაც შეცდომით სიმარტლე წამოჰროშა და ოქროს ასოებით მიუჩინა და მოუქდონა თავისს ნაბოდვარში კვაჭი კვაჭანტირაძეს მისი ადგილი და წილი იმ უუდიდესს, საშვილისშეილო და სამარადო საქმეში, რომელიც ჩაიდინეს იმ დაუვიწყარ დღეს სასახლეში გრიშკამ და კვაჭიმ.

ეს საქვეყნო და საუკუნო საქმე, რომელმაც უკულმა დაატრიალა ქვეყნის და რუსეთის ბედის ჩარხი, ოქროს ასოებით არის ჩაწერილი რუსეთის ასტორიაში, და კვაჭის საქვეყნო სამსახურიც შესაფერად არის აღნიშნული და დაფასებული, მაგრამ იმ საქმეში კვაჭი მოხსენებულია ფსევდონიმით, ერთი ასოთი—K-ით, რადგან კვაჭი,

როგორც ათასჯერ იყო დამტკიცებული, მეტად მორიდებული და მორცხვი ყმაშვილი ბრძანდებოდა და ყოველთვის ერიდებოდა რეკლამას და აფიშობას. თუმცა ახლაც კანტი-კუნტად მოიძებნებიან კვაჭის მოშურნენი, რომელნიც ამტკიცებენ, ვითომ ის „K.“ კვაჭანტირაძე კი არ ყოფილიყო, არამედ დიდი მთავარი პოეტი კონსტანტინე, მაგრამ,—მადლობა უფალსა!—ცნობილმა ისტორიკოსმა სპლეტნიკოვმა ეს ვერსია საბოლოოდ უარცყო, გამოიყენება და კვაჭანტირაძეს ლირსეული ალაგი მიუჩინა ქვემოაღნიშნულ საქვეყნო ამბავში.

იმ ისტორიულ საღილს, გარდა მეფე-დედოფლის, მათი მემკვიდრისა და ოთხის სეფეწულისა, დაესწრნენ მხოლოდ გრიშკა, კვაჭი, კარის ქალი ვიტუბოვისა და სახლთუბუცესი ბარონი ფრედერიკისი.

საღილის შემდეგ, როცა უწილოვანნი სუფრიდან ადგნენ, როცა სასულიერო ბაასი და სულის საცხონებელი მუსაიფი გათავდა, დედოფალმა ღელვით და თრთოლვით ბრძანა:

— წმინდაო მამაო! შენ ყოველთვის ჩვენი ერთგული მეგობარი და საიმედო მრჩეველი იყავი... ყოველი შენი ნათქვამი წინასწარმეტყველებად გადაიქცა, ყველაფერი გამართლდა: იაპონიის ომის წაგება, რევოლუციის დამარცხება, მემკვიდრის დაბადება და მრავალი სხვა ამბავი. ამიტომ უშენოდ, შენც კარგად იცი, ვერ ვგედავთ ვერათრის გადაჭრას.

— ძალიან კარგადაც იქცევით!—მიარტყა გრიშკამ.

— საქმის გადადება ყოველად შეუძლებელია... ყირიმში რომ იყავი, წმინდაო მამაო, ნიკა მაშინვე უნდოდა ეთქვა ჩვენი დარღი, მაგრამ მე გადავადებინე. ეხლა დადგა დრო უუდიდესი საიდუმლოების გამედავნებისა; ოლონდ უნდა იცოდეთ და გახსოვდეთ, რომ ეს საიდუმლოება ექვსთა შორის უნდა დაიმარხოს. თუ ეს ამბავი ნაადრევად გამელავნდა, სახელმწიფოს უუდიდესი ხიდათი მოელის.

კვაჭიმ ნიშნად ფიცის დადებისა თითო ასწია.

— ნუ სწუხდებით, თავიდო!—მიუბრუნდა მას დედოფალი:— ფიცი საჭირო არ არის. ყოველად შეუძლებელია, რომ ჩვენი წმიდანის რჩეული მეგობარი ყბედი გამოდგეს. ეხლა საქმეზე გადავალ... თქვენც გეცოდინებათ, რომ ხუთიოდე წლის წინათ, როცა რუსეთი მეტის მეტად აირია და აინგრა, ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა ტახტიდან ჩამოსვლა და უცხოეთში გაიზინა. მაშინ ჩვენი თავი და რუსეთიც იხსნა და გადარჩინა ჩვენმა წმინდა მოძღვარმა, რომელმაც დაგვაჯერა და ტახტზე თითქმის ძალით დაგვტოვა.

— მერე, არ გამართლდა ჩემი წინასწარმეტყველება? — იკითხა გრიშკამ.

— გამართლდა, წმიდაო მამაო, სავსებით გამართლდა. ამიტომ ვლოცულობთ შენს სახელს და ამიტომ ვფიქრობთ შენს სიცოცხლე-შივე წმინდა გრიგოლის სახელობაზე ეკლესიის აშენებას. მაგრამ საქმე ის არის, რომ ნიკამ ტახტიდან ჩამოსულის აზრი აქამდის არ მოიშორა.

— რაო?.. როგორ?.. — ერთხმად წამოიძახეს გრიშკამ და კვაჭიმ.

— ეხლაც სულ ამაზე ჰყიქრობს. დაიყინა და იიხირა: ჩვენ რუსეთში კეთილად ვერ ვიცხოვრებთო, უუდიდესი ხითათი მოველისო, ყველანი დავილუპებითო, რუსეთი თავზე დაგვენგრევაო... მარტო მე ვერაფერს ვავხდი, ვერ დავაჯერე. მიშველეთ რამე, მამაო წმინდავ! თქვენც, თავადო! გვირჩიეთ, ღვთის ნება შეგვატყობინეთ, მამაო! ჩვენო მხსნელო, ჩვენო წმინდანო, გვიშველეთ! გვირჩიეთ! გვიშველეთ!

და დეფონტალი ატირდა, აქვითინდა.

ნიკოლოზს თავი ხალებში ჰქონდა ჩამალული.

გრიშკაც ჩაფიქრდა. ყველანი დიდხანს სდუმდნენ და ვრიგოლს უცდიდნენ. ბოლოს, შებლ-შეჭმუხვნილი წმინდანი წამოდგა და სთქვა:

— უფლისა მიმართ ვილოცოთ!

ყველანი ადგნენ და ხატის წინ სალოცავად დაიჩოქეს.

დიდხანს ილოცეს მეტანიით, სასოებით და გულმოდგინედ.

მერე ისევ წამოდგნენ და კვლავ ვრიგოლს მიაჩერდნენ.

გრიშკა წინ დაუდგა ნიკოლოზს და სუშიანად ჰქითხა:

— ლოცვის დროს ღმერთმა რა ჩაგავონა, რა პასუხი მოგცა?

თავ-ჩალუნული მეფე სდუმდა. მერე თავი გაიქნია და ჩაიჩურჩულა:

— პასუხი არ მალირსა.

— იმიტომ არ გალირსა, რომ ცოდვილი, ულირსი ხარ. მოინანე ცოდვები შენი, განიშინდე გული შენი ბოროტისაგან და მაშინ ღმერთი უფალიც სიბრძნის კარს გავიღებს.

დიდხანს აძლიეს რჩევა და დარიგება გარინდულს და იმედ-გა-დაწყვეტილ მეფეს. აშინებდნენ და აფრთხილებდნენ, რომ ტახტი-დან გადადგომას მოჰყვება საშინელი არეულობა, ანარქია, სახელ-მწიფოს რღვევა, ომი, ცეცხლი და სისხლი; რომ ღმერთი ამის პასუხს მხოლოდ მას, მეფეს, მოსთხოვს, რომ მეფობას სხვა ვერავინ გასწევს და ტახტზე ვერავინ გამაგრდება.

კვაჭიმაც მოიკრიფა მთელი თავისი კუთხა და მცემების მიზანება. მაგრამ ერთაფერს მიაღწიეს: დალვრემილი მეფე თავ-ჩაქინდრული იჯდა და ხმას არ იღებდა, მხოლოდ ნიშნად უარისა გამუდმებით დალლილ თავს იქნევდა.

გრიშკა უცებ გაფიცხდა და გამწარდა. უცნაურის ციებ-ცხელებით აკანკალდა. ხელები და ტუჩები აუთროლოდა, პირსახე გაუფითრდა, ცხვირი გაუთხელდა და თვალები უცნაურის, ლურჯის ცეცხლით აენთო. აცეცხლებული გრიგოლი მეფეს ზედ მივარდა და სტუქსავდა, უყვიროდა, თან ფეხებს უბარტყუნებდა და ხელებს ცხვირ წინ უქნევდა:

— რომ?! აღარც ხალხს უჯერებ და აღარც უფალსა?!. დაივიწყე განა, რომ უფლის ურჩი უნდა ეკლესიისგან შეჩვენებულ და განდევნილ იქმნეს! „ანახთემა! ანახთემა“ იმ მეფეს, რომელმაც დაივიწყე უფალიც, სამწყსოც, ეკლესიაც და თავისი ვალიც!

მუქარისა და ანათემას გაგონებაზე მეფე წამოდგა, აცახცახდა, შეშინდა და დაფეხოდა.

გრიშკამ ჭრებას და მუქარას უფრო მოუმატა:

— ვინ მოგცა ნება რუსეთის დანგრევისა?!. როგორ ჰქონდავ ამდენ ხალხის დალუპასა?!. გესმის თუ არა, რომ შენ ეშმაკებს და ურიებს უთმობ ტახტს?! მაშ შენც ეშმაკები გაგჩენიან გულში! მაშ შენც ჯოჯოხეთის მოციქული ჰყოფილხარ! შენ მეფე კი არა, ანტიქრისტე ხარ! ანტიქრისტე! ანტიქრისტე!

— უფალო შეგვიწყალე! უფალო შეგვიწყალე! — დაიკვნესა მეფემ და მთროლვარე ხელით ფართედ გადიწერა პირჯვარი.

— Я тибе говорю, цыт! Я, Григорий, тибе говорю, цыт! — ჰყენიროდა გაშმაგებული გრიშკა. — დაიჩოქე! დაიჩოქე და შეავედრე უფალსა ცოდვანნი შენნი! ილოცე უფალი, ილოცე, რათა გულიდან შენითან განდევნოს სულნი ავნი და ეშმაკნი ჯოჯოხეთისანნი!

და ხატის წინაშე პირჯვე გამოხვეულ მეფეს თავს დაადგა და პირჯვრის წერვით ხმამალლა ევეზრებოდა უფალსა:

— წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდაო, შეგვიწყალენ ჩვენ!.. სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ამინ!

კვლავ დიდხანს იდგნენ ექვსივენი ხატის წინაშე, დიდხანს ილოცეს ხმამალლა მხურვალე ლოცვით, მეტანით, ცრემლითა და ოხვით.

ბოლოს, გრიშკა წარმოდა და სთქვა:

— აღსდეგ, მეფევ! აღსდეგ და გვითხარი, რა ჩაგავონა, რა გირჩია უფალმა?

მიბნედილ-მისუსტებული მეფე უცებ მუხლებში ჩაუვარდა რას-პუტინს. მეფის გვერდით წაიჩიქეს დედოფალმა და კარის ქალმა ვირუბოვისამ და სამივენი დაწაუნენ წმინდანის ფეხებს, კალთებს და ხელებს; ხარბად უკოცნილენ, უხვად ულბობდნენ ცრემლით და ხელ-აპყრობილნი ცახცახითა და კანკალით ჰბოდავდნენ და ჰყი-როდნენ:

— წმინდაო მამაო!.. შენ ხარ ჩვენი მაცხოვარი!.. შენ ხარ ჩვე-ნი ქრისტე!.. შენ ხარ ჩვენი მხსნელი და უფალი!.. სათნო გვიყავ და შეგვიწყალენ ჩვენ, მამაო წმინდავ!

გაფიტრებული რასპუტინი გაშეშებულივით იდგა. თავი უკან ჰქონდა გადაგდებული; გაყინულ და გაკაშაშებულ თვალებით ხატს მისჩერებოდა; მთელის ტანით სცაბუახებდა და ჰკანკალებდა. მარ-ცხენა ხელი მეფეს დაადო თავზე, მარჯვენა ხელით ფართედ იწერ-და პირჯვარს და მთრთოლვარე ტუჩებით სჩურჩულებდა:

— გმადლობ შენ, უფალო, რამეთუ იხსენ წმინდა რუსეთი, შე-ნი მეფე, მისი ოჯახი და მართლმადიდებელი ეკლესია რღვევისა და ჯოჯოხეთისაგან... უფალო, შეგვიწყალე!, უფალო, შეგვინდე!, ალლი-ლუია, ალლილუია, ალლილუია! ამინ!

მერე დედოფალმა გრიშკას ხატის წინაშე ფიცი მისცა:

— ვფიცავ უფალსა ღმერთსა, წმიდა სერაფიმე საროველს, ჩემს შვილებსა და ქმარს, რომ არ დაგტოვებ არასოდეს, არასოდეს, თუნდ მთელი ქვეყანაც რომ აგიმხედრდეს. სიკვდილამდე და იმ ქვეყ-ნადაც შენთან ვიქნები. გეფაცები ერთგულებას და მორჩილებას.

ნელ-ნელა დაიმშვიდეს და დაიწყარეს ლოცვით აღშეოთებუ-ლი სულები და აფორიაქებული გულები.

ბოლოს, გრიშკამ მიბნედილი მეფე წამოიყნა:

— იღები, მეფეე! აღექი და იმეფე რუსეთისა სადიდებლად, წმინდა ეკლესიისა გასახარებლად, ხალხისა სანუგეშოდ და ჩვენი მტრების დასათრუნად... და გაიხარონ ცასა შინა ანგელოზებმა და ქვეყანასა ზედა ყოველმა მართლმადიდებელმა... განვეღ ჩვენგან, ეშმაკო! განვეღ, ეშმაკო!.. განვეღ, ეშმაკო!!

და ცრემლმორეული ნიკოლოზი გულში ჩაიხუტა.

— ამინ!.. ამინ! განვეღ, ეშმაკო! განვეღ! განვეღ! — და გამხნე-ვებულნი და იმედმიცემულნი მაინც შიშით და თრთოლვით ბუტ-ბუტებდნენ სხვებიც.

მერე რიგ-რიგობით სიხარულის ცრემლით ჩაიხუტეს და ჩა-ჰყოცნეს თავიანთი, ეკლესიისა და მთელი რუსეთის მხსნელი, წმინდა-ნი და მაცხოვარი გრიგოლ რასპუტინი.

აქა კვაჭის დაჯილდოვება, ერთი დედაკაცის ბოდაში და ორიოდე სხვა ამბავი.

— ნახე? დარწმუნდი? — ეკითხებოდა მეფის ვაგონში გრიშკა გაოცებულ კვაჭის.

— საკვირველ არიან საქმენი შენი, დიდო მასწავლებელო და სასწაულთ-მოქმედო! ვნახე, გავიგე და დაკრწმუნდი.

— ერთხელ კიდევ ვისენი უუდიდეს ხიფათისგან რუსეთი, ეპლესია და შეფე.

— უუდიდესი ძეგლის ღირსი ხარ, დიდო მასწავლებელო, მხსნელო ჩვენის ქვეყნისა! ხვალვე შევუდგები წმინდა ვრიგოლის ტაძარის აშენებას.

— ეგ საქმეც ხომ გაგიკეთე. ოთხ მილიონს დედოფალმა ერთი მილიონი კიდევ დაუმატა დღევანდელი დღის აღსანი შნავად. ეხლა შენ იცი, რა დიდებულს ეკლესის ააშენებდ. ხუთ მილიონად დიდი ტაძარი აშენდება, არა?

— ისეთ ტაძარს დაგიდგავ, რომ აია-სოფიოც დასჩრდილოს და რომის პეტრეს ტაძარიც. ღვთის შეწევნით მოვერევი ამ საშვილის-შვილო საქმეს. სამაგისო ცოდნაც მაქვს და გამოცდილებაც.

— თავადობაც ხომ დაგიმტკიცე! არხების „კონცილიაც“ ხომ მოგეცით „ტურქატანში“! ჯარისათვის ოცი მილიონის საცვლის დამზადებაც ხომ შენ მიიღე! ფლიგელ-აღიუტანტის მუნდირიც ხომ გაიკარო!

— უკვდავნი არიან საქმენი შენი, წმინდაო მამაო!

— შენხევ ათი ათასი.

— ხვალვე მოგართმევთ, წმინდაო მამაო.

— ეღლენც ხომ ჩავწერეთ კარის ქალად! ფრეილინა გავხადეთ, სტატს-დამა და კავალერი მეფის ორდენთა, მაშ! არ კი გაიბლინდოს, სიკეთე არ დაივიწყოს, თორემ...

— არა, წმინდაო მამაო, არა! ელენე მაგისთანა ქილი არ არის.

— სინოდიც შევცვალეთ, ურჩი გავყარეთ; ძალი ილიოდო-რი და კერპი ჰერმოგენიც უდაბნოში გადავიყვანეთ, ახალი მინისტრები დავნიშნეთ, ჩვენი მომხრე ლვდელ-მთავარნი დავასაჩუქრეთ. გიხარიდეთ, მართლმადიდებელნო! სთროვდეთ და ძრწოდეთ, ურიებო და ეშმაკნო! ვნაი ნაშვი ბრата!

უცებ ლამაზ ქალს მოჰკრა თვალი. მოსხლტა და გამოუდგა. სუთი წუთის შემდეგ კვაჭიც გაპყვა. შორიდანვე ხმაურობა მოესმა.

ერთ კლებს კარებში გააღთრიბული გრიშა ყვიროდა:

— Ты чаво кобенишься то, стерва?! Мეფე-დედოფალი ხელ-ზე მეოცნიან, შენ კი იპრანქები და იგრიხები?! რაო? არ მიცნობ? გრიშკა რასპუტინს არ იცნობ? მაშ მე გაჩვენებ, ვინცა ვარ! შე უნა-მუსო, შე მაწანწალავ, შე...

და ისეთი სიტყვები მიაყარა, რომ ის ვაგონიც კი გაშითლდა.

კვაჭიმ ხვეწნით და ლრეჭით ძლიეს გამოიყვანა და დააბრუნა თავიანთ ქუპეში დიდი მასწავლებელი, რომელიც აღარ სცხრებოდა და კატორლით იმუქრებოდა.

ათიოდე წუთის შემდეგ ის ქალი და მისი ქმარი — სამართლის მინისტრის შექველოვიტოვის დიდი მოხელე და მეგობარი — გრიშკას კუპეში ფეხაკრებით შემოვიდნენ და მოწიწებით ბოდიში მოითხოვეს.

გრიშკა ლაპარაქასაც არ ჰყადრულობდა. ნაწყენი და დაშინე-ბული ქმარი გაბრუნდა; კვაჭიმ გაჰყვა.

— აპოლონიჩიკ! მაგ კარებთან დადექი და არავინ შემოუშვა! — მიაყოლა გრიშკამ.

კვაჭი გარედან კარებს მიეყუდა და ქალის ქმარი შიგნით აღიარ შეუშვა, თანაც ასე ანუგეშა:

— ნუ სწუხდებით, დამშვიდდით. პირობას ვაძლევთ, რომ რა-მოდენიმე დღეში ორდენს და უუდიდეს წარმატებას მიიღებთ.

ქმარმა მიიწია. მაგრამ ჯალილამ ხელში ხელი წაავლო, ბავ-შვიერი უკან წასწია და შეეხევიშა:

— Пажалста, барин. пажалста не нада. Твоя ханум при-дешь, патом придешь.

იმ მოხელეს კვაჭის დარიგება ქუთაში დაუჯდა: თავისს კუპე-ში შევიდა და გაზეთის კითხვას შეუდგა.

როცა მატარებელი პეტერბურვის სადგურს მიადგა და კუპე-დან ალექსილი, გაშეწილი და გამხიარულებული დედაქაცი გამოვიდა, კვაჭიმ ჰქითხა გრიშკას:

— იმ ქალს აპატიეთ? ბოდიში მოიხადა?

— ვაპატიე. რამდენჯერმე მოვხადე ბოდიში და ცოლვებიც მი-ეუტევე... მაშ რა უნდა მექნა? ქრისტიანი ვარ. აი, მისი მისამართი ჩაიწერე!

— მადლობა ღმერთსა! დიდება უფალსა!

— აპოლონიჩიკ! დღეს შენი სტუმარი ვარ „არქადიაში“.

— ამდენ ბედნიერებას ერთხაშიდ ვერ გავუძლებ, წმინდათ მამაო!

— ჟველაფერი დამზადონ, ფარდებიანი ლოფა აიღე. სწორედ თორმეტზე წავიდეთ. ელენეც წამოიყვანე. ეხლა შინ წადი და დაი-

სვენე. მეც უნდა დავისცენო. საშინელი დღე იყო დღეს, საშინელი! უფალო, შეგვიწყალე და მოვაზევი ცოდვანი ჩენნი!

დასცენებისთვის სად ეცალა კვაჭის! მრავალი მოსამართი, მოსახვეტი და მოსახვეჭი ჰქონდა იმ საღამოს. თვისი „ბერლიე“ ჯერ განუსს მიუყენა:

— მომილოცავს!.. გავიმარჯვეთ!.. დავიმტკიცეთ!.. — სხაპა-სხუ-
პით მიაყარა გაშტერებულ ბანკირს. — ხეალ თორმეტისთვის ანგარი-
ში გამისწორეთ... მთელი დღე სასახლეში ვარ... ძლიერ დაგახტიე
თავი... სადილად დამტოვეს, აღარ გამომიშვეს... აუარებელი ახალი
ამბავი... მრავალი ცვლილება... ფლიგელ-ადიუტანტობა...

უამშო და გაბერა იმ დღის თავგადასავალი და „უუდიდესი,
შეფიცნადები საიდუმლოება“, თან ჭორიც დაუმატა. კვაჭის ნაამბობ-
ში წამდაუწუმ ისმოდა:

— დავნიშნეთ... გადავიუვანეთ... გადავწყვიტეთ... რუსეთი იღუ-
პებოდა, ძლიერ დავისხენით... მეფე დავაჯერეთ... მე და გრიშკამ ვა-
ვაკოთ... ყველაფერი დაგვიჯერეს... ყველაფერი შეგვისრულეს... მო-
იტათ, რაც საქმე გაქვთ! მოიტათ ჩქარა, ხვალვე, ეხლავე, თორემ,
ვინ იცის, რა მოხდეს, ვინ იცის, როგორ დატრიალდეს საქმე!.. ხვალ
დილის ათ საათზე თქვენთან მოვალ. უნდა წავიდეთ და დამტკიცე-
ბული ხელშეკრულება მიეიღოთ. შეიძლება ტელეფონით ლაპარაკი?
გმადღლობთ.

და ტელეფონს ვაცივით დაეტაქა:

— ალლო! ბესო, შენ ხარ? ჩემი მაკლერები მოსტებნე, ჩქარა!
იპოვე საცხა; ერთ საათში მაქინე ვიქნები... კაი, კაი, შერე იყოს...
მიეცი „ოტბოი“.

— ალლო! ელენე, გკოცნი ათასჯერ და გილოცავ ფრეილინო-
ბას... რაო, არ გჯერა? ხვალ ან ზეგ რომ ქაღალდს მიიღებ, მაშვი-
ნაც არ დეიჯერები?.. რაო? გრიშკამ ვაკეთაო? კაი, მე და გრიშკამ
ვაგიკეთეთ აი საქმე. რაო?.. არ გრცხვენია, ელენე? ჰა-ჰა! კაი, კაი...
დღეს არსად წახვიდე, ათზე შენთან ვარ, რაცხა დიდი საქმე მაქსე...
ჰა-ჰა-ჰა! მართალია? დევიჯერო?.. აპა კარგი, მიეცი „ოტბოი“...

— ალლო! გინცის ბინაა? აბრამ მოისევიჩი, თქვენ ბრძანდებით?
მომილოცავს ყველა საქმეში გამარჯვება. მეტს არაფერს გეტუით.
ნახევარ საათში თქვენთან ვიქნები. დაიბარეთ თქვენი ინუნერები
და არქიტექტორი... ეხლავე? კეთილი, მოვდივარ...

ისევ განუსს მიუბრუნდა:

— მაშ ესე, ძეირფასო მეგობარო! ერთი კარგი საჩუქრიც
თქვენზეა. ხეალამდის!.. დილამდის!.. ხელზე ემთხვიეთ ჩემს მაგირ
თქვენს მეუღლეს. ვნანობ, რომ ვერ ვნაზე.

გინცსაც შეუვარდა, სეტყვა შიაყარა, კვეხნით თვითონაც გაი-
ბერა და ისიც გაპბერა:

— მე და გრიშამ გავაკეთეთ... აქამდის ვსაღილობდით... გა-
დავაყენეთ... დანიშნეთ... გადავიყვანეთ... ტაძრის აშენებაც მე მო-
მანდვეს. შევიძლიანთ ააშენოთ? იკისრებთ?

— მე რას არ ვიკისრებ! მთვარეზე რომ რკინის გზის გაყვანა
დამავალონ, ამასაც ვიკისრებ.

— აი, გეგმები, აი, ხელშეკრულება, აი, დედოფლის წერილი...

— გაესინჯავ... ვნახავ... ვიანგარიშებ.

— საჭიროა ჯარისთვის ოცი მილიონის საცვალი, საპნები და
ათასი წერილმანი. აი, სია და ფასები! ხუთი პროცენტი მომეცით და
წაიღეთ.

— მაგასაც ვიანგარიშებ. პასუხი ხვალ დილით.

— მაშ მშვიდობით! ნახვამდის! კიდევ ათასი საქმე მაქვს...
სახლში მინისტრები და დიდებულნი მიცდიან... სალამი და ხელ-
კოცნა თქვენს მეულელს... ნახვამდის, ჩემო ძვირფასო მეგობარო!

კიბე ხალხით დაუხვდა საესე.

— ვაპყარეთ! აღარ მიიღოთ ეს წერილფეხობა! რა დროს ეყ
არის! იმხელა საქმე ჩამაბარეს, რომე ამ ხალხის ფულის დათვლაც არ
ღირს. ბესო, დოუბახე ბირეის მაკლერებს.

კეთიმ კარები ჩაიკეტა და კომისიონერებს სრული დარიგება
მისცა, ნათქვამი ჩააწერინა და გაისტუმრა.

— სედრაკ! დაარჩიე და შემოუშვი სუფთა ხალხი, დანარ-
ჩენი შენ გაისტუმრე... ჭიპი, გეიქეცი სადგურზე, დოუხვდი სი-
ლიბისტროს და პუპის და დააბინავე. სანამ არ ვეტყვი, ნუ მოვ-
ლენ ჩემთან. მოუარე, პატრონობა გოუწიე.. გიგო! ეს წერილი წოუ-
ლე ოპერაში პრიმადონა ვოლევინას. უყიდე დიდი თაიგული და ბო-
დიში მეიხადა, რომე ვერ მოვა თქვა. თუ მეისუროს, წამეიყვანე
„არქადიაში“. ივტომობილი არ უყვარს? ლანდო შეაბმევინე. აპა, გვ-
ინძერია!..

ისევ ტელეფონს ეცა:

— ალლო! „არქადია“? თავადი კვაჭანტირაძე ვარ... შემინახეთ
პარველი ან მეორე ლოეა, მორთეთ ყვავილებით... მზად იყოს უვ-
ლაფერი...

ისევ მობრუნდა:

— ბესო, შენ ხარ? ვინ მიცდის? მეიტა სია. სენატორი შუბი-
ნი... არქიმანდრიტი მაკარი... გუბერნატორი ტიზენჰაუზენი... პალა-

ტის თაემჯდომარე კოჩუბეი... კაი, კაი, პაწიე დეიცადონ... დე-
ვილალე.

ჭამოწეა და მოისეენა, თან კომბინაციების ბადე ერთხელ კი-
დევ გასინჯა. იგი კარგად იყო გაბმული და ნაანგარიშევი... ოღონდ
გინცმა არ მოატყუოს, თორემ კვაჭის სხვებისა არ ეშინიან... კეთი-
ლი, ვნახოთ... ხეალ ვნახოთ...

— ბესო, დოუძახე, ვინცხაა მაქინე.

ერთი საათის შემდეგ კვაჭის სამოც-ძალიანი „მერსედესი“ სუ-
კოროვის პროსპექტისკენ მიჰქროდა. ელენესთან რომ ადიოდა, კიბე-
ზე გრიშკას შეხვდა. გაიფიქრა:

— დამასწრო, მაინც დამასწრო ამ წუწემა!

— აპოლონიკ, შენა ხარ? ვქეიფობთ ამაღიშ? ყველაფერი მზად
არის?

— ვქეიფობთ, დიდო მასწავლებელო, ვქეიფობთ! ყველაფერი
მზად გახლავთ. სწორედ თორმეტზე გამოვივლით.

ელენესთან დალრემილი და ნაწყენი შევიდა. გაწეწილ-ალეწილი
ელენე მხიარულად დაუხვდა, მოუალერსა და მოეფერა.

— მაინც დამასწრო იმ მუეიქმა, განა! ყოლიფერი გიამბი?

— კვაჭიკოჯან, ნუ ხარ შურიანი, ყველაფერს ნუ მისდევ. ფუ-
ლი, თავადობა და კარისკაციაც იქმარე, თორემ ინანებ.

— ყოლიფერს საიდან მიედევ, ჩემო კარგო? მაგალითად, აკი
შენი თავი გრიშკას დოვუთმე. ვკვდები, მარა რა ვქნა! აპა, დროა,
ჩეიცვი.

ისევ ტელეფონს დაეძერა:

— ალლო! ტანიჩქა, შენ ხარ? გკოცნი ათასჯერ... ხომ კარგად
ბრძანდები? გინდა სულის წასაწყმედი ალავი გაჩვენო?.. ჩვენი მოძ-
ლეარიც იქ იქნება... არ ინანებ, ნუ გეშინიან, თუ გინდა ნიღაბი
გაიკეთე... რაო, გეშინიან?.. ნუ შეშინდები მეთქი; ისე შეგიყვან იმ
ლოეაში, რომ ეშმაქმაც ვერ დაგინახოს... ელენეც მოდის, მომლე-
რალი ვოლეინაც, ყველანი მინაურები ვართ... მაშ თანახმა ხარ? მაშ
ჩქარა ჩიიცვი, გამოვივლით.

აქა ამბავი წმინდა გრიგოლის „პასპორტისა“ და ერთი
მეძავის გაჯოხვისა.

შევე ლამის ორი საათია.

კაფე-შანტანში გახურებული სმა-ჭამა, ციკვა, სიმლერა, მუსი-
კა და არშიყობაა.

ფარდებით ჩამოფარებულ დიდ ლოეაში ქეიფობენ ვრიშვა, კვაჭი, ელენე და ტანია. ხანგამოშვებით ჩუმად სცენისკენ იყურებიან, სადაც რიგ-რიგობით მღერიან და სცენევენ რუსული დასი, ბოშები, ზანგები, ტიროლელნი, ფრანგები და ესპანელები.

უძვი გალეშილი ვრიშვა ხან-გამოშვებით ბრძანებას იძლევა:

— აქ მომგვარეთ კეკუოკი! მატჩიშიც!.. კიდევ იცეკვოს იმ გიშპანელმა!.. დაუძახეთ ბოშების ქალებს! ყველას ვპატივობ!.. ჩქარა! უთხარი, ვრიშვა რასპუტინი ქეიფობს-თქმ, ვიბრძანებს-თქმ!.. არ გამაჯაერონ, თორემ ამ ეშმაკების ბუდეს ხეალვე დავკეტა!

გრიშვას აბრეშუმის ხალათის საკინძი ჩამოხეული აქვს, სახელოები — დამკლავებული; გაწეწილი თმები — წარბებამდის ჩამოფხატული; თვალები — ამღვრებული და აღზნებული; თავი — გახურებული და ნისლიანი.

იმის ზეთიანს და ნალვერდლიან თვალებში მხეცი დასცურავს; გულში ცეცხლი უნთაა; ვერ მოუსვენია: დარბის, ვითარცა მხეცი გალიაში; სტოკავს, შფორთავს, ხელებს უწესოდ აფათურებს და სეამს ყველაფერს, რაც კი ხელში მოპჩვდება; ბლავილით მღერის ბილუ სიმღერას და საკულესით საგალობელს; თოფივით ისვრის გაუგებარ და ქუჩურ სიტყვებს, რომელნიც ისარივით ჰქვდებათ გულში ტანიას, ელენეს და მომღერალ ქალებს.

წამდაუწუმ ხან ერთს და ხან მეორეს ჩააცივდება:

— რას იპრანჭები!.. რასა სტოკავ გაუხედნავ კვიცივით!.. თუ ქეიფია, უნდა ვიქეიფოთ ჩვენებურად, გლეხურად, მუეიურად!.. გაიღელეთ საკინძები!.. მაჩვენეთ თქვენი გულ-მკერდი!.. გაიხადეთ ტანისამოსი!

მერე ქალებს დაქრია, ბლლარძუნი ასტეხა და ერთს საკინძი ჩამოგვლივა.

ქალებმა ურიამული ისტეხეს. ზოგნი იცინოდნენ, ზოგნი ბრაზობდნენ და წასვლას აპირობდნენ. გრიშვა უარესად გაკაპასდა და გაცხარდა:

— ზავი კიბენითს თ, სტევა? ზავი ბრიკას თქვენისთანა ქალი ათასობით მინახავს შიშველი, თქვენზე უკეთესი ქალები ჩემთან აბანოში დადიან ხუთ-ხუთნი და ათ-ათნი... დედოფალი მკადრულობს, თქვენ ვიღა ჰყონისართ, ვინ ბრძანდებით?! აი, ეს ხალათიც ჩემი „ბებრუცანას“ შეკერილია. დიალ, „თვითონ“ შემიკრა და „თვითონვე“ მომიქარგა... აპოლონის ჩიქ, თავი დამანებე მეთქი!.. ტანია, შენც გაჩუმდი!.. დღეს მეფეც და დედოფალიც ხე-

ლებს და ფეხებს მიკოცნიდნენ... თქვენ ვიღა ოხრები ჰყონ-
ხართ მეთქი?!.

კვაჭი გამხეცებულ გრიშკას ამშვიდებდა, ტანია და ელენე
სირცხვილისგან იწოდნენ, სხვები პოლიციას და რესტორანის პატ-
რონს ეძახდნენ.

ლოების გარშემო ხალხი შეგროვდა.

— რაო?!. მაშ მე გრიშკა რასპუტინი არა ვარ? მაშ არა გჯ-
რათ? მაშ მიყურეთ!.. გამსინჯეთ!.. დარწმუნდით!..

ტანისამოსი გაიღელა და ამოილო თვისი პირადობის საუკეთე-
სო საბუთი.

— არც ეხლა დაიჯერებთ?!.. ეხლაც ვერ იცანით გრიშკა?!. აი,
ჰნახეთ და დარწმუნდით! ჰნახეთ და დაიჯერეთ!.. აი, აი... ჰნახეთ!
ყველამ ნახეთ! გასინჯეთ!

ტანიამ და ელენემ შეჰკიცელეს და გარეთ გაცვიდნენ. მათ
რამდენიმე ქალი გაჰყვა ლანძლვით და წყევა-ქრულვით. დანარჩენებ-
მა ხარხარი ასტეხეს.

ვიღაცამ იმ ლოებას ფარდა ჩამოჰვლიჯა და ხალხით გატენილს
უზარმაზარ დარბაზს იგი პირუტყვი თვალ-წინ გადუშალა.

დარბაზში ერიამული და ჩოქოლი ასტყდა, სცენაზე ცეკვა და
სიმღერა შესწყდა, მუსიკაც გაჩუმდა.

ვიღაცამ დაიძახა:

— დაიჭირეთ!.. გააგდეთ!..

მეორემ მიაძახა:

— ტყუილია! სტყუის! ეგ რასპუტინი არ არის! სტყუის!
მერე ყველანი და ყველაფერი ერთმანეთში აირივნენ.

— გასინჯეთ!.. ნახეთ!.. აი, ჩემი პასპორტი! აი, ჩემი საბუ-
თი!.. — ჰყვიროდა ლოებიდან გადმომდგარი გრიშკა.

დარბაზი ჰაბანარებდა.

ერთნი ხარხარებდნენ:

— ჰა-ჰა-ჰა! ჰო-ჰო-ჰო!

მეორენი ჰყვიროდნენ:

— გააგდეთ!.. დაიჭირეთ!

— ოქმი! ოქმი შეადგინეთ! სად არის პოლიცია? დაუძახეთ
პოლიციას!

— საგიეეთში! საგიეეთში გაჰვზავნეთ!

და ყველანი იმ ლოებას ფუტკარივით მიესივნენ, თან იმუქრე-
ბოდნენ, იცინოდნენ, ჰლელავდნენ და ჰშფოთავდნენ.

ჯალილა ლოეის კარებს კლდესავით მიეყუდა. ხელი ხაჯალზე აქვს დადებული. ცხენის თვალებს აბრიალებს და ხალხს ეხვეწება:

— პატარა ბარინ, პატარა! ნე ხადი, ატო კროვ ბუდიტ. ლოეაში რესტორანის პატრონი და ბოქაული შეცვივდნენ.

ვიღაცამ იმ ლოეას ჩამოგლეჯილი ფარდა ისევ ააფარა და წარმოდგენა გაათავა. ხალხის დასამშევიდებლად და ყურადღების მასაზიდად სცენაზე ხორო ყელის ძარღვებს იწყვეტდა, ორკესტრი შძლავრად ჰყვიტინებდა.

გრიშკაც მოლბა და გონს მოვიდა, მხოლოდ ბოქაულს ემუქ-რებოდა:

— ოქმი თუ დასწერე, კატორლაში დაგალპობ და ძალებს შევაჭმევ შენს ხორცი.. ჰო, ამას მე გეუბნები! მე, გრიშკა რასპუტინი! ჰო!.. თავი დამანებეთ, მე თვითონ წავალ! აპოლონიქი, ფული ვადაუყარე ამ ძალებს! თითოს ასი მანეთი და ამათი ჯანი! რაო? სჯავრობთ კიდეც?! არ გინდათ? აპოლონიქი, წავიდეთ!.. საღ არიან ტანია და ელენე?.. წავიდენე? კისერიც მოუტეხიათ... წავიდეთ... ზე შენ გეუბნები, ოქმი არ დასწერო მეთქი, თორემ...

და გალეშილი გრიშკა კვაჭიმ ძლიეს გაიყვანა. მათ უკან მიჰყა სიცილი, მუქარა, ყვირილი და სტენა.

შუა გზაზე გრიშკამ გზა აურია:

— მარჯვნივ შეუხვიი! მარცხნივ!.. პირდაპირ!.. შესდევქ!

და ავტომობილით საზოგადო სახლს მიადგნენ.

— მასწავლებელო, რას სჩადიხართ!.. გვიცნობენ, მეფე-დედოფალი გაიგებენ.

— აპოლონიქ, გაჩუმდი! ვინ გაიგებს? ჩემდ ბებრუანა? გაიგოს! შენ ჯერ პატარი ხარ, ჯერ არაფერი გესმის. გაიგოს, უფრო კარგი! უფრო მეტად შემიყეარებს!.. დედაკაცის სულის და ხასიათისა შენ არაფერი გაგეგება... მოდი, მომყე!

მთერალ დარბაზში შევარდა და დაიძახა:

— ვახლავართ მამშელებს!.. აბა, „კამარინსკუიუ“!

და როიალის ხმაზე მარდიდ, ყოჩალად და კოხტად ჩამოუარა კამარინსკული, თან რამდენიმე ქალიც აიყოლა. მერე სუკელას ხუთ-ხუთიანი დაურიგა და ოცი ბოთლი ლვინო და არაყი მოთხოვა.

ასტყდა უივილ-ხივილი, კისკისი, ცეკვა, ხვევნა და ბლლარძნი.

ლვინო დალიეს, ჭურჭელი დაამტვრიეს და იქაურობა წაპ-ბილწეს.

ბოლოს გრიშკამ ხუთი ქალი აირჩია და წაიყვანა. ერთმა ქალმა კვაჭი თითქმის დაითრია, ჯალილამ ქერა შეიდ ფუთიანი აირჩია.

ნახევარი საათი გავიდა. ერთ ოთახიდან განუწყვეტელი კივილი, ერიამული და დარჩეული რუსული გინება ისმოდა. კვაჭი წამოსასელელად დაემზადა და მხოლოდ თავისს მასწავლებელს უცდიდა.

უცებ იმ ოთახიდან, სადაც გრიშკა ქეიფობდა, ქალის ხანგრძლივი კივილი მოისმა:

— მიშველე-უ-ე-ე! მომკლე-ე-ე!

კვაჭი ჯერ აიგანზე გავარდა, მერე იქიდან ქუჩისკენ დაჭვა; ალაყადის კარებთან კვაჭის სრულიად ტიტველი და თმა-გაწეწილი ქალი შეეფეთა, რომელიც წივილ-კივილით ქვეით მირბოდა.

უკან დიდი მასწავლებელი მისდევდა. ისიც ტიტველ-შიშველი იყო. მისდევდა და თასმის ქამრით ტიტველ ქალს ჰშოლტავდა, თან ყვიროდა:

— А, стерва! а, подляя! а, окаянная! На те! на те! на те!

თითო დარტყმაზე ქალი შეჰქივლებდა, აიკლაკნებოდა, გვერდით გაპირებოდა და ისევ მირბოდა:

— მიშველეთ!.. მომკლა!!.. მიშველეთ!..

ჯერ კვაჭი და ორი მეეზოვე დაედევნენ, მერე სხვებიც მიჟველნენ.

გულწასული ქალი ხელით წამოილეს, სხვები გრიშკას მიესივნენ და შეუტიეს:

— დაპყარით! სცემეთ! დაიჭირეთ!

ჯალილა უმალვე იქ გაჩნდა. ხანჯალი ნახევრამდის ამოილო და ბრბოს შეეხვეწა:

— პავალსტა, ხადი, პავალსტა...

პოლიციაც მოვარდა. გრიშკა არავის შეუშინდა და არავის დაუთმო:

— ჯერ ჩავიცვა და მერე ვნახავ, ვინ გაუბედავს წყენას გრიშკა რასპუტინს!.. გოროდოვო! გარეკე ეს ძალლები, თორემ კატორდაში დავალპობ! აბა, ჩქარა!

გრიშკა რასპუტინის სახელის სსენებაზე სიცილი და ჟივილ-ხივილი ასტყდა.

— მართალია, მართალი! გრიშკა რასპუტინი უნდა იყოს. ერთი შეხედეთ, შეხედეთ!..

— დაიშალენით! დაიშალენით მეთქი! — ყვიროდნენ პოლიციელნი.

ამასობაში გრიშკა ისევ სახლში შევიდა და ათიოდე წუთის შემდეგ ჩაცმული დაბრუნდა.

წინ ბოქაული გადაეღობა.

— რაო, ოქმიო? სიცოცხლე ხომ არ მოგბეზრდა? ცოლშვილი გყავს თუ არა?

— არა, ბატონო, მე... მე არაფერი... მხოლოდ მინდა ჩემი თვალით ვნახო ჩენი წმინდა გრიგოლი... მეტი არაფერი... გავაცილებთ, თორემ...

— საჭირო არ არის. აპოლონჩიქ! მადლობა გადაუხადე ამ ბოქაულს. ოცდახუთი მიეცი... რა გვარი ხარ?: ხეალ ან ზეგ მნახე.

და იმავ წუთს ავტომობილი დაიძრა.

აქა ამბავი წმინდანის ცოდვათა შენანებისა და ბირჟის აფეთქებისა.

გრიშკას ერთი პატარა ოთახი ჰქონდა, ხატებით და სასულიერო ნივთებით სავსე. ეს იყო მისი სამლოცველო.

ტორტმანით და ბარბაცით შევიდა იმ სალოცავში. სანთლის შუქით სუსტად ვანათებული იქსო ქრისტე სათნოიანის თვალებით გრიშკას ისე ჩასცეროდა, თითქოს მას საყვედურს ეუბნებოდა.

პირქვე დაეცა და დაემხო იმ ხატის წინაშე მოწყვეტილი, მრუში და ცოდვილი რასპუტინი; დაეცა და შეჰბლავლა მას შეცოდებანი თვისინ:

— წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდაო, შეგვიწყალენ ჩენი!.. უფალო ძლიერო და მოწყალეო, შემინდე მე ულირსა და ბოროტსა უამრავნი ცოდვანი ჩემნი და მომივლინე მე ვანპატივება, რამეთუ ლირს ვარ!..

დილის ნათელმა შემოანათა იმ საკანში. გრიგოლი ისევ ლოცვაზე იდგა. სულწაწყმედილი წმინდანი ისევ მეტანით, ოხვრით, კვენებითა და მდუღარე ცრემლით ლოცულობდა, თან მეტიოდ და გარკვევით სალოცველს ამბობდა, ზოგჯერ საგალობელსაც იტყოდა, მუშტით გულის ფიცარს იმტვრევდა და მუხლისთავებს იქლეტდა.

შუადღე რომ გადავიდა, კვაჭიმ თავისს მასწავლებელთან შეირბინა.

მოსამსახურებ უთხრა:

— მამა გრიგოლი ლოცვაზე სდგას. წუხანდელს აქეთ არ გამობრძანებულა სამლოცველოდან, არც არაფერი მიურომევია, არც არავინ უნახავს.

კვაჭის გაუკვირდა ეს ამბავი, თუმც არ სწყენია, რადგან სწორედ იმ დღეს ათიოდე კომბინაცია ჰქონდა „გასაიმასქნებელი“.

მეორე დღეს ისევ შემოიტბინა.

მოსამსახურებ განუმეორა:

— მამა გრიგოლი ისევ ლოცვაზე სდგას. გუშინდელს აქეთ ჯერ არ გამობრძანებულა და არაფერი მიურთმევია, არც ვინმე უნახავს.

— რა ამბავია? — გაიფიქრა კვაჭიმ და შევიდა იმ ოთახში, რომლის გვერდით გრიგოლი უკვე მეორე დღე იდგა ლოცვაზედ.

იმ ოთახში, სამლოცველოს კარებთან ათიოდე მამაკაცი და დედაკაცი მუხლმოყრილნი იდგნენ და მხურვალედ ინანიებდნენ მასწავლებლის ცოდვებს, მათ შორის კვაჭიმ მიბნედილი ტანია დაინახა. იმის გვერდით დაიჩიქა, თავი ჩატენდრა, ხელი და თვალი აღაძყრო ზეცად და ტუჩებიც ააცმაცუნა.

სამლოცველოდან მასწავლებლის მისუსტებული ხმა მოისმოდა.

— და შექმოსეს მას ძმწეული და დაადგეს შეთხული ეკალთაგან გვირგვინი;

და იწყეს მოკითხვად მისა და იტყოდეს: გიხაროდენ, მეუფეო ურიათო!

და პსუემდეს მას თავსა ლელწმითა, და თაყვანის-ცემად მას.

და ოდეს განჭეითხეს იგი, განპსარცვეს მას ძმწეული იგი, და შექმოსეს თვისივე სამოსელი, და განიყვანეს იგი, რათა ჯვარს აცვანის..

სახარების კითხვა გრიგოლმა ქვითინით შესწყვიტა.

ტანიამ შეჭირვა და იატაქზე გაენთხო, თან ქვითინებდა, საძგმაგებდა და გაპეიოდა:

— კარა!.. გაათავოს!.. იმყოფინოს!..

სხვებიც აიშალნენ, აფორიაქდნენ და ატირდნენ.

კვაჭიმ მიბნედილი ტანია მეორე ოთახში ხელით გამოიყვანა და ძლიერ დაამშეიდა. მერე, რადგან კიდევ ორიოდე კომბინაცია ჰქონდა და დასამთავრებელი, ავტომობილში ჩახტა და ბანკირ განუსთან ჭავიდა.

სალამოზე ტელეფონით იკითხა:

— ალლო! ჩვენი წმინდა მამა როგორ ბრძანდება?.. რაო, ჯერაც არ ამდგარა ლოცვიდან?! არაფერი უჭამია?! არავის ნახვა არ ჰსურს? კარები ისევ დაკეტილი აქვს?! ღმერთო დიდებულო, ეს რა ამბავია!.. კარგი, ხვალ ისევ მოვალ.

მესამე დღეს სალამოს უმზე კვაჭიმ კვლავ გრიგოლთან შეირჩინა. სამლოცველოს კარები ისევ დაკეტილი დაუხვდა. წინა ოთახში უფრო მეტს შევირდებს მოეყარათ თავი. ტანია აქ აღარ სჩანდა.



ერთგულნი მოციქულნი და მიმდევარნი კარების შენგრევას აპირებდნენ, მაგრამ ღვთის-მშობელმა ლოცტინამ ყველახი დაამშვიდა:

— მიეცით მშვიდობა ძესა ღვთისას და ილოცეთ სულისა მისისა. ნუ ჰელიონი ჩენს წმინდა მაცხოვარს ძალუძს იმარხულოს. თუნდ დღე ორმოცი.

ერთი კვირა გავიდა. გრიგოლის დიდი ოთახი სავსე იყო წარჩინებულთა, დიდებულთა და სხვათა მოციქულთა მიერ. ზოგი ჩემად ლოცულობდნენ, ზოგი ქადაგიდ დაცემულიყვნენ და უცნაურს და გაუგებარს პბოდავდნენ და პროშავდნენ. უცებ სამლოცველოს კარები. გაიღო. მოსამსახურებ წმინდანთან სხვებზე აღრე კვაჭი შეუშვა.

მიბენედილი და მილეული გრიგოლი ცალიერ იატაქზე იწვა.

— ღმერთო დიდებულო! წმინდაო მასწავლებელო!

— აპოლონჩიქ! ჩემო ერთგულო ძმაო და მეგობარო! — ძლიერ ჩაიჩურჩულა გრიგოლმა: — ნუ შესწუხდები, არა მიშავს რა... გაიგე და დაიხსომე: ღმერთი ჰარობას, ოდეს ცოდვილნი მოინანებენ შეცოდებათა თვისთა. მაშასადამე, როცა ღმერთი ეშმაქს გვიგზავნის, უნდა ავყეთ მას, უნდა ვიმრუშოთ და შევსცდეთ, რომ საბაბი გვქონდეს ცოდვების მონანებისა: თუ ცოდვა არ ჩავიდინეთ, ვერც ვერაფერს მოვინანებთ, იცოდე, წმინდანი ყოველთვის წაწყမედილია, რადგან ის უცოდველია, ხოლო უცოდველი ვერაფერს მოინანებს, ვინაიდან მას ცოდვუც არა აქვს. გაიგე? მიმიხვდი?

— გავიგე და დაეიხსომე, დიდო მასწავლებელო! უძირონი და უსაზღვრონი არიან სიბრძნენი შენი, პო წმინდანო!

— ამაღამ ლოცვას ვათავებ... მარტო ვარ... ელენე გამოჰვანე.

— იქნება ელენე სახლში არ იყოს?

— მაშ ტანის მაინც დაუძახე.

— მივხედი, მესმის, წმინდაო მამაო! დღეს ერთი ცოდვის მონანება გაათავე, ეხლა გსურს მეორე ცოდვა ჩაიდინო, რათა საბაბი გქონდეს ახალი ცოდვის მონანების, არა?

— აპოლონჩიქ! შენ ბავშვივით უმანქო და უცოდველი ხარ, რადგან ჯერ ბევრი რამ არ იცი. ჯერ ადრეა, გაიზრდები და ყველაფერს გაიგებ. დღეს კი მხოლოდ ერთს გეტყეი: ჩემისთანა ცოდვილი ეშმაქიც არ არის ჯოჯოხეთში. შვიდი დღე ლოცვაზე დგომა არაფერია. მახსოვე, პირველად რომ გიმოვექცი ჩემს ოჯახს, ერთ გორაკში. ღვიძე გამოვთხარე და სამი თვე იმ ღვიძედან არ გამოვსულვარ. ხმელის პურისა და წყლის გარდა ჩემს პირში არაფერი ჩასულა. ქეცი შემეყარა, მუნბა შემჭამა. გაუხდელი და დაუბანელი უეგდე ხატის წინაშე. ერთხელ, მეტად რომ დაუსუსტდი,

თვალი ლვისმშობლის ხატს მივაპყარ და ნათლად, ცხადად დავინახე: ლვისმშობელი ცხარე ცრემლით სტიროდა. მერე მითხრა: „გრიგოლ! გრიგოლ! განშენდილი ხარ ცოდვათაგან. ქვეყანა იღუპება ეშმაკის კლანებში. აღსდეგ და წარვედ ხალხისა ხსნად და განსაკურნად“.

შეც წამოვედი. მას აქეთ დავდივარ და ვემსახურები ქრისტესა უფალსა ჩვენსა. ვინ იცის, რამდენჯერ განვშორებივარ ამ ცოდვილ ქვეყანას ორი-სამის თვით! ეხლაც დადგა დრო ჩვენის განშორებისა, ჩემო აპოლონიჩი!

კვაჭის გული გადუბრუნდა:

— საით, წმინდაო მამაო? სად მიბრძანდებით?

— შორს, ძალიან შორს,—იერუსალემს. უნდა წმინდა ადგოლებს ვსცე თაყვანი, უნდა უფლის საფლავს ვემთხვიო, უნდა საბოლოოდ განვიბანო და მოვინანო ურიცხვი ცოდვანი ჩემნი... როდის წავალ? მაზეე.

— წმინდაო მამაო, მე რას მიშვრები? მე ვისი იმედით მტოვებ?.. რაო? მეც წამოვიდე? მზად არა ვარ ასეთის მგზავრობისათვის. მაინც ვნახავ, მოვითიქრებ. მამაო წმინდავ! ორი-სამი თვით მაინც გადასდეთ ეგ ააშინელი მგზავრობა.

— არ შემიძლიან. წუხელის ხატმა გამომიცხადა: „გრიგოლ, სამ დღეში წარვედ აქედან იერუსალემს, ვინაიდან განუზომელ არიან ცოდვანი შენინ“. ეხლა წადი, ჩემო აპოლონიჩიქ, და გამომიგზავნე ელენე ან ტანია. ხვალ ლამის ათ საათზე აქ იყავით. ერთ ალაგას უნდა წავიდეთ. ისეთს რასმე გაჩვენებთ, რაც სიზმარშიც არ გინახავს... არა, დღეს არ გეტყვი, ხვალ შენის თვალით ჰნახავ.

დაღვრემილ კვაჭის სახლში რამდენიმე უსიამოვნო ამბავი დაუხვდა. ისედაც ძალიან ცუდს გუნებაზე იყო.

ცარსკიე სელოდან დაბრუნების დღიდან კვაჭის თვისი თავი უუბდნიერებს აღამიანად მიაჩნდა, რადგან ამ დღეს ყველაფერს მიაღწია: თავიადობას, კარისკაცობას, უუდიდეს გავლენას, ხელისუფლებას და სიმდიდრეს, რომელიც დღეს თუ ხვალ უნდა ჩაცურებულიყო იმისს ჯიბეში.

ერთი ნაწილი ამ სიმდიდრისა უკვე გაინალდა და მაშინვე ონკალს და ბირეას დაეტაკა.

უკანასკნელ ხანებში კვაჭის პირიდან მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ისმოდა: ონკალი... ობლიგაციები... კუპონები... აქციები პუტილოვისა... ლენისა... სალამანდრასი... ლაური... გავყიდე... ვიყიდე... წავაგე... მოვივე...

მაგრამ საქმე ის იყო, რომ კვაჭი „მოვიგე-წავაგე“-დან უფრო ჰშირად „წავაგე“-ს ჰქმარობდა. ეს იყო მიხეილი იმისი დაღვრემილობის და ნერვულობისა.

ეხლაც ბესომ და მაკლერმა ხაინშტეინმა მეტად მწარე და სახიდათო ამბები დაუხვედრეს.

— ას ოცი ათასი ონკალის ანგარიშის შესავსებად შევიტანე აზოვის ბანკში.—უთხრა მაკლერმა: —ლენის აქციები თითქმის განახევრდა; „ანგლოროსი“ განუწყვეტლივ ქვეით მიდის; „როსპერსი“ იღუპება... გუშინ „ურალოპლატინა“ ოთხასად გამაყიდვინეთ, დღეს კი ისევ ხუთასამდის ავიდა; ამ აქციების დასაწევად წავაგეთ თითქმის სამასი ათასი, დავიბრუნეთ მხოლოდ ასიოდე ათასი. თუ ხვალ ნახევარი მილიონი არ შევიტანეთ, დაკირავებული აქციები ჩალის ფასად გაგვეყიდება.

ბოლოს, ძლიერ შეამჩნია კვაჭიმ, რომ იმ თამაშში ვილაც უცნობი იხედვებოდა იმისს ქალალდში; ძლიერ დაინახა და გაიგო, რომ ბირების ჩარხის დასატრიალებლიდ მას ძალა არ შესწევდა; რომ, პირიქით, თვითონ კვაჭი გადიქცა სხვის სათამაშოდ და მსხვერპლად, მაგრამ გვიან და იყო: მას არ ჰყოფნიდა უკან დახევის ძალა, სიფხიზღვე, სიფრთხილე და ნებისყოფა; ამიტომ,—რაკი ერთხელ შესტოპა ბირების ჭაობში,—კიდევაც გაპყვა და შუაგულ მორევში შესურდა, სადაც მას ან სრული გაკოტრება, ან დიდი სიმდიდრე მოელოდა.

— ხვალ დილით მიიღებთ ინსტრუქციას. ეხლა კი შეირჩინეთ „ბირევეკაში“ და ეს შენიშვნა დააბეჭდინეთ ფინანსიურ ქრონიკაში... მშეიდობით ბრძანდებოდეთ!

მერე თავისს მეგობარს და ბანკირს გინცს დაურექა:

— ალლო! შენა ხარ? ყური მიგდე. თუ მოვრიგდით, ფულს როდის ჩამახარებ?.. ხვალვე?.. რაო? კონტრაქტიც მზადა გაქვს?.. თუ არ დაესთანხმდი?.. რაო? უფრო დამიკლებ?.. კარგი, კარგი, თანახმა ვარ. ძვირად მიღირს შენი მეგობრობა, მაგრამ რა ვქნა, შენი გულისთვის წყალშიც გადავვარდები... კეთილი, ეგრე იყოს... მაში დილამდის!

მერე ბესოს მოუბრუნდა:

— აპა რა მექნა?! ტაძრის აშენებას უნდა ხუთი წელიწადი ვუცადო? საცვლების ჩაბარებას კიდო ექვსი თვე? გართალია, ამ საქმეებს ბოლომდის რომ მივყოლოდი, სამჯერ მეტს ევილებდი, გარდა ახლა მჭირია ფული, თვარა,.. არა, არ დევილუპები. ხვალ ერთ მილიონს რომ მივაყრი ბირებს, ჰნახავ, რავა დავინგრევ და ავაფეთქებ

იქოურობას... რასპუტინის საქმიზა აღარავინ მიიღოთ. გადარეულ სიბერისას იერუსალემში მიდის სულის საცხონებლად! კისერიც მოუტეხია! იმდენი ჭუჭყი და ცოდვა აქვს მას, რომე იერუსალემი კი არა, ათასმა ანგელოზმა და წმინდანმა რომე ხეხონ ერთი წელი-წადი, მაინც ვერ გარეცხენ.

ისევ ტელეფონს ეცა:

— მართლა, დამავიწყდა! ალლო!.. ელენე, შენ ხარ? გრიშკა გელის, კიდო უნდა წევიწყმიდო სულიო, რომე მიზეზი მომეცეს ცოდვის მონანიებისო. ჰა-ჰა! რაო? აღარ გინდა? ჰა-ჰა! რაო? გინდა, მარა არ გცალია?.. რა ამბავია, ქალო? ცოტა ჩემთვისაც მეიცალე!.. რა სთვი, ოპერეტაში გინდა?.. კაი, მოემზადე, ეხლავე მოვალ... აპა გრიშკას ტანისა გოუგზავნი... კაი, მოვდიდარ...

მეორე დღეს კვაჭიმ გინცს დაუთმო ტაძრის აშენება და საცვლების საქმეც.

მაკლერს მეტად რთული დარიგება მისცა „ბირეის ასაფეთქებლად და დასანგრევად“.

მაკლერმა ბირეას კვაჭის ფულები და აქციები დაუშინა, მაგრამ ის იერიშებიც იმით გათავდა, რომ კვაჭის ჯიბე შეუთხედა და შუბლი გაებზარა, ხოლო გინცს და იმისს აგენტს ხაინშტეინს კიდევ მიეცათ და მიემატათ. მაკლერმა განალდებულ საქმის სიხარულმა და ქმალა და დასჩრდილა წაგების ჭირი: ამიტომ კვაჭიმ იმ დღის დანაკარგი არც კი შეიმჩნია და წარბიც არ შეიკრა.

აქა ამბავი საიდუმლო ხერობისა.

იმ ღამეს, საათის თერთმეტზე გრიშკა რასპუტინმა კვაჭი, ელენე და ტანია „ღვთის კაცთა“ საიდუმლო სერობაზე წაიყვანა.

გრიშკამ და კვაჭიმ თეთრი ხალათები ჩაიცვეს, ელენემ და ტანიამ—თეთრი კაბები, განივრები, ხალვათი და გრძელი.

ასე მოითხოვდა მწვალებელთა წესი და კანონი, ვინაიდან თეთრი ფერი ნიშანი იყო მათის მოძღვარების, ეკლესიისა და ძმობის წევრთა წმინდანობის, უმანქოებისა და უკოდველობისა.

ქალაქის განაპირობა, ერთს დაბალ სახლში უკვე შეკრებილიყო „ხლისტების ნავი“.

მოზრდილ დარბაზში სამოციოდე ქალსა და მამაკაცს მოეყარნათ თავი.

ახალგაზრდები და შუახნისანი სჭარბობდნენ.

ყველანი თეთრებში იყვნენ. იქვე კუთხეში კვაჭის ამხანაგები ატუშულიყვნენ, რომელთაც მათი ბელადის წყალობით გრიგოლის-გან საიდუმლო სერობაზე დასწრების ნებართვა მიიღეს.

დარბაზის თავში მაგიდასთან იდგა „ღვთისმშობელი“ — ოობრინის ქვრივი, ისიც თეთრებში ჩატული და ასნაირ ზიზილ-პიპილობით უცნაურად აჭრელებული. გაშლილ თმებზე განუშორებელი და უცნაური რამ თავსახვევი ედო წარწერით:

„ჩემი არს ძალა ყოველი. ალლილუა.“

როგორც ყოველთვის, ღვთისმშობელი იმ დღესაც ფეხშიშველი იყო.

წირვა უკვე დაწყებულიყო. ღვთისმშობელი ლოცვებს ჰქითხულობდა. რასპუტინი რომ დაინახა, მოსხლტა და წამოეიდა, თან გაჰქიოდა:

— აპა, იგი ძე ღვთისა! აპა, იგი იესო ქრისტე! აპა, მოციქული ღვთისა! მოვიდა და მობრძანდა ჩეენი წმინდანი, წინასწარმეტყველი და მასწავლებელი! ქვშმარიტად გეტვით თქვენ: აღზრდექით და თაყვან ეცით მას, რამეთუ ღირს არს იგი ძე ღვთისა დიდებისა და თაყვანისცემისა.

და მუხლებში ჩაუვარდა, ხელ-ფეხზე ემთხვია და თეთრი ხალა — თის კალთები დაუკოცნა.

ყველანი აიშალნენ და თავიანთ მოძღვარს შემოესივნენ. ზოგნი ფეხვეშ ჩაუვარდნენ, ზოგნი ხელებსა და ტანსაც უკოცნიდნენ.

გრიშკამ ყველანი და-მურად ჩაიკონა, ჩაიხუტა და დალოშნა, მერე ღვთისმშობელს მიჰყა მაგიდასთან.

ღვთისმშობელმა საგალობელი დაიწყო. ყველანი აჰყნენ და ადიდეს უფალი ლერთი და სული წმინდა, რომელიც, მათის რწმენით, იმ დროს იმ დარბაზში იმყოფებოდა. ერთად სთქვეს მრავალი სხვა საგალობელი და, ბოლოს, „ქრისტე აღსდგა“ დაიწყეს.

მწყობრად, იღტაცებით და სასოებით გალობდნენ, თანდათან ხმას უმატებდნენ, ყელის ძარღვებს იქიმავდნენ და მისტიურ აღზნებაში შედიოდნენ.

ლოცვა რომ გაათავეს, მათმა მოძღვარმა და ძე ღვთისამ ქადაგება დაიწყო.

კვაჭი კუთხეში იდგა და გრიშკას გულმოდგინელ უგდებდა ყურს. წმინდანის ენის გაგებას კვაჭი ძლიეს შეეჩინა, ზოგჯერ მაინც არაფერი ესმოდა, რადგან რასპუტინის რუსული უხვად იყო აფერა-დებული მეტად ბუნდოვან მუჟიკურ-სლავიანურ სიტყვებით.

გრიშკაშ იმ ეკლესიის შეილებს ჯერ თავიანთი მოძღვრების თორმეტი მცნება მოაგონა:

„მე ვარ ძე ლეთისა, კაცთა შორის მოვლენილი, მისატევებელად ცოდვათა და არა არს სხვა ღმერთი გარდა ჩემისა“;

„რაზედაც ერთხელ შესდექით, აღარა დასტოეოთ იგი“;

„ერთგულად მისდიეთ და შეასრულეთ ღვთისა მცნებანი“;

„დასათრობი არ დალიოთ, ხორცეული ცოდვა არ ჩაიდინოთ, არა იმრუშოთ“;

„ცოლს ნუ შეირთავთ, ცოლიანები განქორწინდით; ვისაც ცოლი ჰყავს, ისე იცხოვოს მასთან, ვითარცა დასთან“;

„ნუ იღანდებით და ნუ ჰქონდობთ, ვინაიდან ქურდს იმ ქვეყნად სპილენძის შაურიანს დაადგებენ კეფაზე და მხოლოდ მაშინ შეუნდობენ, ოდეს ის შაურიანი დადგება“.

მერე ჩიქორთულად და ნართაულად იგი მცნებანი განმარტა, უფრო კი იმ მცნებას დააწვა, რომელიც ცოლ-ქმრობას და სქესობრივ ურთ-ერთობას შეეხებოდა.

სთქვა:

— სული კეთილია, ხორცი ბოროტია, ამიტომ იგი ბოროტი ხორცი უნდა ესტანჯოთ, დავასუსტოთ და ჩავკლათ. ამისთვის მარხვა უნდა შევინახოთ, ხორცეული არ ვჭამოთ, დასათრობი არ დავლიოთ, თამბაქო არ მოვწიოთ, ქალალდი არ ვითამაშოთ, არ ვიცეკვოთ და არც ვიმრუშოთ;

ცოლ-ქმრობა ცოდვაა, გარნა უამსა დღევანდელ ლოცვისასა სული წმინდა ყველას მისცემს სულიერს მეულლეს;

ასეთ მეულლეთა შორის ხორციელი კავშირი ცოდვად ან მრუშობად არ ჩაითვლება. სხვათა ცოლებთან ურთერთობაც ცოდვად არ ჩაითვლება, ვინაიდან „ასეთი სიყვარული მხოლოდ ტრედთა კურკურია“;

სული ჩვენი უკედავია, მარადიულია; იგი მუდმივ იყო, მაგრამ არ ვიცით, რამდენს ხანს და რომელს ცხოველში ჰბულობდა;

შემდგომ ჩვენის სიკვდილისა, თუ „ღვთის კაცი“ ერთგულად ასრულებდა ღვთის მცნებას, მისი სული გარდაიქცევა ანგელოზად, ხოლო თუ იგი ცოდვილი იყო, მისი სული ჩაუდგება იმის ხასიათის მსგავსს ცხოველს ან ბავშვს, რომელიც უწმინდურად ითვლება, სანამ ჩვენებურად არ მოინათლება;

ლმერთი ერთია, მაგრამ იგი და ძე მისი ქრისტე ხშირად განსახიერდებიან ერთს ან რამდენიმე წმინდა ადამიანში;

იესო ქრისტე ჩემისთანა მომაკვდავი იყო, იგი ბუნებრივის სიკვდილით მოკვდა და დაიმარხა იერუსალემში.

მერე გრიშკამ გაიხსენა თავიანთი ღმერთი უფალი, რამდენიმე წმინდანი, ქრისტე, მოძღვარნი და წამებულნი: ფილიპოვი, რომელიც ვითომ ზეცად ამაღლდა, ივანე სუსლოვი, პროკოპი ლუკინი, ანდრეი პეტროვი, დედაკაცი ტატარინოვისა, ავაკუმი, კოპილოვი, კატასონოვი და მრავალნი სხვანი, რომელთაც თავი დასდეს ღვთის კაცო წმინდა და ჰეშმარიტ ეკლესიისთვის.

ბოლოს, თავისი თავიც გაიხსენა:

— ერთხელ ვიხილე ცანი განხმულნი და სული ღვთისა გარდამომავალი, ვითარცა ტრედი, მის ზედა; და მოვიდა იგი და დამადგრა;

„და ხმა იყო ზეცით, და სოქვა: გრიგოლ, შენ ხარ ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო გიყავ;

„და მეყვესულად სულმან გამიყენა უდაბნოდ;

„და ვიყავ მუნ დღე სამიოცი, და გამოვიცადებოდე ეშმაკისაგან, და ვიყავ მუნ მხეცოა თანა, და ანგელოზი მმსახურებდეს მე;

„და გვამდი მუნ მეალსა და თაფლსა ველურსა“.

მერე გაიხსენა სულის წასწყმედი ცდუნებანი, ეშმაკი, ქალნი და ქაჯნი, „რომელი მოსრულ იყვნენ წარწყმედად გრიგოლისა“, და მრავალი თვისი სისწაულოთმოქმედება:

„ყაზანში ვნახე მრავალი კეთროვანნი და ცოდვილნი, რომელთა სულსა შინა ეშმაკი ბუდობდნენ, და ვრქვი ერთსა: პირი დაიყვა, და განვედ მავისაგან! და დასცა იგი სულმან მან არა-წმინდამან, და ხმა ჰყო ხმითა დიდითა და განვიდა მისგან“.

და განპხდა ამბავი ეშმაკთა განმდევნელის გრიგოლისა ყოველსა მას სოფელსა და ქალაქსა რუსეთისასა:

— სარატოვში ერთი მონაზონი დაერდომილიყო მხურვალებითა, და მითხრეს მე მისოვის. და მოვედ, და ვუპყარ ხელი ჩემი, და ალვადგინე იგი, და მეყვესულად დაუტევა იგი მხურვალებამან მან, და აღმსდგა და გვმსახურებდა ჩვენ.

„და ვითარ შემწუხრდებოდა და მჩე დაპვიდოდა, მოპყანდნენ ჩემდა ყოველნი სნეულნი და ეშმაკეულნი. და ყოველი ქალაქი, და ყოველნი დედაკაცი შეკრებულიყო წინაშე ჩემისა, და განვჟურნე ყოველნი ბოროტაგან სენთა, და თითო სახეთაგან სნეულებათა, და არა უტევებდი სიტყვად ეშმაკთა მათ, რამეთუ იცოდეს ვითარმედ მე ქრისტე ვარ.“

„და ვრჩევი მოწაფეთა ჩემთა: მოვედით და წარვიდეთ მახლობელისა და ბეჭდისა და ქალაქებსა, რათა მუნ უშექადაგოთ და განვდევნოთ სნეულთაგან ეშმაკნი, რამეთუ ამისთვის მოვიცლინე.“

„და ვქადაგებდი შესაკრებელთა მათთა და ყოველსა რუსეთსა, და ეშმაკთა განვასხმილი.“

შერე წმინდა გრიგოლი ასწავებდა მოწაფეთა თვისთა:

— ვითარმედ აღსრულებულ არს ეამი, და მოახლოვებულ არს სასუფეველი ღვთისა, შეინანეთ და გრწმენინ ჩემისა;

„მოვედინ და შემომიდევით მე და გყენე თქვენ მესათხევლე კაცთა;“

„და მე ნათელ-გცემთ თქვენ სულითა წმინდითა;“

„და მე განპეტრინონ ყოველნი ბოროტაგან სენთა, და განვასხნა ეშმაკნი, და დავსცე სულნი არა-წმინდანი, და დავამკვიდრო სულთა თქვენთასა, — დედანო, ძმანო და დანნო ჩემნო! — მშეიდობა მარადიული, შეება სამოთხისებური, ლხენა ზეციური, სიყვარული და-ძმური და აღერსი მამა-შევილური“. —

და შემდგომად დუმილისა მიმოიხილა წმინდა მოძღვარმა გარემოს მისა მოწაფეთა თვისთა მსხდომარეთა, და პრეზა:

— აპა, დედანი ჩემნი, და დანი ჩემნი, და ძმანი ჩემნი, რამეთუ რომელმან ჰყოს ნება ჩემი, მან ჰყოს ნება უფლისა ჩვენისა, და ესე არს ძმა ჩემი, და დაი ჩემი, და დედა ჩემი.

„ძვირფასო დედანო, ძმანო და დანნო ჩემნო!“

„იღხენდეთ ვითარცა ცასა შინა, რამეთუ თქვენთან არს ძე ღვთისა და სული წმინდა!“

„შეიყვარებდეთ ურთერთ ვითარცა სამოთხესა შინა, და კურ-კურებდეთ ვითარცა ტრედინი, რამეთუ კეშმარიტად გეტუვით თქვენ: არა არს სიყვარულისა შშობლიურსა და და-ძმურსა შინა არცა ცოდვა, არცა მრუშვა, არცა სიძვა. —

„განვედ ჩვენგან ყოველნი ეშმაკნი, კეთროვანნი, სნეულნი და სულნი ცოდვილნი!“

— განვედ! განვედ! განვედ! — ერთხმად უპასუხეს ღვთის კაცებმა.

წმინდა გრიგოლი უცნაურად აინთო, აისკეტა და ცას მისწვდა. და მისმა შეგირდმა და ერთგულმა მეგობარმა კვაჭი კვაჭანტირაძემ გაისხენა ის დღე, ოდეს გრიგოლი მეფეს არიგებდა და მისთვის პლოულობდა; გაისხენა აგრედვე გრიგოლის გულწრფელი სინანული, და აკეირდა დღევანდელს, ცაში გაფრენილ ღვთის კაცს, იმისს ანთებულ ტანს, ცეცხლმოკიდებულ თვალებს, მქუხარე ხმას,

და მიუხედა წმინდანის უმაგალითო ძალას, უსაზღვრო გავლენას და მძლეთა-მძლეობას. წმინდა გრიგოლი ცეცხლის ენით განაგრძობდა:

— და დამყარდეს ჩევნთა სულთა და ხორცთა შორის სიყვარული ლვთაებრივი და ნეტარება მარადიული.

— ამინ! ამინ! ამინ! — კვლავ იგრიალა დარბაზში.

— და ვიქმნეთ ერთხორც და ერთგულ, და ვილხენდეთ, და ვიგალობდეთ და ვადიდებდეთ უფალსა ღმერთსა ჩევნსა.

და გალობით დაამთავრა ქადაგება თვისი:

— ალლი-ილუ-უ-ია-ა-ა...

და იმშალნენ ლვთის კაცნი;

და ჩაავლებდეს ურთერთ ხელთა თვისთა;

და გამართეთ დეს ფერხულსა და როკვიდეს როკვასა და-ძმურსა;

და იგალობდეს სირინოზთა და ანგელოზთაებრ გალობასა წმინდასა, ხმითა ციურითა, გულითა ტრედისათა და სულითა წმინდისათა:

— ალლილუ-უ-ია-ა! ალლილუ-უ-ია-ა! ალლილ-უია-ა-ა...

ძეს ლვთისას ერთი მხრით ელენე ჰყავდა ჩაბმული, მეორე მხრით — ლვთისმშობელი ლოხტინისა.

კვაჭის მარცხნივ ტანია ამოუდგა, მარჯვნივ — ის დედაკაცი, რომელმაც რამდენიმე დღის წინად რეინის გზის ვაგონში გრიშკას წინაშე „რამდენჯერმე ბოდიში მოიხადა“.

კვაჭის ამხანაგებმაც თითო ჩაეიტრული ქალი აირჩიეს და საერთო ფერხულში ჩაებნენ.

„ჩახვეული“ ფერხული ჯერ დინჯად და წყნარად მიიჩლაზნებოდა, საგალობელსაც შესაფერის ტემპით ჰეგალობდნენ; მერე თანდათან სიტყიცხს უმატეს.

ფერხულის შუაგულში რამდენიმე ქალი და ვაერ ცალ-ცალკე ფეხის-აყოლებით ერთ აღგილზე სტრიალებდნენ.

მერე „ჩახვეული“ წყება შეიცვალეს და „კედლით“ დაწყვნენ, რამდენსამე ჯგუფად დაიყვნენ, თან რიტმს და ხმის ძალას მოუმატეს.

ცოტა ხნის შემდეგ „კედლურიც“ ჩაშალეს და „ხომალდური“ გააბეს; წეროებივით ერთმანეთს გაჰყვნენ, მეტი ცეცხლი შეიკეთეს და ნაბიჯიც აიჩქარეს.

როცა კარგად მოილალნენ, ჯვარედინად დაიყვნენ და „ჯვარული“ ჩამოუარეს, თან მეტად გაფიცხდნენ და გაკაპასდნენ.

ბოლოს, გრიშკამ დაიძახა:

— ტრიალით! ტრიალით!

ერთმანეთს ხელი გაუშვეს და ერთს აღგილზე ციბრუტივით დატრიალდნენ.

ლვთის კაცებს და ლვთის ქალებს პირსახე აელექტათ და აუწი-
 თლდათ, თმები აეწერათ და ჩამოეშალათ; ოფლი წურწურით ჩამოს-
 დიოდათ. თავბრუ ეხვეოდათ და გული მისდომდათ, მაგრამ მაინც
 კორიანტელივით სტრიალებდნენ, თავსა და ხელ-ფეხს უგზო-უკვლოდ
 იქნედნენ, გალობის მაგივრად სულ-შეგუბულნი ჩახლებილის ხმით
 ნაშევეტ-ნაშევეტად გაუგებარს პროშავდნენ და უცნაურს სიტყვებს
 ისროლდნენ.

ყველანი დარეტიანდნენ, გაიტიქნენ და გაბრუვდნენ.

ჯერ ერთი წაბარბაცდა, წატორტმანდა და მოჭრილ მორგვე-
 ვით წაიქცა, მერე—მეორე, მეორეს მესამე მიჰყვა, მეხუთეს—მე-
 ექვსე და მეცხრეს მეათე.

წამდაუწუმ ხათქა-ხუთქი ისმოდა. იატაკი თეთრის კაბებით,
 პერანგებით და ხალათებით აიპენტა.

ფეხზე მდგომი იმ გიფურ კორიანტელს ჯერ კიდევ უძლებ-
 დნენ, მაინც უაკე ბარბაცებდნენ, სტორტმანებდნენ და გალობის მა-
 გივრად ხრიალებდნენ და სისინებდნენ, ხოლო წაქცეულნი გასუდა-
 რებულ ცხედრებივით ეყარნენ და უცნაურს და გაუგებარს რასმე
 ჰბოდავდნენ და წინასწარმეტყველობდნენ.

აქეთ-იქიდან მათი მილეული და უილაჯო როტეა, ბუტბუტი,
 კივილი, ჩურჩული და ბურტყუნი ისმოდა:

— ჩვენთან არს ძე ლვთისა!..

— ლვთის კაცნო და ქალნო! ილხენდეთ და იშვებდეთ!..

— ჩემში არს სული წმინდა, დანო და ძმანო!..

— მე ვარ ტრედი ცისა და მშობელი ლვთისა! — ჰბურტყუნებ-
 და „ლვთისმშობელი“ ლოხტინისა: — მოვედინ და სათნო მიყავ, საყვა-
 რელნო ძმანო ჩემნო!.. ჩემში არს ძალა ყოველი და სიყვარული უზ-
 ღურბლო, რამეთუ ამისთვის მოვიულინე... ალილუია... ალილუია...
 ალილუია!.. წმინდაო მამაო, დაკრძომილ ვარ მხურვალებითა. მო-
 ვედინ და მიჰყარნ ხელნი შენნი და განმეურნე ბოროტთაგან სენთა...

— ვხედავ ცათა განხმულთა და სულსა ლვთისასა გარდამომა-
 ვალსა, ვითარცა ტრედი, მის ზედა... უფალო, შემიშყალე!..

— ალრულებულ არს უამი, და მოახლოვებულ არს სასუფეველი
 ლვთისა... შეინანეთ, მამანო და ძმანო, და გრწმენინ ჩემისა...

— იყსო ქრისტე! შენ ხარ ძმა ჩემი! მოვედ ჩემდა და დაამ-
 კვიდრე სულსა ჩემსა შინა სიყვარული და-ძმური, ალერსი ზეციუ-
 რი, ლხენა მარადიული და შვება სამოთხისური... მოვედ, ძმაო,
 ჩემდა!.. მოვედ!.. — ჰბუტბუტებდა ტანია და ხელებს კვაჭისკენ იშვერ-

და, რომელიც ჯერ წაქცევას არ ჰპედავდა და ბარბაცით მარტხნივ მიიწევდა, სადაც გულ-აღმა ეგდო ის დედაკაცი, „რომელმაც რამდენ-ჯერმე მოიხადა ბოლიში“ გრიშკას წინაშე.

კვაჭიმ სედრაკას თვალი უყო. სედრაკა უმალ ტანიას გვერ-დით წაიქცა.

უცებ კორიანტელმა ლამფა ჩააქრო.

კვაჭიც მაშინვე დამიზნებულ ადგილს წაიქცა.

და დიმყარდა მუნ წყვდიადი განუჭვრეტელი;

და იხილეს დათა და ძმათა, მამათა და დედათა ცანი განხ-მულნი, და სული ლვთისა გარდამომავალი, ვითარცა ტრედი, მათ ზედა;

და იყო დარბაზსა მასა შინა სიყვარული და-მტური, ალერსი ზეციური, ლხენა მამა-შეილური და შეება სამოთხიური;

და ვითარ ზეცა ნათელ ილებდა და მზე ამოჰვიდოდა, ისმოდის მუნ კურკური ტრედთა;

და გალობა სირინოზთა და ანგელოზთა;

და ლრენა და ლმუილი მხეცთა;

და ყმუილი და ლრიალი მაიმუნთა;

და წერტუნი და კვნესა ეშმაკთა და სულთა არა-წმინდათა, რომელნ განსხმულ და განდევნილ იქმნენ მშიერთა და სნეულთაგან ჯოჯოხეთსა შიგან უკუნითი უკუნისამდე;

და ლამესა მას დანი და ძმანი ოთახებსა შინა შევიდოდეს, და ძმანი დათა გამოსცვლიდეს, და დანი ახალთა ძმათა და ახალთა სიყვარულსა იპოვნიდეს და იგემებდეს.

ასე დასრულდა „ლვთის კაცების“ საიდუმლო სერობა.

დილით კვლავ შეიქრიბნენ და კვლავ აირჩიეს გრიშკა რასპუ-ტინი ძედ ლვთისად, ლოხტინის ქვრივი—ლვთისმშობლად და თორ-მეტი ლვთის კაცი და ქალი—თორმეტ მოციქულად, და მათ შორის ქვაჭი, ელენე, ტანია და რამდენიმე წარჩინებული და დიდებული.

მერე ყველანი ხატებით და გალობით სადგურისკენ გაემართ-ნენ გასაცილებლად ძისა ლვთისა გრიგოლისა, რომელ წარვიდოდა წმინდასა ქალაქსა იერუსალემსა თვისთა საკუთართა და დათა მისთა, და ძმათა მისთა, და დედათა მისთა ცოდვათა მო-სანანებლად.

და გზა და გზა წმინდათა მათ მლოცველთა მიეცის და მიემატებოდის მრავალნი თანამგრძნობნი, მიმდევარნი და მო-წაფენი, რომელნი იგალობდის საგალობელთა წმინდათა და იხა-

როდის მომავალსა ცხონებასა ძისა ღვთისასა, და ჰლვრიდის ცრემლ-
სა მრავალსა, რამეთუ დადგა უამი განშორებისა.

და იყო სადგურსა შიგან ქვითინი და ოხრა მრავალი, კვნესა
და კივილი, წეწვა თმათა, ხოკვა ღაწვთა და ლოშნა უთვალავი.

და ჰქონდათ მოწაფეთა მათ ღაწენი დაჭუნობილ და თვალნი
ვითარცა გუბე დაუშრეტელ.

და გულისა შესაზარად დაიყივლის, და ხმა ჰყო ხმითა დიდი-
თა მანქანებამან ეშმაკისამან.

და მოიტაცის მანქანებამან ეშმაკისამან ძე ღვთისა, წმინდა მო-
ციქული, მოძღვარი, პატრიარქი და მეფე თვითპურობელი სრუ-
ლიად რუსეთისა—გრიშა რასპუტინი...

და მეყვეულად წარვიდნენ და დაიშალნენ მოწაფენი მისნი
კვლავ წმინდისა მოძღვრებისა საქადაგებლად, საიდუმლო სერობისა
განსამეორებლად და ძისა ღვთისა სადიდებლად.

ამინ!

კარი მეოთხე.

აქა ამბავი ამხანაგობის ბუდეს მოშლისა.

რასპუტინი რომ იერუსალემში გაემგზავრა, კვაჭი კვაჭანტი-რაძემ და მისმა მეგობრებმაც ცხადად იგრძნეს და გაიგეს თავიანთი დაობლება და ეულობა.

კვაჭის თითქოს დედაბოძი და საძირკველი გამოეცალა, თითქოს მარჯვენა მოსწყდა და საცხოვრებელი წყარო გაუშრა. ის დაემსავსა ნაპირზე გადმოგდებულ თვეშს, ფრთა-მოტეხილ არწივს, ძუძუ-მწოვარა ბავშვს, რომელსაც დედამ უცებ ხელი გაუშვა და თავიც დაანება.

— ამ, რა მემართება აი? — ჰეითხა კვაჭიმ თავისს თავს: — ფული ბრეული მაქვს და ნაცნობ-მფარველი. მართლა ვრიშეა ხომ არ მაცხოვრებდა! თუ მტრებმა გაიღვიძეს და მიჯიავეს, აქინე არ არიან მეფე-დედოფალი და ათასნი წარჩინებულნი და დიდებულნი; რომელნიც გუშინ-ლამ ჩემს ლიმილს ეძებდნენ და კუდვით დამდევდნენ?!

კვაჭი ასეთის ფიქრებით იმშვიდებდა გულს, მაგრამ უხილავი შიში მაინც არ ჰშორდებოდა და გულს ულრღნიდა.

სადგურიდან რომ დაბრუნდა, სახლში არავინ დაუხედა გარდა აგენტის ხაინშტერინისა.

— ამბავი?

— ცუდი ამბავი, ძალიან ცუდი ამბავი! ბანკები ისევ ონკალის შევსებას ოხოულობენ და იმშქრებიან, აქციებს გაგიყიდითო. იმდენა აქციები რომ ბირეაზე გაიტანონ, უარესად დაეცემა ფასი და ხეალ ხელმეორედ დაგვჭირდება ონკალის შევსება.

— გამყიდეთ „ანგლოროსის“ აქციები და შეიტანეთ ბანკებში, მეტი გზა არ არის.

— შედეგი იგივე იქნება. აქციების ფასი დაიწევს.

— მაშ რა ვქნაო? ამოდენა ნაღდი ფული საღ ვოშოვო?

— აქციების პორტფელი განუსს ან გინცს დაუგირავეთ.

კვაჭი და ხაინშტერინი მთელი დღე ბანკებში, ბირეაზე და ფულიან ხალხში სტრიალებდნენ, მაგრამ ყველგან იდუმალ და უძლევილ კედლებს აწყდებოდნენ.

ბოლოს, იდუმალ ხაფანგში ფართხალით დალლილი კვაჭი ვის მრჩეველს—ხაინშტეინს გაჰყავა, რომელმაც იგი გინცის მიერ ნაჩენებ გზით წაიყვანა.

ზოგი აქციები დაგირავა, ზოგი გაჰყიდა, ზოგი გამოისყიდა და ზოგიც იყიდა, მაგრამ ბოლოს მაინც ფული შემთავლდა, მაინც იხსობოდა, მაინც ვერ გამოსტოპა იმ ჭიათიდან და სამშვიდობოს ვერ გამოვიდა.

გაყიდულ აქციებს მეორე დღიდანვე ფასი ემატებოდა, ნაყიდ აქციებს—უფრო აკლდებოდა.

დღე დღეს მისდევდა და წაგება—წაგებას. კვაჭი უფრო და უფრო იხლართებოდა უჩინარ ქსელში, რომელიც ბოლოს ხილულ გაკოტრებად უნდა გადაქცეულიყო.

უკანასკნელ დღეებში კვაჭის უფრო და უფრო ხშირად ესმოდა:

— ვანსხვავება შეავსეთ... შემოიტანეთ... გადაიხადეთ...

კვაჭიც უაზროდ და უმინნოდ ფართხალობდა გაკოტრების ბალეში და თუთიყუშივით იმეორებდა:

— გაჰყიდეთ!.. დაგირავეთ!.. იყიდეთ!.. გამოისყიდეთ!.. შეიტანეთ!.. გამოიტანეთ!..

ბოლოს, თვალები გაახილა, ყველაფერი დაინახა და გაიგო; გაიგო და დაიღრიადა:

— მაშველეთ! ვიღუპები! დამეხმარეთ!

მაგრამ გვიან-ღა იყო. დახმარების მაგიერ ყოველის მხრით უარესად დაყარეს და დააჭირეს.

კვაჭი ჯერ ელენეს ეცა, მერე ტანიას, მაგრამ „არკადიაში“ მოხხდარ საქვეყნო სირცხვილისა და წმინდა გრიგოლის წასელის შემდეგ, ორივენი უცხოეთში გაპარულიყვნენ და კვაჭისთვის მოკლე ბარათი დაეროვებინათ: „ჩევნო ძეირფისო მეგობარო! მას შემდეგ, რაც „არკადიაში“ მოხდა, ჩევნო აქ აღარ დაგვედგომება. დროებით ეკროპაში მიღდივართ და შენც გირჩევთ თავის მორიცებას. მუტმი-ვი საცხოვრებელი ქალაქი ჯერ არჩეული არა გვაქვს. ნახვიმდის! ღმერთმა ხელი მოგიმართოს, თუმცა... ორივეს ბევრი რამ გვაქვს სათქმელი, მაგრამ სხვა დროისთვის გადავდეთ. შენი ტანია და ელენე“.

გინცმა და განუსმაც ცივი წყალი გადასხეს.

კვაჭიმ რამდენჯერმე კიდევ გაიფართხალა, რამდენჯერმე გაიქნია ხელ-ფეხი და გარდაიცვალა.

კვაჭი საქმის კაცი, კვაჭი ფინანსისტი და ბირეის მფლობელი გახდილ და განაწილებულ იქმნა გინცის, განუსის და მათი აგენტების მიერ.

იმავ დღეს კვაჭის თავს წაადგნენ მისი ამხანაგები:

— სედრაკ, მიშველე!

— ჰამე? გაკოტრდი? ათი თუმანი გიშველის?

— წა, დეიკარგე!

— მილიონები წყალში გადაგიყრია, ეხლა სედრაკამ როგორ უნდა გიშველოს? — უსაყვედურა ჩეუბიშვილმა.

ჩიკინჯილაძეც ჩაერია:

— აგია, აფხანიკებს რომ აფერს დოუჯერებ! გვითხარი, რა ვქნათ აწი?

— საქმე გართულდა, — სთქვა დინჯად ბესომ და კვაჭის გაზეობი გადაუშალა: — ა, წეიკითხე.

წაიკითხეს:

„რუსსკო დელო“ ცეცხლს აფრქვევდა იმის გამო, რომ „მარლო-მადიდებელთა უუდიდეს ტაძრის აშენება ვიღაც ველურ კავკა-სიელს — K-ს მიანდევს, რომელმაც ეს საქმე ურიებს გადასცა“.

შეორე გაზეოთი ირწმუნებოდა, ვითომ კ. კ-ძემ „ყალბი პას-პორტით“. შეპყო თავი მეფის სასახლეში, ვითომ კვაჭის აზნაურობაც კი საეჭვო იყო, ხოლო თავადობა კვაჭიმ და „ერთმა წმინდა მოხუცმა“ მეფეს მზაკერულის ონბაზობით დასცინცლესო.

მესამე გაზეოთმა გამოაცხადა კვაჭის გაკოტრება, დახახლოებით ასწერა მისი ბიოგრაფია და მუქარაც დაუმარა: ამ დღეებში ამ ყმა-წველის სრულს ვინაობას, სახელს, გვარსა და თავგადასავალს გამოვაცხადებთო.

კვაჭი აინთო, გაფითრდა, გაწითლდა და გამწარდა. ის გაზე-თები ნაკუწ-ნაკუწად აქცია, მერე სავარძელზე დაეცა და ამოიკვნესა:

— გათავდა!.. მორჩა!.. ყოლიფერი დეიწვა და დეიქცა!

ყველანი დიდხანს სდუმდნენ.

მიბნედილი კვაჭი თვალდახუქული იწვა და გაფითრებულ შუბლს ისრესდა. მერე უცებ წამოვარდა, გასწორდა და „გაშტი-კინდა“, თვალებით ცეცხლს ჰყრიდა, ხოლო იმის ხმაში ფოლადი და რკინა ისმოდა:

— აჲ, ყოლიფერი მაი ტყუილია! კვაჭი კვაჭანტირაძე ასთე ად-ვილად არ დეილუპება. სედრაკ!

— ჰამე!

— წა ეხლავე და ათითდე „გრანიცის“ პასპორტი მოამზადე. ერთი პასპორტი თავადი ბაგრატიონ მუხრან-ბატონის სახელზე იყოს; მეორე — ავლანის ემირის მექვიდრისა; მესამე — პრინც კაჯარისა; მეოთხე — თავად ტრუბეკოისა; მეხუთე — გრაფ ტიშკევიჩისა და მე-

ექვსე—ბარონ ტიხენჰაუზენისა. შენც მეიგონე კიდო რამდენიმე ახ-
ნოურის გვარი. ხვალ დილით ყოლიფერი მზად უნდა იყოს, გეიგე?

— პამე? გავიგე, მაშ!

— აბა, გასწი! კიპი! ლადი! ჯალილ! გაბო! წადით ეხლავე იმ
გაზეთების რედაქციებში და ყოველი კაცი გააჩუმეთ, ზოგი მუქა-
რით, ზოგიც ფულით. უთხარით: „კაცი თლა ჩამოშორდა აქოურო-
ბას და პალესტინაში წევიდა რასპუტინთან თქვა; თავი დაანებეთ,
გაჩუმდით თქვა, თვარა, თუ არ დეიშლით და კიდო რაცხას დაჩხაბ-
ნით, დაბრუნდება და ყოველ კაცს დედას გიტირებს თქვა! წეიგვა-
ნეთ სამიოდე ყოჩალი ბიჭი და, თუ საჭირო შეიქნა, თლა დოუ-
ტერიეთ იქოურობა და იქნობამდის სტყიპეთ, სანამ დეილლებოდეთ.
აპა, გატრიალდით! გეიგეთ ყოლიფერი?

— ვა, მაგაზე ადვილი რალი იქნება! შენ სხვას ნურაფერს
მომთხოვ, თორემ ჩხუბი—ჩხუბიშვილის საქმეა.

— მაშ წადით. ბესო! აპა, დატრიალდი. იშოვე ვინცხა მდი-
დარი კაცი და ხვალვე ყოლიფერი გაყიდე. რა სთქვი? ტანიასია
ყოლიფერიონი?.. ვიცი, მარა რა დროს ტანიაა, ლამის კაცი დევიწვა!
კი, კი, ვეჯიც, ცხენებიც, ავტომობილიც... ყოლიფერი, ყოლიფერი!
დიემზადე შორი გზისთვის... წასვლა არავის გააგებიოთ. აპა, დატ-
რიალდი. მეც ერთ პატარა საქმიზა წავალ... ჯალილ, ჩამაცვი ჩქა-
რა! დოუხახე „ბერლიეს“. აპა, ჩქარა! დატრიალდით!

კვაჭი ჯერ ერთ მინისტრს ეწვია:

— მათს მაღალადმატებულებას არ სცალიან.

კვაჭი მეორესთან გაიქცა:

— მათი ბრწყინვალება შინ არ გახლავთ.

კვაჭი მესამეს მიადგა:

— მათი უუწმინდესობა აეად ბრძანდება.

კიდევ ხუთიოდე დიდებულს და წარჩინებულს მიადგა, მაგრამ
უველა კარები დაკეტილი დაუხვდა, უველამ კვაჭის ზურგი შეა-
ქცია და მისი მაღლი დაივიწყა.

— კაი!—წამოიძახა გამწარებულმა კვაჭიმ: რაյო უველა გზე-
ბი მომიქრეს და ყველა კარებები დამიკეტეს, უკანასკნელ კარებს
მივაწვები და, თუ იგი ცხვირში მოხვდა ვისმე, აი ჩემი ბრალი ნუ-
ღარ იქნება.

იმავ დღეს განუსის მეულლეს ეწვია და უთხრა:

— ყური მიგდე, ჩემო ტურფავ! ჩემმა მტრებმა ჩემი დამარ-
ხვა განიზრახეს. სამწუხაროდ, ამ ჭუკვიან საქმეში შენი ქმარიც

ჩერია. მე კეთილშობილი და პატიოსანი კაცი ვარ, მაგრამ ნება-
 ყოფლობით მიწაში მაინც არ ჩავალ. ყველა გზები დაკეტილი მაქვს.
 ჩემი უკანასკნელი იმედი შენა ხარ; შენ უნდა მომეშველო, თორემ...
 თორემ შენის წერილებით, აი, ამ წერილებით შენს ქმართან მივალ...
 ნუ აღელდი, დამშვიდდი და ყური მივდე. ჩემის დახმარებით შენმა
 ქმართა ხუთი ვაგონი ოქრო მოივო. ეხლა კი ჩემი ჯერია, ეხლა მე
 მჭირდება დახმარება. რაო? როგორ უნდა დამეხმარო? უნდა ფული
 მასესხო... რა სთვი? ამდენს ვერ იშოვნი? გაიჩეჩე და ძალიან ადვი-
 ლად იშოვნი. შენ დიდამლი საკუთარი ქონება გაქვს, ქმარიც ხელ-
 ში გავას. თუ გინდა, ეგ ფული მერე ქმრის ჯიბიდან შეივსე... შე-
 ვსება არ გინდა? კეთილი, თუ გნებავს, ნუ შეივსებ. მე ჩემი მომეცი
 და მერე, როგორც გენებოს, ისე მოურიგდი შენს ბებერ ქმარს. მაში
 ხვალ მოვიდე? კეთილი და პატიოსანი, მაში ხელამდის!

ამავე დროს გაბო ჩხუბიშვილის მეთაურობით ამხანაგები
 რედაქციებს მოედვნენ. ერთ გაზეთს ათასი მანეთიანი გან-
 ცხადება მისცეს შესახებ იმისა, ვითომ ცარევო-კოშაისეში რა-
 ღაც საჯარო ვაჭრობა იმართებოდა, და თან გუშინდელ შენიშვნაზე
 ისეთი განმარტება დააწერინეს, ვითომ ის შენიშვნა ჰგული ხმობდა
 ვიღაც თავიდს კონსტანტინე კიმუხაძეს. მეორესაც ადვილად მოური-
 გდნენ, მაგრამ მესამე გაზეთის რედაქტორი ახირდა და გაიპრაბება.

— მაში თქვენი სეკუნდანტები დაასახელეთ.

— რაო? დუელი? ჰმ! ეს ხომ ველურების საქმეა!

— მაში თქვენი ბრალი იყოს სისხლის დაღვრა.

და ამხანაგებმა რევოლვერებზე გაიკრეს ხელი.

რედაქტორი და მისი თანამშრომელნი დაფუთდნენ და უმალვე
 მოლენენ:

— რა ამბავია? რა მოხდა იმისთანა, რომ თოფის წამალივით
 აფეთქდით?..

— საკეირველი ხალხი ხართ ქართველები, მაშინვე იარაღზე
 გაიკრავთ ხოლმე ხელს.

— ერთ უბრალო შენიშვნისთვის? ხა! რა არის ერთი უბრალო
 შენიშვნის დაბეჭდვა?! ხა! ლცი სტრიქონის მეტი ხომ არ გამოვა!

— აბა, დავსწეროთ და გავათავოთ.

დასწერეს და გაათავეს, მერე ერთმანეთს გაულიმეს, მოუქონეს,
 ზურგზე ხელები დაუტყაპუნეს და დაპშორდნენ.

სამ დღეში კვაჭიმ ყველა საქმეები „გააიმასქნა“ და ვაჩშავის
 მატარებლის კუპეში ჩაჯდა.

აქა ამბავი ემირის დახვედრისა და კვაჭის
დამუნჯებისა.

ბელადი ბუხარის ხალათში იყო გახვეული. თავზე ჩალმა ჰქონდა მოკრული და ფეხებზე ძეირფასი ქმშები ეცვა. მეზობელ კუპეში მხლებელნი ჰყავდა. ისინიც უცნაურად იყვნენ მორთულნი და მოქაზმულნი.

კვაჭის ჯიბეში ედო ავღანელ პრინცის რაბიბულლა აბდულ რაჟმან შეინალის პასპორტი, ხოლო პორტფელში—სხვადასხვა ეროვნების თავადთა, ბარონთა და პრინცთა კიდევ ხუთიოდე პასპორტი ჰქონდა მომარაგებული.

კვაჭის მეგობრებსაც ასეთივე პასპორტი ჰქონდათ დამზადებული, ხარისხით და წოდებით უფრო მცირედი, როგორც შეეფერებოდათ დიდებულის მხლებლებს, აღიუტანტებს, მდივნებს და კამერდინერებს.

კონდუქტორმა ჭიპის კვაჭის ვინაობა გამოჰკითხა და, რომ ვაიგო მისი ემირობა, ეს ამბავი უანდარმს ვაკერით შეატყობინა. უანდარმა თავისს უფროსს ვარშავაში შესაფერი დეპეშა ვადასცა, ხოლო მან ემირის მოგზაურობა გენერალ-გუბერნატორს მოახსენა.

ვარშავის სადგურს რომ მიადგნენ, ვაგონში ერთი ბრწყინვა-ლე აფიცერი ამოვიდა და ჭიპი ჭიპუნტირაძეს თავაზიანად ჰკითხა:

— თქვენ ბრძანდებით მათი მაღალბრწყინვალების, აელანის პრინცის მდივანი? მოახსენეთ პატივუმულ პრინცს, რომ მათი ნახვა ჰსურს გენერალ-გუბერნატორის ადიუტანტს.

დაფუთებული ჭიპი კვაჭის კუპეში შევარდა:

— დევილუპეთ!.. დაგვიჭირეს!.. გეიგეს!..

კვაჭი არ შეშინებულა, მხოლოდ შუბლი შეიქმნა და ჩაფიქრდა.

— ნუ გედირევით, „გაშტიკინდით!“ მე რუსული არ ვიცი; სედრაკ, შენ ჩემი მდივანი და თარჯიმანი ხარ; შენ, ბესო, ჩემი ექიმი ხარ. ყოჩალად იყავით, აქ რაცხა ამბავია. ფრთხილად! ქართულის მცოდნეს არ წიგაწყდეთ. ჩენი შიფრით ილაპარაკეთ. აბა, სთხოვე, მობრძანდეს!—თვითონ სავარძელზე გაწვა და ქარების ყალიონი გააბოლა.

ადიუტანტმა მოხდენილი სალამი მისცა:

— მაქეს პატივი გაუწყოთ, რომ მათი აღმატებულება, ვარშავის გენერალ-გუბერნატორი სალამს გიძლვნით და გოხვეთ პატივი დასდოთ მათ და საღილად ეწვიოთ.



კველას გულს მოეშვა. სედრიან აღიუტანტის თხოვნა და
სალაში ქართულ შიფრით გადაუთარებინა:

— ხომწი გაწიიგეწი, გპაწიიტიწიეოწიბენწი!

და გიხურდა ვაგონში „იწიწილიწინის“ და „აწაწაწის“ უუუმარ-ტიკესი სალაპარაკო შიტრი.

კვაჭიმ ოლნავ ჩაილიმა:

— აკი გითხარიო, აქინე რაცხა ამბავია თქვა? მაღლობა გოდუ-
ხადე და მოახსენე, რომ ჩემმა ექიმმა — აი, ბესო ჩემი ექიმია! — ვაკო-
ნირაან ჯასურა ამიწრალა, რაიგან აყარა ვარ.

სეირაკამ გადაუთარებნა, ბესომ კვერი დაუკრი.

აღიუტანტმა სინანული გამოსთქვა ემირის შემკვიდრის ავად-მყოფობის გამო და შეატყობინა, რომ სადგურის ბაქანზე მათს უბრძალებინა ალექსანდრა სხვილ-ორება მოხელენი უკვითან.

— სოხუმის მობრძანლობა.

ბატებიყით მოკენენ ერთმანეთს გუბერნატორი, პოლიცეის-
ტერი; ქალაქის მაგისტრი და მრავალნი სხვანი წარჩინებულნი მო-
ხელენი; ღიმილით და თავმოდრეკით წარუდგნენ კავკის და მიუ-
ლოცეს შევიღობიანი მგზავრობა. ერთმანეთი მოიკითხეს, აათვალ-
ხათვალიერეს, ერთმანეთს გაულიმეს და ამბავი გამოჰკითხეს, თა-
ნაც თაში უკრავდნენ და იუზებდონენ.

კვაჭიმ ყველას მოცემინა თვისი შადლი და ყველას დაურიგა
თბილი ღიმილი და უსიტყველ დაპირება მფარველობისა და დახმა-
რებისა: თავისს მდივანს იმ მოხელეთა გვარები და ორდენები ჩა-
აწერინა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ოდესმე, როცა პრინცი დაბ-
რუნდებოდა უცხოეთიდან, ის მოხელენი თავიანთ ორდენების სის
ალბათ აღანის ორდენებით შეიქსებოდნენ.

მერე ისევ თავის ქნევით და ლიმილით ვაგონიდან ბატებივიდ
გაიკრიფნენ, ხოლო ავლანის პრინცი და მისი მხლებელნი სიცი-
ლით იხუკიბოდნენ.

— რა ამბავია აი, როგორ გეიგეს აქინე. ჩემი მეზავრობა? —
იკითხა ქვეჭიძე.

— ჰამე? ობერ-ეკონდუქტორს ჭიპიმ უთხრა, რომ ჩვენთვის მეტი ჰატივი დაედო, იმანაც ალბათ სხვა ვინმეს უთხრა, იმ სხვა ვინმემ ჭილვა ალბათ დეპეშით შეატყობინა მოელ „ლინიას“.

— აჲ, მაი მეტად სახიფათოა. აქინე რაიმე კუანტი არ მოგვ-დონ. გზა უნდა აკრიოთ, თვარია...

ჩუმად კრიკოვის მატარებელზე გადასხდნენ და ავსტრიისკენ ჩაუხვივის.

კატტოვიცს რომ მიუახლოვდნენ, უანდარმმა მგზავრებს პას-პორტები ჩამოართვა გასასინჯად და უცხოეთში გასელის ნებარ-თვის მისაცემად.

კატტოვიცში ორი უანდარმი შემოვიდა ვაგონში. კვაჭი კუპეს კარებიდან ჰედავდა, რომ უანდარმები ყოველ მგზავრს გვარსა და სახელს ეკითხებოდნენ, მერე პასპორტების დასტილან იმის გასინ-ჯულ პასპორტს ამოარჩევდნენ და ჩააბარებდნენ.

ბოლოს, იმის კუპეშიც შემოვიდნენ.

— თქვენი გვარი და სახელი?

კვაჭის მეხი დაეცა და ცივმა ოფლმა დაასხა. აირია, გაფითოდა, გაწითლდა და ცახცახმა აიტანა. უცებ მოაგონდა, რომ ერთი სა-ათის წინ ბესომ კვაჭის ექვსი პასპორტიდან ერთი პასპორტი ამო-ილო, რომელიც ხელს მოჰვედა, და გაუსინჯავად ჩააბარა იმ უან-დარმს.

— ჩემი გვარი? — ელვის სისწრაფით გაითიქრა კვაჭიმ: — რა ვი-ცი, რომელი პასპორტი ჩააბარა? ჩავუთათორულო? იქნება ბარონი ტიზენჰაუზენის პასპორტი შისცა? ჩავუქართულო? იქნება თავადი ტრუბეციონის პასპორტი აქვთ ხელში?

— თქვენი გვარი და სახელი? — ხელმეორედ ჰქითხა უანდარმმა.

კვაჭი ოფლში იწურებოდა და თვალებს უაზროდ ჰბლიტავდა, თან ბესოს მოლოდინში კარებისკენ იცქირებოდა. უანდარმი იკვით შესცეკროდა.

— თქვენი გვარი და სახელი მეთქი! რა ამბავია, რა დაგემარ-თათ? ხომ არ დამუნჯდით?

რაო, ხომ არ დამუნჯდითო? — რა თქმა უნდა, კვაჭი დამუნჯდა! დიალ, იმ უანდარმმა კარგად გაიგო და გამოიცნო: კვაჭი მუნჯია, და-ბადებითვე მუნჯია!

კვაჭის გულს მოეშვა, გაიღიმა და აყმუვდა:

— მამ... მმმაა... მმმიიი... — სწერუტუნებდა კვაჭი, თან იღიმე-ბოდა, ნიშნად მუნჯობისა პირზე ხელს იდებდა და პასპორტებს ეტა-ნებოდა. უანდარმებმაც გაიღიმეს.

— ჰო, მუნჯი ყოფილა! — სთქვა ერთმა და პასპორტების დას-ტა გაუშვირა: — აბა, თქვენვე მოსძებნეთ თქვენი პასპორტი.

კვაჭიმ პასპორტების ხროვა აპექეა.

— ძლიერ! მაღლობა ღმერთს! — წამოიძახა გულში და ერთი პასპორტი უანდარმებს გაუშოდა.

— თავადი ირაკლი გიორგის ძე ბაგრატიონ—მუხრანსკი! — ხმა-მალლა წაიკითხა უანდარმა ის პასპორტი და გაიღიმა, დაღნა და გალხვა.

სწორედ ამ დროს კუპეში სედრაკამ და ბესომ შემოიხედეს.

— გამცემენ ეს ოხები, უეპველად გამცემენ! — გაიფიქრა კვა-კიმ და უმალ ორივეს მივარდა და თვისი პასპორტი მიაჩეჩა, თან უეხებს აბარტყუნებდა, ხელებს მუნჯურად იქნევდა და ჰლმუოდა:

— მმ... მმმააა... მმმუუუ!...

ორივემ თვალები დაკუიტეს და პირები დააღეს:

— ვააა, დამუნჯებულააა?! — გაიკირვა სედრაკამ.

გახარებული კვაკი ისე მძლავრად იქნევდა თავს, რომ კინალამ კისრის ძარღვები დაიწყვიტა: ჰო, ჰო! დავმუნჯდი, დავმუნჯდი!

სედრაკამ ბესოს თვალი ჩაუკრა:

— დამუნჯებულა, რალ!

— საბრალო თავადი! — ჩაურთო ერთმა უანდარმა: — ასეთი ახალგაზრდა, ასეთი ლამაზი და მუნჯი!

— მერე რა გვარი აქვს! — დაუმატა მეორემ: — ბაგ-რა-ტიონ მუხრან-სკი ირაკლი გიორ-გი-ე-ვიჩ!

— მაშ! მაშ! — დაუდასტურა შიქიამ: — დაბადებიდანვე მუნჯია. ამიტომ მიგვყავს განთქმულ ექიმთან ვენაში.

უანდარმებმა სედრაკას და ბესოსაც პასპორტები ჩააბარეს და გავიღნენ. უმალ სამივემ კარები ჩაიკეტეს.

— რა ამბავია? რა მოხდა?

— ეშმაკმა ჭეილოს ბესოს თავი და ტანი, აი ამბავია! და ყველაფერი უამბო.

— ჰა-ჰა-ჰა!.. ჰო-ჰო-ჰო!.. — ასტყდნენ სედრაკა და ბესო.

— რას იცინით, ყაზილარებო! — გასწყრა კვაკი: — კიღამ დევიფ-სე და დევილუბე კაკალი კაცი!

მერე მოაგონდა თავისი დამუნჯების ამბავი და თვითონვე გაძნიარულდა.

კრაკვი გაიარეს და დილით ვენაში ჩავიდნენ. საუკეთესო სა-სტუმროში ოთხი ოთახი დაიქირავეს და ქალაქის სანახავად დაემზადნენ.

აქა ამბავი ვენაში ოდნავ თავის მოგიუიანებისა და მსოფლიოს დედა-ქალაქში ჩასვლისა.

ერთი საათის შემდეგ სასტუმროს პატრონი, მოურავი და მეტრ-დოტელი შემოვიდნენ დიდი „ფიურსტის“ ბაგრატიონის მო-

საკითხად და პატივსაცემად. მერე ყოვლად აუცილებელმა, ყველაფრის მცოდნემ და ყველგან მყოფმა რუსის ურიამაც შემოჰყო თავი.

— თავადს ვახლავართ!.. ვიდი ვარ... ოცი წელიწადია ვენაში ვცხოვრობ... ყველაფერს გიჩვენებთ... დღეში ათი კრონა ელირება. გავიდნენ და დაათვალიერეს ქალაქი.

ხუთი დღე იარეს. ვიდი კვაჭი ისტორიულ-ხელოვნურ ძეგლებისაკენ ეწეოდა, უნდოდა ეჩვენებინა მუხეუმები, უნივერსიტეტი, სან-სტეფანეს ტაძარი, პოფბურგ-თეატრი, ბირეა, სამხატვრო აკადემია, რატუშა, სასახლე და ათასი სხვა საჩვენებელი, მაგრამ კვაჭი ისე დაიღალა და დაიშრიტა მარტო ერთი მუხეუმის დათვალიერებით, რომ მაშინვე თავის ტკივილი მოიმიზება და ყველაფერი მომავლისათვის გადასდო, გარდა უზარმაზარ რინგშტრასესი და პრატერისა, სადაც დღეს აღმებდა და ღამეს ათენებდა. ეს უზარმაზარი ქუჩები, ხეივენები, ბალები, მოედნები, ინგლისური ჭალა, აქარიუმი, სამხეცეთი, ათასნაირი რესტორანები, ყავახანები, ლუდხანები, ღვინის სარდაფები, ბალაგანები, მარიონეტის თეატრები, კარუსელი და უთვალავი სხვა გასართობი მუდმივ სავსე იყო ხალხით და ქალებით — განთქმულ ვენურ ქალებით: ყველანი თითქოს განვებ იყვნენ შერჩეულნი: მაღალნი, თვალადნი, ჯიშიანნი; ოქროს თმიანნი, ფირუზთვალებიანნი, ფაფუვნი, ფუნქულანი და თეთრნი, ვითარცა ჩამავალი მზისაგან ოდნავ შეწითლებული მყინვარი.

ამ ცოცხალმა ზამბახებმა უმაღ გზა დაუბნიეს კვაჭის, ძილი დაუტროხეს, მაღა დაუკარგეს, დაეთრები აურიეს და სული და გული ისე აუთორიაქეს, რომ რამდენიმე კოხტად გამონასკული კომბინაციაც კი დაივიწყა და გადასდო იმ საბაბით, რომ ის მაღა პარიზში ჩავიდოდა და ამ საქმეებს იქაც „გაიმასქნემდა“.

კვაჭი რამდენიმე დღეში დასთვრა, დაითენთა და მიილია თეთრი ტომის მოუქნელის, უხეშის და მძლავრის სიყვარულით; სამაგიეროდ იმ თეთრ ქალებსაც აჩვენა და აგემინა სიცხე ზავი ზღვის სისხლისა, სიფიცხე ჯმუხა ბიჭისა, სიმწვავე გიშრის ულვაშებისა, უინი მარილიან ქორულ თვალებისა და აღვირ-აწყვეტილი ვნებიანობა მზისა და ემისგან გაკაეცბულ ქართულ ძარღვისა.

სედრაკამ და ბესომ თეთრ აღ-ქაჯების ბადეში გადავარდნილი კვაჭიკე ძლიერ გამოპატივების იმ ქალებს და პარიზისკენ მოიტაცეს.

„ორიან-ექსპრესი“ გრიგალივით მიპქრის ანკარა სალცპახის, ინნისა და დუნაის ნაპირებზე.

— კვაჭი, ზაჟლცბურგში მივედით. ბედეკერის წიგნში ძალიან აქებენ ამ ძველ ქალაქს. გავიდეთ და ვნახოთ.

— აბ, ძველის ნახეა მეზარება, მკვდარს მაგონებს.

— კვაჭი, მიუნკენში ავედით. ბავარიის დედა-ქალაქია. მეტად სუფთა და კოხტა ყოფილა. თურმე საქვეყნო მუზეუმია შენობების და ხელოვნებისა. ბევრი რამ ყოფილა სანახავი: ბერძნული პროპილეი, ზიგესტორი, ვაგნერის თეატრი, ოდეონი, გლიპტოთეკა და...

— და ლუდი, მიუნკენის შევი ლუდი! აბა, ბესო, მეტაც ოცი-ოდე ბოთლი. ჩქარა! დანარჩენი სიძველენი ეშმაკებმა წეილონ!

— კვაჭი, სტრასბურგში მივედით. გაიხედე, აგერ ის ტაძარი მთელ ქვეყანაზე ყოფილა განთქმული.

— აბ, მავიზა არც კი ღირს წამოდგომა! — და განაგრძო შინ-ჯვა ტიტველ ქალების ალბომებისა, რომელნიც ვენასა და მიუნკენში იყიდა.

საღამოს ათ საათზე ბესომ უთხრა:

— სწორედ ნახევარი საათის შემდეგ პარიზში ჩავალთ; გეიხე-დე, ცოსჩანს კიდევაც.

კვაჭი გველნაკენივით წამოვარდა და ფანჯარას უცა.

შორს, წყვდიაღში, ცის ტატნობი თვალუწვდენელ მანძილზე წითლად იყო შეღებილი, თითქოს დედამიწის ზღურბლი იწოდა და იმ ხანძარის ანარეკლი ზეცაში მოსჩანდა.

გაათორებული რკინის ფრინველი აღარ ისვენებდა და ქშენით, დგრიალითა და წივილით იმ ხანძარისკენ მიჰქროდა. ბოლოს, ქალაქში შევარდა, კიდევ კარგა ხანს ირბინა და ოხვრით და კვნესით აღმოსავლეთის სადგურს მიადგა.

მაშინვე გაჩნდა ყველგან მყოფი ადესელი ურია:

— ოცი წელიწადია, არც პარიზში ვცხოვრობ. ყველაფერი ხუ-თი თითივით მაქს შესწავლილი. ცხრა ენა ვიცი. დღეში ოცი ფრანგი და ჭამა-სმა.

კვაჭიმ იმ ურიას გადაპედა.

— ისაკ აბრამიჩ!.. ისაკა იდელსონი!

ამ სახელის გაგონებაზე ურია კვაჭის დააცქერდა, მერე გა-იბადრო და დაიძახა:

— ნაპოლეონ აპოლონიჩ, თქვენა ხართ? ღმერთო დიდებულო!

— აქ რა გინდათ, ისაკ აბრამიჩ?

— ეჭ, მერე გიამბობთ. გავლარიბდი, ნაპოლეონ აპოლონიჩ, გავლარიბდი... მერე გიამბობთ..

— რებეკა? რებეკა როგორ არის?

— კარგად, კარგად არის, მაგრამ... მერე გეტუვით, ყველა-ფერს გეტუვით. ეხლა კი მომყევით.

ოთხივენი ავტომობილში ჩასხდნენ და სტრასბურგის ბულვა-
რით საუკეთესო სასტუმროსკენ გასწიის. კვაჭის ბრძანებით ავტო-
მობილი ხით დაგებულ ქუჩებზე ნელა მისცურავდა.

— დიდ ბულვარზე გავედით.— აჩვენებდა მსოფლიო ქალაქს
ისაკა იდელსონი: — ეს არის ბულვარი სენ-ლენი... ეს — ბონნუა... ეს —
პუასონიერი... აი, განთქმული მონ-მარტრი... ეხლა შევედით იტა-
ლიელების ბულვარზე... აი, სახელოვანი ოპერა და ოპერის ავენიუ...
ეს კაპუცინების ბულვარია... აი, მადლენის შესანიშნავი ტაძარიც...

კვაჭის ყრუდ მოესმოდა ისაკის მოყრილი სეტუა, უცხო და
გაუგებარ სიტყვებით სავსე. მას არაფერი ესმოდა გიდის ლაპარა-
კისა, რაღვან შთაბეჭდილებამ უმაღ სძლია გონებას და დაახშო იგი.

კვაჭი და მისი ამხანაგები უცებ ჩასცვიდნენ მსოფლიოს დე-
და-ქალაქი სგულში და უმაღ დაიბნენ, აირივნენ და გამოშტერდნენ.

იმ უზარმაზარ ბულვარების ნაპირებზე აღმართულიყო ორი კედე-
ლი შვიდ-რვა სართულიან გაჩაღებულ შენობებისა. ამ კალაპოტში ზევით
და ქვეით ორი თვალუწვდენი ხალხის მდინარე მიდიოდა. ქუჩის ერთ
ნაპირიდან მეორეზე გადასცლა თითქმის შეუძლებელი იყო. იგი გა-
ტენილი იყო ახდილ და დახურულ ეტლებით, ორსართულიან ავტო-
ბუსებით, ტრამებით, ავტომობილებით და მრავალნაირ შარეტით.
ჯვარედინებზე პოლისმენები იდგნენ, პატარა ჯოხებით პბრძანებ-
ლობდნენ და კარგი მერაბივით იმ მდინარეს ხან ერთ ქუჩაზე შე-
აჩერებდნენ და თავს მეორე კალაპოტში გადაუგდებდნენ, ხან ხუთი
წუთით მეორეს შეავუბებდნენ და პირველ ქუჩას დასცლიდნენ.

შიგნით და ტროტუარებზედაც მორთულ-მოქაზმული ხალხით
საესე უთვალავი ყავახანები ცეცხლში იწოდნენ. ათასნაირი ჰაერო-
ვანი რეკლამა თვალსა სჭრიდა: ცაში ასგან და ათასგან ელავდნენ
წითელი, ყვითელი, ცისფერი და მწვანე ელექტროს წარწერები.
ქალაქის იდუმალი ხმაურობა, გრვენვა, დუღუნი, ზანზარი, სუნთქვა,
ოხერა და კვნესა კვაჭის პბორკავდა, ნერვებს ულიტინებდა და გო-
ნებას უბნევდა.

— ა, ბესო, მეიგონე აწი შენი სამტრედია და ქუთაისიც!—
ჩაილიმა კვაჭიმ.

— სამტრედიას ქე სჯობია, მარა ქუთაისს რავა შეედრება!—
ჩაიხუმრა ბესო შიქიამ.

— ვაა, ჰავლაბარია?!— ჩაიხითხითა სედრაკამ.

მადლენს ჩაუხვიეს და თანხმობის უზარმაზარ მოედანზე გავიდ-
ნენ, მერე ის უცხო სანახაობა გადასკრეს და შეერივნენ ხუთ რიგად
ჩამწკრივებულსა და დაბურულ ელისეს ხეივნებს. ვარსკვლავების

მოედანზე საუცხოვო სასტუმროს „ელისეს“ მიაღვნენ, სადაც ბელე-ტაუში შვიდი ისეთი ოთახი დაიქირავეს, როგორიც შეეფერებოდა დიდი რუსეთის დიდს თავადს, ავლანისტანის ემირს, ბარონს და იმის მხლებლებს.

აქა დღევანდელ ბაბილონის დათვალიერება და მც ჩე-ოდენი მსჯელობა.

კვაჭი, მისი მეგობრები და ყორანაშვილი, რომელაც წინა დღით ლათინურ უბანში იპოვეს, ეითელის კოშკის კენწერობურ სდგანან.

სამასი მეტრის სიმაღლიანი რკინის კოშკი თითქოს ჰელუნებს ჰზანზარებს და ქანაობს.

მოგზაურებს ოდნავ თავბრუ ეხვევათ.

მათ ფეხვეშ გადაჭიმულია პარიზი, ქვეყნის თვალი, მზეთუნახავი დედა-ქალაქი, პირველი პირველთა შორის, შეაგული მსოფლიოს და მზეთა-მზე ყოველთა კუთხეთა და ხალხთა ქვეყნისათა.

პარიზის ზღურბლთა გადაღმა, ყოველივე მიმართულებით, სადამდინაც თვალი მისწვდება, მოსხანან უთვალავი დიდი და პატარა ქალაქები, დაბები და სოფლები, რომელნიც ქვეყნის გულს ელტვიან და გარს ეხვევიან, თითქოს იმ მზეთუნახავს თავს ევლებიან, მას სდირაჯობენ და ემსახურებიან.

მარნის გორაკების თავზე დილის ბურუსიდან უზარმაზარი წითელი ბურთი ამოგორდა და ვარდის ფერად შეტენება პარიზის ირგვლივ ჩამწერივებული მწვანე გორაკები.

დილის ნისლი ლეჩაქივით ჩაწოლილა და წაჭხურებია იმ თვალუწვდენელ სივრცის ნაოჭებს, გორაკების კალთებს, ქალაქების და სენის ხეობას.

პარიზი ნელ-ნელა ნისლოვან ლეჩაქს იხდის, თანდათან იღვიძებს, იზლაზნება, იზმორება და დილის ღიმილით იღიმება.

იგი ბურუსი, ღამის ნაორთეჭლი და ნასუნთქი იმ მზე-ქალაქისა, თანდათან გორაკებზე აიკრიფა, დასავლეთისკენ ჩაუხვია და სენ-შერმენ-არეანტელის მიდამოებსა და სენის ქვემო ხელულებში ჩაწვა.

და ბედის მაძიებელთა თვალში გაიშალა და გაიფურჩქნა იგი მზეთა-მზე: დავარცხნილი და დაბანილი, კეპლუცი და სპეტაკი, ლიმილიანი და სიცილიანი, კაშაშა და მბრწყინვავი, უსაზღვრო და თვალუწვდენელი, საბუდარი და ტაძარი, სანატრიონი და სიზმარეთი ყოველთა სულიერთა, მეცნიერთა და ხელოვანთა ამა ქვეყნისათა.

იდგნენ ქართველნი სამასი მეტრის სიმაღლეზე.

იდგნენ და სთრობნენ ესოდენ სიმაღლით და მშვენებით.

შორს, მეტად შორს, სამხრეთით და ოღონსაელეთით ორი ან-კარა მდინარე მოიკლავნებოდა — მარნა და სენა; ორივენი პარიზის განაპირის, შარანტონთან ერთმანეთს ერთვოდნენ და ეხუტებოდნენ; მერე ის ერთიანი მდინარე პარიზს შუაზე გადასჭრიდა, ისევ სამხრეთით დაბრუნდებოდა, მერე სენ-კლუსთან და ბულონთან ისევ ჩრდილოეთით იქმნიდა პირს, სენ-დენისთან კვლავ სამხრეთით წამოიდოდა, სენ-ექრმენთან ისევ რკალს მოჰქაზავდა, კიდევ ჩრდილოეთით შეუბრუნდებოდა, ერთხელ კიდევ მოიგრიხებოდა და დასავლეთით ნისლოვან სენ-ექრმენის უზარმაზარ ტყეში იკარგებოდა.

მდინარეზე, ზევით და ქვევით, გემების და ნავების ქარავნები დასცურავდნენ, და იმ სიმაღლიდან ისე მოსჩანდა, თითქოს გრძელ-სა და დაკლაკულ სარკეზე ბუზები და ჭიები დასცოცავენ.

იგი სარკე-მდინარე ორმოციოდე რკინის და ქვის ხიდ-სარტყელით იყო გადაჭრილი და ოციოდე მწვანე კუნძულით იყო გაპოზილი და გაწყვეტილი.

იმ ქვეყნის თვალს გარშემო სამ რიგად ედგნენ ორმოცმდე დარაჯნი და გუშაგნი, ნახევრად მიწაში ჩამდგრალნი, რკინის და ფოლადის აბჯრით და ათასის ზარბაზნით შექედილნი. მათ შორის მრისხანედ, მუქარით და შუბლ-შეჭმუხნით გასცერიდნენ გერმანელთა ქვეყანას შარანტონი, ვენესენი, მონ-ვალერიენი და სენ-დენი.

იმ კელუცს ყოველ მხრიდან ათიოდე რკინის გზა გრძელ ის-რებივით შეი გულში ჰქონდა ჩარჭობილი, ხოლო გარშემო რამდენიმე ქამარი ჰქონდა შემორტყმული ასეთივე რკინის გზების, ზარბაზნების, ბულვარების, განიერ და ლრმა თხრილისა და მაღალის, სქელის და ნათალ ქვის გალავნისა.

რამდენიმე ათეული მატარებელი, ორთქლით და ბოლით მსუნ-თქავი, შავი გველებივით იკლაკნებოდნენ და სხვადასხვა მიმართუ-ლებით მისცურავდნენ.

ესოდენი დაბა-ქალაქები, უთვალავი შენობები, გზები და ოზე-ბი თითქოს განგებ დასერილნი, დაბატულნი და მოქარგულნი იყვ-ნენ თვალუწვდენელ მწვანე ხალიჩაზე.

პარიზის ფილტვები—ტყეები, ბალები და ჭალები ჯერ კიდევ დილის ოხშივარით ჰსუნთქავდნენ.

აღმოსავლეთით გადაჭიმულიყო ტბებით დაწინწკლული ვენეს-ნის დიდი ტყე; სამხრეთით—ასეთივე დიდი ტყეები მედონის, სენ-

კლუს, სევრისა და ვერსალისა, ხოლო დასავლეთით — ბულონის და სენ-ექრმენისა.

შიგ პარიზში მწვანე სითხესავით დაღვრილიყვნენ ტიულიერის, ლუქსემბურგის, ბოტანიკურის, მონსონს, ტროკადერის, მონსურის, ელისეს და მრავალი სხვა ბაღები, კალები და ხეივნები.

ინგალიდების სასახლის ოქროს გუმბათი ცეცხლივით იწვოდა.

შენობების ზღვიდან ძალუმად იღმართულიყვნენ და გაჭიმულიყვნენ პანთეონი, იესოს გულის ახალი ტაძარი, პარიზის ლვოისმშობელი, სენ-ექრმენი დეპრე, სენ-სიულპისი, მადლენი, ლუვრი, პალერმიალი, დიდი ოქრო, სორბონა, ბირჟა, ტროკადერო, კოშკები, სასახლეები, მუზეუმები და მრავალი სხვა თვალსაჩინო ძველი და ახალი შენობები.

იმ სიმაღლეზე მკაფიოდ მოისმოდა გაღვიძებულ საარაკო ქალაქის დრტვინვა, გუგუნი, ქშენა, ზანზარი და სუნთქვა.

კვაჭი კვაჭანტირაძე არ ჰერძნობდა საერთოდ ბუნების მშვენებას, რომელიც არ ჰქვდებოდა იმის სულს და გულს: იგი არასოდეს აღელვებულა, არ მოხიბლულა, არ დამტკბარი არც ცამდის აუდულ მთებით, არც თვალ-უწვდენ ზღვით, არც ბარის აჭრელებულ პეიზაჟით, მაგრამ ეხლა, სამასი მეტრის სიმაღლითან რომ დასკეროდა თავისს ფეხქვეშ გადაწოლილ პირი-მზე პარიზს, მან ღრმად იგრძნო თავბრუ დამხვევი სიტკბოება და მშვენება მსოფლიო ქალაქისა, რომელიც, ვინ იცის, ვის, როდის და როგორ მოექარგნა ესოდენის ქვით, რკინით, ორთქლითა და ბოლით.

კვაჭის არც სმენა ჰქონდა. იგი ორს ხოტას ერთმანეთისგან ვერ არჩევდა, ამიტომ მუსიკაც არ უყვარდა, არც მისი ესმოდა რამე, მაგრამ ეხლა, სამასი მეტრის სიმაღლეზე იგი მოპიბლა, დაათრო და ზეცაში აიტაცა ამ ქალაქის იდუმალმა გუგუნმა, ბუტბუტმა და ფშვინვამ.

ამავ დროს დილის ნიავმა ბელვილის მაღლობებიდან ეიფელის კოშკზე ქვანახშირის და ნავთის სუნი აიტანა, რომელიც კვაჭის უზანესს სასუნებლად მოპიედა ცხვირში.

დიდხანს იდგნენ გაჩუმებულნი, მეტის აღტაცებით დატვირთულნი და უჩვეულის გრძნობით მოქარბებულნი. მხოლოდ ყორანა-შეილი ხანგამშვებით გაიშვერდა აქეთ-იქით თითს და ახალ-ახალ საგანძურებს უჩვენებდა:

— თქვენი სასტუმროს წინ რომ უუზარმაზარი კამარა აღმართულა, იმის გარშემო რომ თორმეტ ქუჩა-ხეივანს მოუყრია თავი მნათობის სხივებივით, სწორედ ამიტომ დაარქვეს მაგ ალაგს ვარს-

კვლავის მოედანი—„ეტუალი“... აგერ ელისეს სასახლე, პრეზიდენტის სამყოფელი... აი, ბურბონთა სასახლე, ებლანდელი პარლამენტი... აი, ჩვენს ფეხვეშ რომ მოსჩანს, სამხედრო აკადემია გახლავთ... აგერ დიდი და მცირე სასახლენი ხელოვნების და მრეწველობისა.

— ია პარიზი ჰავავს ცოცხალს მზეთუნახავს, ფრანგს ტიტველ დედაკაცს, რომელიც სენის ნაპირებზე საქვეყნოდ გადაწოლილა, და ამიზაა, რომე ყოველი კაცი ქვეყნის ყოველი კუთხიდან მორბის აქინე მაის სანახავად, თვარა სხვა რა მოარბენიებს აქინე გაკოტრებულს ღვანკითელსა და სამტრედიელ კუდაბზიკა აზნოურებს?—განმარტა კვაჭიმ.

სედრაკა არ დასთანხმდა:

— ვაა, მარტო მილიონერები ხომ არ ცხოვრობენ პარიზში! ერთი აქაური ბანკი ან „ტორგვი დომი“ მთელ საქართველოს სამჯერ იყიდის და გაპყიდის. საცა თაფლია, ბუზიც იქ ეტანება, თორებ მარტო ლამაზი ქალებისთვის ვინ გიყი ჩამოვა ამერიკიდან, იაპონიიდან ან ტფილისიდან?! შენ ფული სთქვი, თორებ ლამაზი ქალები ყველგან თავსაყრელია.

— იმიზა მოდიან აქინე ყოველი ქვეყნიდან ლამაზი ქალები, რომე პარიზში ბრევლი ფულია!—წაიჩურჩულა ჩუმმა ბესომ.

— ლონდონს და ნიუ-იორქს პარიზზე მეტი ფული იქვთ, — ჩაერია ყორანაშვილი:— მაგრამ ლამაზი ქალებიც, ფულიანი და უფულო ხალხიც უფრო პარიზს ეტანებიან. თქვენი რა მოგახსენოთ, მე კი ვერც ასი ათასი მზეთუნახავი ჩამომიყვანდა ამ სიშორეზე.

— მაშ რეიზა ეტანება მთელი ქვეყანა ამ ქალაქს?— ჰეითხა კვაჭიმ.

— ლამაზი ქალები მხოლოდ ერთი კუთხეა პარიზისა. ჩემის დაკვირვებით, უნდა გითხრათ, პარიზში ლამაზ ქალებს გაცილებით სჭარბობენ ლამაზი მამაკაცები. ამასვე ამბობენ აქაური ქალებიც. პარიზს მეორე, მესამე, მეხუთე და მეათე კუთხეც აქვს. ეხლა რომ ავისენათ, სიტყვა მეტად გამიგრძელდება. გარდა ამისა, ჩემს ნათქვამს გაგებით გაიგებთ, მაგრამ გრძნობით ჯერ ვერ იგრძნობთ. ჯერ-ჯერობით იცხოვრეთ და ყველაფერს დაკვირდით, მერე თვითონ მიპენდებით და იგრძნობთ იმისს ჯაღოს და თილისმას და დარწმუნდებით, რომ მართლა ყველას ორი სამშობლო ჰქონია: ჯერ თავისი საკუთარი და მეორეც—საფრანგეთი.

მანქანით კოშის მეორე სართულზე ჩამოეიდნენ, სადაც გამართული იყო რესტორანები; ისაუზმეს და წავიდნენ ლუვრის დასათვალიერებლად.



ალექსანდრეს ხილზე რომ შესდგნენ, კვაჭიმ დაკვირვებით გა-
სინჯა მისი საუცხოვო მოქაზმულობა: ძეგლები, ბოძები, მარმარილო,
ოქროს გარაყი, ნაჭედი რეინა და ბრინჯაო, მერე ამხანაგებს მიუ-
ბრონია:

— მთელს საქართველოში ამის ბაზალს ვეთერს იპოვით.

— ქუთაისის თეატრი ხიზი მავონდება, ჰა-ჰა!

— ასეთი ხიდი არც ევროპაში მოიპოვება, არც რუსეთში,—
განმარტა ყორანაშვილმა.

თანხმობის უუზარმაზარმა რვაკუთხიანმა მოედანმა კვაჭი ერთხელ კიდევ მოიყვანა აღტაცებაში. იმისს რვა კუთხეს ამ-შვენებდა საფრანგეთის რვა დიდი ქალაქის ძეგლი. სტრასბურ-გის ძეგლს გლოვის ნიშად შავი ჰქონდა შემოხვეული. მოედა-ნის შუაში ორი საუცხოვო აუზი იყო გაქეთებული. იქვე აღმართუ-ლიყო ოცდაათი ადლის სიმაღლე ქვის სვეტი—ლუქსორის ობელის-კი, ნაპოლეონისგან ეგვიპტელან გადმოტანილი.

— ამ მოედანზე დიდი რევოლუციის დროის გილოოტინა იღ-
ვა,—მისცა ცნობა ყორანაშვილმა.—აქ მოსჭრეს თავი ლუი მეფეს
და, ვინ იცის, კიდევ რამდენ ათასს.

კვაში ურთანტელმა აიტანა და საჩქაროდ გაბრუნდა.

გაიარეს ძველი მეფების ბალი—ტიულიერი, ტრიუმფის კამა-
რა და შევითნენ ლუგრში.

ჯერ ქვემო სართულში ქანდაკებას ჩაუირეს. დარბაზს დარბაზი
მისდევდა, ეპოქა—ეპოქას, ქვეყნის ერთი კულტურა—მეორეს. კვაჭი
ყურს აღარ უგდებდა. უთვალავ ქანდაკებათაგან შიშველ ქალებს არ-
ჩევდა, სხვებს კანოქას ნათალს ამჯობინებდა, იმის ტიტვლებს ყო-
ველ მხრიდან უვლიდა, აკვირდებოდა და თანდათან გატაცებით და
თაყვანისცმით იტენებოდა.

როცა ელინურ დარბაზში შევიდნენ და დაათვალიერეს ღვთა-
ებრივი სკოპასი, მირონი და პრაქსიტელი, როცა იხილეს ზეციური
აფრინდიტები და ვენერები—მილოსელი, ჩაკუნტული, უფეხონი, უხე-
ლონი და უთვალონი, მეტის მღელვარებისგან გატენილმა კვაჭიმ
წამოიძახა:

— ნეტავ რომელ ხელს გაუკეთებია აი მშვენიერი ქალები! ბე-
სო, ერთი შეხე მაი უთავო და უხელო ჩაკუნტულ ვენერას. დაადე
ხელი თეძმზე და გეიგე, ცოცხალია მაი თუ მართლა მარმარილოა?..
რაო, ხელის ხლება არ შეიძლებაო? კაი, მარა... ღმერთო მიშველე!
რავა გააკეთა ისთე ვინცხა ქვის მთლელმა ბერძენმა აი ქალები, რო-
მე მაი ქვის ცოცხალ ხორცის სუნი და სითბო ასიას! ბესო, წა, გე-

ნაცვა, გეიგე, რავა გაპყიდიან აი, ამ ვენერას, მილოსელს? კაი რამე ყოფილა, აღბათ ვინცხა პოლონელის ან რუსის თავადი მილოსსის ცოლი იქნებოდა; თუ ათას ფრანგზე მეტი არ დაგიფასეს, ვიყიდი და ჩემს ბინაზე კიბესთან დავდგამ, მოტეხილ ხელებსაც გავაკეთებიებ, ერთ ხელში ყვავილებს ან ყანწს ჩავუდებ, მეორეში ელექტროს ლამფას დაევაჭრიებ. მე შენ გეტუვი, ვერ დამშვენებს კვაჭანტირაძეს სასახლეს თუ?!

მერე მიჰყვნენ იმ უხარმაზარ შენობას და სამი საათი ქუდმო-გლეჯილნი, გაშტერებულნი და თვალდაბრუკილნი დარბოდნენ. მხო-ლოდ ყორანაშვილი იყო გულმშვიდად, რადგან ყველაფერი ათვერ ჰქონდა ნახული და მონელებული. დაირბინეს გალლერები აპოლო-ნის, ლომორლოვი, ყვავილებისა და ძეველი ტიულიერი.

აპოლონის დარბაზში ერთს შეშაბადიან ყუთს კვაჭი მუსუსი-ვით მიეკრა და იღარ მოპორდა: თვალები აენთო და დაებრიცა, გული აუკანებულდა და მთელი სხეული აუძაგავდა. იმ ყუთში ეწყო მტრედის კვერცხის ოდენა რამოდენიმე თეთრი ბრილიანტი, ნაპო-ლეონის მახვილი, ისიც მთლად ბრილიანტებით მორთული, და მრა-ვალი სხვა ფასდაუდებელი განძეულობა. იგი ყუთი ისე იწოდა და ჰლაპლაპებდა, როგორც კვაჭის თვალები იმ წუთში. კვაჭიმ მაშინვე მიიხედ-მოიხედა. ერთი დარაჯი არხეინად დასეირნობდა დარბაზში. აიშალა და აცქმუტუნდა კვაჭი. ჯერ ყორანაშვილს ჩაცივდა, მერე იმ დარაჯს ჩაუმტერია:

— კომბიენ კუტ სეტ შოჩ, სილ ვუ პლე (რამდენი ელირება ეს ნივთები)?

— სე პა, მესსიე; ონ დი კარანტ უ სენკანტ მიიონ (არ ვიცი, ბატონო; ამბობენ, ორმოცი ან ორმოცდა ათი მილიონი).

ძლიერ მოსწყდა კვაჭი იმ განძეულობას. მას შემდეგ დაბნეული, დარეტიანებული და ჩაფიქრებული დადიოდა, თითქოს იმის თავში ეშმაკებმა დაიბუდესო, თითქოს იქ რაღაც აზრი მწიფდებოდა, იკ-ვანძებოდა და იხლართებოდათ.

— აი, შედევრები, მსოფლიო მხატვრობის დარჩეული ნიმუშები.— განაგრძობდა ყორანაშვილი: — დავიწყოთ იტალიურ რენესან-სიდან.. აი, კორრეჯიო... ეს ტიციანია.. ეს არის პერუჯიო... აი, ნა-ზი, რომანტიული ბოტიჩელიც... აპა, ლვთაებრივ ლეონარდო დევინ-ჩის ჯიოკონდაც.

— აია ჯიოკონდა?— გაიკვირა კვაჭიმ: — აი იყო, შარშან რომ მეიპარეს?.. იმე, თლა სულელი ყოფილა მას ქურდი! რა ღირს აი სურათი?

— უფასოა, არ გაჰყიდიან, ხოლო მცოდნენი ერთ მილიონს აფასებენ. მილიონელი ვენერაც ამდენივე ელიტება.

— იმე, რამდენი სულელი ყოფილა ქვეყანაზე! ათ მანეთს არ მივცემ მაგაში. შეხედე, ბესო, შეხედე, რავა დოუბრეცია თვალები! აჲ, თლა სულელები ყოფილან, თვარა ვინ ტუტუცი მისცემს ვინცხა კაროვნებას სურათში თუნდ ას მანეთს? ნიძლიას დაედებ, რომე ას მანეთად დღესვე ამაზე ლამაზს ხუთ ცოცხალ ქალს ვიშოვი, მაგ „კარტიჩაში“ რავა მიესცემ მეტს!

— ვაა, ერთი ნახეთ რალა, აქ რა ამბავი ყოფილა! — გააწყვეტინა კვაჭის სედრაკამ მეორე დარბაზის კარებიდან.

შეუხვიეს ფრანგულ მხატვრობის დარბაზში, საღაც ტიტელი ქალები უხვად იყვნენ კედლებზე გაბნეული.

— როზა ბონნერი... პრუდომი... დელაკრუა... ვატტო... მეოსონიე... — განაგრძობდა ყორანაშვილი. მაგრამ მას ყურს აღარ უგდებდნენ, რადგან სამიცენი შემოეხვინენ კუთხეში მიწოლილ ენგრის შიშველ მხევალს, უსისხლოს, უძვლოს, ფამფალას, ფაფუქსა და ცომ-ცომის.

— ვაა, ერთი ამის გავას შეჰედე და! — სცენუტავდა სველ-თვალა სედრაკა.

— ქალიც აი ყოფილა და სურათიც, ასეთი ცოცხალი ქალიც ათასი მანეთი ღირს და სურათიც.

— ცოცხლისა რა მოგახსენოთ, ხოლო ათას მანეთად ამ სურათის ასლს, გააკეთებენ. აი, მხატვარიც აქვე გახლავთ.

იქვე სამი მხატვარი მუშაობდა. სამიცენი ასლებს აკეთებდნენ.

ჰეითხეს ერთ-ერთს, მორიგდნენ, მისამართი მისცეს და გზა განაგრძეს.

— აი, ესპანური მხატვრობა... მურრილიო... ველასკეზი... გოია... ეს ინგლისური სკოლა გახლავთ: რეინოლდსი... რესკინი... აი, ფლამანურ-პოლანდიურიც: ვან-დეიკი... რუისდალი... რუბენსი... აი, გენიოსი რემბრანდიც...

გაბო და სედრაკა აანთხეს და აახურეს რუბენსის დედაქაცებმა: ყველანი ჩასუქებულნი, ჩაქონებულნი, მონუმენტალურნი, წითურნი და თეთრნი იყვნენ, ვითარცა ოდნავ ღვინო-ნარევი რძე.

კვაჭის ქანცი გამოელია, თვალებს პბლიტავდა და ფეხებს ძლიერ-ღა მიათრევდა.

— დაახლოვებით მესამედი მოვიარეთ. დანარჩენსაც ეხლავე თვალი გადავავლოთ. მერე, თუ გნებავთ, რომ ცოტაოდენი მაინც

დაიხსომოთ, ორი კვირა მაინც უნდა იაროთ! — ურჩია ყორანაშვილმა.

— აჲ, აჲ, აჲ! — ჩაიქნია ხელი კვაჭიმ. — მაი სად შემიძლია, ამის-თვის კი არ ჩამოქსულვართ აქინე. წევიდეთ, კმარა.

გავიდნენ. რამდენიმე ეზო გაიარეს, მოედანი გადასჭრეს და იქიდან გაპერდეს ერთ ვერსზე გაჭიმულს ნათალ ქვის ლუკრს, რომელიც გარდი-გარდმო გადაჭრილი იყო ქუჩებით; იმის ეზოში და ალაყაფის კარებებში ომნიბუსები და ავტობუსები დაღიოდნენ.

— ნეტა გამაგებია, გასცვლის თუ არა ფრანცია საქართველოზე აი შენობას ყოლიფერი სიმღიდორით, აქინე რომ ალაგია? — თითქმის თავის თავს ჰქითხა კვაჭიმ.

ავტო დაიქირავეს და გარშემოუარეს შატლეს და ბერნარის თეატრებს, სენ-ეკის კოშეს, ქალაქის საბჭოს, პარიზის ლეთისმშობელს და იქიდან ლათინურ უბანში გავიდნენ.

— აი, სორბონა... აი, საფრანგეთის კოლეჯი... სენ-ეკენევიევის წიგნთსაცავი... აი, განთქმული პანთეონიც. იმის წინ რომ ბრინჯაოს ძეგლი სდგას, საფრანგეთის სახელოვან მოქანდაკე როდენის ნამუშევარია. იგი გამოჰქატავს ადამიანს, რომელიც აზროვნებს.

ბრინჯაოს ბუმბერაზი ადამიანი იჯდა. ფეხი ფეხზე გადაედო, ნიკაპი მუშტზე დაებჯინა და ისე მძლავრად, ისეთის ჟინითა და ნებისყოფით ჰფიქრობდა, რომ ფეხის ძარღვებიც კი დაჭიმული ჰქონდა, თითქოს ფიქრი იმ ძარღვებსაც აწვებოდა, თითქოს ძალას ატანდა და იშველიებდათ.

კვაჭი ბრინჯაოს ადამიანს დააცქერდა და სთქვა:

— რაცხა დიდ კომბინაციას აიმასქნებს აი კაცი. ნეტა მაჩვენა აგი, კაი ამხანაგი გამევიდოდა.

— აი, ლუქსემბურგის და კლიუნის მუზეუმებიც, ვნახოთ.

— აჲ, დევილალე, კმარა! აწი შევიდეთ კარგ რესტორანში და ვისადილოთ.

დიუვალთან შევიდნენ. კვაჭიმ იტკიცა:

— რაა აი! არ ვარგა, რაცხა სტუდენტების სასადილოს ჰგავს. აქინე უკეთესი აფერია?

ყორანაშვილმა არ იცოდა, კარგი და ცუდი რესტორანების არაფერი ესმოდა, რადგან თვითონ, ისიც ზოგჯერ, ერთ ფრანგიან სასადილოში იკვებებოდა.

— აპა, მაშ ჩვენს ოტელში წევიდეთ... რაო, გრცხვენიათ? ტანისა-მოსი არ გაქვთ? აპა, მაშ მშეიღობით ბრძანდებოდეთ. ხვალ გვნახეთ.

და ივტოთი წავიდნენ, ხოლო მაღა-მოსული ყორანაშვილი თავის მანსარდში დაბრუნდა.

აქა გამოცდილ იდელსონის მსჯელობანი.

მეგობრებმა რედინგოტები ჩაიცვეს, მკერდზე თითო ხრიზანტემა მიიკრეს და სასადილოში ჩავიდნენ.

სასტუმროს პატრონი და მოურავი მაშინვე ახალ სტუმრებს ეახლნენ, მოწიფებით მოიყითხეს და შთაბეჭდილებანი გამოჰკითხეს.

წყნარი, მშვიდობიანი, ჩურჩულიანი და მშრალი რესტორანი იყო: არც ქიფი, არც სადლეგრძელო, არც სიმღერა.

საუზმე რომ გაათვავეს, კარებში დაღვრებილი ისაკა იდელსონი დაუხვდათ. ისაკამ უმაღლ სამივენი ტყველ ჩაიგდო და ავტო-თი მოიტაცა.

— ა ლონშან, სილ ვუ პლე!

იდელსონმა კვაჭის თვისი აძბავი მოკლედ უამბო. ადესიდან გაძევებული ცოლ-ქმარი პარიზში ჩამოსულიყვნენ. ისაკამ თან ბლო-მაღ წამოიღო ფული.

— ის ფული უდარდელად მაცხოვრებდა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ მე ურია გახლავართ. ურია კი, თუნდ მილიონები რომ დააყარო, უსაქმოდ ერთ დღესაც ვერ გასძლებს. ვერც მე მო-ვისვენე. ავიღე და ოქროსულობის უზარმაზარი მაღაზია გავხსენი. წავაგე. დროზე თავს ვერ ვუშველე, დავიუინე და საქმეს ბოლომ-დის გავხევი.

— დავიჯერო, რომ ისაკა იდელსონი გაქოტრდა?

— გაეთტრდა. იმდენი ძლიერ გადავარჩინე, რომ რებეკას პა-ტარა სახელოსნო გაეუმართე.

— მაშ რებეკა ეხლა მუშაობს?

— ორივენი ვმუშაობთ. ერთი ობოლი ძმის წულიც მყავს. ისიც მუშაობს. რების ძალიან გაუხარდა თქვენი ჩამოსულა.

— ვნახავ, უეჭველად ვნახავ.

გრანდ-არმეეს ხეივანს დაჰყვნენ. ბულონის ჭალა-ბალი გადასჭ-რეს და ლონშანის სადოლეზე გავიდნენ, რომელიც უკვე ხალხით იყო სავსე. მერე რამდენი და როგორის ხალხით! კვაჭის ანგარი-შით ოცი ათვისი სული მაინც იქნებოდა. აქ იყო პარიზის „ბომონ-დი“ და „ტუ პარი“ (რჩეული, მთელი პარიზი).

თვალუწვდენელი მინდორი ცოცხალი ყვავილების გირლიან-დით იყო შემოვლებული; იქურობა აკუნწლულ ფუტკარივით ჰბზუ-ოდა და ჰუსტუსებდა. კვაჭის ხარბმა თვალებმა ორიოდე საათშიც ვერ მოასწორ ქალთა ულევი ზღვის დაშრეტა. სამაგიეროდ, როცა დოლი გათავდა, ისაკამ ხერხი ასწავლა: ბულონის ჭალა-ბალში გზის-

ნაპირას დიდი „არმენოვილის“ კაფე-რესტორანი იდგა. „ბომონდს“ იმ გზაზე უნდა გაევლო, ხოლო მოქეთე პარიზს იმ კაფეში უნდა შეესევნებინა „აპერეტივის“ (მცირე დასალევის) მისართმევად, ერთ-მანეთის საჩერებლიად და სანახავად.

კვაჭიმ ჯერ საჯდომი ჯიშიანი ცხენი იყიდა, რომელმაც იმ დღეს ლელო გაიტანა, და მერე იმ რესტორანს მიაშურა. დასხვნენ, ნაყინვი მოითხოვეს და გაუთავებლად ისვეს მაღამო აფხანებულ გულ-ზე და ასვეს ტკბილი წყალი თავიანთ ხარბსა და წყურვილიან თვალებს.

მართლა მთელმა პარიზმა მათ თვალ-წინ გაისეირნა, რამდენიმე ათასმა ცხენოსანმა, აფტომ, ფიაკრმა, ლანდომ, კარეტამ და კებ-მა წინ გაუარეს კვაჭის, რომელიც იმ რჩეულთა შორის რჩეულებს ჩაიკებით ჰქინჯავდა და აცქერდებოდა, ხოლო მეტად ლამაზს და კარგად მოყვანილ ქალებს თვალებით ტანისმოსს ჰქინდია, თან ისე კოხტად და მარდად ჰქმარობდა მონოკლს, რომ იმის მასწავლებელს — კარის მინისტრს ბარონ ფრედერიკსაც შეკმურდებოდა.

უკვე კარგად დაგეშილი გიდი ისაკა გზა-კვალს უკვლევდა:

— აი, პრეზიდენტი პუანკარე... ესენი ელჩები არიან: რუსეთის... გრძელიანის... ინგლისისა... აი, მინისტრები და ნამინისტრალნი: — სარრიენი, კაიო, კლემანსო... აი, მილიონერებიც: შოშარი... როტშილდი... გირში... დიუვალი... აი, მეფე ფოლადისა... მეფე სახლებისა... მეფე ბანკებისა... აი, ცხენით მოდის გენერალი ჰალიფე. ხომ გაგივიათ ჰალიფეს შალვარი? ამ კაცმა პარიზში დახვრიტა რამდენიმე ათასი კომუნარი... აი, ჰერცოგი... თავადი... მარკიზი... ბარონი... გრაფი... ავტორ, ხელოვანი და უურნალისტები: სტენლეი... მარსელ პრევო... კალმეტი... სარა ბერნარი... როეანი... ლოზანი...

თან მოკლედ მათს თავგადასავალს და ინტიმურ ამბებს მოუთხრობდა. მერე იმ ხალხსაც მოუბრუნდა, რომელიც ამ რესტორანში შემოვიდა:

— აი, ეს ქალები ცოცხალი მოდელები არიან. მოდების მაღაზიები უფასოდ აცმევენ, ყველგან პგზანიან და ასეთის ხერხით აჩვენებენ ქვეყანას ახალ მოდას და თავიანთ ნამუშევარს... აი, ბარონ გრევეს საყვარელი... ეს კონდეს საყვარელია... ეს კიდევ...

და ათიოდე ხანშესული დედაკაცი აჩვენა და ამდენივე მილიონერი დაასახელა.

— როგორ? — გაიკირვა კვაჭიმ: — ასეთი ხნიერი დედაკაცები? ახალგაზრდები ვეღარ იშოვეს იმ მილიონერებმა?

— ა, ა! — გაიღიმა იდელსონმა: — გეტუმბათ ახალგაზრდობა და გამოუცდელობა. პარიზის დემი-მონდი არ მიიღებს ახალგაზრდა ქა-

რაქუცას, გამოუცდელს, გაუხედნავსა და თავისს ხელობაში უსწავ-ლელს. ასეთი ახალგაზრდა ქალი - ქარაფშუტა, აღტაცებული, კე-კლუცი, დაუდგრომელი, კისკასიანი და ცეცხლიანი თავისს ხელობას სტუდენტების ყავახანაში იწყებს. ამ მხრივ პარიზი ორ ქვეყნად არის გაყოფილი: სენის გალმა და გამოლმა, ლათინური უბანი და მონმარტრი. ახალგაზრდა ქალი გალმა იწყებს და გამოლმა ათავებს; იქ ინათლება, აქ კი ჰასაკში შედის და ფესვებს იკეთებს; იქ ჰენავს და სთესავს, აქ კი იმკის; გალმა იგი ქლია, გამოლმა კი დედაკაცია; გალმა მას სტუდენტები სიყვარულს ასწავლიან, გამოლმა კი იგი თვი-თონ გამოდის ოსტატიდ და პროფესორად; ლათინურ უბანში ქა-ლის სიყვარული მორცხვად ილიმება, კისკისებს, ზოგჯერ ნაზად იც-რომლება და გულის ლიტინსა და ცელქობას მისდევს, ხოლო მონ-მარტრში დედაკაცი მძლავრის ხმით იცინის და ხარხარებს; მისი დარდი ჰლმუს, მისი სიყვარული ჰყმუს, მისი ვნება ჰბლავის... გალმელ-თა ალერსი ნიავია, გამოლმელთა კი გრიგალია; იქაურთა ვნება ალია, აქაურთა ნაკერჩხალია; კეკლუც ქარაფშუცებს ვარდის და ის სუნი ასდით, მონმარტრის დედაკაცებს და მილიონერების საყვარელებს კი მწნილისა და... და კამამბერის ან როკორის ყველისა, ან კი-დევ... რაო, როკორის ყველი ჯერ არ გინახავთ? ვარსონ! მოიტა ორი როკორი და ორი დაობებული კამამბერი... ჰო, იმას მოგახსენებდით. ვის აქვს მილიონები? მოხუცებს. მაშასადამე, რჩე-ული დედაკაცებიც იმათია. ქალს კოხტა ტუჩების და ლამაზი თვა-ლების გარდა ჭეუა და ხასიათი უნდა ჰქონდეს. ჩემისთანა ხანში შე-სულ ადამიანს არ უყვარს პრანჭია, ქარაფშუტა, კისკისა, ანცი, კა, პრიზიანი, ცრემლიანი და ყბედი კაჭკაჭი; ჩვენ გვირჩევნიან დინჯი-წყნარი, ნაცალი, ბებერი, ანგარიშიანი და ბრძენი ყორანი. დიალ, ამას მოგახსენებთ მე, ადესელი ურია, უკვე დამუავებული იდელ-სონი, რომელმაც ნახევარი საუკუნე იხეტიალა ამ ქვეყნად და ყვე-ლაფერი ჰნახა, გაიგო, გამოსცადა და შეიგნო. ერთი მტკველი მი-წა არ დამრჩა უნახავი. ცხრა ენა ვიცი, ცხრა ხელობა მაქვს ნაცა-დი. აი, კამამბერი და როკორიც მოიტანეს. აბა, იგემეთ და უსუ-ნეთ... ამის სუნი ასჯერ სცობია უბიგანს და ლორიგანს..- მიირთვით, ნუ იქმუხნებით. როცა შეეჩევით, ჯიბეშიც კი აღარ გამოილევთ. ხომ ასდის ამ ყველს დედაკაცის სუნი? ხომ ასდის დედაკაცსაც ამ ყველის სუნი? ასდის, განა!. ავრე.. ჰო, იმას მოგახსენებდით: ცხრა ხელობა მაქვს მეთქი. ჯერ მესაათე ვიყავი ადესაში, მერე რევოლუ-ციონერი. ნუ ვიკირთ, ესეც ხელობაა, მეტად სახითათო და უმა-დური. ოცდაათი წლის წინად ამერიკაში გავიპარე ციმბირიდან.

ბოსტონში ნაგვის და ჩვრების უტილიზაციის ქარხანა მქონდა, კლონ-ნდაჟში ოქროს ვეძებდი, ვირგინიაში ბამბის პლანტატორობა და-ვიწყე, კუბაში შაქარს ვაკეთებდი, გრენლანდიაში თევზს ვიქერდი, ალიასკაში ვნადირობდი, პრეტორიაში ალმასებს ვთხრიდი, ზანზი-ბარში სპილოს ძვლით ვევჭრობდი და ცეილონზე ზღვის ძირში მარ-გალიტებს ვკრეფდი. ათოვდე ხხვა საქმეც მქონდა. ბოლოს, ისევ ადესაში დავბრუნდი და ხუთ საქმეს მოვყიდე ხელი. დანარჩენი თქვენც იცით: სიბერის დროს ისევ გავბრიყვდი და რევოლუცი-ონერებს ავყევი. ხა-ხა! კატორლას მხოლოდ თქვენის წყალობით ავ-ცდი. ბედმა ისე გამილიმა, რომ ციმბირის მაგივრად ისაკა იდელ-სონმა პარიზში ამოჰყო თავი, ფულიც ბევრი წამოილო, მაგრამ... ჰო, იმას მოგახსენებდით: ხუთჯერ მილიონერი გავხდი, ათჯერ გავ-კოტრდი, ხოლო ეხლა... ეხლა თქვენისთანა პატიოსან ხალხს კუდში დავდევ და ასე ვშოულობ ჩემის ოჯახისთვის ერთ ლუკმა პურს.

კიდევ დიდხანს უგდებდნენ ყურს გაოცებული და პირდაღე-ბული კვაჭი და მისი ამხანავები მოხუც ისაკას, რომელსაც მართლა კველაფერი ენახა, გაეგონა და გამოეცადა.

ისევ ჩისხდნენ ავტომობილში და მოირბინეს პარიზის ზოგი მიდამო: სევრი, სენ-კლუ, კურბევუა და კლიში. სალამო უმშე კაფე-რიშის დერეფანში დასხდნენ და თითო გრენადინი მოითხოვეს. ჩა-ლით სვამდნენ იმ სასმელს და დიდ ბულვარებს ათვალიერებდნენ.

მზე ჩისავალს იყო. მადლენის მხრით ცაზე უცნაური ღრუბელი მოსჩანდა, რომელიც საარაკო ფრთა-გაშლილ წითელ ფრინველიეით თავდაღმა მიეშურებოდა. იმ ცეცხლოვან ფრინველს თითქოს ნისკარ-ტით ეჭირა უზარმაზარი წითელი ბურთი, წითელი მზე, რომელმაც ის უთავბოლო ბულვარი—მაღალი შენობები, ხეივანი, ხალხის და ასნაირ ეტლების მდელვარე ზღვა ალის ფერით შექლება.

ალაგ-ალაგ ფანჯრების და ვიტრინების დიდრონი მინები წი-თლად იწოდნენ და სისხლით პლადლადებდნენ; ჰაერი ოქროს ნისლით გაიქლინთა და ამ ნისლში ქალ-ვაჟთა ცოცხალი ტალღები დასცუ-როვდნენ.

ვინ არ ერია იმ ტალღაში! მდიდარი, ლარიბი, რანტიი და მუ-შაკი, სახლისკენ მინაჩქარი მეოჯახე და უსაქმო ფლანიორი, სნობი და მათხვარი, სევდიანი და უდარდელი ფრანგი და—ვინ იცის, სა-იდან, რისთვის ან რომელ ტალღით მოტანილი—რუსი, ინდოელი, არაბი, ინგლისელი და ამ ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოგლეჯილი ბედის მაძიებელი.

კვაჭი რაღაც უცნაურ სულის ლიტინს და გულის ფრიალს ჰერძნობდა: ირგვლივ ყველაფერს ხარბად აცქერდებოდა და ამ გა-უგებარ აღმაფრენის და სიტკბოების გასაღებს ეძებდა. ბოლოს, იგი იდუმალება რომ ვერ გახსნა, ისევ ისაკის მიუბრუნდა:

— ისაკ აბრამიჩ! ხშირად ყოფილვარ ასეთ საღამოს ნევის პროსპექტზე; ვენის რინგშტრასე და პრატერიც მინახავს; დარიც ასეთი მშვენიერი იყო, არც ხალხი ყოფილა ნაკლები, მაგრამ... მა-ინც... მაინც არ მესმის მიზეზი ამ ბულვარების განსაკუთრებულ შევენებისა.

— ხა!—ჩაიცინა ისაკამ.—მე ათჯერ მეტი მინახავს: ბერლინის ფრიდრიხშტრასე, რომის კორსო, ლონდონის პიკადილი, მადრი-დის პრადო, ნიუ-იორკის მეხუთე ხეივანი, დელი, ქაირი, ტონკინი, ჩრდილოეთი და სამხრეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი, მაგრამ ამისთანა ჯადოსანი ქალაქი არც მე შემხვედრია. მიზეზი? ოცი წელი-წადი ვეძებდი მიზეზს, ბოლოს, ძლიერ მივაგენი. ხა! აბა შეხედეთ ამ შენობებს. გინახავთ საღმე უკეთესი?

— ვენის შენობები სჯობია. უფრო ახლები, ფერადიანები და კოხტები არიან.

— რაც მართალია, მართალია! ეხლა შეხედეთ ამ ცას, შეი-სუნთქეთ ეს ჰაერი.

— ვენის ცა და ჰაერი უფრო სუფთაა, უფრო ნაზია.

— ეგეც მართალია. გადაპხედეთ ამ ხალხს.

— ვენის ხალხიც ასე სუფთად, ასე კოპწიად და კოხტად არის ჩაცმული.

— დიალ, უფრო კოხტად და უფრო სუფთად. ეხლა ქალები შეადარეთ. ქალი ყოველ ხალხს ამშვენებს, იგი დიდი ჯიშიანი ვარ-დია მინდვრის ასკილთა თაიგულში; იგი ცისყარია მერთალ ვარს-კვლავებით მოჭედილ ცაზე; იგი უულამაზესი სამეცაულია ყოველ ოჯა-ხის, ქალაქისა და ხალხისა! ეხლა შეადარეთ ვენელი და პარიზელი ქალები.

— ვენელი ქალები? უფრო ტანადნი, თვალადნი და ჯიშიანნი არიან, ხოლო აქაურები უფრო... უფრო...

და სიტყვა რომ ვერ იპოვნა, თითები ააცმაცუნა.

ისევ ბებერი იდელსონი მიეშველა:

— უფრო მაღაზნი, კეკლუბი და კოპწიები არიან, არა? პარიზელებს თვალში, მიხერა-მოხვრაში და სისხლში ულეველი აქვთ ღვთაებრივი ცეცხლი, პილპილი, გემოვნება, შნო, მეტიც მახვილი ჰქუა, ყნოსვა მშვენიერებისა და უნარი სიცოცხლისა. მაშ ხად არის

საიდუმლოება პარიზის მიმზიდველობისა? მოგახსენებთ: აქაური ჰაერი და ცხოვრება დაბანგულია, რაღაც თილისმით არის გაეღენ-თილი, რაღაც იდუმალის ძალით არის მოჯადოებული. რა ჰქვიან ამ ჯადოს, ამ თილისმას? ხალხის სული და სისხლი,—აი, მარტივი საიდუმლოების გასაღები.

— მაშ ფრანგებს სხევნაირი სისხლი ჰქონიათ! — ირონიით წამოიძახა კვაჭიმ.

— უკველად! დაუჯერეთ ბებერ ისაკის. ყველას რომ ერთნაირი სისხლი ჰქონდეთ, ერთნაირი ექნებოდათ ენაც, კანონიც, ტანიც, სარწმუნოებაც, ზნეობაც და ჩვეულებაც. იდელსონი მეცნიერი არ არის, მას გიმნაზიის კარებიც არ უნახავს, სამაგიეროდ მან მთელი მსოფლიო მოიარა; მას აქვს თვალი, სმენა, დაკვირვება და ტვინი; მან ყველაფერი ჰნახა, მოისმინა და გაიგო. ჭკუას არ წააგებთ, ბებერ იდელსონს დაუჯერეთ მეთქი.. ჰო, იმას მოგახსენებდით. ლმერთმა რომ ფრანგი გააჩინა, ძარღვებში ცხელი სისხლი ჩაუსხა, მკერდში ცეცხლ მოკიდებული გული ჩაუდო და თავში კარგად გარეცხილი ტვინი ჩაულაგა, თან სიცოცხლის უნარი და შვენიერების ალლოც მისცა და ზედ პილპილიც წააყარა. ამ ხალხმაც აილო და იგი ალლო, უნარი, ცხელი სისხლი და სული გარეთ გამოიტანა, ყველგან მიაბნ-მოაბნია და აი, ამ ბულვარსაც, შენობებსაც და ჰაერსაც თვისი ბეჭედი დაპერა და დაამჩნია. მორჩა და გათავდა! ამას მოგახსენებთ მე, ბებერი ისაკა იდელსონი! დიალ, ამას მე მოგახსენებთ, მორჩა და გათავდა!

კიდევ დიდხანს ასწავლიდა კვაჭის ბებერი იდელსონი ბებრულ ჭკუა-გონებას და თანაც ხშირად მავალებზე უთითებდა:

— აგერ, დიდებული არტისტი მუნე სიულლი... აი, გიუი ლებოდი, სახარის მეფე, გაკოტრებული მილიონერი... აი, „ფოლი ბერ-უერის“ პრიმადონა... აგერ გულდი—ამერიკელი მილიარდერი, რომელსაც ძალებზე, დოლზე და ცხენებზე მოეშალა ტვინი... ეს გა-პარსული ჯენტლმენი ჩეკლტონია, უუდიდესი ინგლისელი მოგზაური გახლავთ... — ისაკა უცებ წამხსტა და დაიძახა: — რახილ! რახილ! დაიცა, ჩემო პატარავ, დაიცადე, მეც მოვდივარ! — ისევ კვაჭის მოუბრუნდა და უთხრა: — ის ქალი ჩემი ძმის წულია, შესანიშნავი მუსიკოსია. მოგეწონათ, განა? გაგაცნობთ, უკველად გაგაცნობთ. ეხლა კი გი გიახლებით. მშვიდობით იყავით! ხვალამდიო!

და პატარა ისაკა უმაღ ხალხის ზღვამ ჩაჰყლაპა. კვაჭიმ და იმისმა მეგობრებმა ჯერ რახილს გააყოლეს გაკვირვებული თვალი, მერე ერთმანეთს გადაჰქედეს. ბოლოს, კვაჭიმ სთქვა:

— მაი ქალი პაპა ჩემს ხუსუასაც გააგიებს. ბებერი ისაკა, მეონი, რაცხას აპირებს. ვნახოთ.

**აქა ამბავი ხალამურთა დათვალიერებისა და ძელი ხი-
უფარულის განახლებისა.**

მეგობრებმა გრანდ-ჰოტელში ისადილეს და მერე პარიზის ლა-
მის გასართობებს მოედვნენ.

დაიწყეს ლათინურ . უნიდან. შეიხედეს ამერიკულ ბარში, „სუფლოში“, „დარკურში“, მერე ჩაჰუნენ სევასტოპოლის ბულვარს, იქიდან ჩავიდნენ „ფოლი ბერერში“, მოითხოვეს კონსომასიონი, პნახეს ნახატი ქალები და მოისმინეს ღლიური „რევიუ“, თუმცა მი-
სი ბევრი ვერაფერი გაიგეს, რაღაც იგი აშენებული იყო სიტყვების
თამაშზე, ხოლო მის გასაგებად საჭირო იყო ფრანგულის ზედმიწევ-
ნით ცოდნა.

კვაჭიმ, იქაურთა ცეკვას და მიხვრა-მოხვრას რომ დააკვირდა,
პეტერბურგის „არკადია“ გაიხსენა, შეადარა და სთქვა:

— თეთრი დათვი და ქურუკი მავინდებიან.

იქიდან ადრე გამოვიდნენ, „ოლიმპიაშიც“ შეჰყვეს ცხვირი
და მერე ნელ-ნელა მონმარტრის აღმართს შეუდგნენ, რომელიც მხო-
ლოდ შუალამეზე იღვიძებდა, თან კაბარეებში იხედებოდნენ, თითო
სასმელს გადაჰკრავდნენ და ახალ-ახალ სანახავებით ითრობოდნენ.

გაიარეს ათიოდე კაბარე, პნახეს „მონიკო“ და „ლაპრინსესი“
და, ბოლოს, „მულენ რუეს“ მიადგნენ.

კარის ჭრელი დარაჯი, მეტრ დოტელი და კაჭკაჭიუთ თეთრ-
გულა ფრაკოსანნი ლაქიები ლიმილით და მოწიწებით დაუხვდნენ,
ხალხით გაქედილ უზარმაზარ დარბაზში შეიყვანეს და საპატიო ლო-
უში შეაცილეს.

იმავ წამს ორკესტრმა რუსული სამეფო ჰიმნი „ბოჟე, ცარია
ხრანი“ დაიწყო.

ყველანი წამოდგნენ, გაიკიმნენ და პირი კვაჭის ლოუისკენ
მოიბრუნეს.

— ვივ ლა რიუს! ვივ ლა რიუს! — იგრიალი დარბაზმა, თან გა-
მოჭიმულ კვაჭის ტაშის გრიალი მიაყარეს და აქეთ-იქიდან უხევი სა-
ჩუქრები მოუგზავნეს — ყვავილები, ტკბილეულობა, შამპანური, მარ-
სალა, ბენედიქტინი და მრავალნაირი სხვა სასმელი.

სანამ საჩუქრები მოდიოდა და შეხურებულთა ტაში მოისმო-
და, კვაჭი ლოუიდან ყველას თავს უქრავდა და ლიმილით და ხელის

ქნევით მადლობას უგზავნიდა. მერე მობრუნდა და ორკესტრს ნიშანი მისცა.

ორკესტრმა ცეცხლიანი მარსელიეზა დაუკრა. ისევ ფეხზე წამოდგნენ და გაიკიმნენ.

— ვივ ლა ფრანს! — მძლავრად დასძახა კვაჭიმ, როცა მარსელიეზა გათავდა.

— ვივ ლა ფრანს! ვივ ლა ფრანს! — ჰერიალებდა და ჰქუნდა დარბაზი.

— გთხოვთ გაუგზავნოთ ორკესტრს სამასი ფრანკი და ათი ბოთლი შამპანური! — მისცა კვაჭიმ მეტრ დოტელს ბრძანება: — ხოლო ვინც პატივი დამდო საჩუქრით, ერთი ორად მიართვით: ქალებს — ყვავილები, ხოლო მამაკაცებს — სასმელები.

და თავჩალუნულ მეტრ დოტელს დასარიგებლად ერთი დასტა სადარბაზო ბარათები გადასცა ოქროს წარწერით:



თავადი ირაკლი
ბაგრატიონ-მუხრანსკი

ულიჯელ-დიუტინტი სრულიად რუსეთის იმპერიოლისა.

დალაგლენენ და საჭმელ-სასმელი მოითხოვეს.

უცებ კვაჭი შეკრთა. დარბაზის ქუთხეში მან თვალი მოჰკრა ორს თვალს, ორს ნალვერდლიან თვალს, რომელიც მწვავე ისარივით გაეყარა იმის გულს.

— მაღამ ლაპოში, ბესო, სედრაკ!.. მაღამ ლაპოში!

ერთმანეთი იცნეს და ერთმანეთს გაულიმეს; თვალი თვალს დაატაქეს და გული გულს მოახვედრეს.

სედრაკ, წამეიპატიუე მალე, თვარა... ჩქარა!!

ხუთი წეუთის შემდეგ თითქმის ტიტველი და სპილოს ძვლისა გინ ნათალი ლიზეტ ლაპოში სედრაკამ კვაჭის მოჰკვარა, და იმ სპილოს ძვალმა, გიშრის ბულულამ, სისხლიანმა ტუჩებმა და ცეცხლ მოკიდებულმა ნახშირის თვალებმა ის ლოეა გააცოცხლეს, გაანათეს და დამშვენეს.

კვლავ გაიხსნა ძველი ჭრილობა, გამოჩნდა პირშეკრული იარა, გაღვიყდა ნავლწაყრილი ცეცხლი და აჩუხჩუხდა მილეული შადრევანი უდროოდ გაწყვეტილის უინის და სიყვარულისა.

ერთმანეთს ხელები დაამტვრიეს, სევდიანი საყვედური უთხრეს და ადესური წარსული გაიხსენეს.

მერე კვაჭიმ ჰქითხა:

— უ ეტილ ვოტრ მარი (საღ არის თქვენი ქმარი)?

ლიზეტმა სევდიანად ამოიოხრა:

— იღ ე მორ, მონ შა (მოკვდა, ჩემო კატუნი).

— ვა, კარგი საქმე უქნია, რაღა! — გადაპქრა სედრაკამ.

— ძალიან მიქეარა, რომ ასე დაიგვიანა! — გადმოუგდო კვაჭიმ.

ნელ-ნელა აჰყვნენ ქეიფის აღმართს; შეიკეთეს, შესურდნენ და ადულდნენ.

უზარმაზარი დარბაზი იწვის.

ბროლის ურიცხვი მძივებით აკუნწლული ჭალები აღმასივით ბრწყინავენ.

ისმის სევრის ფაიფურის წეარა-წეური; ბაკარა კრიალებს.

ვერცხლის კასრებში გაყინული და ორტახებში გახვეული შამპანური ბროლის თასებში ოქროს წინწკლებით იწინწკლება.

გაბერილ სურიდან თაფლის ფერი კიურასო-შიპრი ჩამოჩუხჩეულებს.

მუსკატი, მარსალა, ბენედიქტინი, ბორდო და ბურგუნდული წითელ-ყვითლად ჰბზინავენ და ჰქათქათებენ.

ბროლის ჭიქებში ცეცხლმოუიდებული შარტრეზი ცისფერ ალით იწვის.

ათეურად იწურება მრავალნაირი ეკზოტიური ხილი: ანანასი, ფორთოხალი და მანდარინი.

თავეისთავად სლნება ფრანგული მსხალი — სენერმენი და დიუშესი.

ბამბასავით თეთრ მაგიდებზე უხვად გაბნეულა ალანძული ატამი, კალვილი, მწვანე, ყვითელი, წითელი და შავი ყურძენი, იშვიათი ვარდი და ყვავილი.

ლადლადა კიბო და ომარი გაფარჩულან და გაბობლილან.

შემწვარ და მოხრაკულ ფრინველს შეწითლებული გულმკერდი და ფეხები ზევით აუყრიათ.

ათასნაირად შეზავებული საჭმელი ნაწიწკნი და ხელუხლებელი ჰყრია.

უხვად მოსჩანს ნაირ-ნაირი ფერის, მოყვანილობისა და ჯიშის ტიტველი ბეჭი, მკერდი, მელავი და აბლაბუდაში გახვეული წვივი.

ერთმანეთში არეულა ასფერი ფარჩა, ატლასი, ხავერდი და ლეჩაქი.

თვალს იზიდავს ვენეცური, ბრიუსელური, ვალანსური და ალ-მოსავლური ნაქარგი, ნაქსოვი და ოქრონემსული.

გიშრის, წაბლის, მიხაკის, ჩალისა და ოქროს თმები აპენტილან და აბულულებულან.

თვალს სჭრის ბრილიანტი, ალმასი, ლალი, ფირუზი, ზურმუხტი, ამეთისიტონი, მარგალიტი, ბადახში და ლაუვარდი.

თამბაქოს ბოლი, ლურჯი გველებივით დაკლაკნული, ჭერისკენ ისვეტება და ისრუტება.

ყნოსებს ასისინებს თილისმურის ალერსით ნელსაცხებელი.

ესტრადაზე ერთმანეთს აღარ აცლიან ფრანგნი, იტალიელნი, ესპანელნი, ალფირელი ურიები, ტუნისელი არაბები, იაპონელები და ქვეყნის ყოველ კუთხიდან წამოსული მოცეკვენი.

გიუობს, ლალობს და დაჭქრის ალვირაწყვეტილი ესპანური, ჰუნგრული ჩარდაში და პოლონური მაზურქა; ურცხვად იკუზება კეპუკი, ზომიერებას გადასცდა მატჩიში, იგრიხება მოქნილი ფოქსტროტი, იკლაკნება ჟინიანი ტანგო და შიშველდება ვნებიანი მუცლის ცეკვა.

დაპეტრის ათნაირი ფერის და ფორმის წვივი და ბარძაყი, შრი-ალებს ფარჩის კაბა და ელავს თეთრი საცვალი.

ქალ-ვაჟნი ერთმანეთში ჩახლართულან, ჩაკრულან და ჩაწნულან და ერთმანეთის სუნთქვით და ხორცით დამთვრალნი და თავ-ბრუდახვეულნი ლალად და გატაცებით დასცურავენ და დაპეტრიან ცეკვის ტალღებში.

ისმის ტრფობის ჩურჩული, ნართაული ოხუნჯობა და აღგზნებული კისკასი.

დარბაზს სჭრის ხშირი ელვა სურვეილით ანთებულ თვალებისა.

ავის ღელვით ჰლელავს შიშველი მკერდი.

სისხლისფერ ტუჩებზე და ელვიან კბილებზე სთრთის ალმური აშლილ ჟინისა.

ნარჯოტით ალესილი და შწვავე სასმელ-საჭმელით ალეწილი ხორცი ექებს დაცხორმას.

აპილბილებული და აჩუხჩუხებული სისხლი მოუთმენლად მოელის და დაეკინებით მოითხოვს შენელებას და ჩაქრობას.

გაჩალებული დარბაზი ვნების ალში და ბანგში გახვეულა.

ილრინება და მძვინვარებს პირ-სისხლიანი, კბილ-ალესილი, ფაფარაყრილი და ახურებული მხეცი სიძვის და მრუშობისა.

იწვის, სდნება და ინთქმის იგი დარბაზი გარყვნილების და ალვირაწყვეტილ ჟინის ხანძარში.

კვაჭიც აჰყვა ამ ხანძარს, მოაჯდა პირ-სისხლიან მხეცს, შეს-ცურდა გაბანგულ ტალღებში და თავგამწევ ცხენივით გადავარდა მრუშობის და ვნების მორევში; გადავარდა და ორიოდე კვირა იხ-ჩობოდა იმ ზღვაში და იხრუკებოდა იმ ცეცხლში.

უკელაფერი ჰნახა და იგემა: ჯოჯოხეთი და სამოთხე, აპაშების სარდაფები და მეძავთა შესაფარი, გარე-უბნების ბალები და ქალ-ვაჟთა შესახვედრი საიდუმლო სახლები, დაქირავებული სიყვარული და მისი მაკინტლობა, რომლითაც ქანც-გამოლეული საჭურისნი ჭუჭრუტანებიდან სტკებოლდნენ და სთვრებოლდნენ.

და გაბრუებულ, გამხეცებულ კვაჭანტირაძეს ირგვლივ მხოლოდ გაკაპასებულ ვნების ყმუილი, გატიტვლებულ სიტკბოების ლრიალი, ჭკმუტუნი და კვნესა ესმოდა.

და კვაჭი მსოფლიოს დედა-ქალაქში ჰქედავდა და ჰერძნობდა მხოლოდ ზიშველს, ფეხაყრილ პირუტყვს, მუდმივს ნადიმს და ზეიმს, ლხინს და განცხრომას, ფუფუნებას და მოსვენებას.

და კვაჭიც დარწმუნებული იყო და ჰეფიქობდა, რომ ის მზე-თა-მზე ქალაქი და ფრანგთა მთელი ქვეყანაც კვაჭივით ატარებდნენ თავიანთ სიცოცხლეს და ჰხარჯავდნენ თავიანთ ძალ-ლონეს.

ის კი არ იცოდა ფლიგელ-ადიუტანტმა, სილიბისტროს შვილ-მა—ან საიდან გაიგებდა, ან როგორ მოიფიქრებდა და დაიჯერებდა? —რომ სწორედ იმ დროს, როცა იგი დღეს აღმებდა და ათენებდა ვნების ხანძარსა და სიტკბოების მორევში, იმ უთვალავ ხალხის ოთხმოცდა-ცხრამეტი მეტასედი ერთ ლუქმა-პურისთვის, თავის ოჯა-ზისთვის და პატიოსნებისთვის დღე-ღამეს ასწორებდნენ, წელებზე ფეხს იდგამდნენ და მთელ თავისს სიცოცხლეს მუდმივს ფუსფუსსა, დაუდროგომელ შრომასა და ჯაფაში ჰლევდნენ.

**აქა ამბავი ძველი სიყვარულის აღდგენისა და ახალ
მიჯნურის პოვნისა.**

პარიზში ჩამოსულის მესამე დღეს კვაჭი ისაკამ დაპეატიუა. იდელსონებს ლათინურ უბანში პატარა და კოხტა ბინა ჰქონდათ. კოპტიად გამოწყობილი რებეკა სიხარულისაგან აღეწილი და აფო-რიაქებული იყო. ხუთ წელიწადში ოდნავ დასრულებულიყო და უფრო დამშვენებულიყო. კვაჭიმ და რებიმ ერთმანეთი მოიკითხეს და თვალებით დასჭამეს. სადილზე მხოლოდ სამი ისხდნენ.

— ჩემი ძმის წული რახილი ძალიან შორს მსახურობს,— სთქეა ისაკამ: — ამიტომ იქვე სადილობს და დასაძინებლად აქ მოდის. რო-გორმე უნდა გაგაცნოთ, მშვენიერი მომლერალია.

სადილი რომ გაათავეს, ისაკამ წამოიწია:

— დიდი ბოლიში უნდა მოვიხადო. ერთი ძალიან კარგი მუშტარი მყავს, რვა საათზე ვყევარ დაბარებული. თქვენ კიდევ იბაა-სეთ ან გაისეირნეთ, მე კი ეხლავე უნდა გავიქცე.

— ჩვენც გავისეირნებთ,—უთხრა რებიძ და ქმარი გააცილა. შერე თაახში შემოტრიალდა და კვაჭის კისერზე ჩამოეკიდა.

— ჩემო აპოლონ!.. ჩემო ნაპოლეონ!

— ჩემო რები!.. რებეკა! ჩემო ძვირფასო!

და ძველი სიყვარული ოფლით და ხენეშით გაიხსენეს.

იმ დღიდან კვაჭიმ რებეკას კვირაში ორი საღამო შესწირა.

ელისეს ხეივანზე კვაჭის დაქირავებული აქვს პარიზულად მოწყობილი ჰოტელ-სასახლე. კვაჭის გარდა იმ სასახლეში ბუდობენ ყველა მისი მეგობრები, კვაჭის წამკითხველი და ფრანგულის მასწავლებელი სუსსანა,—ბესოს ნაშოვნი ფრანგი—დაბალი, ფუნჩულა, ცქრიალა, მარდი და მხიარული, — ხუთიოდე „გრიზეტი“ და ათიოდე მსახური, — კარის დარაჯნი, ლაქიები, მზარეულნი, მებაღე, მეჯინიბე და შოფერი.

კვაჭიმ ადვილად დაისწავლა ფრანგული, ადვილად გაიგნო გზები და ბილიკები იმ ქალაქში და მალე შეითვისა იქიურ რანტი-ების და ფლანიორების ზნე-ჩვეულებანი, ადათი, წესი და კანონი.

ზოგჯერ სუსსანა ფრანგულ ენის გარდა კვაჭის ფრანგულ სიყვარულსაც ასწავლიდა და შეგირდის წარმატებით და მხნეობით თვითონაც ფრიად მოხარული და ნასიამოვნები იყო.

კვაჭის თითქმის ყველა ნაცნობ-მეგობრები თავიდების, ჰერცოგების, გრაფების, მარკიზებისა და ბარონების ტიტულებს ატარებდნენ, ხოლო დანარჩენები—ფულიანები და ზრდილნი მაინც იყვნენ.

დილით ადრე კვაჭი გრუმს გაიყოლებდა, ჯიშიან ინგლისურ ცხენით ელისეს ხეივანს დაჰყვებოდა, ბულონის ქალა-ბალს მოივლიდა; მერე დილის ყავის დიდ ბულვარებზე მიირთმევდა, საუზმეს მეგობრებთან ერთად თავისს სასახლეში გიახლებოდათ; ხუთი საათის ფაიფ-ო-კლოქს „კარლტონის“ ან „ინგლისის“, ხან „მადრიდის“, ხან კიდევ „ელისეს“ ყავახანაში დალევდა, შვიდ საათზე „მაქსიმთან“, ან „გრანდ ოტელში“, ან სხვა რჩეულ რესტორანში ისადილებდა და საღამოსა და ღამეს კაბარე-შანტანებში ატარებდა.

ხშირად ჰყავდა სტუმრები და თვითონაც პატიუად კაფე-რესტორანში მიდიოდა. რადგან მისი ახალი ნაცნობნი და მეგობრები

უცხოელნი იყვნენ და სასტუმროში სცხოვრობდნენ, ხოლო ფრანგების სიფრთხილე და მორიდება კვაჭიმ ჯერ ვერ დასძლია და მათი ოჯახის კარები ჯერ ვერ გააღო.

რესპუბლიკის მუზეუმში ნაპოლეონის ოქროს სერვიზი ჰნახა.

— იმე, იმაზე ნაკლები ვარ თუ? სახელი მაინც მაქვს მისი! და თავისითვის ოქროს ჭურჭელი იყიდა.

კვაჭის ყველგან ჰქონდა თვისი ალაგი და არაფერს აკლდებოდა: გამოფენის ვერნისაჟს, ოპერას, სეირნობას, ღოლს, თეატრ-ვარიეტეს, ფოლი-ბერეერს, ოლიმპიას და ყოველნაირ საზეიმო სანახობას და გასართობს.

ერთხელ პარიზის სალონის ვერნისაჟზე კვაჭი მოულოდნელად დაფეხდა:

— ელენე!.. ტანია!.. ლემერთო ჩემო... საიდან? როგორ?

ოთხი თვე იქნებოდა, რაც ელენემ და ტანიამ „არქადიაში“ ვრიშვას მიერ ატეხილ სკანდალს თავი მოარიდეს, მას აქეთ ორივენი პარიზში სცხოვრობდნენ ფობურგ-სენტ-ჰონორეს ხეივანზე, მაგრამ აქამდის არ იცოდნენ კვაჭის ყოფნა პარიზში.

თავადი ვიტეგნშტეინიც პარიზში ჩამოსულიყო და ტანიას და ელენეს დასდევდა, უფრო კი ტანიას ელენებოდა თავს, რადგან იმ ხანებში თვითონ გაკოტრებულიყო და გაკვაჭებულიყო.

კვაჭი მაშინვე სავონებელს მიეცა. მართალია, კვაჭის საზრუნვა და მოსავლელი ჰყავდა ლაპოში, სუსანა, რებეკა და ელენე, მაგრამ მან იმავ დღეს ეს ახალი ამოცანა ასე „გააიმასქნა“:

— იმე! რა ბევრი ფიქრი უნდა მასა! ტანიას რომე სიმდიდრე აქვს, თუნდ ოც ქალსაც შემინახავს და დანარჩენ ხარჯებსაც გეისტუმრებს.

მხოლოდ ერთი რამ ვერ გადასჭრა კვაჭიმ: ვისთვის შეეწირნა ის ლამე: ტანიასთვის თუ ელენესთვის? და ბოლოს, ეს ამოცანაც ასე გადასჭრა:

— ძალიან მწყინს, რომ მთელ საღამოს ვერ შემოგწირავთ, ჩემ ძვირფასო! საცაა უნდა თავი დაგანძოთ. ამაღამ უნდა შალონში წავიდე ერთ ჩემ მეგობართან—ვიქონტ შუაზელთან, ხვალ დილით ნადირობა გვაქვს.

და რადგან კვაჭი ტანიას და ელენეს შუა მიღიოდა და ხელები ორივეს მკლავებში ჰქონდა გაყრილი, ორივეს რიგ-რიგად მკლავში ხელი მოუჭირა, თვალიც ჩაუქრა და სათქმელი უსიტყვოდ უთხრა. მერე ორივეს ხელებზე ემთხვია და თავისს გზას გაუდგა. სა-

ათის ცხრაზე კვაჭიმ სენტ-ჰონორეს ხეივანზე ჩაიარა. ტანიას სარ-კმელი განათებული იყო.

— ედლენე რომ აქ დაგხვედროდა? — ჰკითხა ტანიამ კვაჭის ერთი საათის შემდეგ.

— ვეტყოდი, მატარებელზე დავიგვიანე მეთქი. — უპასუხა კვაჭიმ.

— ხვალ დილით რომ ტანია შეგხვდეს, რას ეტყვი? — ჰკითხა კვაჭის იმავ ღამეს ელენემ.

— ვეტყვი, მატარებელზე დავიგვიანე მეთქი.

ასე გადაიბა სამთა შორის ოთხი თვის წინათ დაწყვეტილი ძაფები. მაგრამ რადგან გაუმაძლარი და ქანცდალეული კვაჭი სულ ახალ-ახლებს ეძებდა და ჰპოულობდა, ამიტომ მალე გამართლდა იმისს თავზე ძველი თქმულება: კვაჭი თავისს საყვარლებს ამარილებდა და აცმევდა, ხოლო სხვები — ნაცნობ-უცნობნი — იმ ქალებს ჰქილიდნენ და კვაჭის ჰშველოდნენ.

გამართლდა ეს თქმულება, მაგრამ კვაჭი განგებ თვალს იბრმავებდა, რადგან მისი საყვარლების ჩაცმაც და გახდაც, ლხინიც და ჰოტელის შენახვაც ისევ ტანია პროზოროვას სქელ ჯიბეს დააწვა.

იმავ ხანებში, როცა ერთხელ კვაჭი „კაფე-რიზ“-ის დერეფანში ჩალით გრენადინს სრუბავდა, ისაკა იდელსონი თავს წაადგა და ასე უსაყვედურა:

— გზა გაიკვლიეთ, განა? ბებერ ისაკის ველაზ სცნობთ, განა! აგრე უნდა ძველი ნაცნობის დავიწყება? გუშინწინ პირის-პირ შეგეხჩეთ, თავი დაგიკარით, მაგრამ პასუხი ვერ მივიღე. ეგრე უნდა, განა! გადიდეაცდით, განა!

— არა, ბატონო იდელსონ, არა! ვერ შეგამჩნიეთ, თორემ თქვენი ნახვა და თქვენთან ბაასი ყოველთვის ძალიან მესიამოვნება. ქუუიანი კაცი ბრძანდებით, ქუუიანი და გამოცდილი, მეც ეგ მინდა.

— ქუუიანი, გამოცდილი და პატიოსანი! — დაუმატა ისაკამ.

— მართალია, პატიოსანიც ბრძანდებით. აბა, გვერდით მომიჯექით და მიამბეთ, როგორ ბრძანდება რები?

— მადლობელი, ძალიან კარგად. უთქვენოდ მოიწყენს ხოლმე. ეხლა აქ მარტო არ გახლავართ. აგერ იქ ჩემი ძმის წული, რახილი მიცდის.

— მართლა? მაშ იმასაც დაუძახეთ... სთხოვეთ... პატივი დამდეთ...

— რახილ! მოდი, ჩემო გოგონავ, მოდი! აი, გაიცანი: უხვი, ქუუიანი, პატიოსანი და კეთილშობილი თავადი ბაგრატიონი-კვაჭანტირაძე.

— დაბრძანდით... მოითხოვეთ, რაც გნებავთ... გარსონ!
 — თურმე საქართველოს ბაგრატიონთა სამეფო გვარეულობა,
 — უთხრა ისაკი რახილს: —ჩვენი მეფე დავითის ჩამომავალი ყოფილა.
 — მართლა?... ვითომ?.. როგორ? საიდან?
 — დიალ, —დაუდასტურა კვაჭიმ და რახილსაც განუმეორა
 ძეველის-ძველი ლეგენდა.

ისაკი უცებ მოსხლტა:

— მე ეხლავე გიახლებით. პატარა საქმე მაქვს.

და ვიღაცას გამოუდგა.

კვაჭიმ რახილი ჯერ აათვალ-ჩაათვალიერა და მერე ისე ახ-
 ლოს მიიწია მასთან, რომ მათმა თეძოებმა და მხრებმა ერთმანეთი
 გაათბეს, დასწევს და დასდაგეს.

რახილი სულ სხეა ჯურისა და იერის ქალი იყო, ვიდრე კვა-
 ჭის ჰარამხანის დანარჩენი ქალები:

მაღალი, თხელი, ბამბასავით თეთრი, ოდნავ ჭორფლიანი, თმა-
 წითელი, მწვანე თვალი, პირგრძელი და ისეთი ეშხიანი, მიმზიდველი
 და სანდომიანი, რომ იქ მსხდომნი და მავალნიც მას თვალს ვერ
 აშორებდნენ.

აქა ამბავი მხატვრობის მუზეუმისა.

უცებ კვაჭიმ უცნაურს რასმე მოჰკრა თვალი: რახილი რომ
 დაიხარა, გულის-პირი გადმოეწია და იმისს მკერდზე ცისფერი
 ნახაზი რამ გამოჩნდა.

— მაღმუაზელ, ეგ რა გაქვთ მკერდზე?

— ვაიმე!.. დაინახეთ?.. არაფერი, ღმერთმანი, არაფერი!—
 მორცხვად პეტრბუტებდა რახილი და უკვე თავისთავად დაფარულ
 ნახაზს ორივე ხელით იმალავდა.

— მაინც? მიამბეთ, თუ ღმერთი გწამთ, მიამბეთ.

— საიმისო არაფერია. ვიამბობთ: ათის წლისა რომ ვიყავი,
 კუნძულ ცეილონზე ვსცხოვრობდით. იქ ვიღაც განთქმული მხატვა-
 რი ყოფილა, რომელიც ტუშით ადამიანის სხეულს ჰქატავდა. დედა-
 ჩემს ისე მოეწონა ნახაზი ქალები, რომ ჩემი ტანიც დაახაზვინა. ეს
 არის და ეს. მეტი არაფერი.

— ერთი მიბრძანეთ, ბევრი დაახაზვინა?

— ბევრი... მთელი ტანი. აქაც... აი, აქაც...

— არ შეიძლება თვალი დავატებო მაგ ნახაზებით? უნდა მო-
 გახსენოთ, რომ მე დიდი მცირე ვარ ხელოვნების.

რახილმა გულიანად გადიკისკისა და უპასუხა:
— ჯერ არავის უნახავს.

— დამალული განძი თუნდ ყოფილა და თუნდ არა. მართლა, ბიძა თქვენმა მითხრა, რომ თქვენ გალობის გაკვეთილებს იძლევით, მართალია?

— მართალია.

— მიმიღეთ შეგირდად.

— თითო გაკვეთილი ათი ფრანკი ელირება.

— თუ ასჯერ მეტი არ დამიჯდა, მაგ ხარჯს ადვილად ვაუძლებ...

რახილმა კიდევ გადიკისკისა.

— თუ ათჯერ მეტი დაგიჯდათ?

— ეს მერე ვიანგარიშოთ. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენ უნდა მობრძანდეთ ხოლმე ჩემთან.

რახილმა მუშტრის თვალით გაპსინჯა კვაჭი და გაიცინა.

— კეთილი... მე ვივლი... ოცი ფრანკი ელირება.

იმავ საღამოს რახილი ცალ თითს როიალზე აკაკუნებდა და კვაჭის აცოდვილებდა:

— ღო-ო-ო... რე-ე-ე... მი-ი-ი. მი-ი. მი! მი! ოჟ, ღმერთო ჩე-მო, რა უგუნური და უნიჭო შეგირდი ჰყოფილხართ! მი-ი-ი.. მი-ი. მი-მი!..

კვაჭი იჭიმებოდა, იჭინთებოდა და ყელის ძარღვებს იწყვეტავ-და, მაგრამ ერთს ნოტის მეორესგან ვერ არჩევდა.

გამწყრალმა რახილმა, ბოლოს, მოკლედ მოუქრა:

— ამ სკამს და თქვენ ერთნაირი სმენა გქონიათ. გავათავოთ. მივდივარ.

— მოითმინეთ, მე ჯერ არც კი დამიწყვია.

და დაიწყო. ბრძოლა ფიცხელი და ხანმოქლე იყო. კვაჭიმ სამ-ხატვრო მუზეუმი იერიშით აილო და განთქმულ მხატვრის ნაწარ-მოები დაწვრილებით დაათვალიერა. თუმცა კვაჭის მხატვრობა და მუსიკა ერთნაირად ესმოდა, მან მაინც ერთი არქეოლოგიური გან-ძი იპოვნა. რახილის ტანის სხვადასხვა კუთხეში მან იღმოაჩინა და წაიკითხა რახილის რამდენიმე მუშტრის სახელი: „ეან“, „პოლ“, „ეზენ“ და „პიერ“.

მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ გაიგო კვაჭი კვაჭანტირა-ძემ,—ისიც შემთხვევით,—რომ რახილი ერთ „სახლში“ ჰმსახურებ-და და ლამეში ათ ფრანკს იღებდა თავისს სამხატვრო მუზეუმის

ჩვენებისა და... მუშტარის გართობისთვის, თვითონ კვაჭის კი რახილის ერთი მოსვლა... მაგრამ ვინ იცის, ვინ დასთვლის კვაჭის ხარჯს და შემოსავალს?!

აქა ამბავი კვაჭის პარამხანის დანგრევისა.

რახილის პირველი მისვლა მაინცა და მაინც დიდი ამბავი არ იყო კვაჭის ცხოვრებაში, მაგრამ ის დღე კვაჭის სამუდამოდ დაახსოვდა, რადგან ერთს მცირე გარემოებას უუდიდესი შედეგი მოჰყევა.

რახილი რომ გავიდა კვაჭის სახლიდან, კვაჭიმ გულში სოქვა:

— რახილი მეექება. აფერი ამერიოს აქინე, თვარა... — და კვაჭის რომ მართლა არაფერი აპრეოდა, თავისს უბის წიგნში ასეთი დღიური ჩასწერა:

ორშაბათი	.	.	.	მაღამ ლაპოში.
სამშაბათი	.	.	.	რებეკა.
ოთხშაბათი	.	.	.	ელენე.
ხუთშაბათი	.	.	.	რახილი.
პარასკევი	.	.	.	სუსსანა.
შაბათი	.	.	.	ტანია.
კვირა	.	.	.	დასვენება.

ჩასწერა და იქვე ცველას მისამართიც აღნიშნა. ეს წიგნაკი ხან კვაჭის ედო უბეში, ხან იმის მაგიდაზე ეგდო, ხან კიდევ მაგიდის უჯრაში.

კვაჭიმ თვისი დღიური ზეპირად იცოდა და დანარჩენი ჩანაწერიც იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ კვაჭიმ წიგნაკი მაგიდაზე დასტოვა და დაივიწყა.

გავიდა ხანი. ერთ პარასკევს ფრანგული ენის მასწავლებელი სუსსანა თავისი წილის მისალებად მოვიდა. კვაჭი შინ არ იყო. სუსსანა დიდხანს უცდიდა კვაჭის მოსვლას, მერე უნებურად იმ წიგნას დასწვდა და გადაფურცლა. გადაფურცლა და იმ დღიურს წააწყდა.

დაგეშილმა სუსსანამ უმაღლ გაპესნა და გადაშალა ყოველივე.

დედაკაცნი და მამაკაცნიც ხშირად ინაწილებენ სიყარულს, მაგრამ ამ მოვლენას არც ისე ადვილად ურიცდებიან. სუსსანამ კვაჭის ღალატისა ზოგი რამ იცოდა, ზოგსაც ეპევობდა, ხოლო ეს დღიური რომ იხელთა, ასტოკდა, აინთო და აიბურზგნა. ის დღიური და მისამართთა წილი უმაღლ ფურცელზე ჩაიწერა, ჯიბეში ჩაიდო და წავიდა.

ორი დღის შემდეგ კვაჭის საყვარლებმა ასეთი ბარათები მიიღეს: „ჩემო ძვირფასო! ჩეენს დანიშნულ დღეს მე ვერ მოვიცლი, ამიტომ გთხოვ შაბათს სწორედ ხუთ საათზე მნახო. გკოცნი ათას-ჯერ და გელი მოუთმენლად“.

სუსსანამ იცოდა, რომ კვაჭი ტანიას არ მოაცდენდა და არც მოაცდევინებდა, ამიტომ მან სწორედ მისი დღე და საათი დაპირიშა.

შაბათს ყველაზე ადრე ტანია მივიღა. მას ფეხ-და-ფეხ სუსსანა, რებეკე, ელენე, რახილი და ლაპოში მიჰყვნენ.

ის იყო—ტანიამ საკინძი გაიხსნა, რომ ჯალილამ კვაჭის კარები დაუკაუნა და სუსსანის მოსელა შეატყობინა. ათიოდე წუთის შემდეგ ტანიაც ხელახლად მოირთო, საწოლიდან კაბინეტში გავიდა და იქიდან სადარბაზო ოთახში შევიდა, სადაც უკვე ცველა ქალებს მოეყარნათ თავი.

კვაჭი გაბრუებულ ინდოურივით დადიოდა და ჰლულლულებდა:

— გთხოვთ გაიცნოთ... დაბრძანდით... დიალ, მშვენიერი დარია... წუხელ მე ცირკში გახლდით...

მერე ჯერ ერთმა იხელთა დრო და კვაჭი განზე გაიწვია, მერე მეორემაც იგივე გაიმეორა და მეხუთემაც. ცველანი კვაჭის ერსა და იმავეს ეკითხებოდნენ:

— ეს ბარათი შენ მომწერე, არა? ერთი მითხარი, რისთვის დამიბარე?

„ჰო“. ეთქვა,—ვაი კვაჭის, „არა“ ეთქვა და—ვუ იმას.

კვაჭი გაიჭიმა და გაიჭინთა, დაგეშილი ტვინი აამუშავა, მაგრამ ვერაფერი მოიგონა. წახდა კაკალი კაცი!

— ბესო! ჩეარი დაამზადონ ჩაი. ვინცხამ „ფაიფ-ო-კლოკი“ გამიმართა. დოუძახე ცველას, შენც შემოდი და ეს ქალები როგორმე გაართეთ, თორემ დევიფსე კაცი!

ქალები რაღაც იღუმალ ჩურჩულსა და ფრუტუნში იყვნენ. კვაჭიმ შეპირიშა, რომ სხვებზე მეტად სუსსანა ჰთაცურობდა. მიხედა კვაჭი, რომ იმ საქმეში სუსსანას ხელი ერია, მაგრამ ენა დაბმული ჰქონდა და ხელი შეკრული.

ამასობაში კვაჭის ამხანაგებიც შემოვიდნენ და ბელადს მიეშველნენ. ექვს ქალს ექვსი ვაჟი შეპევდა. ცველამ ისე დაირიგეს თოთო ქალი, რომ კვაჭის სუსსანა დარჩა.

კვაჭი გვერდით მოუჯდა მას, მისი ჯანმრთელობა მოიკითხა, გაიღიმა და იმავ დროს ისე უჩქმიტა მკლავში, რომ სუსსანამ კინალამ შეპკივლა. უჩქმიტა და ჩასჩურჩულა:

— მე შენ გაჩვენებ სეირსა! დამიცა... დაიცა...

— ჯალილ! — დაუძახა მაშინვე სუსსანამ ჯალილს, რომელმაც კარებში შემოიხედა: — ჯალილ, აქ მოღი! მოღი, დაჯერი... როგორა ხარ? დღეს შენ ჩემი გამრთობი ხარ. აბა, მიამბე, როგორ მოგწონს ფრანგის ქალები?

სუსსანამ ჯალილა გვერდით მოისეა და აიყოლა.

ჯალილას პირსახეზე ბადრი ლიმილი გაეჭალა და ზედვე შერჩა. გოჯის თეთრ კბილებს იელვებდა, ფრანგულს უწყალოდ სტკეპნიდა, თითებით ლაპარაკობდა და ოფლში იწურებოდა.

— ჯალილ, როგორ მოგწონს ეგ ქალი? — ჰერთხა კვაჭიძი.

— ზალიან, შენი ჩირი მე, ზალიან! ჯალილას ზალიან უხვარს თეთრი ქალი.

— მაშ შენთვის მიჩუქებია.

— მაღლობელი, კნიაზჯან, მაგრამ... ჯალილასთან არ სამოვა.

კვაჭი ხან ერთთან მივიდა და ხან მეორესთან, მაგრამ ყველას თითქოს პირი ჰქონდათ შეკრული: კვაჭის ხმას არ სცემდნენ და ზურგს აჩვენებდნენ.

ჩაი რომ შემოიტანეს, უცებ ყველანი აიშალნენ, კვაჭის მეგობრებს ხელი ჩემოართვეს და კარებისკენ გასწიეს.

— მოითმინეთ... საით მიეჩარებით? ჩაი მიირთვით...

ჰპატიუობდა კვაჭი, მაგრამ მას არც ხმა გასცეს, არც ხელი ჩამოართვეს და გავიდნენ.

— ეს რა ამბავია? — ჰერთხეს ერთმანეთს ამხანაგებმა.

— სუსსანამ მიქნა აი საქმე. — სთქვა კვაჭიმ: — დევილუპე და შევრცხვი კაյალი კაცი!

— ზოგი ჭირი მარგებელიაო! — ანუგეშა კვაჭი ბესომ.

— კი, მართალს ამბობ, ბესო! — დაეთანხმა კვაჭი: — დევისვენებ და დროც მეტი მექნება ახალ საქმიზა.

ასე დაანგრია და დაჭმალა ცუგრუმელა სუსსანამ კვაჭის ჰარმხანა.

აქა ამბავი ერთ საუბრისა და სამი ამხანაგის დაბრუნებისა სამშობლოში.

კვაჭიმ და ამხანაგობამ პარიზში ფეხი მოიკიდეს და მომაგრდნენ. ჯერ უსუსურ ბავშვივით ფეხზე ძლივს სდგებოდნენ, მორცხვად იხედებოდნენ, მორიცხებით დადიოდნენ და ჰეტერბურგიდან ჩამორანილ ქონით სცხოვრობდნენ. მაგრამ შემდეგ თან-და-თან გამხნევდნენ, გათამამდნენ და აღვირაწყვეტილ ულაყივით გაიწიეს. ან რა-

ტომ არ უნდა გაეწიას? ფრანგთა ენაც საყველ-პუროდ შეისწავლეს, მათი ზნე და ჩვეულებაც მიიღეს, ადათიც შეითვისეს, ცილინდრებიც დაიხურეს, იმ ხალხის ფეხის ხმას აპყვნენ და გაუტიეს.

კვაჭიმ და ამხანაგობამ დიდხანს უარეს ფრანგულ ოჯახს გარშემო, დიდხანს აბრახუნეს მისი კარებები, ფანჯრებიდან და საბოლოედანაც სცადეს შეძრომა და საქმეთა „გაიმასქნება“, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ იქაური ოჯახი ჩვენებურ ციხეზე მაგრად იყო დაკეტილი. დარწმუნდნენ, მაგრამ არ შესწუხდნენ. ოჯახებს თავი დაანებეს და ბულვარებს მიესივნენ, სადაც უზვად იპოვნეს პირლია და ფულიანი ბედოვლათი.

კვაჭიმ და ამხანაგობამ თითქმის ორი წელიწადი ინადირეს და ითვავს იმ უძირო და უხლურბლო ზღვაში. ვინ მოსთვლის, ვინ ასწერს კვაჭის ხელმარდობას, გმირობას, მოქნილებას, სიტრობილეს და ყნოსვას?

„მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშ-მიუწდომელი,

რუსი, ბრიტტი და ალმანი, სუყველა კვაჭის მდომელი;

კვაჭს პატრონ-ყმანი გაუხდეს,—ჭვრეტადმცა ჰსჯობდეს რომელი!

აპა ხელი და გმირობა და მკლავი დაუშრომელი!

იგი ველი დაირბინეს, ჯოგი წინა შემოისხეს,

გაბულიფეს და გაატყავეს, ცათა ლმერთი შეარისხეს,

უთესავსა მოიმკიდეს, „იმასქნობით“ ოფლი ისხეს;

კვაჭიკოსი შემხედველთა: „ჰვავსო ალვას, ედემის ხეს“.

ერთხელ, ოდეს ამხანაგებმა ორიოდე დიდი საქმე „გააიმასქნეს“, და „ფულებმა შეპქმნეს მოდენა, მოსდგეს უფროსი ბზეთასა“, და ის ბზე ერთმანეთში მშურად და მეგობრულად გაინაწილეს, მერე დასხდნენ, ბოთლი შამპანური გაპხსნეს და ასეთი ბაასი გააბეს:

— ენიაზ, იცი რას გითხრამ? მოდი ჭკუაზე შოვიდეთ! — დაიწყო ჰავლაბრიანშა.

— რას ლაპარიკობ, შე ყაზილარო, ჭკუაზე არ ვარ თუ? — იტკიცა კვაჭიმ.

— თუ დამიჯერებ, ჭკუაზე ყოფილხარ, თუ არა და — შენ იცი. ეს ხომ კარგი საქმე გავაკეთეთ. ამოდენა ფულს ვერც მამაშენი სილიბისტრო, ვერც მამაჩემი გალუსტა სიზმარშიაც ვერ ჰნახავენ, ერთ კვირაშიაც ვერ დასთვლიან. მოდი ჭკუა ვინმაროთ და გავათავოთ... ჰამე?.. ვიცი, რომ ჯერ-ჯერობით ქეიფის მეტს აღარაფერს აპირებ, ჰამა ეს ფულიც გათავდება, განა! მერე ისევ თავიდან უნდა დავიწყოთ. ერთიც იქნებაა, კოკა წყალზე გატყდებაა! მერე? ყველაფე-

რი შხამად ამოგვივაა! თავზე საყრელი ფული გვააქვს. ეს „ზაგრანიცაც“ დავიარეეთ; თუ გინდათ, ცოტა კიდევ ვიხეტიალოოთ; ამოდენა ქეითვი გავწიეთ, ხმელეთის ქალები „დავპრობეთ“, ეხლა დაესხდეთ და კეთილად ვიცხოვროოთ. ჰამ ციხესაც თავიდან ავიშორებთ, ჰამ პატივიც შეგვრჩებაა, ჰამ სიკეთესაც დავთესამთ, ჰამ ოჯახსაც ავიშენებთ და საქმესაც გავიჩენთ. ჰა, ჩემი სიტყვა კუთხაში დაგიადათ თუ არა?

— იმე, აი სედრაკა თლა „გამეშჩანებულა“! — წამოიძახა კვაჭიმი: — პარიზს თავი დავანებო და თლა დაფსილ საქართველოში გავიქცევე! აი მზეთუნახავი პრინცესები აქინე დავტოვო და ღვანკი-თელ კაროვნას გამევეკიდოო! აი სასახლედან გამევიდე და სამტრედიის, თუნდ ტყილისის საქათმეში შევიდევ!

— „ოლიმპიას“, „მულენ რუსს“, „ქაფე-რიშს“ მოვცილდე და დანიელა ურიას, ლაითაძეს და ერემოს გადვეკიდოო? — გაიკვირვა ჭიპუნტირაძემაც.

— აქოურ აპაშების კაბარე და დიდ ბულვარზე ერთი გასეირნება მირჩევნია თლა საქართველოს! — დაადასტურა ჩიკინჯილაძემ: — თლა გედირია აი სედრაკა.

— რას ეძებ, რა დაგრჩენია იქინე, შე სულელო, შენა? — ჰეი-თხა კვაჭიმ.

— ზოგი გითხარით, ზოგსაც გეტზვით, რამდა! იცით, რა დამრჩენია? მოხუცებული დედა-მამა, ჩემთვის რომ ასე დაიტანჯნენ; ღარიბი ნათესავები, ამდენ ხანს რომ პირში შამამცქერიან და ჩემს ჩასვლას რომ ცის მანანასავით ელიან...

ამხანაგებმა სიცილით გააწყვეტინეს.

— აյი ვსთქვი, თლა „გამეშჩანებულა“ თქვა!

— რა დამრჩენია? ვაა, ყველაფერი: თელავის ვენახები, ნადიკვარის გადასახედი, ცივგომბორის ნიავიი; კახური ღვინოო, ჩვენებური უუეუნა თვალებიანი გოგოებიი, ერთგული ძმა-ბიჭებიი...

ჯალილამ სედრაკას გააწყვეტინა:

— კარგი ზმა-ბიჭები, ციოლი ლულა-ქებაბი, სხერის ბოზართმა და ბოზბაში, ჰაზირას ბაიათი, ერთი თეთრი მათუშეაც და — ჰაჯან, ჯალილ! ალლავერდი, გაბოებან!

— უჺ, შენი ჭირიმე, შენი! — წამოიჭრა და ალელდა გაბო ჩხუბიშვილიც: — გორში რა დამრჩენია? გორის ციხე, — ვენაცვალე იმის ამშენებელსა! იმის თავზე რომ ძმა-ბიჭები სუფრას გავშლით, მწვადებს რომ იგაშიშხინებთ, ერთ სუფრულს რომ დაესძახებთ და ტკბილ დუდუქს რომ ავაკაენებთ...

სედრიაკამ სიტყვა ჩამოართვა:

— როირაუზე რომ მეზურნე მალლობზე გადმოდგება, საარს დაპკრავს და გათენებას რომ მიესალმება...

მერე ერთმანეთს აღარ აცლიდნენ:

— დილით რომ მტკვარზე ტივი ჩამოივლის, ზედ რომ სუფრას გაუშლით და ისარივით ქვეით დაკეშვებით...

— აბანოში რომ ქისაჩი კარგად დაგზილამს, მერე სხვრის დუმით რომ გაზლები და დაიზინება...

— ვენახში რომ მუშაობით ოფლში გაიწურები, მერე უუზარმაზარ კაკლის ჩრდილში ჩამოჯდები და ცივ კიტრს, ჩიხირთმას და მაწონს რომ მოუჯდები...

— საღამო ქამხე რომ ლიახვში გაბანდები, მერე იმის ტოტს რომ დასწყვეტავ და თევზზე იხელავებ; იქვე რომ ცეცხლს ააგუგუნებ და ცოცხალს მოხარშავა...

— ჯალილა რომ გაიღვიზებს და ჰაზირას დაუზახებს, ერთი შიქასტა მაშინა!

— როველში რომ ტკბილი ბუდეშურით გაძლები, მერე კომშიან ციკანს რომ მიადგები და ზედ რომ საფერავის ან რქაწილის მაჭარს დააყოლებ, თან დედას ლევანა რომ კახურსაც შემოსახეებს...

— ნანადირევ ქედანსა და კურდლელს რომ ჭალაში ააშიშხინებ...

— მერე ულრან ტყეში რომ შეერევი და გაგრილდები...

— იმე, რა ხოუვიდათ აი ყაზილარებს?

— მეგონა, აი კაცები გაევროპიელდნენ თქვა, განათლდნენ და ცივილიზაცია შეითვისეს თქვა, ნამდვილად კი თლა აზიელები ყოფილია!

— მაიზა მეივონა დარვინმა ატავიზმის კანონი. ხეხილი რომე გააჯიშიანო, უცბად თავს მეიგიუიანებს და ძეელ ჯიშს დოუბრუნდება, ამათაც ამ ატავიზმის ამბავი დიემართათ.

— რა ესმით მავ ატავიზმისა ამ ყაზილარებს! — აურია ერთმანეთში კვაჭიმ ატავიზმი და ათეიზმი.

გაბომ კიდევ დაასაბუთა თეისი გატაცება, წყურეილი სახლში დაბრუნებისა და სამშობლო ახსენა.

ეს სიტყვა ხელშე დაიხვიდა:

— თელი ქვეყანა ჩემი სამშობლოა! — სთქვა კვაჭიმ: — საცხა განვითარებული ქვეყანაა, იგია ჩემი საცხოვრებელი; მე მიყვარს კულტურა, ცივილიზაცია, პროგრესი, სუფთა ქუჩა, მოკრიალებული ბინა, კაი-კაი გასართობი; მომწონს გახამებული პერანგი, ცილინდრი,

ლაკირონის ფეხსაცმელი; მიყვარს ჯიშიანი, გარეცხილ-გაბანებული ქალები, ფარისის საცვალი რომ აცვიათ და იმ საცვალს კვირაში ორჯერ მაინც რომ გამოიცვლიან; არ მესმის, რავა შეიძლება ცხოვ-რება ისეთ ქალაქში, საცხა არ არის რამოდენიმე უმაღლესი სკოლა, ათიოდე თეატრი, მეცნიერება, ხელოვნება, საცხა გონიერივი ცხოვ-რება მინელებულია, ან სრულებით არ არსებობს?

— საცხა გემრიელი ლუქმა მაქვს, ჩემი სამშობლოც ის არის! — ჩაურთო ბესომაც.

— რაში უნდა გამევიყენო საქათმეების და მეცხვარე-მებაღე-ების სამშობლო? — გაიკვირვა ლადიმ.

— ეერიპა! — წამოიძახა გაბომ: — მაშ ასე ყოფილა: თუ დედა-ჩემი ძალიან ბებერი, საწყალი და უშნოა, უნდა ხელი ვკრა, დავი-ვიწყო და თავი მიეანებო, რაღა!

— არა, შენი შირი მე, — ჩაერია ჯალილაც: — აფსუს ჯალილას მამა სოინ ემინ ოლლი და ჯალილას დედა ხანუმი! არ შეიზლება, კნიაზჯან, ალლაპი გაგიეავრდება. ოლმას, კნიაზჯან, ოლმას!

— ან კიდევ, — გააწყვეტინა სედრაქაძ: — თუ ჩემი მშობლები ახალგაზრდები, ლამაზები, ჯანიანები, განათლებულები და მილიონერები არიან, მაშინ უნდა გავუწიო შეილობა, განა? აფსუს, ჩემი ბებრუანა გალუსტავ! აფსუს, ჩემო უკბილო მართა! მაგისტრის შემამწირეს თავიანთი სიცოცხლე და ახალგაზრდობა, რომ უმაღლერმა სედრაქაძ სიბერეში ზურგი შეაეციოს და სამაღლოდ მიუგდოს ვისმე?

— ლაპარაკობს, რაღა! — ჩამოართვა სიტყვა გამომ: — სიტყვა-ბით კოჭაობს, თორებ რად აუთრევია თვითონ კვაჭის თავისი დედ-მამა?

სიტყვა ბანზე ააგდეს, ისევ ჭამა-სმას გადასწვდნენ და გაპყვნენ სედრაქაძს, რომელმაც იმ დღეებში ლათინურ უბანში ერთი პატარა აღმოსავლური რესტორანი იპოვნა.

შევიდნენ და გადაატრიალეს ბერძნების თავშესაფარი. თვითონაც დატრიალდნენ და ყველამ ერთად შესთინობლეს და სუფრაზე გაშალეს ყველი და მწვანილი, კიოპროსის წითელი ღვინო და ბერძნული კონიაკი, ტაბაკი და ფლავი, ლულა-ქებაბი ლავაშით, მწვადი ხახვით, ღოში, მოთალი, ჩიხირთმა, საცივი და ცოცხალი.

დილამდის იქეითეს ქართულის ქეთვით, თან ბერძნებიც ჩაითრიეს, დაათვრეს და იქვე იატაჭე მიაწვინეს. მერე გაბო, ჯალილა და სედრაკა გზის სამზადისს შეუდგნენ და მეორე დღესვე შინისკენ წამოვიდნენ.

რამდენიმე თვის შემდეგ პარიზში დარჩენილმა ამხანაგებმა გაიგეს, რომ გაბომ დიდი ცხერის ფარი, სახლ-ჯარი, სახნა-სათესი, ტყე და საძოვარი მთები იყიდა, სედრაკამ თელავში დიდი სავაჭრო გახსნა, თავის ვენახსს კიდევ სამი ვენახი მიუმატა და ტფილის-თან ალებ-მიცემობა გაახურა, ხოლო ჯალილამ ტფილისში ხილეულობის და ტკბილეულობის დიდი სავაჭრო გახსნა და ერთი აბანოც იჯარით იღო.

სამივემ შეისრულეს ნატვრა: დედ-მამა გაახარეს, მოყვრობა და ძმა-ბიჭობა გაიმრავლეს, თბილი ბულები აიშენეს.

გაბო და სედრაკა მუშაობით იღლებიან, კაქლების ქვეშ ისვენებენ, დუდუკით, თარით და ზურნით ქეიფობენ, ზოგჯერ ბანაობენ, თევზაობენ, ნადირობენ.

ხშირად მწვადსა და ჩიხირთმას შეექცევიან, ზედ წითელ კახურსაც მიაყოლებენ, სუფრულსაც იტყვიან და თვალ-უშუნა გოგოებსაც დასდევენ.

წარსულსაც ხშირად იკონებენ და ტოლ-ამხანაგებს უხეშის ენით, ბორძიყით და ლულლულით ადესის, პეტერბურგის, ვენისა და პარიზის ამბებს უამბობენ. ჯალილაც მუშაობს და ქიოფობს. ჩიხირთმის და ტაბაკას მაგივრად შილაფლავს, ბოზბაშსა და ცხერის დუმით საესე ბოზართმას მიირთმევს, ზოგჯერ აშულს ჰაზირას მოიპარიუებს, უფრო ხშირად თვითონ გაიძახის შიქვასტას, ბაიათს და... ხარბად ეტანება რუსის ქერა ქალებს, რომელნიც ჯალილას „ზალიან უხვარს და მოსცონს“.

კვაჭის სიტყვები გამართლდა: გაბო და სედრაკა ისევ გააზიელდნენ, ქვეყანას ჩამორჩნენ და დაბნელდნენ: საპონს თითქმის ილარ იკარებდნენ, საცვალს იშვიათად იცვლიდნენ, თეთრ საყელოს და ხელთათმას ალმაცერად შესცემოდნენ, გაზეთს ხელში ალარ აიღებდნენ, თეატრს ილარ ეკარებოდნენ და ქალაქის სუფთა ხალხს თითქოს ერიდებოდნენ და იხამუშებდნენ.

სამაგიეროდ თავიანთ ქვეყანაში სცხოვრობდნენ, მისი ჰაერით ჰსუნთქავდნენ, იმის მიწას ჰენავდნენ და იდუმალის გრძნობით და ალლოთი იმისი დარღით დარღობდნენ და იმისი ლხინით ლხინობდნენ.

ხოლო კვაჭი, ბესო, ლადი და ჭიპი ისევ ეკროპაში დაპქროდნენ, დიდი ბულვარებით ჰსუნთქავდნენ, ყავახანებში სცხოვრობდნენ, კაბარე-რესტორანებში ილეოდნენ, ქალებში სდნებოდნენ, ჯენტლმენობდნენ, თავადობდნენ, მარქიზობდნენ და დროგამოშეებით კომბინაციებს „აიმასქნებდნენ“.

ვინ იცის, ვინ გაიგებს, ვინ წააგო და ვინ მოიგო: კვაჭიმ და იმისმა ამხანაგებმა, თუ გაბომ, ჯალიმამ და სედრაკი?

აქა ამბავი ლედი ჰ რვეის და კვაჭის გამიჯნურებისა.

რამდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც პატარა სუსანაშ კვაჭის ჰარამხანა გაჰქონდა.

კვაჭიმ გაზომა და ასწონა საქმის ვითარება და იმავ დღეს ტანის ეწვია. ტანიამ კვაჭი არ მიიღო, მაგრამ კვაჭი იქამდის იდგა იმის კარებთან, სანამ ტანიამ არ შეიბრალა და თვითონვე კარები არ გაულო.

— რა გნებავთ?.. მე თქვენ აღარ გიცნობთ... ჩვენთა შორის ყოველივე გათავებულია.

დაიწყო ფიცი და მუდარა, ხეეწნა და ალტქმა, ძველის გახსენება და ახლის დაპირება. კვაჭიმ კარგად იცოდა, რომ მისი და ტანის წყრომა ისევ ისე უნდა გათავებულიყო, როგორც წინადთავდებოდა: ძველის დავიწყებით და ახალ ფიცით. იცოდა ისიც, რომ ნაჩეუბარ მიჯნურთა საუკეთესო მომრიგებელი ლბილი და თბილი სარეცელი იყო, ამიტომ ის წყრომაც სარეცლით გათავდა და კვაჭის კრედიტიც კვლავ გაეხსნა.

მადამ ლაპოში მეორე დღეს თვითონვე დაუბრუნდა კვაჭის, ხოლო დანარჩენი აღარც კვაჭის უძებნია.

კვაჭიმ იგემა და შეითვისა ევროპის გემო და უსაქმო, ფულიანი კაცის მადა, ადაოთ და ცხოვრების ხალისი.

პარიზში კოხტა პოტელ-სალონი ჰქონდა, ბიარიცში—კოპტია ვილლა, ნიცუაში—იახტა, საღვურზე—სალონ-ვაგონი, გარაჟში—სამი ავტომობილი, საჯინიბეში—ექვსი ცხენი და ჯიბეში—ჩეკის წიგნაკი.

იმ ზაფხულს კვაჭიმ ტრუვილში გაისეირნა. სალამოშე პლაჟზე გავიდა, სადაც ამ ღროს მობანავე ქალები თავიანთ შიშველ ტანებს გამოჰყენდნენ ხოლმე.

მუშტრის თვალი გადავლო იმ გამოფენას. გული მოიფხანა და თვალი გაიძლო იმ უცხო და იშვიათ სანახაობით. ყველა ჯურისა და ტომის ქალს გამოეტანა იმ პლაჟზე თვისი ტანი, ოდნავ და-ფარული სხვადასხვა ფერის ტრიკოთი:

მაღალნი, გაფშეკილნი, ძარღვიანნი, წითურნი, მიუკარებელნი და კნაჭა ინგლისელები; ჩისუქებულნი, ბატივით გაფაფხულნი, განიერი მხარ-თემოიანნი და ფამფალა ფლამანელ-პოლანდელნი;

ახოვანნი, მედიდურნი და თეთრნი სკანდინავ-გერმანელნი; მოსხლეტილები, გამხდრები, მარდები, ამპარტავანნი, შავვრე-მანი და ბრინჯაოს ფერის ესპანელნი;

არეულის ფერისა და ტანადობის იტალიელნი და ფრანგნი— მკვირცხლი და კეკლუცნი; რხეულნი და მოხდენილნი; ცეცხლოვანნი და შმაგიანნი, ქურკუკოვანნი და გედოვანნი; მორცხვნი და თამამნი, მაღალნი და დაბალნი; სრულნი და გამხდარნი; ქერანი და შავვრე-მანი; მამზელები, მადამები, მილედები, მისსები, მისტრისები, დონ-ნები და ყოველი წოდების, წონის, ტომის, ფერისა და ჯურის ქალ-წულები და დედაქაცები.

უცებ იქვე, ზღვის ტალოებიდან ამოვიდა ქაფის ფერის იმ ქვეყნიური ოფროდიტა, შვენიერი ოკეანიდა, მხეთუნახავი ალქაჯი: კვიპარისოვანი, მოსხლეტილი, დიდ მკერდიანი, თეძოიანი, წელ-წვრილა, თხელძვალა, მაღალვისერა, ილისთმიანი და ცისთვალა. იმ ალმა კვაჭი ვერ შეამჩნია. იქვე წყლის პირას შესდგა, თეთრი მკლა-ვები კისერზე ჩაიწნა, გადმოიზნიქა და ტკბილად გაიზმორა.

— ღმერთო დიდებულო! — წიმოიძახა გულში კვაჭიმ და მაშინ-ვე აიშთო, აიშალა და აილეწა: — აი, ცოცხალი, ახლად დაბადებული აფროდიტა! აი, ნაძვილი ქვეყნის თვალი! ქალიც ეს ყოფილა და დედაქაციც! ღმერთო, მიშველე! ღმერთო, ხელი მომიმართე და მერე მიმსახურე; ფიცს გაძლევ, უფალო ძლიერო, რომ ერთ ეკლესიას აგიშენებ და სანთელს ჩაუქრობელს არ გამოგილევ.

ამ დროს იმ ალქაჯამა მოიხედა. დიდრონი ცისფერი თვალები კვაჭის მიანათა, იმ თვალებით, ჯადოსნურ ღიმილით და მძივის კბილებით კვაჭის ცის კარი გაუხსნა, იგი რაინდი ცეცხლის ალში გაპევია, დასწვა და მიპინდა; მერე უცებ თვალები დაიბურა, კისერი გაიჭიმა, რამდენიმე შველურ ნახტომით კაბინში შევარდა და იქ ვერცხლის ხმით გადიკისკისა.

ერთი საათის შემდეგ კვაჭიც იმ ჰოტელში გადავიდა, სადაც ის აფროდიტა ბინაღრობდა. კარის კაცს ხელში ერთი ოქრო მიაჩერა და იმ ქალღმერთის ვინაობა გამოჰკითხა.

— ლედი ჰარვეი, — უპასუხა კარის კაცმა: — ქვრივი ლორდ ჰარ-ვეის, რომელიც შარშან ინდოეთში ნადირობის დროს ბენგალიის ვეფხმა გაპევლიჯა. ლედის უყვარს ცურაობა, რულეტზე თამაში, სისხლიანი ბიფშტექსი, ნადირობა, თევზაობა, ყვავილები და... თქვენისთანა შავვრემანი ვაჟეკაცი.

მთელი ღამე კვაჭი კაზინოში ლედი ჰარვეის დასტრიალებდა.

რულეტი ბზრიალით სტრიალებდა, კრუპიე შეჩვეულსა და გაზეპირებულს გაიძახდა:

— Medames et messieurs, faites vos jeux!.. Rienne ne va plus?

მოლარენი პაწაწინა არნადებით იხვეტდნენ მოგებას და მიურ-წყავდნენ წაგებას. მოგებული იღიმებოდნენ, წაგებული იღუშებოდნენ, ხოლო ყველანი საერთოდ — ზოგნი მალულად და ზოგნიც აშ-კარიდ — ჰლელავდნენ, ჰფიცხობდნენ და სტრკავდნენ.

ლედი ჰარვეის გვერდით ედგნენ მისი კომპანიონი მისს ჰოპ-კინისი, — კნაჭი, ბეცი, სუსხიანი და ხნიერი ცერბერი, — და ოცოდე წლის ქერა ქაბუკი, ქალივით ნაზი, მორცხვი, მორჩილი, ფუნჩულა და უცოდველი ბრიტტი.

მამაკაცნი ლედის თვალს არ აშორებდნენ, აჩრდილებივით დას-დევდნენ, ენებს ილოკავდნენ, გულებს იფხანდნენ და თვალს წყალს ალევინებდნენ.

ლედი ჰარვეიმ თრიოდე ათასი წააგო, კვაჭიმ — სამი იმდენი. ქალაქუნა ქაბუკი ხანგამოშვებით უბიდან ფულს ამოიღებდა და ლე-დის ჩუმად ხელში ჩაუდებდა; მისს ჰოპ-კინისი სცემუტავდა, ლედი ჰარ-ვეი ლვთაებრივ შუბლს იქმუხვნიდა და იმ ფაფუკ ბიჭის მეტს ახლოს არავის იკარებდა.

ბოლოს, გედის ყელი მოილერა, იქაურობა ცის შუქით გაანათა, აბრეშუმის კაბის შლეიფი აიკრიფა და ფარშევანგის ნაბიჯით დარ-ბაზიდან გასცურდა, თან მამაკაცთა ლიმილი, ზეთიანი თვალები და ნდომა-სურვილი გაიყოლა.

კვაჭიც გაჟყვა და ჰოტელის კარის კაცს შეუკვეთა:

— ხვალ დილით ლედი ჰარვეის საუკეთესო ყვავილების კა-ლათა მიართვით და ესეც შეუგზავნეთ.

და თავისი სადარბაზო ბარათი გადასცა.

მეორე დილით კვაჭის ვერცხლის სინით შეუტანეს ატლასის პაწაწა ბარათი. ერთ მხარეს ეწერა: „გმადლობთ. გზაში ძალიან მი-ყვარს ყვავილები. ნუ მეძებთ!“ მეორე მხარეს დაბეჭდილი იყო: „ლედი ელითაბედ ჰარვეი, ლონდონი. ესტენდი. ჩერინგ-კროსი, 276.“.

— რაო? ნუ მეძებო? ქალი რომ მეტყვის, ნუ მეძებო, პირ-უკუღმა უნდა გაიგო, უნდა მიჟყვე და უნდა მოსძებნო. ეხლავე გამი-გეთ, საით წავიდა?. როდის წავიდა? ბესო, აიბარგე! ჩქარა, ნუ იკო-ხნები!.. რაო, ჰავარში წავიდა გემით? მაშ კარგი, ალბათ ლონდონში მიდის. ბესო, ჩქარა დაიქირავე მოტორიანი ნავი. კარგი დარია, და-ვეწვეი, ან ინგლისში მიმავალ გემს მიეუსწრობ.

ჩასხდნენ დიდ ნავში და ჰაერისკენ გაუტიეს. რომ მიუახლოები დნენ, იმ ნავს გვერდით დიდმა გემმა გაუარა. გემის ბაქანზე კვაჭიმ თვალი მოჰკრა მოაჯირზე გადმოყუდებულ ლედი ჰარვეის, რომელმაც იცნო კვაჭი, გაუცინა და ხელსახოცი დიდხანს უქნია.

კვაჭი ნავის პატრონს ეცა:

— სად მიდის ეს გემი?

— საფრანგეთს და პორტუგალიას ჩაუვლის, მერე ესპანეთის ნაპირებს აჰყვება და მარსელში ამოვა.

შეიძლება დავეწიო?

— მხოლოდ რეინის გზით, ბრესტში ან სენ-ნაზარში, ისიც თუ ექსპრესი შეგხვდათ.

ერთი საათის შემდეგ კვაჭი საგანგებოდ დაქირავებულ სალონ-ვაგონით მიჰქროდა და მისდევდა გაფრენილ ახალ საბედოს. ორთქლმავალმა მიმინოს ფრთხები გამოიბა. სხვა მატარებლები სადგურებზე ისვენებდნენ და გააფთორებულ კვაჭის გზას უთმობდნენ. გაირბინეს რუანი, ლე-მანი, ანჟე, ნანტი და დილით აღრე სენ-ნაზარს მიაღვნენ.

— გემი „ბორდო“ მოვიდა?

— ერთ საათში წავა კიდევც.

— მადლობა უფალსა! ბესო, ჩქარა!

ორი საათის შემდეგ, როცა გემი ოკეანეში გავიდა, ლედი ჰარვეიმ ზემო ბაქანზე მეორე მზესავით ამოანათა. თავდახრილი კვაჭი წინ დაუხვდა:

— მილედი, ბოდიში და სათნოება! მწერდით, ნუ მომძებნითო. თქვენი პირველივე ბრძანება ვერ შევასრულე.

გაოცებულს, გაშტერებულ ლედის თითქოს ენა დაება:

— როგორ?.. საიდან?.. ეს გემი რომ ჰავრიდან წამოვიდა, თქვენ ჰავრში მიღიოდით.

— საგანგებო მატარებლით დაგეწიეთ, მილედი.

— თხოვნა მაინც არ შემისრულეთ.

— წყალში გადავარდნა რომ გებრძანებინათ, უფრო ადვილად დაგეთანხმებოდით, ვიდრე თქვენს დაკარგვას.

ინგლისური ყინულის გული მოქნიბლა და დაადნო კვაჭის რინდობამ და გატაცებამ.

საფრანგეთ-ესპანიის საზღვართან — ქ. ბიარიცში, ბასკების ქვიყანაში, ორივენი გადმოსხდნენ.

სანამ გემი ნავთსაყუდარს მიადგებოდა, კვაჭიმ ბინკლით კლდის წვერზე გადმოყუდებული კოპტია მავრიტანული ვილლა ლედის დაანახეა და ჰქითხა:

— როგორ მოგწონთ, მილედი?

— მშენიერია. იმ სიმაღლეზე ცხოვრება სამოთხე იქნება. დიდი ბალიც აქვს. ნეტა თავისუფალი იყოს, დავიქირავებდი!

— თქვენთვის თავისუფალი გახლავთ, მილედი. ეგ ვილლა ჩემია. პატივი დამდეთ, გამაბედნიერეთ.

— თქვენია?. მართლა?. იქ ცხოვრება ჩემთვის უცდიდესი სიამოვნება იქნებოდა, მაგრამ...

კვაჭი მაშინვე მიუხვდა:

— ნუ შესწუხდებით, მილედი. მე მეორე ვილლაზე დაბინავდები.

მორიგდნენ. ლედი პარვეი სიხარულით ცას ეწეოდა.

ორივენი დღე და ღამე სტკბებოლინენ, ილხნდნენ და ღალაბდნენ. ხან პალაზზე წავიდოდნენ და იბანებდნენ, ხან მოტორიან ნავით შუა ოქანეში გავიდოდნენ, ან ბაიონაში შეივლიდნენ, ხან ავტოთი პირენეეს ქედს შეჰქებოდნენ, ხშირად მთელი დღით იქ დარჩებოდნენ და ბასქთა შორის დროს ატარებდნენ.

ერთხელ ერთმა ბასქმა, ყავახანის პატრონმა ლედი არვეის უპასუხა:

— ჩვენ ყველაზე ძველი ხალხი ვართ ევოპაში. ჩამომავლობით იბერიელნი გახლავართ.

— იბერიელნი?—გაიკვირვა კვაჭიმ:—მეც იბერი ვარ, ივერიელი, ქართველი.

ორივენი გაშტერდნენ. დიდხანს უცქირეს ერთმანეთს, ბევრი რამ გამოკითხეს, ორივე ენა შეადარეს, ზოგი სიტკები ერთმანეთს მიახვედრეს, მაგრამ მაინც ახლოს ვერ მიუდგნენ, ვერ დაენათესავნენ.

კვაჭიმ მხოლოდ ის გაიგო, რომ ერთ დროს ბასქები საუკეთესო შესლვაურები და პირატები იყვნენ; რომ იმათ ყინულოვანი ოქანე აღმოაჩინეს; რომ ბასქებს ერთ დროს ძლიერი სახელმწიფო ჰქონდათ; რომ ისინი საბოლოოდ არ დაპირისილებიან არც რომაელებს, არც ესპანელებს; რომ ხანგამოშვებით პირენეეს ქედს ბასქები აჯანყების ცეცხლს მოსდებდნენ და თავისუფლების სისხლით მორწყავდნენ ხოლმე.

ბასქურ ენაზე სწავლა და სამართალი ეხლაც აკრძალული ჰქონდათ, ყოველი ბასქი იქადნის და ამაყობს თავისი სისხლით და თა-

ვისუფლების სიყვარულით; ბატონ-ყმობის უღელი არასოდეს გამო-
უცდია ბასქების ამპარტავან ქედს. რიცხვით ერთ მილიონამდე
არიან; მრავალნი ლუქმა პურისთვის გადახვეშილან მექსიკას, კუ-
ბას და არგენტინას.

კვაჭიმ ისიც შეამჩნია, რომ ბასქები ესპანელებზე და ფრანგებ-
ზედაც უფრო მოსულნი, ლამაზნი და მარდები არიან; წვერს სუფ-
თად იპარსავენ; წითელსა და ცისფერ ქუდს, ქამარს და მოკლე
ახალუხს ატარებენ; ძალიან უყვართ ბურთაობა, ცეკვა, სიმღერა და
სახალხო წარმოდგენა-გასართობი; დედაკაცები საუკეთესო ძიძებად
ითვლებიან და მეტად მძიმე სამუშაოს ეწევიან.

კვაჭის გულში რაღაც ჭიამ გაუფაჩუნა, რაღაც მეტად შორე-
ული, იდუმალი სისხლი აუჩქეფდა; ერთის წუთით მან სუსტად იგრ-
ძნო ნათესაობა, მახლობლობა, სულიერი ერთობა იმ ხალხთან, მაგ-
რამ ის აღი მაშინვე ჩაჭრა და მინელდა.

მაღვე ყველაფერი მიივიწყა, რაღაც ამაყს ლედი ჰარვეის ერი-
დებოდა, ერთიარებოდა და არც სცალოდა.

საღამოობით კვაჭი და ლედი ჭალა-ბალებში დასეირნობდნენ,
კონცერტებს ისმენდნენ, ხოლო შემდეგ ხან ერთ კაზინოში ივახშ-
მებდნენ, ხან მეორეში, თან რულეტს ეტანებოდნენ, ხან მცირედს
მოიგებდნენ და ხან მრავალს წაგებდნენ.

ლედი ჰარვეის ყინულის გულმა კვაჭი ჩამოახმო და გააძვალა,
მისი ცხელი გული დააღნო, დაპლია და დააჭქნო.

ერთხელ კვაჭიმ განამდის შემდეგ ოდნავ ნასვამი მილედი თა-
ვისს აგარაკის ბნელ ხეივანში ჩაიკრა. ორივენი ერთხელ
კიდევ დაიწვნენ და ჩაითვარენ ვნების ცეცხლში; კვაჭი ლედის
ფეხქვეშ ჩაუვარდა; ეხვეწებოდა და ემუდარებოდა, თან ქურციკის
ფეხებს გულში ისუტებდა და ცრემლით უსველებდა.

ლედი ჰარვეი სიცილით გაუსხლტა და სახლში შევარდა.

გამწარებული კვაჭი ბნელ ხეივანში სტრიალებდა, გულში
მუშტს იცემდა და ჰბუტბუტებდა:

— მაშ კარ... მე ვიცი აწი... მე ვიცი...

როცა ლედის საწოლ ოთახში შუქი ჩაჭრა, კვაჭი ფეხაკრეფით
აივანზე ავიდა და წინდაწინვე გაღებული ფანჯარა შეაღო.

— თავადო!.. ფრენს! ჯენტლმენ!.. როგორ - გეკაღრებათ!..
გონს მოდით.. დავიყირებ... მისს ჰოპკინს!.. მისს ჰოპ...

კვაჭიმ ტუჩებით გააჩუმა შეშინებული ლედი და ჩაიბლუ-
ჯა და დაიურვა.

ხუთიოდე წუთის შემდეგ კარების უკან ჩუსტების ფაჩი-ფუჩი და მიხს ჰოპინის ნამდინარევი ხმა მოისმა:

— მილედი!.. ლედი ჰარვეი!.. ოქვენ მეძახდით? ეძებთ რასმე?..

სულ-შეგუბებულმა ლედიმ ძლივს გაავონა თავისს კომპანიონს ნაწყვეტიანის ჩურჩულით:

— არაფერს, მისს... არაფერს... ვიპოვნე... ვიპოვნე...

— ოქვენც იპოვნეთ, მაგრამ არც მე დაიგრჩი ხელცალიერი! — ჩუმის სიცილით ჩასჩურჩულა ყურში კვაჭიმ ლედის.

— ტსს... ჩუმად, შე ვიდო! — თავისს მხრივ გაბურებულ ტუჩებით გააჩუმა კვაჭი გარდაჯმინილმა ლედიმ და გრძელი, მძლავრი მკლავებით სული შეუხუთა, კისრის ძარღვები დაუწყვიტა და დაახსო უკვე დამშვიდებული თავადი.

სამი დღე და ღამე არც კვაჭი და არც ლედი ჰარვეი აღარავის უნახავს არც კაზინოში, არც პლაჟზე, არც ქალა-ბაღებში.

ბედნიერმა კვაჭიმ მეტის სიტებოებით მოთენთილ ლედის მაღლობის ნიშნად მავრიტანული ვილლა აჩუქა და მარმარილოს მაღალი მეტრდი თხილის გულის ოდენა მარგალიტების მძივებით დაუმშვენა.

მერე ორივენი ნიმფომანიით, სატირიაზით და სირბილის სიგიჟით გაგიუდნენ.

ფეხი ვერსად მოიკიდეს და აფორიაქებული სისხლი ვერ ჩაინელეს. კვირაში ერთხელ მაინც საღურისკენ მირბოდნენ და ცეცხლ-მოქიდებულნი მთვლ ევროპის სააგარაჟოებში დაპერიდნენ:

— ვიში!.. ოსტენდე!.. კარლსბადი!.. ტრუვილი!.. ექს-ლე-ბენი!.. მონტრე!.. ვევე!.. ლუგანო!..

ბოლოს, როგორც იყო, ნიცყაში „ჰოტელ ნებრისკაში“ გაიდგეს ფესვი, გაგრილდნენ და მოისვენეს.

აქა ერთი დიდი საქმის „გაიმასქნების“ ამბავი.

მონტე-კარლოს კაზინო გაჩაღებულია.

ირგვლივ ჰლაპლაპებს, იწვის და ჰკრიალებს ოქრო, ბრინჯაო, ვერცხლი, მარმარილო, ძვირფასი სურათი, გობელენი, ხალიჩა, ფარჩა, ხავერდი და ატლასი.

ქვეყნის ყოველ კუთხიდან ბედის საცდელი მოსული ხალხი იმ დარბაზებში ბუზივით ირევა.

ისმის ასი ენა და მოსჩანს ასი ტომი: ქერა ჩრდილელნი — რუსები, სკანდინაველნი, გერმანელნი და ინგლისელები; მკვირცხლი,

ფიცხი, შავგვრემანი ფრანგები, იტალიელნი და ესპანელნი; ხელგაშლილი, მშრალი და ურყევი იანკები; ცხელი, აშლილი, ნერვიანი მექსიკელნი, ბრაზილელნი და ნარევი მულატები; არაბი და ოსმალი, სპარსელი და ინდოელი, ჩინელი და იაპონელი, აზია და ევროპა, ამერიკა და აფრიკა—ყველას იქ მოუყრია თავი, ყველა ატრიალებს ბედის ჩარხს და პლამობს გამდიდრებას და განდიდებას.

ყველას ემჩნევა პირსახეზე მოვება და წაგება. ერთნი სიხარულის ლიმილით იღიმებიან, ჰლალობენ და უდარდელად იცინიან; მეორენი წაგებას ჰელოვობენ, იქუშებიან, იშხამებიან და ინალვლებიან; ხოლო ზოგნი—გაკოტრებულნი და დაძირულნი—უიმედო სასოწარკვეთილებას ეძლევიან, მათხოვობენ, ზოჯერ კი იქვე, საარაკოდ მორთულ ბაბს თავიანთის სისხლით ჰრწყავენ.

ზოგნი ისე შესჩევევიან ცრემლისა და ბედის ლიმილის სასახლეს, რომ იქვე სამადლოდ ჰპერდებიან.

მათ იციან თამაშის საიდუმლოება! მათ მიაგნეს მოვების კარს! მათ აღმოაჩინეს გამდიდრების ხერხი! მათ იგი იდუმალი გასაღები ხელში უჭირავთ—დიფერენციული აღრიცხვა, ათიოდე თაბახზე აჭრელებული მათემატიკური ფორმულები,—უცოდველი, სწორი და კეშმარიტი, ნაყოფი დიდი ქონების წაგებისა და ხუთიოდ-ათიოდე წლის დაკვირვებისა. თუ მოვება გნებავთ, დაუჯერეთ იმ ხალხს. გასამრჯელო მცირედია: წაგება თქვენია, მოვებაში კი წილი დაუდეთ, ან სიოდე ფრანკი მიეცით ახალ საცვლის სახყიდლად და ფეხსაცმელის გამოსაცვლელად; მეტს არ მოითხოვენ, რაღაც იმ კაზინოში უჭმელობისგან სიკვდილი უფრო ადვილია, ვიდრე ოდნავ მტკვერ-ნაკრავ პერანგით შესვლა: სპეტაკი ტანისამოსი, უნაკლო ზრდილობა და უსიტყვო მორჩილება,—აი, რას მოითხოვს ამ ჯურის ხალხისგან კაზინოს დირექტია ნაცვლად იმ სასახლეში უფასოდ შეშვებისა.

კვაჭი და ლედი ჰარვეიც ყოველ ლამე ბედს სცდიან იმ კაზინოში: ხან „ტრანტ ე კარანტს“ მიადგებიან, ხან „რუს ე ნუარს“, ხან „პტი შვის“ და ხან სხვა სათამაშოს.

იმ თამაშში ლედი ჰარვეი დიდი ხანია გამოიფიტა. ლედის კვაჭი მიეშველა, მაგრამ ბედი ვერ მოატრიალეს და წანაგები ვერ დაიბრუნეს. თანდათან შესტოკეს, ჩავარდნენ და ჩაიფლნენ, ხან თავისი ჭკუით სთამაშობდნენ, ხან გაკოტრებულებს მიიშველებდნენ, მაინც დღითი დღე სდნებოდნენ და ილუპებოდნენ.

ერთხელ ბანკიდან კვაჭის ჩეკი დაუბრუნეს: თქვენი ანგარიში ამოიჭურაო.

დაღონდა კვაჭი, ძალიან დაღონდა!

— ბესო, დღესვე წადი ექს-ლებერში, ერთ კვირაში გაყიდე ჩემი ვილლა და დაბრუნდი... რა სთქო?... ვიცი, მარა სხვა გზა არ არის.

ბესომ ფული ჩამოიტანა, ხოლო კვაჭიმ ის ფულიც კრუპიეს მიუთვალა.

— ბესო, ბიარიცში წადი და ჩემი ვილლა გაყიდე.

— ის ვილლა ხომ ლედი ჰარვეის აჩუქე?—გაახსენა ბესომ.

— კი მარა, როცა წაგებულს დევიბრუნებ, იმ ვილლას ისევ ვიყიდი.

ორი კვირის შემდეგ ისევ ბესო მიიშველა:

— ბესო, დღესვე წადი ჰარიზში, ერთ კვირაში გაყიდე ჩემი ჰოტელი და დაბრუნდი... კაი, კაი... ვიცი, რომ ვიღუპები, მარა სხვა გზა არ არის... ნუ გეშინიან, სანამ დაბრუნდები; ერთ საქმეს დაემზადებ.

იმავ ხანებში ლონდონიდან ორი კვირით ლედი ჰარვეის მა—ლორდი ბროუქსტონი—ჩამოვიდა, ახალგაზრდა ბონვივანი; ფულიანი დენდი და დიდი ჯენტლემენი.

კვაჭიმ და ლორდმა ერთმანეთი მოიწონეს. ორ კვირაში ნიცა და მონტე-კარლო გადააბრუნეს, იქაურები გააკვირვეს, ცოტაოდენი მოიგეს და ასი იმდენი წააგეს.

ბოლოს, ლორდმა უთხრა კვაჭის:

— ფრენს, სტუმრად მეწვიერ ლონდონში.

— ოლ რაიტ! თანკეი! (ძალიან კარგი! მადლობელი!)

— ერთად წავიდეთ?

— იყს (დიალ). ბესო, ყოლიფერი დაამზადე!

ჰარიზში ავიდნენ. კვაჭიმ და-ძმა თავისს ჰოტელში მიიპატია, რომელიც მისი ალარ იყო, მაგრამ ჯერ დაცლილი არ ჰქონდა.

რამდენიმე ღლით დარჩნენ. კვაჭიმ კიდევ ერთხელ მოიგიუიანა თავი და გააოცა სტუმრები თავისს საუცხოვო სასახლით, მორთულობით, მოსამსახურეთა სიმრავლით, გაელენით და ნამდვილ არისტოკრატის გემოვნებით და მანერებით.

წასვლის წინ ლადი ჩიენჯილაძეს საიდუმლო დარიგება მისცა. ბესო და სამი მოსამსახურე სამი ღლით ადრე მრავალის ბარვით ლონდონში გაპეზავნა, ხოლო თვითონ ოთხი მოსამსახურე კიდევ გაიყოლა.

დუვრში რომ გემიდან გადასხდნენ, ბესომ საგანგებო მატარებელი დაუხვედრა.

ლორდმა ბროუქსტონმა უსაყველურა:

- ფრენს, მეტად დიდი ხარჯი მოგდით.

- ჩემი მეგობრებისთვის „მეტად დიდი ხარჯი“ არასოდეს დიდი არ არის!

- თქვენ, ჩვენი სრუმარი ბრძანდებით.

- მაგაზე ლონდონში მოვილაპარაკოთ.

ბესომ წინდაზინვე დაუმშადა კვაჭის სასტუმრო „ასტურიაში“ შვიდი ოთახი, ავტომობილები და ლანდი ლერბებით, საჯდომი ცხენები და რეპორტერები.

მეორე დღეს გაზირებში კვაბის ჩასვლის ამბავი დაიბეჭდა. ეწერა: „ინგლისს ეწვია მეფის ჩამომავალი კავკასიელი პრენსი... დიდი შეჯობარი ინგლისისა... მომხრე რუსეთ-ინგლისის დამეჯობრებისა... ჩამოჰყა ბრწყინვალე ამაღა... პრენსი ჩამოხტა „ასტორიაში“.. შეიღი თოახი... პირადი მეჯობარი ლორდ ბროუნქსტონისა...“

მეორე დღეს ლორდმა ბროუქსტონმა და ლედი ჰარვეიმ კვაჭი ლონდონის სანახვად წაიყვანეს. აჩვენეს პიკადილლი, ვესტენდი, ტრაფალგარი, ჩერინგ ჯორსი, სენ-ჯემსი, ტაუერი, ვატერლოო, პავლეს ტაძარი და მრავალი საოცარი სანახობა.

ვესტმინსტერში კვაჭის პალატის სპიკერი დაუხვდა, ბრიტიშ-
მუზეუმში—მთავარი დირექტორი, სააღმირალოში—დიდი ამირბარი.

იმავ სალამოს ბროუჯესტრონშა, კვაჭის პატივსაცემად თავისს სა-
სახლეში დიღი სადილი გამართა: მეორე დღეს კვაჭი იახტ-კლუბში
მიიწყიეს, მესამე დღეს — სპორტ-კლუბში დაპერტიეს. მერე მარჯვნივ
და მარტინივ ეწეოდნენ და მოსვენებას აღიარ აღლევდნენ.

ორი კვირის შემდეგ კვაჭიმ ყველას მაღლობა გადაუხადა: ერთი ისეთი საზღაპრო ნადიმი მოაწყო, რომ სტუმრებს ეხლაც ხშირად აჯონიდებათ ის დიდება, შვენება და უცხო სანახობა.

იმ განშამს სამასხე მეტი სტუმარი დაესწრო, სულ რჩეული სა-ბოგადოება ლონდონისა: ლორდები, ვიკონტები, ჰერცოგები, ინდო-ელი რაჯები, ბანკირები, მექარხნეები და მრავალი სხვანი—ფულიან-ნი, ჭარბინებულნი და დიდებულნი.

სამი საუკეთესო ორკესტრი უკრავდა. მღეროდნენ ყოველ მხრი-
დან საგანგებოდ მოწვეული საუკეთესო მომღერალი: კარუზო, ბა-
ტისტინი, ნელი მელბა, მარია ჰაი და ტიტო რუფო. უზარმაზარი
შენობა რივიერიდან გამოწერილ უნახავ ყვავილებით და ტრაპეკულ
მცენარეულობით იყო მორთული. აღმოსავლური და დასავლური ხე-
ლოვნება და გემოვნება შეერთდნენ კვაჭის სტუმრების გასართობად
და დასატებობად.

მეორე დღეს მთელი ლონდონი და პრესა ალაპარაკდნენ. კვაჭისაც მხოლოდ ეს უნდოდა.

კვაჭი რომ ლონდონში ჩა იდა, მეორე დღესვე პარიზიდან დეკემბრით გამოვზავნილი ათი ათასი გირვანქა სტერლინგი მოუვიდა. იმავე დღეს ის ფული ბესომ დეპეშით ისევ ჩაკინჯილაძეს გაუგზავნა პარიზში. მესამე და მეოთხე დღეს იგივე ფული ისევ დეპეშით მოვიდა ლონდონში და ლონდონიდან ისევ პარიზს დაუბრუნდა.

დაგეშილი ბესო დროს მოიხელთავდა და ფულის მოსვლის ამბავს — დეპეშას სწორედ იმ დროს გადასცემდა თავისს ბატონს თავად ბაგრატიონს, როცა მას სტუმრები ჰყავდა.

კვაჭი ბოდიშს მოიხდიდა სტუმრებთან:

— მისტერ, ნება მიბოძეთ. საჩქარო დეპეშა უნდა იყოს...

მერე ბესოს განკარგულებას აძლევდა:

— ახლავე მიიღეთ ეს ათი ათასი სტერლინგი... ორმოცი ათასი ეხლავე გაუგზავნეთ ჩემს მოურავს ტფილისში... განკარგულება მიეცით ჩემს ბანკირს პარიზში, რომ თვიურად აძლიოს ჩემს მთავარ მდივანს პარიზში თავად ტრუბეციონის ერთი მილიონი ფრანკი, ხოლო პეტერბურგის ჩვენს მთავარ კანტორას შეატყობინეთ, რომ მთელ საქმეებს თვითონ მოუარონ, მე ნულარ შემაწუხებენ... მომბეჭდა!

თქვენი ბრწყინვალების იახტა ლონდონში მოდის.

— კეთილი.

— ტფილისის კანტორა გეკითხებათ, რამდენი შეუძლიან მას დაპხარჯოს თვიურად საქველმოქმედო საქმეებზე?

— სამასი ათასი მანეთი.

— კიდევ არის ერთი დეპეშა: გრაფი ორლოვი თანახმაა თქვენ მიერ შეძლეულ ფასში — სამ მილიონ მანეთად — მოგყიდოთ ოქროს მალაროები ციმბირში.

— თანახმა ვარ. მიეცით დეპეშა მთავარ კანტორას. დანარჩენი მერე იყოს... კიდევ ერთი ბოდიში, ძვირფასო მეგობრებო, უდროოდ შემაწყვეტინეს ბაასი.

ასეთს, ან დაახლოებით ამგვარს დიალოგებს ხშირად გააბამდნენ ხოლმე კვაჭი და ბესო წარჩინებულ ლორდების და ბანკირების დასწრებით.

კვაჭიმ ძალიან კარგად იცოდა, რომ სტუმრობის დროს მისი საქმური საუბარი ბესოსთან ეკროპაში „შოკინგ“-ად ითვლებოდა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ მისი სტუმრები ამის გამო კვაჭის არ გაურისხდებოდნენ, მხოლოდ ჩაილიშებდნენ და იტყოდნენ:

— ვოლა ან პრენს ეტრანეე ე... ექზოტიკ!

ხოლო კვაჭის მეგობარი ლორდი ბროუქსტონი კვაჭის ასე ამართლებდა:

— ყოველ ერს თავისი ჩვეულებანი აქვს.

საით მიჰყავდა კვაჭის თავისი საქმე, არავინ იცოდა.

გავიდა ორი კვირა იმ განთქმულ და დღემდის დაუკიშყარ ვახშის შემდეგ.

კვაჭი დილის გაზეთს ათვალიერებდა. უცებ ერთს გოჯის ოდენა ასოებით დაბეჭდილ ამბავს მოჰქმა თვალი. ეწერა: პარიზში ფოსტის მოხელეთა გაფიცვა დაიწყოო. უმაღ გაზეთს ხელი გაუშვა და ჩაფიქრდა, ძალიან ჩაფიქრდა. დიდხანს ჰქანებდა შემოქმედების სიცხით და ციებით. მერე ფანქარით ერთი რამ დასჯლაბნა და ბესოს დაუძახა:

— აი, ჩემი ლონდონელ ნაცნობ-მეგობრების სია. ყველას აი, ასეთი წერილები დაუგზავნე. ერთ დღეში ყველასაგან პასუხი უნდა მივიღო. წაიკითხე... მიხვდი?

ბესომ ჩაიღიმა. მისხვდა ბესო?

— კაი! — მოკლედ მოსცრა და გავიდა.

გეგმა უბრალო და მარტივი იყო.

მეორე დღეს სამოციოდე ლორდმა, მისტერმა და ბანკირმა ასეთი წერილები მიიღეს:

„ლრმად პატივცემულო ლორდო (ან მისტერ, ან სერ)!

ხეალ საქმიანოდ დიდი თანხა უნდა გავუგზავნო ჩემს მთავარ კანტორას პეტერბურგში ყოვლად გადაუდებელ ხარჯების დასაფარავად. მეტი ნაწილი ამ თანხისა ხელთ მაქვს. დანარჩენი გამოვიწერე ჩემის პარიზელ მოურავისაგან.

მაგრამ დღევანდელ გაზეთებიდან გავიგე მეტად სამწუხარო ამბავი: საფრანგეთის ფოსტა-ტელეგრაფი გაფიცვის გამო აღარ მუშაობს. ამ გარემოებამ ოდნავ არივ-დარია ჩემი ანგარიშები და შეაფერხა ჩემი ჩვეულებრივი ფინანსიური ოპერაციები.

ეს კიდევ არაფერი. თქვენც გაიგებდით, რომ ხეალ ან ზეგ შეიძლება ინგლისის ფოსტაც გაიფიცოს.

აღნიშნული გარემოება მაიძულებს, ლრმად პატივცემულო ლორდო (ან მისტერ, ან სერ), ეისარგებლო თქვენის გულუხვი მასპინძლობით, ნდობით და მეგობრობით. ხუთი ათასი გირვანქა სტერლინგი (ხოგს მისწერა სამი ათასი, ზოგს ორი, ზოგსაც ერთი) და მისსნის უხერხულ მდგომარეობიდან. ყოველ შემთხვევისათვის გიგ-

ზავნით ვექსილს ათი დღის ვადით. დღესვე ვგზავნი პარიზში ჩემს ერთ-ერთ მდივანს ფულის მოსატანად, რადგან მეშინიან გაფიცვის გაგრძელებისა.

ამიერიდან მოველოდები შემთხვევას, რათა შესაფერად დავა-ფასო თქვენი გულებეთილობა და სტუმართმოყვარეობა.

წინდაწინვე გითვლით, ძვირფასო ლორდო (ან მისტერ, ან სერ), გულითად მაღლობას დახმარებისთვის და ჩემს მწუხარებას თქვენი შეწუხებისთვის.

მიიღეთ ჩემი გულწრფელი სალამი და უულრმესი პატივისცემა. ირაკლი ბაგრატიონ მუხრან-ბატონი.

თავადი და ფლიგელ-ადიუტანტი სრულიად რუ-სეთის იმპერატორისა".

კვაჭის ანგარიში სავსებით გაუმართლდა. ათიოდე ადრესატს იმ დღეს ვერსად მიუსწრეს, დანარჩენებს წერილები ჩააბარეს და თითქმის ყველასგან ფულიც მიიღეს. ლორდმა ბროუქსტონმა პირა-დად ინახულა კვაჭი და ნათხოვნი ერთი ორად ჩაუთვალა. ლედი ჰარევისაც გაეგო კვაჭის გავირვება: კვაჭის ნაჩუქირი თვალ-მარგა-ლიტი და საგვარეულო განძეულობა დააგირავა, კვაჭი ტელეფონით დაიბარა და ნაშოვნი ფული ძალით მიაჩეჩა, თან ცხარე ალერსი და სიყვარულიც უხვად დააყოლა.

რა იცოდა საბრალო ლედიმ, რომ ის მოგიურიანება უკანასკნე-ლი იქნებოდა!

დასხდნენ იმ სალამოს კვაჭი და ბესო და ორი საათი მოანდო-მეს ფულის დათვლის. მერე ზოგი რამ ჩაალაგეს და ავტომობილი მოითხოვეს.

ბესომ სასტუმროს დირექტორს განუცხადა:

— მათი ბრწყინვალება ბირმინგამში მიბრძანდება რამდენიმე ქარხნის მოწყობილების სანახავად და სასყიდლად. ზეგ დაებრუნდე-ბით. ბინას ვიტოვებთ.

ბიუზ-მოუხეიეს ლონდონის ვიწრო ქუჩებში და მდინარე ტემ-ზით ზღვას მისცეს თავი. მეორე დღეს კვაჭიმ და ბესომ ბირმინგა-მის მაგივრად ანტვერპენში ამომყვეს თავი.

აქა ამბავი თვალ-მარგალიტისა, საგუეთისა, დუელისა, კრისტულისა და მრავალთა საგმეთა.

დარბის და დაპერის მას აქეთ კვაჭი კვაჭანტირაძე ათიოდე გვარით მთელს ქვეყანაზე. იგი ხან თავადი ბაგრატიონია, ხან ავ-

ლანთა ემირის უფლის-წულია, ხან გრაფი ტიშკევიჩია, ხან კიდევ სპარსეთის პრინცი კაჯარია.

ვინ მოსთვლის, ვინ ასწერს კვაჭის ხელმარდობას, მისი ნამუშავარის ფერადობას, ნატიფობას და მახვილობას!

ნიუ-იორქში მან ერთი თავისი ჰქუისა და გამოცდილების ქალი ჩაიგდო ხელში.

მცირე ვარჯიშობიდან დაიწყეს.

კვაჭი ერთ მაღაზიაში ბრილიანტების სასყიდლად შევიდა და თხილის ოდენა ხუთიოდევ ქვა აირჩია. ხუთივეს ხელში ატრიალებდა და ჰსინჯავდა. ამ დროს მისი ახალი ხელქვეითი ქალი შემოვიდა და დაბალთან მაღაზიის პატრონს ბაასი გაუბა. კვაჭიმ ხელმარდად ერთი ბრილიანტი გაუშვა. იგი ისე ლბილად დაეცა ხალიჩაზე, რომ მისი ხმა ვერავინ გაიგო. იმ ქალმა ადგილი შეიცვალა, იმ ქვეს ფეხი დაადგა, მერე ბაასი გაათვა და წავიდა, თან ფეხის გულზე აკრული ბრილიანტიც გაიყოლა.

მაღაზიის პატრონმა ძვირფასი ქვის დაკარგვა შეამჩნია და კვაჭის ალმაცერად გადაჟხედა. კვაჭიმ იტკიცა და თავისი გაჩერება თვითონვე მოითხოვა. მეორე ოთახში გაიყენეს და ტანისამოსი გაქადეს. მერე ბოლიში მოიხადეს და აღშეფოთებული კვაჭი ავტომდე გააცილეს, თან წამლად რამდენიმე ათასი დოლარი ჩაუდეს შეერდის მარცხნა ნახევარზე იმ ადგილის მოსარჩენად, სადაც კვაჭიმ თავმოყვარეობის ტკივილი იგრძნო, ხოლო შეურაცხყოფის ოქმი დაპირებული და გადაჟყარეს.

ანტვერპენში, ალმასების ქალაქში, კვაჭიმ თავისი მეგობარი ქალი ერთს ახლად დაარსებულ კერძო საგიუვეთში შეპეზავნა.

— იცნობთ მესსიე ვერმეს? — ჰქითხა იმ ქალმა საგიუვეთის დირექტორს.

— სამწუხაროდ, არ ვიცნობ. მე ახლად მოსული კაცი ვარ ანტვერპენში.

— ვერმე ჩემი მამა გახლავთ. ქუთაზე შესცდა საწყალი. სულ ბრილიანტებზე და მარგალიტებზე ჰქითხრობს და ჰბოდავს. ერთი პატარა ჩემოდანი აქვს, ხელიდან არ უშვებს, ჰგონია, იგი ალმასებით არის გატენილი. ზოგჯერ ისე მოიგიუიანებს თავს, რომ დასამშვიდებლად ძალას ვხმარობთ. უნდა მიიღოთ თქვენს სამკურნალოში.

— დიდის სიამოვნებით, ქალბატონო!

— რაც ძვირფასი ნივთეულობა მქონდა, წამართვა და იმ ჩემოდანში ჩაალაგა, მაღაზია უნდა გავხსნაო. გაფრთხილებთ, ძალიან გაძალიანდება იმ საკის ჩამორთმევის დროს.

— ეგ არაფერი, მოვერევით. თქვენ თვითონ მოიყვანთ?

— დიალ, დღეს ან ხეალ მოვიყვან.

მერე ის ხელმარტი ქალი მესსიე ვერმეს მაღაზიას ეწვია.

საუცხოვ საყურეები, დიდი დიადემა და მსხვილი მარგალი-ტების მშენებირი მძივი აირჩია.

— რამდენი ელირება?

— ეს ასი ათასი... ეს სამოცი... ეს ოთხმოცი.

ივაჭრეს.

— ოთხმოცდაათი უკანასკნელი ფასია.

ქალმა საათს დაპხედა და დალონდა.

— გამოგიტყდებით, მესსიე ვერმე. დღეს ჩემი დანიშვნის დღე გახლავთ. მამამ სამოცდაათი ათასი მაჩუქა და მე თვითონ მომანდო საჩუქარის არჩევა. ეს მძივი ძალიან მომწონს. ოცი ათასი მაკლია. მამა არ დაიშურებს და დამიმატებს; მაგრამ დაგვიანებისა მეშინიან. სანამ სახლში დავბრუნდები, სანამ ჩექს დამიწერს და სანამ ბანქში მივალ, ბანქიც დაიკეტება. ნუ დაიზარებთ, გამომყეო.

მესსიე ვერმე ჩიფიქრდა. დიდმა მოგებამ წასძლია.

— კეთილი. წავიდეთ.

— სამივე ნივთი წამოილეთ, იქნება მამამ საყურეები ან დიადემა აირჩიოს. მე მძივი მომწონს, მაგრამ მაინც... ვინ იცის.

ვერმემ არჩეული ნივთები პატარა საქში ჩააწყო. ორივენი ავტოში ჩასხდნენ და იმ სამკურნალოს მიადგნენ, რომელიც უფრო სასახლეს ჰგავდა, ვიდრე საგიერთს.

თავაზით და ლიმილით დაუხვდნენ:

— მობრძანდით... დაბრძანდით... მშენებირი დარია... ცოტა-ოდენი მოითმინეთ.

ის ქალი ისე იქცეოდა, თითქოს საკუთარ სახლში იყონ: აქეთიქით ბრძანება მისცა და მერე პირდაპირ დირექტორის კაბინეტში შევიდა. მესსიე ვერმე სასტუმრო ოთახში იცდიდა.

— მოვიყვანე... თან პატარა საკით წამოილო ჩვენი ძვირფასეულობა... გაფრთხილებთ, გაძალიანდება, ბოდვას მოჰყვება. ის საკი ჩამოართვით.

— ნუ სწუხდებით, დაჩვეულები ვართ, გამოცდილება დიდი გვაქცეს.

დირექტორი და ქალი სასტუმრო ოთახში გამოვიდნენ.

— მესსი ვერმე, ბონეურ!.. დიდაღ სასიამოვნოა თქვენი გაცნობა... აქეთ მობრძანდით...

და მესსი ვერმე მესამე ოთახში გაიყვანეს.

— მამა, აი, ჩემი ნივთები! — ჰაერში გადააგდო ეს სამი სიტყვა იმ ქალმა და ვერმეს საკი ჩამოართვა.

ვერავინ გაიგო, ვინ იყო იმ ქალის „მამა“ — ვერმე თუ დირექტორი.

ვერმე იმ ოთახის მოწყობილებამ და სხვანაირად ჩაცმულმა მოსამსახურეებმა დააშინეს. შეკრთა და აირია. თავისს საკს მისწვდა, მაგრამ ის ქალი ხელიდან გაუსხლტა და ოთახიდან გავარდა. ვერმე გამოუდგა, მაგრამ იმავ წუთს წინდაწინვე დარიგებულმა სამმა ახოვანმა მოსამსახურემ ულონო მოხუცი ბუმბულივით აიტაცეს.

— გამიშვით!.. ავაზაებო... ყაჩალებო!.. ჩემი საკი!.. ჩემი მარგალიტები!.. ჩემი ბრილიანტები!.. — გაპიონდა ვერმე, თან ჩიტივით ჰერონთხალობდა და კარებისკენ იწევდა.

— დამშვიდლით, მესსი ვერმე, დამშვიდლით!.. თქვენი ბრილიანტები არ დაიკარგება... დაწყნარდით, ჩენ ავაზაები არა ვართ. მე ექიმი ვარ, გთხოვთ მიუნობდეთ... თქვენ სამკურნალოში ბრძანდებით... მალე მორჩებით და ისევ თქვენს ოჯახს დაუბრუნდებით...

— რაო? ექიმიო?.. სამკურნალო? საგიურთი?.. ვინ არის გიურ, მე თუ თქვენ? აპა, მივხვდი, მივხვდი! ვაიმე, დავილუპე!.. ვაი, დაქცეულო ოჯახო! ღმერთო, მიშველე... გამიშვით! მიშველეთ! ჩემი ალმასები! ჩემი ბრილიანტები!

— დამშვიდლით მეთქი, მესსი ვერმე! თქვენი მარგალიტები თქვენს ქალიშვილს აქვს.

-- რაო? ჩემი ქალიშვილიო?! რას ჰეროშეთ, რას მიედ-მოედებით?! ის ჰარამზადა თქვენი ქალია, თქვენი!

— ჩემი? მე ქალი არა მყავს.

— არც მე მყავს. მაშ... მაშ... — უცებ ყოველივეს მიპხვდა და კინალამ მართლა გაგიდა: — მაშ გაიგეთ, თქვე გიერბო და ტუტუცებო, რომ იმ ჯიბგირმა ორივენი მოგვატყუა... დაიჭით!.. დაეწიეთ!.. ჩქარა! ჩქარა!

დაფეთდნენ და გახევდნენ დირექტორი და მოსამსახურენი. ხუთ წუთში ვერმემ და დირექტორმა სხაპა-სხუპით უკელაფერი უამბეს ერთმანეთს. მერე ეცნენ ტელეფონს, პოლიციას და აგენტებს, მაგრამ გვიან-ლა იყო: კვაჭი და ის ქალი მიწამ ჩაჰყლაპა.

რომში ისევ იმ ქალმა ერთს ვაჭარს მრავალი თვალ-მარგალი-ტი მიატანინა თავისს „დანიშნულთან“ და „მამისთან“ — კვაჭისთან.

— თავადი ეხლავე გეახლებათ.

თავადის ქალი და ვაჭარი კაბინეტში დასხდნენ. ქალმა თვალ-მარგალიტი გაშალა და ერთხელ კიდევ დაუწყო სინჯვა. ამ დროს მოსამსახურებ თავადის ქალს მოახსენა:

— მარკიზი პალავაჩინი გეახლათ.

— ჩემი დანიშნული?! ღმერთო ჩემო!.. არ მინდა, რომ ქორ-წილამდე პნახოს ეს საჩუქარი.

და თვალის დახამხამებაზე ის ნივთები რკინის განჯინაში შე-აწყო, რომელიც კედელში იყო ჩართული, და გასაღებიც ჯიბეში ჩაიცურა.

— სოხოვეთ, მობრძანდეს.

კვაჭი შემოვიდა, მოწიწებით თავისს „დანიშნულს“ ემთხვია და მოიკითხა.

მოსამსახურებ ისევ შემოიხედა:

— პრინცესა, მამა თქვენი ერთი წუთით გთხოვთ.

— ბოლიში... ეხლავე გეახლებით... — და გავიდა.

ორი წუთის შემდეგ „მარკიზი პალავაჩინი“ — კვაჭიც გაბრძანდა. იმ სახლში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

გავიდა ათი წუთი... თხუთმეტი... ოცი...

ვაჭარი ასტოკდა, ადგა, დატრიალდა და მრავალჯერ ჩაახველა. მერე მეორე ოთახში გავიდა.

არავინ იყო.

მესამეში შეიხედა.

არც იქ იყო ვინმე.

ისევ მეორე ოთახში დაბრუნდა, რომელიც ზედ ეკრა სასტუმრო ოთახს, სადაც ნახევარი საათის წინ ის ქალი და ვაჭარი თავადს უცდიდნენ. ერთი რამ დაინახა: კედელში რკინის განჯინა იყო გამართული და მისი კარები გაღებული იყო. განჯინაში შეიხედა. ელდა ეცა და მეხი დაეცა: ეს კარებიც იმ განჯინისა იყო, სადაც იმ ქალმა პირველი ოთახიდან ძვირფასი თვალ-მარგალიტი შეაწყო.

დაფუთებული და გაგიუებული ვაჭარი თმებს იგლეჯდა, ცალიერ ოთახებში დარბოლა და ჰყვიორდა:

— პოლისმენ!.. მიშველეთ!.. გამეურდეს!.. გამძარცვეს!..

კვაჭი და მისი დანიშნული ისევ მიწამ ჩაჰყლაპა.

ვენაში კვაჭიმ ერთ მდიდარ ებრაელ ბარონს თვალი დაადგა. კლუბში უცაბედად იმ ებრაელს ხელი გაჰკრა და თეოთონვე მიაძიხა:

— ფრთხილად!.. უზრდელო!.. სალახანავ!..

— ბოდიში... მე... მე...

კვაჭიმ აღარ დააცალა და ნიკაბში ოდნავ ორი თითი აჰერა.

ასტყდა ჩოჩქოლი და აყალ-მაყალი, რომელიც იმით გათავდა, რომ კვაჭიმ და ბარონმა ერთმანეთს თავიანთი მისამართები მისცეს.

შეორე დილით კვაჭის სეკუნდანტები—ბესო და ჭიპი ჭიპუნ-ტირაძე იმ ებრაელს ეწვივნენ და გამოუცხადეს:

— უსისხლოდ ეს საქმე არ გათავდება.

შერე გაეცრით ჩაურთეს:

— ნუ აჩქარდებით, ბარონ! ჯერ სეკუნდანტებს ნუ მაჰარ-თავთ... ხვალამდე მოითმინეთ... ავლანთა უფლისწული განთქმული მსროლელია... გაფრენილ ბუზს არ ააცდენს... თუ გნებავთ, თქვენ-ვე დარწმუნდით... დღეს, სწორედ ხუთ საათზე პრინცი პრატერის ტირში იქნება. მოჰვზავნეთ ვინმე, პნახოს და დარწმუნდეს. სალა-მოზე ხელმეორედ გეახლებით... მოვილაპარაკოთ, შეიძლება სის-ხლი არ დაიღვაროს, თუ, რა თქმა უნდა, თქვენც თანახმა იქნებით რომ...

— დუელი აუცილებელია!

— დიალ, დუელი უეჭველად მოხდება, მაგრამ... შეიძლება მოეწყოს საქმე, რომ... სისხლი არ დაიღვაროს... მოითიქრეთ... ლამოზე გეახლებით... მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

ხუთიდან ექვსამდე ის ტირი კვაჭიმ დამბაჩით დაამტვრია დახვრიტა. საიდუმლოდ მოგზავნილმა ბარონის კაცმა დაარწმუნა ის ბარონი, რომ ავლანის უფლისწული მართლა გაფრენილ ბუზს ჰქონდა.

— პრინცი უფლისწულის პატიოსან სიტყვის გაძლევთ,—ეუბ-ნებოდა ბესო იმავე სალამოს იმ მდიდარ ებრაელს,—და მაჰადის წმინდა სახელს ჰფიცავს, რომ ის თქვენს სისხლს არ დაჰლვრის, თუ... თუ მოვრიგდით. ორჯერ ან სამჯერ ჰერში გაისცრით, შერე შერიგდებით და დამეგობრდებით კიდევაც.

— საქმეზე გადავიდეთ. რამდენი გნებავთ?

— თქვენი სიცოცხლე დაუფასებელია, თქვენ ათი მილიონის შეძლება გაქვთ. ჩვენ ერთი მილიონიც გვეყოფა.

— მე მირჩევნიან დღესვე გადავიკარგო ვენიდან.

— სირცხვილს ვერსად წაუხვალთ. მთელს ქვეყანას მოვდებთ თქვენს ლაპირობას.

— ებრაელებს გულადობა არასოდეს დაუკვებნიათ და ასე ძეი-რად არც ვაჟკაცის სახელი უყიდნიათ.

— ნუ დაივიწყებთ, რომ აესტრიის ბარონი ბრძანდებით. „ნობლეს ობლიუ“!

— გავათავოთ. ასი ათასი.

— ცხრაასი სისხლით და რეასი უსისხლოდ.

— არ მესმის!

— თქვენ ოდხავ დასჭრით უფლისწულს.

— მაინც არ მესმის!?

— დუელი იმით გათავდება, რომ უფლისწული ოდნავ დაიჭრება... როგორ მოვაწყობთ ამას? ეს ჩეენი საქმეა.

ბარონს სისხლიანი დუელი ძალიან მოეწონა:

— თუ დუელი მართლა პრინცის სისხლით გათავდა, ორასი ინებეთ.

— რვაასი!

— ორასს ვერაფერს მოვუმატებ.

— მაშ ხვალ დილით თქვენს სეკუნდანტებს ველით. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

— მოითმინეთ! სამასი. მეტი არ შემიძლიან. ისიც იმ პირობით, თუ პრინცის სისხლი დაიღვარა.

ნახევარ მილიონზე მორიგდნენ და ნახევარი მაშინვე მიიღეს.

კვაჭიმ და ფულის ბარონმა ერთმანეთი ხელწერილებით შეკრეს.

ორი დღის შედეგ დილა ადრიანად ბესომ კვაჭის ოდნავ მარცხენა მკლავი გაუკაწრა, იარა ოდნავ შეუხვია და შენბრუნის ტყეში წაიყვანა, საღაც მათ ბარონი და მისი სეკუნდანტები დაუხვდნენ.

— აბა, დაიწყეთ! ერთი, ორი... სამი!

ბარონმა და კვაჭიმ ერთმანეთს არხეინად დაახალეს დამბაჩები.

კვაჭიმ დამბაჩა დააგდო, ხელი მარცხენა მკლავზე იტაცა და, სანამ ექიმი მოვარდებოდა, იარის შესახვევი მოიგლიჯა:

— არა უშავს რა... უბრალოა... სამ დღეში მოურჩება! — ყველას ამშეიდებდა ექიმი.

ბარონი გაიბრინდა და გაამაყდა.

— ავლანის უფლისწული დაკვერი... მკლავში მოვახვედრე... ზრდილობა ვასწავლე! — დღესაც წარა-მარად გაიძახის ის ბარონი.

კვაჭიმ და ბარონმა იმავ საღამოს საბოლოო ანგარიშები გაასწორეს, ერთმანეთს ხელწერილები დაუბრუნეს და იმავე კლუბში შერიგების ქეიფი გამოართეს.

ბარონი კველავ იბერებოდა და თავისს მევობრებს ეუბნებოდა:

— მადლობა ღმერთს, რომ ასე ადვილად გადარჩა ჩემი მევობარი უფლისწული. პრინცი, ბრუდერშაფტი დავლიოთ!.. ბედი გქონია... ჰო, იმას მოგახსენებდით: ბედი პქონია მეთქი. ჯერ შიგ გულში დაუშინები მაგრამ შემეცოდა ასეთი ვაუკაცი და... მქლავში დავუმიზნე და მოვარტყი.

კვაჭი ილიმებოდა, სვამდა და ხან-გამოშვებით ბარონს მევობრულად მხარზე ხელს უტყაბუნებდა.

გავიდა ხანი. ავლანის უფლისწულმა იმ ფულსაც მალე მოუგრიხა კისერი. კვაჭის გაუჭირდა, ძალიან გაუჭირდა! გაუჭირდა და კვლავ შემოქმედების ციებ-ცხელება აუგარდა. მშობიარესავით დიდხანს იწურებოდა, იჭინთებოდა და ერთი კოხტა კომბინაცია მოიგონა.

ჯერ ძალები გამოკვანძა, ბადე დასწრა, ყველაფერი რიგზე და-ალაგა და მერე ერთ ბანკის დირექტორთან მივიდა:

— გთხოვთ მიცნობდეთ: მე გახლავართ პატტეს წარმომადგენელი. ბანკის გაძარცვის სურათი უნდა გადავილო კინოსთვის. რალა შორს წავიდე: აი, ბანკი და აი, არტისტებიც. თქვენ და თქვენმა მოსამსახურეებმა ითამაშეთ, სამუდამოდ ეკრანზედაც დასტოვებთ თქვენს თავს და ფულსაც მიიღებთ.

დირექტორი გაიბადრა:

— ძალიან კარგი... მადლობელი...

თავისს თანამშრომლებს დაუძახა და ეს ამბავი შეატყობინა. ყველანი აცქმუტდნენ და ყველას კუდის ქვეშ არტისტის ბუზანქალები შეუსხდნენ.

— ხვალ ან ზეგ გეახლებით, დაგარიგებთ და მცირე რეპეტიციას მოვახდენთ! — ამბობს კვაჭი. — ჰო, მართლა! პოლიციასაც შეატყობინეთ, თუმცა მე თვითონაც მივალ და მოველაპარაკები.

დირექტორი ტელეფონს დასწრდა:

— ალლლო! მესიიე გრად, თქვენ ბრძანდებით? გაუწყებთ, რომ ხვალ ან ზეგ ჩერენი ბანკი უნდა გასძარცონ.

— რაო?.. ვინ?.. რას ამბობთ?

— დამშვიდდით, მეგობარო, დამშვიდდით! სურათი უნდა გადაილონ ეკრანისათვის... ჰო, ჰო, თქვენც გადაგილებენ. ეხლავე მოვა თქვენთან პატტეს რეესისრი.

მეორე დღეს კვაჭიმ და ბოქაულმა ბანკის მიღამოებში პოლიციელებს ჩამოუარეს. ბოქაული ყოველ პოლიციელს ეუბნებოდა:

— კინოსთვის ბანკის გაძარცვის სურათი უნდა გადაიღოს ამ კაცმა. ბანკში და ახლო-მახლო განგებ ალიაქოთს ასტეხენ. შენც გადაგილებენ, მაგრამ სანამ ამ კაცმა დარიგება არ მოგცეს, ადგილიდან ნუ დაიძერები და ალიაქოთში ნუ ჩაერევი... გაიგე?.. სხვებსაც უთხარი... ხალხი დაარიგე, ნუ აღელდებიან და არტისტებს ნუ დაედევნებიან. აბა, ყოჩალად!

მერე კვაჭი და მისი ამაღლა ბანკში შევიდნენ და აპარატიც შეათრიეს.

— აბა, იწყება!.. დალაგდით... ისე იმუშავეთ, ვითომც არაფერია. ბანდიტები რომ შემოცვივდებიან, ყველანი უნდა შეშინდეთ... თქვენ მაგიდის ქვეშ შესძვერით... თქვენ დირექტორთან გაიქცით... აი, ეგრე, ეგრე... თქვენ ვერ ასწრებთ სალაროს დაკეტვის, ხელები ზევით ასწიეთ და შიშისგან პირი დაალეთ... მეტი არაფერი... ბანდის დევნას ქუჩაში გადავიდებთ... აბა, დალაგდით... თქვენ მარცხნივ მიიწიეთ, თქვენ—მარჯვნივ... თქვენ გარეთ ნუ იხედებით, პირი აქეთ მოიბრუნეთ...

მერე კვაჭი დირექტორთან შეეიდა:

— ეს ბანდიტი თქვენთან შემოვარდება და დამბაჩას დაგიმიზნებთ, თქვენ შიშისგან ვერ გაინძრევით. ეს ტელეფონს გადასჭრის და...

— დამბაჩა გატენილი ხომ არ არის?

— არა, ნუ შეშინდებით... აბა, ჯერ აქედან დავიწყოთ. პირველო ბანდიტო, დაიწყეთ!

ჭიბი ჭიპუნტირაძე დირექტორის კაბინეტში შევარდა, დირექტორი შიშით მოჰკლა და ტელეფონი მართლა გადასჭრა. ოპერატორი არხეინად ატრიალებდა.

— დირექტორის სცენა გათავდა. ეხლა მოლარესთან გავიდეთ.

არტისტები საერთო დარბაზში გავიდნენ და აპარატიც გაარიეს.

— აბა, დალაგდით! ყველანი თავ-თავიანთ ალაგებზე ისხედით... ეხლა გადავიღოთ სალარო. მერე დანარჩენების ჯერიც მოვა. აბა, მეორე, მესამე და მეოთხე ბანდიტებო, დაიწყეთ!

ჭიბი ჭიპუნტირაძე, ლადი ჩიკინჯილაძე და ბესო შიქია სალაროში შეცვიდნენ.

კვაჭი დარბის და ჰყვირის:

— ასწით ხელები, ასწით!.. თქვენ პირი დაალეთ!.. ნუ იღი-მებით!.. მიბრუნდით, მიბრუნდით! ბესო, ჩაალაგე!.. ჭიბი, მოჰკეტე!.. ლადი, ყოჩალად!.. აბა, მოუსვით, ბიჭებო!.. მოლარევ, მიბრუნდი, მიბრუნდი!

სანამ კვაჭი ჰბრძანებლობდა, ოპერატორი აპარატს ატრიალებდა, მოლარენი არტისტობდნენ და დანარჩენები სულელურად იღი-მებოდნენ, ბესომ, კიბიშ და ლადიშ მართლა მოჰვეტეს, ჩაალაგეს და მოუსვეს.

დირექტორს და ზოგიერთებს ეჭვის ჭიები შეუსხდნენ; ნელ-ნელა აცქმუტდნენ, აიშალნებ და დაფაურდნენ:

— ფული წაილეს... მართლა წაილეს... პარიქა, გვიშველეთ!

ოპერატორმა აპარატი შეშფოთებულ მოსამსახურებს მიუშვირა, ხოლო მათის თამაშით აღტაცებული კვაჭი გაჯირდა:

— აი, ეგრე! აი, ეგრე!.. მშვენიერია!.. საუცხოვოა!.. გენიალურია! აბა, ეხლა ქუჩის სცენა გადავილოთ. ბანდიტებო, მომყევით!

დირექტორი გადაჭრილ ტელეფონს ეცა, დანარჩენი მოსამსახურენი კვაჭის გამოუდგნენ, მაგრამ კარებში ორი ბანდიტი გადაელობათ:

— შესდექით, თორემ!

— გვიშველეთ!.. ბანკი გასძარცვეს!.. დაიჭირეთ!.. დააპატიმრეთ!

— ვიცით, ვიცით! — არხეინად ულვაშებში ილიმებოდნენ პოლიციელები და ადგილიდან არ იძვროდნენ: — ვიცით, რომ სთამაშობთ... ჯერ იმ კაცის ბრძანება არ მოგვსვლია.

— გეუბნებით, მართლა გავვძარცვეს მეთქი!

— პაპა შენი მოატყუე, მე კი ჩემი საქმე ვიცი.

ბოლოს, ერთმანეთი ძლივს დააჯერეს და დაიძრნენ, მაგრამ... პატტეს რეეისორს დღესაც ეძებენ!

ოხრულად ნაშონი ფული ოხრადვე მიდიოდა. კვაჭი დაილია და დახურდავდა. დიდი საქმეები გამოილია, მცირედი — ბევრს არაფერს იძლეოდა.

დროგამოშვებით კვაჭის სილიბისტროს წერილი წამოეშეოდა ხოლმე. სილიბისტრო იწერებოდა: შვილო კვაჭი, რა დაგარბენიებს საცხა-საცხა, არ მესმის. დოუბრუნდი შენს მშობლებს და რასპუტინს, რომელიც იერუსალემიდან დაბრუნდა. გვეიგე, რომე ის წმინდა კაცი შენ გკითხულობს და სხვებიც დეგეძებენ. ჩვენც დავბერდით, ჩემო კვაჭიკო, და ქე გვინდა სიბერიზა პატარა შენც შეგხედოთ, თვარა მაგისთანა შეილი თუნდ არ გვყოლია. პუბი და ნოტიო ყოველ დღე ტირიან და მოგელიან, მარა ასესად მოჩანხარ. ან ერთი წერილიც რავა ვერ გამოგზავნე ამდენ წელიწადში?

კიდევ ბევრს სწერდა სილიბისტრო და პასუხს ელოდებოდა, მაგრამ კვაჭიმ ვერ მოიცალა და ერთი წერილიც ვეღარ გაუგზავნა.

კვაჭიმ შემთხვევით გაიგო, რომ ტანია ბადენ-ბადენში დასახლდა, და ოვითონაც უმალ იმ ქალაქში ამოჰყო თავი. ძველ მეგობრობას უამის ნავლი აპყარა, უანგი და ობი ჩამორეცხა და ფიცით და დევნით უწინდელი ნდობა და თანამდებობა დაიბრუნა.

მაგრამ როგორ-ლა იქმარებდა გალალებული და ფრთაგაშლილი ქვეყნის არწივი მხოლოდ ბინას, ქიმა-სმას და ჩატა-დახურვას! კვაჭის ბევრი ფული სკირდებოდა, ძალიან ბევრი! მაგრამ ქირ-ნაკმა და ნაცალმა ტანიამ კვაჭის ოვიური ჯამაგირი დაუნიშნა და - ზედმეტი მანეთიც აღარ გაიმეტა.

ბევრი უტრიალა კვაჭიმ მობერებულ დედალს, მაგრამ იმ ლვთისნიერ დედაკაცს ქვის გული და რკინის ხასიათი აღმოაჩნდა.

— კაია! — სთქვა ერთხელ გაბრაზებულმა კვაჭიმ და ბესოს უთხრა: — ბესო, რამდენიმე დღეში ისწავლე ფოტოგრაფიის ხელობა.

ერთი კვირის შემდეგ ბესომ კვაჭის მოახსენა:

— ფოტოგრაფია შევისწავლე. აპარატიც ვიყიდე.

დასხდნენ და წაიჩურჩულეს.

ერთხელ დღისით, როცა კვაჭი და ტანია გახურებულ ალერსში იყვნენ, ტანია უცებ შეჰქრთა და შეშინდა:

— კარების ფარდა შეირხა... რა ამბავია?!

— მოგეწვენა. ალბათ ნიავმა დაპბერა. დამშვიდდი, ჩემო სულიერ!

იმ დღიდან ტანიას კვაჭი აღარ უნახავს. იმის მაგივრად მეორე დღეს ბესო მივიდა:

— ფული გვეირდება, ძალიან გვეირდება.

— ვინ ბრძანდებით?

— ეგ სულ ერთია, თუმცა... შეიძლება თქვენვე მიჰხედეთ. გუშინ კვაჭანტირაძის ოთახში ფარდა რომ ოდნავ შეირხა...

— გაეთრიეთ აქედან!

— კეთილი, მივდივარ, მაგრამ ერთი სახსოვარი უნდა დაგორივოთ.

და ფოტოგრაფიული სურათი მიართვა.

ტანიამ ოდნავ შეჰქივლა, პირსახეზე ხელები აიტარა; გაწითლდა, სირცხვილის ცეცხლში ჩაიწვა და ჩაიხრაკა.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

— მოითმინეთ... დაიცადეთ... რა გნებავთ?.. რამდენი გინდათ?..

— ეხლავე სამასი ათასი და თვეში ორმოცი ათასი.

— შეუძლებელია... ყველაფერი რომ გავყიდო, მაინც ვერ გადაგიხდით.

— ვერაფერს დაგიკლებთ. მოიფიქრეთ. ხეალ შემოვიცლი.

სანამ ტანიამ მამული გაჰყიდა, ერთი თვეც გავიდა. შერე ბესოს სამასი ათასი ჩაბარა, ნეგატივი გამოართვა და ბადენ-ბადენიდან გაპქრა.

მაგრამ სად დაემალებოდა კვაჭის თვალსა და ცხვირს! ზოგჯერ იტალიაში, ხან ესპანეთში, ხან კიდევ ეგვიპტეში ის სურათი, მრისხანე მუქარა და მილიონების მადა წინ დაუხვდებოდა ხოლმე. ტანიამაც იმდენი აძლია, რამდენიც შესძლო, თან ბესოს ათჯერ პატიოსანი სიტყვაც ჩამოართვა, რომ მას აღარა აქვს არც ნეგატივი და არც სურათი.

მერე, როცა ფულიც გამოელია და იმედიც დაეკარგა, სამუდამოდ გაპქრა და გადიკარგა.

ზოგნი ამბობდნენ, ტასმანიას კუნძულზე წავიდაო, ზოგნი — ცელონზეო, ზოგნი კიდევ ათონის მთის დედათა მონასტერს ასახელებდნენ.

კიდევ დიდხანს ეძება კვაჭიმ დაკარგული მეწველი ფური, მაგრამ, რომ ველარ იპოვნა, სხვა ახალი ბადეები დასწნა და გაშალა.

თევზი უხვად მოლიოდა, მაგრამ მოულოდნელად დაიჭირა და ევროპის ედემში მეხი ჩამოვარდა.

მსოფლიო ომი დაიწყო.

და კვაჭიც უმალ გარდიქმნა: ფრონტი შეიცვალა, ახალი ბადე-ხაფანგები მოიგონა, ერთი ცხოველივით პირსახე სხვანაირად შეიღება, დროის შესაფერი აბჯარი ჩაიცვა და ახალ იარაღით აღიჭურეა.

კარი ზე ხუთე.

აქა ამბავი ერთი საიდუმლო ვალდებულებისა და რუსეთში
 დაბრუნებისა.

— კვაჭი, როგორა გვონია, ვინცხა პრინციპმა რომე ავსტრიის
 ერცჰერცოვი მოჰკლა, ამიზა ომი იქნება? — იქითხა ბესომ.

— მეც მაიზა ვფიქრობ თელი დღე. თუ ერთმანეთს გამო-
 ესარჩლნენ, ეირევა თელი ქვეყანა.

— ა, გაზეთი წეიკითხე. სერბიას რუსეთი ესარჩლება, ავსტ-
 რიას — ერმანია.

წაიკითხა და ბოლთა დაპკრა. დიდხანს ათამაშა ცხვირი და
 იბორგა, მერე ბესოს მიუბრუნდა და ასე იწინასწარმეტყველა:

— ბესო, ლადი, ჭიბი! დეიბსომეთ ჩემი სიტყვა და ვადაცით
 ისტორიას შემდეგი: ორი კვირაც არ გვივლის, რომე რუსეთი გერ-
 მანიას უჯიერებს და გერმანია რუსეთს. მერე ასტყდება ომი და ლეთის
 რისხვა. რუსეთს ინგლისი, საფრანგეთი, რუმინია და იტალია მიემ-
 ხრობიან... კი, კი! იტალია გერმანიას გადუდგება და ინგლის-საფ-
 რანგეთს მიემხრობა თქვა. გერმანიას ავსტრია, ბულგარეთი და ოს-
 მალეთი მიუდგებიან. ბოლოს, ამერიკაც ჩაერევა. ქვეყანა თლათ სი-
 სხლით შეიღებება. თუ მე დევილუპე, ჩემი ნათქვამი ისტორიას გა-
 დაცით. აპა, ამხანაგებო, აწი გვპირია ჩვენ ჭიუა, ცხიზლობა და
 სიფრთხილე.

სთქვა, ჩაიცვა და ბერლინის ბირჟაზე წავიდა. ბირჟა საგიურეთს
 ჰეგვდა. ზოგმა ომს ჩამოჰკიდა თვისი ბედი და ქონება, ზოგმა კი-
 დევ მშევიდობს. აქციები, ობლიგაციები და ათასანირი ფასიანი და
 უფასო ქაღალდები ყირამალა დატრიალდნენ: ზოგი უუმალლეს სა-
 ფეხურზე ავარდა, ზოგი ორმოში ჩავარდა.

კვაჭი ომს დაეჭიდა და თვალი ლითონისა და იარალის აქცი-
 ებს დაადგა. დრო იხელთა, იდუმალ ჯგუფს გადაება, რომელიც ამ
 აქციებს ქვეით ეწეოდა, და იაფად იყიდა შენიდერ-კრებოს, შეკ-
 დის, ამსტრონგისა და კრუპპის აქციები. ნალდი ფული თითქმის
 ალარ შეინარჩუნა.

მერე სამასაა ასიან ბრძოს აჭყვა და ქუჩებსა, გაზეთებსა, ყავა-
 ხანებსა და სალონებში გააფრთხებული გაპკიოდა:

— ნახ პარი! ნახ მოსკაუ! (პარიზში! მოსკოვში!)

რამდენიმე დღის შემდეგ გერმანიიდან საფრანგეთში შეძვრა და იქაც ხმა ჩაიხლია:

— ა ბერლინ! ა ბერლინ! (ბერლინში! ბერლინში!)

როცა შემდეგ რუსეთში დაბრუნდა, იქაც გაჰქიოდა, სადაც კი შეეძლო:

— ვ ბერლინ! ვ ვენუ! ვ კონსტანტინოპოლ!

გავიდა ხანი. სადღაც სარაევოში ერთი კაცისგან გამოკვეუსილი ნაპერწერალი მოელს ქვეყანას აგუზეუზებულ ცეცხლად მოედო.

ვისმე პრინციპის გასროლილმა დამბაჩამ ქვეყნის ყოველ კუთხეში ისეთი გრგვინეა და გრიალი ასტეხა, რომ იგი ქუხილი ცას მისწვდა.

ერთი წვეთი სისხლი ჯერ მდინარედ გადიქცა, მერე თვალ-უწვდენელ ზღვად ვაიშალა.

ოცი თუ ოდაათი მილიონი დაგეშილი მხედარი გაათორებით და გაშმაგებით ეკვეთა ერთმანეთს.

დანარჩენებმაც ყველაფერს თავი მიანებეს, რამდენიმე ათას ვერსზე გაქიმულ მეომრებს ზურგში ამოუდგნენ და ხელი მიჰყეს სისხლის სამსახურს, თან ყველანი გაჟაპასებით, შხამიანის გულით და სასოებით ჰყვიროდნენ:

— ჩენთან არს ლერთი!

თან სისხლიან თითებით პირველს იწერდნენ და სულიერ მეცეს თავიანთთან კავშირს ეხვეწებოდნენ.

— სიკვდილი ველურებს! გაუმარჯოს ცივილიზაციას!.. გაუმარჯოს ერთა თავისუფლებას, ძმობას, თანასწორობას!

სულთამხუთავება ჯერ კოჭებამდე დაისველა ფეხი ხალხის სისხლით, მერე მუხლამდე შესტოპა; შემდეგ იგი წითელ გუბეში წელამდე შევიდა, ბოლოს, უძირო მორევში შეცურდა და შიგ ხუთი წელიწადი იქცუპალავა.

ეს ქვეყანა და ჯოჯოხეთიც დაყრუედნენ, დაბრმავდნენ და დაიხჩენენ უთვალავთა—თეთრ ა და შავთა, წითელთა და ყვითელთა, გამღელთა და გამოღმელთა, მდიდართა და ლარიბთა, კაცთა და ქალთა სისხლით და ცრემლით, გოდებით და მოთქმით, ლმუილით და ლრიალით, დარღით და ვაებით, წივილით და კივილით.

ხოლო კვაჭი კვაჭანტირაძე თავისს ჰამქრით სისხლისა და ცრემლის ზღვაში, ცეცხლის გრიგალში, მსოფლიო დარდის მორევში და სცურავდა და დაძვრებოდა, დარბოდა და დაპჭროდა და გაჟაპასებული, გაშმაგებული თავგამოდებით იბრძოდა:

— შენიდერ-კრეზო გაჰყიდეთ!.. კრუპპი იყიდეთ!.. ამსტრონგი დააგირავეთ!.. შეოდი გადაყარეთ!.. კუნარლინი დასწიეთ!.. შაქარი მოაგროვეთ!.. ფქვილი ასწიეთ!..

ერთხელ ფრანგული კანონი თავთ დაადგა:

— კვაჭი, ჯარში წამობრძანდით!

კვაჭი ჯარში? კვაჭი ომში? ვერდენში ან არდენის მთებში? ხომ არ გაგიერებულან! ვისთვის ან რისთვის? ფრანგებისთვის? მერე გერმანელებმა რა დაუშავეს? რით სჯობია პარიზი ვენას ან ბერლინს? ან ორივენი დაინგრენ, ან ცამდის აშენდენ, — კვაჭი რა შეაშია? ერთიც ვხახოთ, კვაჭის გვერდით ყუმბარა გავარდა, ან ტყვიამ გაიზუზუნა, ან სისხლი დაიღვარა! ისიც ვისი სისხლი, — თავადის კვაჭი კვაჭანტირაძესი, ავლანელთა უფლისწულისა, საქართველოს ბაგრატიონისა?! კვაჭი ომის ჯოჯოხეთში? ხომ არ გაგიერებულან!

და რადგან ლონდონში წასვლა სახიფათო იყო, რადგან ერთ დროს იქაურები ქუსლამდე „გააიმასქნა“, კვაჭიმ და ამხანაგობამ სამ დღეში მანჩესტერში ამოჰყეს თავი.

მალე ის კანონი ინგლისშიც წამოიჭრა:

— ქუდზე კაცი! ყველანი ჯარში!

— ბესო, აქინეც გაგიერებულან. აპა, რომისკენ!

მაგრამ რიგ-რიგობით ყველანი გიერდოდნენ. მალე იტალიაც დაიძრა და კვაჭის ისევ გადარეულთა კიუინი მოესმა:

— ქუდზე კაცი! ყველანი ომში!

ვერ მოგართვით! კვაჭი ჯერ არ გაგიერებულა, რომ იტალიისა-თვის, თუნდ მოკავშირეთა საერთო საქმისთვის სისხლი დაპლვაროს!

— ბესო, უენევისკენ!

კვაჭიმ ძლივს მიაღწია სამშვიდობოს: ალპების კენწეროზე ავი-და და მშეიდობის კუნძულიდან გულმშვიდად და არხეინად გადმოს-ცეროდა ირგვლივ აბობოქრებულ ომის ცეცხლს, თანაც ზოგჯერ იტყოდა:

— გეისენეთ ჩემი სიტყვები, ბერლინში რომ გითხარით. ყო-ლიფერი გამართლდა.

კვაჭიმ მოიწყინა, ძალიან მოიწყინა: შვეიცარიაში ვეღარ ჰყი-დულობდა და ვერც ჰყიდდა ათიოდე გემით შაქარს, ფქვილს, ლი-თონს და მრავალ საომარ მასალას. ალარ ჰქეუბდა და ალარ გრგვი-ნავდა მისი მჭერაჟ ხმა:

— იყიდეთ!.. გაჰყიდეთ!.. ასწიეთ!.. დასწიეთ!..

ბოლოს, გრიშკა რასპუტინის მთელს ევროპაში ნამგზავრმა წე-რილმა მიუსწოდ:

„Брат мои Аполончик!

Чаво шляйся то по ивропе паганой?! Воротись суди, ато скушно биз тибя да дилов очин много. Здеся будит у тибе мир, покой, слава, деньги и благодать Божия. Да тащи суди илену и таню, Так хочу я! Да, я! Григорий! Мотри, не опусти, не опаздай. Да. Григорий!“

ამ წერილით შეშინებულმა და გახარებულმა რუსეთის ელჩმა მაშინვე მოუხერხა კვაჭის მშვიდობიანი მგზავრობა ხმელეთით და ზღვით, თანაც დაეღრძიჯა:

— ჩემზე ორიოდე სიტყვა ჩამოუგდეთ წმინდა მამა გრიგოლს და მინისტრს საზონოეს. ჩემი გულითადი სალამიც გადაეცით. ღმერთმა მშვიდობიანი მგზავრობა მოგცეთ.

ბესომ სადღაც ელენე იძოვხა და წამოიყვანა.

ვინ იცის, საგიანგებო ხელის თუ განგების წყალობით მოხდა ის, რაც მოხდა კვაჭის გემზე ასვლის დღეს: ბაქანზე კვაჭის პირის პირ რებეკა შეეხება.

— რებეკა! ჩემო რები!

— ნაპოლეონ! ჩემო ძვირფასო!

ჩაეხეცინენ, ჩაეკლაკნენ, ჩამქრალი ცეცხლი უმაღ აინთეს და მინელებული სისხლიც აიდულეს. მათი განშორების ამბავი არც კვაჟიმ გაახსენა რებეკას და არც რებიმ მოიგონა. გემის ჯურლმულიდან ისაკა იდელსონიც ამოძრა.

— გავკოტრდი და დავილუპე! — აწუწუნდა ისაკა. — პეტერბურგში მივდივარ ჩემ ბიძასთან — გინკუთან.

— გინცი? თქვენი ბიძა არის გინცი? რატომ აქმდის არ გაახსენეთ?.. რაო? როგორ არ ვიცნობ! ერთად ვმუშაობდით.

კვაჟიმ რებეკკას რამდენჯერმე წაატანა გემის ბნელ კუთხეებში, მაგრამ რები დაეინებით გაიძახოდა:

— არა, არა... აქ არ შეიძლება... სტოკჰოლმში ჩამოვხტეთ ერთის დღით და... ნუ ხარ სულწასული, ხეალ ან ზეგ მივალთ და...

კრეისერების თანხლებით მიმავალი გემი ბერგენს მივიდა. კველანი მატარებელში გადასხდნენ, ნორვეგია გადასჭრეს და სტოკჰოლმში ჩავიდნენ.

ძლიეს მოასწრო კვაჟიმ ტანისამოსის გამოცვლა. ქალაქის სანახავად უნდა წასულიყო, მაგრამ იმის ოთახში იდელსონი და ერთი გერმანელი შემოვიდნენ, ის ოთახი კარგად დაჭსუნეს, კარები ჩაჰეკეტეს, დასხდნენ და აჩურჩულდნენ. ორი საათი იჩიფრიდეს, თან წამდა-უწუმ ტალანში გაიხედავდნენ, კვლავ იქაურობას მოათვალიერებ-

დნენ და დაწყებულ „საქმეს“ განაგრძობდნენ. ძლიეს მორიგდნენ, ერთმანეთი დარიგებით გაპტერეს და დაპტორდნენ. როცა იდელსონი და გერმანელი ოთახიდან გადიოდნენ, იდელსონი შემობრუნდა და კვაჭის უთხრა:

— ამიერიდან მე და თქვენ ერთმანეთს აღარ ვიცნობთ და არც ოდესმე ვიცნობდით. თქვენ მხოლოდ თქვენს ფრანგულის მასწავლებელს რებეკას იცნობთ. არაუკრი დაივიწყოთ, თორემ... ხომ იცით! შესათვლელს ერთმანეთს რების პირით შეცუთვლით. მშვიდობით!

და იმავე საღამოს ისაკა იდელსონმა კვაჭის რების პირით ზოგი რამ შემოუთვალა.

კვაჭიმ ისეთი როული და ძნელი საქმე იქისრა, რომ ისაკას შემონათვალის მოსმენას და რების დარიგებას მთელი ღამე მოაწყომა.

დილით სტოკოლმში კვაჭის ვილაც ქართველებმა საიდუმლოდ ჩასჩურჩულეს:

— გერმანიის გამარჯვება სჯობია ჩვენთვის.

— შეუძლებელია! ლალატია!

— მაშ გალმა იმუშავეთ. იქნება პოლონეთსავით ავტონომია გაინც მოგცენ.

— ავტონომია საქართველოში ბატონ-ყმობის ალდგენა იქნება.

— მაშ რისთვის იღვრება ესოდენი ჩვენი სისხლი?

— დიდი რუსეთისთვის. თუ მან გაიმარჯვა, ჩვენც მოვიგებთ. დანარჩენი—ენა, ეროვნული კულტურა, პოლიტიკური უფლება— ქიმერიონია! რას ჩაცივდით ერთ მტკაველ საქართველოს, ერთ მუჭა ხალხს! ჩავიხსვებით იმ ორმოში; ფრთას ვერ გავშლით და სულს ვერ მოვითქვამთ... გადაპტერდეთ დიდ რუსეთს... მსოფლიოს მეექვსედია, თრას მილიონამდე ხალხი ჰყავს! თუ შნო, უნარი და ხალისი გაქვთ, ფრთები გაშალეთ და იმ ულეველ სივრცეში ინავარდეთ...

კიდევ დიდხანს ჩასუბი მისახლეს მიყრუებულ სახლში. ბოლოს, კვაჭიმ იმედიანი პასუხი მისცა:

— არც აქეთ, არც იქით... სიფრთხილე და მორჩილება... არავის აწყებით და არავინ მოიმდურთ... ამბებს მოგაწოდებთ. თქვენც ყოლითერი გამაგებინეთ... პაროლი თვეში ერთხელ შესცვალეთ... მშიდობით ბრძანდებოდეთ!

გულში კი სთქვა:

— ვინ იცის, იქნება აქინც გამოდნეს რამე.

— მათ აპოლონჩიკ! დაო ელენე!— ჩაიხუტა გულში ორივენი ერთი კვირის შემდეგ გახარებულმა გრიშკამ.

ორი წლის უნახავებმა ორი დღე მოანდომეს ერთმანეთის მოკითხვას და თავგადასავალის თხრობას.

კვაჭიმ მრავალი უამბო გრიშვას შესახებ დამპალ ევროპის ცხოვრების, გაგიუების, უზნეობისა და გახრწნილებისა. უფრო საეკლესიო და სასულიერო ამბებს დააწევა, თუმცა ერთის ან მეორეს შესახებ ევროპაში ერთი სიტყვაც არ ვაუგია და არც წაუკითხავს.

სილიბისტროს ოჯახში დიდი აურზაური და სიხარულის ურიაშული ასტყდა.

— აგრე უნდა, ბოშოო? არ გცხვენია შეეენ? — უსაყველურებლა სილიბისტრო კვაჭის.

— არ ვარგა, შეილო, დედის დავიწყება, თვარა... — ამბობდა პუპი და ვაგარეულებულ შეილს გულში იხუტებდა.

— იყიან შენი „სტრახის“ ამბავი? — ჰკითხა, ბოლოს, კვაჭიმ სილიბისტროს.

— თელ ქვეყანას გოუგია. დევილუპე კაკალი კაცი! — მოილრუბლა სილიბისტრო.

— ვოდეუხდი „სალამანდრას“ ათი ათასს პროცენტებით და ი იქნება! — გადასწყვიტა კვაჭიმ.

სანამ გრიშვა და ელენე ერთმანეთს გააძლობდნენ და თავს მოაპერებდნენ, კვაჭიმ მრავალი გაწყვეტილი ძაფი ხელახლად შეჰქრა და ახალიც გააბა. ორიოდე კეირაში პეტერბურგში კოხტად დაწნული და მოქსოვილი ბადე გაშალა, ძველი ბილიკები და არხები გასთოხნა, გაასუფთავა და იხლებიც გაიკვლია; სამხედრო ბეგარას თავი დაახწია, „ზემდესარის“ სამხედრო ფორმაში გამოიწევია, ჩექმებზე დეზები აიკრა, სამხედრო ქუდზე ნიშანი გაიკეთა, მხრებზე ოქროს ეპოლეტები გაიწყო, ექსელბანტიც ჩამოიკიდა და გაშტიკინებული თავადი კვლავ პროსპექტებს, ცხენებს, ავტომობილებს, ბანკირებს, რესტორანებს, კარისკაცებს, ხელისუფლებას და მხეთუნახავებს დაუბრუნდა, რომელნიც ორ წელიწადში უფრო გამრავლებულიყვნენ და გალამაზებულიყვნენ.

აქა მბაგი „კეთილი სამარიტელისა“ და კვაჭის ახალ წარმატებისა.

ერთ დღეს ნევის პროსპექტზე ახალი უზარმაზარი კანტორა გაიხსნა ოქროს წარწერით: ომში დაჭრილ-დახოცილთა დამხმარე საზოგადოება „კეთილი სამარიტელი“.

იმის თავმჯდომარეს და პატრონს—კვაჭი კვაჭანტირაძეს ცხრა მდივანი ჰყავს, ამდენივე ადიუტანტი და ორასამდე მოსამსახურე, —ისინიც დარჩეული ჯიშის „ზემოსარები.“ ამოდენა ხალხში, ლამაზ მემანქანეთა გარდა, კიდევ ერთი ქალი ურევია—კვაჭის მდივანი და ფრანგულის მასწავლებელი რებეკა იდელსონი.

კვაჭიმ უველა ძეველი მეგობრები შემოიკრიბა, გარდა გაბოსი და სედრაკასი, რომელნიც სტამბოლის ასაღებად უბრალო სალდა-თებად წარუვანათ.

შემდეგში კვაჭიმ ორივენი დაიხსნა, რაღაც ფრიად საჭირო სპეციალისტები იყენებ იმის რთულსა და პატრიოტულ საქმეში, და ორივეს დღე-დღეზე მოელოდა.

ბოლოს, ისინიც ჩამოვიდნენ.

— ვაა, კრიააზ, გაღენერლებულხარ?!?

ერთმანეთს ჩაეხვივნენ და იმავ ღამეს ძველი ოჯახის აღდგენა „არკადიაში“ გადიხადეს.

კვაჭი დღეში ათას ბრძანებას იძლეოდა:

— ჩააბარეთ მეორე კორპუსს ათასი ცხენი... დონის ოლქში ჩააბარეთ მესამე ლაშქარს ასი ვაგონი ქერი... ჩაიტანეთ ვარშავაში ორასი ვაგონი ფეხილი... მიეცით მეოთხე ლაშქარს ათი ათასი წყვილი საცვალი... მიიღეთ ინტენდანტისგან ხუთი მილიონი... მიეცით ინტენდანტს ივანოვს ორასი ათასი... გაჰყიდეთ! იყიდეთ!... გამოისყიდეთ!.. დააგირავეთ!.. მოსთხოვეთ!.. მიეცით!..

კვაჭი მოგებით გაიბერა. იმის მიმღინარე ანგარიშებს ხშირად თითო ნოლი ემატებოდა. დღისით მუშაობდა, სალამოებს კი ვრიშკას, მზეთუნახვებს და წარჩინებულებს ანდომებდა.

ზოგჯერ რებეკას პაპიროსის ქალალზე მცირეოდენ ცნობას მისცემდა და იმისგანაც მცირეოდენ დავალებას მიიღებდა. მიღებულ ცნობას რებეკა ბულულა თმაში ჩაირქობდა და წავიდოდა.

გრიშკა ზოგჯერ დალონებული და დალვრემილი იყო. ხშირად სასოებით პლოცულობდა, ოხრავდა, იგლიჯებოდა და იცრემლებოდა.

— დიდო მასწავლებელო! რაღაც გაწუხებს, რაღაც დარდი გაქვს? — ჰკითხა ერთხელ კვაჭიმ.

— ძმათ პოლონენჩიკ! გული ავს რასმე მეუბნება. ღმერთს არ უნდა ამ იმის კურთხევა... წავაგებთ, დავიღუპებით, დავინგრევით... ღმერთო, გვიხსენ ეშმაკისგან! ღმერთო, შეგვინდე შეცოდებანი ჩვენი! აპოლონჩიკ! ილოცე, შენც ილოცე!.. მთელმა რუსეთმა უნდა ილოცოს... ეკლესიები დღე და ღამ უნდა ღია იყოს, შიგ ყოველ დღე უნდა წირვა იდგეს. უფალმა ღმერთმა უნდა აკურთხოს ჩვენი

გამარჯვება, თორემ... თუმცა... აპოლონჩიკ! ომი რომ იწყებოდა, მეფეს მუხლებში ჩაუვარდი, გავაფრთხილე და ცრემლით ზევავედრე: „Николаша, не воюй! народ загубиши, россею разрушиши, трон потеряешь, сам погибнешь и нас погубиши!“ პირველად უარი მითხრა. ჩემმა რჩევამ არ გასჭრა. უწმინდურნი და გაგიებულნი ჩვენზე ძლიერნი ვამოდგნენ. ჩვენც განზე გავდექით, რადგან საჟვედურისა გვეშინიან; თავიანთ დამარცხებას და უნიჭობას ეხლაც ჩვენ გვაბრალებენ. საქმე ძალიან ცუდად მიდის, აპოლონჩიკ! ჩვენი ჯარი მარცხდება. დამარცხებას კი საშინელი ამბები მოჰყება: რევოლუცია, ანარქია, ხოცვა-ულეტა, სიმშილი, რუსეთის რღვევა და ტახტის დანგრევა. თავადი მეშჩერსკი, ბებერ მელას რომ ეძახიან, ყველაზე ჰქონიანი კაცია რუსეთში. ყველაფერი იცის, ყველაფერი ესმის. ის რომ ლაპარაკობს, თითქოს ყორანი სჩხავისო; ტანში ერთ-ანტელი მივლის ხოლმე და თავი შავის ნისლით მევსება. ჯოჯოხეთის ეშმაქმა მოაწყო წმინდა რუსეთისა და ურწმუნო საფრანგეთის კავშირი. რა გვაქვს იმ ხალხთან საერთო? არც ღმერთი სწამთ, არც ზნეობა აქვთ და არც მეფე ჰყავთ. გახრწნილი, დამბალი და გადაგვარებული ხალხი ყოფილა. გუშინ მთელი დღე და ღამე ლოცვაზე ვიდექი. ღმერთს ერთხელ კიდევ შევევედრე: „უფალო, უფალო! განმიწინდე მე სული ბოროტი, მომიტევე მე შეცოდებანი ჩემი და გამიხსენ კარნი მომავალისა“!.. ხატმა ისევ თვალები დაჭხუჭა და ისევ ცრემლები გადმოაფრქვია. მუდმივ სტირის ჩემი ხატი, აპოლონჩიკ, სტირის! ეს კი იმის ნიშანია, რომ რუსეთი დაინგრევა და დაილუპება. აპოლონჩიკ, მე ერთი ბნელი მუჟიყი ვარ. ხეირიანი წერა-კითხვაც არ ვიცი. განათლება არა მაქვს, მაგრამ ღმერთმა კარგი მუჟიყური ჰქონა, კარგი თვალი და კარგი ყური მომცა. ამ ქვეყნისა ბევრ ნასწავლზე მეტი გამეგება, იმათზე უკეთესი თვალი და სმენა მაქვს. აპოლონჩიკ, დაიხსომე ჩემი სიტყვა: თუ ეხლავე ომი არ გავათავეთ, ჩვენც დავილუპებით და რუსეთიც დაინგრევა მეთქი! მოდი, აპოლონჩიკ, მოდი ისევ უფალი ვილოცოთ და ჩვენი რუსეთი შევავედროთ.

კვაჭი ყველაფერში დაეთანხმა გრიშკას და დაპირდა ზავის-თვის მუშაობას, თუმცა კარგად ჰგრძნობდა და ჰხედავდა, რომ ნაადრევი და სახიფათო იყო ამაზე ზრუნვა, რადგან ქეციანმა, გაცოფებულმა, კბილალესილმა და სისხლიანმა ომის ძალომა იმდენი მოულოდნელი მომხრე და მოყავშირე იპოვნა და ისეთი გეზი აიღო, რომ გამწარებული და დაბრმივებული ზემო თაობა უფრო საკუთარ

თავისს მოკელას ამჯობინებდა, ვიდრე ფიცის გატეხვას და საქვე-
ყნო ლალატს.

გრიშა ინგლისის სანაპირო ქუჩაზე გადასახლებულიყო. მისი
გავლენა და ძალა გაორებულიყო, თუმცა თვითონ მუდმივ წუწუნში
იყო: ალარავინ მიჯერებსო და ალარაფერს მეკითხებიან.

ერთხელ, როცა გრიშა და კვაჭი ფეხით მიღიოდნენ, რამდენი-
მე ალაგის გამვლელი გრიშას ფეხქვეშ ჩაუვარდნენ, ხელები და-
უკოცნეს, იმის კადთას ემთხვევნენ და სასოებით შეჰვედრეს:

— იქს ქრისტე, ჩენო მაცხოვარო!.. ილოცე ჩვენდა, ცოდ-
ვილთათვის... ღმერთი შეგისმენს. ილოცე, რამეთუ ვიღუპებით.

— სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმინდისათა.
თქვენ, ძმათ და დებო, იოწმუნეთ, რამეთუ მოახლოვებულ არს ეამი
ქრისტეს მოსკლისა. მოითმინეთ და გახსოვდეთ წამებანი მისნი. ამინ.

მერე სიბნელეში ცრემლი მოიწმინდა და კვაჭის მიუბრუნდა:

— ჩენი საქმე გათავებულია... დავიღუპებით... ვიღუპებით.

რამდენიმე დღის შემდეგ გრიშამ კვაჭის დედოფლის დეპეშა
აჩვენა, რომელიც გრიშას ციმბირში სწერდა, რომ მას, დედოფალს,
უგრიშოდ ერთი დღეც ალარ შეუძლიან გაძლება. მას განუშუვეტლივ
ემართებოდა ბნედა და ნერვიული ციება, ხოლო უფლისწულს მეტად
ხშირად დასდიოდა სისხლი ნატკენ ალაგიდან. საუკეთესო ექიმები
უძალონი გამოდგნენ. გრიშა რომ ციმბირიდან დაბრუნდა, დედო-
ფალიც დასცხრა. გრიშას მიყვანილმა ტიბეტის ექიმმა ბაღმავევმა
უფლისწულს სისხლი შეუჩერა. იმ დღიდან მეფე-დედოფალი რასპუ-
ტინს სამუდამოდ ხელში ჩაუვარდნენ და არც გრიშას და არც ბად-
მაეცს ალარ იშორებდნენ.

იმავე ხანებში გრიშას მტრებმა ერთხელ კიდევ სცადეს მისი
ჩამოგდება. პასუხად რასპუტინი სასახლეში მივიდა და დიდებულთა
დასწრებით მეფე-დედოფალს ასე დაემუქრა:

— ვიცი, რომ ჩემი მტრები ორმოს მითხრიან! ყურს ნუ დაუგ-
დებთ, ნუ მომიშორებთ, თორემ ექვს თვეში მეტკიდრესაც დაპარ-
გავთ და ტახტსაც.

დედოფალმა რასპუტინს დაუჩოქა და წამოიძახა:

— როგორ შეგვიძლიან შენი მოშორება, წმინდანო! შენ ხარ
ჩვენი ერთად ერთი მფარველი და მეგობარი. კურთხევა, წმინდაო
მამაო, კურთხევა!

იმიერიდან გრიშას ალარავისგან არ მიუღია უარი. იშვიათად
გავიდოდა დღე, რომ მას არ ეთქვა, ან არ მიეწერნა დედოფლისა-

თვის: გადააყენეთ... დანიშნეთ... გადაიყვანეთ... გადმოიყვანეთ... ასწიეთ... დასწიეთ...

თვითონ მეფე დედოფლის დაუკითხავად, ხოლო დედოფალი გრიშას ნებადაურთველად ნაბიჯს აღარ გადასდგამდნენ და ერთს მცირედ საქმესაც არ გადასკრიდნენ.

ერთხელ რასპუტინი და გენერალი სუხომლინოვი კვაჭის კანტორაში ეწვიონენ და დიდის ზემით, მადლობით, ლოცვა-კურთხევით და ლომნით მეფის წყალობა ჩააბარეს: კვაჭის — ერთი ჯვარი და ერთი მედალი, ხოლო იმის ამხანაგებს — თითო ჯვარი.

სწორედ ამ დროს ბესომ ორი დიდი წიგნი შემოიტანა — საუცხოვოდ გამოცემული და უხვად დასურათებული. კვაჭიმ ჯერ ცეცხლიანი და ცრემლიანი სიტყვა უთხრა რასპუტინს და სუხომლინოვს და მერე თითოს თითო წიგნი ჩააბარა. გადაპოვარულეს და ერთხე წაიკითხეს: „გენერალ სუხომლინოვის ცხოვრება და მოღვაწეობა“. მეორე წიგნსაც ასეთი სათაური ჰქონდა: „ცხოვრება და მოღვაწეობა წმინდისა მამისა გრიგოლისა“. ორივე წიგნზე გოჯის ოდენა ასოებით იყო დაბეჭდილი: „შედგენილი და გამოცემული მათი იმპერატორობითი უუდიდებულესობის ფლიკელ-ადიუტანტის თ-დ ნაპოლეონ აპოლონის ძე კვაჭანტირაძის მიერ“.

ასტყდა კვლავ საზეიმო სიტყვები, მადლობა, ხვევნა და ტლაშა-ტლუში.

როცა გენერალმა სუხომლინოვმა გაიგო, რომ კვაჭიმ ასეთივე წიგნები ფრანგულ და ინგლისურ ენებზედაც გამოსცა და რამდენიმე ათასი ცალი მოსწო ევროპას, კვაჭის ძმობა შეპფიცა და სამაგიერო დაპირდა.

მერე რასპუტინმა უთხრა კვაჭის:

— აპოლონიქ, ყური დამიგდე: ჩვენი მტრები არწმუნებენ ხფრანციას, ვითომ მე ეხლივე ომის შეწყვეტას ვთხოულობდე. მართალია, ჩემი რშმენა ასეთია, მაგრამ „პაპას“ და „მმას“ ჰსურთ, რომ მე ხფრანციის ელჩი დავამშვიდო. ეს წერილი წაულე იმ ელჩს.

დაჯდა, გაიჭინთა და დასჯლაბნა:

„Давай Бож по примеру жить рации оне укоризной страны например нестожества сей минуты евйт бож евление силу увидите рать силу небес победа свами и вас распутин“.

ეს მისტიური ნაბოდვარი კვაჭიმ საფრანგეთის ელჩს მორის პალეოლოგს მიართვა. ვერც კვაჭიმ, ვერც ელჩმა და ვერც ვერავინ გაიგეს და ვერ გაშალეს ამ წერილის შინაარსი.

იმავ სალამოს კვაჭიმ უურნალისტ კნულმანს რასპუტინისა და სუხომლინოვის ბიოგრაფიის შედეგენისთვის საბოლოო ანგარიში გაუსწორა.

რამდენიმე დღის შემდეგ გრიშკა და კვაჭი შევიდნენ ერთი დიდი მთავრის სასახლეში, რომელიც სამხედრო სამკურნალოდ იყო გადაკეთებული, და დაჭრილ სალდათებს საჩიქრები მიუტანეს.

დღიდ პალატაში კვაჭი და საფრანგეთის ელჩი ერთმანეთს შეკვედნენ.

— გთხოვთ იცნობდეთ: გრიგოლ რასპუტინი... ელჩი მორის პალეოლოგი.

გრიშკა უცებ აწითლდა, ალელდა და აშფოთდა:

— ძალიან მინდოდა შენი ნახვა. პოლონებიკი, გადუთარგმნე: რუსეთი ინგრევა... ხალხი ჯვარს ეცვა... მილიონები იტანჯებიან და იხოცებიან... დრომ გათავდეს, თორემ ჩვენ თვითონ გავათავებთ!. დიალ, დროა!.. ამას მე ვამზობ, მე, გრიშკა რასპუტინი! დიალ, მე!..

მერე მოულოდნელად პალეოლოგს ეცა, გულში ჩაიკრა, პასუხს აღარ მოუცადა და გარედ გავარდა, თან ხელების ქნევით ჰყვიროდა:

— Kakea თამ პალიტიკა! მე მუჟიკი ვარ და მუჟიკური პირდაპირობა მიყვარს. რა დროს პოლიტიკაა, ლამის ხალხმა ჩიგვაქვაოს! ზავი! ზავი ჩქარა, თორემ დავილუბეთ!

აქა ამბავი უუდიდეს სამხედრო საქმის „გაიმასქნებისა“.

გავიდა ხანი. გრიშკა უფრო და უფრო ძალაში შედიოდა. კვაჭი სამხედრო მინისტრის სუხომლინოვის ხშირი სტუმარი იყო, რადგან მისი „კეთილი სამარიტელი“ მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამხედრო უწყებასთან, რომელსაც იგი აძლევდა უთვალავ სურათს, ცხენებს, საცვალს და მრავალ საომარ მასალას. გარდა ამისა, სუხომლინოვის ბიოგრაფიამ და საერთო მეცნიერებამ რასპუტინმა კვაჭი და გენერალი მჭიდროდ შექრეს და დააძმობილეს.

კვაჭის წინახდებურად ხელში ეჭირა რამდენიმე გაზეთი, რომელიც მცირე საბაბით და უსაბაბოდაც პეტრავდენ კვაჭის და სამხედრო მინისტრს, მათს ნიჭს, გენიალურ შემოქმედებას, თადარიგიანობას და საარაკო ორგანიზაციონობას.

მაღლობისა და უაღრესი ნდობის ნიშნად ერთხელ სუხომლინოვმა კვაჭის კიდევ ორი ჯვარი ჩააბარა და უთხრა:

— ნაპოლეონ აპოლონიჩ! ერთი უუდიდესი სახელმწიფო საქმე უნდა დაგავალოთ. თქვენზე მეტს არავის ვენდობი. ამერიკაში უნდა წახეიდეთ და იქაურ ქარხნებს დიდალი იარალი, ტყვია-წამალი და უუმბარები უნდა შეუკვეთოთ. თანახმა ხართ?

— მენენელება აქედან წასვლა, ძალიან მენენელება, მაგრამ სამშობლოს სამსახურს ვერსად წაუვალ. მიმსახურეთ.

— მაგრამ გახსოვდეთ, რომ თქვენ უუდიდესსა და უუხიფათესს საქმეს განდობთ. არავინ უნდა გაიგოს ეს საქმე, თორემ...

— მოтри უ მინე, აპოლონიკ! — დაუმატა რასპუტინმა და დაკლაკნილი თითო კვაჭის ცხვირ წინ დაუქნია.

რამოდენიმე დღის შემდეგ დარიგებით, ფულით და დალუქულ სქელ პაკეტებით დატვირთული კვაჭი ამერიკაში წავიდა და თან მცირე ამაღლა გაიყოლა.

სტოკმოლმის სადგურზე ნაცნობი გერმანელი დაუხვდა:

— თქვენ ამერიკაში მიბრძანდებით საიდუმლო დავალებით...

ისევ წაიჩურჩულეს ბნელ ოთახში. ხანგრძლივი დავა და ვაჭრობა ჰქონდათ. მერე გერმანელი კალიგრაფები ჩაუსხდნენ კვაჭის პაკეტებს და ისე გადასწერეს, რომ დედანს და ასლს ერთმანეთისგან ვერავინ ვერ გაარჩევდა. მხოლოდ გადაწერილში მცირეოდენი შესწორება შეიტანეს: მათემათიკური რიცხვები ოდნავ შეამცირეს. მეორე დღეს კვაჭის ისევ ძველებურად დალუქული პაკეტები და ერთი ჩეკი ჩააბარეს, მშვიდობიანი მგზავრობა უსურვეს და ბერლინისკენ მოუსვეს.

ერთი კვირის შემდეგ ინგლისის კრეისერმა კვაჭი ნიუ-იორკში მიიყვანა.

კვაჭიმ და რუსეთის სამხედრო ატტაშემ უმაღლ მექარხნენი მოიწვიეს, იჩურჩულეს, ივაჭრეს და მორიგდნენ. როცა კვაჭიმ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა და ერთი ჩეკი კიდევ გაიკრა, თავისუფლად ამოისუნთქა და საქუთარ საქმეებს შეუდგა.

მცირე ფულით ათიოდე გემი იყიდა, დატვირთული სურსათით და საომარ მასალით, ეს გემები რუსეთის სამხედრო უშესების სახელზე გაპგზავნა არხანგელსკში და თვითონ მახლობელ ქალაქებს მოედო. შეირბინა ფილადელფიას, ვაშინგტონს, ბოსტონსა და ჩიკაგოში; ცველგან თითო-ოროლა საქმე გაიმასქნა, ცივს ქალებს ცხელი ქართული სისხლი აგემინა, მერე მთელი ამერიკა გადასჭრა, დიდი ოკეანე გადასერა, იაპონიაშიც შეიხდა, გეიშები გაპსინჯა და ციმბირის გაუთავებელის გზით პეტერბურგში დაბრუნდა.



გრიშკას, ელენეს, მეგობრებსა და დიდებულთ ძვირფასი საჩუქრები მოუტანა, ყველანი მოიმადლიერა და უფრო მეტად ჭაიახლოვა. გენერალ სუხომლინოვსაც ანგარიში ჩააბარა:

— იმ ზომის და ყალიბის იარაღი და ყუმბარები ბლობად ჰქონდათ დამზადებული სხვებისთვის. ცოტა მეტი მივეცი, სამაგიეროდ ნახევარს ეხლავე ჩამოიტანენ, მეორე ნახევარს — სამი თვის შემდეგ. დრო მოვიგეთ.

ამერიკიდან წამოლებული უამრავი დამპალი საქონელი გაუსინჯავად სამხედრო უწყებამ იყიდა.

ორი კვირის შემდეგ კვაჭი ცარსკოე სელოში დაიბარეს სუხომლინოვის, რასტუტინის, ფრედერიქის და მრავალთა დიდებულთა, მთავართა და წარჩინებულთა დასწრებით მეფე-დედოფალმა კვაჭის დიდი მაღლობა გადაუხადეს, კამერ-იუნკერის მუნდირი უბოძეს და კიდევ სამი სხვა და სხვა ნაირი ჯვარი ჩამოჰკიდეს.

სადილად მეფემ კვაჭი გვერდით მოისუა და ამბავი გამოჰკითხა. კვაჭიმ პირი მოიხსნა და ცოცხლად, ჰკუიანურად, დალაგებით და დარბაისლად ნახული და უნახავი, გაგონილი და გაუგონარი უამბო.

ბოლოს, პაუზის შემდეგ ოდნავ ხმა დაიმდაბლა:

— ვიცოდი, რომ თქვენს უუდიდებულესობას ესიამოენებოდა წარჩინებულ ამერიკელთა აზრის გაეგბა ამ საშინელ ომის შესახებ.

— ძალიან მესიამოენება, ძალიან.

— ოფიციალურად სიმართლეს არავინ მეტყოდა, ამიტომ მრავალი მინისტრი და პრეზიდენტი ვნახე — ეხლანდელი და წინანდელი. ყველას კერძოდ და ინტიმურად შევხდი: ტაფტს, რუზველტს, ვილსონს, იუზს, ედისონს, მორგანს, როკფელერს და მრავალ მინისტრებს, მილიარდერებს, სენატორებს და წარჩინებულებს. მოკლედ მოგახსენებთ: ყველანი დიდი მოსურნენი არიან ჩვენი გამარჯვებისა, მაგრამ...

— მაგრამ?

— მაგრამ... ჩემს მეფეს ვერათერს დავუმალავ, ჩემს წმინდა მოვალეობად მიმაჩინა სიმართლის თქმა, თუნდ იგი უსიამოენოც იქნ. თითქმის ყველანი დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ეს საშინელი მიმორითო წელიწადს კიდევ გასტანსო...

— ლერთო დიდებულო!

— გამარჯვება უეპელად ჩვენს კავშირს ერგებაო, მაგრამ რუსეთი... ბოლომდე ვერ გაუძლებოს.

ყველამ ხმა ჩაიკმინდა და შუბლი შეიკრა. გრიშკამ დასტურის ნიშნად კვაჭის თვალი ჩაუკრა.

მეფე ლრმა სავონებელს მიეცა. თავი ჩატქინდრა, პირში ლუკ-
მა ვეღარ ჩაიდო. ისეთი სიჩქმე ჩამოვარდა, თითქოს სუფრაზე მი-
ცვალებული დაასცენესო. მერე უსიტყვიდ აიშალნენ. მხოლოდ დე-
დოფალმა მადლიერის თვალით გადაჭედა კვაჭის და ფაფუკი ხელი
გაუწოდა, რომელსაც შემქრთალი კვაჭი ხარბად დაეწაფა.

— ყოჩალ, აპოლონიჩი, ყოჩალ! — მოუწონა გრიშამ: — ეხლა ძა-
ლიან მოგიხდება წმინდა გიორგის ჯვარი. მენანგა შენი მოშორება,
მაგრამ რა ვქნა! მოდი ერთი კვირით „ხფრონტისკენ“ გაისეირნე და
გიორგის ჯვრით დაბრუნდი. რას იტყვი?

რას იტყოდა კვაჭი! მან კარგად იცოდა, რომ თუ გრიშა და
სუხომლინოვი მოინდომებდნენ, კვაჭი ბრძოლის ველიდან ასი ვერ-
სის მანძილზე ერთ თოფს გაისროლებდა და გიორგის ჯვარსაც
გაიქრავდა.

— ნუ შეშინდები, აპოლონიჩი! — დაარიგა და დაამშვიდა კვა-
ჭი რასპუტინმა: — გენერალი სუხომლინოვი მისწერს მთავარ-სარდალს,
რომ შენ თვალის ჩინივით გაგითრთხილდნენ. შენც შორი-ახლოს და-
დექი, იქაურობა დაპსუნე, ერთი თოფიც გაისროლე და დაბრუნდი.

კეთილი და პატიოსანი, აშ პირობით კვაჭი გაპბედას გიორგის
ჯვრის მიღებას.

ჰეტერბურგის სადგურზე კვაჭის ექიმი ყორანაშვილი შეჭხდა.
ისიც ოსმალეთის ფრონტზე მიდიოდა. სამხედრო ექიმის ტანისამოსი
მივა.

ერთმანეთი მოიკითხეს. ყორანაშვილი კვაჭიმ თავის კუპეში შე-
იპატიქა.

აზრუბამდის ერთი კვირა იმგზავრეს.

იმ ერთ კვირაში ყორანაშვილმა ერთი სიტყვა არ დასძრა
არც ექიმობაზე, არც სხვა საგანზე: შვიდ დღეში კვაჭი არქეოლო-
გიით და ისტორიით გაპბერა. დილიდან სალამომდის კრაზანასავით
ყურში ჩაპბზუოდა:

— ურარტუელნი... ნაირები... ალაროდიელნი... ფაზისი... კარნუ-
ქალაქი... ნიკოცხია... არხეოპოლი... ხეტნი... სუმერიელნი... ადარ-
ნასე... ლლილვნი და ძურძუკნი... ლენორმანი და შარდენი... თარ-
გამოსი და ქართლოსი... ოძრხე და გურჯიბოლაზი.

ბოლოს, კვაჭიმ ყველა სახელები და ეპოქები ერთმანეთში აუ-
რია და გამოტყდა:

— აა, ვერაფერი გევიგე. ისტორია ჩემი საქმე არ ყოფილა.

აქა ამბავი კვაჭის საოცარ გარდაქმნისა და ერთ წაგებულ
ბრძოლის მოგებისა.

ათი დღის შემდეგ კვაჭი ისმალეთში ჩავიდა და შტაბში გა-
მოცხადდა. დაგეშილმა შტაბელებმა კვაჭის ვინაობა და ორიოდე
კვირით ჩამოსკვლის მიზანი უმაღვე გაიგეს.

ერთი კვირა ქეიფში გავიდა. შტაბის უფროსშა და კვაჭიმ გა-
ისხენს ანდაზა,— ხელი ხელს ჰბანსო,— და ერთმანეთს მხარი მისცეს.
მერე შტაბის უფროსშა კვაჭის თავი დივიზიის ერთ ლოთ გენერალს
ჩაბარა, ორივეს ცალ-ცალკე დარიგება მისუა და ფრონტისკენ გა-
ისტუმრა. კვაჭიმ თან წაიყოლია სამი ორთვალა, დატვირთული ღვი-
ნით, კონიაკით, არყით და მრავალნაირი სანვაგით. უკან მისდევ-
დნენ ერთგული მხლებელნი—გაბო ჩხეტიშვილი, ლადი ჩიკინჯილაძე
და ორი ნაცადი რუსი.

ორი დღე იარეს ცხენებით.

გზა სავსეა ეტლებით, ფურგუნებით, ორთვალებით, ცხენოსან-
თა და ქვეითი ჯარით, ზარბაზნებით და ყუმბარების ყუთებით, და-
ქრილებით და ავადმყოფებით.

ყველანი ზანტად და უგემურად მიიზღაუნებიან, ხშირად გზის
ნაპირას ისვენებენ და იძინებენ. მოვრალი გენერალი უხვად ის-
ვრის ხუსართულიან რუსულ გინებას, ხანგამოშვებით ბრძანებას
იძლევა და აქეთ-იქით შიფრიკებს ჰგავნის.

სალამოზე ერთს დანგრეულ და დამშვერ ნაქალაქევში ჩავიდნენ.
შტაბში ყველანი გვიანობამდის მუშაობდნენ, ბრძანებას ისმენდნენ და
აძლევდნენ. მერე გაშლილ სუფრას მოუსხდნენ.

სასმელს ნელ-ნელა შეკყვნენ და შეიკეთეს, მერე შეხურ-
დნენ და შეფიცხდნენ, დასძახეს და გააძეს „მრავალ-ეამიერ“, „ალლა-
ვერდი“, „Последний нонешний денечек“, და სხვა მრავალი საომარი
და გამოსამშევიდობებელი სიმღერა, თან დროვამოშვებით უხილავ ოს-
მალოს მუშტებს უღერებდნენ, მრისხანე სიტყვებს ამბობდნენ, იმუ-
ქრებოდნენ და ცალის ყბით ჰლრიალებდნენ:

— სტამბოლისკენ!.. დავამტვრევთ!.. დავლეწავთ!.. დაპკა!..
მიდი!..

შუალამე რომ გადავიდა, კარგად შემთვრალმა დივიზიის გენე-
რალმა გამოაცხადა:

— აბა, მეგობრებო, ეხლა ძილს მივცეთ თავი. უძილო მეო-
მარი გრომად არ ვარგა. უკანასკნელ სადლეგრძელოს ესვამ ხვალინ-
დელ გამარჯვებისთვის, ურაა!

— ურაა! — ისევ ცალის ყბით სამჯერ იგრიალეს, ჭიქები დას-
ცალეს და დაიშალნენ.

კვაჭი გაუხდელი მიწვა. თვალები დაპუშტა და თავი მომავალ
ბრძოლას მისცა. გულში ერთი ეშმაკი ჩაუძერა:

— ხვალ ბრძოლა იქნება... სისხლი დაიღრება... ერთმანეთს
დახმოცავენ და დაასახირებენ... ზოგს ხელს მოსკრიან, ზოგს ფეხს,
ზოგს კიდევ სხვა რასმე.. შეიძლება ბრძოლის ველზე დაჭრილი დავრ-
ჩე, არავინ მომეშველება, მშიერ-მშეყურვალი მოვკვდები... შეიძლე-
ბა ცხელი ყუმბარის ნაგლეჯი მეცეს მუცელში. შეიძლება ტყვიაშ
გამხვრიტოს... შეიძლება ხმლით ამჩენონ, ან ფერდში ხიშტი მატა-
კონ...

კვაჭის მართლა ჯერ ხიშტით შეხვრეტილი ფერდი ასტკივდა,
მერე ყუმბარის ნატეხით გაგლეჯილი მუცელი დაეწვა, ხმლით აჩე-
ხილი თავი გაუბრუედა და აფეოქებულ ტყვიით დაფლეთილი შიგ-
ნეულობა დაეხრავა.

— არა, შე ოხერო ჩემო თავო, შე დასაბმელო და დამთხვეუ-
ლო! — ეუბნება კვაჭი თავისს თავს: — ვინ მოგათრია ამ სიშორეზე
რაცხა გიორგის ჯვარიზა?! ვის, ან რისთვის უნდა შეაკლა თავი?
გეიბერე, გასუქდი და შენს ქერქში ვეღარ დაეტიე, განა! რა გაკლ-
და, რას დაექებ? ფული თავსაყრელი გაქვს, ქალები უთვალავი, მუნ-
დირი კამერ-იუნკერისა, წოდება თავადისა, ხელისუფლება უსაზღვ-
რო, სასახლე და მოსამსახურენი, პატივი და კეთილი ცხოვრება, —
ყოლიფერი სანატრელი შეგისრულდა და აგიცხადდა, მეტი რაღა
გინდოდა? თხა რომ გასუქდა, მგელთან ჭიდაობა მოინდომაო — აი
ანდაზა ჩემზეა გამოკრილი. ამბობენ, კვაჭი ჭკუანი კაციაო. სისულე-
ლე უთქვამთ, თვარა რომელი ჭკუანი დაანებებდა თავს მეფურ
ცხოვრებას და სასიკედილოდ გაიმეტებდა თავს რაცხა მანეთიან
ჯვრისთვის! გრიშა და სუხომლინოვი დამპირდნენ, თოფის ხმასაც
არ გეიგებო, აქინე კი შუა ბრძოლაში მიკრეს თავი. კაია კიდო, თუ
ტყვიაშ ბარძალი ან ლბილი ალაგი გამიხვრიტა. ერთიც ვნახოთ, ყუმ-
ბარამ ხელი ან ფეხი მომგლიჯოს, ან მუცელი გადამიტრიალოს.....

კვაჭის ყუმბარით დაფლეთილი მუცელი არ დაუცხრა და ტკი-
ვილმა უფრო მოუმატა. იმისს თავში ეშმაკებმა ფერხული ჩააბეს,
ჯოჯოხეთის ჭიაკოკონა აანთეს და დამდნარი რკინა ჩაუსხეს. კვაჭი
დაიწვა და დაიხრავა ამ ცეცხლში. დიდხანს იგორავა და იტრიალა
გახურებულ ლოგინში. ბოლოს, წამოხტა და აივანზე გავარდა.

ნაქალაქევში ძალები შესაზარად ჰყმულდნენ. ქვეიდან ცხენების ჭიხვინი, ურმების ჭრიალი და ზარბაზნების რახა-რუხი ისმოდა. ბანაკი იღვიძებდა და სადღაც გადადიოდა.

უცებ ერთი თოფი გავარდა, მერე მეორე, მესამე და მეხუთე.

— რა მოხდა, რა ამბავია? — ეცა კვაჭი თავისს რუს მხლებელს, რომელმაც ამ დროს წამოიწია.

— ჩიცევი! — დაამშვიდა მხლებელმა კვაჭი. — აქაური ნანგრევები უპატრონო ძალებით არის საესე. დღისით იმალებიან, ლამ-ლამიბით კი სანადიროდ გამოიდან და სალდათებს აწუხებენ. მკვდრებსა და დაჭრილებსაც ეტანებიან. შეწუხებული სალდათებიც ამ ძალებს ჰქონავენ. ამაზე მეტი არაფერია.

ირაურავა. ბანაკი წამოიშალა და დაიძრა. შტაბიც უკან გავჟვა.

უცებ სადღაც შორს ზარბაზანმა დაიქუხა და ის ქუხილი მთელ ხეობას მოედო და რამდენჯერმე ყრუდ განმეორდა.

— დაიწყო! — სთქვა ვიღომაც.

კვაჭის ისევ ეშმაკები ჩაეპარნენ გულში. მიიხედ-მოიხედა. სხვები გულმშვიდად იყვნენ, ზოგს პირსახეზე თითქოს სიხარულის ლი-მილიც უთამაშებდა. კვაჭის რუსი მხლებლები ისე გულმშვიდად მიზანჩალებდნენ, თითქოს ბრძოლაში კი არ მიდიოდნენ, არამედ ყანიდან სახლში ბრუნდებოდნენ.

— ალბათ არც ისე საშიშოა ბრძოლა, როგორც ზოგნი ამბობენ! — მიუბრუნდა კვაჭი ჩხუბიშვილს.

— შენ ყოჩაღად იყავი, ი ჩემა ნალა თათრები ფეხებსაც ვერ მოგეჭამენ. — აამხნევა კვაჭი გაბომაც: — პასსან-ყალაშიც მიციცეთ, აზრუშშიც, ვანშიც და სხვაგანაც. პირველად მეც მეშინოდა, მაგრამ მერე ადვილად შევეჩვიე.

ერთ ტაფობზე ავიდნენ. სარდალის ბანაკი ერთ პატარა ლელში გაშალეს. ცხენებიდან ჩამოსხდნენ და სერზე აცოცდნენ.

კვაჭის თვალწინ ბრძოლის ველი გაიშალა.

სერის გაყოლებაზე თხრილები და საფრები უსწორ-მასწოროდ მიიკლაკნებოდნენ. ქედის ჩრდილო კალთების ნაოჭებში რუსის ჯარები ჩამალულიყვნენ. სერის გაყოლებაზე ამტვერებული და თვალუწვდენი გზაც მომავალ ჯარებით იყო სავსე.

ლრმა ხევის რიყეზე ცხენოსანი რაზმი უზარმაზარ შავ გველივით მარჯვნივ მიიკლაკნებოდა. ერთ ბექობზე ცხენები და სალდათები დიდის გაჭირვებით ზარბაზნებს მოათრევდნენ. მინდორზე კანტი-კუნტად გაფანტული შიკრიკი დაოთხებულ ცხენებს დააჭერებდნენ

პირველი ქედის გასწერივ, სამხრეთით, მეორე ქედი იყო გაჭი-
მული, ოდნავ დილის ნისლით შემოსილი, ისიც მოტველებილი და
ხრიოვი. ორივე ქედის შუაში ვიწრო და გრძელი მინდორი ჩაწო-
ლილიყო, ხუთიოდე ნასოფლარით, ბუჩქნარით, ხევ-ხუჭებითა და ნა-
ბაღნარით დასერილი.

იმ ქედის თავზე კვაჭიმ ჭიათურელასავით აფუსფუსებული მო-
პირდაპირე დაინახა დურბინდით.

უცებ ჰაერში კრაზანას ბზუილი მოისმა. ერთ წამში ის ბზუი-
ლი უცნაურ უცილად, რეინის გრიგალად გადაიქცა და ის გრიგალი
ბექმბის თავზე მეხივით გადაიკლაქნა და რეინისა და ცეცხლის
რკალივით გაიელვა.

იმავ წუთს იმ მეხის წინაშე ყველამ თავი მოიცრიკა. ზოგმა იმ
ლვთის რისხევის რიცხვის თავი დაუკრა, ზოგი წელში მოიხარა და ზო-
გიც ჩაქუნტდა.

კვაჭი უნებურად პირქვე დაეცა და მიწას გაეკრა. იმავე დროს
ბექმბის ძირში, ბანაკის გვერდით იმ მეხმა საზარლად იფეთქა.
ალის, ბოლის, მიწის და ქვების სვეტი მაღლა ავარდა, აიშორა და
ზეცას ასწვდა.

ირგვლივ ზოგნი უკვე იცინოდნენ, ზოგნი შიშიან თვალებს
აფეთხებდნენ.

გაფითრებული კვაჭი ძლივს წამოდგა. დარეტიანებული აქეთ-
იქით იცქირებოდა და გაუგებარს რასმე ჰლულლულებდა:

— გოგიშურა ლმერთი... კილამ შემაშინა... კილამ დევიფსე კა-
კალი კაცი!

— ეს ერთი და სხვა ათასი! — ანუგეშა კვაჭი გაბომ: — შენ ამას
იქით ნახე, რა მოხდება, თორემ ეგ მხოლოდ სალამი იყო.

— მოგვავნეს! — წამოიძახა ერთმა.

— არა, შემთხვევით შემოფრინდა! — მიუგო მეორემ.

— თუ შემთხვევით შემოფრინდი ყუმბარა ა ეთი ყოფილა,
ნამდვილი რაღა იქნება! — თავისთვის წაილაპარაკა კვაჭიმ.

— დაიწყეთ! — ბრძანა სარდალმა.

შიკრიკები დაიძრნენ. მიწაშე გაშლილი ტელეფონი აეღარუნდა.

მთის კუდრაჭა ზარბაზანი ფინისავით ჰყეფს;

ველისა — ჰემინავს და ლრიალებს;

მორტირი ბლავის და ჰსჭექს;

ჰაუბიცი ჰქუბს და დრტვინავს;

მიტრალეზი დედალივით კაჯანებს;

თოფი იატაკზე გადაყრილ მუხუდოსავით რახრახებს;

ცა იცრემლება თეთრის, ყვითელისა და ვარდისფერ შრაპნელის ქულებით;

დედამიწა იპენტება ყუმბარების ალით, ბოლით, ქვისა და მიწის სვეტებით; ჰაერი გაეღლენთილია კექით და ქუხილით, დრტვინვით და ზანზარით, ბზულით და სისინით, მომაკვდავთა და დაჭრილთა გმინვით და კვნესით, ხრიალით და კრულვით, მებრძოლთა კიუინით, გამოქცეულთა ვაებით, ურიამულით, თქარა-თქურით, ჭინინით და ათას უცნაურ კივილითა და ხმით.

იმ მინდორზი ხანგამოშვებით ხან ერთის, ხან მეორე მხრიდან ვიწრო ზოლებს გრძელი ტალღებივით ერთმანეთზე იერიშები მიაქვთ. ხან ერთმანეთს შეეჯახებიან და ერთი მეორეს მოსდრეებენ, ხან შუა გზიდან პირს იბრუნებენ და სადღაც ხვრელებსა და ხევხუვებში ინთქებიან.

შუადღეს გადასცდა. დივიზიის გენერალი, გინებით და ლრიალით დალლილი, კლდის ჩრდილში სადილს შეექცევა. სხვებიც ნაყრდებიან.

— დემირ-თეფეს პოზიცია დიდ გაჭირებაშია.—მოახსენა მას შტაბის გამგე აფიცერმა:—მეოთხე ბრივადა თითქმის გასწყდა.

— მესამე გაჭგზავნეთ.—მოქლედ და არხეინად უპასუხა გენერალმა.

— ისიც განახევრდა.

— მეორე ნახევარს კიდევ ორი პოლკი მიაშველეთ და შეუთვალეთ, რომ ბრძოლის ბედი დემირ-თეფეს სერზეა.

შუაში ბრძოლა შენელდა, ხოლო მარჯვინ უარესად გახურდა და გაფიცხდა. დემირ-თეფედან განუწყვეტელი და გაბმული ქუჩილი ისმის.

უცემ გაღმა მთის ნაოჭებიდან და ხევ-ხუვებიდან რამდენიმე შავი ტალღა ჭამვიდა.

— იერიშით მოდიან! ცხენოსანი ჭარი იერიშით მოდის!—წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

ყველამ დურბინდები მოიმარჯვეს და მტერს ჩააციდნენ.

სოროებიდან გამოსული შავი გველები დიდ მინდორზე შეერთდნენ და ერთ უუზარმაზარ გველაშაპად გადაიქცნენ.

— გააჩუმეთ!—ბრძანა გენერალმა და იმ გველეშაპს ალტაცი-ბულ ლიმილით და მუშტრის თვალით მიეგება.

ზარბაზნები, მიტრალეზნი და მეთოფურნი თან-და-თან გაჩუმდნენ. მეთაურნი ფუსფუსებდნენ, დაწყვეტილ ძაფებს ჰქვანძავდნენ,

ჩაშლილ რიგებს ერთმანეთზე აბამდნენ და მომხდურთა დასახვედ-
რად ემზადებოდნენ.

შავი გველაშაბი იშმორებოდა, იშლებოდა, ხელ-ფეს იქი-
მავდა და ნახტომისთვის ძალ-ლონეს იქრეფდა.

შტაბის გამგემ კვლავ სარდალს მოახსენა:

— დემირ-თეფე უსლიდეს ხიფათშია.

გენერალმა გველაშაპისკენ გაიშვირა ხელი:

— ხომ ჰერდავთ, რა მეხიც უნდა დაგვატყედეს. აქედან ერთ
კაცაც ვერ მივაშველებ. მარქაფი ჯარი უფრო წინ წამოსწიეთ,
ხოლო დემირ-თეფეს ასეთი ბრძანება გაუგზავნეთ: გიბრძა-
ნებთ ყველას დემირ-თეფეზე შეაკლათ თავი მტერს. ვინც უკან დაი-
ხევს, იქვე დახვრიტეთ.

— გენერალო, ასეთი ბრძანება...

— მე ვსთქვი და გავათავე!

მოტრიალდა და კვლავ ოსმალთა საიერიშო რაზმებს გადმოჰ-
სედა. გადმოჰსედა და აღტაცებით აიშალა, აიბურძგნა და ატრკდა:

— ყოჩა! ყოჩა!.. ვაშა თქვენს ვაუკაცობას, ვა-
შა!.. აი, სანახაობა, აი, უმაღლესი ხელოვნება! მაინც ნახევარ საათში
შეგმუსრავთ, დაგლეწავთ, მოგსპობთ და გაგაქრობთ! მაგრამ მაინც
მომწონხართ, თქვე ჰარამზადებო, თქვე ურჯულოებო, თქვენა!

გიუივით ჰყენიროდა, ხელებს იქნევდა, დაპეტოდა, მტერს მუშ-
ტებით ემუქრებოდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ბრძანებას ისროდა:

— ყველა ზარბაზნები დაუმიზნეთ! კარტეჩი ბლომად დაამზა-
დეთ!.. სანამ ახლო არ მოვლენ, ერთი თოფიც არ გავარდეს!.. დამ-
შეიდდით!.. დალაგდით!.. ჩასაფრდით!

ოსმალთა ცხენისანი დივიზია გაიშალა. შუაში თეორი
ბურნუსიანი არაბები და შავით თავშეხვეული ქურთები ჩაიყე-
ნეს. წინ ულემები გამოვიდნენ, მწვანე დროშა-ალამები გამოიტანეს
და ჯარი ლოცვა-კურთხევით გამოისტუმრეს. მერე უცებ იმ გვა-
ლაშაპის ოხვრით და გმინვით ჰაერი შეინძრა:

— ალლაჰ ილ ალლა-ა-აჰ!

დაიძრნენ და ნელ-ნელა წამოვიდნენ. თანდათან ნაბიჯს მოუ-
მატეს. მერე დაოთხდნენ და ქარივით წამოვიდნენ. წინ მწვანე ალა-
მებსა და დროშებს მოაფრიალებდნენ. უთვალია მახვილს შეზე ლაპ-
ლაპი გაპერნდა; უკანანი მტერის კორიანტელში გაეხვივნენ; დედა-
მიწა ჰანჩარებდა; წამოსულთა ყმუილი და კიუინა ზეცას სწვდებოდა.

— ალლაჰ ილ ალლა-ა-აჰ!

უცებ დამხდურთა ყველა ზარბაზნებმა ერთხმად დაიჭირეს და დაიღრიალეს. წამოსული თამამი გველაშაპი მყისვე ბოლის, ქვიშისა და მტერის კორიანტელში გაეხეია, ოდნავ აირია, აიკლაქნა და შეფერხდა; მერე მან დახოცილ-დაჭრილებს გადმოალავა, ბოლისა და მტერის ბურუსიდან გამოვარდა და ისევ წამოვიდა.

ყოველ ნაირი ჯურის ზარბაზნების, მიტრალეზებისა და რამდენიმე ათასი თოფის გრიალი, კაკანი და ჭახა-ჭუხი ერთ განუწყვეტელ ქუხილად და ჭექად გადაიქცა.

ზეცა გასკდა და დედამიშას საშინელ მეხად დაეცა.

უცებ ის გველაშაპი ბექობზე გრიგალივით ამოვარდა და კბილებით თხრილებსა და საფრებს დასწევდა.

— დაჟა!... მიდი!.. ასჩეხე!..

— ალლაპ ილ ალლა-ა-აპ!

— დაუშინეთ!.. ესროლეთ!.. გასტენეთ!..

ყველანი და ყველაფერი ერთმანეთში აირივნენ: ზარბაზანი და თოფი, ხმალი და ხიშტი, ცხენოსანი და ქვეითი, მტერი და მეგობარი.

— დავილუპეთ!.. დავმარცხდით!.. თავს უშველეთ!—პბოდავდა დარეტიანებული კვაჭი და თან უგზო-უკვლოდ დარბოდა და თაგვის სოროს ეძებდა, მაგრამ ცხენი არსად სჩანდა და არც გზა იცოდა. ხან ბუჩქს ამოეფარებოდა, ხან თხრილში ჩავარდებოდა და ხან კიდევ უნებურად მებრძოლთა ჯგუფში შეერეოდა.

— თავადო კვაჭანტირაძე!—ჩაჰყვირა ყურში გაქვავებულ და დამბლა დაცემულ კვაჭის გენერალმა: — ეს ბრძანება ქეეთ ჩიტიანეთ და აგერ იმ ღელეში ჩამალულ შტაბს გადაეცით, ხომ ჰედავთ იმ გორაკს, დემირ-თეფე ჰქვიან. გადაეცით სიტყვიერადაც, რომ ის გორაკი ბრძოლის გასაღებია. თუ მტერს ის გორა დაუამეს, ერთი კაცი ველარ გავა ამ ჯოჯოხეთიდან. ყველანი ტყვედ ჩაუვარდებით ოსმალებს. ტელეფონი გაწყვეტილია. აბა, ჯარის ბედი თქვენს ხელშია. აბა, ჩქარი! მშვიდობით!

კვაჭიმ თავისს მხლებლებს ძლიეს მიაგნო, ცხენებს მოასხლნენ და გამოჰქონდნენ. შორიდან გზაზე ცხენოსანთა საეჭვო რაზმი შეამჩნიეს.

— გზა მოგვიქრეს!.. ოსმალები არიან... მარჯვნივ!

და ცხენები მოატრიალეს. ხევში საექიმო რაზმს წააწყდნენ. თეთრებში გახვეული და დამკლავებული ექიმები—ყორანაშვილი და სხვებიც ხერხებით და დანებით დაჭრილებს გულმოლგინედ სკრიდნენ და ჰერხხავდნენ. იქაურობა სისხლით იყო მორწყული. იქვე ეყარ-

ნენ მოჭრილი ხელები და ფეხები, დაჭრილნი და დასახიჩრებულნი, ზოგნი შეკრულნი და ზოგნი შეუკვრელნი.

კვაჭიმ რომ ესოდენი სისხლი დაწინახა, თავბრუ დაესხა, თვალთ დაუბნელდა, გული შეულონდა. ერთმა მხლებელმა იღლიაში მკლავი შეაშველა და იმ ჯოჯოხეთს მოაშორა.

კვაჭი მოსულიერდა. კვლავ ცხენს მოახტა და გაპქუსლა. უგზოუკვლოდ მიპქროდა კვაჭი და უქნიდან მას ბრძოლის ქუხილი მის-დევდა.

გაქანებულმა ცხენმა ერთ წვეტიან კლდეს მოუხვია და უცებოსმალთა რაზმის შუა გულში შეეარდა. მოულოდნელმა თავდასხმამ ოსმალნი დააფრთხო და დაპთანტა, მაგრამ მარჯვნივ სალი კლდე იყო აყუდებული, მარცხნივ კი უძირო ხევი იყო ჩაჭრილი. დაფეთებული ოსმალები კლდეს აეკვრნენ, კვაჭის გზა გაუხსნეს და თოფები მოიმარჯვეს.

— წინ წევიდე — დევილუპე, უკან დევიხიო — მაინც დევილუპე! — ელვის სისწრაფით გაითიქრა კვაჭიმ და უმაღლ ცხენის საღავეს ისე მძლავრად მოსწია, რომ ცხენმა უკანა ფეხებით ჩაიკეცა.

კვაჭიმ იმავ წამს ნაგანი იძრო და უკან მოიხედა. მისმა მხლებლებმეც იმავ დროს კლდის წვერს შემოუხვიეს.

— შესდექით! — დასჭყივლა მგრგვინავის ხმით კვაჭიმ თავისს მხლებლებს: — პირველი ესკადრონი კლდის უკან გააჩერეთ, მეორემ ამ კლდეს ზევიდან თუაროს და უმაღლ გადაების მესამე ესკადრონს, რომელიც წინ არის ჩასაფრებული. აბა, მარდად! სწრაფად! — და იმავ წუთს ოსმალო აფიცერს ფრანგულად უთხრა:

— ბატორო კაპიტანო! თქენებს მამაცობას და სისხლის დაღვრას რომ მცირეოდენი აზრი მაინც ჰქონდეს, დამორჩილებას არ გირჩევდით, მაგრამ... ხომ ჰქედავთ, ხაფანგში გაებით. აქედან ერთი კაციც ვერ გავა ცოცხალი. აბა, დაპყარეთ იარალი!

კაპიტანმა უპასუხა:

— ვხედავ, რომ ხაფანგში გავები. სამ ესკადრონთან რას გავხდები? ისე ჩაგვისაფრდით, რომ არც კი ვიცით, ვის ვესროლოთ. აი, ჩემი იარალი.

და თვისი იარალი გზაზე დაპყარა. სხვებმაც ტყაპა-ტყუპით დაპყარეს თოფები.

— იარალი ერთ ალაგას დააგროვეთ! — უბრძანა კვაჭიმ ოსმალო კაპიტანს. მან ეს ბრძანება თავისს ასკერებს გადასცა. ხუთი წუთის შემდეგ ასიოდე თოფი შუა გზაზე ეწყო.

— გაბო, წამეიყვა ეგ ორი რუსი და გაუძეხით ამათ. ლადო, მე და შენ უკნიდან მიყვეთ.

ას ასკერს სამი კაცი წინ გაუძღვა და ორი უკნიდან გაჰყვა.

— აბა, კაპიტანო, დასაძრით თქვენი ჯარი!

— ეხლავე, მაგრამ თქვენი ჯარი... თქვენი ესკადრონები სადღა არიან?

— ესკადრონები რომ მყოლოდა, მარტო თქვენ კი არა, თქვენს კორპუსსაც ტყვედ ჩაეგდებდი.

ოსმალებმა თავში ხელები წაიშინეს, თანაც მწარედ ბურტყუნებდნენ:

— ჰაი, ქოფა ოლლი!.. შაითან!.. შაითან კაპიტან!

კვაჭი და კაპიტანი იცინოდნენ, ერთი—გულიანად და მოლხენით, ხოლო მეორე—ცრემლით და ბალლამით.

კვაჭის რაზმი უცებ სალდათების დიდს ჯგუფს შეეფეთა. ქუდ მოგლეჯილნი და დაფეთებულნი მორბოდნენ და გაპკიოდნენ:

— მოგვიარეს!.. გზა მოგვიჭრეს!.. თავს უშველეთ!.. გაიქეცით!

იმ ჯგუფიდან თავშეხვეული, გაფიტრებული უცნობი გენერალი გამოლასლასდა და კვაჭის წარუდგა.

— კაპიტანო, მიშველეთ! აგერ ის გორაკი ოსმალებმა აიღეს... ჩვენი შტაბიც დაატყვევეს და თითქმის ყველა აფიცრები გავვიყლი-ტეს... მარტო მე დავარჩი... თუ ის გორაკი ეხლავე არ დავიბრუნეთ, მთელი ჯარი ტყვედ ჩაუვარდება ოსმალებს... თქვენი იმედი ლა გვაქვს... გაიხსენეთ ჩვენი სამშობლო... მეფე... მოვალეობა... სკა-დეთ... გვიშველეთ... გვიშველეთ!... — და დაჭრილმა გენერალმა შტვერში ჩაიკეცა.

რა მოხდა იმ წუთში კვაჭის გულში? რომელი ეშმაკი ჩაუჯდა? ვინ, ან როგორ გარდაპქმნა ისე ანაზღეულად, - ვერასოდეს ვერავინ გაიგო: ვერც თვითონ კვაჭიმ და ვერც უცხომ.

— შესდევქით! შესდევქით მეთქი, თქვე ჰარამხადებო!

დასჭყივლა კვაჭიმ იმ ფარას და გამოქცეულებს გზა უყელა, ცხენი ზედ მიაგდო.

— მოგვიარეს! თავს უშველეთ!

— შესდევქით მეთქი, თორემ...

და მოწინავეს გულზე რევოლვერი მიაბჯინა.

მხლებლებმა ტყვე ოსმალები უმალ სხვებს გადასცეს. გახელებულ კვაჭის გვერდით ამოუდგნენ და იარაღი იშიშვლეს.

გაუგებარი და უცნაური რამ მოხდა. იმ წუთს კვაჭის სიცოცხლე და ხასიათი გადიზნიქა, მოილუნა, გატყდა და ამ ქვეყანას

უცხო რამ სასწაული მოევლინა. წინანდელი კვაჭი მოკვდა და გაჰქირა და იმავ წუთს მეორე კვაჭი იშვა — უცნობი და ახალი, თამამი და უდრევი, გულადი და შეუპოვარი, ვითარცა ლეონიდე თერმოპილელი, ან ალექსანდრე მაკედონელი, ან ერეკლე კახელი, ან ნაპოლეონ არკოლელი.

კვაჭის უცხო არწივის ფრთები გამოესხა, იმ ფრთების ქვეშ მიქელ გაბრიელი შეუჯდა, ხოლო თვისი ცეცხლის მახვილი კვაჭის ხელში ჩაუდო; საგულეს ლომის გული ჩაუგარდა, სულში ჯოჯოხეთის მთავარ-ეშმაკი ჩაუძვრა და თან ათასი ჭინჯა ჩაიყოლა. ისედაც მაღალი კვაჭი უცხო კიდევ თრის მტკაველით აიშოტა და ასვეტდა. დამფრთხალი ცხვრის ფარა ცეცხლის თვალებით დასწვა და ქუხილით დააყრუა:

— შესდევექით! მოგროვდით!

ასიოდე გონება და არარგული ისევ გარბოდა. კვაჭიმ იმ მინდორს არწივივით ჩიმოუქროლა და შვიდი კაცი შვიდი ტყვიით მიაწვინა. მერე ცხენზე არხეინად გაიჭიმა, დანარჩენებს ლიმილით გადამტკედა და ღეთიურის ცეცხლით დასწვა:

— ქმებო! ჯარის ბედი თქვენს ხელშია. გზა მოქრილი გვაქს. ყველანი ტყვეობაში ჩაელპებით და სირცხვილით თვალში თვალს ველარავის გავუსწორებთ. ქმებო! რამოდენიმე ათასი თქვენი ამხანგი, მეფე და სამშობლო თქვენ შემოგცერიან და თქვენგან თხოულობენ ქმურს, ამხანაგურსა და მამულიშვილურ ვალის მოხდას. ჩვენში ლაჩარი არავინ არის. ვინც გილალატებთ და გამოიქცევა, აგრე იმ ძალების ბედს წააშედება. მე წინ გავიძლვებით, თქვენ კი ნუ ჩამომრჩებით. წავიდეთ და მოვიხადოთ ჩვენი ვალი!

— წავიდეთ! გავიძეხი! წაგვიყვანე! — იგრიალა ორმა ათასმა ნაცადმა და დაგეშილმა ვაექაცხა.

— უნტერ-აფიცერნო, წინ წამოდექით! ამ წუთიდან თქვენ აფიცერები ხართ. დააწყეთ და გაშალეთ თქვენი რაზმები!

ნახევარ საათის შემდეგ ორი ათასეული ოთხ ათასეულად გადიქცა და სამ რიგად გაიშალა.

— მობრუნდით!.. მომყევით!..

და ნელის, დიხვის ნაბიჯით იმ გორაკისკენ გასწია.

— მწყობრად! მარდად! ერთად!

ალადი ჩიკინჯილაძე მარცხნა ფრთას მიუძლოდა, გაბო ჩხუბიშვილი მარჯვენას. სამივექ უკან რკინის მოძრავი კედელი, მოუხეშავი, უდრევი და უშიშარი ოთხ ათასიანი ხიშტის ტყე მისღვედა.

ყველანი წელში მოხრილიყვნენ და ყველას მარცხენა მხარი და ხიშტი წინ წერდა.

— მწყობრად! მარდად! ერთად!

იმ გორაზე ჯერ ჩოქოლი ასტყდა, მერე კი ტყვია სეტყვასავთ წამოვიდა, რეინის კედელს ქვის აგურები სცვიოდა. მაინც არავინ შესდგა, არავინ ჩამორჩა, არავინ ერთი თოფიც არ დასცალა.

სიჩურებ და გააფირებულმა სიარულმა მტერს თავზარი დასცეს და ძარღვები აუბურძნეს. გაფირებული ოსმალები ჩურჩულებდნენ:

— შეითან გელიერ!.. შეითან გელიერ!.. ალლაპ ილ ალლაპ!.. — და მთრთოლვარე ხელებით თოფებს ჰაერს ესროდნენ.

წელში, გასწორებული, მაღალი და აშოტილი კვაჭი რეინის კედელს ისევ წინ მიუძოოდა. ზოგჯერ უკან მოიხედავდა, ცეცხლის თვალით იმ კედელს ერთხელ კიდევ შეახურებდა, მერე ხმალს აიქნევდა და ერთხელ-ორჯერ დასხახებდა:

— მწყობრად! მომყევით!

და რეინის კედელი გორაქს უსიტყვოდ მიაღვა, დათვივით ზედ აფოფხდა, მიაწვა და ოსმალთა თავზე გადაინგრა.

— მიდი! დაპატი! ასჩეხე! — ჰყეირის ლვთიურის სიგიჟით გაგრებული კვაჭი და ბრძოლის ცეცხლის შუაგულში სტრიალეს.

მისი ხმალი ელვასავით ლაპლაპებს და მისი ცეცხლიანი თვალები ყველას ზევიდან დასცექრიან.

ხანმოკლე და მძაფრი ბრძოლა დატრიალდა. იბრძოიან ხმლით, ხიშტით, ხანჯლით, რევოლვერის ტარებით, თოფის კონდახებით, ხელებით, ფეხებით და ქბილებით.

— ასსირამ! ასსირამ! (გნებდებით) — უკვე მოისმის აქეთ-იქიდან ოსმალ ასკერთა ხმა.

— ვაჯობეთ!.. გავიმარჯვეთ!.. დაპატი!.. მიდით!... — ჰქუს კვაჭი.

და ერთ ოსმალოს მელავი მოსწყვიტა, მეორე კისრის ძარღვები დაუწყვიტა, მესამეს მექრდი გაუბი, მეოთხეს ყური აასხიპა და მეხუთეს, ახოვან არაბს ხმლის წვერი შუბლში გაუსწორა, მაგრამ...

კვაჭის თვალებში ცეცხლმა გაუელვა, ყურებში ზარმა ჩამოკკრა და გონება ზაქმა ნისლმა დაუბურა: მარცხენა ხელი უცებ მკერდზე მიიღო, მარჯვენა ხელი განხე გაიქნია, ხმალი პრიალ-ზრიალით შორს გასტყორცნა და მოჭრილ ბოძივით გულაღმა მიწაზე გაიშოტა.

აქა ერთ უცნაურ ბოდგის ამბავი.

უბატრონო კვაჭი კვაჭანტირაძე ტრიალ მინდორზე გულალმა ჰედია. ირგვლივ მხოლოდ ყვითელი ქვიშა მოსჩანს; უდაბნოს ალ-მური ასდის.

ჰერი გახურებულ ბუღით არის გაეღლენთილი.

ჰედია მარტოდ-მარტო კვაჭი ცხელ ქვიშაზე და სიცხით და უწყლობით იხჩება; სისხლიან მკერდზე შავი ყორანი აზის. იგი ყორანი სადგისის ნისკარტით კვაჭის ჭრილობას უქორტნის, წინდის ჩხირების ფრჩხალებით შიგნეულობას უწიწკნის და გულ-ლვიძლს უქექავს; ზოგჯერ იმ ნისკარტს ყორანი კვაჭის თვალებში ჩაჰერავს, მერე არხეინად ისცენებს და იმ უდაბნოს ამაყად გადასცერის.

შორი-ახლოს აბურძენილი, პირშავი და საზარელი მგელ-ქაცა ატუზულა. იგი ბინდს ელის; მან იცის, რომ ლამით კვაჭი მისი კერძი გახდება და რიერაეზე იმ ქვიშარზე კვაჭის ნაცვლად მხოლოდ გამოხრილი ძვლები ღა დარჩება.

ციდან ოქროს ჯაჭვი ჩამოეშვა; იმ ჯაჭვზე ერთი ჭინკა ჩამოცოცდა და ბროლის დოქით წითელი ღვინო ჩამოიტანა. ჰეკიდია ის მასხარა იმ ჯაჭვზე და კვაჭის ზევიდან წითელ ღვინოს ასხამს; ღვინო კვაჭის პირის გარშემო ისხმება; კვაჭი შოშიასავით პირს იღებს და სცდილობს ღვინის ერთი წვეთი მაინც ჩაიგდოს ყელში, მაგრამ დადუნებული ხელ-ფეხი ვერ გაუქნევია და ცეცხლ-მოყიდებული თავი ადგილიდან ვერ დაუძრავს. ჭინკა დიდხანს აწიმებს კვაჭის; მასხრობს და იცინის, იქრიჭება და იპრანქება და უცებისევ იმ ჯაჭვით ცაში აცოცდება.

უცებ ის უდაბნო უცნაურად გამოცოცხლდა. კვაჭი ნათლად ჰედედავს პარიზის ბულვარებს, ხეივნებს, ბალებს, ყავახანებს, მოედნებსა და ნაცნობ-უცნობ ხალხს.

მთერალი გრიშეა გულ-გალელილ ელენეს კუნტრუშით მიაჩენინებს;

ფარშევანგივით მიგოგავს ლედი ჰარვეი;

მაღამ ლაპოში იქოურობას სწვავს ნაკვერცხლიან თვალებით;

მოხდენილ რხევით მისცურავს ცისთვალა რებეკკა;

არხეინად, ლალად, სიცილით და ბედნიერის ლიმილით მიდიან ტანია, სუსანა, ისაკა, ვერა, სედრაკა, ბესო, ლადი, ჭიპი და კვაჭის ათასი ნაცნობი ქალ-ვაენი.

კვაჭისკენ არავინ იხედება და კვაჭის არავინ ამჩნევს.

პირშავი მგელქაცა ისევ ბინდს ელის; შავი ყორანი კვაჭის ისევ გულს უკორტნის და იმისს თვალებსაც ეტანება.

— წყალი! წყალი! — ჰყვირის გულში კვაჭი, მაგრამ მისი ხმა არავის ესმის.

კვაჭი უარესად იჭიმება, ძალას იკრებს და დაყვირებას ჰლა-მობს, მაგრამ ხმა ვერ ამოულია და ერთი კუნთიც ვერ გაუნდრევია.

ქალაქი გაჰქირდა და ხალხიც მიიმალა. შავი ყორანი ისევ სჩა-ვის და პირშავი მგელქაცა ისევ ბინდს ელის.

უცებ კვაჭის ყორანაშვილი წაადგა, უცნაურად გამოწყობილი, შეილდ-ისრით შეიარაღებული და აბჯარ-მუზარადში ჩამჯდარი.

— კვაჭი, წამოდი!

ორივენი ფრთოსან მერნებს მოასხლნენ და გაპფრინდნენ.

შავი ყორანი უკან დაედევნა და მგელქაცაც მიწაზე მოჰკროდა.

— მირბის, მიგვაფრენს უგზო-უკვლოდ ჩვენი მერანი, უკან მოგვეხავის თვალებდითი ჩვენი ყორანი! — მლერის ყორანაშვილი. მე-რე კვაჭის ეუბნება:

— ააა, ჯულამერკის მწვერვალი... აი, გიავარის ქედი... რავან-დუზა... ხანიკინი... სამარა...

ირგვლივ ჯარები დაფუსფუსებენ. დახოცილნი გულაღმა ჰყრიან. გვამებს ყორნები ჰყორტნიან და ნადირები სჭამენ. ბევრნი იცნეს კვაჭიმ და ყორანაშვილმა ცოცხლებსა და დახოცილებში.

— ძმებო, აქ რას ეძებთ? ამ სიშორეზე რამ მოგიყვანათ?

— არ ვიცით. ბედს მივდევთ, ბედს ვეძებთ.

ირანშიც იცნეს ცოცხალნი და მკვდარნი, პაპათა პაპები და წინაპარნი.

— ძმებო, თქვენი სამშობლო ამ უდაბნოზე რად გასცვალეთ?

— საშუალომ გავაცვლევინა.

ავლანისტანში გერათისა და ყანდალარის ზღუდენი მორღვეულნი იყვნენ. ჰინდუუშის კალთებიც მშობლიურ სისხლით იყო მორწყული. ოთარ ჩოლოყაშვილი და მრავალნი წინაპარნი საფლავებიდან აღსდგნენ.

— ძმებო, ვინ მორწყო შუა აზია თქვენი სისხლით?

— ბედმა. ნადირ-შაპს გამოვევით. გერათისა და ყანდალარის გალავანზე პირველნი ჩვენ აცცვივდით.

გადასჭრეს სოლიმანის ქედი, პენჯაბი, წმინდა განგი და მიადგნენ ინდოეთის დედა-ქალაქს დელი-შახჯანაბადს. უველგან ნათე-სავების სულები და ჩონჩხები მრავლად უხვდებოდნენ, მათთან ერ-

თად მიპქროდნენ, მათს მერნებს ძვლის თითებით ებლაუჭებოდნენ და ივედრებოდნენ:

— წაგვიყვანეთ!.. დაგვაბრუნეთ!.. შეგვიერთეთ!..

— ვინ მოგიყვანათ ამ სიშორეზე?

წინ პატარა კახი წამოიჭრა:

— ზოგი მე მოვიყვანე, ზოგიც სხვებმა მოიყვანეს.

— რას ეძებდით? ვის მოსდევდით?

— ბედს მოვდევდით. ზოგნი სახელსა და ულუფას ვეძებდით, ზოგნიც სხვის ძალამ წამოიყვანა.

დაპქრიან კვაჭი და ყორანაშეიღლი არაბეთს, ეგვიპტეს, ასურეთს, ბაბილონს და ძველსა და ახალ ქვეყნებში. ყველგან შეკვდრეთით სდგებიან უთვალავნი მოსოხები და ტიბარენები, მაკრონები და მოსინეები, ნაირები და კოლხიდელები, მამელიუკები და იანიჩარები, მახლობელთა და ნათესავთა სულები და ჩონჩხები; სდგებიან და უივილ-ხივილით, კვნესით და გმინვით, ხვეწნით და მუდარით მოსდევენ უკან, ვითარცა ასი ათას სკიდან ერთად გამოსული ფუტეარი.

ჩონჩხების უთავბოლო ზღვაში სირბილმა და უივილ-ხივილმა კვაჭი დაპქანცა და დააყრუა. ბოლოს, გაწამებულმა კვაჭიმ ყორანა-შეიღლს შეპბლავლა:

— რა გინდა ჩემგან? რად დამათრევ ამ ჯოჯოხეთში? გამიყვანე აქედან! მაქმარე ეს წამება!

ყორანაშეიღლი კვაჭის ეკითხება:

— კვაჭი, შენ რაღა გინდოდა შორეულ ოსმალეთში? ვინ მოგიყვანა? რას ეძებდი?

— ღმერთმა ნუ იცის ჩემი თავი და ტანი, აი მინდოდა! წყალი, წყალი მომეცით! ერთი წვეთი მაინც, თუნდ ერთი წვეთი მაინც მომეცით!

ციდინ ჯაჭვით ისევ ჭინკა ჩამოცოცდა და კვაჭის პირთან ერთი დოქი ლვინო დაპლვარა, მაგრამ კვაჭის ენას ერთი წვეთიც არ მოხვდა.

კვლავ ყველაფერი გაპქრა.

კვაჭი სამოთხის ბაღში წევს. შუბლზე ისევ ყორანი აზის, ფეხებთან კვლავ მგელ-ჯცა გაწოლილა.

კვაჭის თითქოს ყველაფერი ეცნობა: მშობლიური ცა, მთები, მინდვრები, ვენახები და შენობები. ირგვლივ თითქოს სამტრედიაც მოსჩანს, ბათომიც, ქუთაისიც და ტფილისიც.

მოშორებით აუარებელი ხალხი სტრიალებს: კვაჭის მშობლები და მეგობრები, ნაცნობები და ნათესავები — გრიშკა და ტანია, ელენე და გინკუ, წარჩინებულნი და დიდებულნი, სალოსნი და ღვთის ცოდვილნი, უბრალონი და კარის კაცნი. ყველანი კვაჭისკენ იშვერენ თითებს და ფუსტუსებენ.

— დამარხეთ! კუბოში ჩასდეთ! მიწაში ჩაუშვით! — ჰყვირიან ზოგნი და კვაჭის მშობლებს, ნათე ავებსა და მეგობრებს კვაჭისკენ ერეკებიან.

მეორენი იმ სალოსებს უძალიანდებიან, ტირილით ეხვეწებიან და შებრალებას სთხოვენ. ბრძოლა დიდხანს გრძელდება. ბოლოს, მეფე-დედოფალიც გამოჩნდნენ და ბრძანეს:

— დამარხეთ!

ყველანი დაიძრნენ და კვაჭისკენ გამოიქცნენ, — ზოგნი გამარჯვების კიეინით და ზოგნიც ვაებით და მოთქმით. მეფე-დედოფალმა, დიდებულებმა, წარჩინებულებმა და უმაღლესმა სამღვდელოებამ კვაჭის ანდერძი აუგეს. მერე გრიშკამ, მიტიამ, სალოსებმა, ღვთის ცოდვილებმა, გონჯებმა და მახინჯებმა კვაჭის გარშემო გიური ფერხული ჩააბეს. ყველანი დახტოდნენ და დაგორავდნენ, იგრიხებოდნენ და იკრიქებოდნენ, პბოდავდნენ და იფურთხებოდნენ. თავ გაპკიოდნენ:

— სამოთხეში წავიყვანოთ, სამოთხეში!

— არ მინდა სამოთხე, არ მინდა! — ჰყივის კვაჭი, მაგრამ მისი ხმა არავის ესმის.

მერე საშინელი ღრიანცელი ასტყდა. ყველანი უცებ კვაჭის მისცვივდნენ და დიდ კუბოში ჩააშვინეს.

— დედა! მამა! თქვენ რაღა გემართებათ?.. ცოცხალი ვარ, ცოცხალი ვარ! ბესო! სედრაქ! მიშველეთ! მიშველეთ!

ზოგნი სტირიან და ზოგნი იხარიან; უკანანი მოწინავეთ ძალას ატანენ და ჰყვირიან:

— სამოთხეში მიღის კვაჭიკო, სამოთხეში!

— დედა!.. მამა! — იხვეწება კვაჭი: — თუ ვერ მიშველით, განზე მაინც გასდევით... თქვენი შვილის ცოდვაში მაინც ნუ ჩასდგებით.

პუპი სტირის და ეჩურჩულება:

— იფერი გიშავს, შვილო, აფერი... ასთე უკეთესი იქნება, დამიჯვერე მე...

ყორანი ისევ თავზე დააჯდა, მგელ-კაცა ისევ მუხლებზე დააწვა. შავი გველი კუბოში ჩაცურდა და კვაჭის ყელზე შემოეხვია. კუბოს თავი დაადგეს და ლურსმებით დასჭედეს. ერთი ლურსმანი

კვაჭის შუბლში ჩაერკო და კეფასთან გავიდა. სულშეხუთული კვაჭი უძირო საფლავში ჩაუშვეს, თან გამარჯვების კიეინა და სიხარულის ურიამული მიაყოლეს და მერე მიწის რახა-რუხი ასტეხეს. ხმაურობა თანდათან მინელდა და მისწყდა.

კვაჭი შავს მიწაში წევს. საკუთარი სუნთქვა ესმის. ყორანი თვალებს უჩიჩქნის, გველი სასაში უძვრება, მგელ-კაცა გულ-მქედრს ულრნის და სველი ჭიები იარებში ჰუსტუსებენ. წევს კვაჭი შავ მიწაში და ულვთოდ იხრაკება, იხჩება, იწვის და იდაგება; წევს და ჰერიქრობს:

— ამ, მაი ტყვილა გიქნიათ... არ მოვკედები, რადგან არც მინდა სიკვდილი და არც ბედის წიგნში მიწერია. ვაი თქვენ! — და ერთხელ კიდევ წამოიწია.

უცებ ასი დევის ღრნე მიეცა. გაიჭიმა და აიწია. უზარმაზარ კლდით დაქოლილი კვაჭის საფლავი თივის ბულულივით აიშალა და აიწეწა. კვაჭი წამოვარდა, გასწორდა და სიმაღლით მთებს. ასცდა.

იმის ფეხქვეშ ჯიანჭველის ოდენა მესაფლავებს უთავბოლო სუფრა გაეშალნათ და ქელეხად დამსხდარიყვნენ.

ასტყდა კივილი, წივილი და წრიპინი. კვაჭიმ სუფრის თავს ფეხი დაადგა და გრიშკა, მიტია კოლიაბა, სალოსნი და ასიოდე წარჩინებულნი ჭიებივით დასჭყლიტა.

იგავ წამს მელავებსა და ფეხებში რაღაც უხილავი ძალა წასწვდა.

— გამიშვით! გამიშვით! — ჰყვირის, ჰბორგავს და იშევს თვალებ-გახილული კვაჭი.

— დამშვიდლით, კვაჭი, დამშვიდლით! — ტკბილის ხმით ეუბნება ექიმი ყორანაშვილი.

სანიტარები კვაჭის მელავებსა და ფეხებში მაგრად დასჭიდებიან.

— მომელეს!.. დამხარხეს! მაგრამ გავუოცხლდი!.. წამოვდექი!.. დავამტერიე!.. დავლეწე!.. დავანგრიე! — კიდევ ჰბოდავს კვაჭი.

ყორანი ფანჯარაში გატრინდა, კუდამოძუებული მგელ-კაცა კარებში გაიძურწა და შავი გველი კედლის ხერელში შეძრა. ოფლში გაწურული და ღონე მიხდილი კვაჭი ბალიშე მიესვენა და მიბლეტილი თვალები იქაურობას მოავლო.

— წყალი... თუ ღმერთი გწამთ, წყალი...

ექიმმა ყორანაშვილმა კვაჭის პირში ერთი ყლუპი ლვინო ჩაუსხა და მტკიცე ხმით სთქვა:

— მორჩება! — და პალატიდან გავიდა.

კვაჭის თავთან სდგას მხოლოდ ერთი თეთრი ანგელოზი, ერთი სეფერული, სათნოების დის ტანსაცმელში გამოწყობილი; თეთრ მეტრდზე წითელი ჯვარი აქვს აკრული; სდგას და კვაჭის ოფლიან შუბლსა და ხუჭუჭა თმაზე ნაზად ფაფუკ ხელით უალერსებს, სირინოზის ხმით რაინდულ სიმღერას უმღერის და ვაჟკაცურ ზლაპრებს დასჩურჩულებს.

აქა ამბავი კვაჭის და ზემოურთა წაკიდებისა.

გაფითრებული და გაკაპასებული სუხომლინოვი დორბლსა ჰყრის:

— ეს რა ამბავია, თავადო?! თქვენი ყუმბარების იმედით ახალი დიდი ბრძოლა დავიწყეთ. ყუმბარები სხვა ყალიბისა გამოდგა. ზარბაზნები დასკდა... ბრძოლა წავაგეთ... უთვალავი ხალხი გაიყლიტა. ყუმბარები აღარა გვაქვს. ეხლა უკან ვიწევთ და არ ვიცით, სად, როგორ და რით შევაჩერებთ მტერს. გეკითხებით, ეს რა ამბავია მეტე?

— არ ვიცი, არტილერიისა არაფერი მესმის,— გულმშვიდად უპასუხებს კვაჭი და მკერდზე ჩამოკიდულ წმინდა გიორგის სამს ჯვარს ათამაშებს.

— ლალატის სუნი მომდის. დაგაპატიმრებთ! დაგხვრეტავთ!

კვაჭი გაიკიმა და აიმრიზა:

— გენერალო, ფრთხილად!

კვაჭის და გენერალს შუაში გრიშკა ჩაუდგა და ორივენი დაამშვიდა. კვაჭიმ გენერალს ცხვირ წინ თითო დაუქნია:

— თქვენ რომ მეფის მინისტრი არ ყოფილიყავთ, უკანვე ჩაგჩრიდით მაგ სიტყვებს. როცა მინისტრობიდან დაგითხოვთ, გირჩევთ მომერიდოთ, თორემ დაგცხრილავთ!

და გამწარებულმა კვაჭიმ ისე მიაჯახა კარები, რომ ფანჯრებს კინალამ მინები ჩამოსცვიდა.

საქმე გართულდა და გაიხლართა. სამხედრო პროკურორმა კვაჭი დაიბარა და დაპყითხა.

რაო? კვაჭიმ საბუთები გაჰყიდა? გერმანელებს გადასცა? სად? სტოკჰოლმში? რასა პროშავენ, რა კორებს იგონებენ?! სტოკჰოლმში კვაჭის არავინ უნახავს, არავის შეპხვედრია. ჰა, ჰა, სასაცილოა, მეტი არაფერი! რაო, კვაჭი ნუ ხუმრობს და ნუ იცინის? კვაჭი კი არა, ალბათ ბატონი პროკურორი ხუმრობს! არა, ასეთი საბუთებით კვაჭის დალუვეა ვერ მოხერხდება!

პროკურორმა ოქმი შეადგინა და უთხრა:

— ვისაც ასეთი დიდი ბრალი ედება, უნდა საპატიმროში იჯდეს, მაგრამ ჩვენი წმინდა მამა გრიგოლის ხატრით, თხოვნით და თავდებით ჯერ-ჯერობით თავისუფალი ბრძანდებით. ხელი მოაწერეთ ამ ვალდებულებას, რომ ჰეტერობრუნვიდან არ გახვალთ.

კვაჭი მაშინვე გრიშკასთან გაიქცა.

— წმინდათ მასწავლებელო, ეს რა ამბავია? როგორც ეტყობა, არ ხუმრობენ. მიშველეთ რამე, თორემ ჯერ მე დამღუპავენ ჩვენი საქრთვო მტრები და მერე თქვენი ჯერიც მოვა.

გრიშკა აწურუნდა.

— ყური მიგდე, აპოლონჩიქ! შენ ჩემი ნაფიცი ძმა ხარ. არა-
ფერს მოვერიდე, ყველაფერი შეგისრულე. გიშოვნე სიმდიდრე, თა-
ვადობა, მუნდირი, ჯვრები, კარის კაცობა, პატივი და ხელისუფლება.
დრო გამოიცვალა. მე ძალა აღიარა მაქვს. ჩვენი მტრები იმარჯვე-
ბენ. მთელ ქვეყანას პირზე შენი სახელი აკერია, ყველანი შენს
დახურეტას თხოულობენ, რადგან ჩვენი უკანასკნელი დამარცხების
ბრალი შენ ვედება. მე არ ვიცი, ვინ არის მართალი და ვინ სტუის.
მაგას სამართალი გამოარკვევს. რამდენიც შევძლი, გიშველე. სანამ
ახალ საბუთებს არ იშორიან, არ დაგაპატიმრებენ. ქვეყანას მოე-
რიდე, ნურსად დადიხარ, გაჩუმდი და ცოტა ხანი ჩრდილში იცხოვ-
რე. ი, ჩემი რჩევა. მეტს ნურაფერს მომთხოვ.

კვაჭი მართლა სახლში ჩაიკეტა. ლადის დაგეშილმა ცხვირმა და
ხელმა ინფორმაციის საქმე ბრწყინვალედ მოაწყეს. ყოველ დღე ათი-
ოდე მხრიდან უტყუარი ამბები მოსდიოდა. ყოველ შემთხვევისათვის
„კეთილი სამარიტელი“ და მრავალი უძრავ-მოძრავი ქონება გინცს
მიჰყიდა და ნაღდი სილიბისტროსთან შეინახა, რომელიც ისევ პე-
ტერბურგში სცხოვრობდა.

რამდენიმე გაზეთმა კვაჭის ოღნავ გაპკრეს და მისი სახელი უდიერად მოიხსენებს. კვაჭიმ თავისს გაზეთებს შესაფერი პასუხი გაუგზავნა. სამიოდე გაზეთმა შენიშვნებით და შემოკლებით დაბეჭდეს, დანარჩენებმა უარი შემოუთვალის.

— კუდად ყოფილა საქმე.—გაიტიქრა კვაჭიშ.

იმავე დროს ბესომ, ლადიმ და აგენტებმაც სანუკეშო ვერაფე-
რი მოუტანეს.

— საქმე კარგად ვერ მიღის! — მოკლედ მოუჭრა სიტყვა ძუნწმა ბესომ.

— გეიპარე, — ურჩია ჩიკინჯილაძემ.

— აჲ, მაი არ გარგა. სამაგისოდ საქმე ჯერ არ გამხდარა.— უპასუხა კვაჭიმ და ერთხელ კიდევ სცადა ბედი: დაუარა ნაცნობ მინისტრებს, წარჩინებულებსა და დიდებულებს.

ყველგან მოკლედ მოუჭრეს:

— შინ არ გახლავთ!

ან:

— არ სცალიან..

ან კიდევ:

— ავად ბრძანდება.

გრიშკამაც წინანდელი პასუხი განუმეორა:

— მეტი ატარაფერი შემიძლიან.

ყველანი ჩამოსცილდნენ, ყველამ კარებები მიუკერეს და ხელები დაიბანეს.

— გეიპარე! — კიდევ ურჩიეს ბესომ და ლალიმ.

— აჲ, არასოდეს! — გადასჭრა კვაჭიმ და მუქარიც წამოისროლა: — მალე ენახავ, ვინ ვისთან მივა სახვეწნელად. არ დასცალდებათ კვაჭის დაღუპვა, უმაღ თვითონ დეილუპებიან.

მეორე დღეს ჭიპი ჭიპუნტირაძე ქუდომოვლეჯილი შემოვარდა:

— დევილუპეთ! დევიფსეთ! იდელსონები დეიჭირეს.

— ორივენი?

— ორივენი! ისაკაც და რებეკაც! ჩქარა, თავს უშველეთ! დეიმალეთ! გეიქეცით! ჩქარა!

კვაჭიმ დინჯად და მოკლედ მოსჭრა:

— აწი კი მართლა დრო დადგა.

მერე ეპოლეტები დაიგლიჯა, ჯვრები ჩამოიხსნა, გადაჭყარა და განრისხდა:

— კმარა! კმარა, რაც მე მაგათვან უსამართლობა ენახე! ეხლა ჩემი შურისძიებაც იგემონ. კმარა!

და იმავ დღეს ფრონტი შეიცვალა.

აქა ამბავი გეზის შეცვლისა და კვაჭის წინასწარმეტყველებ სა.

ერთი ხანია, რაც გადაცმული და გრიმ-აკრული კვაჭი სამიოდე ლარიბ ბინას შეეჩინა. ზოგჯერ ის ლარიბინი და საეჭვონი მიურუებულ უბნებში შეპხდებიან კვაჭის და ხანგრძლივ ჩურჩულს გააბამენ ხოლმე.

— ჯარში გაახურე მუშაობა, ჯარში! — დაუინებით მოითხოვს კვაჭი: — დანარჩენები დიდი ხანია მზად არიან.

კვაჭიმ პატიუბას და ნადიმებსაც მოუზშირა. სტუმრად მხოლოდ აფიცირები ჰყავს. უხვად აბნევს ფულს და ჩიქორთულს რასმე ლაპარაკობს. რამდენიმე ხელქვეითი იდიუტანტი აფიცირი ჰყავს. ის აფიცირები კვაჭის ყოველ დღე ანგარიშებს იძლევენ და იმისგან ახალ ახალ დარიგებას და დავალებას ღებულობენ.

კვაჭიმ იდუმალი საქმე გაახურა და დაატრიალა. ბესო, ლადი, ჭიჭი, ჯალილა, სედრიაკა და კვაჭის მრავალი ახალი და ძველი. ნაცნობ-შეგობრები ძილს ველარ ასწრებენ, მთელს ქალაქში დაფუს-ფუსებენ, ყაზარმების გარშემო და განაპირა უბნებში დაძრებიან, საიდუმლო კრებებს ჰმართავენ, იარაღს ჩალის ფასად ჰყიდულობენ და ყოველ მხრივ საბოლოო ბრძოლისთვის ემზადებიან.

— ყველათერი მზად არის და ყველანიც მზად ვართ! — გადასჭრა, ბოლოს, სამხედრო საიდუმლო სინკლიტმა, რომელიც კვაჭის მეთაურობით შესდგა. გეგმაც შეიმუშავეს და დროც დაინიშნეს.

ერთ სალამოს ელენემ კვაჭის ბესოს პირით შეატყობინა:

“ეხლავე მოდი ჩემთან. არ ინანებ. იქნება შენს საქმეს ეშვილოს რამეო.”

ნახევარი საათის შემდეგ კვაჭი ელენესთან ავიდა.

— გთხოვთ გაიცნოთ, — წარუდგინა ელენემ კვაჭის შავწვერა და მელოტი პურიშევიჩი.

კვაჭის გაუკვირდა და გაუხარდა. გაიფიქრა: იქნება მართლა ამან მიშველოსო.

ერთმანეთი გაიცნეს, გაპინჯეს; გასჩერიკეს და ასწონეს. დილამდის ერთმანეთს ალარ მოკშორდნენ. იბაასეს და იჩურჩულეს.

მეორე დღეს პურიშევიჩმა კვაჭი დიდ მთავარს დიმიტრის, თავადს ფელიქს იუსუკოვს, კაპიტანს სუხოტინს და ექიმს ლაზოვერტს გააცნო. ვახშამმა და ჩურჩულმა რიერაუმდე გასტანა. ყველათერზე შეთანხმდნენ, გეგმა შეიმუშავეს, ერთმანეთს ერთგულება შექვიცეს და დაიშალნენ.

კვაჭიმ მაშინვე შეპყარა სინკლიტი:

— გადასდეთ!

და ყველათერი უამბო.

მერე, როცა ყველანი დაიშალნენ, ბესოს და დანარჩენ ამხანაგებს შხამიან ღიმილით უთხრა:

— მონადირე ნადირს დასდევდა, ნადირი მონადირეს თვითონ წააწყდათ. ამ ტუტუცებსაც ასთე ემართებათ. თლა გაგიერდულან აი სულელები! თვითონვე სჭამენ თავიანთ თავს, საკუთარ შენობას

თავზე ინგრევენ და გულმოდგინედ, გაფაციცებით სკრიან ტოტს, რომელზედაც სხედან. თევზი თავიდან აყროლდებაო, აი ანდაზაც თურმე ამ ხალხზე ყოფილა ნათქვამი. ქვეიდან ვაპირებდით ქვეყნის გადატრიალებას; თურმე ამ საქმეს ზემოდ ნაც შესდგომიან. ხა-ხა! მეხვეწებიან: თავი უნდა მევიკლათო და გვიშველეთო. კი, ბატონო, მაგისთანა კეთილ საქმეში ქე გიშველით, უეჭველად გიშველით! ის კი არ იციან გადატრეულებმა, რომე მაგათი ხელით დალვრილი საკუთარი ერთი წვეთი სისხლი მერე წარლვნად გადიქცევა, რომელზიც სხვებზე აღრე თვითონვე დეისტებიან; არ იციან, რომ მათგან აშვებული ნიავი გრიგალად გარდიქმნება და ისთე აღვის მაგათს ხსენებას დედატიწის პირიდან, როგორც შარშან ქარმა თოვლი ააშრო და აღვავა. ხა-ხა! ბესო, განა სასაცილო სასწაული არ არის, რომე შენი მტერი, რომელსაც მოსაკლავად დასდევ, თვითონვე იდებდეს პირში დამბაჩას და შენც დახმარებას გევეწებოდეს?! იქსო ქრისტემ ბრძანა: გაქირვებაში მოყვასსა შენსა დაეხმარეო; ჩემი ადამიანური მოვალეობაც ამას მასწავლის, ანგარიშიც ამას ამბობს და შეგნებაც ამასვე მიკარნახებს. ხა ხა! კი, ბატონებო, კი! დაგეხმარებით ამ საქმეში, ხალისით და სიხარულით დაგეხმარებით!

და სივრცეში ვიღაცას მუქარის თითი დაუქნია და ყორანივით იწინასწარმეტყველა:

— მეიცათ! დამაცადეთ! დრო მოვა, რომე მწარედ, ინანოთ, თავი კედელს მიახალოთ, საკუთარი სისხლი დალიოთ და საკუთარი ხორცი დეიგლიჯოთ, მარა მერე ყოლიფერი თქვენს თავს დააბრალეთ! გვიან-ლა იქნება თითზე ქენანი, კისრის ტეხანი და კბილთა ლრქენანი!

უცებ კვაჭი გასწორდა, გაიჭიმა და ისევ ისე ამაღლდა, როგორც ერთხელ აიშოტა დემირ-თეფეს გორის ძირში, შორეულ ქურთისტანში. ხმა უთროთდა და თვალები უბრწყინავდნენ:

— ამხანაგებო! დეისბომეთ ჩემი სიტყვა, და თუ აღრე დევილუპე, გადაცით მთელს ქვეყანას და ისტორიას, რომ მე, კვაჭი სილიბისტროს ქე კვაჭანტირაძე ათას ცხრას თექვსმეტსა წელსა, ოცდაშვიდ დეკემბერს ვამბობ შემდეგს: ათას ცხრას თოთხმეტ წელს თოთხმეტ ივლისს დღევანდელმა რუსეთმა, მსოფლიო ომის გრიგალში რომ ჩაერია, თვითონ გამეიჭრა ყელი; ეს ერთი. რამდენიმე დღის შემდეგ წარჩინებულთა და დიდებულთა ერთი ჯგუფი მოსკრის რუსეთის დედა-ბოძს, — ეს ორი. ორიოდე თვეში ეს ჯგუფი მხარს მისცემს უქმაყოფილო და საიდუმლო ძალებს და მათთან ერთად ათასი წლით დაგუბებულს უძირო და უსაზღვრო გუბეს პირს მოარ-

ლვევს,—ეს სამი. იგი გუბე მრისხანედ დაიძვრება და ჯერ-ჯერობით დღევანდელ ხელისუფლებას წალევავს,—ეს ოთხი. მერე იგი ჭალას მოიმატებს, ქარს ააყენებს და შხულით და გრიალით ახალ ხელის-უფლებას მოარღვევს და მოვგლეჯს ნახევარ თავს, რომელიც ამ უა-მად გუბეს პირს ურღვევს და საკუთარ ქოხის დედა-ბოძს უჩინიერებს,— ეს ხუთი. მერე მოვა დრო,—საშინელი და მრისხანე, დაუნდობელი და სასტიკი, მკაცრი და შეუპოვარი,—დრო იმ თავის მეორე ნახევ-რის მოწყვეტისა. ეს საზარელი უამი ათი თვის შემდეგ დადგება,— ეს ექვსი. ნიალვარი წარლვნად გადიქცევა, ქარიშხალი—გრიგალად, უცოდველი წმინდანი—გაკაპასებულ მაეცად, ვარდი—ლენცოფად, ანგელოზი—ჯოჯონეთის მაშხალად და უწყინარი აბრეშუმის ჭია— შხამიან, დაუნდობელ გველად. ძმა ძმაზე წავა და მამა—შეილზე. ერთმანეთის სისხლითა და ხორცით ვერ გაძლებიან. ცეცხლის ალი ცას ასწვდება, მდინარენი გაწითლდებიან და მომაკვდავთა გმინეა ქვეყანას დააყრუებს. დაიბადება ახალი ქვეყანა—უცხო და უჩვეული, უცნობი და საოცარი. იმ ქვეყანას შინაურნი და გარეულნი და- ესვიან. ატყდება ომა საშინელი და დაუნდობელი, კაპასი და ბრა- ზიანი, ცოფიანი და შმაგიანი. მთელი რუსეთი სისხლის გუბედ გა- დაქცევა. თეთრი ტალღა წითელ დედაქალაქს მისწვდება, მაგრამ... წითელნი დასძლევენ, თეთრებს გაელეტენ, ზღვაში გადაჰყრიან და ხელისუფლებას დაიმკვიდრებენ. ესეც შვიდი და უკანასკნელი.

კვაჭი სივრცეში ლაპარაკობდა. თვაოები იდუმალ, ცეცხლით ჰქონდა ანთებული, ხმა—უცნაური ზეშთაგონებით ალგზნებული. აღა- რაფერს ამჩნევდა და ალარავის ჰქედავდა; მეღილუმი ტრანსით იყო მოცული და უხილავ ძალას ჰყავდა შებოჭილი.

— ამხანაგებო!—განაგრძო კვაჭიმ:—მე ძალიან ბერი. მტერი მყავს. ვიცი, რომე იგინი ეცდებიან ჩემი ლვაწლი წაშალონ და ის- ტორიიდან ამომტხილონ, მარა თქვენისთანა მეგობრებიც ბლომად მყავს. ვინ იცის, მე იქნება დევილუპო, მარა თქვენ ჩემი სახელი ისტორიკოსებს დავიწყების სანაცველე არ გადააგდებიოთ.

კიდევ დიდხანს იბოდა და იროშა კვაჭიმ, მაგრამ მისმა ამხა- ნაგებმა ზემოხსენებულის გარდა ვეღარაფერი დაიხსომეს და ისტო- რიას დაუფასებელი საგანძური დაუკარებს.

ერთი რამ არის მხოლოდ ცხადი და უეჭველი: იმ საღამოს რუსეთის მოირამ კვაჭის პირით რუსეთს მისი ბედის წიგნი გად- მოუშალა, მაგრამ განწირულებმა კვაჭის არ დაუჯერეს.

აკი ერთხელ უკვე მოგახსენეთ: ჭორიკანა ისტორია ყოველ- თვის სტუუის მეთქი. ეს უბრალო ჭეშმარიტება ერთხელ კიდევ ზედ-

მიწევნით დამტკიცდა კვაჭის თავზე. რაც ათიოდე წელიწადში რუსეთის შესახებ წიგნი დაწერილა, ორასი ურემიც ვერ დაიტევს. წიგნის კიებმა თავიდან ბოლომდე გადაკითხს ესოდენი ნაწერი, მაგრამ—დახე ქვეყნის უმაღლურობას!—ერთხელაც ვერსად ამოიკითხს კვაჭის სახელი. მისი დიადი საქმე, განუზომელი ლვაწლი და დაუფასებელი ამაგი ვიღაცეუბჲა მიიწერეს, მიითვისეს და გაინაწილეს.

მაგრამ—მადლობა უფალსა!—კვაჭის მრავალი ცოცხალი მოწმე ჰყაუს: აი, თუნდა ბესარიონ შიქა, სედრაკ ჰავლაბრიანი, ლადი ჩიკინჯილაძე, გაბო ჩხუბიშვილი, ჭიპი ჭიპუნტირაძე, თუნდ ჯალილ ემინ ოლლიც და მრავალნი სხვანი, რომელნიც ადასტურებენ ზემო და ქვემონათქვამს.

აქა ამბავი მადლის გადახდისა და ისტორიის დამახინჯებისა.

მეორე დღეს კვაჭი, პურიშვევიჩი, იუსუპოვი და სხვები ერთხელ კიდევ შეიქრიბნენ.

— რევოლვერით მოკვალათ!—სთქვა ერთმა.

— მოვწამლოთ!—ურჩია მეორემ.

— დავახჩოთ! — ჭამოიძახა მესამემ.

— არ ვარგა,—სთქვა, ბოლოს, კვაჭიმ:—ის ლერძი უნდა მოვჭრათ, რომელიც ატრიალებს დღევანდელ რუსეთს.

ყველანი აღტაცებას მიეცნენ:

— მოვჭრათ! მოვჭრათ!— გაპეტოდნენ და ერთმანეთს ლაპარაკს აღარ აცლიდნენ.

მერე კვაჭის გეგმა განიხილეს, მოიწონეს და დაიშალნენ.

— დიდო მასწავლებელო, წმინდაო მამაო!— ეუბნებოდა იმავსალაზოს კვაჭი გრიშა რასპუტინს:— დიდი ამაგი გაქვს ჩემზე, მინდა მცირედი მაინც გადაგიხადო. თუ გუნებაზე ბრძანდები, ხუთმზეთუნახავს პსურთ აბანოში...

და ლიმილით ყურში რამდენიმე სიტყვა ჩასჩურჩულა. გრიშას სახე გაუბრწყინდა და თვალები ზეთით დაუსველდა:

— სად? როდის?

— ამაღამ, თავად იუსუპოვთან. მე და ფელიქსი გთხოვთ, რა-დგან ორივეს შენი ვალი გვმართებს.

— ლამაზები არიან?

— ხუთივენი მზეთა-მზენი არიან. ერთი გიშრის თმიანი, მეორე...

გრიშკამ აღარ დააცალა და ოვისი მადლიერი მეგობარი და ერთგული მცველი გულში ჩაიხუტა.

შუალამებმ რომ მოატანა, იუსუპოვი და კვაჭი გრიშკას სახლს ავტომობილით მიადგნენ და კიბეს შეუდგნენ.

— არა, არ შემიძლიან! — წაიჩურჩულა უცებ გაფითრებულმა ფელიქსმა და კედელს მიეყუდა.

— თავადო, სირცხვილია! — მიაძახა კვაჭიმ და წაბარბაცებულს ილლიაში შეუჯდა: — გამხნევდით! გასათხოვარი ქალი ხომ არ ბრძანდებით?

— მენელება... ლალატია... აქვე მოვკლავ, მაგრამ ჩემს სახლში შეტყუება... არა, ეს ვაკეაცობა არ არის.

— სირცხვილია მეთქი, თავადო! ეგ ადრევე უნდა მოგვეფიქრათ!

— მართალი ბრძანებაა! — მოსულიერდა ფელიქსი, კიბეზე ავარდა და კარები მძლავრად დააბრახუნა.

ორივენი კოხტად ჩატულს და მოპრანჭულ გრიშკას გადაეხვივნენ. კვაჭიმ გრიგოლს ნაძალადევის სიცილით მიაძახა:

— აბა, წმინდაო მამაო, წავიდეთ წმინდასა მასა ადგილსა!

გრიშკას თითქოს ეჭვის ჭიამ უკბინა:

— იუდას ამბორსა ჰგავს შენი კოცნა, აპოლონჩიკ!

და ორივენი აათვალიერა. თვალებში უნდობლობის ცეცხლი უალავდა და გულში ხიფასს ჰკრძნობდა.

ორივემ ორგულობა, ორპირობა და მზაკვრობა მხიარულ სიცილსა და მასხრობაში ჩაახჩვეს.

— აპოლონჩიკ! შენი მმად ნაფიცი ვარ... დიდი მადლი და-მიღვია შენხე... თუ გულში გიდევთ რამე, ღმერთი გაიხსენეთ და მომშორდით, თორებმ...

— დიდო მასწავლებელო! წმინდაო მამაო! ხუმრობთ თუ...

ისეთი წრფელის გულით წამოიძახა კვაჭიმ, რომ გრიშკას იქვის ცეცხლი უმაღ გაუქრა.

— შე გიერ, ხუმრობა ველარ გაგირჩევია? — წამოიძახა გრიშკამ და კვაჭის ორი თითი ნიკაპში აჰკრა. მაიც ერთხელ კიდევ ჩაცკერდა თვალებში და დაემუქრა: — მოтри უ მინე.

ოცი წუთის შემდეგ სამივენი იუსუპოვის სასახლის ქვემო სართულში ისხდნენ, ტკბილად მუსაიფობდნენ და ზედაც სასმელსა და ტკბილეულს აყოლებდნენ.

კვაჭი და ფელიქსი შამპანურს სვამდნენ და გრიგოლს მეოთხეურ ეუბნებოდნენ:

— წმინდაო მამაო, აი, თქვენი საყვარელი მარსალა, რატომ არ მიირთმევთ?

— გუნებაშე არა ვარ, არ მინდა.

ზემო სართულიდან გრამოფონის ხრიალი მოისმოდა.

— სტუმრები ჯერ არ წასულია... ჩემი სიღედრიც აქ ბრძან-დება... — მესამედ ეუბნებოდა ფელიქსი გრიშკას: — ეხლავე წავლენ, მერე ჩემი ჯერიც დადგება... ქალები აქვე მყავს დამალული...

უცებ გრიშკამ ორი ჭიქა მარსალა დასცალა და ზედ ორი პატარა კრემიანი ნამცხვარიც დაატანა.

— რატომ თქვენ არა სჭამთ ამას? — ჰეითხა გრიგოლმა ორივეს და კრემიანი ნამცხვარი შესთავაზა. ორივენი გაფითრდნენ და ერთმანეთს გადაპხედეს.

— მადლობელი, მამაო... არ მიყვარს...

— თქვენთვის დავამზადე, წმინდაო მამაო... ვიცი, რომ ეგ ნამცხვარი თქვენ... თქვენი საყვარელი საჭმელია...

თითო ნამცხვარში ჩაწევეთებულია სამი დეციგრამი ციანის შხამი, უუძლიერესი და უებარი საწამლავი. გრიშკას სასმელიც მოწამლულია.

კვაჭი და ფელიქსი გულის ფანცქალით ელიან საწამლავის ძალას, მაგრამ გრიშკას არაფერი ეტყობოდა.

— არ კვდება! — გუნებაში ფიქრობენ ორივენი და გრიშკას პირსახეში შესცეკრიან: — რა გამძლე ძალი ყოფილა... ან საწამლავი არ ვარგა!

გრიშკას ლვინო გაუჯდა:

— კიდევ დამისხით!

კვაჭიმ, ერთი ჭიქა კიდევ გაუვსო, თვითონ კი ისევ შამპანური დაისხა.

გრიშკამ ზედი-ზედ ორი ჭიქა დასცალა და ზედ ორი ნამცხვარი კიდევ დაატანა.

ისევ არაფერი...

— არ ეყიდება! — ფიქრობენ ორივენი და გაფითრებულნი ერთმანეთს ქურდულად შესცეკრიან.

გრიშკა გუნებაშე მოვიდა. პირი მოიშვა და აყბედდა. ლამაზ ქალებს ელის და ულაყივით მოუთმენლად სტოკავს და სჭიბეინებს:

— კიდევ დამისხით!

ისევ ორი ჭიქა დალია.

ისევ არაფერი...

— არ ეკიდება... არ კვდება... ამდენი შხამი ხუთ კამებს ეყოფოდა... რკინის კაცია! — ჰფიქრობს კვაჭი და ფელიქსს ერთხელ კიდევ გადაპეტედას.

ნაზი ფელიქსი გაფითრებულია. ორპირობს და ფიტრდება, რადგან ესოდენ თამაშა და ორგულობას ვეღარ უძლებს. მკედრის ფერი ადევს. ტუჩები უცახცახებს, მარცხენა წარბი უთრობის და უთამაშებს. უცებ წამოდგება და საყელოში ხელს წაიკლებს, თითქოს იხჩებათ:

— დაიგვიანეს... მე... მე წავალ... ეხლავე დაებრუნდები... ეხლავე დაებრუნდები... ეხლავე... — ნაწყვეტად ჰლულლულებს და ბარბაცით ოთახიდან გავარდება.

ზევით პურიშევიჩი, დიდი მთავარი დიმიტრი, კაპიტანი სუხოტინი და ექიმი ლაზოვერტი დასასრულს ელოდებიან. ყველანი გაფითრებული, აშლილნი და აღელვებული არიან.

ფელიქსი კვნესით შევარდა იმ ოთახში და ისტერიულად წამოიძახა:

— არ შემიძლიან!.. არ შემიძლიან!..

— რა იყო? რა ამბავია?.. რა მოხდა?..

— არ კვდება... არ ეკიდება... ათიოდე ნამცხვარი შეჭამა და ერთი ბოთლი მარსალა დალია, მაგრამ არ კვდება!

— გადავაჭარბე, მეტი მომივიდა შხამი! — ჰბუტბუტებს ექიმი ლაზოვერტი.

— თავადო ფელიქს! ჩქარა დაბრუნდით და თავად კვაჭანტირაძეს ანიშნეთ, რომ ეხლა იმისი ჯერია. დაიწყოს! ესეც ჯიბეში ჩაიდეთ, იქნება გამოვადგეთ.

მოსულიერებულმა და გამხნევებულმა ფელიქსმა რევოლვერი ჯიბეში ჩაიდო და ისევ დაბლა ჩავიდა.

გრიშკას ოდნავ აბოყინებს. კვაჭი ისევ ლვინოს უსხავს და ზედიზედ ასმევს.

ფელიქსმა ცალის ყბით მხიარულად ჩაიცინა:

— ქალები აქ არიან... თავადო, თქვენი ჯერია...

კვაჭის ჯერი მოვიდა? კეთილი და პატიოსანი! კვაჭი თავისს ვალს შეასრულებს!

და გრიშკას მიუბრუნდა:

— მამაო წმინდა! დიდო მასწავლებელო! ის ქალები მორცხნი და მორწმუნენი არიან, ჩვენთან ქეითს არ გასწევენ. ჩვენ წავალთ. ქალები ეხლავე შემოვლენ... აბანოც აქვა... ჩვენ ზემოთ ვიქნებით. თუ დაგჭირდათ ჩვენი თავი, ზარი დარეკეთ.

და ორივენი გავიდნენ. გალეშილ გრიშკასთან მორცხვად და მორიდებით ხუთი ქალი შევიდა. ხუთივენი ანგელოზებს ჰგავდნენ.

ერთმანეთს აჰყვნენ და სულის საცხონებელი ბაასი გააბეს. მე-
რე გრიშკა გახურდა და აინთო. ხუთივეს დაეტაკა და დაეძგერა,
თან გულში მჯიდს იცემდა და ჰყვიროდა:

— მე წმინდანი ვარ!.. სიბილშე და უწმინდური ვნება არ მე-
კარება!.. ეხლავე დაგიმტკიცებთ!.. გაჩევენებთ!.. წამოღით!

და ყველანი სასახლის გახურებულ აბანოში შევიდნენ.

— თუნდ ზედ დამაწექით, თუნდ გვერდით მომიწევით... აი,
ხომ ჰქედავთ, არაფერი მეტყობა... კუნძებივით ჰყრიხარო ჩემ
გვერდით... არაფერს ვვრძნობ... სისხლიც არ მიჩქეფს... ხომ დაი-
ნახეთ, ხომ დარწმუნდით... ეხლა კი, ეხლა წმინდა სული უკვე მო-
მშორდა, ეხლა ისევ დამიანი გაეხდი, ეხლა... აბა, დავიწყოთ.

იმავ წამს ჰაერში სამართებელმა გაიელვა და იგი სასახლე მხე-
ცის ბლავილმა შეანძრია.

ქალები თვალის დახამხამებაზე აბანოდან გაცვივდნენ და
სქელი კარები გარედან გადარაზეს.

წმინდა გრიგოლის ბლავილმა, გმინვამ და ღმუილმა სასახლე
კვლავ შეანძრიეს. მერე იმ კარებს გაგიცებული კამეჩი სამჯერ დაე-
ძერა. მეოთხე დაჯახებამ მუხის კარები ჩამოჰვლიჯა და აბანოდან
ყმუილით და გრიალით ტიტველი მხეცი გამოვარდა.

გამალებული, წაკუზული მირბოდა და უკან სისხლის კვალს
იმჩნევდა.

კიბეზე ჩოქქოლი და ურიამული ასტყდა:

— გაიქცა!.. გაიქცა!..

ტიტველი რასპუტინი ჯერ ერთ კარებს დაეძგერა, მერე მეო-
რეს, ბოლოს, მესამე გაანგრია და ერთ ოთახში შეევარდა.

იუსუპოვმა შიშველ მხეცს გზა მოუჭრა და სამჯერ დაახალა
რევოლვერი. რასპუტინმა ერთხელ კიდევ დაიგმინა და ჩაიკეცა.

— მოკვდა... გათავდა!—გადასწყვიტეს ყველამ. მერე მეორე
ოთახში გავიდნენ და თაობირი გაპმართეს.

ცოტა ხნის შემდეგ კვაჭიმ ისევ პირველ ოთახში გაიარა და
პირქვე წაქცეულ გრიგოლს დააცქერდა. მერე დაიკუზა და ხელში
ხელი წაავლო. მკვდრის ხელი უცებ ამოტრიალდა და კვაჭის რკინის
სალტასავით შემოვხვია.

— მიშველეთ! მიშველე-ეთ! — პხრიალებდა კვაჭი და გრიშკას
ხელებში ჰქაორთხალობდა. რასპუტინმა უცებ კვაჭის ხელი გაუშვა,

წამოიწია, წაიქუზა და ტალანში გავარდა. შეთქმულნი კვლავ აი-შალნენ და უკვდავ წმინდას გამოუდგნენ, თან ერთმანეთს უყვი-როდნენ:

— დავიღუპეთ!.. გაჰყევით!.. დაჰკარით!.. მოჰკალით!..

ფელიქსის და კვაჭის ხელში იარაღმა გაიელვა:

— ჩქარა, თორემ გაიქცა!

გრიგოლი სასახლის ბაღში გავარდნილიყო.

კვაჭი ვეფხის ნახტომით გაექანა. უკან ნაცრის ფერი იუსტო-ვი მისდევდა.

რიერაჟმა მოატანა. გზა ოდნავ მოსჩანდა. საით გაიქცა? მარ-ცხნივ? მარჯვნივ? პირდაპირ?

კვაჭის უკნიდან სუსტი კვნესა მოესმა. მიიხედა.

ფელიქსი წაბარბაცდა და წაიქცა.

ამ დროს პურიშვევიჩი გამოვარდა:

— უშველეთ, გული წაუვიდა.

პურიშვევიჩი ფელიქსის რევოლვერს დასწვდა და კვაჭისკენ გა-მოიქცა.

— სად არის?.. საით გაიქცა?

ბუჩქებიდან თოვლიან გზაზე ლანდი გამოვარდა:

— მიდის!.. ჩქარა!..

კვაჭიმ ოც ნაბიჯზე დაუმიზნა და ესროლა.

— აპოლონიკ, შენცა? — დაიკვნესა გრიშკამ: — ეგრე გადამიხა-დე მადლი!?

კვაჭი რამდენიმე ნახტომით ხუთ ნაბიჯზე მიუვარდა და კიდევ ორჯერ დაახალა.

რასპუტინი წატორტმანდა, წაიჩოქა და თოვლში ჩაიფლო. მე-რე ისევ წამოიწია და ფოფხვით გაიქცა, თან დათვივით ბურტყუ-ნებდა:

— ხვალვე ყველას ჩამოგახჩობთ!.. ჰარამზადებო!.. ავაზაკებო!..

ამ დროს პურიშვევიჩიც მოვარდა.

— ესროლეთ! ესროლეთ!

კელავ ესროლეს და ათიოდე ტყვიით დაუცხრილეს სხეული.

გრიშკა რკინის კბილებით და თითებით ებლაუჭებოდა ამ ქვე-ყანას: იკლავნებოდა, იგრინებოდა, ჰემინავდა და უცნაურს სიტყვებს ისროდა.

ერთხელ კიდევ მაინც წამოიწია და ცალ მუხლზე წამოდგა.

უცებ მოსულიერებული ფელიქსი მოვარდა:

— დაპკარით! ესროლეთ! მოპკალით! — ჰყვიროდა გაშმაგებული, აშლილი იუსუპოვი და ბრინჯაოს დიდ შანდალს მომაკვდავს თავში ურახუნებდა.

თავი გაუსრისა და სისხლში ამოისეარა.

კვაჭიმ და პურიშქევიჩმა გაკაპასებული და შერყეული ფელიქ-სი რასპუტინის გვამს ძლიერ მოაშორეს.

— თავადო, კმარა! გრიშკა უკვე მკვდარია... წავიდეთ, თო-რემ გავციდებით.

— გამიშვით!.. მიმიშვით!.. დაპკარით!.. მოპკალით! — მაინც ჰყვიროდა და ისევ უძრავ გრიშკასკენ მიიწევდა. მერე უცებ ხმა ჩაი-კმინდა, მოეშვა, მოდუნდა და მიიბნიდა.

— აბა, ეხლა ნეკაში ვუკრათ თავი მაგ მძორს!

გვამს ქურქი და გალოშები ჩააცვეს, ავტომობილში ჩაიგდეს და გაუტიეს.

ავტომობილში გვამი გასჭიმეს და გაასწორეს, როგორც მესა-მე მჯდომარე მგზავრი. ერთ იღლიაში კვაჭი შეუჯდა, მეორეში — ლაზოვერტი.

— გასწი! ჩქარა! მიუშვი! — უყირის კვაჭი კაპიტან სუხოტინს, რომელიც მანქანას ქარივით მიერეკება.

მიპქრის მკვდარ ქალაქში გავიეცებული ავტომობილი და მიაქ-როლებს მაშინდელ რუსეთის ლერძას და დედაბოძს, რომელიც კვა-ჭიმ იმ ლამეს გამოაცალა გუმბათს.

მგზავრებს თავ-პირში სისინით და კვნესით ცივი ქარი ასკდე-ბა და პირსახეს უსუსხებავს.

კვაჭი თავს იდრეკს, იბუზება, იქუნტება და ავტომობილის ბუდის ძირში მიძვრება.

უკანა ბუდეში ჩაჩირული გრიშკას შელავი უცებ მოსხლტა და კვაჭის კისერზე შემოეხვია.

კვაჭიმ გველნაქბენივით წამოიწია და ცივ მკლავს ეცა, მაგრამ ის მკლავი გარეინდა და გაშეშდა, მერე თვითონ გრიშკაც გადმოი-ხარა და მძიმე ლოდივით ზედ დააწვა, კვაჭი ქვეშ მოიყოლა, დათ-ვივით დაპბუბნა, ააკვნესა და თვითონაც უცნაურად დაიხრიალა.

კვაჭიმ რამდენჯერმე წამოიწია, მაგრამ ქურქებში გაიხლართა და ის მძიმე ლეში ვერ ასწია.

— მიშველეთ!.. დამახსხო!.. მიშველეთ!..

შოფერს კვაჭის გმინვა არ ესმის. ავტომობილი გრიგალივით მიპქრის.

ლაზოვერტი მოუხეშავად სწვალობს.

— მიშველეთ!.. დავიხჩვი!.. მიშველეთ!...

ბოლოს, როგორც იყო, ამოძვრა და ამოვიდა.

— გააჩერეთ! შესლექით!

აფორიაქებული კვაჭი ავტომობილიდან გადმოხტა:

— არ მინდა... არ წამოვალ... თქვენ წადით...

რა ამბავია? რა მოხვა?

კვაჭი სთროთის და კბილებს აწყაპუნებს:

— არ მინდა... არ შემიძლიან... თქვენ წაილეთ.

— თავადო, სირცხვილია! გონს მოდით!

— არ შემიძლიან... მეტის მეტია!

— თავადო, გონს მოლით! სძლიერ თქვენს თავს. იუსტოვი სუსტი კაბუკია, თქვენ კი ვაეყაცი ბრძანდებით, არ შექშევის ასე-თი ლაპრობა დემირ-თეფეს გმირს, წმინდა გიორგის ჯვრების კავა-ლერს, ისიც ქართველს! სირცხვილია!

დემირ-თეფუ? წმინდა გიორგის ჯვარი? ქართველი?

კვაჭის ეს სიტყვები ჩაქუჩივით მოჰვდა თავში. შეინძრა და შეტოვდა, ძარღვები დაიკიმა და გულიდან შიშის ლანდი მოიხსნა:

— ხა-ხა-ხა! — გულიანად გადიხარხარა, ავტომობილში ავარდა და გრიშკას საყელოში ეცა: — გასწი! მიუშვი! გარევე... შენ კი, წმინდაო მამაო, დამშვიდდი და სამუდამოდ დაწყნარდი, თორემ... — და გვამი შეანჯლრია და გააქან-გამოაქანა.

გრიშკა კვაჭის კბილებს უკრაფავდა და თავს უკრავდა, თითქოს დასტურს აძლევდა, ან მუქარის უთვლიდაო. კრესტოვსკის კუნძულზე, პატარა ხიდთან გაჩერდნენ და გვამი იმ დილით ამოჭრილ ნაპრალში ჩაუშენეს.

იმ ნაპრალის ნაპირას ყინულზე გრიშკას ერთი გალოში
დატანა.

օգո զերազոն Շիամինօ.

მეორე დღეს კვაჭიმ სინკლიტს მოუყარა თავი.

— ალსრულდა! რუსეთის დედა-ბოძი გამოვაცალე. შენობა გაიბზარა
და გასკვა. ნუ აჩქარდებით, დანარჩენი თავის თავად შესრულდება. იუ
ვინიცობაა დამაპატიმრეს, ცეცხლს შეუკეთეთ, ხოლო თუ ჩემი დახ-
ვრეტა განიზრახეს, ცეცხლი მიეცით და ააფეთქეთ ეს მყრალი, დამ-
პალი და დახავსებული ქვეყანა. ჩემი უკანასკნელი სათხოვარი ეს
არის: დროზე ააფეთქეთ, არ მთავრევინოთ ჩემი თავი, რაღვან
მინდა ერთხელ კიდევ გავიხარო და ჩემი თვალით ვნახო: დალუპვა
იმ ხალხისა, რომელიც ასე უმაღურად ჰყრის სანავეზე თავისს...
(კვაჭის უნდოლა ეთქვა: ჩეი ისთანაო) ერთგულ შვილებს.

კვაჭის მიულოცეს ასეთი საშვილიშვილო საქმის შესრულება და ქედი მოიდრიეს მისი დიად ხასიათისა და თავგადადებულ პიროვნების წინაშე.

მესამე დღეს გრიშვას გვამი ნევაში იპოვნეს. ეს ამბავი მთელ ქვეყანას მოედო. რუსეთი ყალყზე ადგა, პეტერბურგი აიშალა. სიხარულისგან ერთმანეთს ულოცავდნენ და ჰელუნიდნენ: მორწმუნები პარაკლისებს იხდიდნენ და კელაპტარებს სწვავდნენ. ყველას პირზე გრიშვას სიკვდილი დაეკერა.

პურიშვივიჩმა, ლაზოვერტმა და სუხოტინმა ფრონტს შეატარეს თავი; დიდი მთავარი დიმიტრიც სპარსეთის ფრონტზე გაჰვზავნეს, ხოლო თავადი იუსუპოვი თავისს მამულში გადაასახლეს.

კვაჭი სილიბისტროსთან იმაღლებოდა.

გრიშვას გვამი დედოფალმა დაისაჯუთრა. იგი ჩემის თავშესაფარში გადიტანეს და გრიშვას მეგობარს—მონაზონს აკილინას ჩააბარეს.

რასპუტინის ცოლი, ქალიშვილები და მახლობლები პლამობდნენ ცხედრის ხახვას და გამოთხოვებას, მაგრამ დედოფლის ბრძანებით ახლო არავინ მიუშვეს.

აკილინამ ცხედარი განბანა, იარები ნელსაცხებელით იუგსო, ძვირფასი ახალი ტანისამოსით შეჰმოსა, კუბოში ჩაასვენა, მის მკერდზე ჯვარი დაასვენა და ხელში დედოფლის წერილი ჩაუდო. იმ წერილში ეწერა:

„ჩემო ძვირფასო წამებულო! მალირსე კურთხევასა შენსა, რათა იგი იყოს თანამგზავრი ჩემს ეკლიან გზაზე, რომელიც უნდა განვვლო ამ ქვეყნად, და მოვიგონებდე ცათა შინა შენს წმინდა ლოცვებში.

ალექსანდრა.“

მეორე დღეს, სწორედ იმ დროს, როცა რუსეთი თავისს მხსნელ გმირების მარჯვენას პლოცავდა და უფალს მადლობას შესწირავდა, ჩემის პატარა სამლოცველოში გასიებულ გრიშვას თავს ადგნენ დედოფალი და მისი პირველი მეგობარი, ქარის ქალი—ვირუბოვისა.

სასოებით, მეტანით და ცხარე ცრემლით ლოცულობდნენ და ჰელოვობდნენ თავიანთ იმედს, წმინდანს, ბურჯს, მეგობარსა და ქვეყნის მხსნელს.

მერე, როცა ტირილით და დარღით დაოსდნენ, დაითენონენ და მოილალნენ, გრიშვას სისხლიანი პერანგი წაიღეს და წავიდნენ. იგი პერანგი, ვითარცა პალლადიუმი, უუწმინდესი სახსოვარი და

მეფის გვარეულობის დამცველი, დედოფალმა სალოცავ ხატად გაიხადა.

კვაჭი ელაგინის კუნძულზე იმაღლებოდა.

— ზოგი ჭირი მარგებელია, — ამბობდა სილიბისტრო: — აი ამ-ბავი რომ არ დაგმართოდა, კიდო ერთ წელიწადს ვერ გნახავდით.

— შვილო კვაჭი, — ეუბნებოდა პუპი: — მეტის მეტად გეიზარდე და გეიბერე. რა შენი საქმე იყო, რომე ვინცხა რაპუტინას გადიე-კიდე! აწი თელი ქვეყანა შენ დაგდევს. რომ დაგიჭირონ?

კვაჭი დაიჭირონ?! ამას მისი მტრები ვერ მოესწრებიან, უმაღ თვითონ დაიღუპებიან. ბესო ყოველ დღე მოდიოდა და ცხელ-ცხე-ლი ამბები და უურნალ-გაზეთები მოჰქმნდა.

— მთელი ქალაქი რასპუტინის მოკვლას ლაპარაკობს, — ამ-ბობდა ბესო: — გაზეთებიც ბეგრს სწერენ იმაზე. მთელმა ქვეყანამ გეიგო მკვლელების ვინაობა, მარა შენზე არავინ ხმას არ იღებს.

— აკი ვითხარი, ბესო, რომე ბევრი მტრერი მყავს მეთქი, — უპასუხებდა. გულნაკლული კვაჭი: — ჩემმა მტრებმა ვითომ სიჩუმით უნდა მომკლან, მარა ვნახოთ, რას წეილებენ. ბოლოს ხომ ვინცხა გამოჩნდება და ჩემს თავგადასავალს ასწერს, აპა მაშვინ რალას იტ-ყვიან აი კუდაბზიქა უურნალისტები და ისტორიკოსები?

კვაჭის მრავალი ძაფი ჰქონდა გაბმული ქვეყანასთან, რომე-ლიც — კვაჭი ამას ნათლად და მკაფიოდ ჰხედავდა, — დღითი-დღე სივდებოდა, იბერებოდა და საცაა უნდა გამსკდარიყო და აფეთქე-ბულიყო.

ამბების წამლები და მომტანი ისევ ბესო იყო. დანარჩენებმა არც კი იცოდნენ კვაჭის ბინა; სხვებს კვაჭი ერიდებოდა და მათი დაუდევრობისა ეშინოდა. ამბობდა: უნებურად ჯაშუში არ მოიყ-ლონ, არ მომაგნონ.

ხიტათს მაინც ვერ გადურჩა.

აქა ამბავი ერთ ხაფანგში გაბმისა და ამოძრომისა.

ერთხელ გადაცმული და გრიმიანი კვაჭი ოხტას უბანში გავი-და სინჯლიტის წევრის სანახავად და დარიგების მისაცემად. საქმე რომ გაათავა, კმაყოფილი ნაშუალამევს შინისკენ მოდიოდა. ბესო ოდნავ ჩამორჩა.

უცებ ვიღაცამ საფეთქელზე ცივი ლითონი მიადო:

— შეჩერდით! ასწიეთ ხელები! იარაღი გაქვთ? არა? ებლა ხე-ლები უკან დაიწყეთ და წინ გამიძეხით. თუ ხელი გაგინძრებიათ, აქვე გაგათავებთ. აბა, გასწით!

გრიმ-ჩამოგლეჯილი კვაჭი ჯერ ისე დაიბნა, რომ უსიტყვოდ დაემორჩილა და უცნობს წინ გაუძლეა. მერე გონება მოიკრიფა, გული გაიმაგრა და უცნობთან ასეთი დიალოგი გააძა:

- ზემლიაკ, ვინ ბრძანდებით?
- საიდუმლო პოლიციის აგენტი.
- გვარი?
- თქვენი საქმე არ არის.
- თქვენი გვარი ბექარევია, გიცნობთ.
- გიცნობივართ, მაგრამ გვარს რაღად მეკითხებით, თუ

მიცნობთ?

— ისე გვითხეთ. რად დამაპატიმრეთ? სხვას ხომ არ ეძებთ? ხომ არ შესცდით?

— არა, არ შევმცდარვარ: თავად კვაჭანტირაძეს ვეძებდი და ვიპოვნე კიდევაც.

— უარს არ ვამბობ, სწორედ მიგიგნიათ. მაგრამ, ზემლიაკ, ერთი მიბრძანეთ, ჩემს დაქერაში რა საჩუქარს მიიღებთ?

— თქვენი საქმე არ არის.

— მართალი ბრძანებაა. მაგრამ... მაინც?.. ეტლს ეძებთ? მოითმინეთ, ნუ აჩქარდებით. ცოტა მოვილაპარაკოთ. არ წააგვებთ. დიალ, არ წააგვებთ მეთქი! მაშ ასე: ჩემი დაპატიმრებისთვის უნდა მიიღოთ ცოტაოდენი წარმატება და... ასიოდე, თუნდ ორასი მანეთი.

— მერე თქვენი რა საქმეა?

— სწორედ ჩემი საქმეა. მოვრიგდეთ.

— გაჩუმდით, თორქემ...

— ხუმრობა იქით იყოს. ათასი ინებეთ.

— ნუ სულელობთ! გასწით!

— რა დროს სულელობა?! ისიც გაისხენეთ, რომ დღეს თუ ხვალ ახალი დრო დადგება, მევიბარი დაგჭირდებათ... მოიფიქრეთ.

ათასმა მანეთმა და მომავალმა ხიფათმა გასჭრეს: აგენტი ჩაფიქრდა. ყინული თანდათან ლხვებოდა. ბოლოს, გაიბზარა და გატყდა:

— ათას მანეთისთვის ხელს არ გავიჭუჭყიანებ.

— ორი იყოს.

— ხუთი. ეხლავე გავათავოთ.

— კეთილი, მაგრამ ზედ ფული არა მაქვს. შევიდეთ საღმე, ცოტა ვივაბშიმოთ და მერე ჩემ სახლში წავიდეთ.

აგენტი ისევ ჩაფიქრდა. მერე შიშს სძლია და დასთანხმდა.

ერთ პატარა რესტორანში შევიდნენ, კუთხეში მისხდნენ და საჭმელ-სასმელი მოითხოვეს. ბესო შემოვიდა და შორი-ახლოს მეორე მაგიდას მიუჯდა. რესტორანი ტალიერი იყო.

კვაჭიმ და ბესომ ერთმანეთს რაღაც ანიშნეს და ის რესტორანი მოათვალიერეს.

მერე ბესო მეორე კარებით სახლის ეზოში გავიდა და ათიოდე წუთის შემდეგ დაბრუნდა. ისევ ერთმანეთს ანიშნეს.

შემდეგ ბესომ ქილალდის ნაგლეჯზე ხუთიოდე სტრიქონი დასწერა, დახლთან მიერთა და არაყი მოითხოვა. იმავ დროს კვაჭიც წამოდგა, აგენტიც აიყრლა და ისინიც დახლს მიადგნენ. უმალ ბესოს ბარათი კვაჭის ჯიბეში გადავიდა.

დალიეს და შეზარხოშდნენ. აგენტი გაიჭუია და აჭიკეტიკდა. ანგარიში გაუსწორეს და წამოვიდნენ.

კარებს რომ მოადგნენ, უცებ ელექტრონი ჩატქრა და მთელ დარბაზში წყვდიადი ჩამოწვა.

კვაჭი თვალის დახამხამებაზე აგენტს ჩამორჩა და კარების უკან აიტუზა. იმავ წამს ბესომ დარბაზი გაირბინა და ფეხის ბრახუნი ასტება.

— შესდექით! შესდექით, თორემ გესვრით! — ყეირილით გადასჭრა აგენტმა ბეკარევმა იგივ დარბაზი და ეზოში გავარდა.

ქუჩის კარებში აჩრდილი გასხლტა.

დარბაზი კელავ განათლდა. ბესო არხეინად ისევ თავისს ალაგის იჯდა. კვაჭი აღარსაღ იყო. ეზოდან აგენტის ხმა მოისმოდა:

— დაიჭირეთ! გაიქცა! დაიჭირეთ! გოროდოვოოი!

ბეკარევი ისევ იმ დარბაზში შემოვარდა. ასტყდა ჩოჩქოლი და სირბილი. ბესო იმ აგენტს წინ აეყუდა:

— რაო, ტუსალი გაგექცათ? გონება მოიკრიფეთ! როგორ შეიძლება მაგისთანა ამბის გამოვეყენება! თქვენ და ტუსალს აქ რა გინდოდათ? დაგაპატიმრებენ, სამსახურიდან დაგითხოვენ.

ძლიეს შეიგნო იმ აგენტმა ბესოს ნათქვამი. შეიგნო, შეშინდა და იქ მყოფო შეეხვეწა:

— ნუ დამლუპავთ... გაჩუმდით... ცოლ-შვილიანი ვარ... სთქვით, ვიღაც მთვრალი ყვიროდა თქო.

აგენტს კარებში პოლიციელი შეეფეთა:

— არაფერი, ზემლიაკ, არაფერი... წავიდეთ... ვიღაც მთვრალი პყვიროდა... წავიდეთ, თუმცა... მოდი ჯერ თითო არაყი დავლიოთ.

ჯერ თითო კიქა ჰქონდეს და ჩახველეს, მერე მიჰყვნენ და რიც-
რას იმ რესტორანში დაუხვდნენ.

ბესო ფეხაკრეფით გავიდა. მერე მარცხნივ შეუხვია და
სიბნელეში შთაინთქა.

**აქა ამბავი ხელახლად ხაფანგში გაბმისა, ყულფიდან გა-
მოძრომისა და ქვეყნის აფეთქებისა.**

კვაჭი და ბესო ერთმანეთს დანიშნულ ალაგას შეპხვდნენ.

— აჲ, ამეღამ სახლში ვეღარ წავალ, — სთქეა კვაჭიმ: — წამო,
ამხანაგები ვნახოთ. საცაა გათენდება. შენ სილიბისტროსთან წახ-
ვალ და გეიგებ, ჩვენს ბინას ხომ არ მიაგნეს. თუ იქინე მშვიდო-
ბიანობაა, დაგბრუნდები.

ორივენი საამხანაგო ბინაში შევიდნენ და უმალ ყველანი წა-
მოშალეს. ასტყალი ჩოჩქოლი, ურიამული და სიხარული.

— შეუქურ ალლაპ! — იძახდა ჯალილა: — ჩინი კნაზი ერთხელ
კიდევ მაჩერებ ალლაპმა.

— სურპ-კარაპეტის მადლასა ვფიცამ, რომ შენი ნახეა ასე არ
გამხარებია, როგორც დღეს გამეხაოდა რალა! — იძახოდა სედრაკა: —
— აბა, ჯალილ, სუფრა გაშალე! გაბო, შენც დატრიალდი!

მარდად დატრიალდნენ, მალე სუფრას მოუსხდნენ და შეაყო-
ლეს. რიერაეზე კვაჭი ასე ამეტყველდა:

— ამხანაგებო! სამი დღის შემდეგ უნდა იფეთქოს. ვინ იცის,
იქნება იმ ნანგრევებში ჩვენც მოვყვეთ. იქნება დღეს ერთმანეთს
უკანასკნელად ვხედავთ და უკანასკნელად ვქეითობთ. რაც უნდა
მოხდეს, ერთი რამ მაინც უნდა იცოდეთ: ჩემმა მტრებმა პირი შეპ-
ქრეს და გადასწყვიტეს ჩემი დასატლავება სიჩუმით და დუმილით.
მაგრამ, მეგობრებო, თქვენ უნდა შემომტიცოთ, რომე ჩემი ცხოვ-
რების ამბებს არ დაივიწყებთ და საქვეყნოდ გამეიტანთ.

— ვფიცავთ! ვფიცავთ! — იგრიალეს ამხანაგებმა.

— ამხანაგებო! — განაგრძო კვაჭიმ: — 27 თებერვალს, ესე იგი
სამი დღის შემდეგ, დილით ამ ბინაზე მნახავთ, იცოდეთ რომე, თუ
არ მოვედი, კვაჭი კვაჭანტირაძე მკვდარია.

— მოხვალ, მოხვალ! — შეპყვირეს ამხანაგებმა.

— დიალ, თუ ცოცხალი დავრჩი, მაზეგ დილით აქ მომელო-
დეთ, და თუ არ მოვედი, იქედან ეკლესიაზე წალით და პანაშვიდი
გადიხადეთ. ბესო, დაბრუნდი? აფერია ჩემ სახლში? კაი, მაშ მივ-

დივარ. აბა, მშვიდობით, ამხანაგებო! — ყველას გადაეხვია, დაპქუცნა და გავიდა.

ერთი ქუჩა რომ გაიარა და მეორეში შეუხვია, კუთხეში პირის პირ აგენტს ბექარევს და პოლიციელს წააშენდა.

— შესდევქით! გახლავართ თავად კვაჭანტირაძეს! ეხლაც წამიხვალთ?

— მეტი გზა არ არის. წავიდეთ. ასეთი ბედი მქონია.

კვაჭი და მთვრალი აგენტი ეტლში ჩასხდნენ და წავიდნენ.

— სახლში წამომყენ და ხუთი ათასი მიიღეთ, — კვლავ ვაჭრობდა კვაჭი.

— ათი ათასი, მორჩა და გათავდა!

სანამ კვაჭი და ბექარევი ვაჭრობდნენ, ეტლი საუანდარმო სამართველოს მიუახლოვდა. უცებ იმ ეტლს მეორე ეტლი წამოეწია და იმ ეტლიდან მხიარული ხმა მოისმა:

— ა-ა, თავად კვაჭანტირაძეს ჩემი სალამი! როგორ ბრძანდებით, როგორ გიკითხოთ? — და ეტლიდან უანდარმი პავლოვი გადმოხტა და კვაჭის ეტლიც შეაჩერა: — რა მოგივიდათ? ენა წაგერთვათ? არა უშავს რა, ჩვენ ამოგიდვამთ ენას. აბა, წამობრძანდით.

პავლოვმა კვაჭის მკლავში ხელი გაუყარა და წაიყვანა, ხოლო პირში ჩალა-ამოვლებული ბექარევი ორივეს კბილების კრაჭუნით მისდევდა.

ოცი წუთის შემდეგ კვაჭი გახარებულ პავლოვის წინ იჯდა და ცივ ოფლში იწურებოდა.

— საიდან სად შევხდით! — ამბობდა პავლოვი და კვაჭის პაპიროსა და ჩაის სთავაზობდა: — ათი წლის წინად კარგი მეგობრები ვიყავით, ეხლა კი...

— ეხლა კი? — ჰეითხა კვაჭიმ და პავლოვს თვალი გაუსწორა: — განა არ შეიძლება ეხლაც დავმეგობრდეთ?

— არა, შეუძლებელია. — ყინულის ხმით მიუგო პავლოვმა.

— მე კი მგონია, რომ შეიძლება მაშინდელზე ასჯერ უფრო მჭიდროდ დავმეგობრდეთ.

— ასჯერ? ჰმ! მესმის, მაგრამ... არ მოგატყუებთ: ჩვენი დამეგობრება ყოვლად შეუძლებელია. თქვენი საქმე სასახლეშიაც კი იციან. გარდა ამისა, ისეთი საბუთები გვაქვს, რომ თქვენი საქმე დასრულებულიდ მიგვაჩინია. აბა, ეხლა საქმეს შევუდგეთ. თავიდანვე გირჩევთ, ნუ გაჯიუტდებით: სულ ერთია, უარი ვერაფერს გიშველით. მაშ დავიწყოთ.

დაიწყეს და ორი საათი ერთმანეთი ოფლში სწურეს და აწა-
მეს. კვაჭი ჯორზე შეჯდა, ახირდა და, „არას“ გარდა, ყველა სიტ-
ყვები დაიციწყა.

— მომიყვანეთ ისაკა იდელსონი და მისი ცოლი! — ბრძანა, ბო-
ლოს, პავლოვმა.

კვაჭი გულის ფანცქალით ელოდა იდელსონების შემოსვლას.
ათი წუთი ათ საათად გაიჭიმა.

კარებში რებეკქა და ისაკა გამოჩნდნენ. კვაჭიმ ძლიერ იცნო
ოდესლაც ქერა მშეოუნახავი. ორიენი გაცრეცილიყვნენ და ათის
წლით დაბერებულიყვნენ. არც ისაკამ და არც რებეკქამ კვაჭის არ
შექხედეს. თავჩალუნულებმა გვერდით გაუარეს, დასხდნენ და კე-
დელ მიაჩერდნენ.

— იცნობთ თუ არა ერთმანეთს? — ჰკითხა კვაჭის პავლოვმა.

— ძალიან კარგად! — ფიცხლად და მტკიცე ხმით უპასუხა კვა-
ჭიმ: — ისაკა იდელსონი და მე მოსისხლე მტრები ვართ, ხოლო რე-
ბეკქა ჩემი წინანდელი საყვარელია, რომელიც ლალატისთვის გა-
ვაგდე.

და კვაჭიმ უმაღ ისეთი კოხტა ისტორია გამოაქანდაკა, რომ
ხუთიოდე წუთა ყველანი ერთმანეთს პირ-დალებულნი შესცე-
როდნენ.

— ალარ გახსოვთ პარიზი? — ეკითხებოდა კვაჭი იდელსონებს:
— ასე მალე დაივიწყეთ? რები, მართალი სთქვი, იყავი თუ არა ჩე-
მი საყვარელი? სთქვი, სთქვი, თორებ, სულ ერთია, დაგიმტკიცებ.

— ჰო... მე ვიყავი... დიალ, ვიყავი, მაგრამ.... — პბუტბუტებდა
რებეკქა, მაგრამ სიტყვა ვეღარ დაამთავრა და აქვითინდა. ისაკა
ხუთ წუთში უარესად დაბერდა და გაიცრიცა.

კიდევ ორი საათი აწამეს და დაპლალეს ერთმანეთი სამმა კაც-
მა და ერთმა ქალმა, მაგრამ კვაჭის „ჰო“ ვერ ათქმევინდა.

— წაიყვანეთ! მომაშორეთ! — დაიძახა, ბოლოს, პავლოვმა და სა-
მივენი ცივ და ბნელ საკნებში ჩაპერავნა.

სალამოზე პავლოვმა კვლავ დაიბარა კვაჭი და კვლავ ჩასწვდა
პირში მარწუხებით, მაგრამ კვაჭის ფესვმაგარი კბილი მაინც ვერ
ამოაგლიჯა. მერე ხან დაუყეავა, თავზე ქონი წაუსვა, გაულიმა და
პატიება ალუთქვა, ხან კიდევ მრისხანედ შეუტია, ფეხები დაუთათ-
ხათა და სახიობელა მოაგონა, მაგრამ კვაჭიმ „არა“ დაიზეპირა და
„ჰო“ დაიციწყა.

— კეთილი. ეგრე იყოს! — უთხრა პავლოვმა: — წადით. სულ ერთია, ზეგ დილით ჩამოგახჩობთ და ოქვენს გვამს ძალებს გადავუგდეთ.

— ზეგ დილით? — გაილიმა კვაჭიმ: — ზეგ დილით? კეთილი. ვნახავთ, ზეგ ვინ ვის ჩამოახჩობს.

— რაო? იმშქრებით კიდევაც?! ვითომ რის იმედით?

— მაგაზე ზეგ მოვილაპარაკოთ. ოლონდ ზევ ათ საათამდე მაცოცხლეთ და მერე თქვენ თვითონ ჰნახავთ. ეხლა კი გეახლებია. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

პავლოვს ზრდილობიანად თავი დაუკრა და საკანში ღიამილით დაბრუნდა.

კვაჭის მეორე დღეს ჩენება აღარ ჩამოართვეს. მესამე დღეს, შუალამემ რომ მოატანა, სამივენი სამხედრო სამართალის წინაშე წააყენეს. კვაჭის ვექილად ვიღაც კაპიტანი მიუჩინეს.

ათ წუთში ოქმი წაუკითხეს და მერე სამივეს ურჩიეს:

— გამოტყდით დანაშაულში.

— არასოდეს!. — მკვახედ უპასუხა კვაჭიმ.

ისაკამ და რებეკამ ყველაფერი გადმოალაგეს, მერე ატირდნენ და მუდარა დაიწყეს.

— აქედან რომ სტოკოლმში ჩახვედით, ვინ დაგიხვდათ სადგურზე? — ჰკითხეს კვაჭის.

— არავინ.

— ვისგან მიიღეთ მეორე დღეს ჩეკი № 137429 ერთი მილიონი კრონის?

— არავისგან.

— აი, თქვენი ხელმოწერილი ჩეკი. გამოტყდით.

და წარუდგინეს ფოტოგრაფიული სურათი-ჩეკი წარწერით: „მივიღე. თავადი კვაჭანტირაძე“.

აილეწა კვაჭი. შაინც თამამად მიახალა:

— ყალბია!

ნახევარ საათში ყველაფერი გათავდა. უკბილო გენერალმა — თავმჯდომარემ განაჩენი წაუკითხა:

— თავად კვაჭანტირაძეს, ისაკა იდელსონს და რებეკა იდელსონს აეყაროს ლირსება-უფლება და მიესაჯოს ჩამოხჩობა.

და მაშინ დარბაზიდან გაიპარნენ. რებეკამ შეჰქივლა და ჩაიკეცა. ისაკას ხმა არ ამოულია, მაგრამ იმანაც უმაღლ გრძნობა დაჰკარგა. კვაჭი კვაჭანტირაძემ ფერი შეიცვალა, მაგრა წარბიც

არ შეიხარა. დარბაზს თვალი გადაავლო, თავისს ამხანაგებს და ელენეს გაულიმა და დაუძახა:

— ნახვამდის, მეგობრებო! ზეგ დილით გნახავთ.

ბესო ელენეს ასულიერებდა. დანარჩენებს იმ დარბაზის კიდევბის ფერი ედოთ.

კვაჭი პეტრე-პავლეს ციხეში გადიყვანეს და ნესტიან საკანში შეაგდეს.

რკინის სკამზე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა.

ამ ფიქრში ერთი დღე და ლამე გავიდა და მეორე ლამეც მიიწურა.

რაო, რა სთქვა უკბილო გენერალმა? თავადი კვაჭანტირაძე უნდა ჩამოახჩინს? სილიბისტროს შეილი კვაჭი?! კვაჭიკო?!

გულში გაითიქრა:

— აჲ, მაი სისულელეა, მეტი აფერი!

გულში ჭინქა ჩაუჯდა, შიგანი დაუკარია და ჩაიხითხითა:

— ვითომ რაო, ვერ გაგიბედავენ?

— მე გამიბედავენ?! მეფის ნათლულს, ტახტის მარჯვენას!

— ხი-ხი-ხი! — გულიანად აწრიანდა ჭინქა: — ერთხელ მაინც სთქვი მართალი შენივე სინიდისის წინაშე. ეხლა ვიღას ერიდები? აბა, გაბედე... დაიწყე, ნუ ხარ მუდმივ გულჩახვეული. აბა, გადაუშალე შენსავე თავს შენი დახვეული გული. შენა ხარ მეფის ნათლული? შენ ემსახურებოდი ტახტს ერთგულად?

— დემირ-თეფეს გორა? ვინ გადაარჩინა იმდენი ხალხი სიკვდილსა და სირცხვილს?

— მე, მე გადაერჩინე! დიალ, მე! ხორცი შენი იყო, სული ჩემი. ქუდ-მოგლეჯილი მორბოდი. შიშისგან გული მიგდიოდა. მე ჩაგიჯექი სულში და აგიყვანე დემირ-თეფეს თავშე. შენი გმირობა მთელმა ქვეყანამ გაიკვირვა, რადგან კარგად გიცნობდნენ და შენგან ისეთს თავგანწირულებას არ მოელოდნენ. სხვებზე უფრო შენვე გაოცებდა შენი ნამოქმედარი

— ვინ ოხერი ჰედიხარ, რომ ჩემს გმირობას იჩემებ?

— მე? ხი-ხი! აქიმდის არ მიცნობ? გთხოვთ მიცნობდეთ: მე გახლაერთ კვაჭი კვაჭანტირაძე, სილიბისტროს შეილი.

— ნუ სულელობ! კვაჭი მე ვარ.

— მეც კვაჭი კვაჭანტირაძე გახლავარ. არც აშორდიას ნააზნაურალი ვარ, არც ნათავადარი, არც ნაკამერ-იუნკრალი, არც ჯიბირი, არც ალფონსი, არც მოლალატე.

— რას ჩამაცივდი? რა გინდა ჩემგან?

— მინდა ერთხელ მაინც გავიგონო შენგან მართალი სიტყვა.

საცაა ჩამოგახმობენ. ეხლა მაინც ნუ ორპირობ.

— გამანებე თავი! რაც იყო-იყო! რა ოხრად გინდა სიმართლე? მართალის თქმა ყველის შეუძლიან, — ტუტუცს, ველურს და ძუძუ-მწოვარსაც.

— წრფელი გული?

— წმინდანი ხომ არ ვარ!

— ერთგულება?

— ნიკოლოზის და გრიშკას ერთგულება?! ჯერ არ გავგიუ-ბულვარ.

— ეხლა ხანს რომ პირი იბრუნე, იმ ხალხს ერთი გული მიუ-ტანე?

— ხმა! კრინტი! დამეკარგე აქედან!

და გამწარებული კვაჭი თავისს ორეულს დაეძგერა, მაგ-რამ მხოლოდ ჰაერს დაეტაკა.

— ხი-ხი-ხი! — გულიანად ჩაიხითხითა ჭინკამ და კარების ვიწრო ნაპრალში გაიძურწა.

კვაჭიც კარებს ეცა და ორივე მუშტი დაუშინა:

— ზავი თებე? ზავი სტუჩიშე?

— პაპიროსი! ჩქარა ერთი პაპიროსი!

— ზავი?

— ერთი პაპიროსი... ერთი მაინც.

დარაჯი უსიტყვოდ მოტრიალდა და არხეინად აბაკუნდა.

კვაჭი მოტრიალდა და გრიგოლ რასპუტინს წააშებდა. წმინდანი სისხლიან თავს აცანცარებდა და ამბობდა:

— ეგრე გადამიხადე მადლი?..

გაფითრებული კვაჭი ჯერ კედელს მიეხეთქა, მერე წმინდანს ეცა, მაგრამ კვლავ ჰაერს დაეტაკა. საკნის ჯურლმულიდან ვერა სი-დოროვამ ამთანათა, მერე ვოლეკოვის ქვრივმაც გამოჰყო თავი, მათ მოჰყვნენ ტანია, ელენე, ლედი ჰარვეი, ლორდი ბროუქსტონი, სო-ფიო შივაძე, ინსპექტორი ჰოთშტეინი. ნადია არმელაძე, ვერა კა-ლოშვილი და კვაჭის მრავალნი უცმობ-ნაცნობი მსხვერპლნი. ყველა-ნი მიესივნენ კვაჭის — ჯერ ცალკ-ცალკე და მერე ერთად. ზოგნი აქეთ ეწეოდნენ, ზოგნი იქით, ზოგნი კიდევ აფურთხებდნენ, სწერავ-დნენ, ხარხარებდნენ და გაჰკიოდნენ:

— ეგრე გინდა! ეგრე გინდა! დღეს ჩამოგახმობენ! ჩამოგახმო-ბენ! ახია შენზე! ახია, ახი!

კვაჭი ხან ერთს ეცემოდა, ხან მეორეს გამოუდგებოდა, ხან მესამეს წააქცევდა და ზედ დააჯდებოდა. მერე ციბრუტივით დატ-რიალდა და ხელებისა და ფეხების ქნევით აყვირდა და აღრიალდა:

— მიშველეთ! მიშველეთ!

— ყავი ირეშა? — ჰერთა საკანში შემოსულმა დარაჯმა.

პირგათეთრებული და ხელებ დასისხლიანებული კვაჭი უგონდ ეგდო რეინის საწოლზე. ცივმა წყალმა და ყურების დასრულებული კვაჭი მოასულიერეს.

— ნუ ჰყვირი, ყვირილით ვერაუერს გაიტან. ერთი საათიც მოითმინე და მერე ყველაფერი გათავდება... — დინჯად ურჩია დარაჯმა და გავიდა.

კვაჭის თანდათან დაუმშვიდდა და მოულბა აზვირთებული სული.

კვლავ ჰერთობდა:

— მაშ უნდა ჩამომახჩონ?.. ამხანაგები არ მიშველიან? დროზედ არ დაიწყობენ? იქნება დაიგვიანონ? მაშ... ნუ თუ?.. სისულე-ლეა! ვერ დავიჯერებ, ვერა! როგორ გაპბედავენ! ალბათ მაშინებენ... ჩემი მოდრეება უნდათ, თვარა... ვინ იცის... იქნება ეხლა სახ-ჩობელასაც აშენებენ... ღმერთო დიდებულო! ღმერთო ძლიერო!

და ღმერთი რომ ახსენა, სულში უხილავი ვინმე ჩაუფრინდა:

— მოვიდა უამი აღსასრულისა. მოინანე შეცოდებანი შენი. საკაა წარსდგები წინაშე უფლისა შენისა.

კვაჭი გაირინდა. აყუჩებული გული უხილავს მისცა და გაპყვა. უცებ მიპენედა და გაიგო, რომ ერთი ან რამდენიმე საათის შემდეგ კვაჭი ამ ქვეყნად ალარ იქნება. კვაჭი მოკვდება... საუკუნო წყვდი-ადსა და არარაობაში გადასახლდება... იქ არც წყვდიადი იქნება, არც დრო, არც სივრცე... არც არარაობა... მაშ რა იქნება?.. არა-რაობა? მაშ რაღაც ყოფილა, რაყი არარაობა იქნება... მაშ მეც იმ არარაობაში ვიცხოვრებ... მაშ... რაო, ალარც მე ვიქნები?! რა სი-სულელეა! რა უაზრობაა! კვაჭი არარაობაშიც ალარ იქნება?! ეს ხომ სრული უაზრობაა! შეუძლებელია!

— იქნები! — ტკბილად ჩასჩრუჩულებს უხილავი: — შენ უკვდავი ხარ... აღამიანი უკვდავია, მარადიულია... მე წაგიყვან „იქ... იმას-თან“, და შენი სიცოცხლეც იქნება მარადიული, მუდმივი... უკუნითი უკუნისამდე.. ილოცე და მოგეტევება... შეპლალადე და მოგენიჭება.

— მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა!... — გულის თრთოლ-ვით წაიჩურჩულა კვაჭიმ და ხელები აღაპყრო ზეცით: — რომელი ხარ ცათა შინა... წმინდა იყავნ სახელი შენი; მოვედინ სუფევა შენი; იყავნ ნება შენი...

უცებ ლოცვა შესწყვიტა. აღარ იცოდა, ვისთვის ან რა უნდა ეთხოვნა. დამბალი გული ისევ შეიკუმშა და გაკაუდა. უხილავიც სულიდან ამოუფრინდა.

— აჲ, სისულელეა მაი! — წაიბურტყუნა კვაჭიმ და გაგიუებულ მხეცივით გალიაში დატრიალდა. მერე ისევ კარებს დაეძერა:

— პაპიროსი! თუნდ ერთი პაპიროსი! ერთ პაპიროსში, რაც გინდა, მომთხოვეთ.

დარაჯმა მხოლოდ ერთი სიტყვა გამოსწურა უკბილო ორმო-დან:

— ყიცას.

და ისევ არხეინად აბაკუნდა. .

ათი წუთის შემდეგ რეინის რაზამ დაიჭახუნა და ნაჭელმა კა-რებმა დაიჭრაჭუნა.

ბებერ დარაჯს, უბრალო და უთვალო ინვალიდს, ერთ ხელში პაპიროსი ეჭირა, მეორეში მარწუხი.

შავი ორმო-პირი ააცმაცუნა და ძლიერ წამოაგდო:

— ჯერ კბილი მომეცი.

— რაო? რა სთქვი?

— კბილი მომეცი მეთქი.

კვაჭიმ საკანი მოათვალიერა:

— კბილი? რა კბილი? რომელი კბილი?

— შენი კბილი, შენი ოქროს კბილი.

— ხომ არ გაგიუებულხარ!

— მე? არა. მე სრულ ჭკუაზე ვარ.

და ორმო-პირი ისე დაიღრიცა, თითქოს გაიღიმაო, და ლო-ბიოს ოდენა ნაცრის ფერი თვალიც ჩაბეჭუტა.

— ახალი ხარ, იმიტომ არ გვსმის. რად გინდა ოქროს კბი-ლი? თან ხომ არ წაიღებ? სულ ერთია, ერთი საათის შემდეგ ჩა-მოგახმობენ.

მერე?

— მერე და, რად გინდა მეთქი ოქროს კბილი? საიქიოს ხომ არ წაიღებ? ი-ი-ი-ჲ, ვინ იცის, რამდენს დავაძვრე ოქროს კბილი აი, ამ მარწუხით. ჯერ გაოცდებიან ხოლმე, მერე კი დამნებდებიან. ნუ შეშინდები, კბილების დაძრობაში გამოცდილი ვარ. ისე ამოვგლიჯ, რომ ვერც კი გაიგო.

— ერთ პაპიროსს აგრე ძვირად ჰყიდი?

— ზოგს პაპიროსს ვაძლევ, ზოგჯერ კი... უკანასკნელ წერილს — გამოვართმევ და მშობლებს გავუგზავნი.



- გამოართოვ და დაპირებ. სულ ერთია, ვერავინ გაიგებს.
 - ჩი-ჩი-ჩი! — შიშით წაიჩურებულა მოხუცმა, ორმო-პირი ააც-
მაცუნა და პირჯვარი გადიწერა: — ღმერთმა დამიფაროს! ღმერთმა
დამიფაროს მაგ კოდვისგან! უკანასკნელი წერილი ისეთი წმინდა
რამ არის, რომ...

— მაშ ჩემ ტერილსაც გაჰვზავნი?

— მაშ! მაშ! დაგმარხავთ თუ არა, ჯერ ეკლესიაში შევალ და შენთვის ვილოცებ, მერე კი წერილს ფოსტის ყუთში ჩავაგდებ.

კვაჭის თვალები უბრწყინავდა და იმის აქაფებულ ტვინში
აზრი ელვის სისწრაფით მუშაობდა.

— კეთილი... თანახმა ვარ... წერილი შენვე მიუტანე მამაჩემს,
ას მანეთს გაჩუქებს... ახლოს სცხოვრობს. მომეცი საწერ-კალამი და
ქალალი.

— Чичас... чичас... — აცქმუტუნდა მოხუცი.

კვაჭი უმალ ტახტზე წამოწვა.

მოხუცმა ფანქარი და ქალალდი შემოიტანა.

— დადე მაგილაზე! — არხეინად უთხრა კვაჭიმ.

მოხუცი საკანში შემოვიდა და კუთხისკენ წავიდა, სადაც კი-
დელზე რკინის პაწაწა მაგიდა იყო მიურული.

იმავ წამს ტანტიდან ველებმა იხტუნა. საკანში გაისმა მოკლე ხრინწი: „ხეთ..“

კვაჭიმ მოხუცი თვალის დახამძებაზე ზურგით ზურგზე მოიგდო, მარჯვენა ხელი უკან გადაიგდო და დირიჯეს ყელზე გადააჭდია, მარცხენაც უკან გაიტარა და მოხუცის ატლინკებული ფეხები მობლუჯა. კარგა ხანს იდგა წაკუზული კვაჭი, კარგა ხანს ეკიდა ზურგზე წელში გადაზნექილი გაგუდული მოხუცი. მერე ტახტზე ჩამოუშვა და ფოლადის თითები ყანყრატოში წაუჭირა.

გატიკული მოხუცი გაყინულ ლობის თვალით ჩატებით შეცვეროდა კვაჭის, თან მოღრეცილ ორმო-პირით ჰკეირობდა კვაჭის უმაღლერობას.

ხუთი წუთის შემდეგ დარაჯის ტანისამოსში გადაცმული კვა-
ჭი ფეხაკრეფით მივიღა ეზოს კარებთან.

ბინდი უკვე გატეხილიყო. ჰყინავდა. ეზოში ავტომობილი შემოცურდა, გაჩერდა და გრიალი ასტება. ავტომობილიდან ქურქში გახვეული სამხედრო კაცი ჩამოხტა და ციხის კანცელარიაში შევიდა.

კვაჭიმ წუხანდელი ბრალმდებელი იცნო, რომელიც კვაჭის
სიკვდილს მოითხოვდა.

ავტომობილი მოტრიალდა და ისევ იქვე გაჩერდა.

შოთერიც ჩამოხტა და ყაზარმაში შევიდა.

კვაჭიმ თავი დაპლუნა და სირბილით ეზო გადასჭრა.

ერთი წუთის შემდეგ ის ავტომობილი ალაყაფის კარებისკენ დაიძრა. ნამდინარევმა დარაჯმა კარები მაშინვე გაალო და მხოლოდ შემდეგ მოიფშვნიტა თვალები.

ეზოში ჩინჩქოლი ასტყადა. ქუდ მოგლეჯილი შოთერი ხელების ქევით და ყვირილით მორბოდა:

— დაიჭირეთ! ესროლეთ!

ავტომობილმა თვალის დახამხამებაზე გადაირბინა სამების ხიდი; მერე ისარივით გადასჭრა მარსის მოედანი, ახლო-მახლო ხვეულებში შეერია და ერთ კუთხეში გაჩერდა. კვაჭი გადმოხტა, სირბილით მიუხვ-მოუხვია, ამხანავების ბინაში შევარდა და დაიძახა:

— ამხანავებო! ადექით! წამოდექით! ჩქარა, ჩქარა მეოქი!

ჩაუცმელნი, დაფეთხებულნი და დარეტიანებულნი მეგობრები უმაღ გარს შემოეხვივნენ დედაბოძივით აშოტილ ბელადს, რომელიც იმ წუთში ისევ ისე გამოიყურებოდა, როგორც დემირ-თეფეს სერჩე.

— მე ჩემი დაპირება შევასრულე და დანიშნულ დროს დანიშნულ ადგილზე მოვედი.

— გაუმარჯოს რევოლუციის ბელადს! გაუმარჯოს! — ერთხმად შესძახა ჯარმა.

— მოვიდა დღე განკითხვისა. იარაღი აისხით!

ათი წუთის შემდეგ ყველანი ყელამდის იარაღში ისხდნენ.

— დაუძახეთ დანარჩენებაც!

ნახევარ საათში კვაჭის სინკლიტმა ბელადის გარსშემო მოიყრა თავი. ერთ ხანს სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ჯერ კვაჭიმ საზარელ ჩურჩულით ერთად ერთი სიტყვა გადმოაკდო:

— და-იწ-ყეთ!

ეს ამბავი მოხდა 1917 წ. 26 თებერვალს.

აუსტერლიცის დილა იყო.

ორი მარადიული მტერი პირისპირ შეჭხვდნენ ერთმანეთს.

იმ დღეს კვაჭიმ საქმითაც საესებით გაამართლა თვისი ლირ-სეული წინამორბედი ნაპოლეონი, რომელსაც ათიოდე წლის წინათ უნებურად სახელი მოჰპარა.

არასოდეს არც ერთ სარდალს არ გაუცია ისეთი მოკლე, მრისხანე და მკაფიო ბრძანება:

— დაიწყეთ!!!

ეს იყო და ეს. მეტი არაფერი.

მაგრამ ამ ერთ სიტყვას უმაღლითო კატასტროფა: იმავ დღეს ძველს, დახავსებულს, დამპალსა და ფუტურო იმპერიას თავს დაატყდა უმაგალითო რისხია და მეხი.

ის უუზარმაზარი შენობა, რომელიც ათას წელიწადს ათასი მილიონი კაცის ოფლით და სისხლით აშენდა, უცბად შეირყა, საზარელ ჭექა-ჭუხილით ჩამოინგრა და მისი ბინადრები, მცველი და დარაჯნი ქვეშ მოიყოლა.

ასე დააფასა კვაჭიმ შავი მაღლი და ასე გადაუხადა ვალი უმაღურ იმპერიას, რომელმაც თვისი ბედოულათობა და პოლონეთის მინდვრებზე დამარცხება კვაჭის დააბრალა იმ საბაბით, ვითომ კვაჭის რუსეთის ჯარისთვის ამერიკიდან უვარვისი, ყალბი ყუმბარები ჩამოეტანა.

ასე ადვილად დაივიწყეს ზემოურებმა კვაჭის დაუფასებელი და განუზომელი ლვაწლი: კავკასიონის დამშვიდება, გრიშკა რასპუტინის გადარჩენა ათას ხითათისგან, ჯარების ჩაცმა და შემოსვა, უუზარმაზარ ტაძრის აშენება, ხუთიოდე კონცესიის განაღლება, მეფის გამაგრება ტახტზე, რუსეთისთვის სახელის მოხვეჭა ევროპაში, „კეთილი სამარიტელის“ უსაზღვრო ლვაწლი, დემირ-თეფესთან რუსეთის დროშის გასხივოსნება, უიაროლო და უუმბარო ჯარის შეიირალება და ათასი უთვალიავი მაღლი, რომელიც კვაჭიმ მომაკვდავსა და უმაღურ რეების დასდო.

მაგრამ უმაღურობა მარტო გარდაცვალებულთა ხევდრი არ ყოფილა. ეს სენი თურმე დღევანდელ თაობასაც სჭირვებია.

წაიკითხეთ ახალი დროის ისტორია—დაბეჭდილი და დაუბეჭდავიც. ვერც ერთ წიგნში, გაზეთში ან ხელთნაწერში თუნდ ორ სიტყვასაც ვერსად ამოიკითხავთ კვაჭი კვაჭანტირაძის ლვაწლის შესახებ რუსეთის დიდს რევოლუციაში. მართალია, ისტორიკოსები ადასტურებენ—ისიც მხოლოდ კერძო ბაასზი—კვაჭის დამარებას ფულით და რჩევით, მაგრამ გადაკრით უარპყოფებ უუმთავრესს: ვითომ აჯანყების ნიშანი კვაჭის მიეცეს და დაუვიწყარი ბრძანება გაეცეს:

— დაიწყეთ!

მაგრამ პირუთენელი მომავალი თაობა აღმოაჩენს ასეთ შავს უმაღურობას, მოსპობს საარაკო უსამართლობას და ლირსეულ ადგილს მიუჩენს 26 თებერვლის ნამდვილ ავტორს, რომელმაც შეამზადა იგი დღე და ამიერიდან დაუვიწყარი ბრძანება სწორედ თავისს დროზე გასცა. დიალ, თავისს დროზე,—არც ერთის საათით ადრე და არც გვიან.

ხოლო დღევანდელ თაობისგან კვაჭი აღარ ელის თავისი ღვა-
წლის მიუდგომელ დაფასებას, რადგან ბევრი პირადი მტერი ჰყავს
კვაჭის.

რას იზამ! ბედი აღარ სწყალობს საწყალ კვაჭის!

მაინც, რამდენიც უნდა ილაპარაქონ კვაჭის მტრებმა, ერთი
რამ არის ცხადი და უეჭველი: 1917 წელს 25 თებერვალს დილით
კვაჭიმ ლაკონიური და კატეგორიული ბრძანება მისცა თავისს შტაბს:
—დაიწყეთ!!!

და დაიწყო.

ამას ადასტურებს ყველგან და ყოველთვის კვაჭის შტაბი: ბე-
სო შიქია, ლადი ჩიკინჯილაძე, ჭიპი ჭიპუნტირაძე, ჯალილ ემინ
ოლლი, სედრაკ ჭავლაბრიანი და გაბო ჩხერბიშვილი.

კარი მეექვსე.

აქა ამბავი რევოლუციის დამცველთა საზოგადოებისა
 და თავისუფალ სოციალისტების პარტიის და რსებ სა.

— დაიწყეთ! — ბრძანა კვაჭი კვაჭანტირაძემ 27 თებერვალს
 დილით, მერე სავარძელში ჩაჯდა და ტელეფონს დასწევდა.

ორი დღე და ღამე კვაჭი იმ სავარძელს და ტელეფონს არ მოჰ-
 შორებია. მისი ამხანაგები ქვეყნის რღვევას და სისხლის ლვრას ხან
 ალიაგაფის კარებიდან უყურებდნენ, ხან ფანჯრებიდან გაიხედავდნენ,
 ხან ცხვირს ქუჩაში გაჰყოფდნენ, ხან კიდევ, — როცა ახლო-მახლოს სი-
 ჩქმე ჩამოვარდებოდა, — ქუჩის კუთხემდის მიიპარებოდნენ, მავალებს
 გამოჰკითხავდნენ, პატარს დაპუნავდნენ და ამბებს ბელადს მი-
 უტანდნენ.

ჭიპი ჭიპუნტირაძე წამ-და-უწუმ კვაჭისთან ქუდმოგლეჯილი
 შევარდებოდა ხოლმე და თმების გლეჯით აპეივდებოდა:

— დევილუპეთ!.. გვაჯობეს!.. თავს უშველეთ!

ბესო ლიმილით შემოვიდოდა და დინჯად იტყოდა:

— ნუ სცხარობ, ჭიპი! ყოლიფერი კარგად მიდის. ალბათ
 გევიმარჯვებთ.

ჯალილა ფანჯარას არა ჰშორდებოდა და ზოგჯერ კვაჭის
 ეტყოდა:

— ზალიან ბოვრი ჯარი მიდის. ხველანი ისინიან, ალბათ ფა-
 დიშაპის საქმე სუდათ არის.

— ვაა, ალარ გათავდა?! — გული მისდიოდა სედრიაქის: — მე კი
 ჩემი დამემართა და! აფსუს ეხლა, ჩემო სილნალო!

მესამე დღეს ბესომ თავი ჩაპლუნა და ნახევარი ქალაქი მოირ-
 ბინა. მერე დაბრუნდა და კვაჭის მოახსენა:

— ყოლიფერი გათავდა. გევიმარჯვეთ.

კვაჭიმ ამხანაგებს ორი დღის ნასაზრი დალაგებით უამბო და
 თავისი ახლად მოქსოვილი ბადე გადუშალა. მერე წამოდგა და სოქვა:

— აპა, აწი ნამდვილად დევილუპოთ. მომყევით!

წავიდა და თავით ფეხებამდის იარაღში ჩამსხდარი ამხანაგებიც.
 გაიყოლა. ჯალილა წინ მიდიოდა და უუზარმაზარსა და უცნაურ

დროშას მიიძლოლებდა. კვაჭის ამხანაგები მარდად და მტკიცედ მიაბიჯებდნენ და ჰყიოდნენ:

— მოქალაქენო, მოგვყევით! შეასრულეთ თქვენი ვალი! გაუმარჯოს რევოლუციას! ძირს ტირანია და მონობა!

კვაჭიმ თავისს რაზმში უცებ თვალი მოკრა აგენტს ბეკარევს, რომელმაც ხუთი დღის წინად კვაჭი დააპატიმრა. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და ისე გაულიმეს და გაუცინეს, როგორც საუკეთესო მეცნიერებმა. კვაჭიმ მაშინვე შენიშნა, რომ ბეკარევი ყვირილით ყელს იხლეჩდა.

ერთი საათის შემდეგ კვაჭი კვაჭანტირაძის მეთაურობით თავრიდის სასახლეს ორი ათასი კაცი მიიღება. ქუჩაში მოგროვილ ბრძოს წინ დარაჯები გადაელობნენ, მაგრამ კვაჭიმ და ამხანაგებმა ცილინდრიან დარაჯებს შეუტიეს, შეჰქივლეს, ფეხები დაუთათხანეს, იარაღი ააეღარუნეს, „რევოლუცია“ ახსენეს, ხალხის სახელიც მოიშველეს და ფახით, ზავთით, რიხით და მუქარით თეთრ დარბაზში შეცვიდნენ.

— წამებულ ხალხისა და წმინდა რევოლუციის სახელით ავედი თავისუფლების საკურთხეველზე... — დაიწყო კვაჭიმ და ისეთი ცხარე სიტყვა სთქვა, რომ მთელ სასახლეს ცეცხლი მოუკიდა და ცრემლი დაალევრევინა. ბოლოს, ის სიტყვა ისე დაასრულა: — რევოლუციამ ამ დარბაზს შეაფარა თავისი წმინდა თავი და ჩვენც აქ უნდა დავბინავდეთ. ჩვენ მას თავს ვერ დავანებებთ და იმის დაცვას ვერავის მიენდობთ. ამხანაგებო, მართალს ვამბობ თუ არა? — მიუბრუნდა კვაჭი თავისს პარტიას.

— მართალია! მართალია! — გრგვინვით დაუდასტურა ორმა ათასმა ყანყრატომ.

ერთი საათის შემდეგ ის ბრძო, როგორც მოგროვდა, ისე დაიშალა, ხოლო კვაჭიმ და ამხანაგობამ თავრიდის სასახლეში ხუთი ოთახი დაისაკუთრეს, ავეჯეულობით გაავსეს და აქა-იქ თითით ნაჯლაბნი ასეთი განკუადებანი გააკრეს: „რევოლუციის დამცველთა და დამხმარეთა საზოგადოება. მიღება წევრთა და შემოწირულებათა“.

დიდი კაბინეტის კარებზე წარწერეს: „გამგეობის თავმჯდომარე“ მეორე ოთახში ბესო შიქიას მაგიდის თავზედაც გააკრეს: „მანდატებისა და ნებართვების განყოფილება“, ხოლო აქა-იქ ხელის გულის ოდენა წარწერებიც მისჯლაბნეს: „თავისუფალ სოციალისტების პარტიის მთავარი კომიტეტი“.

სედრაკ პ კლაბრიანი სალაროს მიუჯდა, ჭიპი ჭიპუნტირაძემ საზერავი თანამდებობა იყისრა, ლადი ჩიკინჯილაძემ — მდივნობა,

გაბო ჩხერიშვილმა — მომავალ საწყობების გამგებლობა, ხოლო თოფით, მაუზერით და ხანჯლით შეიარაღებული ჯალილ ემინ ოლოი კვაჭიმ კაბინეტის შესავალში გაიჭიმა. ბეკარევმა ჯერ პატაწა საქმეც იქმარა: პარტიის მაგიდას მიუჯდა და წევრების ჩაწერა ითავა.

რამდენიმე დღის შემდეგ მუშაობა ისე გახურდა, რომ ამხანაგები ოფლში იწურებოდნენ, დღე და ღამეში თხუთმეტ საათს მუშაობდნენ და ძლიერ ასწრებლნენ უცნაურ და ასნაირ მანდატებისა და ნებართვების წერას, შემოწირულებათა მიღებას და ფულის თვლას. ცხრა კლიტით დაკეტილი მინისტრების კარებიც კი კვაჭისთვის მუდმივ გაღებულია. დაუკითხავად შევა კვაჭი კვაჭანტირაძე დიდებულის ოთახში, თამამად ჩამოჯდება, ფეხს ფეხზე გადაიღდებს და დაუდევრად, მაგრამ მტკიცედ და ფახით მოჰყვება:

— რევოლუციის დამცველთა და დამხმარეთა საზოგადოება და თავისუფალ სოციალისტების პარტია, რომელსაც უკვე ოთხასამდის განყოფილება აქვთ და ორ მილიონამდის წევრი ჰყავთ, დღე და ღამ ფხიზლობენ და ხალხს დარაჯად უდგანან. მაგრამ ჩვენ გვაკლია ტანთსაცმელი, საკვები, იარალი და... ფული. საზოგადოება დაეინებით გთხოვთ, მოქალაქე მინისტრო, რო-ო-ომმ...

და სწორედ ამ დროს მოხსენებას წინ დაუდებს, თანაც ისე-თის რიხით იტყვის „რომ“-ს და ისე გადახხედავს მინისტრს ან დიდებულს, რომ ის ხელისუფალი ქადალდს წ-უკითხავად უმალვე წააწერს: „მიეცეს.“

კვაჭის და ამხანაგობასაც დღითი-დღე მიეცის და მიემატებოდის. საზოგადოება და პარტია მალე ვაფართოვდნენ, გაიზარდნენ და გაიბერნენ. წევრთა რიცხვი „ხუთ მილიონამდე ავიდა,“ გამგეობის კანცელარიაში სამოცი მოსამსახურე მუშაობდა, ხოლო საწყობებში — ორასამდის. სალაროსთან ფულის შემტანთა კუდი თოხჯერ იყო შემოხვეული, ხოლო მანდატების განყოფილების კარებთან ზოგჯერ ასი კაციც მოსჩანდა.

კვაჭის პარტიამ თანდათან ისე გაშალა ფრთები, რომ მისი მარცხენა ფრთა მალე არხანგელსკს მისწვდა, ხოლო მარჯვენა — ტფილის მიებჯინა, მისი ნისკარტი ვისლას სწვდებოდა, ბოლო კი ვლადივოსტოკში ჰქონდა. ქვეყნის კოველ კუთხიდან შემოწირულებათა ნაკადულები დაიძრნენ, რომელნიც დიდ მდინარეებად შეირთდნენ, ხოლო იმ მდინარეებმა პეტერბურგში მოიარეს თავი და ისეთ ღვართქაფთან ნაკადად დაეტაქნენ კვაჭის სალაროსა და ჯიბეს, რომ კვაჭიც და ამხანაგობაც იმ ზღვაში კინალამ დაიხსნენ.

აგენტმა ბექარევმა მეორე საქმეც იქისრა: ისევ თავისს ადრინ-
დელ ხელობას გაჲყვა და ჭიპი ჭიპუნტირაძეს თანაშემწედ დაუდგა.

— ყოლიფერს ნუ ანდობ, მარა ნურც ძან მოერიდები. შესა-
ნიშნავი ჯაშუშია. თუ საჭირო გახთა, კოხტა პროვოკაციასაც გაა-
იმასქნებს. მეიხმარე, გამოსადევი კაცია, —უთხრა კვაჭიმ ჭიპის,
როცა ბექარევი გადასცა.

უანდარმი პავლოვი სწორედ იმ საკანში ჩ მჯდარიყო, სადაც
კვაჭიმ საზარელი და დაუვიწყარი ღამე გაატარა.

ერთხელ კვაჭიმ რებეკა და იდელსონი გაიხსენა და ბექარევს
მათი ბედი გამოჰკითხა.

— ისევ სხედან.—მიუგო ბექარევმა: —სხედან და თქვენგან
წყალობას ელოან.

— ჩემგან? მე იმ ჰარამზადებმა გამცეს და ისევ მე უნდა და-
ვეხმარო?

— არა, ევრე არ არის. — გაილიმა ბექარევმა: — აქამდის უნდა
მეთქვა, მაგრამ დრო ვერ ვიხელთე. თქვენ სხვამ გაგუათ. გამო-
იცანით.

— გინცმა?.. კუნლმანმა?.. ხაინშტეინმა?.. მაშ ვინ, ვინ გამცა?

— ან გინცმა, ან სხევბმა თქვენი საქმისა რა იცოდნენ? მო-
გახსენებთ. აქ ერთი ბანკირია, გვარიად... განუსი. თქვენი ამხანაგია,
რომელიც თურქესტანის კონცესიით გაამდიდრეთ.

— მერე? მერე?

— ოდესალაც იმის ცოლთან, რომელიც თქვენი... ისა... რა
ჰქვიან...

— საყვარელი ჰქვიან, საყვარელი! მერე?

— დიალ... თქვენ თურმე ცოტაოდენი ფული ისესხეთ იმის-
გან და...

— და არ გადავიხადე. მერე იმ ბებერმა რა იცოდა, საიდან
გაიგო?

— ჰმ! ის ბებერი გერმანელთა აგენტად ითვლებოდა პეტერ-
ბურგში, და იმავე დროს ჩვენი აგენტიც იყო. აქედან სტოკჰოლმში
ხშირად დადიოდა და ჩვენ მტრებს ჩვენი დავალებით ყალბ ცნო-
ბებს აძლევდა, იქიდგან კი ნამდვილი ცნობები მოჰქონდა.

— ვითომ?

— რა თქმა უნდა, ნამდვილად, მგონი, პირუკულმა ხდებოდა.

— აჲა. ზესმის, ეხლა კი მესმის. ბებერო განუს, ვი შენი ბრა-
ლი, თუ ხელში ჩამივარდი! კეთილი... მადლობელი... ისაკა და რე-
ბეკა?

— ისინიც განუსმა დააბეჭდა. რებეკას და ისაკას თქვენი სახელი ჩვენ ვათქმევინეთ. ნუ გაუწყრებით. რკინაც რომ ყოფილიყო, პავლოვი მაინც გასტეხდა.

— კეთილი... მოვითიქრებ. მადლობელი...

იმავ დღეებში კვაჭის კაბინეტში ბებერი მელა გინცი შემოძრა და დაიკავდა:

— ვინც ძევლი ჩხუბი გაიხსენოს, ორივე თვალი დაეთხაროს. თავადო, შევრიგდეთ!

— შევრიგდეთ,— ღიმილით მიეგება და დაეთანხმა კვაჭი:— დაბრძანდით, ჩემო ძევლო მეგობარო, და მიაშპეთ, რად გარჯილხართ? თქვენ ხომ უსაქმოდ არ გამიხსენებდით?

— რა თქმა უნდა! საწყალი გინცი მხოლოდ საქმისთვის დარბის. შენც გეცოდინება, რომ შენ ეხლა ძალიან დიდი კაცი ხარ (გინც მა სწორედ იმ დღეს შეაპარა კვაჭის „შენ“ „თქვენ“-ის მაგივრად).

— ვითომ? მართლა?

— ვითომ არ იცის! უფრო დიდი ხარ, ვიდრე წინათ იყავი, იყოს წყეული ყოველივე უწინდელი და ძევლი! შენთან ერთი საქმე მაქვს. თუმცა, დაიცა, ჯერ გაჩვენო.

და კვაჭის წინ გადუშალა კვირეული დასურათებული უურნალი.

მთელ პირველ გვერდზე დახატული იყო კვაჭის სურათი ასეთის წარწერით: „რევოლუციის ერთგული მცველი და დაუძინებელი გუშაგი ნ. ა. კვაჭანტირაძე“. იქვე ორ თაბაზზე გაჭიმული იყო მოხერხებულ კნულმანის დაწერილი კვაჭის ბიოგრაფია. კვაჭიმ თვალი გადაავლო იმ წერილს და გაიღიმა. ჯერ ერთი, იმ წერილში არც კვაჭის თავადობა იყო მოხსენებული, არც ფლიგელ-ადიუტანტობა, არც გრიგოლ რასპუტინი და არც ერთი ისეთი საქმე, რომელიც დღეს კვაჭის ავნებდა. მეორე: ხაზგასმით იყო გამოკვეთილი კვაჭის რევოლუციური წარსული, რისთვისაც კვაჭი უცხოეთში გაიქცა. მესამე: კვაჭი რომ უცხოეთიდან დაბრუნდა, კვლავ საიდუმლო მუშაობას შეუდგა, სოციალისტური პარტია დააარსა და საქმე იქამდის მიეიდა, რომ კვაჭის ჩამოხჩობა გადაუწყვიტეს, მაგრამ „კავკასიის ლომმა“ პეტრე-პავლეს ზღუდენი გამოარღვია, შეიდი მოჰკლა, ათი დასჭრა და თავისს საყვარელ საქმეს—რევოლუციას დროზედ მიეშველა.

— კურიანი კაცის დაწერილია ეს წერილი,— სთქვა კვაჭიმ:— ვისია ეს უურნალი?

— უურნალი ჩემია, მაგრამ ამიერიდან ჩვენი უნდა გახდეს. შენ შენი პარტიის და საზოგადოების სახელი მომეცი, მე კი...

— შენ კი (კვაჭიც „შენ“-ზე გადავიდა) მოგების ნახევარს მომცემ, არა?

— მიმიხედი. გათავებულია?

— გათავებულია.

— კეთილი. ამიერიდან უურნალს წავაწერ: „ორგანო თავისუფალ სოციალისტურ შარტიისა და რევოლუციის დამცველთა საზოგადოებისა“.

ხელშეკრულება დასდეს და უურნალს განცხადებანი, ტანი, შინაარსი და ტირაჟი მოუმატეს.

დღე არ გავიდოდა, რომ კვაჭთან ნამინისტრალნი და ნადიდებულარნი არ შესულიყვნენ, წელში ორად არ მოღუნულიყვნენ, შეწირულება არ გადაეხადნათ და კვაჭისთვის მფარველობა და დახმარება არ ეთხოვნათ. კვაჭიმ ის დრო გაიხსენა, როცა რასპუტინის იერუსალემს წასვლის შემდეგ იგი ენა-გადმოგდებული დადიოდა და ამ დიდებულებს მფარველობას სთხოვდა, მაგრამ მაშინ ზოგთ კვაჭისთვის აღარ სცალოდათ, ზოგნი ვითომ სახლში არ იყვნენ, ზოგნი კი კვაჭის ვითომ აღარც კი სცნობდნენ. გაიხსენა კვაჭიმ და ის დიდებულნი სხვებთან შედარებით ისე დაპბევრა და დასტვირთვა „რევოლუციის სასარგებლოდ“, რომ ზოგნი კინალამ წელში გასწყდნენ და გაკოტრდნენ.

განუსთან კი ნ. მდვილი ანგარიშის გასწორება სხვა დროისთვის გ დასდო.

სილიბისტრო, პუპი, ხუხუ და ნოტიო პეტერბურგს ისე შესჩევოდნენ, როგორც უწინ სამტრედიას და ქუთაისს იყვნენ შეჩევულნი. ოთხივენი ევროპიულად იყვნენ გამოწყობილნი და უწინდელზე უარესად იბერებოდნენ, იბლინქებოდნენ და ასე ამაყობდნენ და ბაქიობდნენ:

— გეიბერა ჩემი კვაჭიკო, მეტის მეტად გეიბერა,—ამბობდა სალიბისტრო:—მეშინია, ქე არ გასკრეს კაკალი კაცი, თვარა სხეაფრივ აფერი უშავს.

— აჲ! არ იცნობ შენ კვაჭიკოს!—ამშვიდებდა სილიბისტროს ნოტიო.

— ვენაცვალე ჩემს კვაჭიკოს!—კვლავ იტყოდა უქვე რომოცდათი წლის პუპი, რომელსაც კვლავ პუპიკოს ეძახდნენ:—მაგის დამღუპავი კაცი ჯერეთ არ დაბადებულა, და მერე კი რა იქნება, აიღმერთმა იცის.

— ვენაცვალე ღმერთის მადლსა, — დაამთავრებდა ხუხუ: — იგია კვაჭის და ჩვენი მფარველი, თვარა აქამდის ათჯერ დევილუპებოდით.

ერთ სალამოს ბესომ უთხრა კვაჭის:

— ვინცხას შენი ნახვა უნდოდა. სთქვა: ამელამ რასპუტინის გვამი უნდა დავწევათ და მევიდესო.

— ჟო, მეც გევიგე, რომე იმის საფლავთან სალოცავად დადიან ვინცხა ხულიგნები და უვიცნი. უნდა დავწევათ მართლა, თვარა მეიტაცებენ კუბოს, დოუშუებენ თრევას მთელ რუსეთში და წმინდანად გამოაცხადებენ.

შუალამეს გადასცდა, რომ კვაჭი და ჯალილა ავტოთი მივიღენ ტყის ნაპირას, სადაც ფიჩის და შეშა დაევროვებინათ. მალე კუბოც მოიტანეს და დიდის გაჭირვებით შეშის თავზე შესდეს. მერე შეშას და კუბოს ერთი დიდი ბიდონი ნავთი გადასხეს და ცეცხლი მოუკიდეს. ალმა უმაღ ათასი ენით დაუწყო ლოკეა შეშას და კუბოს. ცეცხლმა მალე კუბოს გაატანა. ირგვლივ შეხრავულ და დამპალ ლეშის სუნი დატრიალდა. ყველამ ცეცხლს იმ მხრიდან მოუკრეს, საიდანაც ლამის ნიავი უბერივდა, და რუსეთის წარსულსა და მომავალზე ბაასი გააბეს.

ცეცხლი თანდათან აგიზგიზდა, აისვეტა და ტყე, პატარა მინდორი და ოციოდე კაცი სისხლის ფერით შეკლება. ალმოსავლეთს მტრედის ფერმა გადაძკრა.

კვაჭი განზე იდგა, ალში გახვეულ კუბოს თვალს ადევნებდა და თავისს წარსულსა და მომავალზე პოიქრობდა. ბურანში წასულ კვაჭის იმ ებას ეგონა, რომ რასპუტინის გვამთან ერთად იმ ცეცხლში მისი ჭრელი წარსულიც იწვოდა, ხოლო იმავ დროს ახალი კვაჭი კვაჭანტირაძე იბადებოდა — რევოლუციის ქარცეცხლში განწვენდილი, ხალხის ხელით მონათლული, მისთვის თავდადებული, ერთგული და პატიოსანი.

ცეცხლი უკვე ჩამქრალიყო. ნაღვერდალს წყალი დაასხეს, ნაცარი და ნახშირი ტომარაში ჩაპყარეს, იქაურობა ხელის გულივით მოასუფთავეს, ნახშირი, ნაცარი და წმინდა გრიგოლის ფერტლი ნევაში ჩაპყარეს და ქალაქში დაბრუნდნენ.

— ბესო! — უთხრა უძილო კვაჭიმ თავისს ერთგულ ამხანაგს: — ქმარა უკადრისი ცხოვრება. მომბეჭრდა. დღევანდელ დღიდან ალარ მომავონო აფერი იმისთანა, რომე ჩირქი მომეცხოს. აწი ყოლიფერი ხალხისაა და ჩვენც უნდა ხალხს პატიოსნად ვემსახუროთ. აი ამბავი დანარჩენ ამხანაგებსაც გადაეცი.

— კაი,— მოუჭრა ბესომ, გულში კი სთქვა:— ნეტი რომელმა ბუზმა უკავინა კვაჭის? ვისიმე ქადაგება თუ მეისმინა და დოუჯერა, თუ ირა... აბ, ვიცი, რომე ხვალამდის ძლიეს გასძლებს, მერე კი დეივიწყებს. ვნახოთ, რაც გამოვა ვინცხა ბერის დარიგებიდან.

აქა ამბაფი პირველ ბრძანებისა, ივლისისა და ახალი ხიდის აშენებისა.

პატაწინა კაცუნები უკვე მორღვეულ უზარმაზარ შენობას გარს დასტრიალებდნენ, ჰუსტონსებდნენ, ხელებით დადიოდნენ, ფეხებით აზროვნებდნენ და დასანგრევად წამოწეულ ყაზბეგის მთას ხელის თითებით ამაგრებდნენ. მაგრამ ყაზბეგს არც სწორედ დგომა ჰსურდა და არც მარჯვნივ გადახრა. მას მარცხნა ფერდი ეფხანებოდა და უინიან ბავშვივით მხოლოდ მარცხნა თეძოზე სცდილობდა გაგორებას. უჯიათი ბავშვი—ისტორია— თითქოს ვერც კი ჰედავდა კაცუნების ზღვას, ცამდის აღმართულს მათი ლეშების მთებს და სისხლის უძირო ღვართქაფს; ის ვერც კი ჰერძნობდა თავისს ფერდებში მიბჯენილ თითებს და მას არც კი ესმოდა ხალხთა ურიაშული, კვნესა, გოდება, შიში, იმედი, უინი და სიხარული. იგი ბრძად და ყრუდ მიაბიჯებდა კუპრის ფერ სივრცეში და არავინ იცოდა იდუმალი გზები მისი ნებისყოფისა და მსვლელობისა.

კვაჭი იდუმალის ალლოთი ჰერძნობდა და ჰედავდა, რომ ბრძანებისუფლება და უჯიათი ისტორია სხვა და სხვა გზით მიდიოდნენ, რომ ისინი ერთმანეთს ებრძოდნენ და რომ ეს უგუნური ბრძოლა გაგიერდულ კაცუნების გასრესვით უნდა გათავებულიყო.

ჰერძნობდა კვაჭი ამ ბრძოლის ყოვლად გარდუვალსა და უძლეველ დასასრულს და დრო-გამოშვებით ასე მოუთხრობდა თავისს შეგირდებს:

— ამხანაგებო! ვინც გიეს დაებლაუჭება, თვითონაც გაგიედება; ვინც ლეშს აეკიდება, თვითონაც გალეშდება; ვინც წყალ-წალებულს დაეჭიდება, თვითონაც დეილუპება. მამზელი კერძესკი რამდენიმე თვეს კიდევ იფართხალებს და იწივლებს, მერე კი ისტორიის ორმოში ჩავარდება. დღევანდელი ხელისუფლება განწირულია. მას დოუინია, კავკასიონის ქედი ცხვირით უნდა გავხვრიტოო. ქედს ვერ გახვრეტენ, ცხვირს კი მეიტეხენ. ჩვენ ასეთ გიუებს ვერ გავკვებით. მარა მამზლების სიკვდილი არც ისთე ახლოა, რომე მას



დღესვე თავი დაგანებოთ და ახალს მივეკედლოთ. როცა დრო მოვა, ახალ დარიგებას მოგცემთ. ეს კი იცოდეთ, რომე რუსეთი ტყუპით იყო ორსული. თებერვლის ვაჟი უდღეური გამოდგა, დღეს თუ ხვალ იგი ფეხებს გაფშივავს, ხოლო მისი დედა მეორე შვილს შობავს. ჩვენ უნდა პატარა ძაფი გავაძათ მეორე შვილთან, რომელიც აწი დედის მუცელში ისთე ფართხალობს, რომე ლამის მუცელი გამოანგრიოს და ნაადრევად გამოვარდეს. აი საქმე მე მომანდვეთ. თავისს დროზე ის ძაფი ხიდად გადიქცევა, რომელიც სისხლის, ცრემლისა და კეცხლის ნიაღვარზე მეორე ნაბირას გაგვიყვანს.

— იარე და გაგვიძეხი! — შესძახეს შეგირდებმა: — საკა ბელა-
დი, იქაც ჩვენ.

იმ ხანებში კვაჭიმ ერთ მინისტრს მეათეჯერ მოსთხოვა რევოლუციის დამცველ ჯარისთვის ათი ათასი წყვილი ტანისამოსი, სურსათი და ოცი მილიონი მანეთი. მინისტრი გუნებაზე არ იყო, ამიტომ ნათხოვნი ორჯერ შეამცირა.

ეს კიდევ არაფერო, კვაჭი ამას ადვილად მოინელებდა და და-
ნაკლისს ორიოდე კვირაში ორჯერ ან სამჯერ შეიცხებდა, მაგრამ
როგორ უნდა მოეთმინა და აეტანა კვაჭი კვაჭანტირაძეს ერთი სხვა
მარცხი და შერცხვენა:— რევოლუციის დასაწყისიდან კვაჭის ხე-
ლისუფლების გაუძლისი ხურუში აუვარდა. ბატონობისა და ბრძა-
ნებლობისთვის აქავებული გული ვერ მოიფხანა და ვერ დაიმშვიდა.
ბევრი უტრიალა უმაღლეს ხელისუფლებას და ჯერ რომელიმე მი-
ნისტრის ამხანაგის სკამზე დაჯდომა სცადა, მერე რომელიმე სამე-
ურნეო დეპარტამენტის დირექტორობა ითხოვა, მაგრამ საქმე ვერ
გაიჩარხა. ბოლოს, კვაჭი ისე დახურდავდა, რომ პროვინციაში გადა-
სახლებასაც დაათანხმებდა თავისსავე თავს, ოლონდ იმ პირობით,
რომ ის დაენიშნათ ან ფინლანდიის, ან თურქეთანის, ან საქარ-
თველოს გენერალ-გუბერნატორად. კვაჭიმ მთავრობას პრეექტიც კი
წარუდგინა—ვინ იცის, ვისი დაწერილი!— იმის შესახებ, რომ რუსე-
თის განაპირა პროვინციებს ავტონომია მიეცეს, ხოლო ასეთი აბ-
რუნვილი ბესო შიქიას ასე განუმარტა:

— ეს ტაქტიკის საკითხია, ჩემო ბესო. ორმოცდათი მილიონი კაცი ჩვენ მოგვემხრობა. ამ გზით ჩვენ დროებითს მთავრობას დავასუსტებთ და ჩამოვაგდებთ, მერე კი... მერე ტაქტიკა ისევ შეიცვლება.

იმ დღეს, როცა მინისტრმა ნათხოვნი საქონელი და ფული შე-
ამცირა, კვაჭიმ ისიც გაივო, რომ მისი გენერალ-გუბერნატორობაც
ჩაითუშა.

— კაი! — დაემუქრა მთავრობას ნაწყენი კვაჭი და გულში ერთ წვეთ შხამს ერთი ხელადა კიდევ დააყოლა. იმავე დღეს კვაჭიმ მე-ათეჯერ გადასცა გინცს მინისტრისგან მიღებული საქონელი და აღებული მილიონებით კვლავ თვალ-მარგალიტი იყიდა, ხოლო სა-ლამოზე კრებაზე წავიდა და გულში ასე იძახდა: — წაბარბაცებულს უჯიყავე, უფრო მაღლე წაიქცვა!.. წაქცეულს თავი გაუჭყლიტე, მად-ლია!.. განწირული დაახჩე, ხალხს სიკეთეს მოუტან!

კრებაზე კვაჭიმ სიტყვა მოითხოვა და ჯარისადმი მიმართული პირველი ბრძანება წაიკითხა. ისედაც აღუღებული კრება უარესად აჩუქრებდა და აფეთქდა. კვაჭის ბრძანება მოითხოვდა, რომ ჯარის-კაცებს წინანდელივით პატივი აღარ ეცათ აფიცრებისთვის და და-ერსებინათ თავიანთი კომიტეტები. კვაჭიმ და იმისმა მიმდევრებმა კარგად იცოდნენ, ვისაც უმიზნებდნენ, და ისიც ესმოდათ, თუ ჯა-რის საძირკველის გამოთხრას რა უნდა მოჰყოლოდა. ასტყდა აუწერელი აურ-ზაური, აყალ-მაყალი და ჩოქქოლი. სამი დღე და ღამე მუშათა დეპუტატების კრებაზე ათასი კაცი ყელის ძარღვებს იწყვეტდნენ, გააფთრებულნი იბრძოდნენ, აღარ იძინებდნენ, არც არაფერს სჭამ-დნენ და ოფლის აბანოში ბანაობდნენ. გამარჯვებას ნაჩვევმა კვაჭიმ, ბოლოს, იქაც გაიმარჯვა და მეორე დღეს მისმა ბრძანებამ მთელს რუსეთს დაშლისა და რღვევის ელვასავით დაუარა.

— მიიღონ ეს საწამლავი, — უთხრა კვაჭიმ თავისს მეგობრებს: — და უცადონ იმის შედეგს. ეს ერთი და სხვა ათასი. ისეთი შხამი შეეცუშხაპუნე წყალ-წალებულ რევიმს, რომე მისი ჯარი ხვალვე დამ-ბლად დაეცემა. აწი ნულარ მომცემენ ფულს რევოლუციის დასაცა-ვად და ნულარც საწყალ ფინებს, ქართველებს, უკრაინელებს და თა-თრებს გაათავისუფლებენ!

იმ დღიდან კვაჭი მარცხენა ბანაკის თვალში ერთის ადლით გაიზარდა, ხოლო ხელისუფლება მისი ძლევა-მოსილების წინაშე ში-შით მოიდრიება და მოილუნა.

ამასობაში ივლისიც მოახლოვდა, დაუბადებელი გიუმაუი ბავ-შეი დედის მუცელში ვეღარ ითმენდა, გიუურად ჰპორგავდა, ფართხა-ლობდა და გამოვარდნას ჰლამობდა. პაერი გრიგალის სუნით გაი-ელინთა, ცა ტყვიის ლრუბლებით გაიჭედა და დღეს თუ ხვალ გასკ-დომას და ქვეყნის წარლვნას აპირებდა. მთელ რუსეთში დაბნელდა. აქა-იქ საზარლად ჰქონდა და დაგრავნილი ელვა ხან გამოშეებით ცას და დედამიწას სასიკვდილო ისრებით ჰსერავდა.

ერთ სალამოს კვაჭის მფარველმა მინისტრმა კვაჭი დაიბარა და მთრთოლვარე ხმით მიჰმართა:

— რევოლუციას მარცხენა მხრიდან უუდიდესი ხიფათი მოელის. ზეგ ბოლშევიკები იარაღით გამოვლენ. დადგა უამი, ოდეს რევოლუციის დამცველმა საზოგადოებამ ქვეყნის წინაშე თვისი წმინდა ვალი უნდა მოიხადოს და მასზე დახარჯული უთვალავი ფული და ქონება უნდა გაამართლოს. ზეგ დილით თქვენი ჯარი ორი მხრით უნდა წამოვიდეს ზამთრის სასახლისკენ.

კვაჭიმ მარჯვენა ყურით მოისმინა მინისტრის მოწოდება და დარიგება, იგი მაშინვე მარცხენა ყურით გამოუშვა და წამოვიდა. იმავ საღამოს მან თვისი სინკლიტი შეაგროვა და უხხრა:

— ზეგ ბოლშევიკები ნაადრევად აპირებენ გამოსვლას. ბევრი ვურჩიე, ოქტომბრამდის გადასდეთ თქვა. ვუთხარი, რომე ბოვში დედის მუცელში ცხრა თვე უნდა იჯდეს თქვა, რომ თებერვალს ჩასახული მეორე რევოლუცია ოქტომბრამდის უნდა მწიფდებოდეს თქვა. მარა არ დემიჯერეს. იქინე, სათავეში ისეთები ჯილარიან, რომე თავისს გარდა სხვას არყის უჯერიან. თუ ზეგ დამარცხდნენ, მე ნულარაფერს დამაბრალებენ. მე ჩემი ვსტკვი და ვგვათავე, აწი თვითონ ინანონ. ეს კიდო აფერია, ჩვენი საქმეც ოდნავ გეიხლართა. ამას წინეთ მთავრობას მოვახსენე, რომე რევოლუციის დამცველ საზოგადოებას აქინე ოცი ათასი კაცი ჰყავს თქვა. დღეს დამავალა მთავრობამ, რომე ზეგ ოცი ათასი კაცი გევიყვანო ქუჩაში.

კვაჭიმ ამხანაგობას გადაპხედა. ყველანი დაბურულნი იყვნენ და ჩაფიქრებულნი ისხდნენ.

— ნუ მეიწყინეთ, ამხანაგებო! ყური მიგდეთ და შეასრულეთ ყოლითერი, რასაც გიბრძანებთ. დანარჩენი მე ვიცი.

კვაჭიმ ყველას დაწვრილებით უამბო თვისი საქმე, ყველას დაურიგა მანდატები, ფული და სამუშაოდ გაისტუმრა.

დანიშნულ დღეს პეტერბურგში ისე ჩამონელდა და ისე შეიხუთა ჰაერი, რომ მტერ-მოყვარენი ერთმანეთს ველარ არჩევდნენ. ხალხი აზღვავდა და აიშალა. ორი მოპირდაპირე ტალღა ერთმანეთს დაეტაკა.

— ომი ბოლომდის! წესი და კანონი! დამფუძნებელი კრება და დემოკრატია!—გაპკიონდნენ ერთნი.

— მიწა, პური და ზავი! ხელისუფლება მთლად სოვეტებს! ძირს ლალატი, სპეცულაცია და საიდუმლო დიპლომატია! რევოლუცია საფრთხეშია!—ჰყავიროდნენ მეორენი.

ქუჩებში რომ ელავდა და ქქუხდა, ამ დროს კვაჭი და მისი მეგობრები მყუდრო თავშესაფარში ისხდნენ და ლუწუ-კენტით მკითხაობდნენ, ქალბატონი კერენსკი გაიმარჯვებს თუ ბოლშევიკებიო.

ჭიპი ჭიპუნტირაძე კვლავ ქუდმოგლეჯილი დარბოდა და გულწა-სული გაჰყიოდა:

— დევილუბეთ!.. თავს უშველეთ!.. ჩქარა, მარცხნივ გეღიხა-რეთ!.. არა, შევცდი, მარჯვნივ გადმოიშიეთ, მარჯვნივ!

— ნუ სცხარობ, ჭიპი!—ამშვიდებდა აფორიაქებულ ჭიპუნტი-რაძეს კვაჭი:—ვინც უნდა გეიმარჯვოს, ჩვენ მაინც არ დევილუბე-ბით. ერთი ფეხი მარჯვენა ბანაკში მიდგა, მეორე—მარცხენაში. თუ კერძნებამ გეიმარჯვა, მაშინათვე მარცხენა ფეხსაც მარჯვნიმ გადმოვ-დგავ, თუ წითლებმა გეიმარჯვეს, მარჯვენა ფეხსაც მაშინათვე მარ-ცხნივ გადავსდგავ და მეც გავწითლდები. ამას ბევრი დრო და ფიქ-რი არ უნდა. ხუთ წუთში პირსახილან თეთრ სალებავს ჩამოვირეცხავთ და წითელს წავისვამთ, მორჩა და გათავდა!

სალამოზე ბესო შიქია შემოვიდა და არხეინად განუცხადა:

— კერძნებამ გეიმარჯვა.

— ხომ ესთქვი, წითლებმა ოქტომბრამდის უნდა მეიცადონ თქვა. ბოლშევიკებმა არ დამიჯერეს, აწი მე ნულარაფერს დამაბრა-ლებენ.—სთქვა კვაჭიმ და წამოდგა.—აპა, ამხანაგებო! თქვენ თქვე-ნი საქმე და ალაგი გაქვთ დანიშნული. აპა, წალით და დანიშნულ ალაგზე მეიყარეთ თავი.

ამხანაგები სამ ჯგუფად გაიყვნენ და სამი მხრიდან ზამთრის სასახლისკენ დაიძრნენ.

— მოქალაქენო!—ჰყვიროდნენ თითო ჯგუფში და ტროტუ-რებიდან ხალხს შუა ქუჩისკენ ერექციოდნენ:—მოქალაქენო! მხარი დაუჭირეთ დროებითს მთავრობას! შემოვგიერთდით! წამოდით! მოი-ხადეთ ქვენი ვალი!

ხალხიც გამარჯვებულთა ჯგუფებს უერთდებოდა და საერთო მდინარეს მისდევდა. თითო ჯგუფში ოცს კაცს ოცი მიემატა, ორ-მოცს ორმოცი, სამასს სამასი, ათასს ათასი და ხუთი ათასს ხუ-თი ათასი. ნაკადი ნაკადს შეუერთდა, მდინარე მდინარეს, ხოლო სასახლის გარშემო ყველამ თავი მოიყარეს და ზღვად გადაიქცნენ, ზღვის შუა გულში ქუნძულივით აღმართულიყვნენ კვაჭი კვაჭანტირაძე და მისი საზოგადოების თეთრ-წითელი დროშა, ხოლო იმ კუნძულიდან საზოგადოების ბელადის ხმა ასე ჰერგვინავდა:

— მოქალაქენო! ამიერიდან თქვენ გულმშეიდად დაიძინებთ. თქვენს ძილს ერთგულად სდარიავობს რევოლუციის დამცველთა საზო-გადოება და თავისუფალი სოციალისტური პარტია, რომელმაც დღეს წითელ ეშმაკებისგან დაგიხსნათ და საშინელი ხიფათი საკუთარ ზურგზე

გადიტანა. მოქალაქენო! ჩვენი საზოგადოება და პარტია კვლავაც მზად არიან თვისი სისხლი დაანთხიონ რევოლუციის სამსხვერპლოზე, მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ თქვენც მზრუნველობას გავიწევთ და ოდნავ მაინც დაგვეხმარებით. მოქალაქენო! — დაამთავრა თვისი მქუხარე და ცეცხლიანი სიტყვა კვაჭიმი: — ჩვენ წინდაწინვე ვიძით უუდიდეს მაღლობას შემოწირულებისათვის, რომელსაც ყოველ დღე მიეიღებთ თავრიდის სასახლეში.

კვაჭი შეგირდებმა ხელით აიტაცეს და „ურას“ ყვირილით ის უბანი დააყრიულ. ათი წუთის შემდეგ ქუდ-მოგლეჯილი ბელადი სასახლეში ავარდა, მინისტრების კაბინეტში შევარდა და დაიძახა:

— მომილოცავს გამარჯვება! ურა-ა-ა!

დიდებული ყიუინით და ბავშვურ სიხარულით დაუხვდნენ თავმჯდომარემ კვაჭის საზეიმო სიტყვა უთხრა და რევოლუციის მხსნელი უწოდა, ხოლო დანარჩენთა მაღლობას, ურიამულსა და ხელის ჩამორთმევას დასასრული არ ჰქონდა.

— თავადო, მოქმარეთ მთავრობას აქტიურად და სამსახურში შემოდით! — უთხრა კვაჭის ერთმა მინისტრმა.

— მეძნელება, ძალიან მეძნელება, მაგრამ... თუ სამშობლო მოითხოვს...

— რომელ დარგში უფრო გეხერხებათ მუშაობა?

— ან საკრედიტო დეპარტამენტში, ან კიდევ კავკასიაში.

— კეთილი. რაკი თქვენი თანხმობა მაქვს; დანარჩენ მინისტრებსაც მოველაპარაკები და პასუხს შეგატყობინებთ. ყოველ შემთხვევაში, მთავრობა უხვად დააფასებს თქვენს დღევანდელ გმირობას.

რამდენიმე დღის შემდეგ კვაჭის დაუვიწყარი ღვაწლი და მაღლი ასე დააფასეს: მთავრობის დადგენილებით მას მაღლობა გამოუცხადეს და... მეტი არაფერი. კვაჭი უმაღ იმ მინისტრს შეუვარდა კაბინეტში:

— მეტი არაფერი?

— არაფერი.

— მაშ მშვიდობით ბრძანდებოდეთ! ეხლა თქვენ გამარჯვებული კილოთი მელაპარაკებით, მაგრამ სამი თვის შემდეგ მე ოქტომბრის ენით მოგიგებთ პასუხს.

— რა სთქვით?

— რაცა ვსთქვი, ამას მხოლოდ ოქტომბერში გაიგებთ. მშვიდობით!

მეორე დღეს ინფორმაციის გამგემ ჭიპი ჭიპუნტირაძემ შეატყობინა კვაჭის:

— დევილუპეთ!.. გევიქცეთ! ზეგ რევიზორები მოელენ ჩვენთან.
— დამიძახე გაბოს!—უპასუხა კვაჭიმ ჭიპის.

კვაჭიმ გაბოს და შიქიას ყურში მხოლოდ ორიოდე სიტყვა წას-
ჩურჩულა.

იმავე დღეს ოცი საბარგო ავტო საზოგადოების საწყობებიდან
სალამომდის სადღაც ეზიდებოლნენ სურსათს და საქონელს, ხოლო
იმავე ღამეს მოულოდნელი დიდი უბედურება მოხდა: გაუგებარ მი-
ზეზის გამო საწყობებს ცეცხლი მოედო, რომელიც მხოლოდ მაშინ
ჩანაცილდა, როდესაც უკანასკნელი ნაფოტიც კი დაიწვა. რევიზო-
რებმა იქაურობა დაათვალიერეს, დაპსუნეს, გაზომეს და ცხვირ-ჩა
მოშვებული დაბრუნდნენ.

იმავე ღამეს დამწუხერებულ ამხანაგობას მისი ბელადი ასე ამ-
შვიდებდა და ანუგეშებდა:

— ნუ შედრება თქვენი გული, ამხანაგებო! ოქტომბერი მო-
დის. თქვენს ერთგულებას მომავალი უფრო დააფასებდნ, ვიდრე
მიმავალნი. წითლებს მოაქვთ ძმობა, თანასწორობა და სამართალი,
ამათ კი ი საფლავშიც თან მიაქვთ უმადურება, შავი გული და შავი
ქვა. ეხლა კი შეუდექით საქმეს, სანამ არ დაგვიანებულა.

მეორე დღეს დილიდანვე სედრაკას და ბესოს წყალობით მო-
მართული უუდიდესი მანქანა ამუშავდა. ორი ათასი ლამაზი ქილი,
ამდენივე ვაჟი, ამდენივე ყულაბი და ორი ათასი ფურგონი დედა-
ქალაქს მოედო. ბესო მაინც შესცდა: მისგან დაქირავებულმა სამა-
ულდიდესმა საწყობმა ერთ დღეში მოგროვილი შემოწირულება ვერ
დაიტია, ხოლო ფულის თველას ამხანაგობის ხუთი მოსამსახურე ნა-
ანგარიშევ სამი დღის მაგირად ერთ კვირას მოუნდნენ!

იმავ ხანებში კვაჭი სმოლნის ინსტიტუტს შორიდან მიუახლოვ-
და. იქ წითლების მთავარი შტაბი იყო დაბანაკებული. დიდხანს უვ-
ლიდა გარსშემო, დიდხანს აგროვებდა ამბებს, იქაურობას ჰსუნავ-
და და ათვალიერებდა. მერე თავი დაპლუნა და მებრძოლ ყოჩივით
დაეტაკ შესავალ კარებს

— კუდი პრიოშ?!—შეაჩერა ბანჯლულიანმა მეზღვაურმა.

— რაო?!—ფახით გაიკვირვა კვაჭიმ:—ძმა და მტერი ველარ
გაგირჩევია? მე გაჩვენებ შენ, რომ...

სწორედ ამ დროს კვაჭის ერთი ნაცნობი წითელი გამოჩნდა—
ივან ივანიჩ ივანოვი, —გულით და კანით ალის ფერი, ბრუტიანი,
მორიდებული და გულმავიწყი.

— რა ამბავია? შემოუშვით, ამხანაგო, მე ვიცნობ მაგ ადა-
მიანს.

კვაჭი ივან ივანიჩს ისე მიეკრო, როგორც ბუზი თაფლს, თან თავზე ქონი წაუსვა, გულში ნელ საცხებელი ჩაუწვეთა, წითელ თავზე შემოველო და ათიოდე წუთის შემდეგ ის გულლია აღამიანი თითზე დაიხვია.

— მე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ კერძოს ხალხს ჰლუპავს... მხოლოდ თქვენი გზა გაიყვნის სახელმწიფოს შემოქმედებისა და აყვავების ასპარეზზე. ამიტომ მე, ჩემი პარტია და ჩემი უზარმაზარი საზოგადოება თავით ფეხებამდის თქვენთან გადმოვდივართ. გვიმსახურეთ და გამოიყენეთ ჩვენი ძალ-ოონე.

— ძალიან გამახარა თქვენმა საქციელმა. ჩემს ამხანაგებსაც გავახარებ.

— ამიერიდან ჩვენი საზოგადოების იმედი გქონდეთ და... თუ არ მოგვერიდებით... მიიღოთ ჩვენგან მცირედი წვლილი.

და ივან ივანიჩს შენაწირის სია გადასცა.

იმავ სალამოს კვაჭიმ თავისი საზოგადოების ყველა წარწერას და განცხადებას ერთად ერთი სიტყვა მიუმატა და ამ რიგად მეორე დილიდან იგი საზოგადოება „წითელ რევოლუციის დამცველთა და დამხმარეთა საზოგადოებად“ გადაკეთდა, ხოლო პარტია ასე მონათლა: სოციალისტური პარტია „მიწა, ქსოვეტი, ზავი და შინისკენ!“.

აქა ამბავი კვაჭისა და ამხანაგობის გაწითლებისა და ოქონებრისთვის მომზადებისა.

— ამხანაგებო! — ასწავლიდა კვაჭი თავისს შეგირდებს უამსა ოქტომბრის მოახლოვებისასა: — პოლიტიკა ძლიერ წააგავს ძროხას. ზოგნი ამ ძროხას აძოვებენ, ზოგნი კი სწველიან და რძეს და კარაქს მიირთმევენ. კეუიანი კაცი არც სისხლს გეიმეტებს და არც ოფლს დაღვრის ძროხის დევნაში. დევ, გიუებმა სდიონ მას, აძოვონ და მოუარონ, ჩვენ კი იგი უნდა მოვწველოთ და მისი კარაქით გავსუქდეთ. ხოლო ძროხის მოწველას ბევრი აფერი უნდა: დოუგვავე, გოუცინე, მოულაქუცე და გეიშინაურე. აი, ეს არის ერთად ერთი კეუიანი პოლიტიკა. ნურც ძროხის ფერს იკითხავთ: თუნდ შავი იყოს, თუნდ თეთრი, თუნდ წითელი და თუნდ მწვანე. ნურც გააბრაზებ, თვარა დაგწიხლავს და ალარ მოგაწველიებს. თუ სხვებმა იმ ძროხას უჯიკავეს, განზე გადექით და ბრძოლის ბუმბული და დავლა აკრიფეთ. ორნი რომ ჩხუბობენ, მესამე მოგებაშია. მარა თვალი უნდა გეჭიროთ, რომე დროზე გადახვიდეთ გამარჯვებულის მხარეზე, დროზე მიაფურთხო დაძლეულს და მძლეველსაც დროზე მიულოცო. დაუ-

კვირდით აწი რუსეთის ამბავს. რუსის ინტელიგენცია ისე იცნობს ხალხს, რავაც ჭიში ჭიპუნტირაძე ან ლადი ჩიკინჯილაძე იცნობენ ზულუსებს ან ტაიტელებს. მათ ეიღეს უკროპიული საჭმელი და ძალით ჩასტენეს რუსულ კუჭში. აპა, მეფიფიქრეთ, რა მოხთება, რომე მგელს თივა შეაჭამო? ის მოხთება, რომე მგელი იმ თივას უკანვე ამოაგდებს. გეუბნებით, ამხანაგებო, რომე რუსის ხალხიც ისე მეიქ-ცევა. დღეს თუ ხვალ იგი უკანვე ამოანთხევს უცხო სალეპავს და თან ამოაყოლებს მამზელ კერენსკის, პარლამენტს და დემოკრატია-საც. მთის წვერიდან დაგორებულ უუზარმაზარ ლოდს წინ გადა-ელობნენ უძვლო მწიგნობარნი, ბეკი ინტელიგენტები და ქაჩალი აბლაკატები. გადაელობნენ და თითები შეუშეირეს. მე კი გეუბნე-ბით თქვენ, რომე დაგორებული კლდე ჰყელას იმ თითებს დაამტვ-რევს, მწიგნობრებს ჭიებიერი დასკულეტს და დავიწყების სანავე-ში ჩაჰყრის. დეიბსომეთ ჩემი წინასწარმეტყველება და, თუ იგი არ გამართლდეს, კვაჭი კვაჭანტირაძეს ბელადობა ჩამოართვით და ჯა-ლილს ან გაბოს გადაეცით. მე ერთხელ გითხარით და ეხლაც ვი-მეორებ, რომე რუსეთი ტყუპით არის თქვა ორსული. პირველი შეი-ლი უდღეური ქალაბიჭა გამოდგა. მეორე კი ეხლავე ისეთი აბეზა-რი, ანცი, უკმეხი, უინიანი და მოურიდებელი მოსჩანს, რომე უნც-როსი და გოუთლელი მუჟიკი ხვალინდელ ბრძოლაში თავისს უფროს ეფროპიელ ძმას უუჭველად დასცემს, მიბრევვავს და ფერდებს ჩოუმ-ტვრებს. ერთ მხარეზე არიან თავადა-ახწოურები, ვაჭრები, ხუცები, ჩინოვნიკები, ყაზახები და ქაჩალი აბლაკატები, მეორე მხარეზე კი თავს იყრიან რუსის მუშები და გლეხები, რომელნიც აწი კბილებამ-დის იარაღში სხედან. ნუ დეიჯერებთ, ვითომ დღევანდელი ხელის-უფალნი რუსის ხალხს ესარჩებიან, წითლები კი ამ ხალხს ჰყიდია-ნო. დოუჯერეთ კვაჭის, რომე ნამდვილად პირუკულმა ხოება: ანტან-ტამ თავისს საქმიზა რუსეთი სისხლისგან დასცალა და სამარებდის მიიყვანა. ვინც ყვირის: „ომი ბოლომდისო“, ის არის რუსეთის შეგნებული ან შეუგნებელი მნგრეველი და მრღვალატე, ხოლო წი-თლებისთანა ეროვნული და რუსის ხალხის ერთგული ძალა რუსებს აქმდის არ ჰყოლიათ. ამას გეუბნევით მე, კვაჭი კვაჭანტირაძე, და ვისაც ჩემი სიტყვა არ სჯერა, ის ეხლავე უნდა გევიდეს ჩვენი პარ-ტიიდან, თვარა, სულ ერთია, ხვალ ან ზეგ ჩენი გზები გეიყრება და ჩვენ უცილებლად დავშორდებით ერთმანეთს. მარა, მეგობრე-ბო, მე ლრმად ვარ დარწმუნებული, რომე ჩვენს ამხანაგობას ადრინ-დელივით ძვალ-რბილში გამჯდარი აქვს ჩვენებური ერთობა, ძვე-ლებური ძმა-ბიჭობა და დიდი ბრძოლით და მრავალ საქმით შეკე-

დილი და შედუღებული ტრადიცია, რომელიც მომავალშიც გვიშველის და გადაგვარჩენს ხიფათისგან და დაშლისგან. მაშა ასე, მეგობრებო, თუ გინდათ კეთილი ცხოვრება და სამშვიდობოს გასვლა, წინანდებურად მომყევით და დამიჯერეთ. საცა მე, იქაც თქვენ! რაც მე, ისიც თქვენ!

— წაგვიძებ და წაგვიყვანე!.. მოგდევთ!.. გაუმარჯოს ჩვენს ბელადს და წინამძღვალს! — შეკყვირეს შეგირდებმა და ფიცით და ერთგულებით სარდალს გული გაუმაგრეს. მერე თავიანთ ბელადისგან დირექტორები მიიღეს, დაიმკლავეს და დასანგრევად წამოწეულ შენობას კვლავ დაეტანენ გაათკეცებულ ძალონით, ხვნეშით, დორბლით, ოფლით და კვნესით.

უკანასკნელ დროს კვაჭიმ წითლების შტაბში სიარულს მოუხშირა. ხან კვლავ შესაწირავს მიუტანდა, ხან კიბი კიბუნტირაძეს და ბეკარევისგან მოგროვილ ცნობებს მიაწოდებდა, ხან რჩევის მისცემდა და ხანაც მათს დავალებას პირნათლად შეასრულებდა.

სმოლნის ინსტიტუტი საარაკო სკასავით ფუსფუსებდა და უუზარმაზარ ქვაბივით სდუღლდა. ის შენობა, სადაც აქმდის ზემოურები უთვეალავ ქალებს ზრდიდნენ მეფისა და მამულის სადიდებლად და სასარგებლოდ, ეხლა გლეხურ-მუჟიურ სასახლედ იყო გადაქცეული. იმ სასახლეს ადრინდელ ნელსასუნებელის მაგივრად ეხლა კუპრის, ოფლის, მწნილისა და ბორშჩის სუნი ასდიოდა, გაკრიალებულ იატაკებს უანგის ფერი დასდებოდათ, ხოლო კარებები და კედლები უცნაურად ნახატ პლაკატებით, ცეცხლის ენით დაწერილ პროკლამაციებით და თითებით დაბლაჯნილ განცხადებებით აეკრელათ. უთავბოლო შენობა და მისი ჰაერი გაელენთილი იყვნენ ხალხის ასაღუღებელ ლიტერატურით, დინამიტით, ყუმბარებით, აქციუტილ ცხვირებით, ათგირვანქიან ჩექმებით და ქერა წვერ-ულვაშით. სუფთად და ევროპიულად ჩატარებულ ადამიანს იმ სკაში ისე დაუხვდებოდნენ, როგორც საქურდავად შესულ თაგვს. ამიტომ კვაჭიც, როცა შტაბში შევიდოდა, ჭუჭყიან მაზარას ჩაიცვამდა, პირსახეს და ხელებს შეითხვპნიდა და ლაპარაკისა და მიხვრა-მოხვრის იერს ისე შეიცვლიდა, რომ იგი ყველას თხრილიდან ამოსული სალდათი ეგონა.

— გამარჯვება, ამხანაგო! — რიხით მიახლიდა ხოლმე ივან ივანიჩის: — როგორ არის ჩვენი საქმე?

— ცუდად, ძალიან ცუდად! — უპასუხებდა ივან ივანიჩი: — გვდევნიან, გვაძატიმრებენ, ლალატს გვაბრალებენ. მაგრამ გამარჯვება მაინც ჩვენი იქნება.

— რა თქმა უნდა, ჩვენი იქნება! — გაამხნევებდა კვაჭი: — დაიხსომეთ ჩემი სიტყვა: ოქტომბრის დამლევს ძალა-უფლება ჩვენს ხელში გაიმოვა.

— ძალიან სჩერობთ.

— გეოგრაფით, გადმოვა მეთქი!

— ენახოთ, გნახოთ. ეხლა კი პატარა საქმე უნდა დაგავალოთ. დღეს სალდათების პატარა მიტინგია და თქვენც უნდა ორიოდე სირყვა სთქვათ.

კვაბჭის თხოვნა არ სჭირდებოდა. მიტინგებს და ყბედობის საბაბს თვითონვე ეძებდა. ენამჭევრობა არც წინად აკლდა, ეხლა კი თანდათან ფრთხები გაშალა, ენა აიქავა, ლაყბობის ხურუში შეიძინა და აჯანყების ცეცხლი შეიკეთა. მექებარის ალლოთი მან ადვილად უპოვნა რუსის მუშებსა და მუუიკებს ნატკენი აღავი და ასე დაუწყეო იმ ალაგს ფხანა და მილამოს მოსმა:

— უკვე ორმოცი თვე შესრულდა, რაც მაჯლაჯუნა ანტანტა რუსის მუშებსა და გლეხებს სისხლსა სწობს. რაც ჩვენ უცხოელ ბურუუებისთვის სისხლი დავღვარეთ, მთელი რუსეთის მინდვრები მოირწყვებოდა. ვისლა, ნემანი, ბუგი, დნესტრი და არაქი დღესაც ჩვენი სისხლით წითლად არიან შეღებილი. ამხანაგებო, ვისთვის ვიძრდეთ? ვისთვის იღვრება ჩვენი ძვირფასი სისხლი? უცხოელ და ჩვენებურ ბურუუებისთვის, რომელნიც ჩვენ თავებს გვახოცინებენ, თვითონ კი თბილად მოკალათებულან, მილიონებს იგებენ და ჩვენს კოლ-შვილს სიმშილით ჰხოცავთ.

— მართალია, მართალია! — ადასტურებდა ომით დაქანცული და ბრაზით აღესიოთ ბრძო.

— თქვენი რისხეა სამართლიანია.—განაგრძობდა კვაჭი ცეცხლის შეკეთებას:—ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ ზაგს უანექსიოდ, უკონტრიბუოდ და ხაოხთა თვითგამორკვევის უფლებით.

— ზავი! ზავი! — ჰერგეინავდნენ მშვიდობის მოლოდინით მობიზრიბულნი მხედრული.

— ჩვენ მოვითხოვთ აგრედვე მიწას და თავისუფლებას! — ახუ-
რებდა კვდში ხაოსს.

— მიწა! მიწა გვინდა, მიწა! — აინთებოდნენ ხოლმე საუკუნეებით მოხიბლოული, მიწის მონატრენი და დამშეული გლეხები.

— მაგრამ იცოდეთ, ამხანაგებო, რომ ზაქს, იაფ ცხოვრებას, თავისი უფლებას და მიწასაც თქვენ მიიღებთ მხოლოდ ბრძოლით და საკუთარ ხელით. ამხანაგებო! რევოლუცია საფრთხეშია! ჩვენ იგი



იარაღით და სისხლით უნდა დავიცვათ. მაშ გაუმარჯოს პროლეტა-რიატს და იმის მთავრობას—მუშათა, გლეხთა და სალდათების სო-ვეტებს!

— გაუმარჯოს! გაუმარჯოონის! — ჰქონდა ზავით, თავისუფლებით და მიწით აფრიკაქებული ხალხი.

— ძირს დღევანდელი ბურეუაზიული მთავრობა! ძირს ღალატი, სპეცულიანტები და ანტანტის ლაქიები!

— ძირს! არ გვინდა! გაუმარჯოს სოვეტებს!

მეორე დღეს რიხით, მუქარით და ცეცხლით სავსე ჩეზოლუ-
ციას კვაჭი ივან ივანიჩს წარუდგენდა, ხოლო ასლს ერთ გერმანელს
გაუგზავნიდა და იმისგან სამადლობელოს მიიღებდა. ივან ივანიჩი
ძალიან აფასებდა კვაჭის, რადგან ის პირნათლად ასრულებდა ნა-
კისრ საქმეს და იშვიათის ნიჭით აფორიაქებდა, ანთებდა და იტა-
ცებდა გაუძლის ომით დატანჯულ ხალხს.

კარგა ხანია, რაც კვაჭიმ ქაღალდის ფულის დაქვეითება შეაჩნია, ამიტომ დროზედ გასცა განკარგულება, რომ ამხანაგობას რუსული ქაღალდის ფული არ დაეგრძოვებინა. ამიტომ ბირეის აგენტი ხაინშტენი კვაჭის ყოველ-დღიურ შემოსავალს ოქროს ახურდავებდა. ხოლო როცა ოქტომბერი მოახლოვდა, კვაჭიმ უბრძანა სედრაკის, რომ ამხანაგობის ქონებაც და ოქროც თვალ-მარგალიტად ექციათ, რაც რამდენიმე დღეში შესრულებულ იქნება.

ერთხელ კვაჭი ელენეს სანახავად წავიდა. შევიდა თუ არა
იმის სასტუმრო ოთახში, პირის-პირ პავლოვს შეეფეთა, რომელიც
გამოსვლის აპირებდა.

— აა, ნაპოლეონ აპოლონიჩ! სალამი და მოკითხვა!

გაოცებულმა კვაჭიმ თვისი დამლუპველი ჩათვალიერა, მერე უნდა ხელი გაუწიოდა. პავლოვი ხელისხმად ჩამოგვა.

— თქვენ ვინ გამოგიშვათ საპყრობილედან? — ჰკითხა კუაჭიმ
პავლონებს.

— რევოლუციამ, ჩემთ მეგობარო. აი, ხომ ჰედავთ, ევრო-
კიულად მაკვიდა, მაგრამ ისევ იქნებოდა.

— მესმის, ვხედავ. თებერვლის რევოლუციამ მ

— ძველ რეიიმს და... შენკ! —დაუმატა ელენემ.

— კისერივ მოუწეოდთ თებერვალსავ და მარტის დასახურისას.

ლრმა რწმენით, ჩვენ ისევ ვიღებელმი გვიშველის, მხოლოდ მისი უნტერ-აფიცრები მოგვიტანენ მშვიდობას, პურს და კანონს! — სთქვა პავლოვმა.

— კანონს, პურს და მონობას! — დაუმატა კვაჭიმ.

— ისევ ვილჰელმის კანონი, პური და მონობა სჯობიან დღე-ვანდელ უკანონობას და სიმშილს! — ისევ ჩაერია ელენე.

— თუ ვილჰელმი ვერ მოვიდა? — ჰეითხა კვაჭიმ.

— მაშინ ისევ ბოლშევიკები გვირჩევნიან.

— მართლა? ვითომ? თქვენ რას იტყვით? — მიუბრუნდა კვაჭი პავლოვს.

— დიალ, ისევ ბოლშევიკები გვირჩევნიან. — დაეთანხმა ელენეს პავლოვი: — დიალ, ისევ ბოლშევიკები მირჩევნიან მეთქი. ისინი მოიტანენ სისხლს, სიმშილს და ანარქიას, მაგრამ მათ ფეხ-და-ფეხ მოჰყვებიან მეფე, ძველი კანონი, მშვიდობა და მაძლრობა.

— სურვილი მალე შეგისრულდებათ. — ანუგრძა კვაჭიმ ორივენი: — ვნახოთ, რას იტყვით შემდეგში, მეფე კი სამუდამოდ დაივიწყეთ. მართლა, არ იცით, სად არიან იდელსონები? — ჰეითხა კვაჭიმ პავლოვს.

— თქვენი გაქცევის გამო მათი ჩამოხქობა მეორე დღისთვის გადავდეთ. ამან უშველა ორივეს, რადგან იმავე დღეს რუსეთი გადატრიალდა. ეხლა ორივენი ისევ პეტრე-პავლეს ციხეში სხედან.

— გადატრიალებამ, როგორც ვატყობ, არც თქვენ დაგაზარალოთ? — კვლავ უკბინა პავლოვს კვაჭიმ.

— მე არ დამაზარალი, თქვენ კი აგაშენათ.

— საიდან? როგორ?

— თქვენ ალბათ გგონიათ, ვითომ მე მეძინოს. თქვენი ცხოვრებისა ყველაფერი ვიცი. აი, მაგალითად...

ელენე ოთახიდან გავიდა.

პავლოვმა კვაჭის ბოლო ხნის ცხოვრება ხელის გულზედ გადმოუშალა.

— თქვენს ცნობებს არც ვადასტურებ, არც უარვყოფ. მე მხოლოდ ეს მინდა გავიგო: თუ ეგ ცნობები მართალია, რატომ არ დამაპატიმრებთ?

— იმიტომ რომ... მიზეზი თქვენთვისაც ცხადი უნდა იყოს. რად, რისთვის, ან ვისთვის? ვის უნდა ვასიამოვნო? ვინ დააფასებს ჩემს ერთგულებას? რუსეთს პატრონი აღარა ჰყავს, ამიტომ მადლობასაც აღარივინ მეტყვის. ტყუილად რად გადაგიმტეროთ? ვინ იცის, სად შევხდებით და როგორ გამოვადგებით ერთმანეთს?

— ჭეუიანი კაცი ყოველთვის ჭეუიანად მოიქცევა. თუმცა ჩემი დაჭერისთვის დასახობი ბრძანდებით, მაგრამ დღევანდელ სიკეთეს ოდესმე გადაგიხდით.

- დღესვე გადამიხადეთ.
- მიბრძანეთ.
- თქვენ ყოველ დღე სმოლნის იმსტიტუტში დადიხართ და ივანოვის ხელმძღვანელობით მუშაობთ.
- ნართალია.

— გადაეცით მას, რომ ამაღამ თორმეტი ბოლშევიკი უნდა დავაპატიმრო. ყველას საიდუმლო ბინები აქვთ, მაგრამ მათი ახალ ბინების სია ჯიბეში მაქვს. ეხლავე ჩაიწერეთ დასაპატიმრებელთა სია. თუ თქვენ ეს თხოვნა შემისრულეთ და ივანოვს ორიოდე სიტყვა უთხარით ჩემზე, ჩემი ვალი უკვე მოშორებული გექნებათ. ეს არის ეხლა ბეკარევი უნდა გამეგზავნა, მაგრამ რაკი თქვენ შემხვდით...

— ბეკარევთან ეხლაც კავშირი გაქვთ?

— არა... არავითარი... ათასში ერთხელ შემხვდება ხოლმე... ივანოვისთვის შემდეგშიც მექნება ზოგი ცნობა. ამიტომ კარგს იზამო, თუ საიდუმლოდ შემახვედრებთ. ჩაიწერეთ სია.

კვაჭიმ სია ჩაიწერა, პავლოვს გამოეთხოვა და გულში სთქვა: „ივანოვს ვერ შეგახვედრებ. ისევ მე ვიქნები ხიდად. ასე ემჯობინება, რადგან ორივენი ხელში მეყოლებით“.

პავლოვი გავიდა. ელენე კვაჭის გულცივად დაუხვდა, მათი ხიდი დროს მეოხებით თან-და-თან იშლებოდა და ინგრეოდა. კვაჭი ისე გაიტაცა ახალი წითელ-ცვითელ ხიდების აშენებამ, რომ ის თვეში ერთხელ ძლივს მოიცვლიდა ხოლმე ელენესთვის, რომელმაც თავისს მხრითაც ახალი ხიდები და ბოგირები აიშენა ახალ კვაჭებისკენ.

— ელენე, დიდი ხანია იცნობ პავლოვს?

— იქნება ექვსი თვე.

— შენი გულითადი მეგობარია, არა?

— მერე, შენ რა გეკითხება?

— განა ამის კითხვის უფლებაც მომესპო?

— შენვე მოუსპე შენს თავს.

— მართალს ამბობ, ელენე. თვეში ერთხელ ძლივს გნახავ ხოლმე. რა ვენა, ჩემი ბრალი არ არის. ასე დატრიალდა ჩვენი ბედი. ეს მშვენიერი მოწყობილება აქამდის შეგრჩენია, თუმცა... ეს სურა-თები... სადღაც მინახავს.

— ტანიასია. გახსოვს ტანია? — გესლით ჰკითხა ელენემ.

— მართლა, ტანია! საწყალი დედაკაცი! ისე რავა დეიკარგა, რომე ადამიანმა ვერ გეიგო მისი ბედი?

— შენ დაგეკარგა, მე არ დამკარგვია. ეხლაც აქ არის. საკაა უნდა მოვიდეს, ველი.

— მართლა? — ოდნავ შეშფოთდა კვაჭი: — ხუთი წელიწადი იქნება, რაც აღარ მინახავს. ძალიან სასიამოვნოა მისი ნახვა, მარა...

— ვითომ სასიამოვნოა? არა მჯერა. ნუ სჩეარობ წასვლას, ტანია ხუთ წუთში აქ იქნება.

კვაჭიმ საათს დაპერდა.

— აჲ, ძალიან დამიგვიანდა. მშეიდობით, ჩემო კარგო. მართლა, ერთი რჩევა უნდა მოგცე. რაც გაქვს, ყოლიფერი გაყიდე, თვარა... დღეს თუ ხვალ დეიქექებს და ყოლიფერი დაგეკარგება.

— დიდი ხანია გაყიდე და დავხარჯე კიდეულ. ტანიაც ასე მოიქცა.

— ძალიან კარგი გიქნიათ, რომ გაგიყიდნიათ. მაშ მშეიდობით, ჩემო კეთილო!

კვაჭი კიბეზე ისე ჩამორბოდა, თითქოს ვიღაცას გაურბოდა. ქუჩაში რომ გავიდა, შორიდანვე ტანიას ეტლს მოჰქრა თვალი. კვაჭი მაღაზიაში შევარდა და იქიდან გამოიხედა. ორმა წითელმა ცხენმა ლანდო გააქროლეს. ტანია შავებში იყო. დაბერებულიყო, უარესად გაქანაკვებულიყო და გაცრეცილიყო. კვაჭის ერთის წუთით გაჰქრა ცრელმა წარსულმა, მაგრამ უმაღლ დაიკეტა მეხსიერების კარები, ეტლს დაუძახა და ნახევარ საათში წითელთა შტაბს მიადგა.

— გამარჯვება, ამხანავო! — მიახალა ივან ივანიჩის: — დიდი საიდუმლო საქმე მაქვს თქვენთან. გარეშე აქ არავინ არის? კეთილი მაშ მომისმინეთ. აი, სია. წაიკითხეთ... გაათავეთ? ამაღამ ამ ხალხს დაპატიმრებენ... არა გჯერათ? გეუბნებით, მათი საიდუმლო ბინები იციან მეთქი... საიდან ვიცი? ბოლიში, მაგას ვერ გეტყვით.

— თუ ტყუილია ეს ცნობა?

— თუნდ დამხერიტეთ. მაგრამ თუ მართალი გამოდგა?

— სამაგიერო მოგვთხოვეთ.

— კეთილი. ხელი მომეცით. ხვალ დილით გაიგებთ, მართალია თუ არა ჩემი ცნობა. ეხლა კი ზომები მიიღეთ. მე ჩემი ვალი შევასრულე რევოლუციის წინაშე. ეხლა მივდივარ. მშვიდობით იყავით.

საიდუმლო კრებაზე წავიდა და მთელ ყბედობის მუნს იფხანდა, ასჯერ ნათქვამს იმეორებდა და ზედაც დეზერტირებისთვის ასეთს სასიამოვნოს უმატებდა:

— ამხანავებო! რუსეთის გლეხობამ მოთმინება დაჰკარგა. იგი თვითონვე შეუდგა მიწების ჩამორთმევას და გაყოფას. ბევრგან უკვე გაიყვეს. იცოდეთ, ამხანავებო, — და სხვებსაც შეატყობინეთ, — რომ, ვინც დაიგვიანებს, ის თავისს წილ მიწას ვერ მიიღებს. მაშინ ჯოჯონხეთის ფრონტი! დაანებეთ თავი სამსახურს, თავში მია-

ხალეთ მთავრობას ეპოლეტები. და ეხლავე დაუბრუნდით თქვენს ოჯახს და მიწას, თორემ დაიგვიანებთ და უმიშოდ დარჩებით. მაშვალმარჯოს ჩვენს ახალ ლოზუნგს: სახლისკენ! შინისკენ! მიწისკენ!

— შინისკენ! სახლისკენ! — უარესად აბლავდნენ მიწით დამშეულნი და ომით დაქანცულნი და ღვართქაფიცით მიაწყდნენ და გაჰყენენ წითელ დროშას, რომელზედაც ცეცხლით ეწერა: „ზავი და პური! ომი სასახლეებს, მშვიდობა ქოხებს! მიწა გლეხს და ძალაუფლება სოვეტებს!“

კვაჭის ნათქვამი გამართლდა. იმ ლამეს პავლოვმა ოციოდე ბინა გადაატრიალა, მაგრამ ვერც ერთი დასაჭრი ვერ დაიჭირა. მეორე დღიდან კვაჭის სახელმა და ნდობამ წითლების თვალში და გულში ათვერ მაინც მოიმატა.

ოქტომბერი რომ მოახლოვდა, კვაჭიმ სილიბისტროს უთხრა:

— დღეს ან ხვალ აქინე ისეთი ჯოჯოხეთი დატრიალდება, რომე აქიდან ეშმაკიც ვეღარ გავა. მიტომ გირჩევ ხვალვე ეიკრიფო და საქართველოში გადასახლდე.

ყველანი კვაჭის დასთანხმდნენ პუპის გარდა, რომელსაც არ უნდოდა შეილის მოშორება. მაგრამ, ბოლოს, ისიც დაემორჩილა კვაჭის, რომელმაც სამი დღის შემდეგ თვისი მშობლები მატარებელში ჩასვა და სამშობლოსკენ გამოისტუმრა.

აქა ამბავი წითელ ოქტომბრისა.

იყო და არა იყო რა, — ღვთის უკეთესი რა იქნებოდა! — იყო ერთი ქერა გოლიათი ივანი.

ივანის მამას ერქვა სკვითი, დედას კი — მონღოლლა.

სკვითი თვალუწვდენ სტეპში სცხოვრობდა, მონღოლლა — უზლურბლო ტაიგაში, ბაიკალისა და გინდუუშის მიდამოებში.

ვოლგის ნაპირებზე შეხვდნენ ერთმანეთს და შეებნენ. მონღოლლამ დასძლია სკვითი და შეირთო. იმ დღიდან მათი სამფლობელო ისე გაიჭიმა, რომ თვითონაც არ იცოდნენ მისი დასაშუისი და დასასრული.

სკვითი ახოვანი დევი იყო: პირთერი, ქერა, ჭორულიანი, ბანჯლულიანი, ცისთვალა და ცხვირლილა. ერთი რაში ჰყავდა სკვითს: ორი კამეჩის ოდენა, დინჯი და მძიმე. ხშირი ფაფარი ცხენს მუხლამდე სწიდებოდა და ძუას მიწაზე დაათრევდა. მიწას რომ ფეხს დაპკრავდა, ბოლს და მტვერს აადენდა, მუშტის ოდენა ქვებს გა-

ჰეთი გვალი და კვალი იმ რომ იმ რაშს
მოაჯდებოდა, ზურგს ჩაუხნექდა და მუხლს აუკანეალებდა.

მონლოლლა სკვითზე პატარა იყო: ოვალთავი, შავვერემანი,
გრუზა, მოყვითანო, ჯავრის თმიანი, ცანცარა წვერით, ამოყრილ
განიერ საფეხქლებით, განივრად გაჭრილ ჭროლა თვალებით, ჩა-
ქულეტილის ცხვირით და ღიღის ნესტონებით. ცხენიც თავისებურად
პატარა, გამძლე და მარტი ჰყავდა.

ორივენი ბოგანოები იყვნენ. ერთ ალაგზე ვერ ისვენებდნენ,
ფეხს ვერ იკიდებდნენ და მუდმივს ბუდეს ვერ იშენებდნენ. ნახევარ
სიცოცხლეს ქეჩით დახურულ განიერ ურემში ატარებდნენ, ხოლო
შეორე ნახევარს ცხენზე ჰლევდნენ.

ხანგამოშეებით ბაჯლვლიანი სკვითი უბედო ცხენს მოაჯდებო-
და, მხრებზე შეილდ-ისარს და ცხენის თავის ქალას მოიგდებდა,
ფაფარს ხელს მოავლებდა და უთავბოლო სტეპში გრიგალივით და-
ჰქროდა. ხან სარმატელებს მიუვარდებოდა, ხან ავათიროსებს მიუბ-
რებოდა, ხან ნევრებსა და ანდროფაგებს დაეცემოდა, ხან ბუდინებსა
და გელონებს აიკლებდა და ხანაც სავრომატებს დაეტაკებოდა. მი-
სი რაში ხან ბორისთენის წყალს სვამდა, ხან გიპანიდისა და ხან
კიდევ ტიხასისას. ერთხელ მან მღვრიე მტკვარიც გადაღახა, კლდო-
ვანი არეზი გადასჭრა და ტივროსსა და ეფრატსაც დაეწაფა, ხოლო
სპარსელთა და სუსრელთა ქალებმა ნახეს თავიანთი შავწვერა ქმრე-
ბი დაბმულნი და იგემეს ქრის ულვაშები, თეთრი მკლავები და სიც-
ხე სამხრეთში გაღმობილ ჩრდილო ყინულისა.

სკვითი მეზობლებსა და ნადირზე ნადირობდა, ზოგჯერ ომის
კერპს კაცის შესაწირავს შესწირავდა, დიდ მდინარეებს აჰყვებოდა,
მათს შესართავს ექებდა და მუდმივ ზლვებისკენ მიიწვედა.

ასე იცხოვრეს სკვითმა და მონლოლლამ ათასი წელიწადი. ბო-
ლოს, ქალბატონი მონლოლლა დაბერდა, მოტყდა და ძალით შერ-
თულ სკვითს ქვეიდან მოექცა.

ორი შვილი ჰყავდათ სკვითს და მონლოლლას: უმფროსს ერქ-
ვა ივანი, უნცროსს — პეტრე. ჯერ ძმები ძმურად სცხოვრობდნენ,
მერე უნცროსი უფროსს აუხირდა. ერთხელ პეტრემ რკინის ქალამ-
ნები ჩაიცვა, რკინის ქუდი დაიხურა, ხელში რკინის ჯოხი აიღო და
დასავლეთისკენ წავიდა. ცხრა თვე, ცხრა კვირა და ცხრა დღე იარა
პეტრემ, ცხრა ქედი გადაღახა, ცხრა ზღვა გადასჭრა და ცხრა
წლის შემდეგ დაბრუნდა. დაბრუნდა და სთქვა:

— ამას იქით მე ევროპა მქვიან.

უცნაურად გამოიცეალა პეტრე: გრძელი ქურქის და ხალათის მაგივრად ვიწრო ზალვარი, მაღალყელიანი ჩექმები და კუდოკვე-ცილი რამ ჩაეცვა, თავზე დაგრავნილი და აკეცილ-ჩაკეცილი მაული დაედო, ბოიარული მამა-პაპური წვერი მოეპარსნა და თმაზე მეტად გრძელი და დაკულულებული სხვ-სი თმა— „პარიკი“ ჩამოეცო. ეს კიდევ არაფერი, ივანი ასეთ სირცხვილს როგორმე მოინელებდა, მაგრამ...

— მე ევროპა მქვიან!—განაცხადა პეტრემ და მოითხოვა, რომ ივანსაც ივანობა დაეციწყნა და ევროპა დაერქვა. ივანმა ბანჯგვლიანი თავი გაიქნია და მოქლედ მოუჭრა:

— არა.

— არა კი არა, ჰო!— შეუტია პეტრემ.

— არა მეთქი!

— ჰო მეთქი!

ეცნენ ერთმანეთს. ივანი პეტრეზე ოონიერი იყო, მაგრამ პეტ-რეს ზლვის გადაღმა რაღაც ეშმაქური ფანდები ესწავლნა. იმ ხრი-კებით და ხერხით პეტრემ ივანი უმაღ ქვეშ ამოიდო და შეპკრა. მერე მაკრატელი მოიტანა და ივანს გრძელი წვერი მოსჭრა. ესეც არ იქმარა. ივანს თავისებური ტანისამოსი ჩააცვა და უთხრა:

— ამიერიდან შენც ევროპა გქვიან.

კეთილი, აგრე იყოს.—უპასუხა ივანმა და პეტრეს დაემორ-ჩილა, გულში კი სირცხვილის შხამი და შურისძიების გესლი დაი-გუბა.

კიდევ გავიდა ორასი წელიწადი. პეტრეს უცნაურობას საზღვა-რი აღარ ჰქონდა. დასავლეთიდან თავისებური მასხარა კუდაბზიკები მოიყვანა, კიდევ ახალ-ახლები დაიბარა, თავისი მამის სკეითის მიერ მაგრად ჩაკეტილი კარებები გააღო და სკეითეთი ზარა გზად გადა-აქცია. რა არ მოიგონეს, რა არ გადააკეთეს, რა არ შემოილეს პეტ-რემ და იმისმა კუდიანებმა! წყლებზე ნავები და გემები ჩაუშვეს, ჯარსაც თავისებურად ჩააცვეს და ახალი იარაღი მისცეს; ახალი წე-ლიწადი პირველ სეტემბრიდან პირველ იანვარზე გადიტანეს, მე-ზობლებს ომი აუტეხეს, ზაქსა, კასპიისა და ბალტიის ზღვებზე ფეხი მოიკიდეს, ახალ-ახალი კალაქები გააშენეს, დედა-ქალაქი მოსკოვი-დან ბალტიის ჭაობში გადაიტანეს, სკვითეთის დუნე ცხოვრება ყირა-მაღლა გადაატრიალეს და ისეთი ახალი წესები და სახელები შემოი-ლეს, რომ ივანმა ორას წელიწადშიც ვერ დაიხსომა ჩიქორითული სინოდი და სენატი, რეგლამენტი და ტაბელი, ბურმისტრი და რა-ტუშა, მაგისტრატი და აკადემია. ივანმა ათას ახალ სიტყვიდან ად-

ვილად მხოლოდ რამდენიმე ახალი სიტყვა დაიხსომა და შეიგნო: შპიცრუტენი, პოლიცია, უანდარმი, გენერალი, უსტავი და კატორდა, „პროკურორი“, „მარში“, „კარაული“, „პროტოკოლი“ და ასი-ოდე ამისთანა ხამუში მცნება, რომლის გახსენება ივანს ერუანტელს და ბრაზს ჰევრიდა. მაგრამ ყველაზე საშინელი და საზარელი ის იყო, რომ პეტრემ დასავლეთიდან სხვა ეშმაკეულის გარდა ბოლი და ოქ-როც მოიტანა. დახსნეს ქარხნები, გაიყვანეს რკინის გზები, დააარსეს ბანები, შემოიღეს ორმაგი ბუხპალტერია და გაუგებარის ნისლით და მყრალის ბოლით გაუღინოს და დააბნელეს ქვეყანა და ივანის თავი.

გაბრუებულ ივანს ბოლის სუნიც მოსწონდა, ბუხპალტერიის ნისლიც, ოქროსაც შექხაროდა, ბანკიდანაც გამოქვენდა ფული, ჩა-ქუჩასაც ხელმარჯვედ ხმარობდა და რკინის ეშმაკსაც ხალისით მო-აჯდებოდა ხოლმე, მაგრამ... მისი ნაოფლარი რაღაც იდუმალებით და გაუგებარ ეშმაკობით პეტრესი და დასავლელ ჯადოქრების ჯი-ბეში გადადიოდა.

ორასი წელიწადი იფიქრა ივანმა და ორასი წელიწადი ეძება ის მილები და ხერელები, სადაც მისი ოფლი ინთემებოდა და იღუ-პებოდა. ბოლოს, როგორც იყო, მიპკვლია და მიაგნო: ბანკი, კაპი-ტალი, ბურუუაზია!

მიაგნო და მიიხედ-მოიხედა. და იმ დღიდან ივანმა წინანდელ „მარშ“-ის, „პროკურორ“-ის, „პროტოკოლ“-ის, „უანდარმ“-ის და „პოლიცია“-ს გარდა ახალი დასავლეური მეცნიერება და სიტყვებიც ისწავლა: „პროლეტარი“, „კაპიტალი“, „დიქტატურა“, „ბანკი“, „ფინანსები“, „კლასი“, „ექსპლოატაცია“, „ბურუუაზია“ და „პაუ-პერიზაცია“.

მას აქეთ ივანი ხელსაყრელ გარემოებას უცდიდა. ბევრი უცადა თუ ცოტა, ეს დროც მოვიდა. ერთხელ პეტრემ და იმის კუდაბ-ზიკა მეგობრებმა ივანს დაუძახეს:

— ივან! ქვეყანას, კაცობრიობას და ცივილიზაციას საშინელი ხიფათი მოელის. გუნწებს შენი დამონება და გაძარცვა უნდათ. აბა, ეცი იმ ველურებს! მეფისა და სამშობლოსთვის! გასწი!

თოფი მისცეს და წინ გაიგდეს. ოთხი წელიწადი ალაჯებდა ივანი ზღვით ზღვამდის, ქედით ქედამდის. მდინარემდის. ზოგჯერ ერთ კვირას არაფერს სჭამდა, ზოგჯერ შუა ზამთარში წე-ლამდის თოვლში იდგა, ზეგჯერ ტალახიდან ერთ თვესაც ვერ ამო-დიოდა. მგელივით დაძუნძულებდა ივანი და დათვივით იბრძოდა, ხოლო უკნიდან პეტრესი და კუდაბზიკების ბრძანება ესმოდა:

— ესრო-ო-ლე!

ივანიც ისროდა. მისი ძმები დღეში ათასობით იხოცებოდნენ.

— მიდი! დაჲკა! ჩვენთან არს ღმერთი! — კვლავ ესმოდა ივანს.

ივანი კვლავ იბრძოდა და თავისთვის ბურტყუნებდა: „კისერიც მოგიტეხნიათ თქვენც და თქვენს ღმერთსაც. მე დავიღალე“.

— ხელი ხმალსა, სული ღმერთსა! — კვლავ პეიოდნენ პეტრე და მისი მეგობრები.

ივანი ძლივს-ლა იდგა ფეხზე. ხმალს უნდილად იქნევდა და კვლავ ბურტყუნებდა: „ერთხელ თქვენი სულიც გაიმეტეთ. მე კი დავიღალე“.

— მიდი! ასჩენ! დაჲკა! — კვლავ გაიძახიან პეტრე და მისი მოკავშირენი: — მეფისა და სამშობლოსთვის!

ივანი შესდგა: მან ზლვა სისხლი დაბლვარა, მაგრამ ბრძოლის აზრი მაინც ვერ გაიგო. ეს სიტყვები — კულტურა, ღმერთი, მეფე და სამშობლო, — არც იმის გულს სწვდებოდა და არც გონებას ეკიდებოდა.

ბოლოს, ივანს სისხლში ცურაობაც მოსწყინდა, თოფის სროლაც, ხმლის ჭნევაც, ურას ძახილიც, სიმშილიც, სიცივეც და მუდმივი ჭექა-ჭუხილიც. ერთხელ ივანს ამბავი მოუვიდა: მეფე ტახტიდან ჩამოაგდესო. ივანი ჯერ რყევაში იყო. კარგად არ ესმოდა, კარგი იყო თუ ავი მეფის ჩამოაგდება. „ალბათ კარგია, — გაიფიქრა, — რადგან ყველას უხარიან“, — და თვითონაც გაიხარა. ხმალი ქარქაშში ჩააგო, თოფი ზურგზე მოიგდო, მობრუნდა და სთქვა:

— ომი აღარ მინდა, გავათავე.

პეტრე და იმისი მეგობრები გაოცდნენ და შეშინდნენ:

— ივან, დაიღუპები!

— არ დავიღუპები. თუ გინდათ, ეხლა თქვენ იბრძოლეთ.

— ივან, გუნწები დაგიმონებენ, ყმად გაგიხდიან!

— ფეხებსაც ვერ მომქამენ! — დინჯად მოუჭრა ივანმა.

— ივან, გაიხსენე ქვეყნის კულტურა და ღმერთი!

— ფეხებზე მკიდია თქვენი კულტურა. მე ჩემი კულტურა მაქვს.

— ივან, თავისუფლება?

— მე დღეიდან ვარ თავისუფალი.

— სამშობლო?

— მე ჩემი მუშურ-გლეხური სამშობლო მაქვს. იმის ხიტათი არ მოელის, სანამ მე აქა ვარ.

— ივან, კონსტანტინოპოლი? იმაზე ლამაზი და მდიდარი ქალაქი ქვეყანაზე არ არის.

— ღმერთმა შეარგოს, ვისაც ეკუთვნის. არც კი ვიცი, სად არის ეგ ქალაქი და სახელიც ვერ დამიხსომებია.

— ივან, გაიხსენე შენი ძმები — ჩეხები, უგრო-რუსები, რუსი-ნები, სლოვაკები და პოლონელები.

— არც ეგ სახელები გამიგია. მე მაგისთანა ძმები არა მყავს. პოლონელს კი ვიცნობ. პეტრემ ჩემის ხელით დაიმონა ეგ ხალხი. ეხლა კი ღმერთმა შევიდობა მისცეს, იდგეს და თვითონვე მოუკაროს თავისს თავს.

— გუნდები? ივან, გუნდები? ესენი ხომ შენი მოსისხლე მტრები არიან!

— ეგეც ტყუილია. გუნდები ტამბოვში არც მოსულან და ვერც მოვლენ.

— ივან, ჩვენ ალთქმა დავდეთ, რომ სიკვდილამდის ერთად ვიბრძოლებთ.

— ჩემ სიკვდილამდის? მე სიკვდილი არ მინდა. გეყოთ, რაც სისხლი გამომადინეთ.

— ჩვენ ერთმანეთს პატიოსანი სიტყვა მივეცით, რომ...

— მაში ისევ თქვენ დაიხიცეთ თავები, მე კი აღრევე ესთქვი, რომ თქვენს პატიოსან სიტყვას გროშის ფასიც არ ექნება მეთქი, რადგან მე არავინ არაფერი მჟიოთხა.

— ივან!

— აღარ მინდა მეთქი ომი, ვსთქვი და გავათავე!

— ივან, სად მიხეალ?

— შინისკენ. ცოტაოდენი მიწა უნდა ჩამოვართვა ბატონებს. არც ქარხნები და ბანკები გვაწყენს.

პეტრე და მისი მეგობრები ივანს წინ გადაელობნენ:

— ივან, მოიცა! ცოტა ხანი მაინც მოიცადე, სანამ მოეიფიქ-რებთ და მოვისაზრებთ. მტერს კარებს ნუ გაუხსნი.

— კეთილი, მოვიცდი. მე დიდი მოთმინება მაქვს, მაგრამ ეხლავე გეუბნებით, რომ ჩემი მოთმინებაც ილევა. თუ ცოტა ხანში შევიდობა არ ჩამოაგდეთ და ცოტაოდენი მიწაც არ მომიჭერით, მე თვითონ მოუვლი ჩემს თავს. აბა, დააჩქარეთ.

გავიდა ხანი. არც ზავი მოსჩანდა, არც მიწა და არც დასვენება. პეტრე და მისი მეგობრები წინანდელივით გაიძახოდნენ:

— აბა, ივან, შეუტიე!... აბა, ერთი კიდევ დაპერარი! ეცი! მიდი! ესროლე!

ივანმა ერთხელ-ორჯერ კიდევ გაისროლა და ხმალიც ოდნავ გაასავსავა. სამაგიეროდ გუნწებმა ისეთი მები დაატეხეს, რომ ივანი ერთ კვირას თავისს ძმათა სისხლში მოაბიჯებდა. მერე შესდგა და პეტრეს მოაგონა:

— სად არის ზავი?

— ეხლავე... ხვალ ან ზეგ მოგიტან. ოლონდ შენ ერთი კიდევ შეუტიე. აბა, ესროლე! დაპარი! მიღი!

კიდევ გავიდა ხანი: ივანი ათიოდეჯერ კიდევ გაბრიყვდა: პეტრეს დაპირებას უჯერებდა და სისხლით და ყინულით საცხე თხრილში ილეოდა. მერე თვალი გაახილა და ყველაფერი გაიგო. ქალაქ-სოფლებში გაფანტული მისი უთვალავი უნცროსი ძები ივანს დიდი ხანია ეძახდნენ და სახლისკენ ეწეოდნენ, თანაც თეთრ ჭურს, მიწას, მშეიღობას და ხელისუფლებას ჰპირდებოდნენ. ივანმა ძლიეს გაიგო, რომ პეტრე და მისი უცხოელი მეგობრები ივანს ვერც ზავს მისცემდნენ, ვერც მიწას და ვერც ხელისუფლებას. ეს რომ შეიგნო ივანმა, თხრილიდან ამოვიდა და სახლისკენ წამოვიდა. პეტრემ თავისი ჯარით ივანს გზა მოუჭრა:

— ივან, შესდექი!

— გზა მომეცი! ზავი და მიწა!

— ივან, უკან გაბრუნდი! დამფუძნებელი კრება და ომი ბოლომდის!

— პეტრე, გზა მომეცი მეთქი! ზავი, მიწა და სოვეტი!

— გაბრუნდი მეთქი! ომი ბოლომდის და მიწა სყიდვით.

— პეტრე, ძმის ცოდვაში ნუ ჩამაგდებ! გეუბნები: ზავი, მიწა და სოვეტი მეთქი!

— ივან, ნურც შენ დამალვრევინებ ძმის სისხლს. გაბრუნდი მეთქი, თორემ... ღმერთო, მიშველე!

და პეტრემ გამოალაგა ათასნაირი თოფი, დამბაჩა, ზარბაზანი, ჰაეროპლანი, ტანკი, ჯავსნოსანი და მრავალი ეშმაკის იარალი. გადმოალაგა და ივანს დაუმიზნა. ივანმაც გამოიტანა ასეთივე იარალი, რომელიც მას პეტრემ და იმისმა ამხანაგებმა მისცეს გუნწების შესამუსრად, სტამბოლის დასაბურობად და უგრო-რუსინ-სლოვაკების გასანთავისუფლებლად. გამოალაგა ეს იარალი ივანმა, დაუმიზნა პეტრეს და კიდევ ერთი ისეთი რამ გამოაჩინა, რაც პეტრეს და იმის მოვაჟშირე ჯარს არ ჰქონდათ: უუზარმაზარი, კოერიანი და დაქლაქნული მუხის კომბალი.

ორივემ დაიმკლავეს და გული ასე გაიმაგრეს: პეტრემ პირვარი გადიწერა და განაცხადა:

— მრწამს მაღალი ღმერთი, წმინდა რუსეთი, დამფუძნებელი ქრება, მიწა სყიდვით, დემოკრატია, ომი ბოლომდის, აია-სოფიო და განთავისუფლება პოლონელთა, უგრო-რუსთა, სლოვაკთა და უკრელთა ძმათა ჩვენთა, ამინ!

ივანმა წითელი დროშა ააფრიალა და ისე დაიძახა თვისი სათქმელი, რომ მისი ხმა მსოფლიოს ყოველ კუთხეს მისწვდა:

— ყველას! ყველას! ყველას! მშვიდობა ქოხებს, ომი დარბაზებს! საყოველთაო ზევი უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ! ხალხთა თავისუფლება! პროლეტარიატის დიქტატურა! კაპიტალის კონფისკაცია! მიწა მიწის მუშებს და ხელისუფლება სოვეტებს!

სთქვეს და ისე დაეძერნენ ერთმანეთს, რომ დედამიწა შეირყა. ასტყდა საზარელი გრგვინვა, ჭექა და ჭუხილი. ათასგან ავარდნილი ალი ზეცას მისწვდა: ღრუბლამდე ასულ ბოლისგან, ჭუხილისგან და ბრძოლის სიცხისგან ფრინველნი და ოთხფეხი. ცხოველნი დაფთხნენ და გაიგუდნენ. მდინარენი და ზღვები წითლად შეიღებნენ და ლეშებით აიგსნენ. მსოფლიოც გაინაბა, გატვრინდა და სულ-შეგუბებული, იმედით და შიშით აცახცახებული, გოლიათთა ჭიდილს თვალს ადევნებდა და მიწის ზანზარს ყურს უგდებდა.

პეტრე-ევ სოპას ფრაკი და გახამებული პერანგი აცვია, ფეხთ—ლაჟირონის ფეხთსაცმელი, თავზე ცილინდრი დაუდვია, ხელებზე თეთრი ხელთამანები წამოუცვია და თვალებზე მონოკლი მიუკერებია. ფეხზე მაგრად ვერა სდგას, რადგან სკვითურ თეძოებზე ეპროპიული ზედატანი ბურლებით აქვს მიქოწიწებული და ძვლებიც ერთმანეთში ვერ შეუზრდია. იგი გაფითორებულია, რადგან ორნაირი სისხლი ერთმანეთში ჯერაც ვერ შერეულა და ვერ შეთვისებულა; ბეცია, რადგან სათვალურში სხვისი თვალი აქვს ჩადებული; მელოტია, რადგან რუსულ-მონლოლურ თავზე ფრანგულინგლისური თმა ვერ ამოუციდა; უქბილოა, რადგან მგლის პირში ცხენის კბილმა ფესვი ვერ გაიკეთა; თმა კოხტაც აქვს დავარკცნილი და წვერ-ულვაში სუფთად მოპარსული; თავპირზე და ტანზედაც უხვად წაუგლესია და გაუბნევია ფერუმარილი, კოტი, უბიგანი და შიპრი.

ივანი ტანით უშნოა, მოუხეშავი, მუხის ფესვივით დაკლაკნილი და კუერიანი. სამაგიეროდ მას რკინის ძვლები და ფოლადის კუნთები აქვს. ის თითქმის შიშველია: ტანთ აცვია დაგლეჯილი ხალათი, ცალ ფეხზე—ხის ქერქის ქალაბანი, მეორეზე — სადღაული ნაპოენი გაცვეთილი ჩექმა. ივანის პირსახემ სამართებელი არ იცის, იმის ჯაგ-

რიან თმას საგარცხელი არ მიჰყარებია, ხოლო იმის ტანს და საპონს ერთმანეთის ცნობა არა აქვთ.

სამი წელიწადი, სამი თვე, სამი კვირა და სამი დღე იბრძოლეს პეტრემ და ივანმა.

შეუტია პეტრემ ივანს და ქალაქიდან ტრიალ მინდორში გააგდო. ჩაჯდა ქურქში განვეული პეტრე თბილ სახლში, მაგრამ იდუმალ მიზეზით მაინც სთროთის და ჰყანქალებს.

დადის რუსულ ზამთარშიც ტანშიშველი ივანი. ღამეს მინდორში ათენებს, დღეს ტყეში ალამებს, პეტრეს სახლს უთვალთვალებს, მძიმე საფიქრელს ჭიქრობს, კეთას იფხანს და უდარდელად გაიძახის:

— ნი-ჩა-ვო-ო-ო!

ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა, ერთხელ ცხრა ადლიანი მუხა ამოვგლიჯა, მოიქნია და ისე სდორუხა პეტრეს ქალაქს, რომ ნახევარი ქალაქი მიანგრია, ხოლო პეტრე ტრიალ მინდორში გააგდო.

პეტრეს დასავლეთიდან გამუდმებით მოსდის იარალი და ტანისამოსი, სასმელი და საჭმელი. იმ დღეს პეტრეს სამი საათით დაუგვიანეს კავაო და შოკოლ დი. ქალაქუნა ძმას სიმშილისგან კინალამ გული წაუვიდა. ივანსაც გამოელია საჭმელი. სამი წელიწადი, სამი თვე, სამი კვირა და სამი დღე ისე იცხოვრა და იბრძოლა: სამი დღის უსმელ-უჭმელი მუხის მორგვი სამ დღეში ერთხელ სამ ლუკმა კიტრის მწნილს ჩაჰყლაპავდა, ზედ სამ ჭიქა „სამოგონქას“ მიაყოლებდა, მერე სადარაჯოზე ზამთრის ქარბუქში სამი დღით თავისს კომბალზე დაებჯინებოდა და თავისთვის ჰბუტბუტებდა:

— ნი-ჩა-ვო-ო-ო!

მიუღერა ივანმა პეტრეს ხიშტი და ლბილში დააძგერა. პეტრე დროზე გაუხტა განზე, მაგრამ ათოოდე წვეთი სისხლი მაინც გამოუედა. აკიედა პეტრე ისტერიულ კივილით და ცხრა კვირა და ცხრა დღე ლოგინში იწვა. მერე წამოდგა, ივანს მიეპარა და ისე მძლავრად დასცა სამპირი ხიშტი, რომ ტარამდის დაიყვანა. ივანმა ოდნავ მოიხედა, გახვრეტილი ალაგი ოდნავ მოიფხანა, მუჭით ცინგლი მოიწინდა, ერთი მაგრად გადაატურთსა და გულგრილად წაიბურტყუნა:

— ნი-ჩა-ვო-ო-ო!

ცხრა ლიტრა სისხლი დააკლდა ივანს, მაგრამ არც წაიქცა და არც ლოგინში ჩაწვა.

დაუმიზნა პეტრემ ცხრა-ადლიანი ზარბაზანი და ესროლა. ყუმბარამ ივანი ცხრა ადლზე ააგდო, ცხრაჯერ გადაატრიალა და მუშტის ოდენა ცხრა ნატეხი ცხრაგან შეერქო. ივანი ისევ ფეხზე დად-

გა, ცხრა ჭრილობიდან ცხრა-ცხრა ტყვეია გამოიღო, კვლავ კეფა მოიტხანა და კვლავ გულმჟვიდად განიმეორა:

— ნიჩა-ვო-ო!

ციდან მოუარა პეტრემ, ივანი ზეცაში აიტაცა, ლრუბლებს ასცდა და იქიდან თავდაყირა ზღვაში დაუშვა. ცხრა წუთი და ცხრა წამი მოჰქონდა ივანი, ცხრაჯერ ცხრა წუთი ევდო გაგუდული ზღვის ძირში, მერე წამოდგა, ამოტივტივდა და ნაპირისკენ წამოვიდა, თან მლაშე წყალს ანთხევდა და არხეინად ამბობდა:

— ნიჩა-ვო-ო!

ერთი ხერხი კიდევ იხმარა პეტრემ. დრო იხელთა და რაღაც მანქანებით ივანი ეშმაქების გახურებულ ფურნეში შეაგდო. ივანი დამდნარ კუპრსა და რკინაში ცხრა წუთი და ცხრა წამი იხრაკებოდა, მერე ის ფურნე გაანგრია, გარუჯულ-გატრუსული გამოვარდა, თავისს კომბალს დაავლო ხელი და გაჯავრდა:

— А таперыча დარჯис, იკაიხნყა! — და კრაზანებისგან დაკბენილ დათვივით გამწარდა და დატრიიალდა. მისი კომბალის ბაგაბუგი, ზათქი, ჩახუნი და რახუნი ზეცას სწვდება. პეტრეს და იმის მეგობართა კივილი, ჭყვირილი, კვნესა და გმინვა განაბულ ქვეყანას ესმის. რუსეთს კორიანტელი, ალი, ბოლი და მტვერი ასდის. სადაც ფეხს დააღვავს ივანი, იქ მიწა სკდება, რასაც მისი კომბალი მოხვდება, ისიც ინგრევა, საითაც მკლავს მოიქნევს, იქ გრიგალი ასტყდება; თუ ქალაქს შეუბერავს, ის ქალაქი იწვის და ფერფლად იქცევა. დარბის ყინულოვან ზღვიდან კავკასიონამდის და ვისლიდან სახალინამდის ქუდ-მოგლეჯილი პეტრე; დასდევს ლაგამ-აგლეჯილი ივანი და ჰკივის:

— მიდი! დაჰქა! შეპმუსრე! დაახჩე!

ორივენი ცეცხლში იწვიან და სისხლში იხჩობიან. უუზარ-მაზარი ქვეყანა ალით გაიტრუსა, ლეშის სუნით გაიგუდა, სისხლისგან გაწითლდა და სიმშილისგან მიიღია და მიიხრწნა.

ბოლოს, ივანმა იმძლავრა: რამდენჯერმე კიდევ მოიქნია კომბალი, ორიოდეჯერ კიდევ მიაწვა მტრებს და პანტა-პუნტით ზღვაში გადაცყარა. ჯონ ბულმა და უკ დე-პარიმ კარვი ცურაობა იცოდნენ, ამიტომ პეტრეს ილლიებში ამოუსხდნენ, ზღვის მეორე ნაპირს მიაღწიეს და იქ ჩამოსხდნენ. ივანიც აქეთა ნაპირზე ჩამოჯდა. ჩამოსხდნენ, იარებზე მაღამო დაიდეს, დამტვრეული თავპირი აიხვიეს, დახეულის დაკერებას შეუდგნენ და ასეთი ბაასი გააბეს:

— ყველას! ყველას! ყველას! — პგრგვინავდა ივანი: — ჰეი, ჰეი! ძეგლი და ამხანაგებო! პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! შეერთდით და დასცეთ თქვენს ბურულებს!

— გაჩუმდი, შე უნიფერს, შენა! — გადმოსძახეს ჯონ ბულმა და უკავებები ივანის მეორე ნაბირიდან, თანაც აქეთ-იქით იხედებოდნენ და შიშისგან და ეჭვისგან სთროოდნენ.

ივანმა ზედ დაიხედა. მართლა უნიფერს იყო. შალვრის მაგიერ ტან-ზე ძმნები ეკიდა. მაგრამ ივანმა ორც სირცეებით იგრძნო და ორც გამომელთა სიცილი იხამუშა. კეთა მოითხანა და გადასძახა:

— ნი-ჩა-ვო-ო-ო! შალვარი ბრძოლაში დამეხია. მაღლე ახალს შევიკერავ, ან ჩემი მანდაური ძმები თქვენ გაგხდიან მაგ შალვრებს და მე გამომიგზავნიან. ჰეი, ჰეი! პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! თქვენ კი, მურდალო ავაზაკებო, აი, თქვენ რის ლირსნი წართ: ფუ-უჟ!

და იმოდენა დუქი მიაფურთხა, რომ ევროპას ის ფურთხი ეხლაც ვერ ჩამოურეცხნია თავისი პირსახიდან.

— შენ, ეი, ივან! — გადმოსძახა ჯონ ბულმა: — მშიერი მოკვდები.

ივანს მართლა სიმშილით კუქი ეგრისებოდა, მაგრამ სამი ტო-მარიდან ერთი ტომარა ფქვილი ჯონ ბულს გადაუგდო და მიაყოლა:

— ნი-ჩა-ვო-ო-ო! შენც მშიერი ხარ. აპა, დაიჭი! თუ გინდა, ცოტა შენც შეხეთქე, დანარჩენი ჩემს მანდაურ მშიერ ძმებს დაურიგე. შენ კი, საზიზღარო წუნკალო, ესეც მიიღე და მიირთვი: ფუ-უჟ!

და ერთხელ კიდევ იმოდენა მიაფურთხა, რომ იმ ნაფურთხში ჯონ ბულის და უკავებების გემებიც კი ჩაიხენენ.

— ესროლეთ მეთქი, ესროლეთ, სანამ ივანი მშიერია, შეუტიეთ, თორემ გაძლება და ველარ მოერევით! — ჭყვიროდა გაპენტილი და ნაბეგვი ჰეტრე.

— შენ ჰეი! — გამოკივლა უკავებები: — მომეცი ჩემი ვალი! დამიბრუნე ქარხნები, თორემ...

— თორემ ფეხები არ მომჭამო! — სიცილით გადაჰყვირა მოსულიერებულმა ივანმა: — თუ ბიჭი ხარ, მოდი და წაიღე. მე თუ ერთი მმართებს შენი, შენ ჩემი სამი გმართებს. შენ თვითონ მიზე ზარალი, თორემ...

— ტყუილი ლაპარაკია, ტყუილი! — კვლავ წრიპინებდა თავ-პირშეხვეული და ხელ-ფეხმოტეხილი ჰეტრე: — ესროლეთ მეთქი, ესროლეთ!

— თქვენ ჰეი. ჰარამზადებო! წურბელებო! ავაზაკებო! გაანთავისუფლეთ ჩემი მანდაური ძმები, თორემ დედას გიტირებთ მე თქვე-

ნა, დედასა! დაგანგრევთ, შეგმუსრავთ, დაგხოცავთ! ჰეი, ჰეი! ძმებო და ამხანაგებო! შეერთდით! დასცხეთ! დაპკარით!

ჯონ ბულმა და უაკ დე-პარიმ ისევ დაიმკლავეს, მაგრამ მიიხედ-მოიხედეს და შესდგნენ: კარლ მიულერი, მაჭმუდ გასსანი, ჩინ-ჩინ-ჩუნი, ზანგი ბამბულლა, ინდოელი რაბინდრანატ გორა, ეგვიპტელი ზაგლული, მალრიბელი აბდულ ქერიმი, სპარსი საადი რიზა სეპახი, ავღანელნი, აფრიკელნი და ათასნი ხმელელნი და კუნძულელნიც იმ-კლავებდნენ, თოფ-ზარბაზნებს სტენავდნენ, ხმალ-ხანჯლებს ჰუერავ-დნენ და ჰერგვინავდნენ:

— ხალხთა თვითგამორკვევა და თავისუფლება!.. გაეთრიეთ აქედან!.. ძირს ინტერვენცია და ოკუპაცია!.. გაუმარჯოს ივანს!

ივანს გული გაუმაგრდა. თანდათან ხმას აუწია და მთელი ქვეყნის სასმენად გაპკიოდა:

— ჩინ-ჩინ-ჩუნ, განთავისუფლდი!.. კარლ მიულერ, ვალი არ გადაუხადო მავ წურბელებს!.. მაჭმუდ გასსან, მაგრად ჩაკეტე შენი კარები!.. ზანგო ბამბულლა, მისცხე!.. რაბინდრანატ გორა, ზღვაში გადააგდე ჯონ ბული!.. ძმაო ზაგლულ, შენც უკნიდან მოუარე!.. მალრიბელი აბდულ ქერიმ, მარცხნით მოუარე და დაპკა უაკ დე-პარის!.. საადი რიზა, შენ მარჯვნით მოუარე და ესროლე! აბა, ძმებო და ამხანაგებო! ერთად! მწყობრად! შეუტიეთ! პროლეტარებო, წიმოდექით!

ჯონ ბულმა და უაკ დე-პარიმ კვლავ ივანისკენ გამოიწიეს, მაგრამ მონებასა და ყმების გარდა საკუთარი ოჯახიც აეშალათ და აეწერათ. პროლეტარებმა ივანის ქუხილი გაიგეს და წამოიწიეს. წა-მოიშალნენ და საომრად დამკლავებულ ჯონ ბულს და უაკ დე-პარის ხელებსა და ფეხებში ეცნენ. ზოგან წითელი ილი ავარდა, ზოგან წი-თელი ბაირალი აფრიკალდა, ზოგან კიდევ ისე დაიჭუხა და გაიცელვა, რომ უაკ დე-პარის და ჯონ ბულს შიშის ცახეახი და ციებ-ცხელება აუვარდათ. ირლანდელმა ო-გრედიმ, ეგვიპტელმა ზაგლულმა, ავ-ლანელმა და ზოგმა სხვამაც ღრო იხელთეს და მაგრად შეკრულ თო-კებიდან თითო ხელი ან თითო ფეხი გამოიგლიჯეს.

ამ უიყილ-ხიყილსა, აყალმაყალსა და მიწევ-მოწევაში გავიდა შვიდი წელიწადი, შეიდი თვე, შეიდი კვირა და შეიდი დღე. ერთ დღეს რომიდან ჯიოვანი ჯიორალდინმა დაიძახა:

— ივა-ა-ან! მე ვცნობ შენს ძალას და კანონიერ არსებობას. მოიტა ხელი!

ივანმა მარჯვენა ხელზე დაითურთხა და ის ხელი გაი-შეირა, მაგრამ იმის ხელს ერთის მაგივრად ორი ხელი დაეძგერა:

ერთი რომიდან, ხოლო მეორე ლონდონიდან. და იმავ წამს ჯონ ბულმაც დაიღრინა:

— ივან, მეც გცნობ და ვალიარებ, რომ შენ არსებობ და ჩემი ტოლი ხარ. აი, ჩემი ხელი.

მეორე ხელი ზურგზე დაიდო, ხოლო იმ ხელში ერთი კოხტა დრედნოუტი და რამდენიმე ბჟყვრიალა ტანკი ჩაიდო. ივანმა კელავ ხელი გაუშვირა, მაგრამ ამ ღროს ჯიოვანი ჯირალდინი და ჯონ ბული ერთმანეთს დაეტაკნენ.

— პირველად მე ვუთხარი ივანს: „ივან გცნობ მეთქი!“ — წამოიძახა გულნატკენმა დობჩინსკი ჯირალდინმა: — ამიტომ ჯერ მე უნდა ჩამოვართვა ხელი.

— არა, პირველად მე ვსთქვი! — უპასუხა ნაწყენმა ბობჩინსკი ჯონ ბულმა.

— არა, მე ვსთქვი!

— შენ კი არა, მე ვსთქვი მეთქი!

— სტყუი, მე ვსთქვი! სტყუი, შე პირატო!

— შენ თვითონ სტყუი, შე მაკარონო, შენა!

— მაშ ვეითხოთ ივანს.

— ვკითხოთ.

— ივან, პირველობა შენი ცნობის ვის ეკუთვნის, მე თუ ჯონ ბულს?

— ივან, ვისია პირველობა, ჩემი თუ ჯირალდინის?

ივანმა ორივეს აჭედ-დაჭედა, კეფა მოიფხანა და ორივენი ასე დაამშეიდა:

— ორივენი ტოლ-პარამზადები ხართ. ჩემთქის სულ ერთია: შევი ძალლი, თეთრი ძალლი, ორივ ძალლი, მამა-ძალლი.

და ერთი ისეთის ძლევამოსილებით გადიხარხარა, რომ ჯირალდინის ბერსალიური ქუდი და ჯონ ბულის ჭრელი პლედი ივანის სიცილის ქარმა მოიტაცა.

მერე ქვეყნის ყოველ კუთხიდან ყაყანი, ყიურია და ურიამული მოისმა:

— ივან, გცნობ!.. ივან, მეც გცნობ! მეც! მეც! მეც! გცნობთ! გცნობთ!

და ყოველ მხრიდან ხელებს იშვერდნენ, ივანს თავს დასტრიალებდნენ, ერთმანეთს აღარ აცლიდნენ, მუჯლუგუნებს ჰქონდნენ, კინკლაობდნენ, ივანს თავიანთ საქონელს აჩეჩებდნენ და ყურში ჩას-ჩურჩულებდნენ:

— ძმაო ივან! არ მოგატყუოს გაიძვერა ჯონ ბულმა. მე, უაკ დე-პარი, დაბადებითვე შენი ღვიძლი ძმა ვარ. აი, საბუთიც: ნახე, როგორი ფერუშარილი, სასუნებელი, საცხებელი, შამპანური და ლიკიორები. მოგიტანე. იყიდე, ივან, იყიდე. ძალიან იაფად მოგცემ. ცოტაოდენი ვალიც გადამიხადე, ქარხნებიც დამიბრუნე და მერე მე, შენ და მაპმუდ გასსანი ჯონ ბულს ოდნავ თავს მოუქმექავთ და ბრჩხალებს დაეკრით, თორემ ამ ბულდოგმა ლამის ნახევარი ქვეყანა დაიძყროს. იყიდე ჩემი საქონელი, ივან, იყიდე, იაფია, ჩალის ფასად მოგცემ.

ჯონ ბულმა ივანი უაკ დე-პარის ჩამოაშორა და განზეგაიყვანა:

— შესანიშნავი ბოქსიორი ჰყოფილხარ, ძმაო ივან. მე და შენ რომ დავგმობილდეთ, ქვეყანას შუაზე გავიყოფთ და უაქსაც ოდნავ უკან დავსწევთ, თორემ მეტის-მეტად თავს გავიდა. აი, მანქანები, ქსოვილები, კოლონიის საქონელი, ოპიუმი, მორტი, ხაშხაში და ასნაირი ტკბილი სასმელი, სასუნებელი და შესაშხაპუნებელი. თითქმის მუქთად მოგცემ. ოლონდ დამიდასტურე, რომ ვალსაც გადამიხდი და ქარხნებსაც დამიბრუნებ. ჰა, ივან, მოვრიგდეთ და უაკ დე-პარი ცოტა გავპენტოთ, თორემ ძალიან გათამამდა.

— მაკარონი! მშეენიერი მაკარონი! საუცხოვო მაკარონი! — ჩასჩურჩულებს ჯირალდინიც: — ივან, იფად! ჩალის ფასად! მუქთად!

— კეთილი და პატიოსანი! — სთქვა, ბოლოს, ივანმა: — მოვრიგდეთ. ეგ საქონელი ნისიად მომეცით და ცოტა ფულიც მასესხეთ. ბევრი არ მინდა. ჯერ-ჯერობით ერთი მილიარდი მეყოფა.

— ჯერ ძველი ვალი დაგვიდასტურე, ქარხნები დაგვიბრუნე, ზარალი აგვინაზოურე და მერე... — ამბობენ ჯირალდინი, ჯონ ბული და უაკ დე-პარი.

სდგას ივანი და თავს ითხანს. ითხანს და ამბობს:

— ნი-ჩა-ეო-ო-ო! ცოტას კიდევ მოვიფიქრებ. ხეალინდელი დლე დლევანდელს აჯობებს. საქმე მგელი ხომ არ არის, რომ ტყე-ში გაიქცეს? „ზავტრა“!

და იცდის ივანი, სანამ ჯონ ბულიც, უაკ დე-პარიც და ბიძია იანკიც თავიანთ ვალებსაც, ქარხნებსაც და ზარალსაც დაივიწყებენ. იცდის და კვლავ არხეინად ამბობს:

— ნი-ჩა-ეო-ო-ო! ზავტრა!

აქა ამბავი ჩიქორთულ საქმეთა, სანამ ივანი ოქტომბრის ალში იწყოდა.

სანამ გამალებული და ყალყზე ამდგარი ივანი კომპალის ტრიალით კიდით-კიდემდის დარბოდა, დაგეშილი კვაჭი ცეცხლ-მოკი-

დებულ დედა-ქალაქში ვირთაგვასავით დაძვრებოდა და „ძროხას სწერლავდა“. კვაჭიმ გალესილ ცხვირით და დაგეშილ ალოთი მალე შეატყო ივანს გამარჯვება, ორივე ხელით დაეჭიდა ივანის დაგლეჯილ ქალთებს და წითელ მორევში შესტოპა, თანაც ჩუმ-ჩუმად ივანს ამხნევებდა და ყურაში ჩასახოდა:

— ივან, მიდი!.. დაჭკა!.. ესროლე!.. ეგრე, ვენაცვალე შენს მარჯვენას, ეგრე!

კვაჭიმ იმოდენა იყბედა და მოისმინა, რომ ნელ-ნელა შეუმჩნევლად თვითონაც დაიჯერა და გაიზიარა ცეცხლიანი ლოზუნები და სისხლიანი დევიზები. მაგრამ იმავ დროს კვაჭი მაინც კვაჭობდა და დრო-გამოშვებით თავისს ამხანავებს ასე არიგებდა და ამ-ხნევებდა:

— ხელი გაანძრიეთ!.. მოუსვით!.. პირი ნუ დაგილიათ!.. ნუ ხართ დოყლაპიები და ბედოვლათები, თვარი ამისთანა დღეს მეორედ ვეღარ მოესწრებით!

და ამხანავებიც ბელადის ხელმძღვანელობით ხელებს ანძრევ-დნენ, ნიჩბებს მოუსვამდნენ და მოსახვეტელს უხვად იხვეტდნენ.

ერთხელ კვაჭი ცეცხლმოკიდებულივით შეუვარდა ივან ივანიჩ ივანოვს და შესახა:

— თეთრები და იუნკრები სასახლეს საძრცვავენ. აუარებელი განძი და ნახელოვნევი ინახება იმ სასახლეში. ჩქარა, მანდატი!

ივან ივანიჩმა ხუთ წითში კვაჭის მრისხანე მანდატი და ათი-ოდე გააფთრებული მეზღვაური ჩააბარა. კვაჭიმ მანდატი უმაღ ჯი-ბეში ჩაიდო და ნახევარ საათში თვისი რაზმით ერთ სასახლეს მი-ადგა, სადაც წითლებს თეთრები მოემწყვდიათ. კვაჭი და მისი ამ-ხანავები შეიარაღებულ მუშებს და მეზღვაურებს ჩამოეკიდნენ და სასახლეში შევიდნენ. იგი უკვე სავსე იყო იარაღიანი და უიარაღო ბრძოთი. ერთი სამოვარს მოათრევდა, მეორე მარმარას ძეგლს ექი-დებოდა, მესამე სავარექლს ტყავს იძრობდა, მეოთხე გობლენის ხა-ლიჩის წელზე იხვევდა, ხოლო მეზუთენი და მეათენი უუძველეს სუ-რათებით, ფაიფურის ვაზებით, ჭურჭლით და ათას წვრილმანით იტვირთებოდნენ და გასასელელ კარებს ეძებდნენ.

— მუშების, გლეხების და სალდათების დეპუტატთა საბჭოს სახელით, შესდექით! — დასჭუივლა კვაჭიმ და თვისი მანდატი ხმა-მაღლა წაიკითხა. მერე წითელ მუშებს და მეზღვაურებს ბრძანება მისცა: — ყველანი დიდ დარბაზში შეჰყარეთ, გასჩერიკეთ და გაჰ-ყარეთ.

ნახევარ საათში მძარცველებს ყველაფერი დააყრევინეს. კვაჭიმ აქა-იქ თვისი მეგობრები ჩააყენა და წითლებს უთხრა:

— ძმებო, გმადლობთ სახალხო ქონების გადარჩენისათვის. ეხლა ჩვენვე მოვუვლით ყველაფერს. თქვენ საჭირო აღარა ხართ. მშვიდობით იყავით.

კარები ჩაიკეტეს და დღე და ღამის მუშაობით ხელები დაიწყვიტეს: განძეულობა გადაარჩიეს, ყუთებსა და სკივრებში ჩაალაგეს და „შესანახად“ კვაჭის სარდაფში გადაზიდეს. იმ დღიდან იმ სარდაფს გინკი და ერთი ანტიკვარი ურია შეეჩივნენ.

კვაჭიც შეეჩია სახალხო განძეულობის ძებნას, გადარჩენას და დაცვას. რა, ი იმ მანდატმა ერთგან გასჭრა, ვითომ სხვაგანაც რატომ არ უნდა გაეჭრა? კვაჭიმ სცადა თვისი ხერხი და იმ მანდატის ძალა, რომელიც უსაზღვრო და ჯადოსნური აღმოჩნდა. ყველანი ისე სთრობინენ იმ ქალალდის დანახვაზე, როგორც შვი ჭირის ან გატენილ ყუჩბარის წინაშე. კისრები თავის-თავად იღრიკებოდნენ და კარებებიც თავის-თავად იღებოდნენ. კვაჭი მალე გაოცდა იმ აურებელ და უთვალავ განძეულობით, რომელიც ასე უხვად იყო გამნეული პეტრეს ქალაქში.

ერთხელ კვაჭიმ თითქოს ის დრო გაიხსენა, როდესაც მან კვაჭობაზე ხელი აიღო და გულწრფელად გადასწყვიტა ხალხისა და რევოლუციის სამსახური. გაიხსენა და ბესოს წინაშე ასე დაასაბუთა ძველ გზაზე დაბრუნება:

— სულ ერთია, ჩემო ბესო, პატიოსნებიდან აფერი გამოდის. ირგვლივ ყველანი საძარცვავენ და იტაცებენ,—ძველებიც და ახლებიც,—პატიოსანი კაცი კი მშრალზე რჩება და მშიერი კვდება. ახალი რევოლუცია იმ გზით არ მიღის, მე რომ მეგონა. იგი სისხლში დაიხსება და ჩენც წაგვიღებს. ჩვენ ძალიან სახითათ გზას დავადექით. მაგრამ უკან დაწევაც აღარ შეიძლება. ამიტომ ჩვენ მხოლოდ ის-ლა დაგვრჩენია, რომე ჩენი წილი მივიღოთ და ამ ჯოჯოხეთს თავი დავალწიოთ. აი რუსეთი მთელ ქვეყანას ეჭიდება. აქლემები წეიჩებნენ, კოზაკი შუაზე გაჭყლიტესო. ამ ჩხების დროს ყოლიფერი უნდა ავკრიფოთ, რაც კი შეგვიძლიან, მაგრამ არ უნდა დევიგვიანოთ და დროზე მოვშორდეთ აქოურობას.

„წითელი რევოლუციის დამცველთა საზოგადოება“ უფრო გაიშალა და გაიფურჩენა. ახალ ხელისუფალთ დრო არ ჰქონდათ მისი გაჩრეუებისთვის, ამიტომ კვაჭის ლაშქარში ყოველივე კვაჭის გზით მიდიოდა.

მაგრამ ერთხელ სმოლნის ინსტიტუტში ეს საზოგადოებაც გაახსენდათ. კვაჭი უმაღვე მიუხვდა ხიფათს და თვისი შტაბი ასე დაარიგა:

— იქნე ჩვენ კისერს მევიტეხთ. დროა ნელ-ნელა მოვშალოთ ჩვენი ბუდე, რომელმაც ერთი წელიწადი შეგვინახა და გვათბო. თუ შენობა გეიბზარა, იქნე დგომა აღარ შეიძლება. აწი სამსახურის დრო დადგა. ვინ იცის, იქნება იქნე სჯობდეს თავის შეფარება. მანდატს აწი ისეთი ძალა მიეცა, რომე იმის გულისთვის თუნდ უჯამაგიროდ უნდა ვიმსახუროთ.

დაადგინეს და შეასრულეს. ერთ კვირაში კვაჭიმ ყველანი ახალ სკამებზე დასხა. თვისი თავი კომისრად დაანიშვნინა ერთ დიდ ბანქში, სედრაკ ჰავლაბრიანი იმავ ბანქში მთავარ მოლარედ ჩააყენა, გაბო ჩხუბიშვილი წითელი ჯვრის საწყობებში შეაძვრინა, ლადი ჩიქინჯილაძე ფულის სტამბაში შესჩირა, ხოლო ჭიპი ჭიპუნტირაძე, ჰავლოვი და ბეკარევი ისევ ძველის გზით — ზერევის და ჩხრეკის გზით გაუშვა.

ბესო შიქია „წითელ რევოლუციის საზოგადოებაში“ კვაჭის ხელმძღვანელობით კვაჭის მაგივრობას ასრულებდა: საზოგადოებას არღვევდა და იმის ქონებას ჰყიდდა, რაც ერთ თვეში ბრწყინვალედ შეასრულა.

მაგრამ კვაჭიმაც იმ ერთ თვეში თვისი გეგმაც შეასრულა. თითქმის ყოველ დღე მასთან ან ბესო, ან ჭიპი, ან ლადი შევიდოდნენ და რამდენიმე მილიონიან „ასსიგნოვებს“, ჩეკებს ან სხვა საბუთებს წარუდგენდნენ. კვაჭი არხეინად წააწერდა: „მიეცით“, ხოლო ჰავლაბრიანი, რომელიც ყველას ეუბნებოდა: „ფული არ არისო“, მთელ დაგროვილ ფულს ამხანავობას ჩაუთვლიდა. იმ ფულს ხაინ-შტეინი ბირუაზე გაიტანდა და საღამოთი სამაგიეროს ოქროთი და თვალ-მარგალიტით დაუბრუნებდა.

ყოველ დღე, შუადღე რომ მოატანდა, კვაჭი ტელეფონს დასწედებოდა და ბესოსთან ასეთს ჩიქორთულ ბასს გააბავდა:

— ბესო, შენ ხარ?

— კი, მე ვარ.

— დღეს ხუთი მილიონისა დასწერე.

— კა.

და ერთი საათის შემდეგ ბანქს კვაჭის საზოგადოების ან სხვა დაწესებულების სახელით ხუთი ზილიონის მოთხოვნა მისდიოდა.

სალამოობით ამხანაგები კვაჭის ბინაზე იქრიბებოდნენ, ერთ-მანეთს ახალ ამბებს უზიარებდნენ, ანგარიშებს ასწორებდნენ და ახალ ხაფანგებს აგებდნენ.

გარეთ ცაც კი იწვიდა, ქვეყანა სისხლით ირწყვოდა, მებრძოლთა გმინვა ქუჩებს აყრუებდა და პექა-ქუხილისგან დედა-მიწაზნიარებდა.

კვაჭიმ და იმისმა ამხანაგებმა ათასი ყური და თვალი გამოიბეს, ყოველივეს გაფარციცებით თვალყურს აღევნებნენ და ხელმარდად მუშაობდნენ: მოსახვეჭელს იხვევდნენ, მოსამკალს იმკიდნენ, ჩამოვარდნილს აჰკრეფდნენ, წაქცეულს გაპყვლეფდნენ, გაბზარულში ადვილად შეძრებოდნენ, უპატრონოს უმალ დაეპატრონებოდნენ და მშირად პატრონიანსაც დაიჩიებდნენ.

პავლოვი ისე დატრიალდა ახალ საქმეში, როგორც საკუთაროთაში, და მალე კვაჭის მარჯვენად გადაიქცა. დღე არ გავიდოდა, რომ პავლოვს კვაჭისთვის ახალი საქმე არ მიეწოდებინა:

— ეს საქმე მოეწყობა... ეს სახითათოა... ეს ვერ გაიჩარება... ეს იციან... ეს არ იციან.

დიდი ხანია, რაც კვაჭიმ ბრძანება გასცა:

— ისე მოიქცით, რომ ყოველ უამს ქალაქიდან გასასვლელად მზად ვიყოთ. ფრთხილ ვაეკაცს ასეთ ღროს ცხენი მუდამ შეკაზმული უნდა ჰყავდეს.

ისაკა და რებეკკა ციხიდან გამოეშვათ. ორივენი უმალ ადესისკენ წასულიყვნენ. თუმცა კვაჭიმ ორივეს აპატივა სუსტობა, მაგრამ ისინი მაინც მოერიდნენ კვაჭის და ბეკარევის პირით მოკითხვა და ბოდიში შემოუთვალეს.

მერე ორივენი მოულოდნელად გაპქრნენ.

ალარც ელენე სჩანდა.

მთავრობა მოსკოვში გადავიდა. კვაჭიც უნდა გაპყოლოდა თავისი შტაბით, მაგრამ ოდნავ დაიგვიანა, რადგან ორიოდე საქმე ჰქონდა დასასრულებელი.

— გაბო, როგორ არის ჩემი მეგობარი განუსი? — ჰკითხა იმ დღეებში გაბო ჩხუბიშვილს.

— ეს არის ეხლა მოკვდა.

— თვითონ მოკვდა? — გაიკვირვა კვაჭიმ.

— მოკვდა მეთქი. შენ ხილი სჭამე, მებალე ნუ გეკითხება, — გაიღიმა გაბომ და ზედ დაიხედა. კვაჭი უმალ მიუხვდა. გაბოს ოქროს საათი ეკიდა, ხელში ოქროს სათუთუნე ეჭირა და თითებზე რამდენიმე ძვირფასი ბეჭედი უკრიალებდა.

— ყოჩა! — მოუწონა კვაჭიმ: — მადლობა ჩემზე იყოს.

კვაჭიმ და ამხანაგებმა ხელის მოსმას მოუშირეს, ნავარბევად გაჟერეს, გამოჟერეს და ერთ კვირაში უფრო მეტი გაიჩინეს, ვიდრე მანამდის ჰქონდათ.

იმავე ხანებში კვაჭის თავზე ცა გრიგალის ლრუბლებით მოილრუბლა. ჰაერში მუქარის სუნი დატრიალდა. აქა-იქ გაიელვა. ბოლოს, ერთ საღამოს ქუდ-მოშველეპილი ჭიპი ჭიპუნტირა-ძე შემოვარდა კვაჭისთან და აკივდა:

— დევილუპეთ!.. ყოლიფერი გეიგეს!.. თავს უშველეთ! აი, წე-იკითხეთ.

საღამოს გახეთი გადაშალეს და წაიკითხეს: „რევოლუციას მიექრო აგრედვე თავადი კვაჭანტირაძე, რასპუტინის მეგობარი და მეფის ერთგული მსახური, რომელმაც...“

— ზმებოჯან, დროა სავიდეთ! — გააელვა ცხენის კბილები ჯა-ლილამ.

ჭიპის პავლოვი მოჰყვა, რომელმაც მოკლედ და მშვიდად განა-ცხადა:

— ყველაფერი გაიგეს. ეხლავე უნდა ივიბარვოთ, თორემ და-ვიგვიანებთ.

— აბა, ნახევარ საათში ყველანი სადგურზე გამოდით! — გას-ცა მობილიზაციის ბრძანება კვაჭიმ.

ყოველივე წესიერად აღმოჩნდა. ნახევარ საათის შემდეგ ყველა ამხანაგები სადგურზე შეხვდნენ ერთმანეთს.

— დევილუპეთ! — კვლავ აკივდა ჭიპი: — არც ერთი მატარებე-ლი არ ყოფილა.

— ნუ ყვირი, ჭიპი! — გააჩუმა აშლილი მზეერავი კვაჭიმ. — ბე-სო, წადი და მატარებელი იშოვე. ხარჯს ნუ მოერიდები.

ბესო ათ წუთში დაბრუნდა:

— ეხლავე მზად იქნება ორი ვაგონი. მგონი, ასი რქირო ძვირი არ უნდა იყოს.

— ძვირი არ არის. — დაეთანხმა კვაჭი.

ნახევარ საათის შემდეგ ორ-ვაგონიანი მატარებელი მოსკოვის-კენ მოჰქროდა. სალონ-ვაგონში ცხრანი ისხდნენ, ცხრა წევრი „წი-თელ რევოლუციის დამხმარეთა და დამცველთა საზოგადოების გამ-გეობისა“, რომელთაც დავალებული ჰქონდათ „რევოლუციურ სალდათების მატარებელთა მოძრაობის მოწესრიგება.“

— მერე, გასჭრის ეგ მანდატი-ი-ი? — შიშით იკითხა სედრაკამ.

— გასჭრის კი არა, ყოლიფერს ააფეთქებს! — უპასუხა ლადი ჩიკინჯილაძემ.

— ვინ აწერს ხელს? — ჰყითხა კვაჭიმ ბესოს, რომელსაც ხელში ადლიანი მანდატი ეჭირა.

— სარევოლუციო-სამხედრო კომიტეტი. აი, ნახე, ბეჭედიც და ყოლითერიც თავის ალაგზეა. წერითხე: „რე-ვო-ენ-სო-ვე-ტი!!“

— ალლაპ! — წიმოიძახა ჯალილამ: — რა დიდი ზალა აქვს ქალალდი ურუსის ქოყანაში!

— აბა, ჯალილ, ვახშამი! — მოითხოვა კვაჭიმ: — ამეილეთ კარგი არაყი, ყირიმული ღვინო და შამპანური „კრისტალი.“

და ნახევარ საათის შემდეგ ქართულმა „მრავალ-ქამიერმა“ მატარებლის დგრიალი და ოახა-რუხი დასჩრდილა. „მრავალ-ქამიერს“ ჯალილას ბაიათი მოჰყვა და ბაიათს „ვნიშ პო მატუშეკ პო ვოლგე“. დილით მატარებელი ერთ სადგურს მიუახლოვდა. ამხანავები პირს იბანდნენ, ტებილად იზმორებოდნენ და საუზმესთვის ემზადებოდნენ. რუხი ფარაჯებით შეკუნწლული სადგური ფუტკარივით აიშალა და აღმუვდა:

— მოდის! მოდის!

მატარებელი რომ ბაქანს მიადგა, ფარაჯების ზღვა აიფურ-თქნა, ალელდა და აყმუვდა:

— მიდი! აიღე! გადმოყარე!

იარაღით, ყუთებით, აბგებით და გუდებით დატვირთულმა სალდათებმა მთელი მატარებელი უმალ შთანთქეს და ჩაყლიპეს. ყვირილით და მუქარით შეცვიდნენ ვაგონებში და მოიკალათეს.

ზოგნი კარებებიდან შედიოდნენ, ზოგნი კი ფანჯრებიდან მის-ძვრებოდნენ. უკნიდან აყირავებულ სალდათებს სხვები ებლაუჯებოდნენ და ჩექმებს ჰედიდნენ, ან ბარეს ჰპარავდნენ.

— ამხანავებო! — ჰყირიან კვაჭი და მისი მეგობრები: — შესდე-ქით!.. არ შეიძლება! დელეგატების მატარებელია, დელეგატებისა! ჩვენ დავალებული გვაქვს მოწესრიგება...

— ამხანავებო! — დაიძახეს სალდათებმაც: — რას მიედ-მოედებიან ეს ოხრები?!

— ამხანავებო! ძალადობისთვის სასტიკად დაისჯებით! — იმუ-ქრება კვაჭი: — ჩვენ ისეთი მანდატი გვაქვს, რომ... აი, მოისმინეთ, ნახეთ...

მაგრამ მანდატის ნახვა და მოსმენა არავის უნდოდა. კვაჭის ყვირილს და მუქარას სიცილით და მუქარითვე უპასუხეს. ვიღაცამ დაიძახა:

— ამხანავებო! ქმარა, რაც ამ ბურუუებმა ჩვენი სისხლი და-ლიეს, ქმარა! აბა, გადაჰყარეთ ფანჯრებიდან!

ორიოდე წუთში კვაჭი და მისი ამხანაგობა ფანჯრებიდან ტყა-ტყუპით გადმოჰყარეს და თან დედ-მამის ლანძლეა, ხარხარი და დახვრეტის მუქარა მიაყოლეს.

— ჩქარა, ბარგს უშველეთ, თორემ დევილუპეთ! — ბრძანა კვაჭიმ.

ბევრი იტრიალეს მატარებლის გარშემო, ბევრი ეხვეწნენ და ელიჯინენ, ფულსაც დაპირდნენ და ორაყსაც, მაგრამ ვაგონებს ვერც კი მიუდგნენ. ბოლოს, შეკუნწლული მატარებელი ყიფინით და ლრი-ალით დაიძრა და თან გაიყოლა კვაჭის და ამხანაგობის ქონება — ტანისამოსი, სანოვაგე, ფული, თვალ-მარგალიტი, — წარსულის ნაშრომი, ნაჯაფევი, იმედი, წყევლა და ცრემლი.

ამხანაგები სადგურის დარბაზში ჩამოსხდნენ, ცხვირები იატაქს დააბჯინეს და ატირდნენ.

— დევილუპეთ! დევილუპეთ! — გააჭიოდა თვალ-ცრემლიანი ჭიპი.

— ვა შენ, ჩემო ტუტულ თავო! ახია შენზე, ახი! — ბურტყუნებდა სედრაკა და თავში მჯიდს იცემდა.

— სად დაგვეწია ღვთის რისხეა! როგორ დავკარგეთ ამოდენა სიმდიდრე! — თხრავდა გაბო.

— დ-ა-ა, ფლი დელა: — ეთანხმებოდა საქუთარ თავს პავლოვი.

— ეხლა კი ჩონი საქმე სავიდა. ვალლაპ, სავიდა! — თავის ქნევით ამბობდა ჯალილა.

ბესო თითებს იმტრევდა, ლადი ჩიკინჯილაძე ჯიბით გადარჩნილ ხილს ახრამუნებდა, ბეკარევი პაპიროსის ბოლში იხილობოდა, ხოლო გამწარებული კვაჭი გალიაში დამწყვდეულ მხეცივით დარბოდა და დროგამოშევებით შექმუჭნულ შუბლს ისრესდა. ბოლოს, ყველანი დაღუმდნენ და ბელადს შეაშტერეს თვალები. ღიღხანს სდუმდნენ და კვაჭისგან თავიანთ ბედის განაჩენს მოელოდნენ.

— როგორ ხარ, კვაჭი? — გაპბედა, ბოლოს, ბესომ.

— ძალლურად.

— რას იტყვი?

— აფერს. რა გადაარჩინე მაგ საკეოიაქით?

— ბევრი აფერი. ბეჭდები და შტამპებია.

— ბევრი აფერიო-ო! მაშ ყოლითერი გადაგირჩნია, შე კი კაცო!

კვაჭიმ შუბლი გაიშალა და გაილიმა. მერე ამხანაგები მტკიცე ხმით და ასეთის იმედით გაამხნეა:

— ნუ დალონდით, ამხანაგებო! რაც დავკარგეთ, ერთ თვეში დაგვიბრუნდება, თუ ბედმა არ მიღალატა და ღმერთმაც კიდოხელი მომიმართა. აბა, წამოდექით! გამაგრდით! მომყენით!

— ალლაპ სახლასინ, კნიაზვან, ალლაპ სახლასინ! — წამოიძახა ჯალილიმ და ორივე ხელი ალლაპისკენ აიშვირა.

აქა ამბავი სამტრედიძესი.

საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტის (გუბალმასკომის) ბინაში გახურებული მუშაობაა. სამი კაცი თამამად მიადგა აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტს. წინ დარაჯი გადაელობათ.

— შესვლა არ შეიძლება. კომიტეტის სხდომა გახლავსთ.

წინაურმა ერთი ხელით დარაჯი მოიშორა, მეორე ხელით კარები შეაღო და შევიდა. ორნიც მიჰყვნენ. კრება შესწყდა. მოლაპარაკემ სიტყვა გასწყვიტა. ყველანი შემოსულებს მიაჩირდნენ.

— ბოდიში, ამხანაგებო! — ცივის რიხით სთქვა კვაჭი კვაჭანტირაძემ: — გთხოვთ მიცნობდეთ. მე გახლავართ სარევოლუციო-სამხედრო საბჭოს წევრი პავლე სამტრედიძე. ესენიც ჩემი შტაბის წევრები არიან — პანვი და შიქიანცი.

და პავლოვსა და შიქიაზე თითო მიუშვირა. ყველანი წამოიშალნენ და გაიჭიმნენ. კვაჭიმ პირსახეზე უფრო მეტი სუსნი აისახა და განაგრძო:

— თქვენს ქარავში საზიზლრობა ხდება, თქვენ კი არხეინად გაქიმულხართ და ბაასობთ. აი, მაგალითიც: მე ჩემის შტაბით საგანგებო მატარებლით მოვდიოდი. გზაში შემატყობინეს, რომ მოლალატე ბურუუბს უცხოეთში თვალ-მარგალიტი და ოქრო მიაქვთო. გავჩხრიკე, ცნობა მართალი გამოდგა. განძეულობა, რა თქმა უნდა, ჩამოვართვი, ხოლო საზიზლარი მოლალატენი იქვე დავხვრიტე. მაგრამ თქვენს ცხეირ წინ, საღვურზე, გაბანდიტებული სალდათები დამეცნენ, მატარებლიდან გადმოგვყარეს, ყველაფერი წაგვართვეს და ჩემი მატარებლით თვითონ წავიდნენ. ამხანაგებო, რას იტყვით ამაზე?

ამხანაგები შემფოთდნენ. ასტყდა სირბილი, ტელეფონების ელარუნი და ავტომობილების დგრიალი.

— ჩეკას თავმჯდომარე თქვენ ბრძანდებით? — ეკითხება კვაჭი ერთს: — ჩენ ცხრანი ვართ. მე აქ დავრჩები. დანარჩენნი წაიყვანეთ. ეხლავე დეპეშა მიეცით, რომ ის მატარებელი საღმე პატარა სად-

გურზე გააჩერონ, ორთქლმავალი მოხსნან და გაისტუმრონ, თორემ სალდათები მატარებელს ძალით წაიყვანენ. გესმით ჩემი გეგმა?

— დიაღ, მესმის, ამხანაგო! ამავე დროს ასიოდე შეიარაღებული კაცი იმ მატარებელს დავეწევით, ალყას შემოვარტყავთ და...

— ეგრე. თან თოხიოდე ტყვიისმფრქვეველი წაილეთ. როდის დაიძერებით?

— ერთი საათის შემდეგ. დეპეშას კი ამ წუთშივე გავგზავნი.

— ძალიან კარგი. გისურვებთ გამარჯვებას. მაღლობა ჩემზე იყოს. მართლა, დამავიწყდა. ინებეთ ჩენი მანდატები.

და კვაჭი კვაჭანტირაძემ ხუთიოდე გრძელი მანდატი გადაშალა მაგიდაზე.

და იმ მრისხანე მანდატების წინაშე ყველანი ისევ გაიჭიმნენ და ათრთოლდნენ. ვერავინ გაუბედა იმ მანდატებს ხელში აღება და წაკითხვა. კვაჭიმ ისევ ჯიბეში ჩაილაგა ქალალდები და სთვა:

— მაშ შეუდექით საქმეს. მშვიდობით იყავით. ამხანაგებო!

ჯალილ, ყოჩალად იყავი!

— ალლაპმა შენი სხალობა მომსეს!

კვაჭიმ ბესო განზე გაიყვანა და უთხრა:

— აბა, ბესო, ჩენი სიცოცხლე შენს ხელშია. სანამ თქვენ დაბრუნდებით, იქ მე ყველაფერს გავაიმასქნებ.

კაბინეტში ორი ლა დარჩნენ—გაბლენძილი კვაჭი და გაჭიმული გუბალმასკომის თავმჯდომარე.

— დაბრძანდით, ამხანაგო!—ნება მისცა კვაჭიმ:—დაბრძანდით და მომახსენეთ, რა ხდება თქვენს გუბერნიაში?

გუბალმასკომის თავმჯდომარე ლაპარაკით დაიღალა, ორი საათის განმავლობაში კვაჭის ანგარიშს აძლევდა გუბერნიაში საქმის ვითარებისა და ხელისუფალთა მუშაობის შესახებ.

— კეთილი. ეხლა მითხარით, რა გაქვთ მომარაგებული? რამდენი გაქვთ ხორბალი, კართოფილი, ფეხილი, შაქარი და სხვა სურსათი?

და პასუხის შემდეგ კელავ იქითხა:

— ვაჭრებს საქონელი ჩამოართვით?

— ცოტაოდენი.

— ოქროსი და თვალ-მარგალიტის რეკვიზიცია მოახდინეთ?

— ჯერ არა.

— როგორც ვატყობ, თქვენ ძალიან ჩამორჩენილხართ დედა-ქალაქებს. თუმცა ეს არაფერია. მე დაგეხმარებით. გამოცდილი ვარ. ერთად ვიმუშავოთ. თქვენც მალე დაიგეშებით. ეხლა ყური მიგდეთ.

მე მცირდება ათიოდე ოთახი, ტელეფონი, სამი ავტომობილი, საწერი მანქანა, კანცელარიის მასალა და ავეჯი. გაეცით ბრძანება.

ორი საათის შემდეგ მთავარ ქუჩაზე ერთ დიდ შენობიდან სამი ოჯახი გამოჰყარეს და კვაჭის მოახსენეს:

— ბინა მზად გახლავთ. სალამოზე ტელეფონი და დანარჩენიც იქნება. სადილის დრო მოვიდა. გვეწვიეთ, ამხანავ!

კვაჭიმ გუბალმასკომის თავმჯდომარეს პატივი დასლო და მისი პურ-მარილი იგემა. მერე იმის ოთახშივე მიწვა და მიიძინა.

მზე ჩასვალს იყო, როცა ბესომ და ჯალილამ კვაჭი გააღვიძეს.

— ადექი, კვაჭი, დაებრუნდით. ყოლიფერი დავიბრუნეთ. ერთი ნემისც არ დაკარგულა, გარდა ლვინისა. სალდათებმა თლა დასკალეს არაყი, კონიაკი, ლვინო და ზამპანური.

— ლმერთმა შეარგოთ. სისხლი ხომ არ დეილვარა?

— არც ერთი წვეთი.

— ზალიან ჩუიანი კასი ყოფილა ბესო, ძალიან! — შეაქო ბესო ჯალილამ.

— ყოჩალ, ბესო, ყოჩალ, ჯალილ! მოდით გაეოცოთ. არც მე ვიჯექი აქინე უსაქმოდ. ყოლიფერი მზად არის.

და ბელადმა ორივენი ძმურის კოცნით გადაპყოცნა.

— ნუ გინდა, კვაჭი. დაანებე თავი. ამოდენა სიმდიდრე დავიბრუნეთ, მეტი რაღა გინდა? ხვალვე წევიდეთ, თვარა... ვინ იცის?.. ხიფათი დიდია.

— სავიდეთ, კნიაზ, სავიდეთ, თორემ ალაპი გასხრება! — შეეხეწა ჯალილაც.

— ჩემო ბესიკო! შენ აქნობამდე ვერ გაგიგია ჩემი ხასიათი. ერთი სავაუკაცი საქმე მაინც გავაიმასქნათ, თვარა რა ოხრად მინდა მარტო სიმდიდრე! ვინცხას უთქვამს: „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“.

— დაგვხვრეტენ, კვაჭი!

— ფეხებსაც ვერ მომჭამენ. თუ საქმე გაჭირდა, მე თვითონ დაგვხვრეტავ აქოურებს.

მეორე დღიდან კვაჭი და მისი შტაბი ახალ ბინაში დაბინავდნენ. იმავ დღეს კვაჭიმ ასეთი ბრძანებანი და დარიგებანი გასცა: პავლოვს:

— თქვენ პეტერბურგში დაბრუნდით. კარგად მოაწყეთ დაზ-ვრეა. თუ ხიფათი მოველის, ასეთი დეპეშა გამოგზანეთ: „ეხლავე დაბრუნდით“. სედრაკ, შენ მოსკოვში წახვალ. ლადი, შენ სმოლენ-სკში დაბინავდები. ყველას დროგამოშვებით მოგივათ საქონელი და

დარიგება. ზოგჯერ თქვენ თვითონ გაგჰზავნით სხვაგან საქონელს. ბესო, დოურიგე მანდატები და დაარიგე. თუ საქმე ჩაიფუშა, ყველამ როსტოვში მეიყარეთ თავი.

ბესომ მთელი დღე მოაწიოდა. ამხანაგების დარიგებას და დაგეშვის, ხოლო მეორე დღიდან ყველა თავ-თავისს საქმეს შეუდგა.

კვაჭის მშვენიერად მოწყობილი კაბინეტი აქვს. კანცელარია სამ ოთახში მოთავსდა. აქა-იქ დარაჯები და შიკრიკები გაჭიმულან. ჯალილასაც ძაბრი ჰეურავს თავზე. საწერი მანქანა აკაკუნებს. წამდლაუწუმ ტელეფონის ქლარუნი ისმის. მუშტარი მრავლად მოდის. ბესო შიქია ამ მუშტარს სცხრილავს და კანცელარიას განაგებს. ჭიპი ჭიპუნტირაძე, გაბო ჩხუბიშვილი და ბექარევი ფულიან ხალხში დაძვრებიან და მუშტარს შოულობენ.

ერთ კვირაში მუშაობა გაჩაღდა. კვაჭი ობობასავით ზის ერთ ქალაქში, სადაც ქსელივით თავს იყრის ხუთი რკინის გზა. მოძრაობა დაირღვა. რკინის გზები დამბლად არიან დაცუმულნი. ვაგონებიც ისე დაიტაცეს, როგორც პური. ლიანდაგი სავსეა დამსხვრეულ მატარებლებით. თითო ვაგონს სისხლის ფასი დაედო. კვაჭიც სწორედ ვაგონებს და სანოვაგეს დააწვა.

ხანგამოშვებით კვაჭი ადგილობრივ ხელისუფლებს მოიწვევს და ეუბნება:

— იი, წაიკითხეთ.

ხელისუფალი კითხულობს დეპეშას: „სარევ.-სამხედრო საბჭოს წევრს სამტრედიძეს. საჩქაროდ გამოპეზავნეთ ხუთი ვაგონი ფქვილი, ხუთი ვაგონი კომბოსტო, ამდენივე კართოფილი და ყოველგვარი სანოვაგე“.

— როდის იქნება მზად?

— სამ დღეში.

— მე თვითონ გავვზავნი. დატეირთეთ და შემატყობინეთ.

დატეირთული მატარებელი მოსკოვში ან პეტერბურგში მიდის და იქ კვაჭის ორმოში ვარდება.

სმოლენსკიდან და სხვა ქალაქებიდან ხანდახან კვაჭისაც მოსდის დიდალი საქონელი, რომელიც ორიოდე დღეში ოქროდ და თვალ-მარგალიტად გადიქცევა ხოლმე.

თითქმის ყოველ დღე კვაჭი ასეთ კომბინაციას აწყობს: კვაჭისთან მოჰყვავთ ვინმე ვიჭარი სცეკულოვი ან დერიკოული.

— ხუთი ვაგონი მინდა მოსკოვამდის.

— ფასი ხუთასი ოქრო.

მორიგდნენ. კვაჭი სწერს მოწმობა-ბრძანებას: „..... და ვამოწმებ, რომ მეხუთე დივიზიას ეგზავნება ხუთი ვაგონი საქონლი რიგის გარეშე“.

სპეცულოვის საქონლით დატვირთული მატარებელი მეორე დღესვე მიდის მოსკოვში. მატარებელს თან მისდევს თვითონ სპეცულოვი, რომელსაც ჯიბეში უდევს კვაჭის ხელმოწერილი წესიერი ადლიანი მანდატები. ამ მანდატებით სპეცულოვს მოსკოვში ეძლევა თვისი საქონლი, რომელიც ჰავლაბრიანის დახმარებით უმაღ იყიდება. მერე იმავე მანდატებით და იმავ სედრაკას დახმარებით მოსკოვიდანაც მოდის დატვირთული მატარებელი, რომელიც კვაჭის დახმარებით იყიდება. დროგამოშეებით კვაჭანტირაძეს და ხელისუფლებს ბრძანება მოსდის: „მოახდინეთ ოკუპაციურა ოქროსი და თვალ-მარგალიტის (ან სანოვაგის, ან ქსოვილების, ან სხვა საქონლის) სამხედრო საბჭოს წევრის სამტრედიძის ხელმძღვანელობით, რომელსაც ევალება მოგროვილ საქონლის ჩამოტანა მოსკოვში“.

და იმ დღეებში ვაჭართა და მდიდართა ბლავილი და ოხრა ზეცას სწევდება, ხოლო მოგროვილი საქონლი მოსკოვსა და პეტერბურგში მიდის, სადაც მას სედრაკა და პავლოვი ხელგაშლით ელოდებიან.

კვაჭიმ სადგურებზედაც დააგო პატარა მახე. მატარებელი რომ გამოივლის, იგი კვაჭის პატარა ქსელში გაებმება: მისი პიკები მგზავრებს ჩამოუვლიან, გასჩერებენ და აკრძალულ სანოვაგეს ჩამოართმევენ, თან ხშირ-ხშირად აუკრძალავ ნივთებსაც გამოაყოლებენ. დილით დილადის იმ სადგურზე ქრისტეს ტირილი სტრიალებს: ისმის გაძარცულ მგზავრების უშვერი ლანძღვა, წყევლა, მუქარა, წრიპინი, ტირილი, ხვეწნა და მუდარა. მაგრამ კვაჭის ბიჭებს არაფრის ეშინიანთ, რადგან ცრემლი და წყევლა იმათ ხელში ოქროდ დნება, ხოლო ხითათი არსაიდან მოსჩანს: ირგვლივ ყოველივე იწვის, ინგრევა და გაქცლეტილთა წრიპინი და მუდარა იმ გრიგალში ისე არ ისმის, როგორც კატის კნავილი საშინელ ჭექა-ჭუხილში.

— კვაჭი, გვეყოფა! — ზოგჯერ აფრთხილებს კვაჭის ბესო.

— აჲ, მეიცა კიდო! — ამშვიდებს შეშინებულ მეგობარს თავაგლეჯილი კვაჭი და დაულალავად ჰხვეტავს, ჰგლეჯავს, სძარცვავს და ჰბლუჯავს.

ერთხელ კვაჭიმ თვითონვე ჩამოუარა ერთ სამგზავრო მატარებელს. ერთ ვაგონში თავთ წაადგა ათიოდე ნამდვილ ამხანაგს — ტყავიანებს, ძაბრიანებს და კბილით-ფეხებამდის იარაღში ჩამსხდრებს.

მათ შორის იჯდა ივან ივანიჩი ივანოვიც — ბეცი, დაბნეული და გულ-მავიწყი. კვაჭის ელდა ეცა. ერთმანეთს დააცქერდნენ. კვაჭი უმალვე მიხვდა, რომ ივან ივანიჩმა იგი ვერ იცნო.

— ამხანაგებო! — ზრდილობიანის და მტკიცე ხმით ჰქითხა კვაჭიმ: — აკრძალული ან ზედმეტი სანოვავე ხომ არ გაქვთ?

— არაფერი! — მიუგო ერთმა: — ცოტა კონიაკი გვაქს, მაგრამ...

ამხანაგები საჯილზე ისხდნენ. წინ ეწყოთ შავი ჭური, კიტრის მწილი, მყრალი თევზი და ცივი კართოფილი. იქვე ერთი ბოთლი კონიაკი იდგა.

— მიბოძეთ ეგ ბოთლი, — სთქვა კვაჭიმ და ბოთლისკენ ხელი ვიზვირა.

— ამხანაგებო, ჯერ არც კი დაგვილევია... — დიალრიჯა პირველი.

— ნუ ხართ აგეთი სასტიქი! — შეეხვეწა კვაჭის მეორე.

— ინგებთ! — სთქვა მესამემ და ბოთლი კვაჭის მიაწოდა: — კანონი კანონია, მორჩია და გათავდა! გემორჩილებით.

— ყოჩალ, ამხანაგო! — უთხრა მეოთხემ: — რაც მართალია, მართალია! დეკრეტი ჩვენი გამოცემულია, მაშასაღამე, ამ დეკრეტს სხვებზე ადრე ჩვენვე უნდა დავემორჩილოთ.

ივან ივანიჩი კვლავ კვაჭის შესცქეროდა, შუბლს ისრესდა და ჰყიქრობდა: „რა ვქნა, სად მინახავს ეს კაცი?“

მატარებელი წავიდა. ამხანაგები დიდხანს დავობდნენ კვაჭის საქციელის შესახებ. ზოგნი ლანძლავდნენ, ზოგნი კი იმის სიმტკიცეს იწონებდნენ.

— ძალიან დავაშავეთ, რომ გვარი არ გამოვყითხეთ! — სთქვა ერთმა: — მაგისთანა მტკიცე და ერთგული კაცი აქ არ უნდა ლპე-ბოდეს.

— ვიუნობ მაგ კაცს, ვიუნობ, მაგრამ... — წაიბუტბუტა ივან ივანიჩმა: — არ მაგონდება, სად ან როდის გავიცანი. მგონი... მგონი...

და მოსკოვამდის შუბლს ისრესდა და იგონებდა. მატარებელი რომ მოსკოვს მიადგა, ივან ივანიჩი უცებ წამოხტა, შუბლზე ხელი დაირტყა და წამოიძახა:

— მოვიგონე! მოვიგონე!

— რა იყო?.. რა მოიგონე? — ჰქითხეს აქეთ-იქიდან.

— მოვიგონე! მოვიგონე! ჩქარა ქალალდი, დეპეშა!.. დაიჭირეთ ის ჰარამზადა, თორემ ქვეყანას გადაატრიილებს? ჩქარა!..

— ივან ივანიჩ, ვინ გადაატრიილებს? ვინ არის დასაჭირო?

— ის, ის! კონიაკი რომ წაგვართვა. კვაჩანტირაძე მისი გვარი. სამი თუ ხუთი სახელი აქვს: კვაჩი, აპოლონი, ნაპოლეონი და... ეშმაკმა იცის მისი თავი და ტანი! აბა, მომეცით ჩქარა ქალდი!

აქა ამბავი კარაპეტ შულავრიანცისა.

ათიოდე წუთის შემდევ ივან ივანიჩი მრისხანე დეპეშას სწერდა მოსკოვის სადგურზე, ხოლო მისი ზურგის უკან ბეს შიქია იდგა, შორიდან იმ დეპეშას კითხულობდა და ოდნავ ილიმებოდა. მერე თვისი ორი დეპეშაც ჩააბარა—პავლოვის და ლადის სახელზე—და გამასაუთრებულ მატარებელზე ავიდა, სადაც მას კვაჭი და ამხანაგები უცდიდნენ. მას მაშინვე მიჰყეა სედრაკა, რომელიც ქალაქიდან გამოსულიყო და კვაჭის მატარებელს დაეძებდა. სანამ ერთმანეთს გადაეხვეოდნენ და მოიკითხავდნენ, მუშებმა ნახევარი ვაგონი გაავსეს სედრაკას ბარგით—ღვინით, ათნაირ სასმელით, სანოვავით და ძეირფას საქონლით. მერე ბესომ უთხრა კვაჭის:

— ივან ივანიჩმა ძლიერ მოვიგონა. დეპეშა გაგზავნა ჩვენ და-საჭერად. ეს არის ეხლა წევიკითხე ის დეპეშა.

— ხა-ხა!—გაიცინა კვაჭიმ:— დეიგვიანა ჩემმა ივან ივანიჩმა, დეიგვიანა! მეძებონ აწი. სედრაკ, წერიკითხე ეს ქალალდი და სთქვი, დაგვეწვიან ჩეკელები?

სედრაკამ გრძელი მანდატი ჩაიკითხა. ეწერა: კარაპეტ მინა-სიჩ შულავრიანცს და ამხანაგებს (ჩამოთვლილი იყო ათიოდე გვარი) დაგალებული აქვთ პოვნა და დაპატიმრება ცნობილ კონტრ-ჩევოლუციონერის, საბოტაქნიკისა და ბანდიტის კვაჭი კვაჭანტირაძის (იგივე ანაპოდისტე, იგივე აპოლონი, იგივე ნაპოლეონი, იგივე პავ-ლე სამტრედიძე).

— ვა-ა-ა!—დაალო პირი სედრაკამ:— მაშ შენვე დასდევ შენს თავს?

დასდევს კვაჭი კვაჭანტირაძე თავისს თავს. რომელიმე ქალაქს ან სადგურს რომ მიადგება, უმაღ ხელისუფლებას ეწვევა, ადლიან მანდატებს გადუშლის და ეკითხება:

— ეს კაცი (კვაჭი კვაჭანტირაძე) ხომ არ გეგულებათ ახლო-მახლო?

მერე მოითხოვს ბინას, ტელეფონს, ავტოს და ექებს გასაძრომ ხვრელს. გზები შეკრულია. როსტოკი და სხვა ქალაქები თეთრთა

ხელიდან წითელთა ხელში გადადის, მერე ისევ თეთრებს უბრუნდება. სისხლიან კაღრილის ცეკვა აღარ თვედება.

კვაჭი მალე წააწყდა საკუთარ კვაბლს. ჩეკელები ფეხდაფეხ მისდევენ. ხან კუდში მოექცევიან, ხან წინ გაუსტრებენ. კვაჭიმ ათნაირი ხერხი იხმარა. ბესომ კიდევ გამოაცხო ათიოდე მანდატი და მოწმობა. ერთად იშვიათად იყრიან თავს. რამდენიმე ალაგის მოინდომეს ფრონტის გარღვევა, მაგრამ ყველგან ხაფანგებს წააწყდნენ.

ერთხელ ჯალილამ უთხრა კვაჭის:

— ეფენდი, ჯალილამ სუხელი ზალიან სუდი სიხმარი ნახა. არ დაგიჩირონ.

— ნუ გეშინიან, ჯალილ! მალე გავალთ ამ ჯოჯოხეთიდან! — დაამშვიდა კვაჭიმ.

მეორე დღეს კვაჭი და ბესო დასაზვერად გავიდნენ სადგურზე. თანახმად თავიანთი წესისა, ცალკე-ცალკე დალიოდნენ ბაქანზე და იქაურობას ჰსუნავდნენ. უცებ ორმა შავ-ტყავიანმა კვაჭის ორივე მხრიდან ნაგანის დამბახები დაადეს.

— ხელები ასწიეთ!.. წამოდით!

და კვაჭი კვაჭანტირაძე წინ გაიგდეს. ბესომ წინ გაუარა კვაჭის და ერთი გადაპხედა. კვაჭიმ ოდნავ გაიღიმა.

ჩეკაში ჩასაწერი ჩასწერეს და კვაჭი საკანში შეპგზავნეს.

ერთი საათის შემდეგ პავლოვი ჩეკის თავმჯდომარეს ეახლა.

— გთხოვთ მიცნობდეთ, ამხანაგო. აი, ჩემი მანდატი.

იმ მანდატში სწერია, რომ ჩეკელს სილოვს დაველებული აქვს კვაჭანტირაძის დაპატიმრება და მოსკოვში წამოყვანა.

— ეს არის ეხლა ორნი იყვნენ ჩემთან ამავე საქმის გამო. აი, მათი მანდატი და განცხადებაც წაიკითხეთ.

— ვიცი.

მაინც თვალი გადაავლო იმ ქალალდს და ბოლოში ამოიკითხა განცხადება, ვითომ მდევარი ჩეკელი პირადად იცნობდა კვაჭანტირაძეს, ვითომ მასთან ხშირად უსაუბრნია და განხრას მონაწილე ყოფილი მისი კომბინაციებისა.

— კეთილი. ამან დააპატიმრა კვაჭანტირაძე?

— არა, ჩემმა აგენტმა დააპატიმრა. ერთხელ დავკითხავ და იმას გადაესცემ... რა გვარია? ჰო, ჩინოვი. დიალ, ჩინოვს გადაესცემ.

— კეთილი. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მე აგრედვე დავალებული მაქვს ჩინოვის თვალყურის დევნა და... ერთი საქმის გამოძიება. პირდაპირ მოგახსენებთ: ჩვენ ჩინოვს აღარ ვენდობით.

— იყოს ნება თქვენი.

— კიდევ ერთი თხოვნა. მე დავეძებ ერთ სხვილ-ფეხსა ჯაშუშს. იმისი კვალი თქვენთან მოვიდა. მგონი, ის კაცი თქვენ დააპატიმრეთ.

— მისი გვარი.

— ზეითუნოვა.

— მაგისთანა ტუსალი ჩვენ არა გვყავს.

— ალბათ სხვის გვარს ატარებს. ნება მიბოძეთ ტუსალები და-ვათვალიერო. მე ვიცნობ იმ ზეითუნოვს.

— ინებეთ.

— კიდევ ერთი: ჩინოვს ჩემს ჩამოსვლას ნუ შეატყობინებთ. თუ კვაჭანტირაძის დაკითხვა მოინდომა, მეც დავესწრები.

— ეგრე იყოს.

ზარი დარეკა, პავლოვი-სილოვი დარაჯს გადასცა და შესა-ფერი ბრძანება მისცა.

დადის პავლოვი საქნით-საქნამდე და ტუსალებს ათვალიერებს. შორი-ახლოს დარაჯი მითხლაშნება. პავლოვი პატარა სარქმელს მიადგა. სარქმელში კვაჭის ცხვირი და თვალები მოსჩანს.

— ნუ შედრეკებით. მე წაგიყვანთ. მოსკოველი ჩეკელი ჩინოვი აცხადებს, ვითომ პირადად გიცნობთ. მოიფიქრეთ რამე... სხაპა-სხუ-პით ჩასჩურჩულა პავლოვმა კვაჭის.

ნახევარი საათი არც კი გასულა, რომ კვაჭი ზემო სართულში აიყვანებს. მაგიდასთან სხედან ჩინოვი და პავლოვი.

— ძლივს დაგეწიეთ, ამხანაგო კვაჭანტირაძე! — ღიმილით ეუბ-ნება შემოსულ კვაჭის ჩინოვი: — დაბრძანდით.

კვაჭი გაოცებულია:

— როგორა სთქვით? კვანჩარიძე? მე კვანჩარიძე არა ვარ. მე ვარ საროპულო, მიტრო საროპულო, როსტოველი ვაჭარი.

— ვარგი, ვარგი. ვიცით, ვინცა ხართ. ვამოტყდით. თქვენი ნამდვილი გვარი კვაჭანტირაძეა. სხვა გვარებიც გაქვთ, — სამტრედი-ძე, შულავრიანცი და... დღეს არ დაგაპატიმრეს?

— მე? სამი თვეა, რაც აქა ვარ. თქვენ ვინ გინდოდათ? კვან-ჩარიძე თუ... სულ ორი საათი იქნება, რაც მოიყვანეს, არა?

ჩინოვი აირია. ცხადი იყო, რომ ის კვაჭის არ იცნობდა!

— ჰო, ჰო, ის მინდა... სწორედ ის მინდა.

— ის კაცი ჩემ საქანში შემოიყვანეს.

— მაშ აურევიათ. მე კვაჭანტირაძე დავიბარე.

— კვაჭანტირაძე მე არა მგავს!

— მართალია... არა გვავთ. ეშმაქმა წაილოს ამათი თავი და ტანი! შენ ჰეი, ამხანაგო! — დაუძახა დარაჯს: — მე გიბრძანეთ, რომ



კვაჭანტირაძე მოგეყვანათ, თქვენ კი ვიღაც ბერძენი მოგიყვანიათ. ეს კაცი წაიყვანეთ და მომიყვანეთ კვაჭანტირაძე. გესმით? კვა-ჩან-ტი-რრა-ზე! აბა, ჩქარა!

კვაჭი უცებ წელში გასწორდა. თვალებში ელგამ დაურბინა. მაგიდას მუშტი დაჰქრა და ჩინოვს პირსახეში მიახალა:

— მე ვარ კვაჭანტირაძე, მე! დიალ, მე თვითონ გახლავართ კვაჭი კვაჭანტირაძე! გთხოვთ ეხლავე ოქმი შეადგინოთ და შიგ ჩას-წეროთ, რომ თქვენ კვაჭანტირაძე ვერ იცანით. აბა, ჩქარა!.. შეადგინეთ მეთქი ოქმი, შეადგინეთ... იი, მოწმეებიც აქ არიან.

ხმაურობაზე ჩეკის თავმჯდომარეც გამოვიდა. ჩინოვი აირია. ჩინოვმა გადაჭარბა და ათიოდე სიმართლეს ერთი პატარა ტყუილი მიუმატა. მაგრამ იმ ტყუილმა ფეხი გამოჰყო, და კვაჭიც იმ ფეხს დაებლაუჯა.

ოქმი შეადგინეს. პავლოვი ლიმილით ეუბნებოდა ჩეკის თავმჯდომარეს:

— აյი გითხარით, ჩინოვი სანდო არ არის მეთქი. აქაც გახლართა საქმე. ჭუკის სუნი მომდის. მე ხვალ მივდივარ მოსკოვში. ორივეს თან წვეილან, კვაჭანტირაძეს და ჩინოვსაც. ეგ ოქმიც მიბოძეთ. არა, თქვენი დარაჯები არ დამჭირდება, ოთხი კაცი მყავს თან... მაში ხვალამდის, ამხანაგო! ჩინოვმა აქ მოცუადოს.

— ხვალამდის, ამხანაგო!

პავლოვი რომ გავიდა, თავმჯდომარემ დარაჯს დაუძახა, ორდერი გადასცა და უთხრა:

— აგრე იმ ოთახში ზის ჩინოვი. დააბატიმრეთ.

მეორე დღეს პავლოვ-სილოვმა ბექარევს, ჩხუბიშვილს, ჯალილას და ჭიპის შავი ტყავები ჩააცეა, ძაბრები დაპერუა, მაუზერები დაჰქიდა, ჩეკიდან ორი პატიმარი მიიღო, ორივენი ოთხ ამხანაგს შუაში ჩაუყენა, თვითონ წილი გაუძლვა, ქალაქი გადასჭრა, ვაგონში ჩასხა და ჩრდილოეთისკენ გაუტია. მატარებელი რომ დაიძრა, იმ ვაგონში უცებ ერთი ერთამული, ხვევნა, კოცნა და მხიარული სიცილი ისტყდა.

— ყოჩალ, პავლე, ყოჩალ!—მოხათლეს პავლოვი პავლედ და ტყაპა-ტყუპი აუტეხეს ზურგზე:—გენიოსი ჰყოფილხარ, გენიოსი!

— ამიერიდან შენ ჩემი ლვიძლი ძმა ხარ!—უთხრა პავლოვს კვაჭიმ და გადაეხვია:—შენ სიცოცხლე მაჩუქე, მაშასადამე, ივი შენ გეკუთხნის.

— მართალია, მეც ცოტაოდენი გავაკეთე ამ საქმეში,—სთქვა პავლოვმა:—მაგრამ შენი გადარჩენის ბრალი უმთავრესად აი, ამ გაიძერას ედება:—და პავლოვმა ორთი დაადო ბესოს.

— ბესო! ჩემო ერთგულო! მოდი, მოდი!

და კვაჭიმ ისე ჩაიხუტა თვისი განუყრელი თანაშემწე, რომ
ბესოს სული შეუგუბდა.

— ამხანაგობაც ასეთი უნდა, მაშ! — იხაროდა ჩხუბიშვილი.

— ვა-ა-ა, — ჰკვირობდა სედრაკა: — ზღაპარია, რაღა, ზღაპარი!

ჰიპენტირაძე სცემუტავდა და ბავშვივით კისეისებდა, შიქა
დინჯად ილიმებოდა, ჩიქინჯილაძე უკვე იღმურძლებოდა, ხოლო ჯა-
ლილა ბოთლებს ხსნიდა და წამდაუწუმ ზეცისკენ ხელებს იშვერდა:

— ალლაპ ილ ალლაპ! შუქურ ალლაპა, შუქურ ალლაპა!

უცებ ჩინვე მოაგონდათ, რომელიც კუთხეში მიბუზულიყო
და პირდაღებული ტუსაღების და ჩეკელების ხვევნას თვალს ადევ-
ნებდა: კვაჭი გაშტერებულ ჩეკელს მოუბრუნდა:

— ამხანაგო! შენ ჩეენს დახვრეტას აპირებდი, ეხლა კი შენვე
ჩაგვიარდი ხელში. ჩეენ იხეცები ა-ა ვართ, ამიტომ არაფერს და-
გიშავებთ, მაგრამ ერტ გაგანთავისუფლებთ. გინდა თუ არა წამოვკ-
უკე საქართველოში?

ჩეკელმა უკვე მოისახრა თვისი მდგომარეობა და გეგმაც შეა-
დგინა.

— მაგაზე დიდი ბეღნიერება არც კი მინატვრია. თუ ამ ჯო-
ჯოხეთიდან გამოყენო, თქვენი ერთგული ყმა ვავხდები.

— მაშ მოდი და ეს არაყი დალიე ჩეენი შერიგების ნიშნად.
ხელი ჩამოართვეს, დაალევინეს და აჭიმეს.

— რაც უნდა იყოს, ჩეკელია! — სთქვა კვაჭიმ ქართულად: — ჸი-
ზი, შენთვის ჩამიბარებია ეს კაცი. დღე და ღამე თვალი არ მოაშო-
რო, თვარი კვანტს მოვდებს.

ერთ დიდ საღვურზე პავლოვმა ამხანაგობის ვაგონი მოახსნე-
ვინა და სხვა მატარებელს მიაბმევინა, რომელიც ფრონტისკენ მი-
დიოდა. ვახშამი რომ გათავდა, კვაჭიმ ყალიონი გააბოლა და
სთქვა:

— მეგობრებო! ყოველივეს დასაწყისი და დასასრული აქვს.
ზომიერება ღვთის წყალობაა: ჩეენ სისხლიანი გზა დავლიეთ და
ჩეენი რევოლუციური ვალი მოვიხადეთ. სანამ რუსეთი გონიერ
ზომიერებას არ გადასცდა, ჩეენც პირნათლად ვემსახურებოდით სა-
ერთო სამშობლოს. მაგრამ ჩეენი ქერა ძმები გაგიუდნენ. ჩეენ იმ-
დენი ვნახეთ და ისეთი ჯოჯოხეთი გამოვსცადეთ, რომ სხვა, ჩეენს
მაგივრად, თვითონაც გადირეოდა. მაგრამ ბუნებამ ჩეენ, — მადლო-
ბა უფალსა! — ზომიერება, ნათელი გონება და რეილობის ალლო
მოგვანიჭა. ჩეენ ერთმანეთს ვერ ამოველეტავთ განყენებულ ლინდე-

ბისთვის. თუ ჩვენ ერთმანეთი შევმუსრეთ, ჩვენს წმინდა პრინციპებს დათვები და ტურები ვერ განახორციელებენ ჩვენს საფლავებზე. ჯალილ, ერთი კიდევ დამისხი. მეგობრებო! ქართველ ხალხს რომ სრულებით არაფერი შეექმნა, შოთა რუსთველის მარტო ერთი ნათქვა-მიც დაამტკიცებდა შოთასი და ქართველი ხალხის გენიალობას.

— რა სთქვა ისეთი გენიალური? — იკითხა პავლემ.

— მან სთქვა: „კოჯასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინ-დებისო“. ჩაუკვირდით ამ სიტყვებს და ამ აზრით გაზომეთ რუსეთის დღევანდელი ამბები. რაც რუსის ხალხის სულში იდგა, იგივე წარმოსდინდა, არც მეტი და არც ნაკლები. რუსის ხალხმა კვლავ იპოვნა თავისი სული. მან ნაძალადევად ჩაცმული ევროპიული ტანისმოსი გაიხადა, დასავლური ფერულმარილი ჩამოიჩეცა, ბურეუაზიულ-კაპიტალისტური ბურუსი თავიდან ამოიგდო და თავის თავს დაუბრუნდა.

— მეტი არაფერი მოხდა?

— მეტი არაფერი მოხდა. დანარჩენი სიტყვებია, მხოლოდ სიტყვები. სიტყვა კი აღამიანს აზრის დასამალად აქვთ მიცემული. სიტყვა სამოსელია, რომელიც ჰქორავს ტანს, — არავინ იცის, როგორს—ლამაზს თუ მახინჯს, თეთრს თუ შავს, წითელს თუ ყვითელს.

ერთი ჭიქა პორტვეინი კიდევ გაძლიერდა, ორჯერ-სამჯერ კიდევ გააბოლა და პავლოვს მიუბრუნდა:

— საკვირველი ხალხი ჰყოფილხართ რუსები. აქმდის ვერავინ გაიგო ხეირიანად თქვენი სული და ხასიათი. მე მეგონა, რუსის ხალხი საკუთარ თავის განთავისუფლებას აპირებს მეთქი. თურმენუ იტყვით, ის მართლა დაეჭიდა მთელ ქვეყანას. ეს ჭიდილი დამარცხებით გათავდება. ამ საზღაპრო ბრძოლაში თქვენ რომ განახევრდეთ, მაინც არაფერი გიშავსთ, ჩვენ კი, ქართველები (კვაჭი ერთ ხნიდან ალარ თაკილობდა ქართველობას, პირიქით, თავიც მოპქონდა), თითებით ქსოვლით ერთმანეთს. დღევანდელი რუსეთი სამარეში ჩადის და ერთ მუქა ქართველებსაც თან მიათრევს. ბოლიშ ვიხდი, შეიძლება სამარემდის მოყვეთ, მაგრამ სამარეში კი ვერ ჩამოგყვებით. ჩემი კეთილი ივან ივანიჩი რომ აქ იყოს, მეტყოდა, ეგ ხომ მეშჩანობაო. შეიძლება სეც იყოს, მაგრამ არც მეშჩანებს ესიამოვნება დედიან-ბუდიანად ამოგდება და გაწყვეტა. მაგრნდება ჩვენი შარმანდელი ბაასი, ძმაო პავლე. ორივენი წითელ რუსეთს დაევეჭიდეთ კუდში. შევსცდით თუ არა, ამას თავი დავანებოთ. მე წარსულს არ ვნანობ ხოლმე. ერთგულად თუ ორგულად, დღევანდლამდე ქსდიეთ, მაგრამ დღეს ვეუბნები მას: ძმაო ივან,

ამას იქით ვეღარ გამოგყები. მშვიდობით! ლმერთმა ხელი მოგიმართოს! ჩვენ ჩვენი სამშობლო გვაქვს, რომელიც გველის და გვეძახის.

— მართალია! მართალი! — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

— იქ, საქართველოში, ორც მე მომკლავენ, ორც მე მოვკლავ ვისმე. ჩვენ მშვიდობა მოგვწყურდა, აქ კი ამ მშვიდობას, მგონი, ვერასოდეს მოვესწრებით. გარდა ამისა, იქ ყველას გვყავს მშობლები და ნათესავები. დროა მოვიგონოთ და მივეშველოთ.

— მაშ, მაშ! ეგრე, გენაცვალოს ჩემი თავი, ეგრე! — აცქმუტდნენ გაბო და სედრაკა.

— სამშობლოსკენ!.. საქართველოსკენ!... შინისკენ! — კიდევ დიდხანს გაიძახოდნენ ამხანაგები, თანაც ბოთლს ბოთლზე სცლიდნენ, „მრავალ-უამიერს“ გუგუნებდნენ და რახა-რუხით სამხრეთისკენ მოჰქროდნენ.

აქა ამბავი სისხლიან ბრძოლისა.

— კვაჭი, ადექი! ჩქარა! ჩქარა!

კვაჭი უმალ წამოხტა.

— ჩინოვი გეიპარა! — შეატყობინა კვაჭის ბესომ.

— დევილუპეთ! აწი კი დევილუპეთ! — გაპეიოდა ჭიპუნტირაძე და თმებს იგლეკდა: — ჩემი ბრალია, ჩემი! ერთი წუთით ჩევიძინე... გამეპარა ის პარამხადა, გამეპარა!

— შექვარით ბარები! — დინჯად გასცა ბრძანება კვაჭიმ: — ზედ-მეტი არაფერი წამოილოთ... ლადი, დაანებე თავი მაგ ოხერ ლვინოს!.. ჯალილ, გადაყარე ეგ ჩერები!.. აბა, მომყევით! იარალი მზად გქონდეთ!

და ამხანაგები თოვლიან მინდოოზე ისე გადაცვივდნენ მატარებლიდან, როგორც ბალინჯოები თეთრ ზეწარზე. გადახტნენ და ძუძულით ერთმანეთს გაპყვნენ. უკვე გათენებულიყო. ლრუბლიანი ცა და თოვლიანი თვალუწვდენი მინდორი სადღაც ერთმანეთს უერთდებოდნენ. ჭიანჭველებივით გამწკრივებული ამხანაგები მუხლადე თოვლში იფლებოდნენ და ხენეშით წინ მიიწევდნენ. დროგამოშვებით შესდგებოდნენ და სულს მოითქვამდნენ. კვაჭი დურბინდით მიდამოებს დაათვალიერებდა, მერე ხან გვერდით გაუხვევდა, ხან ისევ პირდაპირ წავიდოდა.

არავინ იცოდა, ვის წააწყდებოდნენ, ან ვისთან ექნებოდათ საქმე. ის განუზომელი ქვეყანა ისე იყო არეული და აშლილი, რომ

თითო კაცს ათიოდე მტერი ჰყავდა, —სხვა და სხვა ფერისა და ტო-
მის. ყველანი ერთმანეთს ებრძოდნენ: გეტმანი სკოროპადსკი, ჰეტ-
ლიური, მანო, ანტონოვი, გერმანელები, მოსკოველები, ფრანგები,
პოლონელები, მოხალისენი, ყაჩალები, დეზერტირები, ბანდიტები
და მაროდერები—ყველანი ისე აირივნენ და ჩაიხლართნენ ერთმა-
ნეთში, რომ კვაჭანტირაძემაც დაპკარგა მტრებისა და მეგობრების
გარჩევის უნარი.

მზე რომ გადიხარა, ერთგან ბოლი დაინახეს. შესდგნენ და
ბეკარევი სოფლის დასაზღვრად გაპგზავნეს. ერთი საათის შემდეგ
დაბრუნდა.

— სოფელში არავინ არის. მაგრამ დღეს თუ ხვალ თეთრებს
მოილიან. აქვე ახლოს ყოფილან.

სოფელში შევიდნენ და ერთ ქოხში დაბინავდნენ. ცხენები
მოიკითხეს, მაგრამ თურმე იმ სოფელს თეთრებმა და წითლებმა
ერთი ცხენიც არ შეარჩინეს. დალლილმა ამხანაგებმა ცხელი ბორშ-
ჩი შესჭამეს და მოისვენეს. ბეკარევი სოფლის ნაპირზე გავიდა სა-
დარაჯოდ.

— კვაჭი ლრმა ძილში იყო წასული. უცებ ბეკარევის ხმა
მოისმა:

— ადექით! ადექით!

ყველანი მაშინვე წამოცვივდნენ.

— რა ამბავია?.. რა მოხდა?..

— მოდიან! მოდიან!

— ვინ? საიდან? რამდენი არიან?

— ორმოცი ცხენოსანი მაინც იქნება. ხევ-ხევ მოიპარებიან.
ათიოდე კაცი მარცხენა მხრიდან გვივლის.

იმავ დროს პავლოვიც შემოვიდა, რომელიც სოფელში გასუ-
ლიყო და იქაურობას ჰქონავდა.

— ევრიკა! ეს არის ეხლა ორი ტყვიის მფრქვეველი ვიპოვნე.
ორი კვირის წინათ თეთრებს დაუმალავთ. აგერ, მოაქვთ კი-
დევაც.

მეგობრებს ისე გაუხარდათ, თითქო მათ ასი კაცი მიე-
შველაო.

— აბა, გარეთ გამოდით, თორმე ეს გალია ნამდვილი საფლა-
ვია!—დაიძახა კვაჭიმ და ქოხიდან გავარდა. მიიხედ-მოიხედა და
უმალ ასწონა და გაზომა საქმის ვითარება: — აბა, მეგობრებმ! დად-
გა უამი განკითხვისა. დახვრეტას ისევ ვაუკაცური სიკვდილი სჯო-

ბია. პავლე! შენ, ბექარევი და ლადი აგერ იმ კედელს ამოეფარებით და იმ გზას შეჰქრავთ. მანდედან ვეღარ მოგვივლიან. ერთი ტყვიის მფრქვეველი თქვენ წაიღეთ. დანარჩენები მე გამომყევით. ტყვია გამოიზოგეთ. ნუ აჩქარდებით! დინჯად და ყოჩალად!

სამნი მინგრეულ კედელს ამოეფარენენ, დანარჩენები ლობის ძირში ჩასაფრდნენ და გაშლილი მინდორი და განიერი ხევი ხელში დაიჭირეს.

წითლებს ცხენები ხევში დაეყენებინათ, თვითონ კი ბილიქზე ჩამწკრივებულიყვნენ და ნელის ნაბიჯით მოიპარებოდნენ.

— ოცდა-შვიდი... ოცდა-რვა,—სთვლიდა კვაჭი:—სულ ოცდა-თორმეტი არიან. ჩემ კი ექვსნი ვართ.

— ცხრანი ვართ!—უთხრა გაბომ.

— იმ სამს არა ვთვლი, იმათ თავიანთი მტერი ჰყავთ. ოლონდ დალამებამდის გავძლოთ, თორემ მერე აღარაფერი გვიშავს. აბა, გაბო! მოუჯექი ტყვიის მფრქვეველს, შენ გცოდნია მისი მოხმარება.

— დევილუბეთ, კვაჭი!—დაიქნავლა ჭიპიმ.

— სუ, ქოფა ოლლი!—გააჩუმა ჭიპი ჯალილამ.

— ვა-ა, ეს რა მემართება?—კბილების წაპუნით წაიბუტბუტა სედრაკამ:—ალბათ გაციებული ვარ. თოფი მიკანკალებს.

— ნუ შეჯგუფდით!—მიუბრუნდა კვაჭი ამხანაგებს:—გაიშალენით. ათ ნაბიჯზე დაშორდით ერთმანეთს.

კვაჭის მარჯვნივ ჯალილა ჩაწვა, მარცხნივ ჩხუბიშვილი გაიშოტა; ბესო ერთ ფრთაზე მოექცა. სედრაკა მეორეზე ჩაცუცქდა.

წითლები შეჩერდნენ და ჩასაფრდნენ. ერთი მათი ბელადი წინ წიმოვიდა და დაიძახა:

— ჰეი, ჰეი! კა-ჩან-ტი-რაზე! ბანდიტო! დაგვნებდი!

კვაჭიმ გაილიმა და თოფი დაუმიზნა. თოფი გავარდა. წითელთა ბელადმა ორივე ხელი აიქნია, თვისი თოფი გვერდით მოისროლა და გულალმა გადავარდა. და იმავ წუთს ხევიდან ოცდაათმა თოფმა იგრიალა. ლობეს თითქოს მუხუდო მოაყარეს. და დაიწყო ბრძოლა ფიცხელი და დაუნდობელი.

— უგზო-უკვლოდ ნუ ისერით!—ბრძანებს ხანგამოშვებით კვაჭი:—დაუმიზნეთ!.. ესროლეთ!.. გასტენეთ!

— ჰაი, ქოფა ოლლი!.. დონლუხ!.. ყირმიზ შაითან!—ბურტყუნებს ჯალილა.

— ერთი კიდევ გავაგორე!—ხარობს ჩხუბიშვილი:—ეს ერთი და სხვა ათასი!

— ვაიმე!—მოისმა მარჯვენა მხრიდან.

კვაჭიმ მიიხედა. სედრაკა წაკუზულიყო, ცხვირ-პირი თოვლში ჩაეყო და ერთი ხელით თითქოს თოვლს ჰქვეტავდა. ჭიპის თავი დაბლა დაელუნა და გაცხარებით ცას ესროდა.

— ჭიპი! — დაუყვირა კვაჭიმ: — ვის ესვრი? საით ისვრი? გას-წორდი! დაუმიზნე!

ჭიპიმ უარესად დაპლუნა თავი, და იმავ წუთს საზარლად და-იგმინა და გულალმა გადაეხრდა.

— ჯალილ! — დაიძახა კვაჭიმ: — ორივეს თოფები და პატრონე-ბი აართვი და აქ მოიტა. ჩემი თოფი ისე გაცხელდა, რომ ხელს მწვავს.

წითლები უცებ წამოიშალნენ და ურას ყვირილით გამო-იქცნენ.

კვაჭი, მედგრად! კვაჭი, არ შედრკე! მარდად! ყოჩალად! მტკი-ცედ! ზურგი არ უჩვენო მტერს, თორემ შენც, შენი მეგობრებიც და შენი ნადავლიც დაილუპებით!

— აბა, მეგობრებო! — ჭიპივის გაცხარებული კვაჭი: — გასტენეთ! დაუმიზნეთ, ესროლეთ!

— კა-კა-კა! კა-კა-კა! — კაკანებს ქათამივით გაბოს ხელში იარაღი.

— ტრახ-ტა-რახ! ტრახ! — ჭეუხს ხუთიოდე თოფი.

კვაჭის კვლავ დემირ-თეფეს ეშმაკები ჩაუსხდნენ გულში. მა-შინ კვაჭი ისე მოიტაცეს იმ ეშმაკებმა, რომ მას არც კი ესმოდა გახელების მიზანი, ეხლა კი კვაჭი შეგნებით და დინჯად იბრძოდა სახელისთვის და სიცოცხლისთვის. არა, კვაჭი ჯერ არ მოკვდება! არ მოკვდება კვაჭი ასე უღვთოდ და უბრალოდ სადღაც მიყრუე-ბულ სოფელში! არ მოკვდება კვაჭი, სანამ ერთხელ კიდევ არ ჩაე-ხუტება სილიბისტროს და პუპის, სანამ ერთხელ კიდევ არ მოირბენს ქუთაისს და ტფილისს, საღორიას და მუშტეიის, ფერ-მას და მთაწმინდას, სანამ ერთხელ კიდევ არ გადაატრიიალებს ერე-მოს და ლაითაძის დუქნებს ქუთაისში, „ედემს“ და „ფანტაზიას“ ვერის ბაღებში, სანამ არ ჩაპერავს ერთ თალია ბაკერას ქართულ კლუბში და ისე არ ააფორიაქებს იქაურობას, რომ ათიოდე წელი-წარი მაინც არ იგონებდეს თუნდ მარტო პატარა საქართველო კვა-ჭი კვაჭანტირაძის სახელს.

— გასტენეთ! ესროლეთ!

ესეც რომ არ იყოს, ეხლა იმის სამშობლოში ჭეუხს და ელავს, უხვად იღვრება მისი ძმების სისხლი და ცეცხლით იწერება მი-

სი ხალხის ისტორიის ახალი თაბახი. არა, არა! ასეთ დროს კვა-
ჭი ვერც განზე გადგება და არც მოკვდება!

— გასტენეთ! დაუმიზნეთ! ესროლეთ!

ურას ყვირილი ლობის ძირში შესწყდა. წითლები მიბრუნდნენ
და გაიქცნენ. ბექობზე ათიოდე დაჭრილი და მოკლული დასტოვეს.
იმავ დროს ტყვიის მფრქვეველის კაკანიც შესწყდა. კვაჭიმ მიიხედ-
მოიხედა. გაბო ჩხუბიშვილი თავისს იარაღს ზედ დაპევდომიყო. მას
ორივე ხელი მოეხვივნა გაცხელებულ იარაღისთვის და ისე ჩაპხუ-
ტებიყო, როგორც საყვარელ ქალს. თოვლივით გაფითრებული ბე-
სო შიქია ლობეს მიჰყუდებიყო და დაჭრილ წვივს იხვევდა. ჭიბი
ჭიბუნტირაძე აღარსად სჩანდა.

— ჯალილ, ბესოს უშველე!

თვითონ კვაჭი პავლოვისკენ გაიქცა. ლადი ჩიკინჯილაძე გულ-
აღმა ეგდო. კვაჭიმ მკერდზე ყური დაადო და ჭრილობა გაუსინჯა. მკვდარია! ბექარევი პირქვე წაქცეულიყო. ისტუ მკვდარია, მკვდარი!
კვაჭი პავლოვს მივარდა. პავლოვი სუნთქვას და კვნესის. ცოცხა-
ლია, ცოცხალი! კვაჭიმ პავლოვი ქობში შეიტანა და ჭრილობები
შეუხვია. ჯალილამ ბესო შემოიყვანა და დაიძახა:

— ალლაპ ილ ალლაპ! სითელი შაითანები სავიდნენ, კვაჩი-
ბეგ, სავიდნენ! გამარჯობა ჩონია, ჩონი! შუქურ ალლაპ! შუქურ ალ-
ლაპა!

ჯალილა ილიმებოდა, ბესო ტეკივილისგან ილმიჭებოდა, კვაჭი
კი თავჩაქინდრული იჯდა და დახოცილ მეგობრებს სტიროდა. კვა-
ჭის გამარჯვების სიხარული დაავიწყდა. ხუთი ამხანაგი აკლდა, ხუ-
თი ერთგული და ერთად შეზრდილი ამხანაგი!

ისინი ველარ ჩავლენ სამშობლოში, ველარ დაუბრუნდებიან
თავიანთ დედ-მამას, ნათესავებს და მეგობრებს! საწყალი ლადი! საწ-
ყალი ჭიბი! საბრალო სედრაკა! ბექარევი! გაბო! ყოველივე გათავდა
მათვეის და ისინიც გათავდნენ ყველასთვეის! გაბო და სედრაკა ვე-
ლარ იქინიფებენ კაკლების ჩრდილში, ველარ იბანავებენ ლიახვეის და
ალაზნის სუფთა წყალში, ველარ ჩაეხურებიან თვალუუუნი ქალებს,
ველარ ჩაიტებანურებენ პირებს მოთალით და კახურით, ჩახოხბილით
და ჩიხირომით, დოშით და მწვადით! მათი მოხუცი დედ-მამები გუ-
ლის ფანცქალით ელოდებიან დაკარგულ შვილებს და წინანდებუ-
რად სწერენ ცრემლიან წერილებს.

— ჯალილ! — ოხვრით ამბობს კვაჭი: — წადი სოფელში და ათი-
ოდე გლეხს დაუძახე საფლავის გასათხრელად.

კვაჭიც გავიდა და დახოცილებს ერთხელ კიდევ გადაშედა. მხოლოდ ეხლა მოაგონდა, რომ წელი ჭიპის თვალი ვერ მოჰკრა. გაცხარებულ ბრძოლაში ჭიპი ისე წაიქცა, როგორც მოქლული ან მძიმედ დაჭრილი, ეხლა კი... კვაჭიმ ის ალაგი დაათვალიერა, სადაც ჭიპი წაიქცა. არც ერთი წვეთი სისხლი. თოვლში ნაფეხარი მოსახანს. ალბათ დაიმაღლა საღმე.

— ჭიპი! ჭიპი, სადა ხარ? ჭიპი! ჭიპი!

პასუხი არ იძინის. უცებ კვაჭის ეჭვის ეშმაკი ჩაუძერა გულში. უძალ ქოში შევარდა და განძეულს ეცა. ბარგი აქოთებული იყო. განდი ალარსად სჩანდა. სანამ გლეხები საფლავს სთხრიდნენ, კვაჭი სიბრაზით იხერხებოდა:

— პოი, უმაღურო!.. ორგულო!.. მოლალატევ! შერცხვეს კვაჭი, თუ დედა შენი შენს საფლავზე არ ვატირო.

— დონლუზ! ით! ყურუმსაღ! — ბურტყუნებდა ჯალილა: — კასი კი არა, ზალლია, ზალლი! ჯალილამ ჩიპის სისხლი უნდა დალიო, სისხლი! დაისა... დამასა...

მდევრად გაგზავნილი გლეხებიც დაბრუნდნენ. ჭიპის კვალიც კი დაკარგულიყო.

უკვე ლამდებოდა, როცა ოთხი გაფიჩული და გალურჯებული გვამი მიწაში ჩაასვენეს. თვალცრემლიანმა კვაჭიმ რამდენიმე მუჭა მიწა მიაყარა მეგობრებს. ჯალილამაც კვაჭის მიპაძა, ლრმად ამოიხრა და სთქვა:

— ალლაპმა ასხონოს თქონი სულები, ყარდაშებო!

ნახევარ საათის შემდეგ საფლავი ამოავსეს და ზედ უხეში ჯვარი დაადგეს.

წითლები ალბათ ხელახლად დაბრუნდებიან. იმ სოფელში მოცდა გადარჩენილთა დალუპვა იქნება. გლეხები კვაჭის ვერ უშველიან, რადგან აწიოყებისა ეშინიანთ. მეტი გზა არ არის: კვაჭიმ გონის მოსული პავლოვი იყიდა, ჯალილამ ბესო აიგდო ზურგზე. ყველაფერი გლეხებს დაურიგეს, გარდა თითო თოფის, დამბაზისა და ვაზნებისა. ერთმა გლეხმა მეზავრები სოფლის ბოლოში გაიყვანა და უთხრა:

— იარეთ ამ გზით. მერე მარცხნივ მიუხვიეთ, მერე მარჯვნივ, ისევ მარცხნივ, ისევ მარჯვნივ, მერე პირდაპირ წადით და თეთრებთან მიხეალთ.

კვაჭი და ჯალილა ხვენეშით და ტაატით მიდიან. ხან ოფლს იწმენდავენ, ხან ისვენებენ, მერე მიდიან, მიდიან და მიდიან. ალარ

არის არც მარჯვენა, არც მარცხენა, აღარც გზა, არც ბილიკი. წშირად ბორბიქობენ, თოვლში იფლებიან, ზოგჯერ წაიქცევიან და გაყინულ ტანს ძლივს ლა მიათრევენ. დაბნელდა. მოშორებით ჯერ ერთმა წყვილმა თვალმა გაანათა, მერე საზარელი ყმუილი მოისმა. ერთი საათის შემდეგ ყოველ მხრიდან მოსჩანს მგლების თვალების ელვა. როცა კვაჭი ან ჯალილა წაიქცევიან, ან დასასვენებლად თოვლში ჩასხდებიან, მგლებიც თამამად ეტანებიან. თოვლის გრიალზე გაკაპასებული ნადირი გარბის, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ თამამდება და მიხრწნილ მგზავრებს ისევ ეტანება, ისევ ფეხდაფეხ მისდევს და ელოდება იმ დროს, როდესაც მსხვერპლს ძალ-ლონე გამოელევა.

— ჰეი, ჰე-ე-ე-ი! — ყვირიან დროგამოშვებით ჯალილა და კვაჭი: — გვიშველე-ე-ე!

მათი ხმა თეთრ უდაბნოში იყარება. არსად არაფერი და არავინ მოსჩანს. უცებ ბესოს კივილი მოისმა. ერთმა მგელმა ისკუპა და ჯალილას ზურგზე აკიდებულ ბესოს კბილი გაპრა. ჯალილა და კვაჭი სიცივისგან აეანკალებულ ხელებით ისკრიან თოვებს. ლამის სიჩუმეში თოვებს ზარბაზნებივით გააქვთ გრიალი. მაგრამ მგლებს არ ეშინიათ. მოშორებით ჩაცუცქულან და დროს ელოდებიან. თოვე რომ გაეარდება, მგლები განხე გახტებიან, ადგილს მოინაცვლებენ, ისევ ჩაცუცქედებიან და თვალებს სანთლებივით ანათებენ, თან საზარლად პლმუიან.

— საქმე სუდათ არის, კნიაზ! — ამბობს ჯალილა: — ხელები ზალიან დამაზრა.

— მეც დამაძრა. ველარ გაროლილოფ! — ეუბნება კვაჭი.

ნუ თუ? ნუ თუ მგლების კერძი უნდა გახდე, კვაჭი კვაჭანტირაძე? ვინ უწყის, ვინ მოსთვლის, რამდენ ხიფათს გადარჩი, რამდენჯერ გაუსხლტი სულთამხუთავს კლანჭებიდან, რამდენჯერ გაჰვლიჯე რკინის ხაფანგები, გაუსხლტი ხელიდან სისხლიან ბედს და გაარღვიე ფოლადის სალტები?! ეხლა კი...

მგლები თამამდებიან და თანდათან წინ მოიწევენ, ძუნძულით მოდიან და დაუძლურებულ მგზავრებს ათიოდე ნაბიჯზე უახლოვდებიან.

ნუ თუ? ნუ თუ ასე მურდლად უნდა დაილუპო, კვაჭი?! ნუ თუ ისე უნდა მოკვდე, რომ შენს ძელებსაც კი ველარავინ იპონის?! ნუ თუ სილიბისტრო და პუპი ვერც კი გაიგებენ მუხთალ ბედის საზარელ შურისძიებას?!



მგლები უკვე ხუთ ნაბიჯზე სდგანან. უკვე მათი ქშინვა ისმის-
და მათი გადმოყრილი ენებიც მოსჩანან.

— გვიშველე-ე-ეთ! გვიშველე-ე-ეთ!!

მათი ყვირილი კვენესას ჰგავს. ხმა ყელშივე უწყდებათ, მოღუ-
ნებული მკლავები აღარ ემორჩილებიან, კბილებს მგლებივით აწეა-
პუნებენ, დამბაჩების ლითონზე ხელები ისე ეწვით, როგორც ცე-
ცხლზე.

კვაჭი, ნუ შედრეი! კვაჭი, ნუ მოსტყდი! კვაჭი, გამაგრდი! ძალ-
ლონე მოიკრიფე! თვალი ფხიზლად დაიჭირე! აბა, ყოჩალად! ფხი-
ზლად! მარდად და დინჯად, თორემ მოვიდა შენი აღსასრულის სა-
ათი!

— ჰაი, ქოფა ოლლი! ით! დონლუზ! — ბურტყუნებს ჯალილა.

ბესო და პავლოვი თავჩაქინდრულნი სხედან ორი ამხანაგის
შუა და გულგრილად ელოდებიან დასასრულს.

— კვაჭი! — ამბობს ბესო: — მომკალი. ტყვიით სიკვდილი სჯობია
მგლების კბილებს.

— რავა ამბობ მაგას, ბესო?! მეიცა და...

იმავ წუთს ერთმა მგელმა ისკუპა და ერთმა დამბაჩამ დაი-
გრიალა. მგელი კვაჭის გვერდით დაეცა და გაიჭიმა.

— მან ოლემ, კნიაზ, მან ოლემ! ყოჩალ, კნიაზჯან, ყოჩალ! —
ჰყევირის ზეზე-ამდგარი ჯალილა: — აბა, ეხლა სავიდეთ. სანამ ის მგლე-
ბი ამ მგელს შესჩამენ, ჩონ შორს სავალთ.

მაგრამ კვაჭი ფეხზე ვეღარ დგება. მთელი თვისი ძალ-ღონე
მან დამბაჩის ერთ გასროლს გააყოლა. ფოტხვით იმ აღავს ოციო-
დე ნაბიჯით ძლივს გასცდნენ. მშიერი მგლები უმაღლ მოკლულ ამხა-
ნაგს მიესივნენ და ათიოდე წუთში გასწიწუნეს. მერე ისევ მგზავ-
რებს შემოეხვივნენ და ისევ ხუთიოდე ნაბიჯის მანძილზე ჩაუცექდ-
ნენ. ნახევარი საათი გავიდა.

— ჯალილ, მეტი აღარ შემიძლიან! — ჩურჩულით ამბობს კვაჭი.

— მეს ზალა აღარა მაქს, — უპასუხებს ჯალილა: — სავიდა ჩონი
საქმე!

— ჯალილ, მშვიდობით!

— არ დაიზინო, კნიაზ, არ დაიზინო! — ბუტბუტებს თოვლზე
გაწოლილი ჯალილა და სიჩმის შემდეგ ოხერით უმატებს: — ალლაპ,
ილ ალლაპ!

— ბესო, მშვიდობით! — კვლავ ჩურჩულებს კვაჭი.

ბესო პასუხს არ იძლევა. გულალმა გაშოტილა და პირსახე;
ვარსკვლავებისთვის მიუშვერია.

— პავლე!

არც პავლოვი იძლევა პასუხს. ორად მოკაჯულა და თავი მუხ-
ლებზე მიუბჯენია.

— გათავდა... დასრულდა... კვედები... გავიყინები, ან მგლები
შექმამენ... — ბუნდოვნად ჰეტიქრობს ბურანში შესული კვაჭი. აზრის
კარი ეხშობა, ტკბილად სთვლემს და თბილ ბურუსში შედის. მგლე-
ბი თავთ წაადგნენ და უკანასკნელ ნახტომისთვის ემზადებიან.

უცებ შორს, ძალიან შორს თოფმა დაიქუხა. იმავ წუთს კვაჭიმ
და ჯალილამ უკანასკნელი ძალ-ლონე მოიკრიცეს და წამოიწიეს. ბე-
სომაც თვალი გაახილა.

— გვიშველე-ე-ეთ! — ისმის მათი ხრიალი და წერტუნი.

— ჰეი, ჰეი! რომელი ხა-არ?! — შორი-ახლოდან მოდის პასუხი.

უუზარმაზარ თეთრ ზეწარზე მოძრავი გრძელი ჩრდილები მო-
სჩანან. კიდევ გავარდა თოფი და კიდევ მოისმის „რომელი ხა-არ?“
მგლებმა ჯერ უკან დაიწიეს, მერე თეთრში აირივნენ და მიიმალ-
ნენ. ათიოდე წუთის შემდეგ თეთრების ათიოდე კაცი თავთ წაად-
გა უკვე განწირულ კვაჭის და იმის სამს ამხანაგს. კვაჭი სიხარულის-
გან სტიროდა და სლუქუნებდა:

— მადლობა უფალსა! მადლობა უფალსა!

— ალლაპ ილ ალლაპ! — ბუტბუტებდა ჯალილა.

თეთრებმა ყველანი მოზილეს, ყველას პირში ცოტაოდენი
არაყი ჩაასხეს, მერე დაჭრილები იკიდეს, ჯალილას და კვაჭის
იღლიებში შეუსხდნენ და უკანვე გასწიეს.

აქა ამბავი სამშობლოში დაბრუნებასა და ერთი კუბოს წამოღებისა.

მეორე დღეს კვაჭიმ რაზმის თავს დაწვრილებით უამბო თვისი
თავგადასავალი, ნანახი და გაგონილი. ოთხივენი ერთ პატარა ქა-
ლაქში გადიყვანეს და სამჯურნალოში დააწვინეს. კვაჭი და ჯალი-
ლა ერთ კვირაში მოკეთდნენ და სასტუმროში გადასახლდნენ, ხო-
ლო დაჭრილი პავლოვი და ბესო იგვიანებდნენ. კვაჭი უფულობას
სჩიოდა და ჭიბის სახელს გულიდან და ენიდან ველარ იშორებდა.
ხშირად ამბობდა:

— ბესო! ჯალილ! დეიხსომეთ ჩემი სიტყვა: ვფიცავ ღმერთსა
და ჩემს პატიოსნებას, რომ ვერ მოვისვენებ, სანამ ჭიბის დედას ჭი-
ბის საფლავზე არ ვატირებ.

გავიდა ხანი. ბესო და პავლოვი ისევ მოსულიერდნენ, სამკურნალოდან გამოვიდნენ და ოთხივენი ადესაში ჩავიდნენ. კვაჭიმ უმაღვე გაიხსენა შორეული წარსული, კაბუკობის ტკბილი დღეები, ორი უდარდელი წელიწადი, ჰოფშტეინი, რებეკა, ისაკა, სიღოროვი, მისი ქალიშვილი ვერა და ასი სხვა იმ დროინდელი ნაცნობი და მეგობარი. ამ მოვნებამ ჭმუნვა გაუფანტა, გული გაულალა და პირსახე გაუშალა. კვაჭი ქალაქს მოედო, იქაურობა მოიბინა, დაკსუნა და საქმის ვითარება გაზომა. მაგრამ კვაჭის ლალობა. არ ეტყობოდა. მოკაქული და დაბნელებული დადიოდა, რადგან დღიური სახარჯოც კი გამოელია. ერთხელ, როდესაც კვაჭის უფულობით გული მისდიოდა, ბესო გვერდით მიუჯდა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოილო და გაშალა. ოთახი, ბესო და კვაჭიც გაბრწყინდნენ და განათღნენ. ბესოს ხელზე ედო შაშვის კვერცხის ოდენა, თეთრი და სხივმოსილი ათიოდე ბრილიანტი.

— ამ დღისთვის გადავარჩინე ეს ქვები. აიღე. გამოგვადება.—სთქვა ბესომ.

— ბესო!.. ბესიკო!—წამოიძახა კვაჭიმ და მეგობარს გადაეხვია:—მე რომე კვაჭი არ ვყოფილიყავი, უეჭველად ბესოობას ვინატრებდი. ჩემი ბესო!.. ბესიკო!.. ბესია!—სიხარულისგან გაბაშედა, აცმუტდა და ისე აიშალა, რომ სასტუმრო აიკლო და რესტორანები გადატრიალა. მერე, როდესაც დამშვიდდა, იქაურ თეთრ სარდალს ეწვია და ასეთი ბაასი გაუბა:

— წითლები ჩვენი საერთო მტრები არიან. დღეს თქვენ დაგვაბნიან, ხვალ საქართველოს ჯერიც დადგება. ჩვენ ბუნებრივი მოკავშირენი ვართ.

— მართალია,—დაუდასტურა მოკავშირემ.

— თქვენ გვირდებათ სალდათები, აფიცრები, ნავთი, ბენზინი და ათასი რმე. ჩვენ გვინდა ფქვილი და სურსათი, მაშასადამე...

იმ სარდალმა ორ დღეში კვაჭის ეინაობა გაიგო და მესამე დღეს მოურიგდა. სანამ ბესო კარგად მოყეთდებოდა, კვაჭი დღე და ლამეს გარეთ ატარებდა, თავისუფლად სუნთქვედა, რესტორანებში ისევნებდა, ყავახანებში ითენთებოდა და ძველ ნაცნობთა ამბებს აგროვებდა. ინსპექტორი ჰოფშტეინი ისევ ინსპექტორობდა, კაპიტანი სიღოროვი კაპიტანობდა, ხოლო მისი ქალიშვილი ვერა... ოჲ, რა ძნელი ყოფილა ძველი ჭრილობის გალიზიანება!

ერთ საღამოს კვაჭიმ სათხოების დის ფორმაში გამოწყობილ ქალს მოქრა თვალი და უმაღვე იცნო თდესღაც თვისი ვერა—დაბალი, ქერა და ფუნჩულა. ვერას გვერდით მისდევდა ათი წლის შავგვრემანზავშ-

ვი. ქვაჭის შეილი! პირწავარდნილი კვაჭი! „ვინ არის მომავალ ბავშვის მამა,—კითხულობდნენ ათი წლის წინათ ადესელი სტუდენტები,— კვაჭი კვაჭანტირაძე თუ სედრაკ ჰავლაბრიანი?“ ეს საიდუმლოება მაშინ ვერ გამოარკვიეს, მაგრამ კვაჭიმ მაშინაც იცოდა და ეხლაც ძალიან კარგად იცის, რომ ის შავგვერემანი ბიჭი მისი სისხლი და ხორცია, მისი! კვაჭის პირსახეში აღმური აუგარდა და თავში სისხლი აუდულდა. უმაღ თავი დალუნა და ბარბაცით მაღაზიაში შევარდა.

რამდენიმე დღე გავიდა. მეგობრები წამოსასვლელად ემზადებოდნენ. კვაჭი მარტო იყო ოთახში. უცებ კარებში ჭიპის თავი და ჯალილის ხელი გამოჩნდნენ. ჭიპი ძალადობდა და კარებს ებლაუჭებოდა, მაგრამ კისერში ჩავლებულმა ხელმა ქიმუნჯი წაპრა და მობუზული ჭიპი შუა ოთახში შეაგდო. მერე თვითონ ჯალილაც შემოვიდა, დინჯად ჩაპეტა კარები და დინჯადვე სთქვა:

— ქვაჩი-ალა, ჩიპი მოგიხვანე. ფისი რომ დასდე, ეხლა გააკეთე შენი საქმე.

— ჭიპი!—დაიღმუვლა კვაჭიმ და ორი ნახტომით ზედ მიადგა.

— კვაჭი!—დაიკნავლა ჭიპიმ და ვერხვის ფოთოლივით აკახ-ცახდა:—მე... მე დამნაშავე ეარ... მარა აფერი დამრჩა, ლმერთმანი, აფერი დამრჩა... წამართვეს, ყოლიფერი წამართვეს. მე... მე...

— მეს ნამდვილად გავიგე, რომ საართვეს, მაგრამ ჩიპი მაინს დონლუზია, ამიტომ...—დაუმატა ჯალილამ და დაიმელავა.

კვაჭის რკინის მკლავები თავის თავად მოსხლტნენ და ჭიპის ჟელზე ტკაცუნი მოიღეს. იმავ წუთს ჯალილამაც ისკუპა. ხუთიოდე წუთის შემდეგ ორივენი მოშორდნენ ჭიპის, რომელიც, გაგუდული და თვალება-ამოვარდნილი, გაჭიმული იწვა იატაქზე.

აბა, ჯალილ, შეახვიე.

— უნდა სავილოთ გურჯისტანში.—სთქვა ჯალილმა:—ფისი მიესი ალლაპასა, რომ დედამ უნდა ჩიპის საფლავზე იტიროს, ამიტომ...

— ვიცი, ვიცი. შეახვიე. დედას უნდა მივუტანოთ.

ორი დღის შემდეგ კვაჭი, ბესო და ჯალილა გემ „პუშკინ“-ზე ავიდნენ, რომელმაც ცხვირი საქართველოსკენ მოიბრუნა. კაპიტანმა სიღოროვემა და კვაჭიმ თითქოს ერთმანეთი ვერ იცნეს. ჰავლოვიც განკურნების შემდეგ უნდა ტფილისში ჩამოსულიყო საგანგებო დავალებით. ასე მორიგდნენ კვაჭი და თეთრი სარდალი.

კიდევ გავიდა ერთი კვირა. ერთ ღამეს გემია ცხვირი ბათომს მოაბჯინა.

კვაჭი, ჯალილა და აკოჭლებული ბესო ბაქანზე იდგნენ და ცეცხლის ლარს გამოსცემოდნენ.

— შარშან ენვერ-ფაშა ბათომი საილო...—ამბობს ჯალილა.

— მერე, ჯალილ? ნანობ, რომ ბათომი ისევ ჩვენ დაგვი-ბრუნდა?

ჯალილა იშმუშნება, ქნილებს აელვებს და სტოკას:

— არა, მაგრამ... ოსმალიც სოდოა. ზალიან ბევრი საართვა ენგლიზმა.

კვაჭი ყურს აღარ უგდებს ჯალილას. მას აგონდება ერთი სა-ლამო, თორმეტი წლის წინათ, როცა ახალგაზრდა კვაჭი გემის ცხვირზე იდგა და ჩრდილოეთისკენ მისცურავდა საბედოს საძებნელად და თავისი ხევერის დასაბყრობად. რა არ გადიხადა თორმეტ წელი-წადში კვაჭიმ! რამდენი ქვეყანა მოიარო! რამდენჯერ დაიჭირა და ისევ გაუშვა ხელიდან მოწყილე ბედი! მას, ძლევამოსილ რაინდს, ათჯერ და ოჯაერ შეეძლო გამარჯვების რაშე შემჯდარიყო და ალამით, ზემით და ზათქით დაბრუნებულიყო თავისს პატარა და ღარიბ სამშობლოში, სადაც ის ადვილად დაიჩემებდა პირველობას. მაგრამ მან უცხოთა შორის მეორეობა, მუდმივ ხიფათთან ბრძოლა და ახალ-ახალი ლანდების დევნა ამჯობინა. ოოჭ, რატომ არ დაუჯერა ხუთი წლის წინათ კვაჭიმ საწყალ გაბოს და სედრაკას! რატომ არ აღავგა მან მაშინ თვისი თავაგლეჯილი ბედის მერანი! რატომ არ დაუბრუნდა მაშინ მდიდარი და ჯანსაღი კვაჭი თავისს პატარა კერას! ვინ იცის, როგორ დატრიალდებოდა მისი ცხოვრების ჩარხი, მისი და დანარჩენ მეგობრებისაც, რომელნიც ეხლა, ამ სიცივეში... შორის, სადღაც მინდორში... შავ მიწაში წვანან. კვაჭი კი, უკვი მოდუნებული, შერცხვენილი, ხელცარიელი და გაკოტრებული მხოლოდ ეხლა უბრუნდება ხელცალიერსა და მოხუცებულ მშობლებს. თორმეტი წლის წინათ, როცა ფრთიანი კვაჭი აი, ამ ზღვაში მოსცურავდა, მისი საბედო მარიხ-ვარსკვლავი კვაჭის ულიმოდა და გამარჯვებას ჰქირდებოდა. ეხლა კი... იგი მკრთალად სციმციმებს და ოდნავ და ჰბეუტავს. კვაჭის გული იდუმალის მიზეზით ჰკვნების. უცნაური სირცხვილის ჭია ჰლორნის უძლებ შეილს, რომელმაც თვისი ახალგაზრდობა და ძალ-ღონე სადღაც გაპტლანგა და მხოლოდ ეხლა მოიგონა ბებერი ძიძა-მიწა, რომელმაც ის აღზარდა და გამოპყვება.

— კვაჭი, რა დაგემართა?—ეკითხება ბესო, რომელმაც მთვარის. შუქზე კვაჭის შექმუხვნილი შუბლი და მთრთოლვარე ტუჩები დაუნახა.

— აფერი... — ეუბნება ხმის კანკალით კვაჭი: — წევიდეთ, ბარგი შევკრათ... ჯალილ, წამოდი!

ერთი საათის შემდეგ, როცა მგზავრებმა ფეხი ნაპირს დაადგეს, კვაჭი მარჯვენა ხელით მშობლიურ მიწას დასწევდა და მერე ის ხელი ტუჩებზე დაიდო.

კვაჭის ჯერ მშობელ ქუთაისში უნდოდა ჩასვლა დედ-მამის სანახავად, მაგრამ დილით სასტუმროში გაივი, რომ სილიბისტროს ტფილისში მშვენიერი სახლი ეყიდნა და საბოლოოდ დედა-ქალაქში დასახლებულიყო.

— ალბათ იმ ფულით იყიდდა, შარშან რომე გამოვატანე პიტერიდან! — სთქვა კვაჭიმ და ჯალილას მიუბრუნდა: — ჯალილ, ბარგი მომზადე, ხვალ ქალაქში მივდივართ.

ჯალილამ ბარგი შექვრა, მერე კვაჭის და ბესოს წინ აეტუზა. შეიშმუშნა, წაიფორხილა და ღიმილით უთხრა:

— ალ! თქონ ზალიან კარგი ბიჩები ხართ, მაგრამ ჯალილას სოტა ხნით სასვლა უნდა.

— საით, ჯალილ? საით მიღიხარ?

— მე ერთი ზმა-ბიჩი ვნახე. აქ არის. სტამბულში მიდის. მეს მინდა სავიდე; სოტა უნდა მოვიარო, ბედი ვსადო და ისევ თქონთან მოვიდე.

კვაჭი დაფიქრდა და დალონდა.

— ბესო, ორნი ღა ვრჩებათ! — მერე ჯალილას მიუბრუნდა: — უშენობა გამიძნელდება, მაგრამ... რავი ეგრე მოგიფიქრება... წადი, ჯალილ, წადი! ღმერთმა მშვიდობა მოვცეს.

— ჩოხ საღოლ, ალ! ჩოხ რაზიამ, ჩოხ! ალლაპ იყოს თქონი შემსე. სალამათ, კნიაზვან, სალამათ! მალე ისევ ვიპოვით, ეხლა კი საყალ. სალამათ ოლსუნ, კნიაზვან, სალამათ!

ერთმანეთი გადაჰკოცნეს და დაშორდნენ.

კუბოში ჩაჭედილი ჭიბი კვაჭიმ წინა ღამითვე გაუგზავნა ბათომში გადმოსულ მშობლებს, ხოლო მეორე ღლეს დასაფლავებას დაესწრო.

— კვაჭი, ნუ წახვალ. — მორიდებით ურჩია ბესომ.

— ფიცი უნდა ბოლომდის შესრულდეს, ბესო! — ცივად უპასუნა კვაჭიმ: — დედის ტირილი უნდა ვნახო.

წავიდა და ნახა. მოხუცებული დედ-მამა დარდისგან ფეხზე ძლივს იდგნენ. დედის კივილი ცას სწვდებოდა. მამა გაუგებარს ლულლუდებდა.

— ხულიგანებმა დაახჩეს, — უთხრა კვაჭიმ ჭიპის მშობლებს: — გვამი ძლიერ ვიპოვე და წამევილე.

მერე, როდესაც ანდერძი აუგეს, კვაჭიმ ლაპარაკი დაიწყო. ეს იყო მისი პირველი სიტყვა ახალ საქართველოში: მქუხარე, ცეცხლიანი და თანაც სევდიანი.

— ძმაო ჭიპი! — ეძახდა მეგობარს კვაჭი: — შენ მუდამ ქართველი იყავი სულით და გულით; ქართველი იყავი და სამშობლოსთვის იბრძოდი. და ამ ბრძოლაში დაილია შენი უსაზღვრო გული და ჯვარცმული ცხოვრება. ვერაგვა შტერმა მუხთლად მოსპო შენი ლამაზი სიცოცხლე, მაგრამ შენი წმინდა ხსოვნა უკვდავი იქნება შენი მეგობრების და ხალხის გულში, ხოლო მადლიერი სამშობლო ოქროს ასოებით ჩასწერს შენს სპეტაკ სახელს თავისს მატიანეში და შენს გმირულ სიკვდილს საშვილისშვილო მაგალითად გადააქცევს. შენ კი, დაუვიწყარო ძმაო, მოისვენე შავ მიწაში, რამე თუ მიწა ხარ და მიწად იქეც! ჩვენ კი... ჩვენ...

კვაჭის სული აუდულდა. თვისი სიტყვა ქვითინით დაასრულა და ბარბაცით შეერთა ხალხში.

იმ დღეს კვაჭიმ ბათომი დაირჩინა, ნაცნობები იპოვნა და ახალიც მრავლად შეიძინა. ხოლო მეორე დღეს, დილით, კუპეში შევიდა, გაზეთი გადაშალა, ჭიპის ნეკროლოგი წაიკითხა და თვისი სიტყვაც ჩაბულბულა. ბესოს ოდნავ გადაეჭარბებინა. დაეწერნა: ჭიპის გვამი ერთგულმა კვაჭიმ შუა ზამთარში ზურგით და მარხილით გადმოიტანა კიევიდან ადესამდევ.

ხელმარჯვე კაცი იყო ბესარიონ შიქია!

კარი მეშვიდე.

აქა ამბავი საკუთარ მიწაზე განავარდებია.

კვაჭი უცნაურ გუნებაზე იყო: კუპეში ველარ ისვენებდა, ჰშფო-
თავდა, წამდაუწუმ ტალანტში გადიოდა და უცნობებს ესაუბრებოდა; ხან ერთ ფანჯარას მიჰვარდებოდა, ხან მეორეს მიეკვრებოდა; სტო-
კავდა, იხაროდა, იცინოდა და ხშირ-ხშირად იძახდა:

— ბესო, მოდი აქ! აი, უყურე: ეს არის ბარცხანა... აგერ ზე-
ვით მეგრული ფორტი მოსჩანს... მარჯვნივ ჰამიდიეს ფორტია,
მთის თავზე ერგე ყოფილა... ზარშან აქ ცხარე ბრძოლა გვქონია
ოსმალებთან... თურმე აქ სირცხვილი ვეძამეთ. ქართველებს ვაუკა-
ცობა ვერ გამოვიჩნია. ჩვენ თურმე ათი ათასი კაცი გვყოლია და
ორასი ზარბაზანი გვქონია, ოსმალებს კი ექვსი თუ შვიდი ათასი
კაცი ჰყოლიათ და ექვსი პარაზი ზარბაზანი ჰქონიათ. ზამთარი ყო-
ფილა. ჩვენ ქალაქში და ციხეში ვისხედით, ისინი კი ტყეში და
მთაში ყოფილან. მაინც გვაჯობეს თურმე.

— რავა მოხთა მერე მაი ამბავი?

— ჩვენი გამოცდილი ჯარი თურმე სახლში დაბრუნებულა. ჩვენ
დევილალეთო, აწი სხვებმა იომონო. ჩვენს მთავრობასაც თურმე
თლა ბალნები წოუყვანია. ერთი სიტყვით, ჩვენი დამოუკიდებლობა
შერცხვენით დეიშყო და...—კვაჭიმ ხმას დაუდაბლა:—ვაი თუ ისვე
შერცხვენით გათავდეს... თუმცა ჩვენ ჯერ არ ვიცით, რა ხდება
აქინე. მევიცადოთ, ყოლიფერი გევიგოთ და მერე ვსთქვათ ჩვენი
სიტყვა.

ქობულეთს რომ გამოსცდნენ, კვაჭიმ ბესოს კვლავ დაუძახა:

— ბესო. გეიხედე ფანჯარაში! აი, ჩოლოეს წყალი. თურმე
ბათომის სირცხვილი ჩვენებმი აქ ჩამოირეცხეს. აქინე ჰქონიათ ხა-
შურელებს და გორელებს ღამის ბრძოლა თათრებთან და თურმე
ჩვენებს ძალიანაც გოუმარჯვიათ. აქინეა თურმე აწი ჩვენი საზღვა-
რი. აგერ, ხომ ხედავ—წყლის გამოლმა ინგლისელების დარაჯები
სდგანან, ხილის გაღმა კი... ბესო! შეხედე, ერთი შეხედე, ბესო! ქარ-
თველი სალდათები! ქართველი სალდათები!

რაც უფრო ლრმად შედიოდა მატარებელი საქართველოს
გულში, კვაჭისაც მღელვარება და მოუსვენრობა ემატებოდა:

— აი, გურია... ნატანები... საჯევახო... ბესო, სამტრედია! ჩემი სამტრედია! ბესო! ისე მიცემს გული, თითქო დიდი ხნის უნახავ საყვარელთან მივდიოდ!

სამტრედიაში ჩამოხტა, ათიოდე წუთში სადგური მოირბინა და ათიოდე ძველ ნაცნობს წააწყდა. ყველას გადაეხვია და ყველანი მოიკითხა:

— გამარჯვება, ბონდო!.. ვახლავარ ძალუა ძაბულის!.. რავა ხარ, ისიდორე?.. მე? აი, დაეპრუნდი, სამუდამოდ დაეპრუნდი. მეც უნდა წევიმუშაო საქართველოსთვის. აწი ქალაქში მივდივარ, მარა მაღლე გნახავთ სამტრედიელებს და ქუთათურებს... მომიკითხეთ ყველანი. აბა, მშვიდობით! მშვიდობით!

და მიმავალ ვაგონს შეახტა. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ აიშალა:

— ბესო, რიონი! ჩვენი რიონი! ავერ ქუთაისიც! ჩვენი პაშია ქუთაისი! თურმე დაცალიერდა საწყალი! თურმე მთელი ქუთაისი ტფილისში გადასახლებულა. დარჩენებ მხოლოდ ერემო, ლაითაძე და დანიელა ურია. თურმე ისინიც გაკოტრდნენ, რადგან ურიებს და რაჭველებს ქეიფი და სიმღერა არ უყვართ.

ქამა-სმაც დაავიწყდა კვაჭის. იმ ვაგონში არავინ დარჩა, რომ კვაჭის არ გაეცნო და ახალი და ძველი ამბები არ გამოეკითხნა.

— საკვირველია, ბესო, ისთვი რავა მოვწყდით ჩვენს ქვეყანას, რომ ერთ წელიწადში ნამდვილი ამბავი ვერ გვევიგეთ? რასაც მოსკოვის გაზეთები სწერდნენ საქართველოს შესახებ, თურმე თლა ტყუილი ყოფილა.

— კიდევ ხუთი ან ათი წელიწადი რომ გვეცხოვრა იმ მოწყვეტილ ქვეყანაში, მაინც ვერ გვევიგებდით მართალს.

კვაჭი დიდხანს სდუმდა. მერე სთქვა:

— ბესო! ამ ერთ დღეში რაცხა გოუგებარი ამბავი დამემართა. მეივონე ჩემი წარსული. ისე მოვწყდი სამშობლოს, რომე,— შენ მაინც არ დაგიმალავ,— ჩემი ქართველობის თითქო მცხვენოდა კიდეც. არაფერი მწამდა ჩემი ქვეყნის: არც მისი კულტურა, არც მისი ენა, არც მისი მომავალი. ზოგნი რომ ლაპარიკობდნენ საქართველოს ავტონომიაზე, მეც სხვებსავით წინააღმდეგი ვიყავი. ვამბობდი: საქართველო წააგებს. მას არც ხალხი ჰყავს და არც ეკონომიკური საფუძველი აქვს თქვა. მარა აწი რაცხა შეიცვალა ჩემს გულში და თავში.

— ალბათ იმიტომ, რომე დღევანდელი რუსეთი გედირია.

— მარტო ეგ არ უნდა იყოს მიზეზი. რუსეთი მართლა გედირია. ოქტომბერი ველარ ვიცანი. მან ჩემი მოლოდინი არ გამართლა. მან უღლალატა ჩემს იმედებს, ამიტომ ვეც ვეღლალატე მას. აწი რუსეთში მეფობს წყვდიადი, მამა-შვილების და ძმების ომი, სიმშილი, სიცივე და ათნაირი ჭირი. იგი ქვეყნის გადაბრუნებას აპირებს და მთელ ქვეყნას ეომება. ცალი ფეხი სამარეში უდგას და, შეიძლება, მალე თვითონაც შიგ ჩაწევს. ვიმეორებ: ჩვენ რუსეთს სამარებლის მიესდიეთ, მარა სამარეში კი ვერ ჩავყვებით, რადგან ჩვენ ჩვენი თავი ჯერ არ მოგვძულებია. ამიტომ ჩიმოშორდა პაწია საქართველო დიდ რუსეთს. გარდა ამისა, ჩვენმა ხალხმა, როგორც ეტყობა, გამეიჩინა სიცოცხლის უნარი, თავდაჭერილი ზომიერება, გონიერი სიფხიზე და წყურევილი საკუთარ ფეხზე დგომისა. ამან მე იმის რწმენა ჩამინერვა გულში, რომე საქართველო ცალ ფეხზე სიარულს მაინც შესძლებს და დოუმტკიცებს თელ ქვეყნას, რომე ჩვენც ლირსნი ყველილვართ სიცოცხლის და არსებობისა. მარტო ის რადა ლირს, ბესო, მე და შენც რომე მივეშველებით სხვებს და საკუთარ ქოხის აშენებას შევუდებით.

— კი, მარა... მეშინიან... — გაუბედავად უპასუხა უფრო ფრთხილმა და უნდო ბესომ: — ჩვენს ქვეყნას ყოველ მხრიდან ვეშაპები აწვებიან.

— თეთრი რუსეთი მაინც განწირულია. მალე წითელი დათვი ამოცულება კავკასიონის ქედზე. რა უნდა ვქნათ მაშინ ჩვენ? არ ვიცი, ჯერ არაფერი ვიცი. ჯერ აქოურობა უნდა დავსუნო და ყოლიფერი გევიგო. პასუხს მერე მოგცემ. გეიხედე, ბესო, გეიხედე! აი, არმაზი... აგერ მცხეთა! ჩვენი ბებერი მცხეთა, დანგრეული, დაობებული და უამის ხავსით შექმული. ყორანაშვილი ამბობდა, რომე იგი რომზე ხუთასი წლით უფრო ხნიერია. მართლა, ბესო, ხვალვე მიპოვე და მომიყენე ყორანაშვილი. უნდა დევიწყო ქართული ენის, ლიტერატურის და ისტორიას შესწავლა... უყურე, ბესო, უყურე! აგერ ჯვრის მონასტერი. იგი თურმე უუძველესი შენობა ყოფილა საქართველოში.

უკვე დაღმდა. კვაჭიმ რომ შორიდან ტფილისის შუქს მოჰკრა თვალი, უარესად აღელდა და აიშალა. არსად და არასოდეს არ უგრძენია მას ასეთი იდუმალი გულის ლელვა და სულის შფოთვა. სადგურის ბაქანი გახარებულ ბავშვივით გაირბინა, ეტლში ჩაჯდა და მეეტლეს უთხრა:

— სოლოლაქში! ნაბიჯით იარე.

რუსეთის მკვდარი ქალაქების შემდეგ დედა-ქალაქი კვაჭის პარიზად მოეჩვენა. უხვის შუქით მოფენილი ქუჩები ხალხით არის გატენილი. ისმის მხიარული ლაყბობა და ერიამული. ცეცხლის ზღვაში უუზარმაზარ შაკი კანდელივით აღმართულა მამა-დავითი, რომელსაც ჯილასავით დაუდგავს თავზე ვარსკვლავების გვირგვინი.

გაიარეს კუკიის გრძელი ქუჩები, ვერის ხიდი, აღმართი და გავიდნენ რუსთაველის ფართე ხეივანზე. კვაჭი ველარ ისვენებს:

— ბესო, შეხედე, შეხედე! აი, „ნოეს“ სასტუმრო... აი, სახალხო სახლი!.. აგერ, მტკვარი, ჩვენი მტკვარი!.. აი, ოპერა... დრამა... ქვაშვეთი... „ორიანტი“, ჩემი „ორიანტი“... აი, სამხედრო სობორო, სასახლე, მუზეუმი!.. ჩვენია აწი ყოლითერი, ბესო, ჩვენი!...

ათიოდე წუთის შემდეგ კვაჭი საკუთარ სახლში დაფეხებულივით შევარდა და კინაღამ დაახჩო სიხარულით აკივებული მშობლები—სილიბისტრო, პუპი, ხუხუ და ნოტიო, რომელნიც ხან სტიროდნენ, ხან იცინოდნენ, ხან გზადაბნეულივით დაბორიალებდნენ და ხან კიდევ გაუძლის სიხარულისგან შტერდებოდნენ, კაკანებდნენ, ფუსტუსებდნენ და ყაყანებდნენ.

აქა პირველი ნაბიჯები.

მეორე დღეს კვაჭიმ მინისტრებს და ხელისუფლებს ჩამოუარა:

— გთხოვთ მიცნობდეთ: კვაჭი კვაჭანტირაძე გახლავართ. ეს არის ეხლა დავბრუნდი წითელ ჯოჯოხეთიდან.

მისი სახელის ქუხილი შორეულ ჩრდილოეთიდან თურმე საქართველოშიც ისმოდა. ეს ქუხილი ვერცხლის ხმებით იყო შეზევებული. როგორც მზის შუქები დიდ მანძილზე ნელდებიან და იკარგებიან, კვაჭის სახელიც, შორეულ რუსეთში ოდნავ შეგღესილი და შეთხუპნული, საქართველოში უკვე პირმობანილი და გაპრიალებული ჩამოსულიყო.

სანამ კვაჭი დედ-მამის ალექსით დნებოდა და ხელისუფლებას თავისს თავს აცნობდა, კკუამარჯვე შიქია ქალაქში დაძრებოდა და კვაჭი კვაჭანტირაძის სახელს ენიდან არ იშორებდა. კვაჭის ჩამოსულის ამბავიც ელვასავით მოედო ტფილის. ყველას და ყველგან კვაჭის ჩამოსულა ეკერა პირზე:

— ახალი ამბავი გაიგე? — ეკითხებოდნენ ერთმანეთს ქუჩებსა, კლუბებსა, თეატრებსა და რესტორანებში: — კვაჭი კვაჭანტირაძე ჩამოსულა.

— შენი კირიმე? მართლა?.. მაღლობა ღმერთს!

და იმ ჯგუფს ასეთი ცეცხლი ეკიდებოდა:

— თურმე ევროპის ბანქებში ორმოცი მილიონი ნაღდი ფული დაუგროვებია... — სთქვა ერთმა.

— ორმოციც ექნება და ასიც! — გაუსწორა მეორემ.

— თურმე ის ფული აქ უნდა ჩამოიტანოს და დაატრიალოს.

— მე ნამდვილს გეტყვით, — განმარტა მესამემ: — თურმე ოცი მილიონი უნდა მთავრობას ასესხოს ბონების განსამტკიცებლად, ოცი მილიონი უნდა გზებზე დახარჯოს, ორმოცი — ელექტროს სადგურებზე, ოციოდე — ქარხნების მოწყობაზე, ათიოდე — სტიპენდიებზე და ორმოციოდე — ჯარზე. დამიჯერეთ, ეს ამბავი უეჭვო წყაროდან გავიგო.

მეორე ჯგუფშიც დაახლოვებით იგივე განიმეორეს და კვაჭის წარსული მოიგონეს:

— ათი წლის წინათ კვაჭიმ გადაარჩინა რუსეთი დღევანდელ ბედისგან. მეფეს გადადგომა უნდოდა. ვერავინ გადააჯერა. ბოლოს, ეს საქმე კვაჭიმ იკისრა და მეფე ტახტზე დასტოვა.

— ლონდონის და პარიზის ბირჟები ერთ კვირაში ყირამალა გადაატრიალა.

— ენვერ-ფაშამ რუსის მთელი ჯარი ტყვედ ჩაიგდო, მაგრამ კვაჭანტირაძემ ერთი მუქა ქართველებით ბედი მოატრიალა, ოსმალთა ჯარი დაატყვევა და კინალამ ენვერიც ხელში ჩაიგდო.

— ეგ არაფერი. თურმე ამერიკამ რამდენჯერმე გამოუგზავნა რუსეთს იარაღით დატვირთული გემები, მაგრამ გერმანელებმა ყველა გემები ჩასძირეს. ბოლოს, კვაჭანტირაძემ იკისრა ეს საქმე და ორმოცი გემი უნდებლად ჩამოიყვანა.

— ამბობენ, ძალიან ნიჭიერი ფინანსისტიაო.

— ნიჭიერი კი არა, გენიოსია თურმე, გენიოსი!

— ბოლშევიკები თურმე ძალით ამუშავებდნენ. კვაჭის ბრაზი მოუვიდა და ისე წილები საქმე, რომ მოსკოვის მთავრობა კინალამ ერთ კვირაში დაპლუპა. გაუგეს, მაგრამ მაგანაც გაიგო და გამოიქცა. თურმე თან ხუთასი შეიარაღებული გამოჰყვა. მერე მისი რაზმი ხუთი ითასამდე გაიზარდა. ზარბაზნებით იყაფავდნენ გზებს. სამჯერ, თუ ხუთჯერ წაართვა წითლებს კიევი, ხარკოვი

და როსტოვი. მოსკოვზედაც მიღიოდა, მაგრამ დენიკინს ვერ მოურიგდა. დენიკინი მონარქისტი იყო, კვაჭანტირაძე კი პირსუფთა რესუბლიკანელი ყოფილა. თუ ეგრეთ, უთქვაში კვაჭანტირაძეს, თეთრებსაც კისერი მოგიტეხნიათ და წითლებსაც, მოტრიალდა და წამოვიდა. წითლებსაც მუსრი გაავლო და თეთრებსაც. ადესაც ძალით აიღო და თხუთმეტი გემი წამოიყენა. ეხლა ის გემები ბათომში არიან.

— თურმე ის გემები, აუარებელ ფქვილით და იარალით დატვირთული, საქართველოს შესწირა.

— მაშ მალე თეთრი პური გვექნება!

ასეთი იმედების ცეცხლი თანდათან ლვივდებოდა და მთელ კავკასიონსაც ედებოდა. სანამ ბესო ამ ცეცხლს გულ-მოდგინედ ჰბერავდა, კვაჭი ხელისუფლებს თვალებს უბავდა და წითელთა და თეთრთა ამბებს უამბობდა:

— რუსეთი დეილუპა, ბატონო, დეილუპა! ამ ქვეყანას ქრისტე ღმერთიც ველარ წამოაყენებს. წითელი რუსეთი ჩვენთვის ლვთის რისხეა, თეთრი კი ლვთის კრულვაა.

სჯეროდა კვაჭის რუსეთის დალუპვა? არა, არ სჯეროდა. „ქული რომ მეიქნიოს, ესეც გვეყოფაო“, ამბობდა გულში, მაგრამ ხმა-მალლა ამის თქმას ვერ ჰბედავდა, რადგან უმალვე წითელთა აგენტის სახელი გაუვარდებოდა, ეს კი კვაჭის ყველა გეგმებს ჩაუფუშებდა.

სალამშე კვაჭიმ და ბესომ ქალაქი დაირბინეს.

— ბესო! ჩემი თავი ნამდვილ ქართულ ქალაქში მგონია. მთელი იმერეთი აქეთ წამოსულა.

ქართულ კლუბში საქეელმოქმედო სალამო იყო. კვაჭიმ უხვად გასცა წყალობა. „მშური ნუგეშის“ ყავახანაში ლამაზი მოსამსახურე ქალები,—განათლებულნი და კეთილშობილნი,—უმაღ მიიზიდა და-ძმურის ბასით და რაინდულ ყოფა-ქცევით. „ქიმერიონის“ მართლა ქიმერიულ სარდაფში „ცისფერ-ყანწელების“ სალამოს წააწყდა. პოეტები ლვინიან ყანწებით, ჩიქოროთულ ლექსებით და მოსაწველ ქება-დიდებით დაუხვდნენ. ერთმანეთს ტკბილის სიტყვით თავები მოუქონეს, ჭრელი ხოტბა უხვად შეასხეს და გაშლილ ლიმილით გაუღიმეს. მართალია, ერთმანეთის ცნობა არ ჰქონდათ, მაგრამ შორიდან ყანწელების ფხიზელ ყურებამდისაც მისულიყო ქართველ რაინდის ჭექა-ჭუხილი, ხოლო სუსხიან ჩრდილოეთში კვაჭისაც გაგებული ჰქონდა ახალი მუსიკალური ბოდვა ახალ პოეტების ძმები-

სა. დაბნედილმა კვაჭიმ უხვად გაილო შესაწირავი ყანწურ ქურნალის გამოსაცემად და რამდენჯერმე სცადა თალებიან ყანწილან ამოსვლა, მაგრამ პოეტების სუფრიდან ადგომა და ტებილი რითმების მორევილან ამოტივტივება არც ისე ადვილი ყოფილიყო. ბოლოს, როცა გათენდა, ერთმანეთი ძლივს ამოიყვანეს ლანდების სარდაფიდან. ვინ ვის მიჰყავდა, ვინ ვის გაჰყვა და გააცილა, აღარავის ახსოვდა — არც პოეტებს და აღარც კვაჭი კვაჭანტირაძეს.

მეორე დღეს კვაჭი გაზეთებში ჰქითხულობდა ბესოს ნაცოდვილას: „საქართველოში დაბრუნდა განთქმული ფინანსისტი, ჩვენი თანამემამულე — კვაჭი კვაჭანტირაძე. უკანასკნელ წელში მან წითელ ჯოჯოხეთში საოცარი და საშინელი ამბები განიცადა. ამის შესახებ ჩვენ ცალკე წერილს დავტებდავთ. ეხლა კი გულწრფელიდ ვუსურვებთ ჩვენს სახელოვან მომებს დედის კალთაში მოსუნებას და ნაყოფიერ შრომას ჩვენი ხალხის სასარგებლოდ და მამულის სადიდებლად“.

ასეთს მოლოცვას შესატერი პასუხი ეჭირვებოდა. იმავე დღეს კვაჭიმ რედაქციები დაიარა, პრესის ყველა მუშაქები გაიცნო და თვისი თვეიც გააცნო. იმ დღიდან კვაჭი და გაზეთები ერთი-მეორეს იდემალ და ძმურის სიმებით გადაებნენ, რომელნიც დროგამოშვებით საიდუმლო მაღამოთი იფერებოდნენ და იწმინდებოდნენ.

კვაჭიმ ერთ კვირაში ათასი ხილული და უხილავი ძაფი გააბა. ძევლი ნაცნობები და ახალი მეგობრები თაფლწასმულ კვაჭის ბუზებივით მოეხვივნენ. ყველანი თვალებსა და ჯიბეში შესცეროდნენ და რაღაც სასწაულს მოელოდნენ. კვაჭი კი გაცხარებით ბადეებს ჰქსოვდა, ქვეყანას თვალებს უხვევდა და ხელისუფლებისა და ფულისაკენ მიაბიჯებდა. ყორინაშვილი ქართულ საქმეების გაკვეთილებს აძლევდა, ბესო შიქია უტყუარ ცნობებს აწვდიდა და კვაჭის ყოველდღიურ დარიგებას ასრულებდა, ხოლო დანარჩენიც ერთგულად და თავგაწევით ემსახურებოდნენ საერთო საქმეს, რომელიც დღეს თუ ხეალ უნდა გაზრდილიყო და ყველასთვის საარაკო მეწველ ფურად გადაქცეულიყო.

კვაჭიმ თვისი ხერხი და მუშაობის მეთოდი ძირიან-ფესვიანად შესცვალა. წითელ რუსეთში ნიშადურ-ამოსმულივით დაბორდა და გამალებული ყბედობდა, აქ კი ჯერ-ჯერობით პირზე კლიტე დაიდო და გარეთაც იშვიათად გამოდიოდა. მაგრამ კვაჭის მაგივრად ბესო შიქიას და სხვათა წყალობით კვაჭანტირაძეზე დილით-დილამდე ათასნი და

ათი ათასნი ლაპარაკობდნენ. ვინ მოუტანს საქართველოს თეთრ პურს? კვაჭი კვაჭანტირაძე. ვინ ჩამოიტანს ევროპიდან ათასნაირ საქონელს, რომელიც კავკასიონს სეირდება? რა თქმა უნდა, კვაჭანტირაძე. ვინ გამაგრებს ჩვენს ფულს, რომელსაც დღითი-დღე ფასი ეყარგება? ისევ კვაჭანტირაძე. ვინ გაიტანს კავკასიონიდან ხუთ წელიწადში დაგროვილ ნაცხს, ზავ ქვას, მატყლს, ბაბას, თამბაქოს, იბრეშუმის პარქს, ხე-ტყეს, ღვინოს და უამრავ სხვა საქონელს? კვაჭი, კვაჭი და მხოლოდ კვაჭი. ევროპასა და ამერიკაში ქალაქი არ არის, რომ იქაური ბანკირები, ვაჭრები და მრეწველნი კვაჭის არ იცნობდნენ და ძმასავით არ ენდობოდნენ. კვაჭიმ ყველაფერი იცის! კვაჭი ყველაფერს მოახერხებს! კვაჭის ყველაფერი შეუძლიან!

კვაჭი სოლოლაკის უბანში სცხოვრობს, საკუთარ სახლში, მეორე სართულში. ნუ მოერიდებით, მიდით და მიუტანეთ თქვენი ნდობა, ფული და საქონელი. კვაჭი ჯაღოქარია. ერთ მანეთს ერთ თუმანს ასარგებლებს. მიდით! ნუ მოერიდებით! მიდით! მიბრძანდით!

და კვაჭის კარ-ლია სახლში ყოველ დღე მიღიან და მიღიან. თვითონ კვაჭი საქმეზე ცოტას ლაპარაკობს, ისიც ბურუსით და ბინდ-ბუნდად. კვაჭი საქართველოში ახალი კაცია. მან აქაურ ეკონომიკაზე ბევრი არაფერი იცის, მაგრამ ის კი მტკიცედ იცის, რომ უკოდინარობის გამეღავნება არ შეიძლება. საქონლის პატრონს ის ჰპირდება საქონლის გაყიდვას უუმაღლეს ფასად, ფულის პატრონს — უუდიდეს მოგებას. საჭიროა მხოლოდ სავაჭრო და საბანკო სააქციო საზოგადოების დაარსება და ფულის შეტანა. დანარჩენს კვაჭის მდივნები ეტყვიან და ყოველგვარ ცნობასაც მისცემენ. ამისთვის დიაქირავა კვაჭიმ სამი ახალი მდივანი — სომეხი, თათარი და ქართველი.

ბოლოს, როგორც იყო, ის ნადირიც მოვიდა, რომელ აც კვაჭი მოელოდა. ერთხელ მას ერთი ინგლისელი ეწვია — პირწითური ჯონ რაულინსონი. კვაჭიმ და ჯონმა ერთ საათში გაათავეს საქმე. ფული და საზოგადო ხელმძღვანელობა ჯონისა იქნება, ხოლო ნდობა, ქსელი, ტეხნიკა და აპარატი — კვაჭანტირაძისა.

არც კვაჭის და არც ჯონს საქმის გაციანურება არ უყვართ. ამის შემდეგ ორი კვირა არც კი გავიდა, რომ თავისუფლების მოედანზე ერთი სახლის ზემო სართული ოქროს აღლიან წარწერებით დამშვენდა: „სიბუნიონ ლიმიტედ კომპანია“, ხოლო ქვემო სართულში „ინგლის-კავკასიონის“ ბანკი გაიხსნა.

მოქლე ხანში კავკასიონი „სიბუნიონი“-თ მოიფინა და საქმეც ადულდა. „სიბუნიონი“ ნალდზე არ ჰყიდულობს საქონელს. მიეცით

მას ნისიად თქვენი მატყული და ბამბა, თამბაქო და ნაცო, ღვინო და პარკი! „სიბუნიონი“ გენდობათ თქვენ. ის გაიტან თქვენს საქონელს ევროპაში, გაჰყიდის და მერე... ანგარიშს მერე გაგისწორებთ.

საქონლის დატვირთვას ძლიერ ასწორობენ. საშუალებები გატენილია: ასიოდე მოსამსახურე ფიცხად მუშაობს, ჯონ რაულინსონი ტფილისიდან ბაქოდის და ბაქოდან ლონდონამდე დაკვრის. გაზეთებში ყოველ-დღე იბეჭდება: „კვაჭანტირაძემ გაიტანა ოცი ათასი ფუთი მატყლი... გაჰყიდა სამოცი ათასი ფუთი თამბაქო... მოიტანა ასი ათასი ფუთი ფეხილი... იკისრა განაღლება სახელმწიფო ქონებისა... შესწირა ასი გირვანქა სტერლინგი... წავიდა... მოვიდა... სთქვა... აზრი გამოსთქვა... მიიღო... ეწვია... ზეიმი გამართა...“

განკურნებული და თეთრი მანდატით აღჭურვილი პავლოვი
მალე ტფილისში ჩამოვიდა და მუშაობა გაიჩაღა. კვაჭიმ თვისი და-
პირება პირნათლად შეისრულა. მან მხოლოდ ათხოვა პავლოვს თვი-
სი დახმარება, ნდობა, გავლენა და აპარატი. „სიბუნიონი“ მხო-
ლოდ ვაჭრობს და კომერციულ დავალებას ასრულებს. ის ჰგზავნის
ყირიმისკენ აფიცირებს, ნაეთს, ბენზინს, ზეთს, ტანისამოსს და ას-
ნაირ წვრილმანს და მსხვილმანს. რა ეპიტნავება კვაჭის, რომ ეს
მასალა თეთრ ჯარს მისდის! რა მისი საქმეა პოლიტიკა! სამაგიეროდ
კვაჭის თეთრი ფეხილი და მრავალნაირი სურსათი მოაქვს. არა, კვა-
ჭი აღარ ერევა პოლიტიკაში, თუმცა... ბოლოს და ბოლოს, მაინც
ჩიითრიეს და გააბრიყებს!

აქა არც აქეთ, არც იქით...

ხარბი, უგუნური, ბრმა თეთრი ბუღა დენიკინი საქართველოს-
კენ მოტრიალდა და აფხაზეთში შემოიჭრა. ამავე დროს მოსკოვი-
დან წითელი ხმა ისმის: „ქართველებო! მხარი მოვცეცით! შემოვცი-
ერთდით! ერთად დავკრათ თეთრ გენერალს და შავ ზღვაში გადა-
ვაგდოთ! აბა, დაიწყეთ!.. დაპქარით!..“

რა ჰქმნას კვაჭი კუპანტირაძემ! ვეღარ გაუძლო განზე დგო-
მას, რადგან კვაჭიც ქართველია! კვაჭიც საქართველოს ერთგული
შვილია! მაშ—შეწევნითა ღვთისათა!—დაიმკლავე, კვაჭი! აინთე
ღვთაებრივი გული მამული შვილურ ცეცხლით! მოიგონე შენი ძლე-
ვამოსილი საქმენი საარაკონი დემირ-თეფეს ზეგანზე და რუსეთის
თვალუწყვეტი მინდორზე, კივის მახლობლიდ, სადაც ამ უამად მარა-

დიულ ძილით განისვენებენ შენი ერთგული მეგობრები! შეასრულე შენი გალი სამშობლოს წინაშე, კვაჭი! იმისთვის ჯერ ერთხელაც არ გაგისროლნია თოფი, ჯერ ერთი წვეტი სისხლიც არ დაგიღვრია და ერთხელაც არ შეგიძახნია შენი ყარამანისებურის ხმით:

— მომყევით!.. მწყობრად!.. მარდად!.. მიღი!.. დაპჟა!.. ას-
ჩებე!..

ჩქარა, კვაჭი, ჩქარა! ჩქარა, თორემ მოდის თეთრი ტალლა! მოვა და წატლეკავს შენს „სიბუნიონსაც“ და სამშობლოსაც, რომე-
ლიც, იდუმალ ძალთა წყალობით, მხოლოდ გუშინ გაიცანი, მოიწო-
ნე და შეიყვარე. რად ჩაფიქრდი? რად ჰყოფილობი? ჩქარა, კვაჭი ჩქარა, თორემ... რად ჰქანაობ საქანელასავით? რამ შეგიყრა ეგ ხელ-
ფეხი? რატომ არ გინდა წითლები დაიხმარო? რად გეშინიან მათი მეგობრულ ჩახუტებისა? ვითომ მართლა ძვლები დაგემტვრევა? მაშ გვერდით ამოუდექი გაგიუებულს თეთრ ბუღას, რომელიც გეძახის,
გაგიყოლებს და გაჩენებს წითელ მოსკოვის ნამდვილ გაწითლებას, დამუქებას და გათეთრებას! არც ეგ გინდა? ძველი ცოდვების გახსე-
ნებისა გეშინიან? აბა, ეგ რა საფიქრებელია? ვინ არის ეხლა უკო-
დველი? ვის ჰქიდია ზურგზე შენს სუფთა წარსული? მაშ დააჩქარე,
აირჩიე, თორემ...

— თეთრები ვუის მოგვიტანენ, წითლები ვაის შეგვყრიან.

ეს არის შენი გადაწყვეტილება? მაშ რა გინდა? ვისთან აპი-
რებ თავის შეხინებას? ალბიონთან?

— არც აქეთ, არც იქით. მე განს ვდგევარ და არავის ვერ-
ჩი. არც ვშველი, არც ვემტერები. არც აქეთ, არც იქით...

კვაჭი, რა დაგემართა? რამ დაგიხშო სახელ-განთქმული ყნოს-
ვა? ვინ მოგიყლა უტყუარი ალლო? ვინ, ან რომელმა საბედისწერო
მაჯლაჯუნამ დაგაჯერა, ვითომ არც შენ გერჩის ვინმე, თუ შენ
თვითონ არავის ერჩილე?! ვინ გაგაბრიყვა, ვინ დაგაწერინა შარა
გზაზე, საღაც არხეინად გაწილილხარ, ასეთი ბავშვური ტიკტიკი:
„აქ სძინავს უიარალო კრავს. გთხოვთ არ შეაწუხოთ. ამ გზაზე სია-
რული აკრძალულია. გადუხვიეთ.“ მერე, რომ არ გადუხვიონ? ხე-
ლი რომ წაგრას ვინმემ ან თავზე რომ გადაგაბიჯოს და სახლში
შემოვივარდეს? დაიყვირებ, განა! აკიდები და საქვეყნოდ განგაშს
ასტეხავ, განა! მერე ვინ მოგეშველება? დემოქრატია? იმას რომ ერ-
თი დამბახაც არა აქვს და ერთი ჯარისკაციც არა ჰყავს? მაშ დე-
მოკრატიულ ყვირილის და ყაყანის იმედი გაქვს? კეთილი და პატი-
ოსანი, მაგრამ აქამდის როგორ ვერ გაიგე, რომ თუნდ ათიოდე მი-
ლიონ ყანყრატოს ყვავებისა და კაჭკაჭების დაფრთხობის მეტი არა-

ფერი შეუძლიან?! მაშ ვერაფერი მოიფიქრე? ვერ ჰპედავ თეთრ ან წითელ გზით სიარულს? მაშ ალბიონის კალთას მაინც დაეჭიდე. არც ეგ გინდა? ისევ დემოკრატიულ ყაყანისა ვეშინიან?

— არც აქეთ, არც იქით! — კვლავ იმეორებს თუთიყუში.

რისა ვეშინიან, კვაჭი? ვის ერიდები? პარტიიდან დაგითხვენ და მსუქნ ნეხვს პირიდან გამოგაცლიან? ამისი ვეშინიან, ამიტომ დაგიგუბებია პირში წყალი? კეთილი და პატიოსანი.

თეთრი ბუღა ალბიონში ისევ მიაბრუნა და დროებით გადა-
ვარჩინა. მავრამ გარემოება კვლავ შეიცვალა. აბა, შეხედე: დაფე-
თებული, ნაცემი და დაოსებული ბუღა შავ ზღვაში გადავარდა, ხო-
ლო კავკასიონის ქედზე წითელი ძაბრი ამოცოცდა და იქიდან გი-
თვალთვალებს. პხედავ წითელ ღროშებს, იალბუზსა, დალესტანსა და
მყინვარზე რომ ფრიალებენ? გესმის გამარჯვებულთა გუგუნი? პხე-
დავ, რას სჩადის ალბიონი? გუდა-ნაბადი აიკრიფა და კავკასიონი-
დან ბათომში გადასახლდა, თითქოს ეს ქვეყანა სხვებს ვისმე დაუკა-
ლაო. გაიხედე ეხლა ალმოსავლეთისკენ, გაიხედე და დააკვირდი: ხე-
დავ მეგობრულ ხელებს, რომელნიც გაუშეირეს ერთმანეთს მოსკოვ-
მა, ანგორამ, თეირიანმა და ქაბულმა? გესმის, როგორ შეაწყვეს ინ-
ტერნაციონალი, შიქვასტა და ბაიათი? ცეცხლის სალტა გერტუმის
გარსშემო, კვაჭი! წითელი ლრუბლები იქრიბებიან შენს თავზე, კვა-
ჭანტირაძე! უკვე მოისმის შორეული ქუხილი, უკვე ელავს წითელი
ელვა, უკვე იგრიხება ალის გრიგალი და დღეს ან ხვალ დაიჭიქებს! კვაჭი,
გამოფხიზლდი! მოიშორე ლანდები! გაპტანტე ნისლი! გაიღვი-
ძე და თავს უშველე, თორემ გვიან ლა იქნება კბილთა ლრჭენანი და
თითთა ქეხნანი!

ვერა, კვაჭი ვერ იღვიძებს! კვაჭს უცნაური რამ სენი დაემარ-
თა. მტრელ თვალებზე ბისტი აეფარა, დაგეშილ ცხვირში სურდო
გაუჩნდა და მოწმენდილი ტვინი ბურუსით დაებურა. გამოლაყებულ
ბებერ თუთიყუშივით ზის ხარიხაზე და უაზროდ სჩავის:

— არც აქეთ, არც იქით... არც სიცივე, არც სიცხე... არც
წითელი, არც თეთრი... არც მე ვერჩი, ნურც მე მერჩიან...

კვაჭი, გაიხსნე: სწორედ მაგიტომ მოკედა ბურიდანის ვირი.
იმ ვირს ერთი მხრიდან ქერი დაუყარეს, მეორე მხრიდან შერია.
ვირი ფიქრობდა, ნეტა რომელი სჯობია, შერია თუ ქერიო. ვერ
აირჩია. იმდენი იფიქრა, რომ ამ ფიქრსა და არჩევანში სიმშილით
ფეხები გაფშიკა. კვაჭი, გაიგე ამ იგავის აზრი? ვერ გაიგე?

კეთილი და პატიოსანი. ძაბრებით გატენილი წითელი - მატა-
რებელი ისე დინჯად და არხეინად შევა ბაქოში, როგორც საკუთარ

სახლში. მეორე დღესვე პირს იბრუნებს და საქართველოს მოადგება. ბრძოლის ქუჩილი თითქმის ისმის დედა-ქალაქში. ერევანიც გაშითლდა. საქართველოს სამის მხრიდან ცეცხლის რეალი შემოერტყა. კვაჭის ფეხქვეშ მიწა გაუხურდა. წითელი ალი ხან ერთგან ამოვარდება, ხან კიდევ მეორეჯან.

კვაჭი კვაჭანტირაძე! ვერც ეხლა გაიგე რამე? ეხლაც ვერ დაინახე ჩამოწოლილი მეხის ლრუბლები? მაშ გაიგე და დაინახე? ძლიერ! კეთილი და პიტიოსანი. ეხლა რას იტყვი?

დარბის კვაჭი კვაჭანტირაძე ქუდმოვლეჯილ შიკრიკივით. დარბის და ჰელიოს ყველგან, სადაც კი ხმა მიუწვდება:

— აბა, გამოდით!.. თავს უშველეთ!.. ხიფათი კარზე მოგვადგა!.. წადით!.. დაქეირით!.. ასხეხეთ!

შენ, კვაჭი? შენ რას ფაქტობ? შენ რას აპირებ? რატომ შენც იქ არა ხარ, სადაც თოფი სკექს და სისხლი იღვრება? არა გცალიან, განა! შენ შენი ვალი მოიხადე, განა! ასიოდე კოლოფი. პაპირისი გაუგზავნე ჯარს და შენი საქონლით და განძეულობით უცებ თავი ამოჭყავ ბათომში?

ახირებული ხალხია, ღმერთმანი! ისე ლაპარაკობენ ზოგიერთნი, თითქოს კვაჭი თანდილას ბადალი იყოს! არც თანდილა და არც ქვეყანა, თანდილას სიცოცხლის გარდა, არაფერს დაპარგავენ, კვაჭი კი... კვაჭი ათი ათასს თანდილას მაინც უდრის! როგორ გახსნებენ საქართველო, სილიბისტრო და პუბი უკვაჭოდ! ვიღა „გაამასქნებს“ უკვაჭოდ ათასსა საქმესა მამულიშვილურს! ესეც რომ არ იყოს, კვაჭის უამრავი ქონება აქვს, რომელიც უკვაჭოდ წითლებს ჩაუვარდება ხელში. ამიტომ მირბის კვაჭი კვაჭანტირაძე. მირბის და მიაქეს უთვალავი სიმდიდრე, რომელიც მასთან ერთად გაქცეულ მოლვაწეთა შენახებას უნდა მოანდომოს.

გრიგორი გადიარა და კვაჭის სულსა და ტეინში ლრმა ხნულები დასტოვა. ეხლა იპოვნა კვაჭიმ უებარი წამალი: ინგლისი! მფარველი! ჩქარა იშოვნეთ ძლიერი დამცველი, თორემ ჩეენი დღეები დათვლილია!

და კვაჭი საქმეს შეუდგა. ჯერ თავისს ამხანავს ჯონ რაულინს მოელაპარაკა.

— ოლ რაიტ... ისე...—მოკლედ და ბუნდოვანად უპასუხა მან, თან საქმე ისე წაიყვანა, რომ, საჭიროების მიხედვით, თუნდ ორიოდე დღეში გაპარულიყო და თვისი ხაბაკ-ხუბაკიც თან წაელო. კვაჭი იწეწებოდა და ოფლში იწურებოდა:

— გამიგონეთ, დამიჯერეთ, მეგობრებო, თორემ ინანგბთ. რაც აქამდის ვსთქვი, ყველაფერი გამართლდა. ეხლაც ვამბობ: ჩვენი და-მოუკიდებლობა ზღაპარია. ჩვენი კაულიას და რაედენას შეილები სახელმწიფოს ვერ შეჰქმნიან. ხალხი უპატრონოდ არის. კანონი ჩვენ არა გვაქვს და ფული. ჩვენს გარსშემო ისეთი ძალები იყრიან თავს, რომ ჩვენ მათს წყიატურტსაც ვვრ გავუძლებთ. საქართველოს ისე გაიყოფენ, როგორც ქრისტეს კვართხი გაიყვეს. თუ ერეკლე მეფემ მოიხადა ხალხის გულისთვის გვირგვინი, რატომ არ უნდა მოიგლი-ჯონ თავიდან ჩალის საფრთხობელა ლანჩხუთელმა და ჩოხატაურელ-მა კუდაბზია აზნაურებმა?

რაშია საქმე, კვაჭი? სთქვი, რაც სათქმელი გაქვს! ნურავის ერი-დები. სთქვი და გაათავე. ისევ პარტიიდან გამოგდებისა გეშინიან?

— რაშია და იმაშია, ჩემო ბატონო, რომე ევროპას უნდა შე-ვაფაროთ თავი.

სთქვი პირდაპირ, კვაჭი, სთქვი! ვის ან როგორ უნდა შევა-ფაროთ თავი?

— ან ინგლისს, ან საფრანგეთს მფარველობა უნდა ვსთხოვოთ.

პროტექტორატი? ვასსალი? თუნდ ეგრეც იყოს! კვაჭიმ ჩიქორ-თული სიტყვები არ იცის. ერთი სიტყვით, ისე უნდა მოეწყოს სა-ქმე, რომ საქართველო ევროპის ჯარმა დაიცვას, ან... თუ ეს არ მოხერხდა...

— თუ არ მოხერხდა, ისევ ის სჯობია, რომ წითლებს მოვუ-რიგდეთ.

როგორ მოვურიგდეთ? რას პეტულისხმობ, კვაჭი? გაანებე თავი ნართაულ ლაპარაკს! ნათლად და მეაფიოდ გამოსთქვი შენი სათქმელი.

— კეთილი, ვიტყვი... თუმცა... ადვილი არ არის ამის თქმა, მარა... რაკი სხვა გზა არ არის, მოგახსენებთ: სასახლეზე უნდა წი-თელი დროშა ავუშვათ და... ხელისუფლებაც უნდა წითლებს გა-დავცეთ.

აჲა! სთქვა კვაჭიმ თვისი ნააზრევი და გულის ნადები! ეხლა თუნდ გაწიწენეთ ეგ კაცი, თუნდ პარტიიდან განდევნეთ, თუნდ დაატუსაღეთ!

ეგ რა სთქვი, კვაჭი? ეგ რა წამოროშე? როგორ იქადრე? ეგ ხომ ლალატია, ნამდევილი ლალატია!

კვაჭიმ იკადრა, გაპბედა და სიმარლე მოგახსენათ. ეხლა თქვენ იცით. მან თვისი ვალი მოიხადა.

— აქამდისაც დიდი სისულელე ჩავიდინე, რომ კაჭკაჭივით ვჩხაოდი: „არც აქეთ, არც იქით... არც თეთრი მინდა, არც წი-

თელი... არც მე გერჩი, ნურც შენ მერჩოლები“. ეხლა კი მოგახ-სენებთ: ან აქეთ, ან იქით; ან თეთრი ან წითელი; ან ლონდონი, ან მოსკოვი,—აი, დღევანდელი ჩვენი პროგრამა.

კეთილი, მაგრამ შენ თვითონ როგორ მოიქცევი, კვაჭი? აქ დარჩები, თუ გაიქცევი? ვერა, კვაჭი ვერ დარჩება, რადგან წით-ლებს მისი ძეველი ანგარიშები აქვთ. ესეც რომ არ იყოს, კვაჭიმ ქონება უნდა გადაარჩინოს.

სიმართლის მთქმელს ცხენი უნდა შეკაზმული ჰყავდესო, —ეს ანდაზა კვაჭის თავზე გამართლდა. მას აქეთ, რაც მან თვისი სათ-ქმელი სთქვა, მართლის მთქმელი ყბად აიგდეს. ზოგმა სთქვა, გა-გიყდაო, ზოგი კიდევ იძახდა, გვლალატობსო. კვაჭის ხმა უნაყოფოდ მოკვდა უდაბნოსა შინა. არამკითხე ჸირისუფალი გაინაპირეს და მოიძულეს. კვაჭიც გაჩუმდა და თვისი ეჭვი, შიში და ნააზრევი გულ-ში ჩაიმარხა.

იმ დღეს, როცა ინგლისელთა უკანასკნელი ჯარი ბათო-მიდან უნდა გასულიყო, კვაჭი და ბესოც იქ იყვნენ. მუნჯი, უგუ-ლო და უსულო ბრიტები დინჯად ადიოდნენ გემებზე. სიხარულით ალტაცებული და აფორიაქებული ქართველთა ჯარი და ხელისუფ-ლება ზეიმით, კიეინით და ზათქით შედიოდნენ თავიანთ ნაქალა-ქეში. ბოლოს, დიდი ინგლისის დროშაც დინჯად, წყნარად და ნა-ბიჯით ჩამოცურდა მაღალ ძელიდან, ხოლო იმავ წამს იმავ ძელზე სამცეროვანი ქართული აფრიალდა, —ისიც კიუინით, ზათქით, სიხა-რულით და ხტუნაობით.

— ეხლა კი დავიღუპეთ! — უთხრა კვაჭიმ ბესოს რესტორანში სწორედ იმ დროს, როდესაც ირგვლივ ალტაცებული ხალხი გრევი-ნავდა და ჰქებდა: — დაიხსომე ჩემი სიტყვა, ბესო. თითქმის არავის ესმის დღევანდელ ამბავის მნიშვნელობა. ავერ, ინგლისელთა გემების მისცურავენ. ევროპა წავიდა. ჩვენ ისევ მარტონი დავრჩით აზიაში. იმ გემებმა წაიღეს ჩვენი უკანასკნელი იმედი და დაგვიტოვეს და-მოუ-კი-დებ-ლო-ბა!.. გარსონ! ერთი ბოთლი ლაფიტი გაათბე... მი-იხედ-მოიხედე გარსშემო, ბესო! უხარიან! იცინიან! ქეიფობენ! ხა-ხა-ხა! ერთი ჰკითხე, ბესო, ჰკითხე ამ ტუტუცებს, რად იცინიან? რა უხარიან? რად მოილენენ? ამათ რომ ჰკუა ჰქონდეთ და ხვა-ლინდელის დანახვა შეეძლოთ, ცხარე ცრემლით იტირებდნენ და მო-მავალ ვაებას დღესვე იგლოვებდნენ. ეხლანდელი ხელისუფალნი ოდესმე მოიგონებენ დღევანდელ დღეს და კვაჭი კვაჭანტირაძეს, მაგრამ გვიან ღა იქნება თითხე ქბენანი. აქამდის ჩვენ ორი გზა გვქონდა: ან რუსეთი, ან ევროპა. ეხლა ერთი გზა ღა დაგვრჩა — მოს-

კოვის გზა, ისიც წითელი და ეკლიანი. გარსონ! ხილი არ გივარებათ. ერთი ბოთლი შამპანური და ოსმალური ყავა მოგვიტანე. ყურადღება მიაქცი ერთ ამბაეს, ბესო. ჩვენს მტრებს ჩვენზე მეტად უხარიანთ ინგლისელების წასვლა. მოსკოვში აღბათ ცალ ფეხზე დარბიან. ეს ძალიან ცუდი ნიშანია. წითლები უკვე იარაღს ჰქორავენ და სალაშ-ქროდ ემზადებიან. ყორანაშვილმა მასწავლა: თურმე ჩვენს წინაპრებს უთქვამთ — „საღაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისგანო“.

— ჩათრებას ჩაყობიანო, — ჩაურთო შიქიამ.

— ესეც კარგად არის ნათქვამი, ბესო. თურმე ისიც უთქვამთ: „ურემი რომეგადაბრუნდება, გზაც მაშინ გამოჩნდებაო“. ლმერთმა და-ვიფაროს, რომ ეს ანდაზა ჩვენს კისერზე გამართლდეს.

— აქმდის მრავალჯერ გამართლდა.

— იმიტომ, რომ კარგი მეურმები გვყავს! ეს მეურმები ისე გადასჩეხენ ხრამში ჩვენს დანჯლრეულ ურემს, რომ იმის ნამტვრე-ვებსაც ვეღარ ვიპოვით. აქმდის ვყოყმანობდი. ჯერ ვიძიადი: არც აქეთ, არც იქით მეთქი. ეს გზა უვარების გამოდგა. მერე ევ-რობას ავევიდე, მაგრამ არავინ დამიჯერა. ეხლა ევროპაც წავიდა. დარჩენ მხოლოდ ჩვენი ევროპის ზედამხედველნი. ისინიც ამბობენ: ჩვენს თვალში ვარდისფერს და წითელ საქართველოს ერთი ფასი აქვსო. ესეც მართალია. მაშ ისევ გაწითლება არ ვეირჩევნია? და-კარგვით არაფერს დავკარგავთ გარდა წვრილფეხა მტრებისა, მო-მგებით კი ბევრს მოვიგებთ. ძლიერი მფარველი გაგვიჩნდება და საკუთარი წითელი მთავრობა გვეყოლება. სისხლსაც თავიდან ავიც-დენთ და სხვის ჯარსაც. ეს არის, ბესო, ამიერიდან ჩვენი ერთად-ერთი გზა. მეც ამ საქმეს უნდა ვემსახურო. თუ დამიჯერეს, ძალიან კარგი იქნება ყველასთვის; თუ არა და — კისერიც მოუტეხიათ. მე ჩემს ვალს მოვიხდი.

— ჩვენი საქმე?

— ამიერიდან საქმეც დაწვრილდება. მეღუქნეობა მე არ შე-მიძლიან, დიდი საქმე კი მოისპონ, ან ხეალ-ზევ მოისპონა. რომ შეი-ძლებოდეს კიდევაც დიდი საქმის გაკეთება, ჯერ არ გავგიუებულ-ვარ, რომ წითლებს საქონელი დავუმზადო, ან ქარხნები აუქმნონ. ყველაფერს თვალ-მარგალიტად და ოქროდ გადავაქცევ. გარსონ, სკამი! პატივი მეცით, ბატონო მინისტრო!.. დაბრაბანდით. ბიჭო! კი-დევ ერთი ბოთლი შამპანური, კარგი ხილი და ყავა! იქნება თქვენ შარტრეზი ან შიპრი გირჩევნიათ, ბატონო ჩემო? კეთილი, ინებეთ. მაშ შიპრი მოგვართვით. ჩვენ იმაზე გვერნდა ბაასი, ბატონო მინის-



ტრო, რომ... ინებეთ, ჩემი ბატონო, ინებეთ. მშვენიერი სიგარა გახლავთ. საუცხოვო სუნი აქვს და არც მაგარია. აი, მოუკიდეთ... არა, არა! ჯერ მოსკერით. მიბოძეთ, მე მოვჭრი... აი, ესე. ეხლა მოუკიდეთ. დიალ, იმას მოგახსენებდით, რომ დღეს თქვენ გიხარიანთ, მე კი ეშმაკები მახჩობენ. მიზეზი? მოგახსენებთ.

და დალაგებით, დინჯად და საბუთიანად მოახსენა. როდესაც კვაჭიმ თვისი სათქმელი გაათავა, მინისტრმა ჯერ თვალები დააჭირა, მერე პირიდან სიგარა გამოილო, შიპრით სავსე ჭიქა განზე გადასდგა და ისე შეხედა კვაჭანტირაძეს, როგორც სულთანის ტახტზე ბედის წყალობით ასულმა მელორემ, რომელსაც უთხრეს: „დიდო სულთანო! მეტად კუუიანად მოიქცევით, თუ მაგ ტახტიდან ჩამობრძანებას ინებებთ და სულთანობას მე დამითომობთ.“

იმ დღიდან კვაჭის მოსკოვის აგენტის სახელი დასჩემდა. კვაჭი ამას ჯერ ყურს არ ათხოვებდა და ამბობდა:

სწორედ იმიტომ გირჩევთ ხელისუფლების დათმობას, რომ მოსკოვის რისხვა ავიციონოთ. მოსკოველნი რომ ჩამოვიდნენ, მე იმავე დღეს უნდა გავიპარო საქართველოდან, რადგან უთვალავი ძველი ცოდვა მაწევს კისერზე.

კვაჭი თითოთ საჩერებელი გახდა. მაგრამ მისი რწმენა იმდენად ძლიერი იყო, რომ მორწმუნე მამულიშვილს ყველგან ერთსა და იმავეს ალაპარაკებდა: ქუჩებში, ოჯახებში, მოედნებზე და ხელისუფლებთანაც:

— მორიგდით... ხელისუფლება დაუთმეთ... მშვიდობით გაათვეთ... ცეცხლს ნუ ეთამაშებით, თორემ დღეს ან ხვალ ომი იფეთქებს. ნუ გაქვთ დემოკრატიის იმედი. გაბრიყვებენ. ისინი ისე მოგემველებიან, როგორც მე მივეშველები პოტენტოტებს ან ინდო-ჩინელებს. დამიჯერეთ... გეფიცებით... ყური მივდეთ.

მაგრამ კვაჭის თითქმის არავინ დაუჯერა, და ვინც დაუჯერა. იმასაც გასავალი არ ჰქონდა. რამდენჯერმე კვაჭი გაადროთხილეს კიდევაც: თუ არ გაჩუმდები, თუ ეგრე რიგად მოგწონს წითლები, პარტიიდან გაგაგდებთ და წითელ რუსეთში გადაგასახლებოთ.

სხვა დროს კვაჭი გაჩუმდებას და ქედის მოხრას არ იკადრებდა. აյი არც იქადრა გაჩუმება და დამალვა, როცა მეფის მთავრობა ჩამოხჩობას უპირებდა და კერძოსკიც ემუქრებოდა. მაგრამ აქ, საქართველოში, კვაჭი ჩიხში მოექცა. გადასდგომოდა ხელისუფლებას და მოსკოვს მიჰკედლებოდა? არა, ამას კვაჭი ვერ ჰქედავდა, რადგან ძველი ცოდვების შიშიც ჰქონდა და რაღაც იდუმალი ძალაც ხელ-ფეხს უკრავდა. კვაჭის მშვიდობიანი ან შინაურული ცვლილება

უნდოდა. მაგრამ, როცა დაატყო, რომ ორივე გზა უიმედო იყო, თავისს წითელ მეგობრებს უთხრა:

— თქვენ მაინც დამიჯერეთ, ამხანაგებო. თუ დღეს არ შეიძლება შიგნიდან ციხის აფეთქება, ხვალ ან ზეგ ეს საქმე უფრო მეტად გაადვილდება, ვიდრე ამ ბოთლის დაცლა. აბა, დააკვირდით ჩვენს ცხოვრებას. ხალხი დაიტანჯა უპატრონობით. ალარავინ იცის, არის თუ არა ჩვენში კანონი. არც ის იციან, ვისია ხელისუფლება,— მთავრობისა, გვარდიისა, პარტიისა, ქალაქისა, ერობისა თუ ყაჩალებისა. ძლიერი მთავრობის, მშვიდობისა და კანონის ძებნაში დღეს თუ ხვალ ხალხი თვითონვე მოგადგებათ კარზე. გარწმუნებთ, რომ დღევანდელი ხელისუფლება თქვენს საქმეს თქვენზე უკეთ აქეთებს. ნუ ხართ მოუთმენარნი, ნუ აჩქარდებით. ცოტა კიდევ მოითმინეთ და უველაფერი თავის თავად გაკეთდება. საქმე შიგნიდან გავაკეთოთ. სხვას ნუ დაეკიდებით, თორემ...

ასეთი იყო კვაჭანტირაძის გზა, რომელიც, იმის აზრით, სამოთხეში არ შედიოდა, მაგრამ სამშეიდობოს კი უეპველად გავიდოდა.

ბოლოს, ხელისუფლებსაც მოსწყინდათ კვაჭის ჭრელი კანი. ერთ-ხელ, როცა კვაჭიმ გადააჭარბა წითლების ქება, ერთმა მეგობარმა გამოუცხადა:

— წუხელი შენზე ლაპარაკი იყო. პარტიიდან დაგითხოვეს.

კვაჭი პარტიიდან დაითხოვეს? რა დიდი ამბავი მოხდა! კვაჭი ათვერ შემძვრილა პარტიაში და ათვერვე გამომძვრილა. კვაჭის ამით ვერ გააკვირვებთ. ეხლა ფეხებზე ჰყიდია კვაჭის პარტიობაც და მიმავალთა მეგობრობაც. კისრებიც მოუტეხიათ!

მაგრამ კვაჭის არც განხე გადგომა და ჰაერში ჩამოკიდება შეეძლო. ამიტომ მან წითელი ძაფები გაამაგრა და პავლოვიც მოიგონა. ცალი ფეხი რომ წითლებში ჩასდგა, მეორე ფეხი ყირიმში გადაალჯა და თევისი იმედის ნაწილი ვრანგელის ლაშქარზე გადიტანა. მაგრამ კვაჭის იმ ლაშქრისაც ბევრი არ სჯეროდა.

— თქვენც ჩვენსავით განწირულნი ხართ, ჩემო მეგობარო...— უთხრა ერთხელ კვაჭიმ პავლოვს:— წითლები საცაა ზღვაში გადაგურიან!

და, მართლაც, მალე ის ლაშქარიც განიბნა და ზღვაში გადავარდა. იმ დღიდან პავლოვი კვაჭის დაუბრუნდა. კვაჭიმ პავლოვი ძმასაერთი მიიღო და გვერდით დაისხლა. რადგან მისი სიკეთე მუდამ ახსოვდა.

ერთ თვეში „სიბუნიონი“ და მისი ქონება თვალ-მარგალიტად გადიქცა. კვაჭიმ სახლიც გაცყიდა და, მხოლოდ ბინა დაიტოვა. სილიბისტრო და პუპი ბევრს წუწუნებდნენ და იხვეწებოდნენ, რაღაც გან ტფილისის ბუდე მათი სიცოცხლის ნატვრა იყო, მაგრამ კვაჭიმ ორივეს ადვილად დაუძამა სევდა:

— ხომ ხედავთ, რომ სახლების ფასი ყოველ დღე ქვეით მიღის. გარდა ამისა, ხვალ თუ ზეგ წითლები მოვლენ და სახლს წაგვაროთმევენ. თუ არ მოვიდნენ, ამ ფულით აგერ იმ სახლს გიყიდით.

და კვაჭიმ ხრხიანცის სასახლეზე მიუთითა, რომელიც სილიბისტროს გულში ჰქონდა ჩავარდნილი.

— თუ როდისმე იმ სახლში შემიყვანე,—უპასუხა სილიბისტრომ:—გულხელს დევიურეთ და ლიმილით მოვკვდები. აწი შენ იცი. გაყიდე.

აქა ამბავი კვაჭის ომიანობისა.

კვაჭი გასაფრენად იყო ღამზადებული, მაგრამ სწორედ ამ დროს ორი ამბავი გაიგო: ხრხიანცი თავისს სასახლეს და ათი ათას ფუთს მატყლს ჩალის ფასად ჰყიდდა. კვაჭის ეშმაკები შეუჩნდნენ. დიდხანს იქნევდა ხელებს და დიდხანს ებრძოდა ცდუნების ეშმაკს, მაგრამ, ბოლოს, მაინც გაბრიყვდა. სტევა: თუ თუშეთიდან მალე ჩამოვიტანე მატყლი და გავიტანე, ერთ-სამჯერ მაინც მოვაგებო, ხოლო სასახლე... ოჯ, ის სასახლე! სამსართულიანი კოხტა სასახლე, კარიატიდებით მორთული, ბრინჯაოს აიენიანი, მოწითალო სევტებიანი და მარმაროს კიბიანი! კვაჭის არასოდეს უვლია სხვისი ჭკუით; მაგრამ მაშინ მაინც გაბრიყვდა: ბესოს, პავლოვს, სილიბისტროს და პუპის დაუჯერა, ის სასახლე და მატყლი იყიდა და... ორივე ხელი დაიწვა.

კვაჭი და მისი ოჯახი უკვე გადასახლდნენ იმ სასახლეში და ერთი ისეთი ნადიმი გამართეს სახლის მოსანათლად, რომ იგი ეხლაც კი ახსოვთ კვაჭის მეგობრებს. მატყლის მოსატანად სამი კაცი წავიდა თუშეთში. ხრხიანცმა კვაჭის ოქრო ჩაიღავა სკივრში და მეორე დღესვე დაოთხილი გაიქცა საქართველოდან. გავიდა ერთი კვირა. ერთ დილას ბესო შევარდა კვაჭის საწოლში და უთხრა:

— კვაჭი, ადექი! წუხელის ომი დაწყებულა წითლებთან.

— ომი? მაშ დევილუპე!

დიდ, კვაჭი, გამართლდა შენი შიში. ერთხელ კიდევ გიყარ-ნახა სიმართლე შენმა დაგეშილმა ალომ, ერთხელ კიდევ გასჭრა მომავლის წყვდიადი შენმა ნაცადმა თვალმა და ერთხელ კიდევ გა-იგო შორიდან თოფის წამლის სუნი შენმა გალესილმა ცხვირმა. მაგრამ მაინც მოსტყუვდი, რადგან სხვებს დაუჯერე. რა ოხრად გინდა ეხლა ეგ სასახლე? როგორ გაიტან ამ არევ-დარევაში თუშე-თიდან ბათომამდე იმოდენა მატყლს? ტყუილად დარბიან ბესო და ათი დალალი. ალარავის უნდა შენი სასახლე, ალარც მატყლის მუშტარი იშოვება სადმე. დაანებე თავი მატყლსაც და სასახლესაც, კვაჭი! რაც ხელში შეგრჩა, ეგეც თავსაყრელია შენთვის. დაანებე თავი შენს მოხუც დედ-მამას, კვაჭიკო! ეგენი როგორმე გაიტანენ თავიანთ თოვლიან თავებს. ხუსუ და ნოტიოც უკვე სამარეში ჩა-დიან და დღეს თუ ხვალ უშენოდაც წაიყრიან მიწას.

შენი სამშობლო? საქართველო? რა მოგცა სამშობლომ? ვინ არის შენთვის იგი, ან რა ხარ შენ იმისთვის? „სიბუნიონი“? კონ-ცესიები? საკომისიოდ გატანილი საქონელი და ათიოდე „გაიმასქ-ნებული“ საქმე? ამას ხომ სხვაგანაც აკეთებდი, ასეთს ლუკმებს ხომ უცხოელნიც გაჩეჩებდნენ პირში! უბრალო უბნის კომისრობაც არ შეგთავაზეს, რადგან შენ არ ეკუთვნოდი ხელისუფალთა მართლ-მადიდებელ ეკლესიას. შენ განსჭვრიტე მომავალი, შენ გააფრთხი-ლე ხელისუფალნი და პირნათლად მოიხადე შენი ვალი. მაგრამ არა-ვინ დაგიჯერა. მუქარაც კი შემოგითვალეს და კინალამ საქათარ ბუდიდან გაგაფრინეს. შენ უკვე მოიხადე შენი ვალი, კვაჭი! გაი-ყოლე ბესო, წაიყვანე პავლოვი და ისევ მიეცი თავი შენს უცხოთა შორის ხეტიალს და საქმეთა საგმიროთა „გაიმასქნებას“. აბა, წა-დი! წადი, სანამ დრო და გზა გაქვს, თორემ დაიგვიანებ და ინა-ნებ! გასწი! გაფრინდი! ჩქარა, კვაჭი, ჩქარა!

რად დაეხეტები დაკარგულ ბატივით ქუჩებში, კვაჭი? რას დაეძებ? რას აკვირდები? რა გაკვირვებს, რა გაოცებს? პირველსა-ვე ბრძოლაში გამარჯვებული გვარდიელები დაიშალნენ და ქალაქს მოედვნენ? სახლებისკენ გზას ეძებენ? ეს გაკვირვებს განა! მაშ, რომ დამარცხდნენ, მაშინ რალის იშმენ?

ზოგს ხახლი ფეხსაცმელები აცვია და მაინც გაიძახიან: სანამ ერთ წყვილს კიდევ არ მოგვცემთ, ომში არ წავალთო. თითო წყვი-ლი კიდევ მისცეს. ბაზარში გაიტანეს და გაპყიდეს. ეხლა მესამე წყვილსაც მოითხოვენ. გიკვირს განა, კვაჭიკო! ნუ გიკვირს, ძმობი-ლო, ნუ! შენ უფრო მეტი თანაზიარი გყოლია, ვიდრე აქამდის გე-გონა. ფეხსაცმელი, ბრძოლის ველიდან წამოსვლა და შინ დაბრუ-

ნება მხოლოდ საბაბია გაწითლებულთათვის. არ იბრძვიან, რადგან არა ჰსურთ; არა ჰსურთ, რადგან თვითონაც წითლები არიან და ელოდებიან თეთრ პურს, უფასო შაქარს, უბაეოდ საქონლის ტრიალს, გადასახადების შემცირებას, მოსპობას და წითელ სამოთხეს.

— სად არის ჯარი?! სად არის ჩენი სამოცდახუთი ათასი?

ნურც ეგ გიკვირს, კვაჭი! სამოცდახუთი ათასი ქაღალდზე იყო დაწერილი ხაზინიდან ათჯერ მეტი ფულის გასატანად და შენისთანა გულუბრყვილო ხალხის დასამშვიდებლად.

— შუა ზამთარში ჩაუკმელი და მშიერი ხალხი ყარაიაზში გაჰყავდათ გვარდიისთვის შეშის მოსაჭრელად. რატომ არ გასთხარეს თუნდ ერთი სანგარი შენაბადასთან ან ტაბახმელასთან?

— ჩენ ინგლისურ თოფებს ვერ ვხმარობთ. რატომ აქამდის არ გვასწავლეთ ამ თოფების მოხმარება?

— ჩენი ჰაეროპლანები ვერ აფრინდნენ, გარგოლი გავიფუჭესო!

— წითლებმა ყველა ჩენი საიდუმლოება იციან! საიდან? როგორ? ვისგან?

დამშვიდდი, კვაჭი, დამშვიდდი! გვიანლა ეხლა ყვირილი და თმების გლეჯა. შენ გიყვარს კქუიანი თქმულებანი. გაიხსენე: „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“. ან კიდევ: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“. ან კიდევ: „ურემი რომ გადაბრუხდება...“

იცის კვაჭიმ ეს ანდაზები, იცის! მაგრამ იმისი ფიცხი გული მიინც ვერა სძლებს:

— ეს მეტის მეტია! მეტის მეტია! ამოდენა სიყალბე! ამოდენა ტყუილი, ქვეყნის ასეთი გამასხარება!.. საკუთარი თავის და ხალხის ასეთი უსირცხვილო მოტყუება!.. ჰო, არამზადებო! სალაბანებო! ფარისეველნო! ორგულნო და ორბირნო!

ნუ, კვაჭი, ნუ გაცხარდი მაგრე რიგად! გაჩუმდი და გულიც დაიმშვიდე. მოვა დრო განკითხვისა და ანგარიშის გასწორებისა. მერე მოსძებნე მოლალატენი და გააკარი სირცხვილის ბოძე. ეხლა კი... ხიფათი კარზე მოგადგა. წითელი დროშები უჩვე შავნაბადას ძირში, კოჯრის თავზე და ვაზიანში აფრიალდნენ. ნუღარ დაბორიალობ კუდა-ყრილ ბულასვით ქაღალდზი. დაიბი ენა, აიღე თოფი, დაჭლუნე თავი და გასწი შენებურად ბრძოლის ველისკენ! რაღად ჰყოფანობ? რამ გაგარინდა? მაშ აიკარი გუდა-ნაბადი და

გადი სადგურზე! გადი . და აღარ მოიხედო, თორემ ვაი შენი ბრალი!

მორჩა! გათავდა! კვაჭი ვერ გაიქცევა! კვაჭი სირცხვილს ვერ ზიდავს სამარემდის! კვაჭიმ თვისი წმინდა ვალი უნდა მოიხადოს სამშობლოს წინაშე და მტრებს პირში ბურთი უნდა ჩასხაროს! კვაჭი აჩვენებს მხდალ ქალაჩუნებს, თუ როგორ კვდება კვაჭანტირაძე სამშობლოსთვის! აბა, ბესო! მოიტა თოფები და ვაზნები!.. ქურჯიც!.. ყაბალახიც!.. დაუძახე ავტომობილს!.. სილიბისტრო, მშვიდობით! პუპი, ნუ სტირი! ნოტიო, ხუხუ, გაჩუმდით! კვაჭიმ უნდა თვისი ვალი მოიხადოს. ან გამარჯვებული დაბრუნდება, ან კიდევ ცოცხალს ველარ ნახავთ ოქვენს ერთას. ჩააწყეთ ავტოში ღვინო და ჩაი-შაქარი, პური და ნამცხვარი, სიგარები და შამპანური, ძეხვი და ლორი! აბა, მშვიდობით! ნუ სტირით, კვაჭი ჯერ ცოცხალია! ბესო, ჩაჯერე! აბა, კოჯრისკენ! გასწი!.. მოუმატე!.. მიდი!

თოვლიან ზეგანიდან ყრუდ მოისმის ზარბაზნების ბათქა-ბჟუჟი, ტყეიისმფრქვეველთა კაკანი და თოფების ჭახა-ჭუხი. კვაჭის ავტო გრეხილებიდან გავიდა და ბრძოლის ველს უახლოვდება. დაჭრილნი, დაღლილნი და სწეულნი თავდალმა მოლასლასებენ. ზოგნი ორთვალაში წვანან, ზოგნი ცხენებს მოაჭენებენ. ჭრელად ჩატული ჭრელი ხალხი ზევით მიიწევს. ზოგნი ავტომობილით მიპქრიან, ზოგნი ფეხით მიიჩქარიან. ნახევარი საათის შვედეგ კვაჭი ტაბაძელის პოზიციებს მიადგა.

— სად არის ბრძოლის ველი?

აგერ, კვაჭი, აგერ! მნდლე, შენი თვალების წინ... ასიოდე ნაბიჯზე. ყველანი იქით მიჩრდიან, საღაც ისმის თოფის გრიალი, ხიშტების ჩახა-ჩუხი, ზარბაზნების ქუხილი და გახურებული ყიუინი. კვაჭი, ნუ ჩამორჩა! ფეხი აგტკივდა? აკოჭლდი? ამ ბუჩქებს ამოეფარები და აქედან გაისცრი? კეთილი, ეგრე იყოს. ოლონდ ჩვენებს არ მოახვედრო. აბა, დაუმიზნე!

— რახ-რახ-რახ!... რახ-რახ!

ხუთივე ვაზნა დასცალე? მერე, რად შესდექი? აქედან ვერა-ფერს ჰქედავ? მაშ მიდი, ახლოს მიდი!.. დასწყევლოს ღმერთმა, როგორ აცივდა! კვაჭის ისე დააძრა თითები, რომ თოფიც ვერ გაუტენია. კვაჭიმ არ იცოდა, რომ ასე აცივდებოდა, თორემ... კვაჭი, მებრძოლი ბრძოლაში გახურდება. თუ თოფი ვერ გაისროლე, ხიშტი მაინც მოუქნიე! ბუჩქებიდან გადი და ამხანგებს მიეშველე. აბა, კვაჭი! მიდი! მიდი! ათიოდე ნახტომით ბრძოლის შუა გულში ჩაერევი... ძაბრები ზარბაზნებს მიეტანნენ... აგერ, ერთი წაიქცა... მე-

ორეც, მესამეც, მეათეც! აგერ, ერთი ხიშტით მოსდევს მეორეს! აი, აქეთაც: ორმა მებრძოლმა ხმლები გადააჭდიეს. აშა, კიდევ: ორმა ერთ დროს დაახალეს ერთმანეთს დამბაჩები და ორივენი გულალმა დაეცნენ. აგერ, ერთ მხედარს სამნი შემოეხვივნენ. კვაჭი! კვაჭი! უშველე! უშველე! აბა, გადახტი! მანდედან მაინც ესროლე! გვიანლაა: ერთი მხედარი უკვე შოლტივით გაიშოტა.

რა დაგემართა, კვაჭი კვაჭიანტირაძე? რომელმა ბოროტმა სულმა აგიჩქროლა შიშით ეგ გული? ვინ შეგიკრა ეგ ხელ-ფეხი? მოიგონე დემირ-თეფე! სად არიან ის ღვთაებრივი ეშმაკები, მაშინ რომ ილლიებში შეგისხდნენ და ღვთის ტახტამდის აგაფრინეს? სად არიან ის ალქაჯები, უკრაინის მინდვრებში რომ დაგაფრენდნენ? რად დაგანებეს ეხლა თავი? ეხლა, ოდეს შენ საკუთარ მიწაზე საკუთარ თავისთვის იბრძეო... მობრუნდი, კვაჭი, მობრუნდი! შენი სული დაცალიერდა, შენს გულში ურწმუნოების ყინული სდევს და შენს ტვინს იჭვის ჭია პლრლნის... აგერ შენი ავტო. ჩაჯერე და სილიბისტროს დაუბრუნდი... გულ-წასული პუპიც მოაბრუნე... ხუხუ და ნოტიოც დაამშვიდე. წადი, კვაჭი, წადი! შენ შესცდი. არ უნდა ამოსულიყავი. აქ საშენო საქმე არ კეთდება. წადი, კვაჭიკო, წადი!.. წადი...

აქა ამბავი 25 თებერვლისა და კვაჭის გაწითლებისა.

კვაჭი, გაიღვიძე! კვაჭი, ნუ გძინაეს! ნუ თუ არ გესმის თავ-ჩაღუნულ ჯარის ბაკა-ბუკი, ცხენების თქარა-თქური, ავტომობილების გუგუნი და ურმების ჭრაჭუნი? კვაჭი, გაიღვიძე! დედა-ქალაქი იცლება... ყველანი მიღიან...

დილმისა და აკალის გზები გატენილია. მატარებელი მატარებელს მისდევს. ბავშვები და დედაკაცებიც დაფრთხოლან, ზურგზე ბოხები აუკიდნიათ, ილლიებში ძონები ამოუჩრიათ და თოვლ-კყაპში ძლივს მიძუნდულებენ. კვაჭი, გაიღვიძე!

მთელი ქალაქი ფეხზეა. ერთმანეთს აღვიძებენ, კარებებს და ფანჯრებს უმტკრევენ და სამგზავროდ უძახიან. კვაჭი! შენი სასახლე მიყრუებულ ქუჩაშია, მაგრამ ეგ ქუჩაც აფუსფუსდა. უკვე გათენდა. ცხრა დაპკრა... ათი... საცაა ტფილისში წითელი ჯარი შემოვა. ქალაქიდან უკვე ყველანი გაიკრიბნენ. ქუჩები ცალიერია. მხოლოდ კანტი-კუნტად მოსჩანან თავიაღუნული მავალები, რომელნიც შეშინებულ თვალებს აცეცებენ და დამალვას ისწრაფვიან.

— კვაჭი, ადექი! კვაჭი! კვაჭი!

— რა ამბავია? რა მოხდა?
— ის მოხდა, რომ ჩვენი მთავრობა და ჯარი ქალაქიდან გასულან.
— რას ამბობ, ბესო? როგორ? რატომ ჩვენ ვერ გავიგეთ? რატომ არავინ შეგვატყობინა?

— ჩქარა, ჩქარა! იქნება კიდო მოვასწროთ გასვლა.

ჩქარა, ავტომობილს დაუძახეთ! ჩაჰყარეთ შიგ ტანისამოსი, საცვალი, საბუთები! სილიბისტრო! აი, ფული... ნუ შეშინდებით... პუპი, გაჩუმდი! კვაჭი მიდის, მაგრამ მალე მოვეშველებათ. არა, არა! კვაჭი ეხლა ვერ წაგიყვანთ... მერე, მერე! აბა, მშვიდობით! ბესო, პავლე, წამოდით! სადგურისკენ!

უკანასკნელმა მატარებელმა კვაჭის თვალშინ გაიარა. კვაჭიმ დაიგვიანა.

— შოთერ, ავჭალისკენ!

ლრმა ლელესთან წითელი ცხენოსნები სდგანან.

— მობრუნდი! მოაბრუნე! დილმის გზით გასწი!... გაუტიე!... მოუმატე!.. დააჩქარე!

მიჰქრის კვაჭის ავტო. ისარივით გავარდა ვერის ხიდზე და სამხედრო გზით ჩიტივით გასრიალდა. თეთრ დუქანთან გადაელობნენ:

— შესდექით!.. გაბრუნდით!

ავტო მოტრიალდა და უკანვე წამოვიდა. კვაჭი გაშტერებულია:

— საკვირველია! რატომ აქვე არ დაგვხვრიტეს? რად დაგვაბრუნეს?

— მაგასაც მოვესწრებით! — ანუგეშა პალოვმა: — ეგენი არ ჩქარობენ. სულ ერთია, ყველა გზები მოგვიჭრეს.

სანამ სახლში შევიდოდნენ, ხმა აღარავის ამოულია. ყველანი გაფითრებულნი იყვნენ და რაღაც უხილავსა და უცნობ საშინელებას მოელოდნენ.

— კვაჭი, რას იტყვი? — ჰერითხა, ბოლოს, ბესომ ლრმად ჩაფიქრებულ კვაჭის, რომელიც ცხარე ბოლთას სცემდა.

— სთქვი რამე, გვირჩიე... — ჩაიკნავლა პავლოვმაც.

— ამეიღე ხმა, შვილო!.. კვაჭიკო, რეიზა გაჩუმებულხარ? — გამოალვიძეს ფიქრისგან კვაჭი სილიბისტრომ და პუპიმ.

კვაჭი თითქოს ეხლა გამოფხიზლდა.

— მომეცით ერთი თაბაზი სქელი ქალალდი და წითელი მელანი.

ქალალდი და მელანი მოუტანეს.



— ბესო, დასწერე მსხვილის ასოებით ქართულად და რუსულად: „წითელ საქართველოს მეგობართა კავშირი“... გაათავე? ებლა გაიტანე და გარედან ჩვენს კარებს გააკარი... ლაიცა, შევთანხმდეთ. თუ ვინიცობაა სათქმელი იყოს, ყველამ ასე სთქვით: კავშირი ერთი თვის წინათ დაარსდა, მე თავმჯდომარე ვარ, ბესო და სილიბისტრო გამგეობის წევრები არიან, დანარჩენნიც კავშირის წევრები ხართ. სულ სამასი წევრი გვყავს. ბესო, შენ დღესვე დასწერე წესდება. ხომ გახსოვს რევოლუციის დამხმარე საზოგადოების წესდება? ვინც შეგხვდეთ, ყველანი მეიყვანეთ და აი, ამ ქალალდზე მოაწერიეთ ხელი. სამ დღეში სამასიც მოაწერს ხელს და სამი ათასიც. შენ წადი, ბესო, ეგ ქალალდი გააკარი და ავტომობილსაც დოუძახე. ჟუპი!

— აქინე ვარ, შვილო.

— ჩემს საბანს წითელი პირი წააძრე და მეიტა. აბა, ჩქარა! ნოტიო!

— მეც აქინე ვარ, შვილო.

— მეიტა ჩენი დროშა, ჩენი დიდი ეროვნული დროშა. აბა, დააჩქარეთ! სილიბისტრო!

— რა გინდა, შვილო?

— მეიტა შენი გრძელი ჯოხი.

სილიბისტრომ ჯოხი მიაწოდა, ჟუპიმ წითელი საბნის პირი. კვაჭიმ აბრეშუმის საბნის პირი სიგანით ჯოხს მიაზომა და სთქა:

— გამოდგება. აბრეშუმის დროშა არც მაგათ აქვთ. აბა, ჟუპი! მიაბი ამ ჯოხს... ბესო, დაბრუნდი? აბა, შეხედე. იმისთანა დროშა მაგათაც არ ექნებათ. მგონი, საცხა ოქროს ქალალდი გვქონდა.

— რამდენიმე თაბახი გვაქვს.

— გამოსჭრი ხუთსხივიანი ვარსკვლავი და ამ დროშას შუაზე მიაკერე. დააჩქარე! ნოტიო, მომეცი ქართული დროშა.

ორი ადლის სიგრძე ეროვნული დროშა გამოართვა, ზემო კუთხეს თეთრი და შავი ამოახია, ამოხეულში წითელი ნაჭერი ჩააკერა და ხუთ წუთში ეროვნული სამფეროვანი დროშა იმ დღის შესაფერ ფარად გადააკეთა.

— ჟუპი, ეს დროშა აივანზე გეიტანე და გამოპუინე. მერე მე დამჭირდება. ვინ არის, ზარს რომ აწყარუნებს? ბესო, შენ გოულე კარები.

შემოვიდნენ კვაჭის მეზობლები—კოლია ცალიქაძე, გრიშა კალიძე და ვალოდია ჩორიშვილი. სამივენი გაფითორებულნი და დამუნჯებულნი იყვნენ. შემოვიდნენ და კვაჭის ჩამოეკიდნენ.

— გონის მოდით, რას დაფეთებულხართ?! — გაბრაზდა კვაჭი: — ჭორებს ნუ აცყვებით, არაფერიც არ იქნება. მე კარგად ვიცნობ მაგ ხალხს. ასეთ დროს გამარჯვებულს უნდა დაუყვავო, თავი იქნიო, „ბალი ალა“ იძახო, „ინტერნაციონალი“ იმღერო და პირსახე წითლად შეიღებო, მორჩი და გათავდა! აბა, მომყევით და მომბაძეთ. ექვისიერი ავტომობილში ჩაიჭედნენ.

— ნავთლულისკენ!

ბესო შიქია შოფერის გვერდით სდგას და ხელში წითელი საბნის ოდენა დროშა უჭირავს. ციციშვილის აღმართს რომ ასცდნენ, კვაჭის დარიგებით ბესომ ყვირილი დაიწყო:

— მოქალაქენო! მოგროვდით!.. მომყევით!.. დავუხვდეთ!.. ახალ მთავრობას მივეხალმოთ!

ჯგუფებად თაემოყრილი ხალხი, დაშინებული და დაბნეული, ნელ-ნელა კვაჭის ავტოს გაჰყვა. ავტო ნაბიჯით მიდის. ხალხი თანდათან ემატება. ნავთლულის მხრით მოსჩანს ცხენოსანთა მზვერავი რაზმი და წითელი ალამი. ის ალამი და კვაჭის უუზარმაზარი დროშა ერთმანეთს უახლოვდებიან.

— ამხანაგო! — ეკითხება კვაჭი რაზმის თავს: — ჩვენ დელეგატები ვართ. გვინდა მივესალმოთ ახალ მთავრობას, ჯარის სარდალს და შტაბს. გვითხარით, სად არიან?

— მთავრობისა არაფერი ვიცი, შტაბი უკან მომდევს.

— ხალხო, დაირაზმეთ! — ბრძანებლობს კვაჭი: — აქეთ მოიტათ პურ-შარილი! ჰამერებო, წინ წამოიწიეთ!.. ვაჭრებო, თქვენ აქეთ დადეკით... მეკურტენო, ცოტა იქით მიიწიეთ. ბესო, მეიტა ეგ დროშა! აბა, მოდიან. ურა-ა-ა-ა!!!

— ურა-ა-ა! ურა-ა-ა! — ისმის შიშნაჭამი ყვირილი.

— ამხანაგებო! — ჰქონდა ავტოზე შემდგარი კვაჭი: — მშვიდობაში. თქვენი მოსვლა. უკანონობით და შფოთით დატანჯული ქართველი პროლეტარიატი სამი წელიწადი ელოდებოდა მაგ წითელ დროშას, რომელიც ჩვენში დღევანდელ დღიდან დამყარებს მშრომელთა ბატონობას, ეროვნულ თავისუფლებას, სამართალს და მშვიდობას. მას მოაქვს მიწა გლეხისთვის, ძალაუფლება მუშისთვის და ძმობა ყველასთვის. სოციალ-მოლაპატენი და კაციჭამია შოვინისტები წავიდნენ და ალარ დაბრუნდებიან. მობრძანდით, ამხანაგებო! მიიღეთ ჩვენგან ძმური სალამი და პურ-მარილი. თქვენი სტუმრობა და ჩვენი დახვედრა. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, ურა-ა-ა-ა!!!

ერთხელ კიდევ იხუვლეს ურა, ერთხელ კიდევ ჰკრეს ცას ქუდები და ქალაქისკენ მობრუნდნენ. რამდენიმე დღეს კვაჭი ავტოს

დააგრიალებდა. ძველის-ძველი მეგობრები და ნაცნობები გაიხსენა და ორც უცნობებს მოერიდა. ახალმოსულებს ხან სადეურზე დაუხვდებოდა, ხან მათთვის ბინას ექვებდა, ხან ავეჯს შოულობდა, ხან საღილ-ვახშებს აწყობდა და წვრილმანებსაც კადრულობდა.

კვაჭის სული კბილით ეჭირა. ნეტა არავინ გაიგოს, ან არავინ გაიხსენს კვაჭის საქმენი საგმირონი, „გაიმასქნებულნი“ წითელ რუსეთში! შორეულ წარსულისა კვაჭის არ ეშინიან, რადგან იგი „საქმიანობის“ ფარდით და თებერვლის გმირობით არის გადაფარებული. ფრთხილად, კვაჭი! ფრთხილად, თორებ ხუმრობის დრო არ არის! შენი თავი კიტრის ფასადაც არა ღირს. ქუდმოგლეჯილი ნუ დარბიხარ, ყველას თვალში ნუ ეჩვენები, ქვეყანას შენის სახელით ნუ აყრუებ, თორებ ინანებ!

— მართალი ხარ, ბესო, მართალი! — უთხრა ბესოს კვაჭიმ რამდენიმე დღის შემდეგ: — ჩრდილში უნდა შევიდე და გავჩიმდე, თორებ ზარს მომდებენ. ჩუმად ვიმუშავოთ, თავები კისრებზე შევინახოთ და ქონი დავიგროვოთ. ის, ეს არის ეხლანდელი ჩვენი პროგრამა.

კვაჭიმ ჩუმად წაიმუშავა და რამდენიმე დღის შემდეგ წინაღდელ წარწერას ახალი წარწერა მიუმატა: „ხორცი წითელი ჯარისთვის“.

თავისს ნაცნობებში ორი წითელი ხელისუფალი აირჩია და თავისს გვერდით ჩაისახლა. ყოველ შემთხვევისთვის ორიოდე პაწაწა კომისიაშიც ჩაეწერა, ორიოდე პაწაწა მანდატი ჩაიდო ჯიბები და დროებით დამშვიდდა. პავლოვი ტფილისს მოერიდა: თუშეთში წავიდა და კვაჭის მატყლს დაჯდა. ბესო შიქია ერთ კომისარიატში შეძრა და სამეურნეო ნაწილის გამგებლობა იტვირთა.

ორიოდე დღეში ქალაქის იერი და მაჯისცემა გამოიცვალა. მუშები ხან მუშაობდნენ, ხან წითელ დროშებით დადიოდნენ; მოლობარავენი ლაპარაკობდნენ, მეეზოვენი ქუჩებს ჰვეიდნენ, მეეტლენი ეტლებს დააგრიალებდნენ, შოფერები გიუებივით დაპქროდნენ, ქალაქს საყვირით აყრუებდნენ და დაყრუებულებს არხეინად სტყლეტდნენ; ასიოდე სახლი ახალ კანცელარიებით გაიტენა, ტფილისი ახალ მოსულებით გაძლა და ყელამდის გაიგოს. ქალაქი უუზარმაზარს, აშლილ სკას დაემსგავსა, სადაც გაშლილი იყო უთავებოლო სუფრა, ხოლო ფუტკრები სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ კარგი ალაგები ეშოვნათ და მყუდროდ დამსხდარიყვნენ. ყველგან ახალი ხალხი გაჩნდა. სარდაფელი ზევით მიცოცავდნენ, ხოლო ზემოურნი ქვეით ჩადი-

ოდნენ. რაც ქალაქში ლუქი მოიპოვებოდა, მაღაზიების, საწყობებისა და გაქცეულთა ბინების კარტებზე დაიხარჯა. გრავიორები და-დნენ და დაილივნენ ახალ შტამპების და ბეჭდების გაკეთებით, მე-კურტნენი, ცხენები და ხარ-კამეჩებიც დაიქანცნენ ბინებიდან ბი-ნებში ავეჯეულობის ზიდვით. უთვალავი აღმშერი და გადამშერი საწყობებსა და მაღაზიებში დაფუსტუსებდნენ და ცხვირდაშვე-ბულ და ცრემლმორეულ პატრონის თვალწინ იმის საქონელს სთვლიდნენ და იბარებდნენ. დიდი სახლები ქალაქის და მუშების ხელში გადადიოდნენ. აღრიცხვას დასასრული აღარა ჰქონდა. უა-რავ ხალხს გაფაციცებით შეჰქონდა აღრიცხვის დავთრებში ქალაქში დაგროვილი ქალალდი, წიგნები, მანქანები; ნავთი, შაქარი, ფქვილი, მავთული, რინიულობა, ხელოსნები, ექიმები, ინჟენერები, ცხენები, ძროხები, ფრინველი და ათასი წვრილმანი და მსხვილმანი საქონელი, ნივთი, ოთხფეხი და ორფეხი.

კვაჭი ღვთის კრავივით გატვრინდა და გაინაბა. მისი სახელი, სახლი და ქონება თითქოს ყველას დაავიწყდა. „წითელ საქართვე-ლოს მეგობართა კავშირის“ პლაკატი ჯერ-ჯერობით სჭრიდა და კვაჭის ბინის კარტეში მფარველ ანგელოზივით იდგა. „ხორ-ცი წითელ ჯარისთვის“ სილიბისტროს წყალობით და მხნეობით ისევ ხორცობდა. მაგრამ ერთხელ „ხორცის“ თავმჯდომარე კვაჭი ყა-ზარმაში დაიბარეს და მისი დაკლული საქონელი აჩვენეს:

- ეს რა არის, ხარია თუ კამეჩი?
- ხარია, თუმცა...
- თუმცა კამეჩია, არა? აბა, ოქმი!

რას ჩააცივდით კვაჭის? დაანებეთ თავი და თვითონაც თავს დაგანებებთ! ჯარიმა? კეთილი, ინებეთ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ! კვაჭის მაგივრად სხვა მოსხებნეთ. ის მოგიტანთ კამეჩის მაგივრად ძროხის და ძროხის მაგივრად ბატკანს, როგორ არა!

და იმ დღეს სხარტი კვაჭი ერთხელ კიდევ გამოძრა ყულ-ფიდან.

გავიდა ხანი. კვაჭის სახელი მთელმა ქვეყანამ დაივიწყა. მაგრამ ერთხელ ისევ გაიხსენეს. ვილაც მუშები სახლში ეწვიონენ და მო-კლედ მოუქრეს:

— მუნიციპალიზაციის წესით ამიერიდან ეს სახლი ქალაქს ექუთვნის. რამდენი სცხოვრობთ ამ სართულში? ცხრანი? ცხრა ოთახში ცხრა სული? არ გეკუთვნით. უნდა შემოკლდეთ.

ბინა გაზომეს, იანგარიშეს, ცხრა სულს ხუთი ოთახი მიუჩინეს და ზედაც დაყოლეს:

— ეგეც ბევრია ბურჯუებისთვის. გეყოთ, რაც ჩვენი სისხლი სწუწნეთ!

— იყოს ნება თქვენი. დიდი მაღლობელი, ამხანაგებო! — თანა-ხმად მორჩილების ახალ მოძღვრებისა, თავმდაბლად ჩაიკავლა კვაჭიმ, ხოლო გულში ქბილები დააკრაჭუნა და დაიღრინა: — ჰო, ავახაკებო! ყაჩაღებო! ღმერთმა ერთის დღით მაინც მომცეს ძალა, მე გაჩვენებთ მაშინ მაღლობას!

იმავ ხანებში პავლოვი ქალაქში შემოიპარა და კვაჭის უთხრა:

— მორჩი! გათავდა! მატყლი წაიღეს.

კვაჭიმ ეს ამბავი ჯერ ვერც კი მოინელა და ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, რომ პავლოვს ვილაც მუშები მოჰყვნენ და რიხით განაცხადეს:

— ამ სახლში მუშები უნდა ჩასახლდნენ. ხვალ ამ დროს დასკალეთ!

ლმერთო დიდებულო! ეს რა რისხვა დაატყდა კვაჭის?! ხვალ ამ დროს... მერე სად, სად უნდა გადავიდეს კვაჭი?

— ძალლის ხევში, იქ დაგიმზადეთ კოხტა ბინა.

იმ ყრიალ სოროში? იმ ქოხებში? მართლაც რომ ძალლის ხევია! მერე, რამდენ ოთას აძლევენ ცხრა სულს?

— სამი ოთახი გეყოფაა. ეგეც ბევრია თქვენთვის. გეყოთ, რაც ჩვენი სისხლი სწუწნეთ! ავეჯს ხელი არ ახლოთ, თორემ...

ეს კი მეტის მეტია! სახლიც, ბინაც და მატყლიც! ბარემ ნიფხავიც გაეხადნათ კვაჭისთვის, ეს ღა აკლდა კვაჭინტირაძეს.

— მე ორი მანდატი მაქვს, კომისიებში ვმუშაობ.

— შეინახეთ ეგ მანდატები. მაგით თვალებს ვერ ავეიხვევთ!

ლმერთო ჩემო, ეს რა დრო დადგა! მანდატებსაც ძალა დაეკარგათ! არა, ამას კი ვერ მოითმენს კვაჭი! ოოჭ, ხრხიანც! როგორი გვარიც გქონია, სულიც ასეთი გექნება! გაიძევეროვ! ჰარამზადავ! ჯიბგირო! იქნება ეხლა კვაჭის აფლით პარიზში ან სტამბოლში ქვიფობა? შხამად ის ფული, შხამად!

მართლა! ეს ბინა ხომ „შითელ საქართველოს მეცნართა კავშირს“ ეკუთვნის! კინალიმ არ დაავიწყდა კვაჭიკოს ეს მსხვილმანი!

და ბესოს ნაჯღაბნი დავთრები და ოქმები ფარივით აიფარა, თანაც დაუმატა:

— მე გამგეობის თავმჯდომარე გახლავართ. აი, სილიბისტრო კვაჭანტირაძე, აი, ბესარიონ შიქია. ესენი გამგეობის წევრები არიან. ჩვენ საბჭოთა მთავრობას განუზომელი სარგებლობა მოვუტანეთ, მაგალითად...

ერთმა მუშამ კვაჭის შიდრევანი დაუკეტა:

— მომეცით ეგ ქალალდები. იქ გასინჯავენ.

ეს კი მართლა მეტის მეტი მოუფიდათ! კვაჭი ამას ვერ მოინელებს! კვაჭი დატრიალდება, იჩივლებს, იყვირებს და თავისას გაიტანს! ძალის ხევში! ბნელ ორმოში, საღაც მხოლოდ ქათმები, ბატები, ცხენები, ძროხები და ლორები ბინადრობება! ეს კიდევ არაფერი. კვაჭი იქიდან მეორე დღესვე იმოძერება, მაგრამ ათასი თუმნის ავეჯი? ეს რაღა ღვთის წყრომაა! ეს რაღა უბედურებაა! არა! კვაჭი ეხლავე იჩივლებს, იყვირებს, მთელ ქალაქს შესრავს! ბესო, შენ ჩიორაძესთან წადი და იქაურობა გადაატრიალე! სილიბისტრო, ხომ იცნობ ქუთაისელ მეავაძეს? აბა, ეხლავე მოსძებნე და ძველი სიკეთე მოაგონე. პუპი, შენ შირაძის ცოლი ძაბული ინახულე და ააშუშავე. მეც დაეტრიალდები. აბა, ჩქარა! გაანძრიერ ხელი! ნუ იცოხნებით, თორემ ყველანი ქუჩაში დარჩებით!

საღამოზე ყველანი დაიმედებული დაბრუნდნენ. ყველამ მოიტანა თითო მრისხანე ბარათი, დაიმედება და დახმარების დაპირება. მეორე დღეს კვაჭის ბინას ხელმეორედ მოადგნენ.

— აბა, გამობრძანდით!

ვერ მოგართვით! აი, კომისარის წერილი!.. აი, კომუნისტის ბარათი!.. აი, ბოლშევიკის ბრძანება! ვერ მოგართვით! კვაჭიმ გუშინ ვე გაიკეთა საქმე! აბა, თქვენ თვითონვე გაბრძანდით აქედან!

ის ბარათები და წერილები კვაჭის თავზე გადააფხრიწეს და ყველანი პანტა-პუნტით ქუჩაში გამორეკეს, თან მცირეოდენი ხაბაჭუბაჟაკიც მიაყოლეს. ის ხაბაჟი საბარგო ავტოში ჩაჰყარეს და მიაძახეს:

— აბა, ძალის ხევისკენ!

ბინის გარსშემო ბრძოლა გათავდა. კვაჭიმ წააგო! კვაჭი სასტიკად დამარცხდა! მაგრამ კვაჭის უფრო დიდი ლოდი აწევს გულზე. და ის ლოდი კვაჭიმ ეხლავე უნდა მოიხსნას, თორემ დაიღუპა კვაჭი, სამუდამოდ დაიღუპა! არა, ახირების ხერხი ვეღარ გასჭრის. კვაჭიმ უნდა სხვა იარაღი ამოილოს ქარქაშიდან.

და ამოილო. უცებ ამაყი ქედი მოიდრიკა, ბამბასავით მოლბა და მელასავით თავი მოიკატუნა:

— კეთილი, ამხანაგებო, კეთილი... იყოს ნება თქვენი. მე დისციპლინის კაცი ვარ. მუშების სურვილი ჩემთვის უუზენაესი კანონია; პროლეტარიატის დიქტატურაც მრწამს, მაგრამ... ამ კაცს, ამ უბედურ მუშას რაღას ერჩით? — და განგებ გაიანჩურებულ და გა-

საწყლებულ პავლოვზე მიუთითა, რომელიც კუთხეში ატუზული იდგა. ყველამ პავლოვს გადაჰქმდეს. ერთმა ჰკითხა:

— თქვენ ვიღა ხართ? აქ რა გინდათ?

— მე? მე... მე კავშირის დარაჯი ვარ.

— დიალ, ეს კაცი ჩვენი კავშირის დარაჯია! — დაუმოწმა კვაჭიში: — ძალიან გთხოვთ, ამხანაგო, აი, ეს ოთახი დაუთმოთ კავშირს. იგი დანარჩენ ბინას მოწყვეტილია. ჩვენ და თქვენ ერთმანეთს არ დავუშლით.

— თუმცა ძალიან კარგი ოთახია, მაგრამ....

— დიალ... კარგი ოთახია... ჩემი კაბინეტია...

— მაგრამ ავეჯს წაგარმევთ.

— იყოს ნება თქვენი, ოლონდ... — დაელრიჯა კვაჭი: — ეს პაწაწა ხალიჩა მაპატიეთ..., აი, ამ კედელზე რომ ჰკიდია... არ შეიძლება? ამის სანაცვლოდ ორ ასეთ ხალიჩას გიყიდით. ნუ გიკვირთ, ეს ხალიჩა ჩემი.... ჩემი დანიშნულის სახსოვარია. ამის მეტი იმ უბედურისგან არაფერი შეგრჩა... ნაადრევად მოკვდა საწყალი ამ ნოხზე. დიალ, ამ ნოხზე მომიკვდა. ჩემი სათხოვარი ეს არის: ორი დღით დასტოვეთ ეს ნოხი ამ კედელზე. თუ ხვალ ან ზეგ სწორედ სეთი, ან ამაზე უკეთესი ნოხი არ მოგართვათ, ეს ნოხიც წაიღეთ, ეს ოთახიც და მეც შემარცხვინეთ.

• — ეგ ადგილია. მაშ ეს ხალიჩაც სიაში შევიტანოთ. თქვენ კი, ამხანაგო, — უთხრა მობუზულ პავლოვს: — ამ ოთახში დარჩით. აბა, გავათავოთ! ეხლა აქედან გაბრძანდით და თქვენი ფალას-ფულასიც გაიტანეთ.

და იმავე დღეს კვაჭი კვაჭანტირაძე და მისი ჯალაბა-ჯულაბი ისეთს მყრალ სოროში შეაგდეს, რომ პუპის გული წაუვიდა, ხოლო ნოტიო ისტერიულად აკიცდა.

აქა ამბავი კვაჭის ერთგულ სამსახურისა და ქალბატონ ნეპის მოშველებისა.

კვაჭიმ მეორე დღესვე თავისი სასახლის მდგმურებს უკეთესი ხალიჩა მიუტანა, ხოლო კედლის ხალიჩა ისევ კედელზე დასტოვა. უთხრას კვაჭიმ პავლოვს, რომ იმ ხალიჩის უკან, კედელში, რკინის სალაროა ჩატანილი? უთხრას, რომ იმ სალაროში ინახება კვაჭის განძი? არა, კვაჭი არაფერს ეტყვის. სიფრთხილეს თავი არ ასტკივა. ვინ იცის, იქნება პავლეს სულმა წასძლიოს! არა, არა! კვაჭი

ჯერ-ჯერობით გაჩუმდება, ხოლო ხშირად იცლის ამ ოთახში და განძს უთვალთვალებს.

დარბის ბესო ბინების აგენტებთან. დარბის და კოხტა ბინის საქმეს კოხტად „აიმასქნებს.“ კვაჭი კბილებს აკრაპუნებს, სილი-ბისტრო ბურტყუნებს, პუპი ცხარე ცრემლით იცრემლება, ხოლო ნოტიო შავი წყველით იმუქრება. ბესო თავისითვის ადვილად იშოგნის ოთახს, მაგრამ კვაჭი... კვაჭი რომ მოსამსახურე იყოს, ყველა-ფერი თითქმის უფასოდ მიეცემა: ბინაც, წყალიც, შუქიც, კართო-ფილიც, შაქარიც, პურიც და ძეხვიც. ეხლა კი კვაჭი. თავისუფალი კაცია, მაშასადამე, იგი კანონის გარეშე სდგას, ესე იგი მას ყოვე-ლივე უფლება აყრილი აქვს.

ნუ იღრინები, კვაჭი! შენ რუსეთში მოინათლე წითელი წყლით და იქ გამოსცადე ახალი ქვეყანა. მაშ რა გაკვირვებს? აღმფოთების მაგივრად გარემოებას შეეგუე, ლანძლვის ნაცვლად ახალი შეი-თვისე და შენც შეეთვისე, მორჩი და გათავდა! აბა, დატრიიალდი! შესძერი და გამოსძვერი! გაიცინე, როდესაც გეტირება! იტირე, როცა გეტინება! აბა, შუბლი გაიშალე, ტუჩებზე ლიმი დაიბეჭდე, ენაზე შაქარი დაიყარე, კისერი დაიღუნე და უნცროსი მდივნის უფ-როსი თანაშემწის უდელში შეები!

ორი დღის შემდეგ კვაჭი არჩევანში იყო. არ იცოდა, რომე-ლი ადგილი მიეღო,—პირველი, მეორე, თუ მესუთე. ბოლოს სთქვა:

— ვიცნობ, რა შეილებიც არიან. დიდ ალაგს მოგაჩეჩებენ და ხუთ ჯაშუშს მოგიყენებენ. ჩემისთანა პატიოსანი კაცი ასეთ ალაგ-ზე, ძალიან რომ გავჭიმო, ორ თვესაც ვერ გასძლებს. მერე ჩეკა და... გათავდა! არა, ძამიავ, არა! ვერ გამაბრიყვებთ. მე პაწია კა-ცი ვარ და პაწია ალაგი მირჩევნია.

და პაწია კვაჭიკომ მართლა პაწია ალაგი აირჩია: ერთ მი-ყრუებულ უბნის მილიციაში ჩაჯდა და სრულწლოვან და სრულუფ-ლებიან მოქალაქედ გადიქცა. რამდენიმე დღის შემდეგ კვაჭი ისეთ ბინაში გადასახლდა, რომ ისეთს ბინას არც წინათ დაიწუნებდა.

ზანტად, ფრთხილად და უგემურად მსახურობს კვაჭი კვაჭან-ტირაძე. ლბილი, თავაზიანი და გულეტილი კომისარია. უფლების საზღვარს არ გადასცდება, აურზაურს ერთდება, ჩრდილში იმაღლება და თვისივე ალვირი მაგრად უჭირავს ხელში. ფრთხილობს კვაჭი კვაჭანტირაძე. ფეხის თითებზე დადის, ჩურჩულით ლაპარაკობს და თოვზე ასულ ჯამბაზივით იკლაპნება. ორი თვალის ნაცვლად ოცი თვალი გამოიბა და ორი ყურის მაგივრად ათი წყვილი მიიბა. მისი ფხიზელი გონება საათივით მუშაობს. მხოლოდ ზოგჯერ, როცა გა-

უფრთხილებელ ნადირს წყვდიადში მოასწრობს, ინდოელ მონადირე-სავით ისკუპებს და იმ ნადირს ისე კოხტად გამყვლეფს, რომ ის ნა-დირი დაწრიპინებასაც ვერ მოასწრობს და მონადირის ხელსაც კი ვერ დაინახავს. მაგრამ ირგვლივ მხოლოდ წვრილფეხა ნადირი მოს-ჩანს. ჭიშკინაზე კვაჭი ხელს არ გაისცრის, ორაგული კი ძალიან იშვიათად პხვდება კვაჭის ბადეს.

— ფრთხილად, ბესო, ფრთხილად! — ხშირად ეუბნება კვაჭი თავისს მეგობარს, რომელიც ყველაფერს ასწრობს: „ზავხოზობას,“ შუამავლობას და ათასს წვრილმანსაც და მსხვილმანსაც.

„მეგობართა კავშირი“ აღმარ არსებობს. კვაჭიმ მიიღო სათანა-დო დადგენილება, მაგრამ იმის სასახლეში არაფერი იციან. პავლო-ვი კვლავ სდარაჯობს სოლოლაქში კავშირის ოთახს და ქვაჭის განძს. კვაჭიმ რამდენჯერმე მოინდომა მისი გადმოტანა, მაგრამ ვერ გაჰპედა. სოქვა: ამ ხალხს კაცი არ გადურჩება გაუჩხრევი. ერთხელ მეც მომიგონებენ და გამატიტყლებენ. არა, ისევ იქ იღოს, იქ ვე-რავინ მიაგნებსო. დროგამოშვებით ფრთხილი ბესო ეუბნებოდა:

— კვაჭი, უცხოეთში წავიდეთ, თორემ გაგვაბავენ სადმე.

— მეიცა, ნუ ჩქარობ. რუსეთში რომ თრიოდე გრიში ვიშო-ვეთ, მაშინაც მეუბნებოდი, ჩქარა წავიდეთო. მაგრამ მე არ დაგი-ჯერე, ერთი წელიწადი კიდევ დავრჩი და არც წავაგე.

— როგორ არ წააგე, კვაჭი! ყოლიფერი გზაში წაგვართვეს.

— ეგ უბრალო შემთხვევა. ის განძი, სოლოლაქში რომ გვაქვს, საცხოვრებლად გვეყოფა, მაგრამ ცხოვრებაც არის და ცხო-ვრებაც. ორიოდე საქმე გვაქვს დაწყებული. გავათავოთ და... მერე ვნახოთ.

ორიოდე საქმეს ახალი ოთხიოდე საქმე მოსდევდა, კვაჭი კი ქვლავ იმეორებდა:

— ესეც გავათავოთ... ისიც გავაიმასქნათ... დავასრულოთ... გავაკეთოთ.

ორი თვე ძლიერ გაუძლო კვაჭიმ კომისრობას. ერთხელ იმის საქმიანობას დაპსუნეს, რაღაც სუნი აიღეს და უთხრეს:

— შემოკლდით!

კვაჭიმ მეორე ადგილი იშოვნა — ხაზინასთან გადასახლდა. ძლიერ გავიდა ერთი თვე.

— შეამცირეთ!

კვაჭიმ ქარხნის დირექტორობას მოჰკიდა ხელი.

— გააგდეთ!

კვაჭი დიდ საწყობებს დააჯდა.

— დაითხოვეთ!

მსახურობს კვაჭი და კვირაში ერთს ან ორ უუზარმაზარ ან-
კეტს სწერს. ეკითხებიან!

„თქვენი მამის წინანდელი ხელობა? — სოფლის მუშა. — სწერს
კვაჭი.

„წოდება? — გლეხი.

„თქვენი რევოლუციური წარსული? — კვაჭი ერთ გვერდს ივსებს.

„სად იყავით 1917 წ. თებერვალში? — რევოლუციის შუაგულში.

„ოქტომბერში? — პეტერბურგში, წითლების გვერდით.

„რომელ პარტიაში მუშაობდით? — არც ერთში, თუმცა ყველას
ვებმარებოდი.

„ეხლა რომელ პარტიას ეკუთხნით? — არც ერთს.

„რომელ პარტიას თანაუგრძნობთ? — მხოლოდ და მხოლოდ
კომუნისტებს.

სწერს კვაჭი ერთგულების ანკეტებს და წერილებს, მაგრამ
ისევ ასეთ პასუხს აძლევენ:

— გააგდეთ!.. დაითხოვეთ!.. ახლოს აღარ მიიკაროთ!..

რა ამბავია? რა მოხდა? რაშია საქმე? რას ჩააცივდით კვაჭი
კვაჭანტირაძეს! რად დასდევთ მეძებარივით! რად ერეკებით ყველ-
გან ჭირიან ძალლივით? თქვენს მეტს ამ ქვეყნად ცხოვრება აღარა-
ვის უნდა? პირში მაინც უთხარით კვაჭის დევნის მიზეზი!
კვაჭი თავადია? ტუულია! აზნაურია? ჭორია! ვის გაუგია
კვაჭანტირაძის თავადობა ან აზნაურობა? კვაჭი გლეხია, ნამ-
დვილი გლეხი! აშორდია? ავეც ჭორია! თქვენვე იანგარიშეთ, მაშინ
კვაჭი ხუთის წლისაც არ იყო. მეფის ნაბოძევი თავადობა? არც ეს
არის მართალი. რუსეთში ყოველ ქართველს „ქნიაზს“ ეძახიან, კვა-
ჭისაც ამიტომ მიაკერეს თავადის სახელი. კამერ-იუნკრობა? რასპუ-
ტინის მეგობრობა? უმაღლურნო! განა კვაჭიმ ათჯერ არ მოიხადა უს
ცოდვა? განა კვაჭიმ ცოტა იმშავა რევოლუციისთვის? საბუთები?
მოწმე? კეთილი და პატიოსანი. კვაჭი თუნდ ათასს საბუთს წარმო-
ადგენს და დაამტკიცებს, რომ...

ფრთხილად, კვაჭი, ფრთხილად! დაანებე თავი საბუთებს, თო-
რემ, თუ გამოძიება დააწყებინე, სადაც ხუთის გაიგებენ, იქ მეექვსე-
საც გამოსხირეკენ; თუ ერთ ოთახში შეიხედეს, მეორეში და მესა-
მეშიც შეკყოფენ თავს; თუ ტანთ გაგხადეს, პერანგსაც გაგაძრობენ
და ისე გაგატიტვლებენ, რომ ერთი წერტილიც არ დაგრჩება და-
მალული. დაანებე თავი წარსულს, კვაჭი! ნუ გაულებ გულს, ნუ გა-
იხდი ტანისამოსს, ნუ მისძრები ბედის ყულფში, თორემ იგი მეა-

თეჯერ ალარ გამოგაძვრენს და კისერს ისე შემოგიჭერს, რომ შენი კვაჭობაც ველარ გიშველის.

არა, არა! დაანებეთ თავი კვაჭის! ალარ უნდა მას არც თქვენი სამსახური, არც თქვენი მაღლობა, არც კომპარტიის კანდიდატობა და არც რევოლუციონერის სახელი. კვაჭი მოკვდა, კვაჭი ალარ არსებობს! მოსებთ მისი საქმე! დახიერ მისი განცხადებანი! ბუხარს შეუკეთეთ ეგ ქალალდები! იი, ეგრე... სწორედ ეგრე... მაღლობელი, დიდი მაღლობელი. ეხლა სამუდამოდ დაივიწყეთ კვაჭის სახელი! მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

გამარჯვება, ქალბატონო ნეპ! მშვიდობა შენი მოსვლა! კურთხულ იყოს შენი დაბადების დღე და მარჯვენა შენის მომგონისა! ძლიერ არ განიბნა შავი წყვდიადი! ძლიერ არ გამოიდარა და გამოანათა! მობრძანდით, ქალბატონო ნეპ, მობრძანდით! გაალეთ მაღაზიები! დაამტვრიეთ დუქნების დარაბები! დააარსეთ კლუბები, ისე-ირნეთ დილით დილამდის და იქეიფეთ სალამოთ სალამომდის! და-ატრიალეთ რულეტი, გაშალეთ ცხრა და ბანჩიკი! იყიდეთ!.. გაძყიდეთ!.. წააგეთ!.. მოიგეთ!.. დალიეთ, სჭამეთ! იცოცხლეთ და სხვაც აცოცხლეთ!

კვაჭი კვაჭანტირაძე! მოგილოცავ აღდგომას! დაგიბრუნდა წარსული დრო. კვლავ გაგელო საკნის კარები. აბა, გადი და გაინავარდე! კვლავ აჩვენე ბედოვლათებს შენი ხერხი და კბილები, შენი რენის კუნთები და მარდი ფეხები! გაშალე მძლავრი მქლავი, აი-დულე სპეტაკი ტვინი, გააბი აბრეშუმის ძაფები, დააგე ოქროს ხაფუანგები და გადააგდე ჩიქორათული ბადე! აბა, დატრიალდი, გადახტი, გაინავარდე! აბა, კოხტად! მარდად! ხელმარჯვედ! მიდი! და-ჰკარ!

და კვაჭი კვაჭანტირაძე ისე ტრიალებს და მუშაობს, რომ იმისს ნაცეხარს და ნახელარს ბოლის და მტევერის კორიანტელი ას-დის. კვლავ გაცოცხლდა „სიბუნიონი“, კვლავ გაიხსნა ხუთიოდე განყოფილება, კვლავ დაუბრუნდა კვაჭის მოსამსახურეთა ლაშქარი.

— პავლე, ბაქოში გადასახლდი! იქ არ გიცნობენ. იყიდე იქაური მატყლი, ნაეთი, ხიზილალი, პარკი და ბაბბა!.. სილიბისტრო! გადადი პავლოვის ოთახში და ზედ მიეკარი კვაჭის განძს, რომელ-საც ხშირად მიეცემის და მიემატების!.. კოლია, შენ ბათომში წადი. ის არის ეხლა ნამდვილი ოქროს ორმო. აბა, დატრიალდით! მოუ-სვით! მოხვეტეთ! მარდად! სწრაფად! ყოჩაღად!

— ჯალილ, ჩემო ჯალილ! მაღლობა ღმერთს, რომ დაბრუნდი! მოდი, მოდი ჩაგიხუტო!

— ალლაპ სანა შუქურ ვერსინ, კოჩი-ბეი! ზალიან კარგია, რომ სოსხალი გნახე, ზალიან! ზალიან!

— სად იყავი, ჯალილ, სად?

— იქით ვიხავი. სოტა ფული ვიშოვნე.

— სად იქით, ჯალილ?

— იქით... სოტა სტამბული ვნახე, სოტა სხვაგანაც დავიარე. ალლაპ ილ ალლაპ! სოსხალი ხარ, კნიაზ? შუქურ ალლაპა, შუქურ ალლაპა!

— ჯალილ, გინდა კიდევ ჩემი ამხანაგობა?

— ჯალილა შენი ყარდაშია. ზალიან ზნელი იყო, ჯალილა შენგან რომ სავიდა. ჩემი ყარდაში ორი სელისადი არ მინახავს. სხობს ვეითხე. სთქეეს, ზალიან კარგად არისო. მეს სამოვედი.

— მაშ მშეიდობა იყოს შენი დაბრუნება, ჯალილ! მოიტა ხელი! აბა, ეხლა კლუბში წავიდეთ. მომყევი!

კვაჭის დღე და ღამეში ასი საათი და ამდენივე საქმე აქვს, ამიტომ სიარულის მაგივრად დაქქრის და მუშაობის მაგივრად ციბრუტივით ტრიალებს. ისე ცხოვრობს კვაჭანტირაძე, თითქო ერთი წელიწადი ერთ დღედ და დღე კი ერთ წამად გადაექცა.

კვაჭი ისე როგორ დაიძინებს, თუ რულეტს ერთი საათით მაინც არ მიუჯდეს, თუ რამდენჯერმე რეა და ცხრა არ გადაშალოს, თუ მაძლრად არ ივახშმოს, ზედ ლიკიორი არ დააყოლოს და ვინმე ქერას ან შავვერემანს ნაზი ფერდები არ დაუმსხვრიოს! დაეკარგა სილიბისტროს შვილს ფულის და ქალების ანგარიში. ალარ იცის კვაჭიმ, ვის ან ვისგან რამდენი ერგება. ბესო ბუხპალტერიას თავით ატარებს. დაწერილი დავთრები ჯერ აირივნენ, მერე მტვრით დაითვარნენ და თაგვების სახრავად გადიქცნენ. ყოველ დღე ათიოდე დეპეშა მოსლის კვაჭის: „დოლლარი გაიაფდა.... სტერლინგი გაძირდა.... შაქარმა აიწია... თამბაქომ დაიწია...“

და კვაჭის კანტორაში მთელი დღე შერბიან და გამორბიან, ითვლიან და მიუთვლიან, ჰყიდიან და ყიდულობენ. კვაჭი ძლიეს ასწრებს ბრძანების გაცემას:

— იყიდეთ!.. გაჰყიდეთ!.. არ მინდა!.. მოიტა!.. დაახურდავთ!.. დათვალეთ!..

დღილით კვაჭის სალარო გატენილია, ერთი საათის შემდეგ შიგ ერთი მილიარდი მანეთი ან ერთი დოლლარიც არ მოიპოვება, ხოლო ნახევარი საათის შემდეგ ის ოთახი ქერამდის საესეა ბონებით გატენილ ტომრებით. იმ ტომრებს მოსამსახურენი ესევიან და ფულს



დასტობით სთვლიან, მერე ურმებზე აშენებენ და ერთ პაწაწა ჩეკზე სცვლიან.

კვაჭი საქონელს ისე ჰყიდულობს და ჰყიდის, რომ მას თვალი-
თაც არ დაპხედავს. ან რა საჭიროა? ნეპმა აღადგინა ძველი წესი,
ხელმარჯვე და ბარაქიანი. მართალია, ისე დღე არა გავა, რომ კვა-
ჭის კანტორაში კვირილი და დავთ არ ასტყდეს. შარიანი ხალხი კი-
დევ ბევრი დარჩენილა. ვინ იცის, რას არ ედავებიან კვაჭის! ხან
მისი ჩეკი საეჭვოა, ხან იმის ტომრებს რამდენიმე მილიარდი დააკლ-
და, ხან მისი შექარი დასველებული გამოდგა, ხან მისი ქსოვილები
დამპალი აღმოჩნდა. კვაჭი გემში არ იყო, კვაჭი არც ვაგონში შემ-
ძრალა; მას ბამბისთვის წყალი არ დაუსხავს, არც მატყლში ჩაუ-
ტანებია კენჭები, არც ფული ამოუძრენია ტომრებიდან და არცის
იცის, ყალბია თუ არა ბრტიშ ბანკის ჩეკი! გაგზავნეთ ეგ ჩეკი
ლონდონში და გაიგებთ. თუ ყალბი გამოდგა, ჯონ რაულინსონი
იმსახურეთ დანარჩენებმა კი, თუ გნებავთ, უჩივლეთ კვაჭის! მიბრ-
ძანდით სასამართლოში! თუნდ ერთი წელიწადი უცადეთ საქმის გა-
თავებას და თუნდ ორმოცი! კარგი, გაათავეთ! ნუ ჰყირით და ნუ
ილანძლებით, თორებ... ჯალილ! გააცილე ეს ბატონი კარებამდის!
იმუქრებით კიდევაც? ტყუილად იხარჯებით. თქვენ რომ იცოდეთ
კვაჭის ჯიბის ძალა და გაელენა, საქმეს არ მოსცდებოდით.

რას აკეთებს კვაჭი? არაფერს და ყველაფერს. პყიდის და პყი-დულობს, რაც ხელთ მოხვდება: უცხოეთის ვალუტის, ბაქოს აქციებს, ნავთიან იდგილებს, სახელმწიფო ქაღალდებს, გაბათილებულ ობლი-გაციებს, ყოველგვარ ეკონომიურ ცნობებს და „ვნეშტორგის“ ორ-დერებს ყოველნაირ საქონლის გასატანად და მოსატანად; აგირავებს სახლებს მათი პატრონების დაუკითხავად, ზოგჯერ „პატრისუც“ პყი-დის, ზოგჯერ კიდევ ისეთს ვალდებულებას კისრულობს, რომელ-საც ისე ვერ შეასრულებს, როგორც ყაზბეგის გადაბრუნებას. მაგ-რამ ეს არაფერია! ოლონდ ბე აილოს კვაჭიმ და ის ფული დაატრი-ალოს! დანარჩენი თვითონვე მოეწყობა. კველაზე მეტად კვაჭის ტრესტები, ქარხნები და კოოპერატივები უყვარს. ფულიც იქ არის, საქონელიც და გამოუცდელი ხალხიც.

ენდობიან კვაჭის? აბა, რა საკითხავია? თუ კვაჭისაც არ ენდვნენ, მაშ ვიღის უნდა ენდვნენ?! მას უთვალავი ქონება. აქვს: სასახლე, რომელიც, ადრე თუ გვიან,—როცა წითლები წავლენ, ან თვითონვე გადადგებიან,—უყველად დაუბრუნდება; მშენიერი აგარაკი და ბალი სოხუმში, პლაზტაციები ბათომში, სხვისი საქონელი საწყობებში, ფასდაქარგული აქციები, ფასიანი ქალალდები და...

პატიოსანი სიტყვა! დიალ, კვაჭის პატიოსანი სიტყვა, რომელიც არასოდეს არც გატეხილა და არც გაბზარულა.

მაგრამ ერთხელ სადღაც რაღაც შეიცვალა. კვაჭის კანტორის მოულოდნელად მიადგნენ, გაჩხრიკეს და უამრავი ვალუტა წაიღეს. კვაჭიც წაიყვანეს და უთხრეს:

- თქვენ სპეცულაციას ეწევით.
- მე ვვაჭრობ. კანონით ნება მაქეს ვაჭრობისა.
- ეგ ვაჭრობა კი არა, სპეცულაცია გახლავთ.
- ეს არის ვაჭრობა.
- ეგ სპეცულაციაა მეთქი!

რამდენიმე საათი ოფულში იწურებოდნენ და ვაჭრობა-სპეცულაციის საზღვრის ეძებდნენ. ბოლოს, უთხრეს:

- მიბრძანდით, მაგრამ თუ მეორედ დაგიჭირეთ...
- ჩემი ფული?
- მეტებში რომ არ გვზავნით, თქვენ ამის მადლობელიც იყავით.

- მე პროტესტს ვაცხადებ!
- მაში ისევ მეტებში მიბრძანდით.
- არა, არა! ბოდიში... ბოდიში! ეხლა გავიგე განსხვავება.

უკანვე მიმაქეს ჩემი სიტყვები. ნახვამდის!

კვაჭი სახლისკენ მოდიოდა, მუშტებს ჰქომშავდა, კბილებს აკრაპუნებდა და თათრულად იგინებოდა. ერთი კვირა იმის ტუჩებს ლიმი არ მიეკარა, მისი ცხვირი იატაქს ვერ მოსწყდა და იმის ტუჩებზე შხამი ვერ გაშრა. მაგრამ კვაჭის თავს, ხელებს და ფეხებს ერთი საათითაც არ დაუსვენიათ. კვლავ თავზალუნული დარბოდა და საქმეებს მეტის სიფრთხილით „აიმასქნებდა.“

გავიდა ორიოდე კვირა. კვაჭიმ დანაკარგი შეისო, წელი გაისწორა და ჯარიმა დაივიწყა, მაგრამ სხვებმა კვაჭი არ დაივიწყეს: ერთხელ კიდევ დაავლეს კისერში ხელი და ერთხელ კიდევ გადმოუბრუნეს ჯიბე და სალარო.

- ვალუტას ახურდავებდით?
- დიალ, ვახურდავებდი.

კვაჭი იმ შენობიდან მხოლოდ ერთი თვის შემდეგ გამოვიდა, ხოლო დარდიც იქვე მოინელა და ბრაზიც იქ დასტოვა. კვლავ დაჰლუნა ბუღასებური კისერი და ისევ თავისი გშით წავიდა.

— ბესო, — ეუბნებოდა ზოგჯერ თავისს ერთგულს: — როგორც ეტყობა, აქ მუშაობა აღარ ლის. არც საქონლის გატანა შეიძლება, არც შემოტანა, არც ვალუტის ოპერაცია. ეს ჩერვონეციც ჩვენს

ჭირად შემოიღეს და დახურდავების მოგება მოგვისპეს. ახარი კანონით ტრესტებიც ახლოს აღარ გვიკარებენ და ბანკებიც კრედიტს აღარ გვაძლევენ. დღეს თუ ხელ დავიხმობით. ვინ იცის, რამდენი გაქოტრდა.

— წავიდეთ, კვაჭი, წავიდეთ მეთქი ამ ქვეყნიდან, თორემ მშივრები დავიხოცებით. აქ მოსამსახურების გარდა აღარავის ეცხოვრება.

— მოიცა, ბესო, მოიცა! დანაკარგს რომ დევიბრუნებ, მაშინ ვე წავალთ.

მაგრამ დანაკარგს დანაკარგი მოსდევდა, ჯარიმას ჯარიმა და მეტებს მეტები. კვაჭი დღითი-დღე დნებოდა. ჯერ ბაქოში მოშალა „სიბუნიონის“ კანტორა, მერე ბათომში მოკვდა ვაჭრობა, ბოლოს, თვითონ კვაჭისაც ისე წაუჭირეს მუხრუჭები და სალტები, რომ ერთხელ გამწარებულმა კვაჭიმ კანტორის კარები მიაჯახუნა და ბესოს მიუგდო:

— ხელ ან ზეგ ყველაფერი გაყიდე. მოსამსახურენიც დაითხოვე და მუშტარსაც გამოუცხადე, „სიბუნიონი“ დაკეტილია თქვა. მორჩია! გათავდა! აქ აღარც მუშაობა შეიძლება და აღარც ცხოვრება. ჯალილ, წამოდი!

და იმ დღიდან კვაჭი კვლავ თავისუფალ მოქალაქედ გადიქცა. დადის უსაქმო კვაჭი რუსთაველის ქუჩაზე. ლამეს კლუბებსა და რესტორანებში ატარებს. სვამს, არშიყობს და ქალალდს თამაშობს. სილიბისტრომ ისევ ქუთაისისკენ გაიწია. ბალახვანის ქუჩაზე თავისი ხნის სახლი იყიდა და შიგ დასახლდა. ბევრი ურჩია სილიბისტრომ კვაჭის ქუთაისში გადასახლება, მაგრამ კვაჭი ჯერ არ დაბერებულიყო, რომ ისევ დაცალიერებულ ქუთაისს დაპირუნებოდა.

ერთხელ ბესო დაღვრემილი შემოვიდა კვაჭის ოთახში და დინჯად განაცხადა:

- ეხლა კი დევილუპეთ.
- რა ამბავია, ბესო?
- პავლოვი გეიქცა.
- რას ამბობ, ბესო?
- გეიქცა მეთქი. გუშინწინ ჩაულაგებია ბარგი და წასულა.
- მერე? ის... ის განძი?
- რკინის კასა გოულია და ყოლიფერი წოულია.

კვაჭიმ ხმა ვეღარ ამოილო. ბესოც სდეულდა. ჯალილა თვალებს აბრიალებდა და საქმის განმარტებას ელოდებოდა. ბოლოს, კვაჭიმ წამოიწია და კბილებით სთქვა:

— მოემზადეთ! ჯალილ, შენ ბათომში წახვალ. ბესო, შენ კავკაციში აიარე და იქიდან როსტოვში იდი. მე ბაქოში მივდივარ. აბა, ჩქარა! დღესვე მივდივართ. ოოჲ, თუ დაგიჭირე!

ჯალილამ იქითხა:

— მე არ ვისი, აღა, პავლემ რა იში გააკეთა?

— მოიტაცა, ფული მოიტაცა!

— ფული მოიტაცა?! ჰაი, ქიოფა ოლლი! ით! დონლუზ!

— ყური მიგდეთ! —დაარიგა კვაჭიმ თრივენი: —ხმა არ ამოილოთ, მილიცას არაფერი შეატყობინოთ, თორემ ყველაფერს გაიგებენ და ჩენც დევილუპებით. თუ პავლოვი იპოვნოთ, დაახჩეთ... ან დაემუქრეთ. იმ განძს მაშინვე დაგიბრუნებს. მეც მაშინვე დეპეშით დამიბარეთ. აბა, დაემზადეთ!

იმავ დღეს სამივენი სამის გზით დაედევნენ პავლოვს, რომელიც მიწამ ჩაყლაპა.

ერთი კვირის შემდეგ კვაჭი ტფილისში დაბრუნდა. იმავე ხანებში ჯალილაც ჩამოვიდა და სთქვა:

— მამა ზალლი პავლე! ვერ ვიპოვნე.

კიდევ ერთი კვირის შემდეგ ბესოც ჩამოვიდა:

— კვალიც ვერ ვნახე.

იმ დღიდან კვაჭი დღითი-დღე დაქვეითდა. დარდმა ხელი დაპრია და ნაღველმა დაადნო. იმის თვალში ფულს ფასი დაექარგა და ცხოვრებას მადა გამოელია. ზოგჯერ მარდი ნახტომით ერთ ქისა ოქროს იშოვნიდა ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ იმ ფულიდან მეორე დღეს ვერთი ოქროც აღარ შერჩებოდა. იმის ნამუშავარს აღარ ჰქონდა წინანდელი ნატიფობა. კვაჭის დააკლდა უწინდელი მოქნილება, სხარტობა და ნათელი გონება. გონება ხშირად დაებურებოდა ხოლმე, თვალიც ვეღარ უჭრიდა და იმის „გაიმასქნებულ“ საქმეს უხეში ხელი ემჩნეოდა.

პოლიტიკაზე ხმას ვეღარ იღებდა და ღმერთს მაღლობას სწირავდა იმის გამო, რომ მისი წარსული არ გამოიჩხიკა. ბოლოს, სილიბისტროს შეილი ისე დადნა და დაძაბუნდა, რომ მარჯვნივ და მარცხნივ თითო ოქროს სესხულობდა და ხვალინდელ დღეზედაც აღარ ფიქრობდა.

აქა ამბავი კვაჭის ნიშნობისა.

— Ну, ვალეთა!

— მოითმინეთ, ამხანაგო... ძალიან ბნელა.

— Заходи, говорят тебе!

ალექსი ირემაძემ ლრმად ამოიოხრა, გამბედაობა მოიკრიფა და წყვდიაღში შეაღავა.. იმავ წუთს იმის უკან კარები მოიხურა, მოისმა კლიტის ჩხარა-ჩხური და მიმავალი დარაჯის მძიმე ჩექმების ბათქა-ბუთქი. მერე ყველაფერი მიწყდა და მიჩუმდა.

უცებ შორიდან, ბნელი ორმოს ძირიდან, მოისმა:

— ჰეი, რომელი ხარ მანდ?

ირემაძეს გაუხარდა. ჩავარდნილი ხმა ისევ იპოვნა და ბებრულად დაიჩხავლა:

— მე ვარ... ტუსალი. მიშველეთ, თუ ღმერთი გწამთ, გზა მასწავლეთ.

— არც ღმერთი მწამს, არც ეშმაკი.

— თუ ღმერთი გწამთ...—ჩაიხრიალა ისევ ირემაძემ.

— აკი გითხარით, ღმერთი არა მწამს მეთქი, მაგრამ მაინც გვ-შველით, თუ თამბაქო გაქვთ.

— თამბაქო წამართვეს.

— აი, წაართვას მათ ეშმაკმა... ჰმ... ვინცხა ხარ, ყური მიგდე-კედელს ჩამოჰყევა და ჩამოთვალე ოცი ნაბიჯი. ნელა, კიბე სველია. არ დაგორდე, თორემ თორმოში ჩავარდები. ჰა, მოდიხარ?

— მოვდივარ...—თან სთვლიდა:—ხუთი... ათი... თხუტმეტი... ოცი. ეხლა, პირდაპირ წამოვიდე?

— გაჩერდი მანდ! არ წამოხვიდე, თორემ კაში ჩავარდები.

— რას ამბობ, ძმობილო, რომელ კაში? აქ რა უნდა ჭის?

— არ გაბედო მეთქი, თორემ დეილუპები. შუა სარდათში ორ-მოა ამოთხრილი. ორმო საესეა გველებით, ხვლიკებით, ბაყაყებით და ჭინკებით. მარჯვნივ მოუარე და კედელ-კედელ წამოდი. ხელი არ მოაცილო კედელს. არ დაიღუპო! მოვდივარ საშველად. ჰა, საღა ხარ?

— აქა ვარ!—ჩაინავლა ირემაძემ და აცახცახებული ტა-ნით ზედ აეკრა სველ კედელს. თან ბუტბუტებდა:—ღმერთი არა სწამთ?.. ეს რა უბედურებაა!.. ცოცხალი აღამიანის ჩავდება უძირო ორმოში... გველების და ხვლიკების შესაჭმელად! ღმერთო დიდე-ბულო, როგორ ბნელა!

და ფრთხილად, ფეხაյრეფით მიკოცავდა სიბნელეში, ხელ-ფეხს აფათურებდა, ყოველ გოჯს ზომავდა და სინჯავდა.

— ფრთხილად, ძმობილო, ფრთხილად, თორემ უბედურება დატრიალდება. დღეს დილით ერთი სომეხი ჩავარდა. ჰა, საღა ხარ?

— აქა ვარ... მოვდივარ.

სიბნელეში ერთმანეთს დაეტაკნენ და ხელი ხელს მისცეს.

— გამარჯვება!

— ლმერთმა გაგიმარჯოს!

— აბა, მომყევი. ფრთხილად, კედელს ხელი არ მოაშორო.

ათიოდე ნაბიჯი გადასდებეს.

— სამშვიდობოს მოვედით. აბა, დაჯექი და გვიამბე.

— დიდი მაღლობელი... ლმერთმა მშვიდობა მოგცეს. მიწა სველია, გავციდები.

— მთელი სარდაფი სველია. დაჯექი, შეეჩევი. ეხლა გვიამბე, რა ამბავია ქალაქში? ერთი თვეა, ცა არ დამინახავს.

— მაცალე, გენაცვა... წელან რომ სთქვი, დილას ორმოში სოძები ჩავარდაოთ.

იქვე ვიღაცამ ჩაიხითხითა.

— აქ კიდევ ყოფილა ვიღაცუ!?

— რას იცინი, შე თათარო? — შეუტია პირველმა: — ერთი თათარია, ჯალილა ჰქეინან. რას იცინი მეთქი?

— თოვგი... თოვგმა ფეხი შეჯამა. ლმერთმანი შეჯამა.

— ჩვენს ლმერთს ნუ ფიცულობ. თუ ფიცი გინდა, მავმალი დაითიცე. ვირთაგვამ ფეხი მოგჭამა? გუშინ ქუდი მომპარა. სოროში შეეტანა.

— ვაიმე! — დაიკნავლა ამ დროს ირემაძემ და წამოხტა: მუხლებზე უშველებელი ვირთაგვა შეახტა.

ორმა ტუსალმა ისე გადიხარხარეს, რომ კედლებმა ზანზარი დაიწყეს.

— თქვენ გეცინებათ... შეჩეულები ხართ... ზოგი მე მკითხეთ! — ბუტბუტებდა ირემაძე.

— დაჯექი, ძმობილო, დაჯექი. უნდა შეეჩიო. ვირთაგვა ბულბულია გველებთან შედარებით. რაო? შეგეშინდა, განა! არა უშავს რა. შუაში ჩავგიწევი. აი, ეგრე! ჯალილ, მანდედან გაუფრთხილდი ახალ სტუმარს. ჩვენ მოგივლით. რაო, სომეხი? ჰო, მართლა, დილას ფეხი დაუცდა და ჩავარდა. კედელს მიეკარი, ქვეით არ დაცურდე, თორემ... ჩავარდა და გათავდა. იმის ლეშს ახლა გველები და ჭინკები სჭამენ. რა სთქვი? ლრმა არისო? გეუბნები, უძიროა მეთქი. აბა, ყური დაუგდე. აი, პატარა ქვა უნდა ჩავაგდო. ერთი, ორი, სამი! გადავაგდე.

ყველანი გაინაბნენ და ყური მიუგდეს. ათიოდე წამის შემდეგ ისეთი ყრუ ხმა მოისმა, თითქო კენჭი უძირო ორმოში ჩავარდაო.

— ლმერთო დიდებულო! — ამოიკვნესა ირემაძემ.

— ასთეა, ძმობილო! კედელს ჩომ სამი ნაბიჯით მოსცილდე, სამ წუთში პაპაჩემთან გადასახლდები. ლეშის სუნით ვიხიობით.

ირემაძემ ცხვირი აათამაშა.

— მართლა, ლეშის სუნი ტრიალებს. ვინ იცის, რამდენი გაუბედურდა!...

— მაგას ვინ დასთვლის! ყური მიგდე, ბიძიავ! აქაური კანონი უნდა გასწავლო. გამოგადგება. კარგად დაიხსომე: რასაც აქ ნახავ და გაიგებ, უუდიდეს საიდუმლოებად უნდა შეინახო. თუ სადმე ხმა ამოგილია, გათავდა შენი საქმე: მაშინვე დაგიკერენ და ამ ორმოში გიკრავენ თავს. გაიგე? კარგა დაიხსომე?

— ღმერთო, მიშველე! გავიგე და დავიხსომე. დიდი მადლობელი დარიგებისთვის. ქალაქშიც გამიგონია, ვითომ, თუ ვისმეს წამოსცდა რამე... ერთი სიტყვით, ბევრს ლაპარაკობენ აქაურობაზე.

— მართალი ულაპარაკნიათ, დამიჯერე. აქ ნანახი და გაგონილი სახელმწიფო საიდუმლოებად ითვლება. ყბედს ისე სჯიან, როგორც მოლალატეს და ჯაშუშს. ეხლა შენ იცი, ბიძიავ. დანარჩენი შენი საქმეა.

— დიდი მადლობელი, გენაცვა, დიდი მადლობელი. სამადლობელო მომთხოვე. არც წინათ ვყოფილვარ ყბედი, ამ სიბერეში რაღა ღმერთი გამიშვრება!

— მართლა, ბიძიავ, ვინ ხარ და რისთვის გარჯილხარ? დროა ერთმანეთი გავიცნოთ.

— ირემაძე ვარ, გენაცვა, ალექსი ირემაძე.

— ალექსი ირემაძე! დამიდგა თვალი! რატომ აქამდის არ მითხარით, გენაცვალოს ჩემი თავი! უი, ჩემს შერცხვენას! ალექსი ირემაძე ამ სარდაფში?! ჩემი სილოვანის მამა! უიმე, ჩემს თავს! ვაი მე, უბედურს!

და უცნობი ყბედი სიბნელეში დატრიალდა, დაფაურუდა, აცქმუტუნდა; ხელებს აფათურებდა, თათარს უყვიროდა და უბრძანებდა:

— ჯალილ, ჩქარა! მოიტა შენი პალტო! აი, ჩემი პალტოც ქვეშ დაიგეთ, ბიძია ალექსი, თორემ გაცივდებით. რა ვუთხრა მერე სილოვანს! აქეთ, ბიძიავ, აქეთ მოიწით. უიმე, დამიდგა თვალი! რატომ აქამდის არ მითხარით, ბიძია! კილამ ბიძია ალექსი თრმოში ჩავაგდე! ჯალილ! მოიტა პური, წყალი. რაო, პურიც გაათავე? ბოდიში, ბიძიავ, ათასი ბოდიში. პურიც ვერ მოგართვით. ვაი, სად შევხვდი ჩემ სილოვანის მამას! მე ვინა ვარ? სილოვანის საუკეთესო ძმა და მეგობარი—კვაჭი კვაჭანტირაძე. დიალ, კვაჭი კვაჭანტირაძე

გახლავართ! შორიდან მიცნობთ? მე და სილოვანი ხუთი წელიწადი ერთად ვცხოვრობდით მოსკოვში. ვენაცვალე სილოვანს! იმისთანა ძმაკაცი ქვეყანაზე არ მოიძებნება. ეხლა გერმანიაშია, არა? ვიცი, ბიძიავ, ვიცი. რომ მიდიოდა, ქალაქში არ ვიყავი, თორემ უჩემოდ ერთ საათს ვერ გასძლებდა. მეც გერმანიაში ვაპირებდი წასელას, მაგრამ ვერ მოხერხდა. ვენაცვალე სილოვანს, რა ყმაწვილია! რა ვაჟკაცია! საქართველოში ტოლი არ ჰყავს. ისეთი მეცნიერი გამოვა, რომ მთელ ქვეყანას ააღაპარიაკებს. დაიხსომეთ ჩემი სიტყვა, ბიძია ალექსი! თუ გავმტყუნდე, ახლო აღარ მიმიკაროთ. ვენაცვალე ჩემს სილოვანს!

კვაჭი კვაჭანტირაძემ ათიოდე წუთში სხაპა-სხუპით აუწერა ირემაძეს თავისი და სილოვანის ხუთი წლის მეგობრობა, საერთო ცხოვრება, სწავლა, არშიყობა, ბრძოლა, ციხე, გადასახლება, დაბრუნება და ათასი თავგადასახადი. ვინ იცის, კვაჭიმ რამდენჯერ დასდო თავი სილოვანისთვის, რამდენჯერ იხსნა მან სილოვანი სამკვდრო ხიფათისგან! მართალია, აგრე ათი წელიწადიც გახდა, რაც სილოვანს მისი გროშები გაჰყვა, მაგრამ ასეთ წვრილმანზე ლაპარაკიც ახა ლირს. რამდენია? სულ რაღაც სამასი მანეთია. ნუ შეწუხდება ბიძია ალექსი! კვაჭი და სილოვანი გაუსწორდებიან ერთმანეთს, როცა სილოვანი დაბრუნდება.

მერე გამოირკვა შემდეგი:

ალექსი ირემაძე, პატივცემული პედაგოგი, ათი დღის წინათ გაჩერიკეს და რაღაც პროელამაცია უპოვნეს. ალექსი გაჯიუტდა: ეს პროელამაცია ვილაცამ სახლში შემომიგდო, ხელში არავის მოუციაო, ამიტომ არავინ დაასახელა. გამომძიებელი დარწმუნებული იყო, რომ ალექსი პროელამაციებს აკრცელებდა, და, რადგან ალექსი არ გამოტყდა, სასჯელიდ ბნელ და ნესტიან სარდაფში ჩასვა. ეს იყო და ეს. მეტი არაფერი ყოფილა. ნამდვილად როგორ იყო საქმე? სულ უბრალოდ:

ხუთ აპრილს ალექსის გასათხოვარ ქალის ელენეს დაბადების დღე იყო. როგორც ყოველთვის, ალექსიმ ეხლაც ვახშამი გამართა. ათიოდე სტუმარი ჰყავდა. დრო კარგად გაატარეს. დილის ექვს საათზე დაიშალნენ.

ალექსი დაიხარა და კვაჭის ჩასჩურჩულა:

— ვილაცამ მიჯაშუშა, ან იყბედა სადმე. მაბრალებენ: იმ ვახშამზე ის პროელამაცია წაიკითხეო.

— აბა, რა უნდა დავუმალო ჩემი სილოვანის ძმა-მეგობარს?! მართლა წავიკითხე. რამდენიმე ცალი მქონდა. სტუმრებსაც დავურიგე-დამლუპა ვიღოცამ.

მერე კვაჭი კვაჭანტირაძემ უამბო ალექსის თავისი საქმე—უფრო მარტივი და უბრალო, ვიდრე ალექსის საქმე. გაზაფხულზე, ღამის ორ საათზე, წყნეთის ქუჩაზე ვიღაც სომეხი გაძარცვეს. ერთი თვის შემდეგ კვაჭის „სრულიად უმიზეზოდ“ სტაციეს ხელი და ჩააგდეს ამ სარდაფში. ეკითხებიან, სად იყავი ხუთ აპრილს ღმის ორ საათზეო? კვაჭის არ ახსოეს, ბავშვი ხომ არ არის, რომ დღიური სწეროს! ერთი თვეა ფიქრობს და ვერ მოუგონია. სიკვდილით დასჯას ემუქრებიან. მისი ბინის პატრონი, იმისი ცოლი და მეზობლები დაუკინებით იმეორებენ: ძალიან კარგად გვახსოეს, რომ ხუთ აპრილს კვაჭანტირაძე სახლში არ ყოფილაო. ალბათ პირი შეპქრეს, კვაჭანტირაძეს დალუპვა გადასწყვიტეს, რადგან სამივენი რეაქციონერები არიან, კვაჭი კი — მთელმა ქვეყანამ იცის! — რევოლუციონერია. ციხეშიც იჯდა, გადასახლებულიც იყო. აი, ნამდვილი მიზეზი მათი გადამტერებისა.

სასაცილო! კვაჭი კვაჭანტირაძეს კაცის გაძარცვას აბრალებენ! ალბათ მთელი საქართველო იცინის. როგორ არა, სილიბისტრო კვაჭანტირაძემ იმიტომ დაახარჯა კვაჭის ერთი ურემი. ოქრო და იმიტომ შემოატარა მთელი ქვეყანა, რომ კვაჭი კვაჭანტირაძე ყაჩალი გამოსულიყო! ვინ? კვაჭი კვაჭანტირაძე? ხა-ხა-ხა! რატომ ქვეყანა არ გადაბრუნდება! ხა-ხა-ხა!

კვაჭი უცებ გაჩუმდა. ალბათ ფიქრმა გაიტაცა. ალექსიმ ჯალილას გაუბა ლაპარაკი დამწუცდეულთა ბედ-ილბალზე, „აქაურ“ წესრიგზე და ორმოზე. უცებ კვაჭი ალექსის სწვდა ხელში და თითქმის ატირდა:

— ბიძია ალექსი, მიშველეთ, დამეხმარეთ.

— როგორ, შვილო, როგორ?

— ვენაცვალე სილოვანს, ბიძიაჯან, დამეხმარეთ, გადამარჩინეთ სიკვდილს. დედ-მამის მყავს მოხუცებული და ათიოდე ნათესავი შესანახი. მეც ახალგაზრდა ვარ, თქვენი სილოვანის ტოლი. რა დროს ჩემი სიკვდილია! ვიცი, რომ არ ამცდება. დავიღუპვე, თუ არ მიშველეთ. თქვენ კი შეგიძლიანთ, ჩემი შველა, შეგიძლიანთ, შეგიძლიანთ... ბიძიავ, ბიძიაჯან...

თან ცრემლით უსველებდა და უკოცნიდა ხელებს.

ალექსის გული აუჩუპდა. ჩუმად აკოცა შუბლზე და თმაზე ხელი გადუსვა.

— მითხარი, შე უბედურო, მითხარი. თუ მართლა შემიძლიაზ, გიშველი, როგორ არ გიშველი... ქრისტიანები ვართ, მები ვართ. სთქვი, როგორ გიშველო?

— თქვენ ხუთ აპრილს გქონდათ ვახშამი, არა?

— ჰო, ხუთ აპრილს. მერე?

— მეც ხუთ აპრილს ჩავიდინე... ვითომ ხუთ აპრილს ლაშის ორ საათზე გავიძირცვე ის სომები. აქ უნდა მიშველოთ, ჩემო ბიძიავ, მოწმედ უნდა დამიღეთ. სთქვით, რომ მეც დავესწარი იმ ვახშამს. ბიძიაჯან, უნაცვალე თქვენს ჭალარის, ასე სთქვით. მერე ყმად გამიხადეთ თქვენც და სილოვანშაც.

— კეთილი, მაგრამ... ვახშამზე ათიოდე სტუმარი მყავდა.

— ეგ არაფერი, ბიძიაჯან. თუ მოინდომეთ, ყველაფერი გაკეთდება. ყური მიგდეთ... თქვენ დღეს თუ ხეალ გავიშვებენ. უეკველად გაგიშვებენ. მშველელი და დამხმარე ბევრი გყავთ. როცა გახვალთ, დაუარეთ თქვენს სტუმრებს და დაარიგეთ. ალბათ ზოგი მცნობს კიდეც. ნუ დამლუპავენ, მიშველონ. სიკეთეს ყველას გადავუხდი... მიშველონ. თქვენ რომ გახვალთ, ერთი კვირის შემდეგ მოვიგონებ, რომ ხუთ აპრილს თქვენთან კიყავი.

— კეთილი, მაგრამ...

— მოითმინეთ, ბიძიავ, მოითმინეთ. სტუმრები ასე დაარიგეთ: სთქვან—იმ ვახშამს კვაჭი კვაჭანტირაძეც დაესწრო. ოცდახუთმეტი წლისა ვარ, მაღალი, შავგვრემანი, თმანუკუჭა, წვერმოპარსული, ულვაშ-შეკრეპილი, ნიკაბზე ჭრილობის დალი მაქეს. ნუ გეშინიანთ, ვერავინ გაიგებს, რომ ჩენ აქ შევთანხმდით. ჩვენ ორივეს სხვა და სხვა გამომძიებელი გვყავს. არხეინად ბრძანდებოდეთ. ეხლა მიბრძანეთ, ვინ გყავდათ სტუმრად?

— ვანო კალიაშვილი, ძუკუ ფიფია... ბესო გუგულია.

— გუგულიას და ფიფიას ვიცნობ. სხვები?

— პუპი ლომიძე, დარისპან შელიძე.

— ორივეს ვიცნობ, ბიძიაჯან, ვიცნობ! მერე, მერე?

— სილოვან შირაძე... მიხა ბერიშვილი... ტასო ალავიძე...

— ვიცნობ, ბიძიაჯან, თითქმის ყველას ვიცნობ!—იმეორებდა გახარებული კვაჭანტირაძე.

— კარგი, შვილო, კარგი. თუ გამიშვეს, ორ დღეში დავუკლი ყველას და დავარიგებ.

კვაჭი სიხარულით ცას ეწეოდა, ალექსის თავს დასტრიალებდა და არ იცოდა, როგორ ესიამოვნებინა. ჰყეიროდა:



— ჯალილ, შე თათარო, შენა! შენ არ იცი, ვის ელაპარაკები? ამისთანა განთქმული და ნასწავლი კაცი საქართველოში არ მოიპოვება. თაორებს რომ ჰყავდეთ ასეთი კაცი, სულთანის ტახტზე აიყვანდნენ. ჯალილ! აქეთ მოიწიე, ბიძია ალექსი ორმოში არ ჩავარდეს, თორებ შენც თან მიგაყოლებ. ბოდიში, ბიძიაჯან, დიდი ბოდიში! ვერაფრით გასიამოვნებ. ვაი ჩემს თავს! სად შევხვდი ბიძია ალექსის! არც საჭმელი, არც სასმელი, არც თამბაქო! რა ვწნა, ბიძიავ, თუ მიშველეთ და გავედი, მე ვიცი და ჩემმა კაცობამ.

— ნუ სწუხდები, შვილო, არა მიშავს რა. ყველაფერს მოვით-მენ. თაგვები და ვირთაგვები მაწუხებენ, თორებ...

— ჯალილ, დატრიალდი! ერთი არ მოუშვა ახლო, თორებ ვაი შენი ბრძლი. აბა!

— თით! თით, თქვე ოხრებო! — იძახდა ჯალილა, მიწას ხელს უტყაპუნებდა და ქნაოდა: — მიაუ... მიაუ... მიაუ...

თან ყველანი გულიანად იცინოდნენ და ოხუნჯობდნენ.

— ჯალილ, უამბე შენი მარუსას ამბავი ბიძია ალექსის! — სთქვა კვაჭანტირაძემ და წინდაწინვე დაიწყო სიცილი.

ჯალილაც ხან იცინოდა, ხან ოხრავდა, თავისს თავს დასცინოდა, ნიშნიდ სინანულისა, შუბლზე ხელს იტყაპუნებდა და ამ-ბობდა:

— ვაი ტუტუს! ტუტუს, დალი ჯალილ! ვაი, ვაი, ვაი!

ბოლოს, მაინც მოაყვა თავისს ამბავს.

ჯალილა საქართველოში გაიზარდა: ხან მსახურობდა, ხან ვაჭრობდა, ხან აბანოს მოიჯარადრე იყო, თან ჩუმ-ჩუმად რევოლუციას შეელოდა და ოსმალებსაც რაღაც დახმარებას უწევდა. სპარსეთშიაც იყო, სათოარ-ხანის რაზმში, „უხელო ვლასა მგელაზემ“ წაიყვანა. იქ დიდხანს იხეტიალა და ნადავლით დაბრუნდა. მერე იდესაში „სავი-და“ სავაჭროდ. გზაში „აღა კეჩანტირაზეს“ შეხვდა და აეკიდა. მას აქეთ ერთად დადიოდნენ ამ ქვეყნად. ზოგჯერ ჯალილა ქვაჭის ჩამორჩებოდა და თავისი გზით წავიდოდა, მაგრამ მერე, სადაც უნდა ყოფილიყო კვაჭი, მაინც მოსხებნიდა და ისევ აპყვებოდა. აღრიანპოლშიც იყო, ჩატალჯაშიც იბრძოდა, ტრიპოლელ არაბებ-საც მიეჟველა. მაგრამ იტალიელებმა დაატყვევეს. ისევ ნადავლით დაბრუნდა და ვაჭრობას მიჰყო ხელი. სად იყო ჯალილა მსოფლიო მისი დროს? მას კარგად არ ახსოეს. მოკლედ სჭრის:

— ქოით ვიყავი, სოტა ფული ვიშოვე.

საით იყო „ქოით“ — რუსეთისკენ თუ ოსმალეთისკენ, — ან როგორ იშოვა „სოტა ფული“ — ჯალილა ამაზე ლაპარაკს ერიდება.

მერე ყარსში გაჩნდა, როცა რუსების ჯარი შინ მიღიოდა. ოსმალებმა რომ ბათომი აიღეს, ჯალილა ბათომის „ახლო“ იყო. ბალდათის გმირი ხალილ-ფაშა რომ ტფილისში ჩამოვიდა, ჯალილა წინ დაუხვდა და „ყულული“ (სამსახური) გაუწია. ნური-ფაშასაც კარგად იცნობს, ქიაზიმ-ბეიისაც, ყველის „სოტა ყულულს“ უწევდა. ყოჩალი „ბიჩია“ ჯალილა: ახალგაზრდა, ლონიერი, მარდი, მშრომელი, გამრჯელი. ღვინოს არა სვამს და ქალალდს არ თამაშობს. მხოლოდ კონიაკს სვამს „სამლად“, რაღვან „სიებ-სხელება“ სჭირს. მაგრამ ერთი დიდი ნაელი იქნება ჯალილას: მეტის მეტად უყვარს რუსის ქერა ქალები. ვინ იცის, ქერა ქალებმა რამდენჯერ წააგებინეს „ჩუუ“ ჯალილას, რამდენი ანანეს, რამდენჯერ გათხიერება და გაძარცვეს! ბევრჯელ დასტო „ფისი“, ახლო აღარ მივეკარებით, მაგრამ „ფისი“ ვერ შეინახა. ბოლოს, მაინც ქერა ქალმა მოსტეხა ჯალილას შავი კისერი.

ერთხელ, ორი კვირის წინათ, ჯალილა რომ ქუჩაში გამოვიდა, „კარების სინ“ მზეთუნახავი ქერა ქალი დაუხვდა. ქალმა ჯალილას „ზალიან კარგი ფარსული“ შალი შესთავაზა. ჯალილამ ქერა მზეთუნახავი ხახლში შეიპატიჟა, შერბეთი და ტკბილეულობა მიართვა. ყველაფერი მოხდა: „სისილი“, „ქოსნა“, ოხუნჯობა, დევნა-სირბილი, ალიაქოთი და აყალმაყალი. ტამბოველი მზეთუნახავი მიინც არ დაპირდიდა. ჯალილამ ორი ოქრო „აზლია“; ვერც იქრომ „გასჯრა“. ქალმა „სისილ-ხარხარით“ ოთახები გადუბრუნა ჯალილას, იქაურობა აუქოთა, აუფორიაქა, სისხლი აუდუღა, „დასწვა“, დაღალა, ოფლში „გასურა“ და... „გაიქსა“. იმავე დღეს ჯალილა ბნელ სარდაფში გადაასახლეს. თურმე ბლობრძუნში და ხვევნა-„კოსნაში“ ტამბოველმა „მარუსამ“ ჯალილას ერთი ქალალდი ააცალა. ის ქალალდი ჯალილას ხალილ-ფაშამ მისცა. შიგ „ესერა“: ჯალილა „ჩინი კასია“, მან თათრებს „ზალიან დიდი ყულული უყო“ და „ქომაგი მიესითო“. ისე ჩავარდა ჯალილა და „ქომაგს“ ელის, მაგრამ მშველელი არსად სჩინს. „ბიზია ზალიან კარგი კასია“, იქნება მართლა დღეს-ხვალ გაუშვან... ჯალილა ბევრს არაფერს სთხოვს: ასეთი დეპეშა რომ გაგზავნოს ბაქოში—„ყუბის ქუჩა, მაპმად ემინოლლის... ჯალილა „ზალიან“ ავად არის“...—ჯალილა ამას სიკვდილამდის არ „დაივისლებს“. მერე „ბიზიამ“ მოსთხოვოს ჯალილას სამსახური და ერთგულება.

ჯალილა თან სთხოვს, თან მორცხვობს, ეთაკილება „უსნობი ბიზიას შეზუბება“. ბოლოს, ამბობს:

— ბიძიავ, ფისი გაძლევ: თუ ალლაპმა კიდო მაჩინა სა და დედამისა, ყულულს არ დაივისხებს ჯალილა. ეხლა მეტი არაფერი, ფისი მოვესი.

ალექსი ჰპირდება თხოვნის შესრულებას. ჯალილაც გუნებაზე მოდის. მოხსნა პირი ოხუნჯობას, გადმოალაგა მოლლა ნასრედინას ამბები. სთქვა ჩუმი და ტკბილი ხმით შიქვასტა და ბაიათი, თან გული აიჩუყა და ცოტა ცრემლიც გადმოყარა.

„მარუსას“ გახსენებაზე სარდაფუში ისევ გაისმა სიცილი, მასხრობა და მხიარული ოხუნჯობა. ბოლოს, ჯალილამ ღრმად ამოიხსრა და სთქვა:

— ალლაპ ილ ალლაპ! ჩონ ვისინით, ალლაპ კი ყოლაფერს ხედავს. იქნება ეშმაკი გამოგზავნა: სადი, ოხერი ჯალილას სული მოიტანეო. იქნება ამაღამ ჯალილა ალლაპთან სავიდეს... ალლაპ, ილ ალლაპ!..

ჯალილას სიტყვებზე ყველას პირში ნერწყვი გაუშრა, შესციდა, ყველას ტანში ქრუანტელმა დაუარა, ყველანი მიყუჩნდნენ, მიჩუმდნენ და თავ-თავიანთ სულში ჩაძრნენ.

დიდი ხანი გავიდა. არავინ იცოდა, შუადღე იყო თუ საღამო, გარეთ ციოდა თუ ცხელოდა, წვიმდა თუ მხიანობდა.

„თოვგმა ჯალილას ქუდი მოსტასა“, ალექსის მქერდზე გადაურბინა, კვაჭანტირაძეს ფეხზე უქბინა. ხანგამოშვებით ისმოდა კვაჭის ცრემლიანი ხვეწნა-ჩურჩული:

— ჩემო ბიძიავ, გენაცვალე, ბიძიავ... შენი იმედით ვრჩები აქ... მერე შენი მონა ვარ, შენი ყმა...

და „ბიძია“ ალექსის ბუტბუტი:

— ჰო, შვილო, ჰო! პირობას შეგისრულებ. რაკი მაგისთანა მეგობარი ყოფილხარ სილოვანისა, იგრე მოგივლია მისთვის და ძმიად გაგიხდია...

კვაჭანტირაძეს აგონდებოდა ახალ-ახალი თავგადასავალი, სილოვანის გაჭირვება და მისი ძმური დახმარება.

უცებ კარების რახა-რუხი მოისმა. ყველამ ყური სცევიტა.

— ალექსეი ირემაზე!

— აქა ვარ! აქ არის! ვდეს! ვდეს!

— ვალეთა!

ყველანი დაფაცურდნენ.

— ბიძია, ჩემო ბიძიავ!.. შენი იმედით ვრჩები... მხოლოდ შენი იმედით...

— ჰო, შვილო, ჰო! არხეინად იყავი. პირობას შეგისრულებ. მშვიდობით იყავი, ჩემო კვაჭი! მშვიდობით, ჯალილ!

— მშვიდობით, მშვიდობით. ჯალილ, მომიარე. ფრთხილად, ბიძიაჯან, ორმოში არ ჩავარდე, თორემ ყველანი დავიღუპეთ.

ორივემ ალექსის ხელი წაავლეს და დიდის სიფრთხილით გა-აცურეს კედლის ძირში. მერე კიბეზედაც აიყვანეს.

— მშვიდობით! — ამოიკვნესა კვაჭანტირაძემ კიდევ ერთხელ და სიბნელეში ალექსის ხელზე მიადარ ტუჩები.

— შვიდობით, ბიზია... არ დაგვისყდეს: ყუბის ქუჩა, მაპმად ემინ ოლლის... ჯალილა ზალიან ავად არის.

— ჩა ვალეთა! ჩავი ეშე თამ რავლიუნის!

— მოვდივარ, ამხანავო, მოვდივარ.

ირემაძე გავიდა. კარები ისევ ჩაიკეტა. კვაჭანტირაძემ და ჯა-ლილამ ჯერ სიცილით აიკლეს სარდაფი ორმოსი, გველებისა და ჭინკების გახსენებაზე, მერე ისევ მიწვნენ თავიანთ კუთხეში და ისევ გაჰყვნენ ტუსაღების ოცნებას: თბილი მზე... მხიარული ქუ-ჩა... ხალხი... ლამაზი ქალები... მორთული ბინა... მეგობრები... ნათესავები... კარგი სადილი... რბილი საწოლი...

ალექსი ირემაძე ჩეარის ნაბიჯით მიცუნულებდა. ქურდივით შეიპარა თავისს სახლში. მისი ოცდაათი წლის ქალიშვილი — ელენე სიცილ-ტირილით დაუხვდა. ერთმანეთს ისე ჩაეხუტნენ, თითქოს ალექსი საიქიოდან დაბრუნდათ. მამამ უამბო ელენეს, რომ ის მთე-ლი დღე მშვენიერ თოაბში იჯდა, და დაუმატა:

— შვილო, ერთი ღვთისნიერი ადამიანი უნდა ვიხსნათ სიკვ-დილისგან. ჩეენს სილოვანს ერთი გულითადი მეგობარი ჰყოლია, ცნობილი კვაჭი კვაჭანტირაძე. ხუთი წელიწადი ერთად უცხოვრ-ნიათ მოსკოვში, საპყრობილები და ციმბირში. იმ კვაჭანტირაძეს ჩვენი სილოვანი მრავალჯერ დაუხსნია დიდი ხიფათისგან. ის კვა-ჭანტირაძე რომ არ დამხვედროდა „იქ“, მეც ცოცხალი ვერ. დავ-ბრუნდებოდი „იქიდან“. ეხლა თვითონ კვაჭანტირაძე ჩავარდა ხი-ფათში. დახვრეტა მოელის. პატიოსანი და ღვთისნიერი ადამიანია. კარგად დამიგდე ყური, შვილო! თუ ვინი ცობაა გკითხოს ვინმემ, უთხარი, ვიცნობ-თქო. ხუთს აპრილს, შენი დაბადების დღე რომ იყო, კვაჭანტირაძე ჩვენთან იყო ვახშმად-თქო, დილამდის არ წა-სულა-თქო. მაღალი, 35 წლისა, შავგვრემანი, ულვაშვაკრეჭილი, ნი-კაპზე ჭრილობა აქვს. კარგად დაიხსნომე?

— კეთილი, მამაჯან, ვიტყვე. სხვა სტუმრები რალას იტყვიან?

— ეხლავე დავუვლი ყველას და დავარიგებ. ერთად წავიდეთ, თუ გინდა?

— წავიდეთ.

წავიდნენ. იმ სალამოს და მეორე დღეს ყველას ჩამოუარეს და დაარიგეს:

მალალი... შავეგრემანი... ნიკაპზე ჭრილობა აქვს. პატიოსანი და ლვისნიერი ადამიანია.

იცნობენ კვაჭის, როგორ არ იცნობენ! მთელი ქვეყანა იცნობს კვაჭის, მთელი!

ყველამ თანხმობა მისცა. მერე ალექსიმ ასეთი დეპეშა გაპგზავნა ბაქოში: „...ჯალილა ძალიან ავად არის. ირემაშვილი“.

რამდენიმე დღის შემდეგ კვაჭი კვაჭანტირაძე გამომძიებელმა დაიბარა. კვაჭი გახარებული შევარდა გამომძიებელის ოთახში და მიაძახა:

— მომავონდა! მომავონდა!

— რა მოგავონდათ?

— ძლივს მომავონდა, რომ ხუთ აპრილს სალამოს ცხრა საათიდან დილის ექვსამდის ვახშამზე ვიყავი ალექსი ირემაძესთან...— და დაწვრილებით აუწერა ის ვახშამი და ჩამოუთვალა ყველა სტუმარი: —ვასახელებ ალექსი ირემაძეს, იმის ქალიშვილს ელენეს და ათ სტუმარს. გთხოვთ ყველანი დაიბაროთ და გამოჰქითხოთ. დასწერეთ ოქმი.

ეს ამბავი კვაჭანტირაძემ ისეთი სიცხარით, გულწრფელობით და სიცხადით ასწერა, რომ გამომძიებელი შეყოყმანდა და აირ-დაირია. ოქმი დაიწერა, ხოლო კვაჭანტირაძე ისევ ბნელ სარდაფში ჩავიდა.

რამდენიმე დღის შემდეგ მართლა დაიბარეს დასაკითხავად ალექსი, ელენე და მათი სტუმრები. ყველამ შეთანხმებული ჩვენება მისცა, თითქო კვაჭანტირაძემ ღამე მართლა იმ ვახშამზე გაათენა:

კვაჭი კვაჭანტირაძეს? ვინ არ იცნობს კვაჭანტირაძეს!. ოცდა-თხუთმეტის წლისა, მაღალი, შავეგრემანი. ნიკაპზედაც ჭრილობა აქვს, არა?

— დიაღ, ჭრილობაც აქვს.

— ცხრიდან ექვსამდის ჩვენთან იყო. იმის მეტი აღარავინ სჩანდა იმ სალამოს. იქაურობა აიკლო. იცექვა, იმღერა, იქეიფა და იმხიარულა.

თორმეტმა კაცმა დაიფიცა, დაადასტურა და ოქმს ხელი მოა-წერა.

ორი კვირის შემდეგ კვაჭი კვაჭანტირაძე ბარგი-ბურხანით თავს დაადგა ალექსი ირემაძეს. ატყდა დიდი სიხარული, ლხენა და ზეიმი ცრემლით, ხეევნა-კუცნით და ვაი-ეუს ყვირილით. ალექსი და ელენე ისე დაუხვდნენ კვაჭი კვაჭანტირაძეს, როგორც ლვიძლ შვილსა და ძმას.

— ძალიან კარგი გიქნია, ჩემო კვაჭი, რომ იქიდან პირდაპირ ჩემთან მოსულხარ.

— რა ვქნა, ბიძიაჯან, არ მინდოდა, მეზარებოდა თქვენი შეწუხება, მაგრამ ვეღარ მოვითმინე. მადლობის გადადება როგორ შეიძლება!

მრავალი მოკითხვისა და დილის საუზმის შემდეგ კვაჭანტირაძემ გაბედულად და რიხით უთხრა ალექსის:

— ბიძიავ, რომ გამავლოთ, ფერსად წავალ ეხლა. ოთახი წამართვეს. ბინა უნდა მომცეც ერთი კვირით და ცოტა ფულიც უნდა მასესხოთ. დედაჩემი წასულა სოხუმში სახლის გასაყიდად.

— კეთილი, ჩემო კვაჭი, დამითმია ჩემი კაბინეტი. ფული რამდენი გინდა?

— ლირებით ან ოქროთი მიანგარიშეთ. ტანისამოსი შემომალპა. ბინის პატრონმა გამჭურდა. ყველაფერი დავკარგე: სამი ოთახის მშენებირი მოწყობილება, ოთხი ხელი ტანისამოსი, სამი წყვილი ჩემა, თორმეტი წყვილი საცვალი, ორი შკაფი წიგნებით სავსე და პიანინო. ორი ოთასი მანეთის ზარალი მომივიდა. ვიჩივლე. ცოლქმარი დავკარგებინე. თითქმის ყველაფერი იპოვეს, მაგრამ, ხომ იცით, სანამ საქმეს გაარჩევენ...

ესეც რომ არ იყოს, კვაჭანტირაძეს მრავალი სიმდიდრე აქვს: დღიდი სასახლე სოლოლაკში... ალექსიმაც იცის ის სასახლე, განა! გარდა ამისა, კვაჭის ოთხი მშენებირი სახლი ჰქონდა ბათომში და სოხუმში; ორი სახლი ჩამოართვეს, ორი შერჩი. გარდა ამისა, გურიაში, სამეგრელოში და სოხუმში სამი ბალი აქვს, ორი სამხერხავო და მრავალი სხვა ქონება, მაგრამ...

— ხომ მოგეხსენებათ დღევანდელი ამბები: სამი მოსამსახურე და დედაჩემი—საწყალი მოხუცი! — ამოდენა ქონებას დასდევენ. ნახევარზე მეტი დავიბრუნეთ, დანარჩენსაც მალე დაგვიბრუნებენ.

გარდა ამისა, ამხანაგებში მას გასესხებული აქვს ორი ოთასი მანეთი.

ერთი სიტყვით, კვაჭი კვაჭანტირაძეს „ჯერ-ჯერობით“ ასილირა ეყოფა. ალექსიმ ჯერ-ჯერობით ორმოცდაათი მისცა, დანარჩენს საღამოზე ისესხებს და მისცემს. თან დაუმატა:

— ჯერ აბანოში წადი, შვილო, მერე გაიარ-გამოიარე, ამხანა-
გები ნახე, შენს საქმესაც მოუჟარე.

სალამოთი კვაჭანტირაძემ ალექსი და ელენე ჯერ სინგმაში
დაპეატიეა, მერე ბალში წაიყვანა და ვახშამი აქამა. იმ დღიდან კვა-
ჭი მათი ოჯახის წევრი გახდა. ერთმანეთს არ ერიდებოლონენ, გასა-
ყოფი არაფერი ჰქონდათ. კვაჭანტირაძე სხვებზე აღრე დგებოდა,
ოჯახში უსაქმოდ ერთ საათს არ გაჩერდებოდა: სულ ტრიალებდა,
ფუსტუსებდა. გატეხილი თუ რამე იყო—შეაქეთებდა, დააკოწიწებ-
და. ალექსის დიდის მაღლობით გადუხადა ვალი, თან უცაბედად
ერთი დასტა ლირები გამოაჩინა და დაუმატა:

— ცოტა ვალი დამიბრუნეს, დანარჩენი საქმეში მოვიგე.

კვაჭი და ელენე ხშირად სხდებოლონენ კუთხეში განმარტოე-
ბით, ხან სასეირნოდ დადიოდნენ. მალე ხანში შესულ ელენეს დიდი
ცვლილება შეეტყო: დაბნეული დადიოდა, ყველაფერს ივიწყებდა,
შეფოთავდა და მთელი საათობით, როცა კვაჭანტირაძე შინ არ იყო,
განმარტოებით იჯდა და რაღაცას ფიქრობდა.

კვაჭიმ მალე სხვა ბინაზე გადასვლა დააპირა, მაგრამ არ გაუ-
შვეს. ერთხელ ალექსის უთხრა:

— ბიძიავ, თქვენი სახლი უწინ ოცი ათასი მანეთი ღირდა.
ეხლა სამ ათასსაც ძლიერს მოგცემენ.

— სამი კი არა, ორიც რომ მომცენ—მივცემ. შემჯავრდა ეს
სახლი; სისხლი გამიშრო და დამაბერა. ხუთი წელიწადია იქედან
მანეთი არ მინახავს. ჩემი ჯამაგირის მესამედი სახლზე მეხარჯება.
დიდი ხანია დავაპირე გაყიდვა, მაგრამ ელენეს არ უნდა. რა ვქნა,
მაგის მზითევია.

— ორი ათასი მანეთი ეხლა თვეში, სულ ცოტა, ათას მანეთს
მაინც მოიგებს.

— მეც მაგას ვამბობ, მაგრამ რა ვქნა, ვაჭარი არა ვარ. არც
სილოვანი მყავს აქ!

კვაჭანტირაძემ ნელ-ნელა მოამზადა ალექსი. კვაჭიმ კარგად
იცის ვაჭრობის საქმე. გამოცდილება დიდი აქს. სოხუმში საუკეთე-
სო საქმე ჰქონდა, მაგრამ არ დააყენეს. ეხლაც ხშირად სხვის საქო-
ნელს ჰყიდის და ყიდულობს, მაინც დიდ ფულს იგებს. ამხანავი
ჰყავს ქვემო ბაზარში. გაკოტრდა. ნახევარ ფასში ჰყიდის საქონელს,
რადგან ჩეარობს. რომ გაიარონ და ნახონ, კარგი იქნება.

გაიარეს და ნახეს. ალექსიმ ერთი ნაცნობი ვაჭარი წაიყვანა.
საქონელი და დუქანი მართლა ნახევარ ფასში იყიდებოდა.

ალექსი ჩაფიქრდა. გაკოტრებული ვაჭარი ჩქარობდა. კვაჭანტირაძე ამზობდა:

— გადასკერით, ბიძიავ! მე ორი ათასი ლირა შემაქვს ამ საქმეში. ამხანაგი ბევრი მყავს, მეხევეწებიან, აღარ მისვენებენ.

ელენე კვაჭანტირაძეს მიემხრო. ჯერ გაუბედავად, მერე კი დაუინებით მოითხოვა სახლის გაყიდვა. ელენე მოლარედ დადგება. კვაჭი ივაჭრებს. ალექსი კონტროლს გაუწევს, კვირაში ერთხელ წიგნებს გადაათვალიერებს.

წინათ ელენე ებლაუჭებოდა სახლს, ეხლა კი ალექსი ჩაფიქრდა. ერთი კვირის შემდეგ კვაჭანტირაძემ ხელმეორედ წაიყვანა ალექსი და ელენე შუა ბაზარში, აჩენა წინანდელი მაღაზია, რომელიც საქონელით იყო საცე, და გამოუცხადა, რომ კვაჭი მონახვერეა ამ საქმეში. მაღაზიაში ორი კაცი ვაჭრობდა.

ბესო შიქიამ დაუდასტურა კვაჭანტირაძეს და დაუმატა:

— ააა, კვაჭი, შეიტანე ბანქში. აქ სწორედ სამი ათასი ლრაა. გზაც იქითა გაქვს, არ დაიზარო! — და გადასცა გატენილი კონვერტი.

კვაჭიმ კონვერტი უბეში ჩაიდო.

ალექსიმ ჰკითხა:

— დღიური ვაჭრობა რამდენი გაქვთ?

— ზედიზედ რომ ვიანგარიშოთ, ხუთასი ლირა გამოვა.

— მოგება?

— სუთია მოგება მესამედი მაინც იქნება.

უკან რომ ბრუნდებოდნენ, ალექსი ჩამორჩა. ჩაფიქრებული მოდიოდა და ანგარიშობდა:...., ეს შეადგენს დღეში 150 ლირას, თვეში შესდგება დაახლოვებით ოთხი ათასი ლირა მოგება. ოთხი ათასი! ჩემ წილად მოვა 1300 ლირა. ბონებზე რომ გადავიტანოთ, გამოვა... გამოვა..."

გამოვიდა ოცი ან ორასი მილიარდი მანეთი.

"თავნის რომ ჩემი ორი ათასი მივუმატოთ, ვაჭრობა ერთი მესამედით მაინც იმატებს, ე. ი. წმინდა მოგება თვეში ექვსი ათასამდის ავა. ჩემ წილად მოვა ორი ათასი, ე. ი. დღეში 20 ლირა... ღმერთო დიდებულო! ამოდენა ფული როგორ უნდა დავხარჯო!..."

ეხლა ალექსი ხარჯავს თვეში სამოც ლირას; ხარჯი რომ გაახუთოს და სამასი დახარჯოს, 1700—1500 ლირას მაინც გადაარჩენს. ეს დაიჭერს წელიწადში ოცი ათასს, ე. ი. ერთი წლის შემდეგ ათ სახლს იყიდის იმისთანას, როგორიც ეხლა აქვს. ყოველთვი-

ური მოგება ისევ საქმეში რომ ჩაყაროს, წლის ბოლოში ორმოცი — სამოცი ათასი გახდება.

ანგარიშები აერია ალექსის. ზეპირად სწორი ანგარიში შეუძლებელია. საკიროა ფანქარი, ქაღალდი, განმარტოვება. ალექსის ეშმაკები ჩაუსხდნენ თავში და ტვინი აუდულეს. ნაბიჯს უმატა. ჩეარობდა ნამდვილი. ანგარიშის გამოყვანას. სახლში რომ მივიღნენ, მხოლოდ მაშინ შეამჩნია, რომ კვაჭანტირაძე ჩამორჩა. გაიფიქრა:

— ალბათ ბანქში შეიარა ფულის შესატანად.

კაბინეტში ჩაიკეტა და შეუდგა გამოანგარიშებას. ძალიან ფრთხილად ანგარიშობდა: ხარჯს მოუმატა, შემოსავალს დაუკლო. მოგება მაინც ორმოცი ათასი ლირა გამოდიოდა. თავისს თავს არ ენდო. გამოვიდა ქუჩაში და გამოებასა რამდენიმე ნაცნობს. ყველა ამბობდა, ეხლა გაჭარი ფულში 25—30 პროცენტს აძლევსო, მაშისადამე, ვაჭრობა თვეში 40—50 პროცენტს იძლევათ.

ალექსი დარწმუნებული და უფრო შეხურებული დაბრუნდა. ეხლა მოუთმენლად ელოდა კვაჭანტირაძის დაბრუნებას. ელენეს ლაპარაკი ჩამოუგდო.

— ეხლა მხოლოდ უსაქმო ბედოვლათი ინახავს სახლს და ფულს! — სთქვა ელენემ: — ყველანი ამბობენ, რომ თვეში ეხლა მანეთს მანეთი მოაქვსო.

კვაჭის შესახებ სთქვა:

— მაგისთანა პატიოსანი, მშრომელი და გამრჯელი კაცი მე არ შემხვედრია. მთელი დღე ტრიალებს, ქვეს წვენს იდენს, ამოდენა ფულს იგებს.

კიდევ დიდხანს აქეს კვაჭანტირაძე. მერე ორივენი დაწვნენ.

ალექსის ძილი გაუფრთხა. მთელი ღამე შამფურიყით ტრიალებდა და ხან უზარმაზარ მოგებას ანგარიშობდა, ხან მოგების დახარჯვაზე ფიქრობდა, ხან კიდევ ეშმაკების დასაფრთხობად და ძილის მოსაყვანად იმეორებდა:

— ორჯერ ორი — ოთხი... ორჯერ სამი — ექვსი... ორჯერ ექვსი — რეა... ორჯერ რვა — ექვსი.

იმ ღამეს კვაჭანტირაძე არ დაბრუნდა. ალექსიმ რომ ჩაიძინა, მამლებმა მეორედ იყიდეს.

მეორე დღეს ალექსი მოუთმენლად ელოდებოდა კვაჭანტირაძეს. სადილად მოვიდა. კარები ელენემ გაულო და ისეთი საყვედურით ჰყითხო — სად იყავიო? — როგორც ცოლი ეკითხება ხოლმე ქმარს. კვაჭიმ ელენეს ხელზე აკოცა. მერე მოისმა ჩურჩული, დუმი-

ლი, ისევ ჩურჩული. ალექსიმ ჩახველა და კვაჭანტირაძეს გაეგება. გაწითლებულმა ელენემ დაუხვედრა:

— მამა, კვაჭის დედა ჩამოსულა.

გაუხარდათ. კვაჭანტირაძეს არ უნდა მათი შეწუხება, ამიტომ მისი დედა ნათესავთან ჩამოხტა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ხეალვე მოვა იმათ გასაცნობად და მაღლობის გადასახდელად.

საღილი რომ გაათავეს, კვაჭანტირაძემ მოკლედ და მკაფიოდ მოსჭრა:

— ბიძია ალექსი, დროა ჩვენი გულის ნადები და საიდუმლოება მოგახსენოთ. ელენე, ნუ მიღიხარ, შენც უნდა დაესწრო ჩვენს ლაპარაკს. რაღა დაგიმალოთ: მე და ელენეს ერთმანეთი გვიყვარს. დაგვლოცე!

ალექსი მოულოდნელობამ არია. ჯერ სდომდა, მერე წამშამები აახამხამა, თვალები მოიწმინდა და აბუტბუტდა:

— ელენეჯან... ჩემო კვაჭი... ჩემო შვილებო... ღმერთმა გაგაბედნიეროთ... ჩემო შვილებო... ჩემო ელენეჯან... ჩემო კვაჭი!... — თან ხან ერთს ეხვეოდა, ხან მეორეს.

ელენეც ატირდა. კვაჭანტირაძე დადიოდა გამოჭიმული და გაბლენძილი, რადგან მან ერთხელ სიკვდილს გადაარჩინა ალექსი, ეხლა მანვე ამ ოჯახში შემოიტანა განუზომელი სიკეთე და ბედნიერება. ცოტა ხნის შემდეგ კვაჭი და ალექსი კაბინეტში გავიდნენ. კვაჭიმ სთქა:

— პატიოსანი სიტყვა უნდა მომცეთ, ბიძია ალექსი, რომ ამ ამბავს ორი კვირით მაინც უუდიდეს საიდუმლოებად შეინახავთ. ელენეც გაჩუმდება. მერე გავმართავთ ნიშნობას. არც მე ვეტყვიდედა ჩემს. გაჩუმება საჭიროა. მიზეულ ნუ მეითხავთ. მერე მოგახსენებთ.

ალექსიმ პატიოსანი სიტყვა მისცა. მერე დაგუბებული დარღი მოუშვა. მან გადასწყვიტა სახლის გაყიდვა, რადგან „ჩვენს ღროში მხოლოდ ბედოვლათი ინახავს ფულს და სახლს“. კვაჭიმ უნდა მოიამხანგოს ალექსი.

კვაჭანტირაძე ჩაფიქრდა. მერე ლობე-ყორეს მიედ-მოედო: მართალია, საქმე ძალიან კარგად მიდის, მაგრამ... დედამ კვაჭის ხუთი ათასი ლირა ჩამოუტანა. ამ ფულსაც კვაჭი საქმეში ჩაჰკრის. ოქრო საქმეა. გაფართოვება კარგია, მაგრამ... კვაჭანტირაძეს ეშინიან. კვაჭი კვაჭანტირაძე ძალიან ფრთხილი და ანგარიშის კაცია. ვაი თუ... ერთი სიტყვით, მოიფიქრებს.

ბოლოს, კვაჭანტირაძემ ალექსის თითქმის უარი უთხრა. ალექსი თითქმის ეხვეწებოდა. მართალია, სახლი ელენეს მზითევია, მაგ-

რამ სანამ ალექსი ცოცხალია, იმასაც უნდა ცხოვრება და დასვენება. კვაჭანტირაძე მოლბა. ჰყითხავს თავისს ამხანაგს. დღესვე? კეთილი, რაკი ასე ეჩქარება ალექსის, დღესვე მისცემს პასუხს. სახლის უკანასკნელი ფასი? რაო? სამი ათასი? არა, ეს სახლი ეხლა სამი ათასად არ გაიყიდება... კეთილი. კვაჭანტირაძე მყიდველს მოსებნის. ეცდება თუნდ ხუთი ათასში გაასალოს. მაშ ასე: უკანასკნელი ფასი ორი ათას ხუთასი.

დანიშნულთა სადღეგრძელო დალიეს. იყო მხიარულება სამთა შორის, ზემი და ბედნიერება. ალექსი ისევ ატირდა, ელენე სიხარულისგან იწოდა და იცინოდა, კვაჭანტირაძე ისევ ილიმებოდა და იბრინდებოდა.

მეორე დღეს კვაჭანტირაძემ სახლის გასასინჯად ვიღაც თათარი მოიყვანა. გაიმართა დიდი ვაჭრობა: სახლის ქება, ძაგება, განდიდება და დამცირება. სამი დღის შემდეგ ნოტარიუსთან წავიდნენ. საღამოზე ალექსიმ ორას-ორმოცდათი ოქრო ჩაუთვალი კვაჭანტირაძეს და ხელ-წერილი გამოართვა...

— ყოველ შემთხვევისათვის... ვინ იცის, კაცნი ვართ...

— „კვაჭი კვაჭანტირაძე მოვალეა დაუთმოს ალექსი ირემა-ძეს მესამედი სავაჭროსი და ნალდი მოგებისა...“.— ალბათ ასე იწერება სავაჭრო ამხანაგობის ხელშეკრულობა! — ფიქრობდა ალექსი, როცა კვაჭი კვაჭანტირაძეს ხელწერილს ინახავდა საბუთების ყუთში.

მეორე დღეს კვაჭი კვაჭანტირაძე სხვა ბინაზე გადავიდა. უხერხული იყო სიძესთვის ალექსის ოჯახში დარჩენა. სამი დღე კვაჭანტირაძე არსად სჩანდა. პირმოღუშული ელენე თავისს ადგილს ვერ პოულობდა. ალექსი სამჯერ იყო ქვემო ბაზარში, მაგრამ ვერც კვაჭანტირაძე ნახა და ვერც მისი ამხანავი შიქია. ბოლოს, ალექსის უთხრეს:

— ჩვენ კვაჭი კვაჭანტირაძეს არ ვიცნობთ.

— როგორ? მაშ ვისია ეს დუქანი? რაო?! შეელიასი!? მაშ შიქია ნოქარი იყო?!.. არც იცით, სად ცხოვრობს შიქია? რუსეთში წავიდა?..

დარეტიანებული და გაბრუებული ალექსი ბარბაცით უკანვე მოდიოდა, თან გულში ეჭვის გველი მოჰქონდა და გაფითრებულ ტუჩებით ჩურჩულებდა:

— ღმერთო დიდებულო!.. ღმერთო, მიხსენ სირცხვილისა და უბედურებისგან... ღმერთო ძლიერო... ღმერთო დიდებულო!..

სამჯერ აიარ-ჩიარა ალექსიმ ვარდისუბნის ქუჩა. კვაჭანტირაძე ამ ქუჩაზე გადმოვიდა. ცყელგან ეუბნებოდენ:

— აქ არა ცხოვრობს... არ ვიცნობთ... არ გაგვიგია.

ვიღაცას გუშინ უნახავს კვაჭი კვაჭანტირაძე „არტო“-ში. რულეტს თამაშობდა. ამ კლუბის დიდი მუშტარია. ძალიან დიდ ფულს ატრიალებს. თან დასდევს ებრაელი ქალი რახილი. როგორ, ალექსიმ არ იცის, ვინ არის რახილი? მთელმა ქალაქმა იცის. ჯერ ჯანობანის საყვარელი იყო, მერე მამედოვისა, მერე ნეპმანისა. ეხლა ყველას კვაჭანტირაძემ წაართვა. მოთამაშენი მაშინ გაცოცხლდებიან ხოლმე, როცა კლუბში კვაჭანტირაძე გამოჩნდება. ვახშმად ისე არ დაჯდება, თუ ათიოდე კაცი და ქალი არ მოისვა გარსშემ.

საღამოს ცხრა საათიდან ალექსი „არტო“-ს კარებთან ტრიალებს. საათის თერთმეტზე კვაჭანტირაძე ივტომობილით მოადგა კლუბის კარებს. ოთხნი გადმოვიდნენ: ორი ქალი და ორი კაცი. ოთხივენი ისე იყვნენ მორთულ-მოკაზმულნი, რომ შერცხვენილი ალექსი განზე გადგა და გზა დაუთმო. მერე უცებ ქუდი მოიხადა, ამაყად მიმავალ კვაჭანტირაძეს დაეწია და თაკილით, მორიდებით, ლიმილით წაიბუტებუტა:

— კვაჭი... შეილო კვაჭი...

კვაჭანტირაძემ ძლივს მოიხედა და მკვახედ გადმოუგდო: — არ მცალია! — და ხალხში შეერთა.

არც იმ ღამეს ეძინათ ალექსის და ელენეს. გამწარებული და გაბრაზებული ალექსი ბოლოს სცემდა თავისს ოთახში, მუშტებს ულერებდა კვაჭანტირაძეს და იმუქრებოდა:

— მაშ თუ ეგრეა, მე შენ გაჩვენებ, შე ჰარამზადავ, შენა!.. შე სალაბანავ!.. ჯიბგირო!.. დამაცა... დამაცა!..

მეორე დღეს ალექსიმ მიაგნო კვაჭანტირაძის ბინას და ორი საათი უცადა სახლის წინ.

ბოლოს, კვაჭი კვაჭანტირაძე გამოვიდა. ალექსი წინ გადაეღობა. ერთმანეთს სალამი არ მისცეს.

— ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი... ეს რას ნიშნავს?

— არაფერს! — დინჯად და გულმშვიდად მიუგო კვაჭანტირაძემ, თან ოდნავ ილიმებოდა: — დაპირებულ სავაჭროს მალე გავეხსნი.

— როგორ თუ გახსნი? აქამდის მეუბნებოდი, რომ სავაჭრო შენია და შიქიასი?!.

— ეგ ტყუილია. მე ეგ არ მითქვამს. მე და შიქია ვყიდულობთ მეთქი.

კვაჭი კვაჭანტირაძეს არ ესმის ალექსის პრეტენზიები. ალექსიმ კვაჭანტირაძეს ასესხა ორი ათას ხუთასი მანეთი, მაშასადამე, კვაჭანტირაძეს ჰმართებს ალექსისა ამდენივე, მორჩა და გათავდა!.. როდის დაიწყებს კვაჭანტირაძე ვაყრობას? მალე... ნამდვილს ვერ იტყვის. შიქია სტამბოლში წავიდა საქონლის მოსატანად. თუ ალექსის არ შეუძლია მოცდა და აღარ უნდა ამხანავობა, ის უკანვე მიიღებს თავისს ფულს... როდის? როცა შიქია საქონელს ჩამოიტანს და ეს საქონელი გაიყიდება, მორჩა და გათავდა! რატომ აღარ მიდის კვაჭანტირაძე ალექსის ოჯახში? ძალიან ფაქიზი საკითხია... კვაჭანტირაძეს ამაზე ეწოთირება ლაპარაკი, მაგრამ რაკი ალექსის დაუინებით უნდა მიზეზის გაგება, კვაჭანტირაძე იტყვის:

— მაშინ არ ვიცოდი, რომ ელენეს წარსულში რომანი ჰქონია ვანო ხრამელთან.

რაო? თორმეტი წლის წინად იყო ეს ამბავი? გიმნაზიელების უბრალო გატაცება? შორით ოხერა, შორით კვნესა, არა? კვაჭანტირაძემ არ იცის, დარწმუნებული არ არის. შეიძლება, ყველაფერიც იყო... არავინ იცის. ქარა! კვაჭი კვაჭანტირაძეს ისეთი ოჯახი არა აქვს, რომ შეგ ფეხმოტებილი ავეჯი ან გამზარული ვახა შეიტანოს.

— მემუქრებით კიდეც! რით, როგორ? ნუ გავიწყდებათ, რომ მე თქვენთან ვანშამშე ვიყავი ხუთ აპრილს, რომ თქვენ ხმამალლა პროკლამაცია წაიკითხეთ და კანტრ-რევოლუციური სიტყვა სთქვიოთ. თორმეტმა კაცმა დაადასტურა წერილობით, რომ მეც იქ ვიყავი. რაო, პროკლამაცია არ წაგიკითხავთ? სიტყვა არ გითქვამთ? თოხმა თქვენმა სტუმარმა რამდენიმე მოწმის დასწრებით დაადასტურა ეს ამბავი. ათიოდე მოწმე არა ქმარა? თქვენ თვითონ არ მითხარით „იქ“, სარდაფში? ჯალილა არ გახსოვთ? ისიც მოწმეა.

კვაჭანტირაძე ურჩევს ალექსის გაჩუმდეს, ამას ისევ ალექსის ინტერესი მოითხოვს. კვაჭანტირაძე დიდ პატივს სცემს ალექსის, იმის სახელს, ოჯახს და პატიოსნებას, თორებ იქამდის... ერთი სიტყვით, სჯობია ორივენი გაჩუმდნენ. ეხლა კვაჭანტირაძეს არ სცალიან. საჩქარო საქმეები აქვს. ისედაც დაიგვიანა.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ! ჯალილ, წავიდეთ!

და ამაყი სიარულით მივიღა ავტომობილთან, სადაც შოთერს გვერდით უჯდა ახოვანი თათარი, რომელიც ალექსის უღიმოდა, და ამაყად გამოიჭიმა შიგ.

ალექსი ცოცხალ-მყვდარი დაბრუნდა სახლში.

ელენე თითქმის აღარაფერს სჭამდა, აღარავის ელაპარაკებოდა, სახლიდან აღარ გამოდიოდა, ტიროდა, დარდობდა და მამას საყვედურით აქვებდა. ყოველი მისი სიტყვა, მისი დარდი და ცრემლი ალექსის ტყვიასავით ხედებოდა გულში. ალექსი ერთ თვეში ორად მოიხარა, დაბერდა, გათეთრდა, გახდა და დაპატარავდა. ხანგამომვებით, დაკარგული სახლი და გულგატეხილი ელენე რომ მოაგონდებოდა ხოლმე, ცუცხლდებოდა, ცუცხლდებოდა, აპილპილდებოდა: გიყივით დარბოდა თავისს ოთახში, კვანტირაძეს მუშტებს უღერებდა და იმუქრებოდა:

— დაიცა... დამაცა... მე შენ გაჩვენებ, შე ჰარამზადავ, შენა! დაიცა... დამაცა...

ერთხელ ალექსის ოთახში ვინმე ახოვანი თათარი შემოვიდა.

— გამარჯობა, ბიზია! ჯალილა გახლავარ,—თან კაკლის ოდენა თვალებით იღიმებოდა და ცხენის კბილებს თეთრად აელვებდა.

— ჯალილ, შენა ხარ?—გაუხარდა დალონებულ ალექსის.

— ჯალილა ვარ. ვერ მისანით? „იქ“ ზალიან ბნელოდა.

— დაჯექი, ჯალილ, დაჯექი. მიამბე, როგორა ხარ?

— ჩიხ რაზიამ (მადლობელი ვარ), ბიზიაჯან. ჩემმა ზმამ მიშოლა. შენი ტელეგრამი აიღო. ჩიხ რაზიამ, ჩიხ! ეს ფეშქაში აიღე, ბიზიაჯან.—ჯალილამ გახსნა პაწაწა ბოხჩა და გადმოშალა ერთი ადლიანი მშვენიერი ხალიჩა.

— ჯალილ, რად გაისარჯე, რისთვეს, რა საჭირო იყო?

— ბიზიაჯან, შენი ტელეგრამი ზალიან მიშოლა. აიღე, შენი ჩირიმე, თორემ ზალიან მესხინება. აიღე, ბიზიაჯან, აიღე!

ჯალილა იხვეწებოდა, იღიმებოდა, იმუდარებოდა. ალექსიმ დიდი მადლობა გადუხადა, კონიაკით ჩიი დაალევინა, ხილი მიართვა.

— ეხლა კოჩანთირაზეს ყულულს ვაქეთებ. კარგი ბატონია. ბოვრი ფული აქეს. ხუმარა კასია. თქონც სუდი ხუმრობა გიყოთ „იქ“, სხობიც მოატყუა. ბევრი ვისინეთ. ერთხელ თითონ ჩავარდა ორმოში.

— ჩივარდა? მერე, როგორ ამოვიდა?

ჯალილამ გადიხარხარა.

— ბიზიაჯან, კოჩანთირაზე ხუმრობდა. ორმო არ არის. ხა-ხა-ხა!

ალექსიმ ძალაუნებურად შეაღარა ერთმანეთს გათლილ-განა-თლებული კვაჭანტირაძე და ეს გაუთლელ-მოუხეშვი თათარი და გული დაეწვა, აემლვრია და აუშფოთდა.

ჯალილა რომ წავიდა, ალექსიმ ისევ მუშტები მოიღერა და წაიბუტბუტა:

— დაიცა... დამაცა, შე ჯიბგირო, შე ჰარამზადავ!.. დაი-ცა... დამაცა...

მალე მოვიდა დლე ალექსის შურისძიებისა და კვაჭანტირაძის განკითხვისა: კვაჭანტირაძე ისევ დააპატიმრეს და იმავე ბნელ სარ-დაფში ჩააგდეს „გველებთან, ხვლიკებთან, ბაყაყებთან და ჭინკებ-თან“. რამდენიმე დღით ადრე დაიჭირეს კვაჭანტირაძის ამხანაგი შილაძე, რომელიც გამოტეხილა და უთქვამს, ვითომ ხუთ აპრილს, ლამის ორ საათზე იმან და კვაჭი კვაჭანტირაძემ ვერაზე ვიღაც სომეხი გაძარცვეს.

ალექსი ალელებული დარბოდა თავისს ოთახში და ეინის მო-გებით ბუტბუტებდა:

— ლერთი ჰარამზადას ურმით დასდევს, მაგრამ მაინც დაე-წევა ხოლმე... ლერთო მაღალ! საკვირველ არიან საქმენი შენნი და ულმობელ არს სამართალი შენი! ეხლა რას იტყვი, შე ჰარამ-ზადავ, შენა? ეხლა ვინ გიშველის? ალექსი ირემაძის იმედი ხომ არა გაქვს? გიშველი, კარგად გიშველი! ერთ ლოდს მეც მო-გაყოლებ!

ალექსი შურისძიებისთვის ემზადებოდა, მაგრამ...

მალე ალექსი, ელენე და მათი ათი სტუმარი მეორედ, მესა-მედ და მეოთხედ დაიბარა გამომძიებელმა. მას აქეთ ირემაძე აღარ იმუქრება. აგერ მესამე თვეა, რაც დალეულ-დაქანცული ალექსი დაცუნცულებს თავისს სტუმრებთან და ჩაკეტილ ოთახში ში-შით და სიფრთხალით ჩურჩულებს:

— მე ასევ კაჩებე, რომ იმ ლამეს კვაჭი კვაჭანტირაძე... ერ-თი სიტყვით, ჩვენებაში არაფერი შემიცვლია... არ გაბრიყვდეთ, არავინ გადასთქვათ, არ გამოტყდეთ, თორემ... ხომ იცით, ყალბი ჩვენებისთვის ეხლა რა მოველის? გარდა ამისა, გამომელავნდება პროკლამაციის ამბავიც. მართალია, პროკლამაციები მე დაგირი-გეთ, მე წაგიკითხეთ, სიტყვაც ვსთქვი, მაგრამ თქვენც ხომ ყურს მიგდებდით, თქვენც ლაპარაკობდით და პროკლამაციებიც წა-ილეთ!

თორმეტმა მოწმემ ისე შეპქრა პირი, რომ ეს ამერიკული კლიტე ვერაფრით გაალეს—ვერც მარწუხებით, ვერც გასაღებით, ვერც მუქარით და ვერც ალექსით. ალექსი დღე და ღამე ამ კლიტეს დასტრიიალებდა, ყოველდღე მასზე ჰიფიქრობდა და ზრუნავდა, ათვალიერებდა, ზომავდა, ყველას არიგებდა, აშინებდა და გაშმაგებით, დაუინებით, მტკიცედ და თავგანწირვით ებრძოდა გამოძიებას.

ბოლოს, საქმის გარჩევის დღეც მოვიდა. თორმეტმა მოწმემ ფიცი მიიღო. მერე, დილიდან სალამომდის, ყველა მოწმენი, როგორც ერთი კაცი, ერთნაირად იმეორებდნენ—მტკიცედ, დაუინებით და რიხიანად:

— კვაჭი კვაჭანტირაძეს ძალიან კარგად ვიცნობ. ხუთ აპრილს ჩვენთან ერთად ვახშმად იყო ალექსი ირემაძესთან... სწორედ ცხრა საათზე მოვიდა და დილის ექვსზე წავიდა. ძალიან მთვრალი იყო. ოთახიდან ერთხელაც არ გასულა. რას აკეთებდა? რას აკეთებენ ხოლმე ვახშამზე! მუსაიფობდა, მღეროდა, არშიყობდა, ცეკვაედა, სვამდა, მხიარულობდა... დიალ, ამას ვფიცავ და ვამტკიცებ.

და მართლა დაამტკიცეს. შილაძის ჩვენებამ არ გასჭრა. ცხადად დამტკიცდა, რომ შილაძეს უნდოდა კვაჭანტირაძის ჯაერის ამოყრა და მისი ფულის მითვისება. ოციოდე მოწმემ ცხადჰყო, რომ მათ დიდი ხნის ანგარიშები ჰქონდათ, რომ შილაძემ მიიღო კვაჭი კვაჭანტირაძესგან ათასი ლირა სტამბოლიდან საქონლის მოსატანად, მაგრამ ალბათ ფული გაფლანგა. ამიტომ მოინდომა მან კვაჭანტირაძის ჩათრევა ამ საქმეში და დალუპვა, მაგრამ...

— სამართლი კიდევ არის ამ ქვეყნაც!—ყვიროდა ვექილი:— ნემეზიდამ თვისი რეინის ხელი ჩაავლო კისერში შილაძეს, რომელიც ტყუილად ფართხალობს და უდანაშაულო კვაჭანტირაძის გაჭუკიანებით ტყუილად ფიქრობს თავისი შავი სახელის გათეთრებას! დაე, მარტო მან აგოს პასუხი! ხოლო კვაჭი კვაჭანტირაძე უნდა დაუბრუნოთ იმის პატიოსან დედას, იმის უმწიკვლო დანიშნულს და ამოდენა მეგობრებს, რომელნიც აქ უცდიან თქვენს პირუთვნელ განაჩენს. სამართლის ღმერთი თვალაბმულია, მაგრამ ბრმა არ არის. მან უკვე ასწია სასწორი. მოსამართლენო! დაგვიბრუნეთ ეს ახალგაზრდა და ყოვლად პატიოსანი ყმაწვილი, ეს ნიჭიერი, ჰქუიანი, ხერხიანი და სასარგებლო წევრი საზოგადოებისა. ვერა, თქვენ ვერ დასჯით მას! ხელი აგიკანკალდებათ, გული აგიტოკდებათ!

ასე დაამთავრა კვაჭი კვაჭანტირაძის ვექილმა თვისი სიტყვა.

მოსამართლებს მართლა გული აუტოკდათ და ხელები აუკან-
კალდათ. შოლაძე დაიღუპა. ხოლო კვაჭი კვაჭანტირაძე მხიარულის
ლიმილით და თამამიდ ჩამოდიოდა სასამართლოს კიბეზე. მარცხნივ
მოსდევდა მისი „უმწიკვლო დანიშნული“ რახილი, მარჯვნივ—დე-
და, უკან—ვექილი. კვაჭანტირაძე მარჯვნივ და მარცხნივ ხელს აო-
თმევდა თავისს ნაცნობ-ნათესავებს და ეუბნებოდა:

— გმადლობთ, მეგობრებო, დიდად გმადლობთ. ღმერთმა დი-
დი ხიფათისგან მისნა. გმადლობთ... ათასჯერ გმადლობთ.

კარებთან ყველანი შემოეხვივნენ. უცებ კვაჭანტირაძე ალექ-
სის და ელენეს შეეჩება.

— ბიძია ალექსი! ქალბატონო ელენე!.. ღმერთო ჩემო...—
ალექსის გადახვია და ელენეს ხელზე აკოცა:—გმადლობთ, ბიძია
ალექსი! გმადლობთ, ქალბატონო ელენე!... სულით და გულით
გმიდლობთ. დამნაშვევ ვარ თქვენს წინაშე, მაგრამ იმედი ჩაქს,
რომ უკვე მაპატიეთ. ჩემს დღეში ჩავარდნილ ადამიანს ყველაფე-
რი ეპატიება. ბიძია ალექსი!—და ალექსი ცოტა გვერდით გაიყა-
ნა:— ხომ ხედავთ, ამ პარამზადა შილაძემ რა მიყო. რაც დასთესა,
ის მოიმეო. იმოდენა ფული გავითლანგა და კინალამ თან გადა-
მიყოლა. ნუ შესწუხდებით, ბიძია ალექსი. ღმერთი დიდია. თქვენს
ვალს მაინც გადაგიხდით... მალე, ძალიან მალე გადაგიხდით...

მერე მოუბრუნდა ყველას:

— მეგობრებო! ხუთი აპრილის ვახშამი დღეს უნდა გადაგი-
ხადოთ. გთხოვთ ყველას მეწვიოთ ათ საათზე „არტო“-ში. თქვენც
უნდა პატივი მცეთ, ბატონო ალექსი, თქვენც, ქალბატონო ელენე!
კიდევ ერთხელ ყველას მადლობა და გამარჯვება! მაშ ასე: საღა-
მოს ათ საათზე ყველას გელით „არტო“-ში.

ხუთი აპრილის ვახშმის ხსენებაზე ზოგმა გაიღიმა, ზოგმა გა-
იცინა. ჯალილი იყტომობილი მოაგრიალა. კვაჭი კვაჭანტირაძე,
მისი „უმწიკვლო“ რახილი, დედა და ვექილი წავიდნენ. დანარჩე-
ნებიც ნელ-ნელა დაიშალნენ. იმ ვახშამმაც დილის ექს საათამდის
გასტანა. კვაჭიმ ასი მილიარდი გადიხდა.

მას აქეთ, ელენეს რომ გაახსენდება ხოლმე დაკარგული სახ-
ლი, სიმწარით თითებს იკვენტავს. საჭმელს არ ეკარება, კარჩა-
ქიტილში სტირის და დარდობს, ხოლო ალექსი დარბის თავისს
თახაში, დალეულ მუშტებს ულერებს დაკარგულ სიძეს და
იმუქრება:

— დაიცა... დამაცა, შე ჯიბგირო, შე ჰარამზადავ, შენა!.. ლმერთი დიდია, გადაგიხდის... დაიცა... დამაცა...

— ლა-აზათ! ლა-აზათ! — იტყოდა ხოლმე ჯალილა, როცა ამ ამბავს მოიგონებდა.

აქა ამბავი რახილის ლალატისა.

მთა მთას არ შეხვდება, ადამიანი კი ადამიანს ყოველთვის შეხვდება. დაუნდობელმა ბედმა ეს ანდაზა კვაჭანტირაძეს კისერზე გამართლა.

იმ საღამოს კვაჭიმ ძლივს გასწყვიტა უკანასკნელი ძაფი, რომელიც რახილის და კვაჭის აერთებდა. ახირებული ქალი იყო რახილი! მთელი თვისი ქონება, ოცი წლის ოფლით, ქშენითა და წერტუნ-ლმუილით ნაშოვნი, ზედ ეკიდა: ზოგი ყელზე, ზოგი ყურებზე, ზოგი მკერდზე და ზოგიც თითებზე. ერთხელ რახილმა გადააჭარბა და, კვაჭის წყალობით, ისე დათვრა, რომ კვაჭიმ ის დედაკაცი ძლივს. აიყვანა მეორე სართულში. აიყვანა და სწორედ ათი წუთის შემდეგ დაუბრუნდა ავტოს, სადაც მას ვალიკო კალმაძე უცდიდა.

— წადი, ვალიკო, წადი. კარგი დრო გაქვს: რახილი სულ შენზე ლაპარაკობს.

ვალიკო რახილს დასდევდა და თავისს ჯერს უცდიდა, მაგრამ კვაჭის ნებართვამ მაინც გააკვირვა.

— შენ ამბობ მაგას, კვაჭი?

— კი, მე ვამბობ! თავი მომაბეჭრა, აღარ მინდა.

ვალიკო რახილთან აეიდა, კვაჭი კი სახლში დაბრუნდა.

მეორე დღეს დაფეხებული რახილი კვაჭის შეუვარდა.

— ჩემი განძი!.. ჩემი საყურეები!.. ბეჭდები! წაილეს, ყველაფერი წაილეს!

— ვინ? ვინ წაილო?

რახილმა არ იცის. ან კვაჭი წაილებდა, ან მოსამსახურე, ან კიდევ... ვალიკო.

— ვალიკო? ვალიკო წუხელის შენთან იყო?

იყო, ერთი წუთით შეირბინა, თუმცა რახილს არაფერდ ახსოვს, რადგან ძალიან მთვრალი იყო.

ერთის წუთით? ხა-ხა-ხა! იცის კვაჭიმ, ყველაფერი იცის! ვალიკო რახილის ოთახიდან დილის ხუთ საათზე გამოვიდა. დიდი ხანია, რაც კვაჭი უთვალთვალებს რახილს. დღეს დილით, როგორც იყო, სიმართლე გამოირკვა. ჰოი, ორგულო, მეძაო, ცბიერო დედაკაცო!

აპატიე რახილს, კვაჭი, აპატიე! რახილი მართლა მთვრალი იყო. შენი ბრალია, რახილმა რომ გილალატა, შენი! რად ჩააცივდი გუშინ?! რად დაალევინე იმდენი შემანური?!

არა, კველაფერი გათავდა! მორჩა და გათავდა! კვაჭი ღალატს ვერ აპატიებს. სისხლი უნდა დაიღვაროს, სისხლი! ტყუილად ეხვეწები კვაჭის, რახილ! ტყუილად ისველებ მობერებულ ლოყებს ცრემლით. ერთ ღამეში დაგექარგა მდიდარი საყვარელიც და ოცი წლის ნამუშავარიც! შენი ბრალია! ახია შენზე! მეორედ აღარ დათვრები. ხელახლად უნდა დაიწყო შენი გაცვეთილ საწარმოო იარალით სიბერისთვის ზრუნვა. ნუ სტირი, ნუ! შენი ცრემლით კვაჭის ვერ ჩამოურეცხავ ჩირქს. შენი განძეულობა? კვაჭი გიშველის. ამაზე მეტს კვაჭისგან ნურაფერს მოელოდები. გიშველის და დანაკარგს გაპოვნის, ოლონდ ერთის პირობით: ხმას ნუ ამოიღებ და საწყალ ვალიკოს თაეს ნუ მოსჭრი. ვალიკო კვაჭის მეგობარია; მას უმწიკვლო სახელი აქვს. ნუ დაპლუპავ ახალგაზრდა ვაჟს, ნუ შეურცხვენ პატიოსან დედ-მამას.

კვაჭი და ვალიკო საქმეს შეუდგნენ. ძლიერ მორიგდნენ ერთ-მანეთში. „ხვალ ან ზეგ“ აღარ თავდება. ბესო შუამავლობს. რახილის დამჭერა ყურნში ნელნელა სწვეთავს საამური შხამი: „რახილ! კვაჭი შენს ღალატს ივიწყებს... კვაჭის ისევ უყვარხარ... წინანდელზე მეტად უყვარხარ. კვაჭი დაგიბრუნდება, უეჭველად დაგიბრუნდება, ოლონდ მისი მეგობარი ვალიკო უნდა დაინდო, არ უნდა დაპლუპო... დანაკარგს კვაჭი აგინაზღაურებს, ერთს ორად დაგიბრუნდებს“.

კვაჭიმ დარღი დაიმშვიდა და რახილს დაუბრუნდა. დაივიწყა კვაჭიმ შენი ღალატი, რახილ! შერიგდით და კვლავ გადააბით სიყვარულის დაწყვეტლი ძაფები. კვაჭის სიყვარულთან ის განძი სახსენებელიც არ არის. დაივიწყა კვაჭიმ შენი ღალატი, რახილ! სამაგიეროდ შენც უნდა დაივიწყო ჯიბგირი ვალიკო და შენი ზიზილ-პიპილო სამკაული. რამდენი ლირდა შენი ნივთები? ათი ათასი? მეტი არა? განაღირდე თვეში აგინაზღაურებს. უეჭველად, უეჭველად აგინაზღაურებს! სწორედ ისეთსავე ნივთებს გიყიდის, თუნდ ფულით გადაგიხდის. მაშ შერიგდით? დაივიწყეთ დაკარგული განძეულობა და ღალატი? კეთილი და პატიოსანი! მაგაზე უკეთესი რაღა იქნება! მშვიდობა და სიყვარული სულსა და ხორცსა თქვენსა, რახილ და კვაჭი! იცხოვრეთ, იცხოვრეთ და-ძმურად, ცოლ-ქმრულად, ტყბილად და ადამ-ევურად! სულ ერთია, ამ მწარე სიცოცხლეში სიყვარულის და სიტქბოების მეტი არაფერი შეგრჩებათ. მაშ შეიყვარეთ ერთმანეთი, ვითარცა ტრედებმა! ჩაეხუტეთ ერთმანეთს, ვითარცა დამ-

შეული მგლები! იმაკინტლეთ, ვითარცა მაიმუნებმა, და იმძუვნეთ, ვითარცა კატებმა!

ნელა, კვაჭი, ნელა! უცბად ნუ დასწუვეტავ გაცვეთილ სიყვარულის ძაფებს, ხეპრულად ნუ მოჰვეჯავ შენს დალლილ გულს რახილის გაჩვარებულ მკერდს! ფრთხილად... ნელ-ნელა... თანდათან... აი, ეგრე, ეგრე... ოდნავ გმოსწიო ეგ ძაფი. ღლეს ავადა ხარ, ხვალ სახლში არ დაუხვდები, ზეგ გადაუდებელი საქმე გაქვს, მაზეგ ქუთაისში წახვალ, მერე... მერე ბესოს მიასწარი რახილის ლოგინში. ნუ, კვაჭი, ნუ! არ ესროლო, არ ესროლო ბესოს! კვაჭი! კვაჭი! არ მოჰკლა რახილი! არ მოჰკლა! დამშვიდდი, კვაჭი, დამშვიდდი... გონს მოდი... გათავდა თქვენი სიყვარული! სამუდამოდ გათავდა! დაიმსხერაორი შეერთებული გული! დაინგრა ტრედების ბუდე! ნუ სტირი, კვაჭი! ნუ სტირი... მეგობარმაც გილალატა და საყვარელმაც. ჰოი, გველის წიწილებო! ჰოი, ორგულო მეგობრებო! ჰოი, უმაღურნო და ორპირნო! მშვიდობით, რახილ! მშვიდობით, ბესო! ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. რაკი ერთმანეთი გყვარებიათ, კვაჭი ხელს არ შეგიშლით, კვაჭი არ გაგურით. მშვიდობით... მშვიდობით!..

აქა ამბავი წარსულის გამოჩერეკისა და ერთი სახწაულისა.

ეს საზარელი ამბავი იმ ღამეს მოხდა, იმ საზარელსა და დაუკიშყარ ღამეს, ოდეს მთა მთას არ შეხვდა, სამაგიეროდ კვაჭი რახილს მოსწყდა და თავისს კიბეზე ერთს დავიწყებულ ადამიანს წააწყდა.

— შესდექით! ხელები ზევით ასწიეთ! არ გაინძრეთ, თორემ აქვე გაგათავებთ!

დამშვიდდით, მოქალაქენო, დაწყნარდით! კვაჭი შესდგება, რათქმა უნდა, შესდგება... ხელებსაც ასწევს, არც გაინძრევა! კვაჭის იარალი არა აქვს, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ დამბაჩები დაუშვათ, ან იქით მისწიოთ, თორემ უცაბედად შეიძლება... ვინ იცის, უბედური შემთხვევა ათასობით მომხდარა.

მაინც, ვინ გნებავთ? „კვაჩი კვაჩანტირაზე?“

— მე გახლავართ. რა გნებავთ ჩემგან? მე თქვენ არ გიცნობთ.

— სამაგიეროდ მე გიცნობთ. თუმცა... მართლა არ მიცნობთ? აბა, დამაკვირდით და მოიგონეთ!

ღმერთო ღიღებულო! ხუთი წლის წინათ, უქრაინაში... ეს ჩეკელი ისე დასდევდა კვაჭის, როგორც კატა თაგვს. ბოლოს, დაიკირა, მაგრამ კვაჭიმ „აბრუნდი“ ჰქმნა და ეს კატა თვითონვე ქვეშ

მოიყოლა. პავლოვმა და ბესომ მაშინ გენიალური „ნომერი“ გააკეთეს: კვაჭი მოიტაცეს და ეს კატა ხაფანგში გაახვიეს. მერე ეს ჩეკელი გზაში გაეპარათ .. მერე ცხარე ბრძოლა... დახოცილები... სისხლი.

— ახია ჩემზე, ახი! — გულში იღრინება კვაჭი და მისდევს ჩეკელებს: — აქმდის ასჯერ შემეძლო გაპარვა, მაგრამ ასჯერ გადავდე; ქონების გაოთხება და გახუთება მინდოდა. ძუნწი ტუტუცი ორის დევნაში ერთსაც დაპკარგავს. ბესო, რატომ არ დამიჯერე, რატომ ძალით არ გამათრივ წითელ „სამოთხიდან“!?

გაჩერიკეს, ჩასწერეს და ერთი საათის შემდეგ ისევ გაიყვანეს. ერთის მაგიერ სამი გამომძიებელი მიესია. ის ჩეკელიც იქვე ზის და ზეიმით იღიმება. ღმერთო! ჩემო! ყველაფერი სცოდნიათ, ყველაფერი! მისი ცხოვრება ისე წაუკითხეს, როგორც კარგი რომანი. გვერდი გვერდი მოსდევდა და ფურცელს ფურცელი. ბოლოს, უთხრეს:

— გამოტყდით.

პასუხის ნაცვლად კვაჭიმ გაიღიმა და ჰეკითხა:

— ერთი მიბრძანეთ, საიდან და როგორ მოაგროვეთ ამოდენა ამბები?

— მართალია თუ არა ეს ამბები?

მართალზე უარესია. მე რომ დღიური მეწერნა, მაგაზე უკეთესს ვერ დავწერდი.

სამივენი გაიბრინდნენ ქებისა და ნატიფი ნამუშავარის გამო.

— მაშ, მაშ! — წამოიძახა კვაჭის მდევარმა: — ისე სუფთად ვმუშაობთ ჩვენ.

— ამხანაგებო, არ ვაჭარბებ: ასეთი კოხტა ნამუშავარი ნივთიც არ მინახავს და რომანიც არ წამიკითხნია.

— მაშასადამე...

— მაშასადამე, ათი წელიწადი რომ ვიჯდე აქ და ვიფიქრო, ერთ ამბავსაც ველარ მოვიგონებ. მანდ ყველაფერი სწერია, ყველაფერი. საკვირველი ნამუშავარია, საკვირველი! ინებეთ, ამხანაგებო, თითო პაპიროსი, ძალიან კარგი თამბაქო.

— მაშ დაესწეროთ?

— დაიწყეთ.

სამი სალამო და სამი დილა სწერეს. ბოლოს, როცა გაათავეს, კვაჭიმ სთვა:

— ეხლა თქვენთვის საჭირო აღარა ვარ. ერთი პაპიროსი კი-დევ ინებეთ. მეტებში გადამიყვანეთ. კარგი თამბაქოა, განა! ამ თამ-

ბაქოს ერთი ბებერი გენერალი ჰყიდის. იაფიც არის და კარგიც. ის გენერალი სცხოვრობს მამა-დავითის ქუჩაზე, № 4. მეტებში გადამიყვანეთ მეთქი. როცა ჩემი ჯერი მოვა, გამომიყვანეთ და საბურთალოზე...

— ვითომ ეგრე გათავდება თქვენი საქმე?

— რა თქმა უნდა! მე მზადა ვარ. მე ჩემი გზა დავლიე. ვაი იმას, ვისაც არ უცხოვრნია, თორემ მე ცხოვრებისგან ჩემი წილიც მივიღე და ათასი სხვასაც წავართვი. მაშ ასე: ჩემი უკანასკნელი თხოვნა ეს არის — მეტებში გამგზავნეთ.

— კეთილი. მოვიფიქრებთ.

ერთი კვირა იფიქრეს, მერე კვაჭის დაუძახეს და მეტების ციხეში გაპეზავნეს. კვაჭი იმ შენობაში შეიყვანეს, რომელიც მტკვარს და აბანოებს გადასცერის. ერთი საკანი გაულეს და კარები უმალვე მიუკეტეს. კვაჭი ელდა ნაკრავით შესდგა. იმის წინ ტახტზე პავლოვი იჯდა და პირდალებული კვაჭის შესცეროდა.

— პავლე, შენა?.. აქა?

პავლემ პირი მიიბრუნა, მერე ისევ მოუბრუნდა და წაილულლუდა:

— მე... მე... შენ...

და წვერ-ულვაში ცრემლით დაისველა. მეტი ველარაფერი სთქვა. იდგა და თვალებს იწმენდავდა.

— დაჯექი. დაჯექი და მიამბე.

კვაჭიმ ძალით დასვა პავლოვი და თვითონაც გვერდით მოუჯდა. პავლე ისევ სტიროდა და ჩურჩულებდა:

— ახია ჩემზე, ახი! მოლალატეს ასე უნდა, ასე! მე... შენ... მე ნამდვილი არამზადა ვარ, ნამდვილი! დღეს თუ ხვალ გამათავებენ... მეტის ლირისც არა ვარ.

დიდხანს იყუჩეს. მერე კვაჭიმ მხარზე ხელი დაადო და ტკბილად უთხრა:

— პავლე, დამშვიდდი და მიამბე, როგორ მოხდა ის ამბავი?

— უბრალოდ. ათჯერ და ასჯერ გთხოვეთ, აქედან წავიდეთ, ხიფათს თავი გავაშოროთ მეთქი.

— მართალია.

— შენ არ დაგვიჯერე.

— ეგეც მართალია. არ დაგიჯერეთ და ჰქუაც წავაგეთ.

— მარტო მე ვერ წავედი. ფულიც არ მქონდა.

— რატომ არ მთხოვე?

— იმიტომ რომ... უშენოდ არც წავიდოდი. მერე შემთხვევით წავაწყდი კედელში ჩაქედილ სალაროს. გავაღე და... წავსწყდი... სულმა წაძლია. ახია ჩემზე, ახი!

— მერე, მერე?

— მერე... ის განძი ამოვალაგვე და ბათომისკენ წავედი. გზაში ვიღაცამ თვალი დამადგა. ჩავედი ბათომში. ის კაციც გამომყვა. გზა ავურიე. ისევ მომდევს. სასტუმროში შევედი. ისიც მომყვა. ერთი ოთახი მომცეს. ის განძი საჩქაროდ რკინის მაღალ ფეხში დავმალე, ნაცარი მივაყარე და მაშინვე მეორე ოთახში გადავედი. ერთი საათის შემდეგ დამიქირეს.

კვაჭიმ მხოლოდ ეხლა მიაქცია ყურადღება მეორე ტუსალს, რომელიც მეორე ტახტზე იწეა და ფშენიავდა.

— ნუ გეშინიან! — სთქვა პავლოვმა: — მაგ ტუსალს ისე სძინავს, რომ ზარბაზანიც ვერ გააღვიძებს. არც რუსული იცის.

— მერე, მერე?

— ჯერ ერთი პაპიროსი მომეცი. მაღლობელი. სადაც მომას-წრეს, ის ოთახი გაჩხრივეს, მეორე ოთახში კი არ შეუხედნიათ.

— მაშ ის განძი....

— აღბათ ეხლაც იმ ფეხში ინახება. ზაფხულია, ცეცხლს არავინ დაანთებს. არც იმ ნაცრის გაქექვას იფიქრებს ვინმე. მე დამაპატიმრეს. ორი თვე ბათომში ვიჯექი. მერე აქ გადმომიყვანეს. მინდოდა შენთვის შემომეთვალი, მაგრამ...

— მაგრამ?

— ჯერ მცხვენოდა. მერე რამდენჯერმე დავაპირე, მაგრამ ვის ვენდობოდი? ვისაც ვეტყოდი, თვითონვე წავიდოდა ბათომში და იმ განძს მიითვისებდა. ვიჯექი, ვიტანჯებოდი და რაღაცას ველოდებოდი. რას მოველოდი, არც მე ვიცი.

— დღევანდელ დღეს.

პავლოვს გაუხარდა:

— ჰო, ჰო! დღევანდელ დღეს, დღევანდელ ბედნიერ დღეს. შენ გახვალ, მაღე გახვალ და...

— დამშეიდდი, პავლე, დამშეიდდი. მეც ისე გავალ აქედან, როგორც შენ. ერთმანეთს ნუ ვატყუებთ. ჩვენი საქმე გათავებულია.

— გათავებულია! — დაეთანხმა პავლოვი.

— ეგ ამბავი უნდა როგორმე შევატყობინო სილიბისტროს ან ბესოს. ისინი მაინც გამოიყენებენ. ეს ამბავი გავათავეთ. ეხლა მითხარი, ეს ვინ არის, ასე გულიანად რომ გაქიმულა?

— ესა? ვიღაც სულელია. შემთხვევით არის დაჭერილი. დღეს ან ხვალ გაუშვებენ. იყად არის.

— რით? რა სჭირს?

— ძილით. მხოლოდ საჭმელად აღგება ხოლმე. აკი გითხარი, ზარბაზანიც ვერ გააღვიძებს მეთქი.

ზის კვაჭი კვაჭანტირაძე სარკმელთან და ქალაქს გადასცემის. დაბლა, კლდის ძირში მტკვრის ზოლი მოსჩანს. გაღმა თათრები და დაბაბანის მუშები დაფუსტუსტებენ. ღრმა ხევში, სადაც აბანოების თბილი წყალი ჩამოდის, დაბაბანიაყებული დედაკაცები სარეცხს ჰრეცხავენ. მარჯვნივ ნარიყალას ციხე მოსჩანს. კოშკისა და კლდის ძირში ბორტანიკური ბალი ჩატოლილა. მარცხნივ და პირდაპირ მთის ბილიკებით ვირებს ნახშირი და მაწონი მოაქვთ. მტკვრის ნაპირზე, განიერ აივანზე თათრების ოჯახი ჩაის შეექცევა. მეორე სახლში გრამოტონი ხრინწიან ბაიათს გაჰქივის. სადღაც დანელრეული არ-ლანი ხრიალებს.

ზის კვაჭანტირაძე და თავისს ბედზე ფიქრობს. მაშ ასე: აი, სად და როდის დაეწია კვაჭის ბედი—მდევარი! აი, სად დასწვდა კვაჭანტირაძეს სულთამბუთავი! აი, როგორ თავდება მისი ჭრელი და ჩიქორთული სიცოცხლე! მერე როგორ! ასე უღვთოდ, უკაცურად და ჩალურად?! ვინ იცის, ვინ მოსთვლის, რამდენჯერ გაუსხლტა კვაჭი ხელიდან ავბედით სიკედილს და რამდენჯერ გამოვარდა გა-საპნულ ყულფიდან! მთელი ქვეყანა ნადირობდა კვაჭანტირაძეზე, მაგრამ მას უჩინმაჩინის ქუდი ეხურა; გერმანელ კრეისერებსაც გაუ-სხლტა; დემირ-თეფეს ზეგანზე ხიშტებით დასცხრილეს და ხმლებით აჰკეცეს, მაგრამ მაინც წამოდგა და „გაშტიკინდა“; პეტრე-პავლეს ციხეში სახიობელა აუგეს, მაგრამ იქიდანაც გამოფრინდა; უკრაინის შინდვრებში ცხრა კაცით ორმოცს სძლია და წითელ ხაფანგებიდან ათვერ მაინც ამოიგლიჯა თავი. ეხლა კი... აქ, სამშობლოში... ეხ-ლა... ნუ თუ? ნუ თუ ერთხელ კიდევ ვერ გაანგრევს კვაჭი სქელ კედელს და ერთხელ კიდევ ვერ გაადონბს რკინის გაღიას?! ღმერ-თო დიდებულო, შენ უშველე კვაჭი კვაჭანტირაძეს! ღმერთო ძლიე-რო, ერთხელ კიდევ მოქმარე შენს ურწმუნო კვაჭის! ღმერთო ზე-ციიერო, ერთხელ კიდევ მოახდინე სასწაული! შენი უძლები კვაჭი სამუდამოდ დაუბრუნდება შენს წმინდა სამეფოს, სამს ეკლესიას ავიშენებს, პირნათლად ადიდებს შენს წმინდა სახელს და ერთგუ-ლად ემსახურება შენს დიდებულ ეკლესიას. ღმერთო, შეისმინე კვა-ჭის ლოცვა! ღმერთო, მოუვლინე მას შენი სასწაული და მიეც მო-ნასა შენსა კვაჭის თავისუფლება, სიცოცხლე და ბედნიერება!

სასოებით ლოცულობს კვაჭი კვაჭანტირაძე. მძაფრად ფიქრობს სილიბისტროს შვილი. მისი ტვინი ცეცხლზე იწვის. შუბლზე ნათელი ადგია. თვალებში ელვა დაურბის. გული უჩქროლავს და სული უდუღს.

ბოლოს, შესდგა და გაშეშდა. მაგრად მოკუმულ ტუჩებზე ლიმილი აუთამაშდა და დაჭმულული შუბლი გაეშალა. უცებ მძინარე ტუსალს ეცა და დაანჯლრია.

— შენ ჰეი, ძმობილო! ადექი! ადექი! გესმის? გაიღვიძე მეთქი!

რამდენჯერმე გადაატრიალა, გადმოატრიალა, ფეხით დაითრია, ყურები დაუსრისა და თვალები ძლივს გაახელინა.

— გაიღვიძე მეთქი! მგონი, შენ დაგიძახეს. შენი სახელი? ჰა, ივანე? პავლე, ჩასწერე. მამის სახელი? გვარი? ჩილიკაშვილი? პავლე, ჩასწერე! რამდენი წლისა ხარ?.. სადაური ხარ? პავლე, არ შესცდე! რა საქმეზე ხარ დაჭერილი? კეთილი. მეტი არაფერი. შენ არ გვაძლენენ. დაიძინე! — მერე პავლეს მიუბრუნდა: — გესმის? ვერ გაიგე? დღეს ან ხვალ გავალ... გავალ მეთქი! დიალ, გავალ, გავალ! აგისსნა? რა თქმა უნდა, აგისსნი. შენც უნდა მიშველო. ერთი მითხარი, ზედამხედველინი იცნობენ თუ არა ამ ტუსალს?

— არავინ იცნობს. გუშინწინ მოიყვანეს. დღემდის ეზოშიც არ გასულა.

— ძალიან კარგი. ეხლა მითხარი, რა დროს ანთავისუფლებენ ხოლმე ტუსალებს?

— საღამოობით, ცხრა საათის შემდეგ.

— ძალიან კარგი. ეხლა მისწავლე, როგორ შეიძლება ვიშვენო ბრომი?

— ბრომი მე მაქვს, ექიმმა მომცა.

— მართლა? მაშ ღმერთმა ჩემი ლოცვა შეისმინა. ეხლა სამი საათია. შენ ჰეი, ივანე! ადე, ადექი! მარტო შენ ხომ არა ხარ ამ ციხეში? პავლე, დაწექი შენს ტახტზე და ეს ტუტუცი ახლოს არ მიიქარო. რამდენიც უნდა გეხვეწოს, მაგ ტახტზე არ დააწვინო. შენ ჰეი, ივანე, ადექი მეთქი! აქ ორი ტახტია, ჩვენ კი სამნი ვართ. ორი დღეა, რაც თვალი არ დამისუნებია. მე დღისით დავიძინებ, შენ კი ლამით დაიძინე. აბა, წამოდექი! წელი ნუ გწყდება! პავლე, სწორედ შვიდ საათზე გამაღვიძე.

კვაჭი ივანეს ტახტზე მიწვა, ივანე კი თვალების ბლეტვით და ფშვნეტით საკანში ისე დაბარბაცებს, როგორც მთერალი დათვი. საღამოს შვიდ საათზე პავლემ კვაჭი გააღვიძა.

— ძმობილო, ავად ხომ არა ხარ?

— როგორ არა ვარ ავადა? ვარ, მაშა! კუჭი მტკიცა.

კუჭი? შე კაი კაცო, რატომ აქამდის არ უთხარი კვაჭის? კვაჭი ექიმია, განთქმული ექიმია. შენისთანა ათი ათასი მაინც მოურჩენია. აი, წამალიც აქ არის. პავლე, მოიტა ეგ ბრომი. აბა, დალიე და დაწექი.

ხუთი წუთის შემდეგ ივანე მადიანად ახერინდა. კვაჭი ნერვიულად დარბის. ცხრა საათი... ათი... თერთმეტი... გამოსაშვები ტუსალები გამოუშვეს. ციხეში დუდუნი და ბზუილი თანდათან მისწყდა.

კვაჭის არც თვითონ სძინავს, არც საწყალ ივანეს აძინებს. წევს ივანეს ტახტზე და ჭერს შესცემოს. მხოლოდ სალამოზე მისცემს ივანე ჩილიკაშვილს „კუჭის წამიალს“ და დააძინებს. თვითონაც რიერაზე სდგება და ივანესაც აღვიძებს. ივანე ზოგჯერ იატაქზე გაწვება, მაგრამ კვაჭისაც სწორედ იმ დროს მოუნდება ხოლმე ვიწრო საკანზი სეირნობა. ივანე რომ ტახტზე გაიშოტება, კვაჭისაც სწორედ იმ დროს მოუნდება ძილი. არც კვაჭი გაღის სეირნობისთვის და არც ჩილიკაშვილს აღლებს ამის ნებას. საკანიც დაკეტილი აქვს. რაღაცას ელის კვაჭანტირაძე. ელის და მოლოდინში სული უდულს და გული მისდის.

მეოთხე დღეც ძლიერ მიიწურა. კვაჭი მეათასჯერ ზომავს საკანს. წელ-მოწყვეტილი ივანე კედელს მიჰყუდებია. ვერა ჰედედავს ტახტზე წამოწოლას, რომელიც კვაჭიმ მიითვისა.

— მმობილო, ჩემ ტახტზე ნუ წვები, თორემ ტილებით გაივსება ჩემი ლოგინი.

ცოტა რომ მობინდდა, კვაჭიმ ბრომის უკანასკნელი დოზი გაუშოდა ივანეს.

— დალიე და დაიძინე.

ივანემ დალია და მიწვა. ისე სძინავს ჩილიკაშვილს, როგორც თათრების სასაფლაოს, რომელიც გაღმა მოსჩანს, გორაკის ძირში. რეა საათია. ცეცხლ-მოკიდებული კვაჭი შეუჩვევილ აფთარივით ტრიალებს საკანზი. ცხრის ნახევარია... ცხრა... ათის ნახევარი გახდა. კვაჭი ტალანტია და იმ ფანჯარასთან სდგას, რომელიც ეზოს გადაპყურებს. ეზოში ციხის მოსამსახურე ჰყვირის:

— გოორგი ჩოქრაშვილი-ი-ი...

და იმავ წუთს რამდენიმე მამასახლისის გამოძახილი ისმის:

— გოორგი ჩოხრიშვილი! ჩოქარიშვილი!

საიდანმე ხმას მისცემენ:

— აქ არის, აქა!

ამოიკითხეს ოთხი გვარი... ხუთი... ექვსი... შვიდი...

უცებ ეზოდან მოისმა:

— ივანე ჩილიკაშვილი!

— ივანე შირიკაშვილი! ივანე ლიჩიკაშვილი! — ხმა მისცეს აქეთ-იქიდან მამასახლისებრა.

— აქ არის, აქა! ზდეს, ზდეს! — ჰყვირის კვაჭი და საკნისკენ მირბის.

— პავლე, მშვიდობით! მშვიდობით.

— მშვიდობით... სამუდამოდ... სამუდამოდ!.. — ბუტბუტებს პავლოვი, კვაჭის ებუტება და პირსახეს ცრემლით უსველებს.

ივანე ჩილიკაშვილს კი ისე სძინავს, როგორც რიყის ქვას. კვაჭიმ უმაღ ყბები, ნიკაპი და ტუჩები ხელსახოცით აიკრა (კბილები სტკივა კვაჭის!), ქუდი თვალებამდის ჩამოიფხატა, ბოხჩა იღლიაში ამოიჩარა და ტალანში გავარდა. სირბილით გაირბინა ტალანი. კიბეზე ჩასხლტა და ეზოში გავიდა. მოეშვა, მოიბუზა, თავი მქერდზე ჩამოიყუდა და ეზო გადასჭრა. ალაყაფის კარების გვერდით პატარა ოთახია.

— თქვენი გვარი და სახელი? — ეკითხება ციხის მოსამსახურე და სქელ დავთარს ჰუსტონის.

— ივანე ჩილიკაშვილი ვარ, შენი ჭირი მე! — ტეტიურად უქცევს კვაჭი.

— რამდენი წლისა ხართ?

— მეონი, ოცდა ათისა ვარ, შენი ჭირი მე.

— ოცდაათისა? — ეკითხება ციხის მოხელე და კვაჭს აცქერდება.

— მეონი, ოცდაათისა ვარ, შენი ჭირი მე! აბა, რა ვიცი, იქნება მეტისაც ვიყო, იქნება ნაკლებისა.

— ეგ რა დაგემართა, ახვეული რაღა ხარ?

— კბილები მტკივა, შენი ჭირი მე! — ჰყნავის კვაჭანტირაძე-ჩილიკაშვილი.

— როდის მოგიყეანეს მეტებში?

— ერთი კვირა იქნება.

რას ჩააცივდა კვაჭის ეს კაცი? რად უხვრეტავს ბურლივით თვალებს? რა უნდა კვაჭისგან?

— რად დაგიჭირეს?

— იმიზა, რომე... შარი მომდვერს, შენი ჭირი მე, ვითამ მე...

და ენა მოიკვნიტა, აინთო და გახევდა. ციხის მოხელე თვალს არ აშორებს ალექსილ კვაჭის და დიღხანს ილიმება. მერე ეკი-თხება:

— იმიზა, რომე? ქართლელები ეგრე ლაპარაკობთ? იმიზა რომე... იმიზა რომე... ჰმ...

— ქართლელი ვარ, შენი ჭირი მე, მაგრამ ოცი წელიწადია, რაც ერთ იმერელთან ვმსახურობდი, ამიტომ ამერია იმერული და ქართლური.

— ვისთან მსახურობდი?

— კვაჭი კვაჭანტირაძესთან, შენი ჭირი მე.

— კვაჭანტირაძესთან? ვიცნობ, შორიდან ვიცნობ. გამიგია. ეხლა აქ არის.

— სადა, შენი ჭირი მე?

— აქ, მეტებში. არ იცოდი?

— მითხრეს, შენი ჭირი მე. არ კი მინახავს.

კვაჭი, გაჩუმდი! გაჩუმდი, კვაჭი! გეყო, რამდენიც შესტოპე, თორემ...

— დიდი კაცია კვაჭანტირაძე... — ამბობს მოხელე და წიგნში რაღაცას სწერს: — ვინ იცის, რას არ ლაპარაკობენ!

— ძალიან დიდი კაცია, ჩემო ბატონო, ძალიან! მარა ტყუა-ლა დეილუპა კაცი.

— დეილუპა! დეილუპა კი არა, დაილუპა, და-ილუ-პა! ძალიან გაიმერლებულხარ.

— მართალია, შენი ჭირი მე.

— ეს ქალალდი თან წაილე, თორემ ხელ-მეორედ დაგიჭე-რენ. ეხლა წადი... — და ზედამხედველს მიუბრუნდა: — ეს კაცი გა-ატარე.

— მადლობელი, შენი ჭირი მე, მადლობელი.

ალაყაფის კარები ჭრაჭუნით იღება. აი, მეორე კარებიც... მესამეც... კვაჭის თავბრუ ეხვევა. გული ლამის გადმოუვარდეს. ტვინი ცეცხლში ეხრაკება. კარის დარაჯები ისე ათვალიერებენ, თითქო ყველაფერი იციანო. აი, ჯარის კაცაც გაუარა ვეერდით, ვიწრო ქუჩა გადასჭრა და თავდაღმა დაეშვა. ციხის ძირში კიდევ სდგანან დარაჯები. კვაჭის უყურებენ. კვაჭი თითქმის მირბის. ცი-ხეს გასცდა, პატარა მოედანი გადასჭრა, ავლაბრის ხიდი გაირბინა და ეტლში ახტა:

— სიონისკენ!

მიღის ეტლი ბნელი ქუჩებით. გაიარა სიონი, ანჩისხა-
ტი, ვანქი; მტკვრის ნაპირით საპიორების ყაზარმებთან ავიდა,
მარცხნივ მოუხეია და რუსთაველის ხეივანის ბოლოზე გავიდა.
დაწყევლილი ალაგია! ნამდვილი ხაფანგია! კვაჭი ვერაზე უნდა გა-
ვიდეს. ვერის დალმართისა და მოსკოვის ქუჩის კუთხეს ვერ ასცდე-
ბა. აქ ყოველ ნაბიჯზე თითო აგენტი მაინც სდგას. ხაფანგია, ნამდ-
ვილი ხაფანგია!

— შენ ჰეი, ძმობილო, გარეკე! ცხენები გარეკე!

კვაჭი მოიბუზა და დაპატარავდა. კისერი მხრებში ჩაიძურინა,
ქუდი ცხვირამდის ჩამოიფხატა, ხელსახოცი ტუჩებამდის აიკრა, გაი-
ნაბა, გატვრინდა და ცივ ოფლში გაიწურა. ჩქარა, ჩქარა! გასწი!
გარეკე! მარცხნივ აუხვივე! ეხლა მარჯვნივ მოუხვივე, მარჯვნივ!.. შეს-
დექი! ეხლა კვაჭი ფეხით წაგა, გაძრება და გამოძვრება, კვალს
არექს, თორებ ვინ იცის... ვინ იცის!

ვალიკო! ძმაო ვალიკო! მადლობა უფალსა, რომ სახლში და-
უხვდი კვაჭის! აბა, ჩქარა! დატრიალდი! ეხლავე მოსძებნე ბესო და
ჯალილა. ბესო იმალება? იცი ბესოს ბინა? ახლოა? ძალიან კარგი.
აბა, ჩქარა დაუძახე, ჩქარა!

— ბესო! ჩემო ბესიკო! ჩემო ერთგულო მეგობარო!.. როგორ
გამოვედი? ეხლავე გიამბობ, ეხლავე. შენ როგორა ხარ?.. ჯალილა
როგორ არის? ფული რამდენი გაქვთ?

ყოჩალ! ბესო, ყოჩალ! აი, მეგობარიც ასეთი უნდა! მაშ მუშაობ-
დი კვაჭის გამოსაშვებად? უნდა ციხიდან გაგეპარებინა კვაჭი? ყვე-
ლაფერი მზად გქონდა! მადლობელი, ბესო, მადლობელი! კვაჭი უშე-
ნოდაც გამოვიდა, მაგრამ მისი სიცოცხლე მაინც შენია, სამუდამოდ
შენია! კვაჭის ქონება გაჰყიდე და ფულიდ აქციე, განა! უკვე მზად
ხარ წასასვლელად, განა! თუნდ დილაზე? მიღი, ბესო, მიღი კვაჭის-
თან. ერთხელ კიდევ უნდა ჩიგირუტოს შენმა უფროსმა მამ. აბა,
ეხლა გაიქცი და ჯალილაც გაახარე. მაშ ასე: ხვალ რიერაზე შენ
და ჯალილა ავტოს მოიყვანთ. მატარებელში მცხეთაში ჩასხდებით.
ყველანი მუშურ-გლეხურად ჩიიცვამთ. ყველას წვერი გაგიზრდიათ.
ხელებს და პირსახეს ნუ დაიბანთ, პირიქით, კარგადაც შეითხუპნეთ.
ევროპიული ჩემოდანები (გვადრუცები!) გადაყარეთ და უბრალო კა-
ლათებით და ტომრებით წაილეთ ჭუჭყიანი საცვალი და უბრალო
ხაბაკ-ხუბაკი. კოხტად დაწერილი მოწმობანი ბესომ წინდაწინვე და-
ამზადა. აბა, დილამდის! მშვიდობით, ბესო, მშვიდობით! იყავ ურთ-
ხეულ ერთგულობისათვის აწ და მარადის და უკუნითი უკუნისადმე,
ამინ!

აქა ამბავი უმაღურ სამშობლოდან გარდახვეწისა.

მუშურ-გლეხურად მორთული კვაჭი, ბესო და ჯალილა ბათო-
მის ერთ სასტუმროს მიადგნენ.

- ოთახი გაქვს?
- არის, ბატონო, რავა არ არის!
- მეშვიდე ნომერი თავისუფალია?
- მეშვიდე? არა, ბატონო, „ზანიატია“.
- მეექვსე?
- „სლაბოდნია“, ბატონო.

მეექვსეში დასახლდნენ. ბესო დასძერება და მეშვიდე ოთახს
და იმის მდგმურს ჰსუნავს. ჯალილა ნური-ბაზარში კონტრაბანდე-
ლებს ეჩურჩულება. კვაჭი წერილს სწერს.

„ჩემო ძვირფასო სილიბისტრო და პუპი! ჩვენმა მტრებმა ვერ
გეიხარეს. მე ისევ ვამოვედი და ერთხელ კიდევ დავამტკიცე, რომე
ვინც კვაჭანტირაძის დაღუპვის მოინდომებს, ან თვითონვე დეილუ-
პება, ან ხელს დაიწვავს და გამასხარავდება. საქართველოში რომ
არ ჩამოესულიყავი, იჯობებდა. რაც მქონდა, ყოლითერი აქინე დავ-
კარგე. ასეთია თურმე პაწაწა ხალხის ბედი. ერთმანეთი უნდა დას-
ჭამონ და ისე გაძლინენ. მე ყოველთვის ამას გეუბნებოდი, ჩემო სი-
ლიბისტრო, რომე საქართველო მე ვერ დამიტევს თქვა. აწი მაინც
აქ აფრის გამასქნება არ შეიძლება. აღარც ვაჭრობა, აღც მრეწ-
ველობა, არც ფული. მედუქნედ მე ვერ გავხდები და ჯიბგირობას
ვერ დევიწყებ. აქ კაცს თუ ბედმა სამი მანეთი აშოვნია, მეორე
დღესვე ორ მანეთს მაინც წაართმევენ. მე არ შემიძლია ასეთ ჰაერ-
ში ცხოვრება. მივდივარ. ვერ გინახულეთ და ვერ დაგკოცნეთ, რად-
გან ძალიან მეჩქარება და ხიფათიც ფეხ და ფეხ მომდევს. ვინ იცის,
კიდო ვნახავ თუ არა ამ დაწყევლილ ქვეყანას. თქვენ რომ არ მყავ-
დეთ, მე საქართველოს სახელსაც იღია ვახსენებდი. სტამბოლში
მივდივარ, გული კი თქვენთან მრჩება. თუ კიდო გავკეთდი, თქვენც
წაგიყვანთ, რადგან აწი უთქვენოდ გაძლება არ შემიძლია. თქვენს
მეტი აღარავინ მყავს. ეს წერილი ცრემლით არის დასველებული.
ზედაც ეტყობა. რა ვქნა, ჩემო ძვირფასნო, გული მტკიცა და თვალე-
ბიც მეშვის. თქვენ მაინც ნუ იტირებთ კვაჭიკოსს. არ დეილუპება.
კვაჭი ისეთი დედ-მამის შვილია, რომე ზღვის ძირშიც იცხოვრებს
და ქვასაც ფულს გამოადენს. მაგრამ თქვენი დარღით ჩემი სი-
ცოცხლე გამწარდება. მეტი გზა არ არის, დარდს დროებით უნდა

გავუძლოთ და მევითმინოთ. ვინც ჩვენ ამ დღეში ჩაგვყარა, იმათს ჯავრს სტამბოლში ან პარიზში ამევიყრი, ხოლო აქოურების ჯავრი ღმერთმა საფლავში არ ჩამატანოს, თვარა იქაც ვერ მევისვენებ. მართლა, ეხლა მომავნენდა. მეტებში რომ ვიყავი, ღმერთი ვიღლცე და სანთელი დავპირდი (სამი ეკლესია ერთ სანთლად დაუდნა კვაჭს!). ღმერთმა მიშველა. წადით და ჩემ მაგივრად ერთი პატია სანთელი დოუნთეთ, თორემ თათრებში ეკლესია არ არის და, თუ ჩემი დაპირება ვერ შევასრულე, ღმერთი კიდევ გამიშვრება და სადმე დამღუბავს. ბესოც მოდის, ყველას მოკითხვა შემოვგითვალათ. მაშ მშვიდობით! მშვიდობით! გკოცნით ათასჯერ თქვენც, ხუსტაც და ნოტიოსაც. თქვენი უმაღური და უბედური შვილი კვაჭი“.

ბესომ ათიოდე გასაღები მოიტანა. ჯალილაც, დაბრუნდა და სთქა:

— ყოლაფერი გავაკეთე, კოჩი-ალა! შეიზლება ეხლა სავიდეთ, შეიზლება ღამე სავიდეთ.

სადილის დრო რომ მოვიდა, ბესომ სთქა:

— დროა, კვაჭი. ის მდგმური სადილად წავიდა.

ჯალილა კიბესთან ღადგა. ბესომ ადვილად გაალო მეშვიდე ნომერი. კვაჭი ფეჩს ეცა. ნაცარი გაპქექა და წამოიძხა:

— ვიპოვნე, ბესო, ვიპოვნე!

ხუთი წუთის შემდეგ სამივენი სასტუმროდან გამოვიდნენ, ხოლო ერთი საათის შემდეგ, აჭარულად გადაცმულნი, ბათომიდან გავიდნენ. კვაჭის წინ ნამდვილი აჭარელი მიუძლვოდა — ჩუმი, მარდი და თვალმჭრელი. ოთხივეს მხრებზე ჯოხები ჰქონდათ გადებული, ხოლო იმ ჯოხებზე პატარა ბოხები ჰქონდათ ჩამოვიდული. სტეპანვის ფორტს მარჯვნივ მოუარეს, ბუჩქნარი გადასჭრეს, ჭოროხის ხიდზე გავიდნენ და მარცხნივ აუხვიეს. კარგა ხანს უხმოდ და ქურდულად იარეს. ბოლოს, სოფელ სიმონეთს მიადგნენ, ერთ პატარა ოდაში შეიპარნენ და დასხდნენ. იჭარელი გაპქრა. მზეც მიიწურა. კარგად რომ დაღამდა, აჭარელი ქოხში შემოიპარა და სთქა:

— წავიდეთ, ბატონო.

მელიგით მიძუნდულებს ფეხ-მარდი და თვალმჭრელი აჭარელი. უკან მისდევენ კვაჭი, ბესო და ჯალილა. მინდორი ბუჩქნარად გადიქცა, ბუჩქნარი — დაბურულ ტყედ; გზა ჯერ გაბილიკდა, მერე ბილიკიც დაიკარგა; აღმართი თანდათან მატულობდა. დაბურულ ტყეში მთვარე აღარ მოსჩანდა. სიბნელეში ერთმანეთის ჩრდილებს ბორძივით მისდევდნენ. შუალაშემ მოატანა. ქედი გადალახეს და ტყის ნაპირზე გავიდნენ.

— აქ მომიცადეთ, ძამია! — სთქვა აჭარელმა და ბუჩქებში მი-იმალა.

— რას იტყვი, ჯალილ, ხომ არ დაგვიჭერენ?

— ვერ დაგვიჩერენ, ჩემო აღა! შენ არხეინ ოლ, დანარჩენი მე ვისი.

იყუჩეს და იჩურჩულეს. ის აჭარელი დაბრუნდა და ერთიც თან მოიყოლა. ისევ გზას გაუდგნენ. ისევ მიღიოდნენ, ბორბიჯობდნენ და ოფლში იწურებოდნენ. ბოლოს, შესდგნენ, შეისვენეს და კლდიანსა და ბუჩქიან მთას შეუდგნენ. ფრთხილად და ფეხაჭრეფით მიღიოდნენ. მეორე აჭარელი ხშირად განზე გავიღოდა, იქაურობას მოათვალიერებდა, ყურს მიუგდებდა, მერე დაბრუნდებოდა და სი-ფრთხილეს მოუმატებდა. ერთ ალაგას ყველანი დაწვნენ და ერთი საათი ფოფხვით და ტაატით იარეს. ბოლოს, ერთ მინდორზე გა-ვიდნენ. აჭარელი მობრუნდა:

— ძამია, ჩინ ოსმალების მიცაზე ვართ. ურუსის მიცა გათავდა.

ლტოლევილნი სიხარულით ახმაურდნენ. ერთმანეთს მიულოცეს და ისევ გზას გაუდგნენ. შიში აღარა ჰქონდათ, ამიტომ ხალვათად მიღიოდნენ. ერთგან შუქი გამოჩნდა. იმ შუქზე წავიდნენ და პაწა-წინა ყავახანში შევიდნენ. ერთი აჭარელი წყვდიალში მიიმალა. რიერაეზე კელავ დაბრუნდა და ორი ლაზი მოიყვანა. აჭარლებმა ლტოლევილნი ლაზებს ჩააბარეს, ფული მიიღეს. ყველას მშვიდობიანი მგზავრობა უსურეეს, კონტრაბანდა აიკიდეს და წავიდნენ.

მალე ყავახანაში ახალმა ხალხმა შემოჰყო თავი. ერთი ჩაუში იყო, დანარჩენები ასკერები იყვნენ. ჩაუშმა მგზავრები დაათვალიერა და ჯალილას ოსმალურად გამოელაპარაკა. ვინ არიან? საიდან მოდიან? აქვთ თუ არა პასპორტები და ოსმალეთში შემოსვლის ნებართვა? ჩაუში ხშირად ახსენებდა „ბალშევიქს“, ჯალილა კი ზედიზედ იმეორებდა: „კურან აჟყი! ილლაჲ აჟყი! მან მანიმ ალლაჲიმ!“ ბოლოს, ჩაუშმა სთქვა:

— გელ, გედაჲ!

— სავიდეთ, ეფენდი, სავიდეთ ამათ აფისერთან! — სთქვა ჯა-ლილამ.

ყველანი გავიდნენ. უკვე გათენდა. ერთ სახლთან ორი საათი ისხდნენ და იცდიდნენ. გვერდით თოფიანი ასკერი ედგათ. ბოლოს, სამივეს დაუძახეს.

— პარლე ვუ ფრანსე, მესსიე? — ჰეკითხა კვაჭიმ ახოვან აფი-ცერს.

— ნონ, ნონ, ბილმერამ! — უპასუხა აფიცერმა და ჯალილას გრძელი ბაასი გაუბა ისმალურად. მერე აფიცერმა ჩაუშს რაღაც უთხრა. ჩაუშმა სამივენი თავით ფეხებამდის გასჩერიკა და ნაპოვნი განძეულობა და საფულეები მაგიდაზე დააწყო, თვითონ კი განზე გადგა და თვალები ააელვა. აფიცერი ილიმებოდა, ფულს სთვლიდა და თვალ-მარგალიტს თვალებით სჭავადა. ჯალილა სთარგმნიდა:

— ალი ბეი ბრზანებს, რომ კნიაზები ზალიან მდიდარი კასები არიანო.

კვაჭიმ იცოდა, რომ ბეი უდასტუროდაც ინებებდა, რასაც მოიწონებდა. ამიტომ ჩათრევას ჩაყოლა იმჯობინა:

— მოახსენე ალი ბეის, ჯალილ, რომ აირჩიოს და ინებოს, რაც მოსწონს.

ალი ბეიმ ჯერ ერთი ნივთი აირჩია:

— ალი ბეი ზალიან მადლობელია.

— მოახსენე ალი ბეის, რომ მისი მადლობა ათჯერ სჯობია მაგ საჩუქარს.

ალი ბეიმ მეორე და მესამე განძიც გადაარჩია.

— ალი ბეი ბრზანებს, თქონ ბოლშევიკები ხომ არ ბრზანდებითო?

— მოახსენე ალი ბეის, ჯალილ, რომ ბოლშევიკებმა ჩვენი თავები ასი ათას ლირად დააფასეს.

ჯალილამ მოახსენა. ალი ბეიმ ორი დიდი მარგალიტი კიდევ მიიცურა.

— ალი ბეი ბრზანებს, რომ ჩონ დღეს ალი ბეის ყონალები ვართ.

— მოახსენე ალი ბეის, ჯალილ, რომ ლირსეულ მადლობას მხოლოდ დიდი ალლაპი გადაუხდის.

— ალი ბეი ბრზანებს, სოტა ფული მასესხეო.

— ინებოს, ჯალილ, ინებოს! — ბრაზით ხრიალებს კვაჭი: -- მაგრამ ისიც მოახსენე, რომ სამივენი სტამბოლში მივდივართ და, თუ გზის ფული არ გვეყო, ალი ბეიმ ისეთი ვინმე გაგვაცნოს, რომ იმის-გან ჩვენ გზის ფული ვისესხოთ.

ჯალილამ გადუთარგმნა. ალი ბეიმ გაიცინა და კვაჭის ასეთი პასუხი შემოუთვალა:

— ალი ბეი ბრზანებს, რომ ალი ბეი ასეთ კაცს ისნობს.

— ვინ აზის ასეთი კაცი, ჯალილ?

— ალი ბეი.

კვაჭიმ ჩამოხჩიბილის სიცილით გაიცინა:

— ჯალილ, მოახსენე ალი ბეის, რომ მე სარგებლით დავუ-
ბრუნებ ფულს, მაგრამ თუ ალი ბეი სტამბოლში ჩამოვა და ჩემს
ყონალობას იყალრებს, ერთ არაბს და ისეთს დამბაქურ ხმალს მი-
ვართმევ, რომ მთელ ოსმალეთში იმის ბადალს ვერ იშოვნის.

ჯალილამ ესეც გადასთარგმნა. ალი ბეიმ ოდნავ შუბლი შეიკრა.

— ალი ბეი ბრზანა, თუ ჩემი ყონალი არ გინდათ, ისევ მოს-
კოვაში სადითო.

— ჯალილ, ალი ბეიმ ტყუილად იწყინა ჩემი სიტყვა. მე სი-
მართლე მოვახსენე. მოსკოველებს კი ეშმაკების ყონალობაც კი სჯო-
ბია. ჩვენი თავებიც, ეს ფულიც და ეგ თვალ-მარგალიტიც ალი ბეის
ფეშაში იყოს.

ალი ბეიმ ისევ გაიშალა შუბლი. მერე ორი ათასი ლირა გად-
მოსთვალა, კვაჭის გაუწოდა და სოქვა:

— ბუიურ, ეფუფენდი!

იმ დღეს კვაჭი ალი ბეის სტუმარი იყო. ერთი-მეორეს ისე
დაუხვდნენ, როგორც ათი წლის უნახავი ლვიძლი ძმები. ერთმანეთს
მოუალერსეს, თავები მოუქონეს, თავიანთი ამბები უამბეს, მისამარ-
თები მისცეს და პირობაც დასდეს, რომ იმ დღიდან სამუდამო ძმე-
ბი გახდებოდნენ და მიწერ-მოწერასაც არ მოაკლებდნენ.

მეორე დღეს ალი ბეიმ კვაჭის ხელუხლებლობის ბარათი მის-
ცა, ცხენები უშოვნა, ასკერი გააყოლა და გაისტუმრა. იმ ასკერმა
კვაჭი მეორე ასკერს გადასცა; მეორემ მესამეს და მეხუთემ მექვე-
სეს. რამდენიმე დღის შემდეგ კვაჭი ტრაპიზონში ჩაეიდა. იქაურმა
ვალიმ კვაჭი ალი ბეიისავით მიიღო: მეგობრულად და თაქაზიანად,
მაგრამ არც ალი ბეიისავით ასესხა კვაჭის ფული და არც თვითონ
ისესხა კვაჭისგან. სამაგიეროდ ერთი თვე აცდევინა და მერე სტამ-
ბოლში წასვლის ნებართვა მისცა.

— მადლობა უფალსა! — სოქვა კვაჭიმ, როცა გემზე ავიდა: — ფუ-
ლი ძალიან ცოტა დაგვრჩა, მაგრამ...

— მაგრამ სამაგიეროდ თავები შეგვრჩა! — ჩამოართვა სიტყვა
ბესომ.

— შუქურ ალლაპა! — ანუგეშა ორივენი ჯალილამ: — სტამბოლი
სჯობია საბურთალოს. შუქურ ალლაპა! ალლაპ ილ ალლაპ!

აქა ამბავი ძველის განახლებისა.

სამივენი ბაქანზე იდგნენ, როდესაც გემი ბოსფორს მიუახ-
ლოვდა. კვაჭის გვერდით ერთი ამერიკელი იდგა — ვინმე ვატსნი,

რომელსაც კვაჭიმ იმ ღამეს ბრიჯის თამაშში სამი ათასი დოლარი მოუგო.

— აქაურობა ფეხით მაქვს დავლილი. მე ისიც კი ვიცი, რომ აგერ იმ ციხეს, მარცხნივ რომ მოსჩანს, ქართული სახელი ჰქვიან: კარი-ბჭე.

კარი-ბჭე? — წამოიძახა კვაჭიმი: — მართლა ქართული სახელია, მაგრამ საიდან, როგორ?

— ბიზანტიილების დროს ქართველებს მანდ მონასტერი აუშენებიათ და კარი-ბჭე დაურჩევიათ. მერე ციხეც აუშენებიათ.

მერე, როცა გემმა ბოსფორის სრუტეში შეუხვია, ვატონი მალიმალ თითს ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ იშვერდა და განუწყვეტლივ ლაპარაკობდა:

— აგერ რუმელის კანდელი.... აი, ანადოლის კანდელი... აგერ, მარჯვნივ ბუიუქ-დერე მოსჩანს... მარცხნივ ანადოლი გისარი გამოჩნდა.

კვაჭის მთელი ქვეყანა დავლილი ჰქონდა, ამიტომ ოსმალეთში გასაკვირს აღარაფერს მოელოდა, მაგრამ ბოსფორის მშვენებამ კვაჭიც და ბესოც მაინც გაიტაცეს.

— რა მშვენიერია!.. რა ლამაზია!.. რა უცხო სანახაობა! — წამდაუწუმ იძახდნენ ორივენი.

— აგერ რუმელი გისარი! — განაგრძობდა ამერიკელი: — ორთა-კიორი... ვანიკორი.

გემი კონსტანტინოპოლის მიუახლოედა.

— აი, ჩირაგანის სასახლე... აგერ დოლმა-ბალჩეს სასახლე... ეს გერმანელების საელჩოა... მეჩითი მამშუდიე... თოფხანე... გალათა...

გემი ნავთ-საყუდელს მიადგა. ყველანი პერას უბანში გავიდნენ და საუკეთესო ევროპიულ სასტუმროში დაბინავდნენ.

კვაჭიმ ახალი ცხოვრება დაიწყო, მაგრამ ის ცხოვრება ისევ წინანდელს ჰგავდა, — იმ წინანდელს, როდესაც არ იყო არც თებერვალი, არც მამზელ კერძნსკი, არც ოქტომბერი და არც „წითელი ჯოჯოხეთი“.

სამი ოთახი საუცხოვო სასტუმროში, ათიოდე ხელი ტანისამოსი, აბრეშუმის საცვალი, კარგი ჭამა-სმა, სეირნობა, ყავახანები, უხეში გასართობი და... ქალები, ქალები და ქალები: ებრაელები, ბერძნები, სომხები, ოსმალები (საიდუმლოდ, რომელიმე სოროში), არაბები, სირიელები და საერთოდ ყოველისა პლმოსავლეთისა კუთხეთა. იცნობს კვაჭი დასავლელებს, დიდი ხანია იცნობს. მან უკვე

იცის მათი გემო, ფერი, სიყვარულის იერი და ასნაირი სამაკინტლო ხერხი. მას ეხლა აღმოსავლელნი მოსწონს: დიდ-თვალიანები, მუქნი, დაბინდული და დასიცხული; ანგორის კატასავით ლბილნი, სამხრელ გველივით მოქნილნი, ზოგჯერ არაბულ ცხენივით ფიცხნი, ზოგჯერ კი მაძლარ ვეფხივით ზანტნი; მათი თვალები ბნელი ზღვაა, რომელშიც სთროთის მარის ვარსკვლავი, მათი კანი ძველ სპილოს ძვალსა ჰგავს, ხოლო ტუჩები — ოდნავ გაჩეხილ ბროჭეულს. თვითონ კვაჭიც წინანდელ კვიცს აღარა ჰგავს. იგი ხანში შესული ულაყია: დინჯი, ნაცადი და გამოქნილი. ეხლა ესმის კვაჭის ისაკა იდელსონის დარიგება, რომელიც მან მიიღო ბულონის ბალში ათი წლის წინათ. რა სთქვა მაშინ გაქნილმა იდელსონმა?

ახალგაზრდა ქალი სიყვარულის ხელოვნებაში ჯერ მოუნათლავია, გაუხედნავია, უფესო მცენარეა; ხანში შესული დედაკაცი კი ფესვიანი მუხაა. ქალი სთესავს, დედაკაცი კი იმკის; ერთი ავითონ სწავლობს, მეორე კი ასწავლის; ერთი მორცხვად ილიმება, ან კისკისებს, ან ნაზად იცრებლება, ხოლო მეორე ხარხარებს, ან პლუის, ჰყუის და ბლავის; ქალის აღერსი ნიავია, დედაკაცისა კი გრიგალია; ქალის ვნება ალია, დედაკაცისა კი ნაკვერცხალია; ქარაფშუტა ქალებს ვარდის და ის სუნი ასდით, დადუღებულ დედაკაცებს კი — მწინალისა და როკფორის ყველისა.

ესმის ეხლა კვაჭის ისაკას გემო, ესმის! ესმის და ყველგან დაძრება, ჰსუნავს და ექებს. ექებს და უხვად პოულობს.

მაგრამ — ღმერთმა დასწყევლის ფულის მომგონი! — ლირები და დოლლარები წყალივით ილვევიან. კვაჭიმ რამდენჯერმე კიდევ ააგლიჯა თხელი ტყავი ამერიკელ ვატსონს და ორიოდე ევროპიელ ბედოვლათს, მაგრამ — კვაჭის ბედი იღარ: სწყალობს! — სტამბოლში ევროპიელი ბედოვლათები ან დაილივნენ, ან კვაჭივით გაეშმაკდნენ. ოსმალები კვაჭის ახლოსაც არ იკარებენ, ხოლო იქაური სომხები, ბერძნები, ურიები და ლევანტელები თვითონვე ნადირობენ კვაჭის თხელ ჯიბეზე. რა ხალხია, ღმერთო ჩემო, რა ხალხი ყოფილან ეს ბერძნები, სომხები, ურიები და ლევანტელები! კვაჭი თითქო ხელის გულზე ჰყავთ. სანამ პირს დააღებს სამტრედიელი, ამ გაიძვერებმა უკვე იციან მისი აზრი და პასუხს წინდაწინვე აძლევენ; კვაჭის თვისი ხაფანგი ჯერ არც კი ამოულია, ისინი კი კვაჭის ყოველ მხრიდან ხუთიოდე ხაფანგს უგებენ; კვაჭი ჯერ ბაღეს ჰქონეს, თვითონ კი უკვე ხუთიოდე ქსელშია გაბმული. კვაჭის ტვინი მათ-თვის გახსნალი წიგნია, რომელსაც სხაპა-სხუპით კითხულობენ; მი-

სი ხრიკები გამხმარი ჩხირებია, რომელსაც ორის თითოთ ამსხვრევენ, ხოლო მისი ჯადო დამპალი ლეჩაქია, რომელიც თავის-თავად იფხრიშება. არა, აქ არც ერთი საქმის „გაიმასქნება“ არ შეიძლება! ამ დაწყევლილ ქალაქში ცხოვრება შეუძლებელია! ისევ პარიზისკენ, ლონდონისკენ, ან რომისკენ! მაგრამ... ევროპაში კვაჭის არ უშვებენ, ვიზას არ აძლევენ. ალბათ იცნობენ კვაჭი კვაჭანტირაძეს, ალბათ მისი მტრები აქაც უჩხივინებენ კვაჭის.

— მახლას! — სთქვა, ბოლოს, კვაჭიმ და თავისს ახალ ბედს შეურიგდა. მაგრამ უფულოდ ცხოვრება არც სტამბოლში შეიძლება, ამიტომ კვაჭიმ სწორედ იმ დროს აილაგმა თავი, როდესაც უკანასკნელი ლირა მეეტლეს გადაუგდო.

სტამბოლი ემიგრანტების დედა-ქალაქია. პერაზე რუსული ოსმალურზე უფრო ხშირად ისმის. ყავახანები, რესტორანები და ღამის გასართობები სავსეა რუსის კნეინებით და ნაკაცარებით. კვაჭი ამ ალაგებს და ნაკაცარებს შეეჩინა. დაღის ერთ რესტორანიდან მეორეში, ყავახანიდან ყავახანაში და რაღაცას ძევთებს, ვიღაცას დაეძებს. ზოგჯერ ნაძებარს პოულობს და მცირე საქმეს „აიმასქნებს“. ნარჩევ ქალს გაიცნობს, აიყოლებს და ვატსონს ან სხვა მუშტარს ჩააბარებს. ვატსონების სუფრიდან კვაჭისთვისაც გადმოცვიდება ხოლმე ცოტაოდენი მწარე ნასუფრალი. ვატსონმა ერთ ექიმს გააცნო კვაჭი. ექიმმა კი კვაჭი ერთ დედაბერს ჩააბარა. იმ დედაბერმა კვაჭი კარგად გასინჯა, გამოსცადა და ერთხელ უთხრა:

— ქალაქში ძალიან ბევრი უშვილო ქალია. ქმრები ჰყავთ, მაგრამ... გესმით?

ესმის კვაჭის, ესმის! კვაჭიმ უნდა უშვილო ცოლ-ქმარს უშველოს, განა! კეთილი და პატიოსანი. ფასი?

— მოვრიგდებით. ოლონდ არასოდეს არ უნდა აპხადოთ მუშტარს ნიღაბი.

კეთილი. ამ პირობას კვაჭი მიიღებს, მიიღო და ასრულებს კიდევაც. პირნათლად ასრულებს თავისს პირობას და საქმეს კვაჭი კვაჭანტირაძე და დლითი-დლე სცხოვრობს.

ერთხელ კვაჭიმ ერთ პაწაწინა ეზოში შეიხედა.

— აქა სცხოვრობს მისტერ დერბლი?

— არა, მისტერ დერბლი ამ სახლში არა სცხოვრობს.

ღმერთო დიდებულო! ეს ვისი ხმა არის? ეს ვინა სდგას პაწაწინა აივანზე? ვისია ის თმა, ოქროს ფერი ბულულა თმა? ვისია ის თვალები, ცისფერი, ლრმა და უუუნა თვალები? ეს ტუჩებიც, ოდ-

ნავ გაცრეცილი, მაგრამ... დიდხანს უცქირეს ერთმანეთს. მერე იმ ტუჩებზე ლიმილმა აითამაშა.

— რებეკა... რებეკა! შენა ხარ? შენა ხარ?

— მე ვარ, მე. ვეღარ მიცანი, ვანა!

— ჩემო რებეკა... ჩემო რები! რები!

კვაჭიმ რამდენიმე ნახტომით ეზო გადასჭრა და რები მცერდზე მიიხუტა. ალექსილმა რებეკამ ცხარე კოცნაზე მორცხვის კოცნით უპასუხა, აირია, დაიბნა და უკან მიიპედა. პატარა კარებში მეორე დედაგაცი იდგა.

— ღმერთო დიდებულო! ელენე... ელენე! შენც აქა ხარ! შენც...

და ელენც ჩაიქრა, წასწუწნა და აბუტბუტდა:

— ორივე ერთად... ორივე ერთ დღეს, ერთ ბინაზე... ორნაირი ბედნიერება.

— შემოდი, სახლში შემოდი.—შეიპატიქა ელენემ.

— ჩქარა, ჩქარა შედი... შედი.—დაუმატა რებიმ.

სამივენი ოთახში შევიდნენ. ოთახი დაბალი, ბნელი და პატარაა. ელენეს და რების სადგომი სილარიბით, ნესტით და სევდით იყო შემოსილი. კვაჭიმ თრივენი აათვალიერა. იაფი ჩითის კაბები ეცვათ, ისიც დაკერილ-დაკონკილი. ხელები დაჩხველეტილი ჰქონდათ ნემსისგან და თვალები დასიებული უძილობისგან. რებეკას ლოკებზე ლაპა-ლუპით ჩამოსდიოდა ცრემლი.

— რები, რა გატირებს? რა დაგემართა?

რები, უთხარი შენი დარდი შენს აპოლონს. უამბე შენი ცრემლის მიზეზი შენს წინანდელ მეგობარს! ნუ მოერიდები კვაჭის! მან დაივიწყა შენი უმაღურება და სისუსტე მაშინ, როდესაც პავლოვის წამებას ვერ გაუძელი და ისეთი რამ სთქვი, რაც არ უნდა გეთქვა. გული მოიჯერე და შხამი მოიბანე. პავლოვმა თვისი ხვედრი მიიღო.

— მ ერთი თვის წინათ ტფილისში დახერიტეს.

რებეკას ეს ამბავი არ უხარიან. ელენე ოდნავ გაფითრდა. „პო, მართლა,—აგონდება კვაჭის,—პავლოვს და ელენეს ერთ დროს ერთმანეთი უყვარდათ. მას აქეთ ბარებ ოთხი წელიწადიც გავიდა.“ ელენეს მაინც მოხვდა ეს ისარი. რაც უნდა იყოს, პავლოვი ლამაზი და მამაცი კაცი იყო. საწყალი პავლოვი!

ბოლოს, როცა გული მოიჯერეს და ერთმანეთი უგულოდ მოკითხეს, რებეკამ და ელენემ კვაჭის თავიანთი ამბავი უამბეს.

ხუთი წლის წინათ პეტერბურგიდან ერთად წამოვიდნენ ისაკა, რებეკა, ელენე და რამდენიმე მათი ნაცნობი. მოსკოვის მახლობლად ერთ პატარა სადგურზე გაიჩირნენ. სამივენი გაძარცვეს

და ულუქმა-პუროდ დასტოვეს. ხელცალიერნი ჩამოვიდნენ ადესაში. ხუთი თვე იყვნენ გზაში. მათხოვრობით და შავის მუშაობით იყვებებოდნენ. დაწერილებით ამ საშინელ მგზავრობას მერე უამბობენ. კიევში ვიტგენშტეინი შეხვდათ. ახსოვს კვაჭის ეს ვაჟბატონი, - პარიზში რომ უხეირო მეტოქეობას უწევდა ბეღნიერ აპოლონიქის?

— მახსოვეს, კარგად მახსოვეს.

ვიტგენშტეინი ელენეს ეხმარებოდა, მაგრამ მალე დახვრიტეს.

— ვინ დახვრიტა?

ვინ იცის! მაშინ ყველანი ერთმანეთს ხვრეტავდნენ და ახ-ჩობდნენ: პეტლიურა, სკოროპადსკი, მახნო, გერმანელები, თეთრები, წითლები და მწვანეები. მერე ადესაში ჩამოვიდნენ. ისაკას და რებეკას ნათესავები გაშიშვლებული იყვნენ. ქალაქს რომ წითლები მოადგნენ, სამიერი კონსტანტინოპოლში გამოიქცნენ. ისაკა მოხერხებული კაცი იყო.

— როგორ თუ იყო? სად არის ისაკა? — მხოლოდ ეხლა იყითხა კვაჭიმ.

— მოკვდა საწყალი! — სთჭვა ელენემ.

რებეკა ხელმძღვანელ ატირდა.

ელენემ განაგრძო:

— ისაკა მოხერხებული კაცი იყო. რესტორანი გახსნა. მოგება ჰქონდა. მე და რებიც იმ რესტორანში ვმუშაობდით. ჯამაგირი გვყოფნიდა. ასე ვსცხოვრობდით. ექვსი თვის წინად ისაკა გაცივდა და მოკვდა.

— საწყილი! — წამოიძახა კვაჭიმ.

— რესტორანს ვალი ჰქონდა. გავყიდეთ, მაგრამ ხელ-ცალიერნი დავრჩით. ეხლა საცვალს ვკერავთ და ასე ვსცხოვრობთ, მაგრამ... ვაი ამ ცხოვრებას!

მერე კვაჭიმ უამბო თვისი თავების ავალი.

— ბრძოლაში დამიხოცეს ჩხუბიშვილი, ჰავლაბრიანი, ჩიკინ-ჯილაძე, კიბუნტირაძე და ბეკარევი.

— საწყალი!... საწყალი! — ისმოდა წამდაუწუმ.

— ახია ბეკარევზე! — წამოიძახა რებიმ: — იმან დამაპატიმრა.

— მართლა, ტანია როგორ არის? — მოიგონა ელენემ.

— სიმშილით მოკვდა... — დინჯად უპასუხდს კვაჭი.

ელენე აღელდა:

— მერე, შენ ვერაფერი უშველე?

— არაფერი შემატყობინა. შველა მინდოდა, მაგრამ... ჩემგან დახმარება არ მიიღო.

— განუსი და მისი ცოლი?

— განუსი დახვრიტეს. იმისი ცოლი კი სარეცხს რეცხავს.

კიდევ მრავალნი მოიკითხეს და მოიგონეს. ზოგნი თვითონ დაიხოცნენ სიმშილით და ჯავრით, ზოგნი სხვებმა დაპირუეს, ზოგნი კიდევ რუსეთში, ევროპაში და სტამბოლში ან სარეცხს რეცხავდნენ, ან ფეხსაცელს სწმენდავდნენ, ან რესტორანებსა და ყავახანებში მსახურებდნენ და ათასნაირ შავი და მძიმე მუშაობით წელს იწყვეტდნენ, სანთელივით დნებოდნენ და ზედი-ზედ იხოუბოდნენ.

კვაჭიმ ორივენი რესტორანში დაპირიქია, მაგრამ მაღლობა მიიღო, რადგან არც ელენეს და არც რების სარესტორანო კაბები არ ჰქონდათ. ბოლოს, მაინც შეთანხმდნენ: თვითონ კვაჭი ზეაზნით გაპყვა ქალებს ისეთ სასადილოში, რომელიც იმათ ღარიბ კაბებს შეეფერებოდათ.

სალამოზე ძლივს დაშორდნენ ერთმანეთს.

რა გზას დაადგეს კვაჭი? როგორ მოიქცეს? როგორ მოუაროს, ან მოუაროს თუ არა შვიდიოდე წლის წინათ თავმინებებულ საყვარლებს? მოვალეა თუ არა კვაჭი, რომ ორივენი აიკიდოს და ჰზიდოს? რა თქმა უნდა, მოვალე არ არის! სამივემ ერთ დროს მისაღები მიიღეს, მისაცემიც მისცეს და თავიანთის გზით წავიდნენ, მაგრამ... მაინც... კაცნი ვართ... ვინ იცის!

მეორე დღეს ორივენი ჭუჭყიან სალამურში დაპირიქია. იმ სალამურში სტუმრები უკვე გალეშილნი და გახსნილნი იყვნენ. მუსიკა ჭყვიტინებდა. ფოქსტროტი, ტანგო და მუცულის ცეკვა ისე ილაჯებოდნენ და ბუქნაობდნენ, რომ ერთი იქ დამსწრე ძალიც კი წითლდებოდა. მუშტარს ქალები ემსახურებოდნენ, რომელნიც დრო-გამოშვებით გალეშილ მუშტარს სადღაც ეზოში მიათრევდნენ და უკანვე დაგვიანებით ბრუნდებოდნენ.

დასხდნენ და მოითხოვეს. კვაჭი თავისს სტუმრებს თვალს არ აშორებდა და იმათს პირსახეში სარკესავით იხედებოდა. იხედებოდა და ნათლად ჰქედავდა სალამურის შთაბეჭდილებას. რებიც და ელენეც მუშაობდნენ რესტორანში. როგორი იყო ის რესტორანი, სუფთა თუ ჭუჭყიანი, გახდილი თუ ჩაცმული, ქალებით თუ უქალოდ? შეჩვეულნი არიან თუ ხამნი, ნაცალნი თუ უცდელნი? კვაჭიმ უმალ ამოიკითხა პასუხი ორივე ქალის პირსახეშე: მათ ოდნავ ეხამუშათ ამ სალამურის იერი. კეთილი და პატიოსანი. მაშთითქმის გახდილნი ყოფილან.

— ეს ქალები დიდ ფულს შოულობენ.—ამბობს კვაჭი.
— შოულობენ, სანამ არ დაბერდებიან.—პასუხს აძლევს რები.

— შოულობენ, მაგრამ ვაი ამ შოვნას!—უმატებს ელენე.

— რა თქმა უნდა, ამ კუკყიან ხალხთან საქმის დაჭრა ადვილი არ არის,—აგრძელებს კვაჭი:—მაგრამ სხვა ადგილებიც მოძებნება; იქ ბინაც მშვენიერია და ხალხიც სუფთაა, მდიდარი და ზრდილი. მიირთვი, ელენე, ნამდვილი შარტრეზია. იქაური ქალები კნეინებივით სცხოვრობენ. ბოლოც კარგი აქვთ: თითქმის ყველანი საბედოს პოულობენ და სოხოვდებიან.

რებიმ ამოიოხრა. ელენემ იდუმალის ღიმილით გაიღიმა. კვაჭიმ განავრდა:

— ბოლოს და ბოლოს, მართალი რომ ვსთქვათ, ეს ქალები არც ისე უბედურნი არიან, როგორც რომანისტები პბერავენ. რები, რატომ არ სვამ? დალიყ. ადამიანი ყოველივეს ეჩვევა და ითვისებს. ეს არის მისი მთავარი იარალი და ბელნიერება. ამ ქალებს ნაჭარბევად აქვთ ისეთი რამე, რასაც მილიონები ნატრულობენ: ხორცის სიტყბოება. ესეც ანგარიშში უნდა ჩავაგდოთ. ამათ არც კი იციან შრომის წამება, რომელსაც მთელი კაცობრიობა გაურჩის. ყველაფერი მუქთად მოსდით: მშვენიერი ბინაც, უხვი კიბა-სმაც და საუცხოვო ტანსაცმელიც. თუ ასეთმა ქალმა ჭიუა მოიხმარა, ცოტაოდენი მოითმინა და ყალბი თავმოყვარეობა დროებით მაინც განზე გადასდო, ის ადვილად განველის თავისს გზას და ბელნიერად დაბერდება. რები, დალიყ! ელენე, ნუ ჩამოგვრჩი.

— მაგისთვის, ჯერ ერთი, საჭიროა სილამაზე.—სთქვა რებიმ და ერთხელ კიდევ ამოიოხრა.

— რა თქმა უნდა!...—უმალ დაეთანხმა კვაჭი.

— მერე, ახალგაზრდობა.

— ეგ კი მართალი არ არის. ან რა არის ახალგაზრდობა? ზოგი ორმოცი წლის ქილი ოცდახუთის წლისაზე უფრო ახალგაზრდაა.

— მართალია!—ამოიოხრა ელენემაც.

— გარდა ამისა, დამიჯერეთ, რომ გამოცდილ და ოდნავ ხნიერ ხალხის თვალში ოდნავ ხნიერი დედაკაცი უფრო ფასიანია, ვიდრე გასათხოვარი ქარაფშუტა.

— მართალია!—დაუდასტურეს რებიმ და ელენემ.

— ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ კარგ... კარგ სახლში კარგი ოჯახიშვილს და ზრდილობას უფრო აფასებენ, ვიდრე სილამაზეს და ახალგაზრდობას. ელენე, ჭიქა დასცალე! რები, ნუ ჩამოგვრჩი!

რები და ელენე უკვე იწვოდნენ ლიკიორით და ვნებით. ქალ-ვაჟი ირგვლივ ისე თამამად და ურცხვად ალერსობდნენ, რომ მათის ვნებიანობით ჭურჭელი და ავეჯიც კი გაიკლინთა და გაიტენა.

— ორივენი მზად არიან, ორივენი მომწიფებულან! — ხარობდა გულში კვაჭი და სასმელ-საჭმელს უმატებდა: — გარსონ! შამპანური, კიბო და ხილი. მერე ყავაც მოაყოლე.

ცისკარმა მოატანა, როცა სამივენი იმ ნესტიან ოთახში დაბრუნდნენ. კვაჭიმ თავი მოიმოვრალა. კვაჭი ვერ წავა აქედან. ძალა აღარ აქვს. კვაჭი აქ დაიძინებს. ღმერთმანი, დაიძინებს! ერთმანეთს მიაკარით ორივე ტახტი. აი, ესე. რად იცინით?! რა არის სასაცილო?! ერთ დროს ორივენი სწყალობდით კვაჭის. ეს ამბავი მაშინვე ორივემ იცოდით. ვითომ რა დაშავდება, რომ წარსულზე სიტკბოება სამივემ ერთად გაიხსენონ! გცხვენიანთ? ერთმანეთს ერიდებით? რა ვწნა, აქამდის თავიდან ვერ მოიშორეთ ეგ „მეშჩანური“ ზნეობა?! აქამდის ვერ ჩამოირეცხეთ ბურუჟაზული ჩვეულებანი?! გენერებათ? კეთილი და პატიოსანი. კვაჭი ლოგინში ჩაწვება და დაიძინებს, თქვენ კი ზეზე დაიძინეთ, ან სულაც ნუ დაიძინებთ. ხა-ხა! მაშ მეტი გზა არ არის? გაიხადეთ.... გაიხადეთ!.. აი, ეგრე... ეგრე! არა, არა! ელენე, სანთელს ნუ აქრობ! ხომ იცი კვაჭის ჩვეულება, დაგავიწყდა, განა! აბა, მობრძანდით... ღმერთია აკურთხოს სამეული.

იმ ღამეს კვაჭიმ ისე გასინჯა და დაათვალიერა ორივე ქალი, როგორც გამოცდილი მონადირე სინჯავს და სცდის მექებარს. მეტის მეტაღ ხომ არ დასრულდა ელენე? ხომ არ გახდა რები? კანი ხომ არ დაუკენათ? მოქნილება ხომ არ დააკლდათ? ხომ არ დამძიმდნენ? ხომ არ განელდნენ? ოდნავ დამძიმდნენ, ხოლო სხვაფრივ ყოველივე რიგზეა. მაშ კარგი, ძალიან კარგი! კეთილი და პატიოსანი!

აქა ამბავი ძველი სიყვარულის განალდებისა, კვაჭის დაოჯახებისა და ამბავთა დასრულებისა.

კვაჭიმ ჯიბეები მოიფხიკა და ორივე ძველი სიყვარული კოხტად შემოსა. შემოსა და ერთ ღამეს ხელმეორედ მიიყვანა იმ „სახლში“, რომლის მშვენება და დიდება წინა ღამითვე აჩვენა. ბესო და ჯალილაც თან წაიყვანა.

დიდი და სუფთა „სახლი“ გაჩაღებულია. მარმარილოს კიბე ხალიჩებით, ქანდაკებით და ტროპიკულ მცენარეულობით არის მორთული. ტიტველ ქალებით ნახატი და მძიმე ფარდებით დაბურული გრძელი დარბაზი ქალებით და სტუმრებით არის გავსილი. დარბაზის ბოლოში წითელი ოთახი მოსჩანს. იმ ოთახში ისმალური ტახტი სდგას. იმ ტახტზე ფეხ-მოკეცილი დედაქაცი ზის. ზის ისე დინჯად და მშვიდად, როგორც ლვთისსწორი ბუდდა.

კვაჭიმ ორივე ქალი იმ ოთახში შეიყვანა.

— ლიზა ხანუმ, გთხოვთ ჩემი დები გაიცნოთ. აი, ერთი... აი, მეორეც.

თვითონ ლიზა ხანუმის ხელს დასწევდა და მოწიწებით ზედ ემთხვია.

ლიზა ხანუმი მეტად სქელი, ჩატიქნული და ჩაფუთქნული ორმოცდა ათი წლის დედაქაცია. შავად შელებილ ბულულა თმაში ბრილიანტების მძივი აქვს გახლართული. ფაფუქ ყელზე მოთვალული მანიაკი აქვს შემოხვეული. იმ მანიაკს ორსართულიანი ლაბაბი დასწოლია. გოლიათურ შიშველ მკერდსაც, განიერ მაჯებსაც და შუშა კიტრის ოდენა თითებსაც უხვად აყრია ლალი, ფირუზი, ზურმუხტი და ამეთვისტონი.

ლიზა ხანუმმა მუშტრის თვალით გასინჯა ორივე ქალი,—ისე გასინჯა, როგორც დალალი სინჯავს გასასყიდ ცხენებს. ბოლოს, ძლიერს ამოილო ბოხი და გაბზარული ხმა:

— ჩემო დაო!—უთხრა ჯერ ელენეს:—შენი თვალები გიშერზე უფრო შავია. შივ ვარსკვლავის ანარეკლი მოსჩანს. შენს ტუჩებზე გაუმაძლარ ჟინს ვხედავ. შენი მკერდიც ჯერ არ დამჭერა. ღმერთს შენთვის არც ხორცი დაუშურნია. თავით ფეხებამდის გეტყობა ზრდილობა, კეთილშობილება, და რიდი. დაბრძანდით...

მერე რებეკას მიუბრუნდა:

— შენი თმა ნამდვილი ოქროა. შენი თვალები ცისკარს მომავრნებენ. მაგ ცაზე ორი მარგალიტი ბრწყინავს. ტუჩები სისხლიან იარას მიგიგავს. ჯეირანივით მოქნილი და სხარტი ტანი გაქვს. მალალი და წვრილი ბარძაყები ჩვენს დროში იშვიათია. ფეხებსა და ხელებზე გეტყობა, რომ შენს ძარღვებში ცხარე სისხლი სჩედეს. თქვენც დაბრძანდით. თავადო,—მიუბრუნდა კვაჭის:—თუ ჩემის გვერდით იქადრებთ, ამ ტახტზე ჩამოჯექით.

დინჯად აიღო ვერცხლის ზარი, დინჯად დააწეარუნა და უმალვე გაჩენილ არაბის ბიჭს დინჯადვე უთხრა:

— ჰუსეინ, ოთხი ყავა და შიპრი.

ისხდნენ, სვამდნენ და ტქბილად ბაასობდნენ.

— მე ქრისტიანი ვარ,—ლიმილით ამბობდა ლიზა ხანუმი:

ჩემს ბერძნულ სისხლში უცხოთა სისხლის ერთი წვეთიც არ ურევია. ჩემი ქალები—ოცდა რვა ქალი მყავს—ჩემზე ლოცულობენ და დედას მეძახიან. ამ სახლიდან ჯერ ერთი საჩივარიც არ გასულა. ყველა სჯულის ქალები მყავს, მაგრამ ყველა თავისებურად ლოცულობს. მე ამ საქმეში არ ვერევი. ჩემი ქალების საჩუქრებით ერთი ოთახი გაივსო. ათასმა დამანება თავი და ათასი გათხოვდა, მაგრამ ლიზა ხანუმს მაინც ვერ ივიწყებენ. დღეში ორმოციოდე წერილი მომდის. კამა-სმა თავსაყრელი აქვთ, ტანთსაცმელი—უთვალავი, გასართობი—გაუთავებელი. ექიმი, ვექილი და მოსამსახურეც უფასოა. მეტი რა უნდათ? არაფერი. სხედან და საბედოს ელიან. ბოლოს, უეჭველად პოლობენ, თხოვდებიან, შვილებს აჩენენ და ბედნიერად ცხოვრობენ. ასეთია ლიზა ხანუმის სახლი.

ასე ტქბილად გალობდა ლიზა ხანუმი, რომელმაც ათასი ქალი გაათხოვა და ათასი ბედნიერი ოჯახი ააშენა. გალობდა, სვამდა და სტუმრებსაც ასმევდა. ბოლოს, სოჭვა:

— ჩემო გიშერო! ჩემო ოქრო! მიბრძანდით და ისიმოვნეთ. დღეს ჩემი სტუმრები ბრძანდებით. ხეალ კიდევ ვიკურებულოთ.

კვაჭიმ რები და ელენე დარბაზში გაიყვანა, ბესოს ჩააბარა და თვითონ ისევ ლიზა ხანუმს მიუჯდა; ისე ახლოს მიუჯდა, რომ ერთმანეთის სუნთქვაც კი ესმოდათ. მიუჯდა და ჰეითხა:

— რას იტყვი, ლიზა ხანუმ?

ლიზა ხანუმი დიღხანს სდუმდა, მერე პასუხი ძლივს ალირსა:

— თვალ-გიშერა სქელია, ოქროს-თმიანი ხნიერია.

— ლიზა ხანუმ,—ჩასჩურჩულა კვაჭიმ ყურში:—შენ ოქროს თმიანზე თხუთმეტი წლით უფრო ხნიერი ხარ, ხოლო თვალ-გიშერა, შენ რომ შეგადარო, გამხდარი ბავშვია. მაგრამ, ვფიცავ ჩემს მზეს და ღმერთს, რომ შენ ყველა ქალებს მირჩევნიხარ.

და განიერ გავაზე მკლავი ქურდულად მოუცაცუნა. ლიზა ხანუმმა კვაჭის თვალებში შეხედა, ბებრულად გაულიმა, სქელი სალყი თითო ოდნავ ნიკაპზე აპკრა და უთხრა:

— ეფენდი, ნუ დამცინი.

— მე რომ შენს საწოლში ვიყო, უმალვე დაგიმტკიცებდი, რომ თავადი კვაჭანტირაძე ლიზა ხანუმს დაცინებს არ იყალრებს.

— როდის დამიმტკიცებ?

— თუნდ ეხლავე!

ლიზა ხანუმი წამოდგა და ბატის ნაბიჯით კარებისკენ წავიდა. არაბული ცხენი იმ ბატს ნელის ნაბიჯით გაჰყვა.

„დამტკიცების“ შემდეგ ორივენი დაბრუნდნენ და თავ-თავიანთ ალაგებზე დასხდნენ. კვაჭის ჯიბეში ახალი დასტა ფული ედო, ხოლო ცერზე ახალი და უუზარმაზარი ბეჭედი პერნა წამოცმული. ეს იყო ორი ქალის და „დამტკიცების“ სასყიდელი.

ლიზა ხანუმმა კვლავ ბუდდასავით მოიკეცა და ზეთიანი თვალები დარბაზს მიაპყრო. მერე სთქვა:

— აპოლონ, შენი ურუსის ქალები კარგები გამოდგნენ. ვერიჩა ძალიან მხიარულია. შეხედე, როგორ ცქმუტავს. არც კატინკა ჩამოუვარდება. მუშტარს ბლომად ახარჯვინებს.

— ნადინკა როგორი გამოდგა, ლიზა ხანუმ?

— მაგისთანა ცეკვა იშვიათად მინახავს. კარგი ხელი გქონია. ეხლა წადი, თორემ შენი მეგობრები აქეთ იხედებიან. ორივენი ხვალ ჩემს სახლში გადმოასახლე, აგრე იმ სახლში, პირდაპირ რომ სდგას. ჯერ იქ იცხოვრონ, ნელ-ნელა შემეჩვევიან და მერე ამ სახლში გადმოვლენ. დანარჩენი მე ვიცი. მშვიდობით, ჩემი ლომო. წასვლა რომ დააპიროთ, ერთხელ კიდევ შემოიხედეთ ჩემს ოთახში. ხვალ უფრო აღრე მოდი.

ასე გაანალდა კვაჭიმ იმ ღამეს ორი დაობებული სიყვარული და ასე შეიძინა ახალი მეგობარი ლიზა ხანუმი, ისიც დაობებული და უანგიანი, მაგრამ მსუქანი და მომავლიანი.

გავიდა ხანი. კვაჭი ლიზა ხანუმის „ოჯახის“ წევრი გახდა. მისი „დები“ — რები, ელენე და ხუთიოდე სხვებიც — ლიზა ხანუმის შვილებად გადიქცნენ. კვაჭი ყოველ ღამე „ამტკიცებდა“, რომ ხნიერის და დაგეშილ დედაქაცის ღმუილი და ხარხარი სჯობდა ახალგაზრდა ქარაქუცას წერტუნსა და კისეას, ხოლო ლიზა ხანუმის სუნი (როკფორის ყველის სუნი) ვარდის და იის სუნს აქარწყლებდა.

კვაჭი და ლიზა ხანუმი ოსმალურ ტახტზე დასხდებოდნენ, ყავას, ლიკიორს და ტკბილეულბას მიირთმევდნენ, ეგვიპტურ თამბაქოს აბოლებდნენ, ტკბილად მუსაიფობდნენ და ამძუვნებულ დარბაზში იხედებოდნენ.

ერთხელ ლიზა ხანუმმა უთხრა კვაჭის:

— ჩემი აპოლონ! დროა ჩვენი საქმე გამოვარევიოთ. ყური მათხოვე და დაფიქრდი. მე ორი დიდი სახლი მაქვს, მესამე ახ-

ლად ნაყიდი აგარაკია კადიკიოში. გარდა ამისა, პაპანდოპულოს ფირმის ნახევარიც მე მექუთენის. დანარჩენი შენც იცი: მდიდრულად მოწყობილი ბინა, ეტლი, მრავალი სამკაული და ორას ათასმდე ნაღდი ფული. ჩემი წლიური შემოსავალი სამოც ათასზე მეტია. ჩემი ქმარი შარშან გარდაიცვალა,—ეს შენც იცი. უშვილო ვარ,—ესეც იცი. ნათესავები ჩემს სიკვდილს ელიან,—ესეც გიამბე. მაგრამ მე არც სიკვდილს ვაპირებ და არც ჩემს საქმეზე ხელის ალებას. მე მიყვარს შრომა და ეს საქმე, რომელსაც შევეჩეიო. მაგრამ უმამაჯაცო საქმე, ისიც ამისთანა, სამფეხა ცხენს ჰგავს. ასეთი საქმე ცოცვით ივლის, მაგრამ ვერ გაიქცევა. გარდა ამისა, მე გლოვის ვადა გამითავდა. მარტოობას შეჩვეული არა ვარ. შენც ხედავ, რომ მამაკაცები—ახალგაზრდებიც და მდიდრებიც—ბუზივით მეხვევიან და ჩემგან პასუხს ელიან.

ორივენი დიდხანს სღუმდნენ და აბოლებდნენ. —

— მიმიხვდი?—ჰკითხა, ბოლოს, ლიზა ხანუმმა.

— ლიზა ხანუმ!—უპასუხა კვაჭიმ.—სირცხვილით ვიწვი იმის გამო, რომ შენ დამასწარი. ხვალ მე თვითონვე ვაპირებდი ამ საქმეზე ლაპარაქს, მაგრამ, რაკი დამასწარი, სხვა გზა არ არის, უნდა დღესვე გავათავოთ. ლიზა ხანუმ! ჩემი ვინაობა და თავგადასავალი უკვე გიამბე. მე ვარ თავადიშვილი, ეს—ერთი; ოცდა ჩვიდშეტი წლის ახალგაზრდა, ეს—მეორე; ორი უნივერსიტეტი მაქვს გათავებული, ეს—მესამე; რადგან პრინცის სასახლეში ვარ გაზრდილი, ამიტომ თან დამყვა ჩემი გემოვნება და ჩევეულებანი, ესეც—ოთხი. რაც მქონდა, წითლებმა წამართვეს, მაგრამ მე მაინც ფულს ვშოულობ და ჩემებურად ვხარჯავ, ესეც—ხუთი.

კვლავ იჩუმეს და გააბოლეს. ბოლოს, კვაჭიმ ჰკითხა:

— ლიზა ხანუმ, პასუხს მიმიხვდი?

— მიგიხვდი, ჩემო აპოლონ. მამაკაცს ჯიბის ფული სკირდება. ჩემი უკანასკნელი ქმარი თვეში ორას ლირას ხარჯავდა.

— ლიზა ხანუმ!—ჩამოართვა სიტყვა კვაჭიმ:—შენი ქმარი თავადი არ იყო, ის შენზე ხნიერიც იყო და გაუნათლებელიც, ამიტომ...

— ამიტომ შენ ათასი ლირა უნდა იმყოფინო.

— ლიზა ხანუმ! მე სამი ათასს ვხარჯავ.

— ათას ხუთასი გეყოფა.

— ლიზა ხანუმ!

— გავათავოთ. ორი ათასი ლირა თავსაყრელი გექნება. გარდა ამისა, შენს მეგობრებს სამსახურში მივიღებ და ეტლის მაგივრად

ავტომობილს გიყიდი. ორი საჯდომი ცხენიც შენი ფეშქაში იყოს. გავათავოთ. ხელი მომეცი.

ერთმანეთს ხელი მისცეს, ჩაეხუტნენ და სამუდამო მეგობრობა ერთხელ კიდევ „დაუმტკიცეს“.

* *

ყოველივე თავისი რიგით და წესით მიდის კნეინა ლიზა ხანუმ კვაჭანტირაძის „სახლში“. კარგად რომ დაღამდება, ლიზა ხანუმის ოცდაათი ქალიშვილი შიშველ-ტიტვლად მოირთებიან და დიდ დარბაზში გამოიფინებიან. სტუმრებიც ნელ-ნელა იკრიბებიან.

ბოლოს, კნეინა ლიზა ხანუმიც ბატივით გამოგოგდება, ოსმალურ ტახტზე მოიკეცებს, ბუდდას ძეგლივით დინჯად გაიყინება და თავისი შვილების ბედნიერებით სტკბება.

ბესო სალაროს მისჯდომია. წითელ ფესკით შემოსილი, იარაღ-ში ჩამჯდარი და გულხელ-დაკრეფილი ჯალილა კარებთან ასვატილა.

ლიზა ხანუმის მეუღლე და „სახლის“ მოურავი კვაჭი კვაჭანტირაძე დაკარგული ინდოურივით დაბორიალებს. ხან თავისს კნეინას მიუჯდება, ხან ბესოს გამოეხმაურება, ხან ჯალილას მიუგდებს ორიოდე სიტყვას, ხან სტუმრებს მიესალმება და ხანაც სამზარეულოში ან საკუჭნაოში შეიხედავს. დაბორიალებს კვაჭი კვაჭანტირაძე და გულში ილრინება. ზოგჯერ გულის დარდს ბესოს გადაუშლის და ქვრივ დედაბერივით აწუჭუნდება, ზოგჯერ კი ქურდულად კუთხეში მიიმალება, აკვენსდება, აჩუყდება და აცრემლდება.

რა გატირებს, კვაჭი კვაჭანტირაძე? რად გიყვნესის ეგ ჭრელი გული? რად გებურება ეგ მერელი თვალები? რად გეპმუხვენება ეგ გაშლილი და ნათელი შუბლი? რა დაგემართა, კვაჭი კვაჭანტირაძე? ჭამა-სმა—თავსაყრელი; ტანისამოსი—ყოველგვარი; ფული—გამოულეველი; ქალები—შერჩეული; ცხენები და ავტო, შსახური და მეგობარი, ძველი და ახალი, —კიდევ რა გაკლია, კვაჭი კვაჭანტირაძე? დახოცილი მეგობრები? დიდი ხანია მოინელე. სილიბისტრო და პუპი? ძალიან კარგად არიან. თუ გინდა, დაიბარე. დიდება და სახელი? გქონდა და შენვე გაექეცი. მშობელი ცა და მიწა? საბურთალო მოველის. მაშ რა გინდა, კვაჭი კვაჭანტირაძე?! მუდმივი ხეტიალი? მარადიული დევნა ბედისა? უთავბოლო სირბილი და ქროლა უთავბოლო ქვეყანაში? ოქროს გალიის დამტრევა და გაფრენა? მაშ რა გინდა, რა?

შენც არ იცი, განა!
 მესმის შენი, კვაჭი კვაჭანტირაძე!
 მესმის შენი, ჩემო კვაჭი!
 მესმის, ჩემო კვაჭიკო!
 მესმის... მესმის.

იყიდება ამავე პლატის

- 1) მოთხრობები. ფ. I. . . ფ. 1 ბ. 50 კ.
 - 2) ჯაყოს ხიზნები, რომანი. ფ. 1 ბ. 50 კ.
-

ზ ა ნ დ უ კ ი.

კარი პირველი. ამბავი კვაჭის ღაბადებისა.—ამბავი კვაჭის მშობლებისა.—ამბავი აშორდიასგან აზნაურობის მიღებისა.—ამბავი კვაჭის ყრმობისა.—ამბავი კვაჭის ხასიათისა.—ამბავი პირველ ოფ-ლიან მანეთის შოენისა.—ამბავი კვაჭის გამოცდისა.—ამბავი პირველი ნაბიჯისა.—ამბავი გიმნაზიის გათავებისა და ქვრივის გადარჩენისა.—ამბავი მუსიკის შესწავლისა.—ამბავი სახლის სყიდვისა.—ამ-ბავი საბედოს საძებნელად რუსეთში წასვლისა.—ამბავი მეგობართა შეხვედრისა, ცოტაოდენ ფულის მოგებისა და პირველ საბედოს პოენისა

გვ. 3—54.

კარი მეორე. ამბავი ამხანაგობის ღაარსებისა და მეორე სა-ბედოსთან ჩასახლებისა.—ამბავი ისაკას განთავისუფლებისა და პირ-ველ საბედოს გაფრენისა.—ამბავი მაღამ ლაპოშისა.—ამბავი ხელნა-კრავ. სიყვარულისა.—ამბავი ორი სიყვარულის გათავებისა.—ამბავი კვაჭის გაკოტრებისა და ბზის კოვზისა.—ამბავი კვაჭის აგენტობისა.—ამბავი სიცოცხლისა და სახლის დაზღვევისა.—ამბავი დაზღვევის სარგებლობისა

გვ. 55—107.

კარი მესამე. ამბავი საბანკო საქმის შესწავლისა და ამხანაგო-ბის დაფეთებისა.—ამბავი კვაჭის და მეგობართა დედა-ქალაქში გა-დასახლებისა.—ამბავი ახალ საქმის დაწყებისა.—ამბავი წმინდა მო-ხუცისა და სხვათა ხელისუფალთა გაცნობისა—ამბავი წმინდანის მდივნისა და მცველისა.—აქა კვაჭიმ ახალი და დიდი საქმეები „გაა-იმასქნა“.—აქა წმინდანის ვინაობა.—ამბავი წმინდანის დაშინებისა და სხვათა დაბაზნებისა.—ამბავი უუზენაესს საფეხურზე ახტომისა.—ამბავი ტახტისა და რუსეთის ხსნისა რღვევისაგან.—აქა კვაჭის დაჯილდოვება, ერთი დედაკაცის ბოდიში და ორიოდე სხვა ამბა-ვი.—ამბავი წმინდა გრიგოლის პასპორტისა და ერთი მეძავის გა-ჯოხებისა.— ამბავი წმინდანის ცოდვათა შენანებისა და ბირჟის აფეთ-ქებისა.—ამბავი საიდუმლო სერობისა

გვ. 108—186.

კარი მეოთხე. ამბავი ამხანაგების ბუდეს მოშლისა.—ამბავი ემირის დახვედრისა და კვაჭის დამუნჯებისა.—დღევანდელ ბაბი-

ლონის დათვალიერება და მცირეოდენი მსჯელობა.—ამბავი კვაჭი თავის მოგიყიანებისა.—ამბავი საღამურთა დათვალიერებისა და ძველი სიყვარულის განახლებისა.—ამბავი ძველი სიყვარულის აღდგენისა და ახალ მიჯნურის პოვნისა.—ამბავი მხატვრობის მუზეუმისა.—ამბავი ჰარამხანის დანგრევისა.—ამბავი ერთ საუბრისა და სამი ამხანაგის დაბრუნებისა სამშობლოში.—ამბავი ლედი ჰარვეის და კვაჭის გიმიჯნურებისა.—ერთი დიდი საქმის „გაიმასქნების“ ამბავი.—ამბავი თვალ-მარგალიტისა, საგიერთისა, დუელისა, კინოსურათისა. და მრავალთა საქმეთა საგმიროთა . . გვ. 187—253.

კარი მეხსოფე. ამბავი ერთი საიდუმლო ვალდებულებისა და რუსეთში დაბრუნებისა.—ამბავი „კეთილი სამარიტელისა“ და კვაჭინ ახალ წარმატებისა.—ამბავი უუდიდეს სამხედრო საქმის „გაიმასქნებისა“.—ამბავი კვაჭის საოცარ გარდაქმნისა და ერთ წაგებულ ბრძოლის მოგებისა.—ერთ უცნაურ ბოდვის ამბავი.—ამბავი კვაჭის და ზემოურთა წაკიდებისა.—ამბავი გეზის შეცვლისა და კვაჭის წინასწარმეტყველობისა.—ამბავი მაღლის გადახდისა და . ისტორიის დამახინჯებისა.—ამბავი ერთ ხაფანგში გაბმისა და ამოძრომისა.—ამბავი ხელახლად ხაფანგში გაბმისა, ყულფიდან გამოძრომისა და ქვეყნის აფეთქებისა გვ. 254—313.

კარი მეექვსე. ამბავი რევოლუციის დამცველთა საზოგადოებისა და თავისუფალ სოციალისტების პარტიის დაარსებისა.—ამბავი პირველ ბრძანებისა, იულისისა და ახალი ხიდის აშენებისა.—ამბავი კვაჭისა და ამხანაგობის გაწითლებისა და ოქტომბრისათვის მომზადებისა.—ამბავი წითელ ოქტომბრისა.—ამბავი ჩიქორთულ საქმეთა, სანამ ივანი ოქტომბრის ალში იწვოდა.—ამბავი სამტრედიების.—ამბავი კარაპეტ შულავრიანცისა.—ამბავი სამშობლოში დაბრუნებისა და ერთი კუბოს წამოლებისა . . . გვ. 314—382.

კარი მეშვიდე. ამბავი საქუთარ მიწაზე განავარდებისა.—ამბავი პირველ ნაბიჯებისა.—აქ „არც აქეთ, არც იქით“...—ამბავი კვაჭის ომიანობისა.—ამბავი 25 თებერვლისა და კვაჭის გაწითლებისა.—ამბავი კვაჭის ერთგულ სამსახურისა და ქალბატონ „ნეპის“ მოშველებისა.—ამბავი კვაჭის ნიშნობისა.—ამბავი რახილის ლალატისა.—ამბავი უმაღურ სამშობლოდან გარდახვეწისა.—ამბავი ძველი სიყვარულის განალდებისა, კვაჭის დაოჯახებისა და ამბავთა დასრულებისა გვ. 383—475.

მ ე ც დ რ ა ვ ა ზ ი:

83.	სტრ.	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
57	8 ზევ.	იხამუშებოდა	იხამუშებდა.
57	10 "	აჰყვა მეგობრებს მაინც	მაინც აჰყვა მეგობრებს.
82	12 ქვ.	პირდაპირ და კვაჭის	პირდაპირ კვაჭის.
99	10 "	მერე	მეორე.
114	5 "	ქამირი	ქაშმირი.
115	1 ზევ.	ჩილინი	ჩელინი.
141	14 "	აკაპეკაჭებდა	აკაპეკაჭდა.
143	12 "	და კვაჭის	(„და“ ამოიშალოს).
147	11 ქვ.	და უურნალ-გაზეთებში	(„და“ ამოიშალოს).
165	12 ზევ.	შეფიცნადები	ფიცნადები.
178	8 "	ჩემი არს	ჩემში არს.
216	21 "	და ათენებდა	და ლამეს ათენებდა.
301	10 ქვ.	ამბის	ამბავის
335	8 "	მთელ ყბედობის	მთელ ლამეს ყბედობის.
346	21 "	კუჭი	კუჭი.
351	2 "	კვაჭის	კვაჭურის.
386	9 "	შუქები	ლუქები.
401	19 "	ექლესიას	ექლესიის სინედრიონს.
"	15 "	თავი შენს	(„შენს“ ამოიშალოს).
444	6 "	ასი მილიარდი	ასი თუმანი.
388	7 "	<i>მუჭა ხილება</i>	<i>მუჭა ხილება</i>



გამომცემლობა

„საბჭოთა კავკასიონი“

ქვირვასო ახანდებო

၁၀ အမြန်သာဖောက်။

საქართველოს და ამიერ-კავკასიის ს. ს. ოქსტუბ-
ლიკების უმაღლეს პარტიულ და საბჭოთა ორგანი-
ზაციების დირექტორების განხორციელების მიზნით

სოფლად მუშაობის შესახებ სააჭკ.

გამომც. საზოგადოება „საბჭოთა

კავკასიონ“-მა გადასწუვიტა გამოს-

ცეს საგლეხო ლიტერატურა საერ-

თო სათაურით: „გლეხის ბიბლიოთეკა“. ბიბლიოთეკა სამ განყოფილებადა განზრახული: 1) აგრძონომიული, 2) საბჭოთა—კოოპერატიული აღმშენებლობა და 3) საერთო-საგანმანათლებლო.

Յուրաքանչ հոգին ցանեառքոյլեցնալո օյնեած ցամուշմա ազհանա-
մուշլո ցանցոցուղեծուն ծրագուշրեծուս, ըստելուց դասելուց 100
սեցաւասեցա սակեցնուցուցուն իցնացուացան Ցեսարցեա.

ყოველი ბროშურის ფასი 10 კაპეიკია.

გამომცემლობა მიკმართავს ყველა პარტიულ-პროფესიონალურს, საბჭოთა, სამეურნეო, კომერციულ, საფოსტო-სატელეგრაფო და სხვ. ორგანიზაციებს და აგრძელებს სოფლის აგრძელებას, მასწავლებლებს, ექიმებს, ბეითლებს და საერთოდ ყველას თხოვნით თავს იღებან „გლობის ბიბლიოთეკის“ ბროშურათა გავრცელება.

თავის მხრივ გამომცემლობა, ეგებება რა ყველა მათ, ვისაც სურს „გლეხის ბიბლიოთეკის“ ბრძოშურათა გავრცელება, დაუთმობს მათ წიგნის გამყიდველთათვის განზრახულ ფასდაკლებას 35% და კრედიტს 3-დან 6 ოცნების.

ცალკე პირთ კრედიტის მისაღებად საჭიროა ჰქონდეთ ოფიციალური რეკომენდაცია თავის აღვილობრივ აღმასკომისაგან.

ყოველგვარი ცნობებისათვის მიჰმართეთ: ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 8. სააქციონერო გამომკ. საზოგადოება „საბჭოთა ქავებისონი“.

დაიგეჭდა და იყიდება

„საბჭოთა კავკასიონი“-ს უმაღლესი გამოცხადი:

1. კ. მარქსი და ფ. ენგელსი—კომუნისტური მანიფესტი.
2. ბრაუნი—კომუნიზმი და ქრისტიანობა.
3. ჯონ-რიდი—ათი დღე, რამაც ქვეყანა შეარყია.
4. ნ. ლენინის შესახებ (კრებული).
5. ს. დევდარიანი—ჩემი პასუხი ნოე უორდანიას.
6. რუბენ—ლენინის გაწვევის შესახებ.
7. მ. კახიანი—საქართველოში მენტევითა გამოსვლის შედეგებისა და გაკვეთილების შესახებ.
8. რუბენ—პროლეტარული ბეჭვდითი სიტყვა და მუშა-კორესპონდენტი.
9. ა. ბლოკი—„თორმეტი“ და „სკეითები“.
10. ივ. გომელაური—ქართველი მწერლები.
11. თაბუკაშვილი—განთიადი.
12. ლეონიძე—მელორეობა.
13. გასტევი—კულტურის აჯანყება,
14. ჭ. ბაქრაძე—პროფესიონალური ავადმყოფობანი და ჰიგიენა, 2 ტომად.
15. ი. აბაკელია—მასალები ტუბერკულიოზის ინფექციის ლიმფატიური გზით გავრცელების ანატომიური დასაბუთებისათვის.
16. მახვილაძე—კლინიკური ანალიზი.
17. გ. ზინოვიევი—რ. კ. პ. ისტორია.
18. ლენინიზმი თუ ტროცკიზმი—„ოქტომბრის გაკვეთილთა“ შესახებ.
19. ვლ. სორინი—ლენინის მოძღვრება პარტიის შესახებ.
20. მ. ორაბელაშვილი—პროლეტარული რევოლუციურის კითხვები.
21. „გლეხის ბიბლიოთეკა“—ასი სხვადასხვა წიგნაები.
22. მიხეილ ჯავახიშვილი—კვაჭი. კვაჭინტირაძე.

ი ბ ე ჭ დ ე ბ ა:

1. პოეროვესკი—რუსეთის ისტორია (მოკლე ნარკვევი) ნ. III.
2. ლუქინი—დასავლეთ ევროპის უახლოესი ისტორია, ნ. I.
3. ჭ. ავალიშვილი—მემუარები.